საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ქართული უნივერსიტეტის შრომები

ტომი II

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

თბილისი 2015

UDC (უაკ) 378.4 (47922)

ქ-279

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე (მთავარი რედაქტორი), აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პროფესორი ივანე წერეთელი, პროფესორი ჰამლეტ მელაძე, პროფესორი ვახტანგ სართანია, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი, პროფესორი დიმიტრი ნადირაშვილი, პროფესორი მინდია უგრეხელიძე, პროფესორი ვახტანგ გურული, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, პროფესორი პაატა გოგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

ტომი გამოსაცემად მოამზადეს პროფესორმა **ვახტანგ გურულმა** და პროფესორმა **პაატა გოგიშვილმა**

ილია ჭავჭავაძის გამზირი 53ა
0179, თბილისი, საქართველო
press.sangu.edu.ge
press@sangu.edu.ge

ISSN 1512-3073

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, 2015

Saint Andrew the First-Called Georgian University Of the Patriarchate of Georgia

Proceedings of the Georgian University

Volume II

Georgian University Press

Tbilisi 2015

UDC (უაკ) 378.4 (47922)

ქ-279

Editorial Board:

Professor Sergo Vardosanidze (chief editor), academician Roin Metreveli, professor Ivane Tsereteli, professor Hamlet Meladze, professor Vakhtang Sartania, professor Mikheil Jibuti, professor Dimitri Nadirashvili, professor Mindia Ugrekhelidze, professor Vakhtang Guruli, professor Tariel Putkaradze, professor Paata Gogishvili (executive secretary).

The volume was prepared for publishing by professor **Vakhtang Guruli** and professor **Paata Gogishvili**.

Ilia Chavchavadze Avenue 53[a]
0179, Tbilisi, Georgia
press.sangu.edu.ge
press@sangu.edu.ge

ISSN 1512-3073

Georgian University Press, 2015

სარჩევი

სერგო ვარდოსანიძე - უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ქართული უნივერსიტეტი 9

ისტორია

როინ მეტრეველი - ქართველი ერის კულტურული შუბლი 17

აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული - ბერი გიორგი და მეფე გიორგი 28

ლევან ჯიქია - 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ხელმძღვანელი პირები საბჭოთა სამსჯავროზე (1925 წლის ივლისი-აგვისტო) 46

ფილოლოგია

გიორგი ალიბეგაშვილი - მეტაფრასტიკის ისტორიისა და თეორიის საკითხები ეფრემ მცირისა და მიქაელ პსელოსის ნაშრომების მიხედვით 55

თეიმურაზ გვანცელაძე - ენა და პოლიტიკა ოკუპირებულ აფხაზეთში 64

ტარიელ ფუტკარაძე – განათლება და ქართველთა ეთნიკური (ეროვნული) თვითაღქმა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში 84

ლია კარიჭაშვილი - ეთიკური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“ (ზოგიერთი ასპექტი) 93

ფსიქოლოგია

დიმიტრი ნადირაშვილი - ადამიანის თვითობის ფენომენი განწყობის თეორიაში, ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში 107

ნონა ახალაშვილი, ანა მანდარია - პიროვნული ღირებულებების კვლევა დამნაშავე და არადამნაშავე ქალებთან 119

მაია კალანდარიშვილი, ხატია ღვინიაშვილი - ხანმოკლე მეხსიერების ფაქტორული ანალიზი 130

თეა გოგოტიშვილი - ნარკოდამოკიდებულების ფორმირების ფსიქო-სოციალური წანამძღვრები 141

სალომე საბიაშვილი, თინათინ ფანცულაია, ლუიზა არუთინოვა - თავის ტკივილის (შაკიკი) მქონე პაციენტებთან აგრესიულობის და ალექსითიმიურობის მაჩვენებელი 163

მათემატიკა

ივანე წერეთელი - სპეციალური ტიპის ბერნშტეინის სიმრავლეები და ტოპოლოგიური სასრულობა 179

ჰამლეტ მელაძე, იულია მელაძე - არალოკალური საკონტაქტო ამოცანა მუდმივკოეფიციენტებიანი მეორე რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებისთვის 186

გიორგი მაქაცარია, ნინო მანჯავიძე - რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანა კარლემან-ვეკუას განტოლებისათვის პოლარული განსაკუთრებულობებით 192

თამაზ თევზაძე - კვაზიამოზნექილი კოეფიციენტებიანი ფურიეს ჯერადი მწკრივების ზოგიერთი თვისება 201

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ნინო გოგუაძე, მამუკა ჯახუტაშვილი, მანანა კაჭახიძე, ნინო კაჭახიძე - ზოგიერთი მოსაზრება სვეტიცხოვლის ტაძრის სინესტისგან დამცავი სისტემის შესახებ 215

ვაჟა ნებიერიძე - Tribulus terrestris - კუროსთავის სტეროიდული და ფენოლური ნივთიერებები 222

მიხეილ გოგებაშვილი, ნაზი ივანიშვილი, ელენე სალუქვაძე - რადიაციისა და მაღალი ტემპერატურის მოქმედება ფიტოცენოზების მდგრადობის ცვლილებაზე 228

ეკონომიკა

ნიკო კვარაცხელია - ექსკურსია, როგორც ტურისტული მომსახურების ფორმა და მისი ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში 235

მიხეილ თოქმაზიშვილი - მიწის მართვის პრობლემები საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება 252

მიხეილ ჯიბუტი - კუპონის ეროვნული ვალუტად გახდომისა და მისი ლარში დენომინაციის ისტორია 267

ლევან ქისტაური, გიორგი ცუცქირიძე - რისკის პროფილი და დიურაცია კომერციულ ბანკებში 279

სამართალი

პაპუნა გურული - ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, როგორც სისხლის სამართლებრივი ხელყოფის ობიექტი 293

დემოგრაფია

ვაჟა ლორთქიფანიძე - კავკასიის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში 301

დიდი მემკვიდრეობა

როინ მეტრეველი - ივანე ჯავახიშვილი 319

კობა ხარაძე - ალექსანდრე ჯავახიშვილი (1875-1973) 355

მინდია უგრეხელიძე - თინათინ წერეთელი - გამოჩენილი ქართველი სამართალმცოდნე 378

ავთანდილ არაბული - არნოლდ ჩიქობავას დრო და სივრცე (შტრიხები დიდი მეცნიერის ბიოგრაფიისათვის) 388

დოკუმენტის პუბლიკაცია

ვახტანგ გურული - საინტერესო დოკუმენტი ლავრენტი ბერიას მოღვაწეობიდან 407

Table of Content

Sergo Vardosanidze – Ilia II, His Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of the Whole Georgia and The Georgian University 9

History

Roin Metreveli - Cultural Profile of the Georgian Nation 17

Apolon Silagadze,Vakhtang Guruli - Monk George and King George 28

Levan Jikia - The leaders of the Anti-Soviet National Revolt 1924 on the soviet justice (July-August 1925) 46

Philology

Giorgi Alibegashvili - History and theory of metaphrastic according to Ephraim Minor and Michael Psellos's works 55

Teimuraz Gvantseladze - Language and politics in contemporary Abkhazia 64

Tariel Putkaradze - Education and Ethnic (National) Identity of Georgians in Historical South-West and South Georgia (Achara, Lazeti, Tao-Klarjeti, Samtskhe-Javakheti) 84

Lia Karichashvili - Ethical Realities In „Knight In The Panter's Skin" (Some Aspects) 93

Psychology

Dimitri Nadirashvili - The Phenomenaof Human Self in the Theory of Attitude, Georgian and European Litarature 107

Nona Akhalasvili, Ana Mandaria - Criminal and Non-criminal Women Research According to Personal Values 119

Maia Kalandarishvili, Khatia Gvinashvili - The factor analysis of Short-term memory 130

Tea Gogotishvili - Psycho-Social Predictors for the Formation of Drug Addiction 141

Salome Sabiashvili, Tinatin Pantsulaia, Luiza Arutinova - Indicator of Aggressiveness And Alexitimy In Patients With Headache (Migraine) 163

Mathematics

Ivane Tsereteli – Bernstein sets of special type and topological finiteness 179

Hamlet Meladze, Iulia Meladze – Nonlocal Contact Problem for Second Order Ordinary Differential Equation with Constant Coefficients 186

Giorgi Makatsaria, Nino Mandjavidze – Riemann-Hilbert Boundary Value Problem for Carleman-Vekua Equation with Polar Singularities 192

Tamaz Tevzadze – Some properties of multiple Fourier series with quasi-convex coefficients 201

Natural Sciences

Nino Goguadze, Mamuka djakhutashvili, Nino Kachakhidze, Manana Kachakhidze – The some reasons about water drainage system of Svetitskhoveli 215

Vazha Nebieridze – Steroidal and Flavonoid Glycosides of *Tribulus terrestris* 222

Mikeil Gogebashvili, Nazi Ivanishvili, Elene Salukvadze – The Influence of radiation and high temperature on the change of phytocenoses stability 228

Economics

Niko Kvaratskhelia - Excursion, as a form of travel services and its transformation in time and space 235

Michael Tokmazishvili - Land Management in Georgia and International Experience 252

Mikheil Jibuti - The history of „coupon", how it became national currency and denominated in „lari" 267

Levan Kistauri, George Tsutskiridze - Risk Profile And Duration In A Commercial Banks 279

Law

Papuna Guruli - Personal and Social Integrity as an Object of Infringement in Criminal Law 293

Demographics

Vazha Lordkipanidze - The natural movement of population of Caucasus in the 20th century and in the beginning of the 21st century 301

Great Heritage

Roin Metreveli - Ivane A. Javakhishvili 319

Koba Kharadze - Alexander Javakhishvili (1875-1973) 355

Mindia Ugrekhelidze - In Memory of Tinatin Tsereteli (110th Anniversary of Eminent Georgian Jurisprudent) 278

Avtandil Arabuli - Arnold Chikovaba's Time and Space 388

Document Publication

Vakhtang Guruli – Interesting document from Lavrenti Beria activities 407

სერგო ვარდოსანიძე

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ქართული უნივერსიტეტი

2007 წლის 25 აპრილს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბრძანებით თბილისში დაარსდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. იმავე წლის 29 ნოემბერს ქართულმა უნივერსიტეტმა მიიღო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსი. უნივერსიტეტის პირველ რექტორად დაინიშნა პროფესორი პარმენ მარგველაშვილი.

უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის საპატრიარქოს ვაკეში გადაეცა ყოფილი დოსაფის შენობა, რომლის რესტავრაციის ხარჯები გაიღო მოსკოვში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა თამაზ სომხიშვილმა. უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებას იმ ტრადიციების შენარჩუნებას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს თბილისის უნივერსიტეტში ქართველ მეცნიერთა საუკეთესო წარმომადგენლებმა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

2008 წლის 12 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გახსნაზე პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მიმართა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ „ჩვენს ცხოვრებაში არის მოვლენები, რომლებიც აღემატება დღევანდელობას. ასეთი მოვლენის წინაშე ვდგავართ დღეს. ჩვენ ვიხსენებთ დავით აღმაშენებლის დროს, როდესაც იხსნებოდა გელათის, იყალთოს აკადემიები, ჩვენ ვიხსენებთ დავით აღმაშენებლის ოცნებას, რომ გელათის აკადემია უნდა ყოფილიყო მეორე იერუსალიმი თავისი სულიერებითა და მოღვაწეობით და „ახალი ათინა“ თავისი დიდი მეცნიერებით და აი, დღეს იხსნება საეკლესიო უნივერსიტეტი, რომელიც არის მემკვიდრე გელათის აკადემიისა. საკითხი ურთიერთობის ცოდნისა ანუ მეცნიერებისა და სარწმუნოებისა, ეს არის უძველესი თემა. ეს თემა ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში იყო აქტუალური, ამაზე მსჯელობდნენ და ფიქრობდნენ დიდი მეცნიერები და განსაკუთრებით ისეთი ცნობილი და დიდი მეცნიერი, როგორიც იყო კლიმეტი ალექსანდრიელი. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ალექსანდრია იყო ცენტრი მეცნიერებისა, იქ მოღვაწეობდნენ უდიდესი ფილოსოფოსები. ცნობილი იყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, სკოლა. კლიმენტი ალექსანდრიელი თავის ისტორიულ ნაშრომში წერს, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია ცოდნა და რწმენა. იგი ამბობს, რომ პირველადი არის რწმენა და ზედ დაშენებულია ცოდნა, ბოლოს კი აკეთებს ასეთ დასკვნას, რომ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი კი მეგობარი ღვთისა - აი, ასეთ საფეხურზე აჰყავს კლიმენტი ალექსანდრიელს ადამიანი. თქვენ ასევე იცით, რომ ქართველი ადამიანი მუდამ ცდილობდა ცოდნის შეძენას, იგი მუდამ ეწაფებოდა მეცნიერებას, მის გონებაში არასოდეს იყო წინააღმდეგობა ცოდნასა და რწმენას შორის, გავიხსენოთ თუნდაც პეტრიწონის მონასტერი, სადაც სატრაპეზოს კედლები იყო მოხატული. ანტიკური ფილოსოფოსების პრიორიტეტებით, მუდამ იყო საფუძველი დიდი ღვთისმეტყველებისა და გამოთქმული იყო ასეთი სიტყვები, რომ ფილოსოფია არის მსახური თეოლოგიისა.

დღეს ბედნიერი დღეა, იხსნება წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც გააგრძელებს იმ ტრადიციებს, რომლებიც არსებობდა ჩვენს ისტორიულ

წარსულში. მე მინდა მივულოცო მთელ საქართველოს ეს მოვლენა. მინდა ავღნიშნო, რომ დიდი მხარდაჭერა მივიღეთ ჩვენი ხელისუფლებისაგან. დღეს არის ზეიმი ქართველი ადამიანის გონებაში, გულში. ამ ისტორიულ დღეს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს გახსნილად ვაცხადებ".

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ ინტერესით დაათვალიერა უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და განაცხადა: „ასე მოწყობილი უნივერსიტეტი არც ერთი არ არის საქართველოში. ახლა მთავარია პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ თავიანთ სიმაღლეზე, სტუდენტებმა იგრძნონ თავისი წილი პასუხისმგებლობისა. მე ხუმრობით ვთქვი კიდეც: ახალგაზრდა რომ ვიყო, ამ უნივერსიტეტში ვისწავლიდი სიხარულით".

პირველი მიღება ძირითადად მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში განხორციელდა. 2010 წელს ბაკალავრიატში მიღებულ იქნა 20 სტუდენტი ისტორიის სპეციალობით. შეიქმნა ენების ცენტრი, თარჯიმანთა სკოლა, დაიწყო მუშაობა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სრულყოფისათვის. უნივერსიტეტის გახსნიდან ერთი წლის შემდეგ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთან მიტროპოლიტ იონასთან ერთად კვლავ ესტუმრა ქართულ უნივერსიტეტს. პატრიარქმა ერთგვარად შეაჯამა უნივერსიტეტის ერთწლიანი მუშაობის შედეგი და ბრძანა: „მახსენდება დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენი!" მართლაც დიდია უფალი და ადამიანის გონება ვერ ჩაწვდება მის სიბრძნეს. ჩვენ სასოებითა და სიყვარულით უნდა მივიღოთ ის, რასაც უფალი გვაძლევს. რამდენიმე წლის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს ეკლესიას ექნებოდა ორი სასულიერო აკადემია, სასულიერო სემინარიები, სასწავლებლები, გიმნაზიები და ბოლოს უნივერსიტეტი. ვინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს ეკლესიას გელათის მეცნიერებათა აკადემია ექნებოდა... მაგრამ უფალი მოწყალეა და სახარებაში წერია - „ითხოვდე და მოგეცეს შენ". ჩვენც ვითხოვდით და უფალმა წყალობით მოგვხედა და მოგვცა. მოგვცა არა იმისათვის, რომ ვიამაყოთ, არამედ მისთვის, რომ ერს სიკეთე მოვუტანოთ".

2010 წლის 15 დეკემბერს უწმიდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 33 წლისთავთან დაკავშირებით ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, პატრიარქის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი), უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ დიდი მადლობა მოახსენა საზოგადოებას ამ ლამაზი და საინტერესო ღონისძიებისათვის და ბრძანა: „ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავრებო, ბატონო რექტორო, პროფესორ-მასწავლებლებო, სტუდენტებო, ქალბატონებო და ბატონებო, მინდა გითხრათ ერთი რამ, - დიდგორის ომი გრძელდება, დიდგორის ომი არ დამთავრებულა, დიდგორის ომი ჩვენ ცხოვრებაშია, ჩვენს კულტურაშია, ენაში და ლიტერატურაში, ეკლესიაში და მე დარწმუნებული ვარ რომ დიდგორის ომი გამარჯვებით დამთავრდება.

მე ძალიან გამიხარდა, რომ ჩვენ უნივერსიტეტს აწერია „Nosce Te Ipsum", შეიცანი თავი შენი, მადლობა ღმერთს რომ ჩვენ ვიწყებთ ამ შეცნობას, თუ ადამიანი შეიცნობს თავის ის აუცილებლად განთავისუფლდება ბოროტისაგან. მე განსაკუთრებით მივესალმები იმ ადამიანებს, რომლებიც ესწრებოდნენ ჩემს ინტრონიზაციას, ქალბატონ ვიქტორია სირაძეს, ქალბატონ ნათელა ვასაძეს, ქალბატონ მერი კანდელაკს და სხვებს. ეს იყო უმძიმესი წლები, საკავშირო ხელისუფლებაში, კრემლში იყო ასეთი შეხედულება - „რაც უფრო ცუდი იქნება მდგომარეობა ეკლესიისა, მით უკეთესი". აი, ასეთ პირობებში ვიყავი არჩეული. მე იმედით ვუყურებ მომავალს, თვითონ არასდროს ვკარგავ იმედს, უპირველეს ყოვლისა, იმედს ღვთისას. ჩვენ უნდა გვქონდეს იმედი ადამიანისა, ძალიან ძნელია დღეს ერთგული ადამიანის პოვნა, მაგრამ მაინც არიან, ბევრნი

არიან. ბევრია კარგი ადამიანი საქართველოში, ღმერთმა დაგვაჯილდოვა ჩვენ თავისი თვისებით, სიყვარულით, არცერთ ერს არ გააჩნია ისეთი სიტყვები როგორიცაა: „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“, ესე იგი მე შეგცვლი, ჭირს ღებულობს ადამიანი თავის თავზე, რომ დაეხმაროს თავის მეგობარს. ასე რომ, იმედი არ უნდა დავკარგოთ და ყველაფერი კარგად იქნება. მე მაინც დიდი იმედით ვუყურებ ჩვენს მომავალს. ბატონმა ლევან ვასაძემ გაიხსენა ჩემი სიტყვები - „არ წავალ ამ ქვეყნიდან სანამ არ ვნახავ გამთლიანებულ საქართველოს“. ინებოს ღმერთმა, მალე მოხდეს ეს გამთლიანება. მინდა კიდევ გავიხსენო ჩვენი მეცნიერები, ჩვენი სტუდენტები; იმ პერიოდში ჩვენ გვეკრძალებოდა შესვლა უნივერსიტეტებში და სხვა სასწავლებლებში. ყოველ ხუთშაბათს მე მქონდა შეხვედრა მეცნიერებთან და გარკვეულ თემას ვამუშავებდით, ვკითხულობდით, ვეცნობოდით, და მერე პროფესორები, პროფესორ-მასწავლებლები მიდიოდნენ სასწავლებლებში და უამბობდნენ სტუდენტებს იმის შესახებ, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით. ღმერთმა ინება, რომ მთელი ხალხი, თითქმის მთელი ხალხი მოექცა; მინდა ბოლოს ვთქვა, რომ უცხოეთიდან ჩამოდიან პატრიარქები, სხვა მაღალი სასულიერო წოდების პირები და ამბობენ, რომ ასეთი ერი, მოსიყვარულე, ასეთი მორწმუნე ხალხი ჩვენ მსოფლიოში სხვაგან არსად გვინახავს; დიდება და მადლობა უფალს, გახარებული იყავით, გმადლობთ“.

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქართულ უნივერსიტეტს არაერთხელ სტუმრობდა სამეცნიერო კონფერენციებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2010 წლის 12 ოქტომბერს ქართულ უნივერსიტეტში სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის დაარსებიდან 1700 და განახლებიდან 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც უწმიდეს და უნეტარეს ილია II-სთან ერთად ესტუმრნენ ალბანეთის ეკლესიის მეთაური, ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსი, უნეტარესი ანასტასი, ჩეხეთის ეკლესიის მეთაური, პრაღის მთავარეპისკოპოსი უნეტარესი ქრისტეფორე.

იმავე წლის 27 ნოემბერს უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქართულ უნივერსიტეტს ესტუმრა ცნობილი ოსი მეცნიერის პროფესორ იზმაილ ხუზმიევის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად.

2012 წლის 10 ოქტომბერს ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ქართულ უნივერსიტეტს ესტუმრნენ: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, მიტროპოლიტები: დანიელი, ანანია, იოანე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ განაცხადა: „ჩვენ ვიმყოფებით უნივერსიტეტში და მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პატრიარქები, ქვეყნისა და ეკლესიისათვის მოწამე და თავდადებული მოღვაწენი, ვერც კი იოცნებებდნენ, რომ საპატრიარქოს ჰქონოდა თავისი უნივერსიტეტი! დღეს კი დადგა ასეთი დრო და ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის!

აქ ითქვა, რომ საჭიროა კავშირი თაობათა შორის. მინდა გითხრათ, ასეთი კავშირი საჭირო კი არა, აუცილებელია. ამგვარი კავშირის თაობაზე მინდა ერთი მაგალითი მოგიყვანოთ. დიდი ცნობილი ფილოსოფოსი კონფუცი ერთხელ თავის მოწაფეებთან ერთად ეტლით მგზავრობდა. მათ გზაზე შემოხვდათ ადამიანი, რომელიც თავს იმით ირჩენდა, რომ ჩიტებს იჭერდა და ყიდდა. კონფუცემ ეტლის გაჩერება ბრძანა და იმ კაცისაკენ გაემართა. მისი მოწაფეები კვალდაკვალ მიჰყვნენ. როცა ბადეებს მიუახლოვდა, დაინახა რომ უკვე რამდენიმე ჩიტი გაბმულიყო მახეში. კონფუცემ შენიშნა, რომ ეს ჩიტები ყველანი მომცრონი, თითქმის ბარტყები იყვნენ. მაშინ იგი დაინტერესდა, რატომ არ იჭერდა ეს კაცი მოზრდილ ჩიტებს და ასეთი პასუხი მიიღო: მათ ვერ ვიჭერ, რადგან დიდი გამოცდილება აქვთ და მახეში ძნელად ებმებიანო. კონფუცემ გადახედა თავის მოწაფეებს და უთხრა: „დაიმახსოვრეთ ეს, სიბრძნე უფროსისაგან, შენზე მეტად გამოცდილისაგან უნდა ისწავლოო“. უფროს თაობას შესაძლოა კომპიუტერი და ახალი

თანამედროვე ტექნიკა არ ესმის, მაგრამ მას აქვს სიბრძნე და გამოცდილება, რომელიც ძალზე ძვირფასია და რომლის გაზიარებაც მათ შეუძლიათ ახალგაზრდებისათვის.

თქვენთან საუბარში ახლა, უეცრად ასეთი აზრი მომივიდა, რომ ყოველ უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს თავისი იდეა, თავისი დევიზი, თავისი მოწოდება. ისეთივე, როგორიც, მაგალითად, ქართული იდეა. და აი, ჩვენი უნივერსიტეტის გახდება პირველი, რომელიც გამოაცხადებს თავის იდეას; ამ მიზნისათვის მე ავარჩიე ერთი გამოთქმა: Nosce Te Ipsum, რაც ლათინურად თარგმანში ნიშნავს - შეიცან თავი შენი. ვფიქრობ, ეს უნდა დავაწეროთ დიდი ასოებით უნივერსიტეტის ფასადზე. იმედია, სხვა უნივერსიტეტები და უმაღლესი სასწავლებლებიც ასევე იფიქრებენ თავიანთ მთავარ იდეაზე.

მეტად რთული დროა დღეს და ჩვენი დამოკიდებულებითა და ნაზრევით კიდევ უფრო მეტად არ უნდა დავამძიმოთ იგი, არ უნდა ჩავვარდეთ არც ერთ უკიდურესობაში. იმას ვგულისხმობ, რომ არც უხეში ლიბერალიზმია საჭირო და არც ფანტაზიაა მისაღები. ქართველი ადამიანი მუდამ ზომიერი იყო საქმეში, ცხოვრებაში, სარწმუნოებაში. უხეშმა ლიბერალიზმმა, რომელიც ევროპაში წარმოიშვა, კაცობრიობა კომუნისტურ იდეებამდე და ათეიზმამდე მიიყვანა. ამიტომაა აუცილებელი ზომიერების დაცვა, საჭიროა რწმენა და მასზე დაყრდნობილი ცოდნა".

2012 წლის 10 ოქტომბერს უნივერსიტეტის მართვა-გამგეობის ახალი დებულების შესაბამისად შეიქმნა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, უნივერსიტეტის აკადემიური ნაწილის მართვის კოლექტიური ორგანო. პატრიარქის სრულუფლებიან წარმომადგენლად უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა მეუფე იაკობი (იაკობიშვილი), აკადემიური საბჭოს თავმჯდომარედ, რექტორად არჩეულ იქნა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, რომელსაც 2011 წელს ერთი წლით, ხოლო 2012 წლის 2 ივლისს მოქმედი აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ამოწურვამდე გაუგრძელდა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, რექტორის უფლებამოსილება. 2014 წლის 11 სექტემბერს გაიმართა აკადემიური საბჭოს განახლებული შემადგენლობის სხდომა, რომელმაც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარედ, რექტორად კვლავ აირჩია ისტორიისა და თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე. 2011 წლიდან უნივერსიტეტის კანცლერია ბატონი თამაზ ვაჩაძე.

2010-2012 წლებში უნივერსიტეტში დასრულდა ფაკულტეტების, მიმართულებათა და ადმინისტრაციული სტრუქტურების ფორმირება. შეიქმნა 4 ფაკულტეტი: 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (დეკანი პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, დეკანის მოვალეობის შემსრულებელი პროფესორი ვახტანგ გურული); 2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტი (დეკანი პროფესორი ვახტანგ სართანია); 3. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტი (დეკანი პროფესორი ივანე წერეთელი); 4. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (დეკანი პროფესორი დიმიტრი ნადირაშვილი). 2-13-2014 წლებში უნივერსიტეტში მოქმედმა 41 პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია. ამჟამად ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლობს 1500-ზე მეტი სტუდენტი.

2011 წლის 19 ოქტომბერს ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ამბროსი ხელაიას დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მან შეაჯამა რა კონფერენციის მუშაობა აღნიშნა - ყველა პატრიარქის მოვალეობაა არასოდეს დააყენოს თავისი ქვეყანა და ეკლესია დარტყმის ქვეშ, არამედ მან თავის თავზე უნდა მიიღოს ეს დარტყმა. ასეთები იყვნენ ჩვენი პატრიარქები და ასეთი იყო წმიდა ამბროსი აღმსარებელი.

2012-2013 წლებში საიუბილეო თარიღი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის. 2012 წლის 25 დეკემბერს უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს

აღსაყდრებიდან 35, 2013 წლის 4 იანვარს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. 2012 წლის 4 მაისს უნივერსიტეტში მოეწყო უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ისადმი მიძღვნილი ფოტო გამოფენა. ნოემბერში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, დაიბეჭდა პატრიარქისადმი მიძღვნილი წიგნი „მწყემსი საქართველოსი“.

2013 წლის 11 იანვარს ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის დაბადების 80 და აღსაყდრების 35 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-სთან ერთად ესტუმრნენ ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოსი - მსოფლიო პატრიარქი, უწმიდესი ირინეოსი - სერბეთის პატრიარქი, უნეტარესი ქრისტეფორე - ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიის მეთაური, მიტროპოლიტი სერაფიმე - ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის საპატრიარქოს წარმომადგენელი, მიტროპოლიტი კირილე - ბულგარეთის პატრიარქის მოსაყდრე, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები, რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა სფეროში მიხეილ შვიდკოი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი სერგო ვარდოსანიძე მიესალმა სტუმრებს და ბრძანა: „თქვენო ყოვლადუწმიდესობავ მსოფლიო პატრიარქო, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურნო, დელეგაციის ხელმძღვანელებო, თქვენო აღმატებულობავ ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, ბატონებო! დღევანდელი დღე ისტორიულია ჩვენი უნივერსიტეტისათვის, დღეს ჩვენ ვმასპინძლობთ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს, უსაზღვროა ჩვენი სიხარული, უწმიდესისა და უნეტარესის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში იმართება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება ჩვენი დიდი პატრიარქის დაბადების 80 და აღსაყდრების 35 წლისთავს. დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მისი უწმიდესობა ილია II საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოსილია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. XX-XXI საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიაში სამი დიდი პატრიარქის ღვაწლი განუზომელია. მათგან ორნი, უწმიდესნი და უნეტარესნი კირიონი და ამბროსი მოწამეობრივად აღესრულნენ, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბოლო 38 წლის მანძილზე ჩვენს მშფოთვარე, წინააღმდეგობებით და პრობლემებით დახუნძლულ საქართველოში ქართველი ხალხის ცხოვრებით, ჭირითა და ლხინით ცხოვრობს. იგი თითოეული ქართველისათვის ბრძენი, ყურადღებიანი დიდი სულიერი მოღვაწეა. მისი სჯერათ, ის უყვართ, ყველა ცდილობს რაღაცით გამოხატოს მისადმი უდიდესი პატივისცემა.

Sergo Vardosanidze

Ilia II, His Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of the Whole Georgia and The Georgian University

Resume

Restoration and development of spiritual education is connected with the name of Ilia II, His Holiness and Beatitude Catholicos Patriarch of the Whole Georgia. In 2008 His Holiness and

Beatitude made a decision to found a secular University in Tbilisi. St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia is one of the outstanding Universities in the educational sphere of Georgia having more than 1500 students enrolled in bachelors', masters' and doctoral studies. The Patriarch often visits the University and is glad about its progress and success.

ისტორია

როინ მეტრეველი
ქართველი ერის კულტურული შუბლი

აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული
ბერი გიორგი და მეფე გიორგი

ლევან ჯიქია
1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ხელმძღვანელი პირები საბჭოთა სამსჯავროზე (1925 წლის ივლისი-აგვისტო)

როინ მეტრეველი

ქართველი ერის კულტურული შუბლი

1925 წელს ჟურნალ „მნათობში“ (რუბრიკა „მეცნიერება და პუბლიცისტიკა“) მეტად ორიგინალური სათაურით გამოქვეყნდა ნიკო მარის სტატია „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით“.[1] ესაა მოხსენება, რომელიც მეცნიერმა გააკეთა პარიზის ქართველობისათვის. აუდიტორიას ბოდიში მოუხადა: „მადლობასა და ბოდიშსაც ვიხდი, რომ იქნება ძალზე მოსაბეზრებელი დაგირჩეთ მოსასმენელიო“. საბაასო საგანი, როგორც ნ. მარი აღნიშნავს, გახლავთ - „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათ-მეცნიერების მიხედვით“. მეცნიერი თავად სვამს კითხვას: „ეს რაღა შუბლია ან ფრანტი? ნუთუ ომს ვუცხადებ ვისმე და საბრძოლველ შუბლის მზადებაში ვარ?! როგორც მეცნიერი ომს არ ვსაჭიროებ არავისთან, არც მეცნიერებთან, რადგან ჩემი სხვათათვის საწინააღმდეგო მეცნიერული აზრები უამრავი მასალისგან იბადება და, ერთხელ რომ წარმოთქმულა, ჩემგან დამოუკიდებლად იზრდება“. აქ ნიკო მარი იაფეტური მეცნიერების[2] გავრცელებაზე მიაქცევს ყურადღებას. საამისო მაგალითებიც მოჰყავს. მეცნიერის პათოსი ასეთია: „ძველებური ჩიხტი-კოპითა და ფერ-უმარილით საკულტუროსნოთ ვერ მოიხვეჭება ჩვენ დროში ერის შუბლი... მცირერიცხოვანი ერი თავს ღალატობს, თუ თავის კულტურულს შუბლს მის ნამდვილს, მხოლოდ მაშინ მშვენიერს, ხასიათს ვერ უპოვის და მის ისტორიულ ბედისწერას გზას უქცევს.“ ქართველი ერის განვლილი ისტორიის შედეგს მიიჩნევს ნ. მარი, ქართველი ერის შუბლზე ისტორიის ნაწერად. აი, ამ „შუბლის-წერის“ წაკითხვა მიაჩნია აუცილებლად მეცნიერს.

ნიკო მარი ხაზს უსვამს, რომ საქართველოში ისეთი კულტურული ფენომენის, როგორიც ქრისტიანობაა, შეტანა-გავრცელებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამა თუ იმ ერთიანი ქართველობის მჭიდრო განწყობილებას. საქართველოდან უცხო ქვეყნებში გაჰქონდათ მსოფლიო განათლების სარბიელზე „ქართველი ერის ჭეშმარიტების მწყურვალი, სიმართლის მაძიებელი სული, რომელსაც საფენლად, მარტო მისტიური და ეროვნული აღფრთოვანება არ ჰქონია, არამედ თავისებური ადრინდელი კულტურის, დაწინაურებული კულტურის თანაშეზრდილი, თანდაყოლილი ძალა და სიმხნევე“.

ნიკო მარი აღმატებით მოიხსენიებს ქართველ მოღვაწეებს: პეტრე იბერს, იოანე პეტრიწს, ექვთიმე მთაწმინდელს. ღარიბი ბერძნული მწერლობა გაამდიდრაო ექვთიმე ქართველის თარგმანებმა. მხედველობაშია „აბუკურას“, „ვარლამ და იოასაფის“ („სიბრძნე ბალავარისა“) თარგმანები. ნიკო მარი გამოჰყოფს ეფრემ მცირის განსწავლულობას; განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ორი ანბანის არსებობას (ხუცური და მხედრული). მას ხუცური ქრისტიანულად მიაჩნია, ხოლო მხედრული – საკერპთმსახუროდ. თანაც ორი ანბანი ორი კულტურის მომასწავებელ მოვლენად მიიჩნია. მთავარი ისაა, რომ მეცნიერს ორი ანბანის არსებობა ერის მაღალკულტურულობად მიაჩნდა: „განა ეს ორი კულტურული მოხვეჭილობა, ორი ანბანის შექმნა, შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ეროვნული სულიერი შემოქმედება უკიდურეს სიმაღლეზე ატანილი არ ყოფილიყო თანადროულ მსოფლიო განათლების პირობაზე“.

---

[1] იხ. ჟურნალი „**მნათობი**“, 1925, №4(12), გვ. 199-211, №5-6(13-14), გვ. 289-328.

[2] ჩვენ გამიზნულად ვარიდებთ თავს იაფეტური თეორიის შესახებ მსჯელობას. ეს უკვე გაკეთდა გასული საუკუნის 50-იან წლებში (მხედველობაში გვაქვს არნოლდ ჩიქობავას მიერ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია და შემდგომი დისკუსია). ყოველივე ამის შესახებ იხილეთ: **ავთანდილ არაბული**, გასული საუკუნის საენათმეცნიერო დისკუსიის გააზრებისათვის. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. XII, თბილისი, 2014, გვ. 9-21.

მეცნიერი უმნიშვნელოვანეს ფაქტად წარმოადგენს საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული მონასტრების არსებობას. სინას მთაზე, პალესტინაში ქართველები წარმატებით მოღვაწეობდნენ. მონასტრები კი სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და სამწერლო საქმიანობის ცენტრებად იყო ქცეული. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იქაური მოღვაწეების ხელიდან გამოსულ სამეცნიერო და სამწერლო პროდუქციასაც. მეცნიერი ყურადღებას აქცევს ქართულ „მრავალთავს", რომელიც 864 წლითაა დათარიღებული და სინას მონასტერში ინახება. „მრავალთავი" ქართული ენის შესხმით მთავრდება. როგორც ჩანს, ეროვნული ენის დამოუკიდებლად განვითარებით თავი მოჰქონდათ ქართველ ბერ-მონაზვნებს. ამ უკანასკნელთ დიდი ამაგი მიუძღვით ქართული სიმღერების გაეკლესიურებაში, სასულიერო გალობების გაქართულებაზე, ქართული კულტურისა და ქართული დღესასწაულების დაცვაზე. არაერთი არაბული და ბერძნული ხელნაწერი წიგნი მათი შრომის ნაყოფია, მათი ნათარგმნია – „ქართველების შეტანილობა გახლავს პირდაპირი მსოფლიო კულტურის განძში".

ქართველების მაღალკულტურულობის, ერის კულტურული შუბლის სიმაღლის განსასაზღვრავად მნიშვნელოვან ფაქტორად ნ. მარს ქართული ენა მიაჩნია. იგი თვლის, რომ ენა სიტყვა და საქმეა, თავდაპირველად განუყოფელი სიტყვა და საგანია ერთად შედნობილი. „ქართველი ერის ენა მუსაიფში ან ლექსიკონში არ განიხილება. სიონი ტფილისში, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში,

864 წლის მრავალთავი სინას მთაზე... ყანების მორწყვის სისტემა იმერხევის, ტაო-კლარჯეთის მთებზე, ხეხილების თუ პურის სხვა და სხვა სახის, ასობით ყურძნის ნერგის აღმოჩენა და განვითარება, ვთქვათ მიქელ მოდრეკილის საგალობელი კრებული, შავთელის ხოტბა-შესხმა, ქართული სიმღერა, ქართველის მიხვრა-მოხვრაც – ყველა ქართული ენა გახლავთ".[3] ნ. მარის მიხედვით, ქართულ ენაში[4] კულტურის ყველა ნივთიერი ძეგლი ცხადდება თვალსაჩინოდ. ქართული ენა გამოირჩევა იმით, რომ მასში მოცემულია კაცობრიობის წინსვლის ყოველი ნაბიჯი, გაჟღენთილია უძველესი ეპოქების მონაცემებით, რელიქტური კავშირებით. ქართულ და მის მონათესავე ენებში წინაისტორიული ეპოქების დანალექი ჩანს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად შუქი ეფინება ადამიანის ენის განვითარებას.

ნიკო მარი აღნიშნულ სტატიაში იაფეტური მიმართულების განვითარებასაც ეხება. უხვად მოაქვს მაგალითები. ადარებს ქართულ ენას სხვადასხვა ენებს. ჩვენ ამ საკითხებზე არ შევჩერდებით. მნიშვნელოვანია ნიკო მარის დასკვნა: „ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად ვერც ერთი კაცობრიობის კულტურულ სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება, ვერც ერთი უნივერსიტეტი კუთვნილ დარგში უქართულ-საგნოდ წარმოსადგენი ვერ იქნება".[5]

1930 წლის 10 იანვარს ნიკო მარმა ლექცია წაიკითხა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. თავად ამ შეხვედრას ლექციის სამაგიერო საუბარი დაარქვა. თემა ასეთი იყო: „რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში."[6]

მეცნიერმა გაიხსენა, რომ ევროპაში ძველი ენათმეცნიერული სწავლა მძიმე კრიზისს განიცდის, რომ განხეთქილებაა ამ სწავლის მიმდევართა შორის. უმთავრესი პირობა ჯანსაღი მოქმედებისა სათქმელის გულახდილი, პირდაპირი თქმაა. ყოვლად შეუწყნარებელია კარჩაკეტილობა, რაც ზოგჯერ იწვევს ეროვნულ-მატერიალური დაწინაურებისა და კულტურული განვითარების შეჩერებას.

---

[3] **ნ. მარი**, ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით. – ჟურნალი „მნათობი", 1925, №5-6, გვ. 289-290.

[4] **Н.Я. Марр**, К изучению современного грузинского языка. Петроград, 1922, стр. 12-15, 18.

[5] **ნ. მარი**, ქართველი ერის კულტურული შუბლი... , გვ. 328.

[6] დაიბეჭდა 1930 წელს, თბილისში, სამეცნიერო აკადემიის განკარგულებით (მუდმივი მდივანი კ. სულაქველიძე).

ნ. მარს კარჩაკეტილობის მაგალითად მოაქვს იაპონიის მეცნიერების მდგომარეობა. მეცნიერი ფართოდ იყენებს შედარებითს მეთოდს, უსვამს ხაზს ქართული ენის ცალკეული ელემენტების მსგავსებას უცხოურ ენებთან, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურთან; ასაბუთებს, რომ ბერბერულ ენას ნათესაობა აქვს ქართულის სტადიური განვითარების გარკვეულ საფეხურთან. ნიკო მარი გარკვეულ კავშირს ხედავს ქართულსა და რომანულ ენებთან. იგი ასკვნის, რომ „... საფრანგეთის საქართველოსთან ენის მხრით კავშირი ღირსშესანიშნავია, სიმძლავრის მოცულობით, უფრო მძლავრით, როცა გადავდივართ კელტური ჯგუფის ენებზე, ბრეტანულზე და კიდევ მეტი ძლიერით, როცა ბასკურს ვეხებით“.[7] ბასკებთან ნათესაობა „ღრმად ჩამჯდარი“ აღმოჩნდა. ამ აზრის გასაშუქებლად დაწერილი მასალა „პირინეულ გურიიდან“ გარკვეულად ახასიათებს მდგომარეობას. მეცნიერს მიაჩნია, რომ უკანასკნელ წლებში მიღწეული კვლევის დონე იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კაცობრიობის ენა ერთეული შემოქმედებითი მსოფლიო პროცესის შედეგია: „დედამიწაზე არ სუფევს ენათა არავითარი ჯგუფი, არც ერთი ენა, რომელიც აღორძინებული იყოს აღნიშნული ერთეული ენის შემქმნელ ან გლოტოგენიურ მსოფლიო პროცე-სისგან დამოუკიდებლად“.[8] ნიკო მარს მიაჩნდა, რომ ენის სიღრმისეულმა მეცნიერულმა კვლევამ ისე გააფართოვა ნიადაგი, რომ მის ფარგლებში აღმოჩნდა აფრ-ევრ-აზიის ყველა ჯგუფის ენები. ამასთან მსოფლიოს ენათმეცნიერულ სივრცეში ქართულმა ენამ „შესამჩნევი“ ადგილი დაიკავა („მაგრამ არა იგი, რომელიც ეკადრება“).

განსაკუთრებულად უნდ აღინიშნოს, რომ ნიკო მარმა საფუძველი ჩაუყარა ტექსტოლოგიურ კვლევებს – ქართულ ტექსტოლოგიას. მის სახელთანაა დაკავშირებული ძველი ქართული ენობრივი ძეგლების კრიტიკულ-ფილოლოგიური გამოცემა. ჯერ კიდევ ყმაწვილობის ასაკში შეუნიშნავს ნიკო მარს ის საერთო, რაც არაბულსა და ქართულ ენებს შორის არსებობდა და გამომდინარე აქედან, გამოთქვა კიდეც ვარაუდი, რომ შესაძლოა ქართული ენა სემიტური ოჯახის კუთვნილება იყოსო. ამ ვარაუდის დასაბუთების ცდა მოცემულია „ძველი ქართული ენის ტაბულებზე“ (1908 წ.) დართულ ნარკვევში. გარკვეული დროის შემდეგ ნ. მარმა უარყო ქართული ენის სემიტურ ოჯახთან ურთიერთობის ჰიპოთეზა. მან დიდი მუშაობა წარმართა ქართველური ენების შესწავლის საქმეში. იგი თავის მოწაფეებთან ერთად ეწეოდა მასალის სისტემატიზაციას.

ნიკო მარი თავის წინაშე ხედავდა ამოცანას: გაერკვია ქართული ენის გრამატიკული კატეგორიები, შეესწავლა მათი ევოლუცია ქართული ენის განვითარების მთელ სიგრძეზე, დაედგინა ლაზურ-მეგრულ-სვანურის სტრუქტურა, გაეანალიზებინა ქართველური ენები (ისტორიულ-შედარებითი მიმართებით), ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლა, ქართულისა და ქართველური ენების მსოფლიო ენებთან კავშირის გარკვევა. ნიშანდობლივია, რომ ნიკო მარს დასახული გეგმის განხორციელებაში გვერდით დაუდგნენ მისი მოწაფეები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი. ცხადია, დასმული საკითხების შემოქმედებითი კვლევისათვის აუცილებელი იყო საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა და უზარმაზარი, მრავალმხრივი მუშაობა ჩაატარა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც საქართველოს ისტორიის ყველა დარგი (მიმართულება) თავისი კვლევის ჩარჩოებში მოაქცია. იოსებ ყიფშიძე ლაზურ-მეგრულს იკვლევდა, აკაკი შანიძე – ქართული დიალექტოლოგიისა და ძველი ქართულის პრობლემებს სწავლობდა, ვუკოლ ბერიძე – ლექსიკოლოგიურ კვლევას შეუდგა, გიორგი ახვლედიანი – ქართული ენის ფონეტიკას სწავლობდა.

---

[7] **ნ. მარი**, რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში. თბილისი, 1930, გვ. 10.
[8] იქვე, გვ. 11.

ნიკო მარის მიერ წარმოებული ქართველური ენების შედარებითი შესწავლა ძვირფას მასალად მიაჩნდა არნოლდ ჩიქობავას. ნიკო მარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სვანურ ენას. 1922 წელს გამოსცა სვანურ-რუსული ლექსიკონი და პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა სვანური ენის მეცნიერულ შესწავლას. მანვე საფუძველი ჩაუყარა ლაზური (ჭანური) მეტყველების შესწავლას.

ნიკო მარი ხშირად გამოდიოდა ლექციებით საფრანგეთსა და გერმანიაში. მოუწოდებდა უცხოეთის უნივერსიტეტებს მონაწილეობა მიეღოთ ქართული ენის მეცნიერულად შესწავლაში. ნიკო მარი არის ქართული დიალექტოლოგიის საფუძვლის დამდები. ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას ნიკო მარმა ჩაიწერა იმერხეული ტექსტები (ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები) და შემდეგ გამოაქვეყნა (1911 წ.) კიდეც. ნაშრომს თან დაურთო დიალექტოლოგიური ხასიათის გამოკვლევა და ლექსიკონი. ნ. მარმა დიალექტოლოგიურ მუშაობაში ჩააბა ა. შანიძე, ვუკ. ბერიძე, ი. ყიფშიძე. მისი თაოსნობითა და რედაქტორობით ქვეყნდებოდა პეტერბურგში ახალგაზრდა დიალექტოლოგების ნაშრომები. ნ. მარის რედაქციით დაიბეჭდა (1916 წ.) ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის მიერ შედგენილი საენათმეცნიერო ინსტრუქცია-პროგრამა ქართული ენის მასალების შესაგროვებლად („პროგრამა ქართული ენის დიალექტური (კილოკაური) მასალების შესაკრებლად“).

ნიკო მარი აქტიური ლექსიკოგრაფი იყო, დიდია მისი წვლილი ქართულ ლექსიკოგრაფიაში. ფრიად ფასეულია მეცნიერის ტექსტოლოგიურ-ლინგვისტური შენიშვნები, რომლებიც ერთვის მის პუბლიკაციებს. იგი ფართოდ მსჯელობს ქართული ლექსიკის თაობაზე. მეცნიერი არკვევს და წარმოაჩენს ენობრივ ძეგლში არსებულ მნიშვნელოვან სიტყვებს, გამოთქმებს, სალიტერატურო ენაში სხვადასხვა გზით (მათ შორის ხალხური მეტყველებიდან) შეჭრილ ლექსიკურ ერთეულებს (ე.წ. ვულგარიზმებს).

ნიკო მარი დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას ცდილობდა. მას კარგად ესმოდა ამგვარი გამოცემის მნიშვნელობა და ამასთან სირთულე. თავისი „ძველქართულ-რუსული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში მითითებული აქვს, რომ საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ მას დააკისრა ქართული ენის დიდი ლექსიკონის შედგენა, შეუდგენიათ სარედაქციო კოლეგია, სადაც ნ. მართან ერთად იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ნიკოლოზ ადონეცი და ვლადიმერ ბენეშევიჩი.

ნიკო მარმა ბიბლიური ტექსტის გამოცემისთვისაც შეადგინა საგანგებო კომისია, რომელშიც მასთან ერთად შედიოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, რობერტ ბლეიკი (ნ. მარის მოწაფე, ორიენტალისტი, ქართველოლოგი ამერიკიდან). ნიკო მარმა ამოცანად დაისახა საქართველოში ლექსიკოლოგიური საქმიანობის აკადემიურ დონეზე დაყენება.

ნიშანდობლივია, რომ ნიკო მარს მწყობრად საქართველოში ქართველოლოგიის განვითარების მწყობრად ჩამოყალიბებული გეგმა ჰქონდა. მისი დიდი წვლილი რელიეფურად ჩანს ქართველურ ენათმეცნიერებაში. ამაზე ნათლად მეტყველებს ნიკო მარის მიერ დაარსებული და მისივე რედაქტორობით გამოსული ქართველოლოგიური ჟურნალები და სერიული გამოცემები:

„სომხურ-ქართული ფილოლოგიის ტექსტები და ძიებანი“

„იაფეტური ენათმეცნიერების მასალები“

„ქრისტიანული აღმოსავლეთი“

„ბიბლიოთეკა არმენო-გეორგიკა“

„იაფეტური კრებული“

„მონუმენტა ჰაგიოგრაფია გეორგიკა“

ეს გამოცემები მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ ხშირად იბეჭდებოდა სტატიები ქართული ენათმეცნიერების პრობლემებზე, საერთოდ ქართველოლოგიურ თემატიკაზე.

* * *

კონკრეტულად რა სპეციალობის იყო აკადემიკოსი ნიკო მარი? პასუხი ერთია: იგი ზოგადად იყო ორიენტალისტი-ფილოლოგი და ლინგვისტი. ვიწრო სპეციალობით – ქართველოლოგი და არმენისტი.

მეცნიერი ფართო მასშტაბის მუშაობას ეწეოდა; აღწერა ხელნაწერი ფონდები, თანაც სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთაც; ადგენდა კატალოგებს, ინდექსებს, სამეცნიერო აღწერილობებს. ცდილობდა არქეოგრაფიულ და არქეოლოგიურ საქმიანობაში მეცნიერთა ფართო წრე ჩაება. ძალზედ საქმიანი რეცენზია მიუძღვნა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შედგენილ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობებს.

განსაკუთრებული ადგილი აქვს ნიკო მარის მოღვაწეობაში სინას მთასა და იერუსალიმში ექსპედიციის მოწყობას. ნიშანდობლივია, რომ მეცნიერმა ექსპედიციაში თავისი მოწაფეც – ივანე ჯავახიშვილიც წაიყვანა. ექსპედიცია ეფექტური იყო; შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. ნიკო მარმა წინასწარი ანგარიში წარმოადგინა, რასაც დიდი კმაყოფილება მოჰყვა არა მხოლოდ რუსეთში, ევროპულ სამეცნიერო საზოგადოებაშიც. გერმანელმა მეცნიერმა ადოლფ ჰარნაკმა აღფრთოვანებით განაცხადა: „უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც“. გერმანელის ნატვრაა, რომ გამოჩნდნენ ევროპაშიც ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია იმ ხალხისა, რომელსაც „თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან და გაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯე“.

ზოგადად ნიკო მარის შემოქმედება ორ მთავარ პრობლემად განიყოფება, მის ღვაწლთანაა დაკავშირებული ორი ფილოლოგიური სკოლის ჩამოყალიბება. ერთია, ქართველოლოგიის, რომლის შემადგენლობაში არიან ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე. მეორე სამეცნიერო სკოლაა – არმენოლოგიის ნიკოლოზ ადონეცის, იოსებ ორბელის და გრიგოლ ღაფანციანის შემადგენლობით. ნიშანდობლივია, რომ მარი ბროსეს მიერ სათავედადებული დისციპლინის – ქართულ-სომხური ფილოლოგიის სწავლებას ახალი განვითარება სწორედ ნიკო მარმა მისცა“.[9]

ნიკო მარის პირველივე პუბლიკაციები ძველი ქართული მწერლობის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი იყო და მეცნიერს დიდი სახელი მოუტანა.“[10]

გვიხდება კონსტატირება ფაქტისა, რომ ნიკო მარი ზოგჯერ არ იყო თანმიმდევრული თავისივე დებულებების წამოყენებისას. გაზვიადებულად აფასებდა უცხოური ელემენტის მნიშვნელობას ქართული სულიერი კულტურის განვითარებისათვის. მისი ზოგიერთი მოსაზრება (მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ სადაურობის შესახებ) უნიადაგო იყო. იყო შემთხვევა, როცა ერთმნეთის გამომრიცხავ თვალსაზრისს ავითარებდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკო მარი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, განსაკუთრებულად თვითკრიტიკული იყო. 1928 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა მისი წიგნი „ქართული ენა“, სადაც იგი გულწრფელად წერდა: „ჩვენ ძლიერ ვგრძნობთ უცხოურ სამყაროთა ცივილიზაციის უწვლილეს მოძრაობას, ქართულ კულტურაზე რომ გავლენა მოუხდენია. ჩვენ აღვრიცხავთ ხოლმე მათი ენების ყველა შემონატანს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ის ძალები, რომლებიც თვითონ ქართული ნიადაგიდან მოდის. ჩვენ არ ვიცნობთ ცოდნის უმთავრეს წყაროს ყველა გენეტიკური საკითხის თაობაზე სოციალური მოვლენების გარშემო. ჩვენ არ ვიცით ქართული ენა თავისი დამოუკიდებელი ფორმირებით. ეს ცოდნა ჩვენ გვაიძულებდა გადაგვესინჯა სესხების საკითხი, ვინაიდან ნასესხებად მიჩნეული ბევრი სიტყვა ასეთად აღარ ჩაითვლება ენის

[9] ნ. მარმა ფაქტობრივად გააღრმავა და ბევრი სიახლე შეიტანა თეიმურაზ ბაგრატიონის, მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილისა და ალექსანდრე ცაგარელის სამეცნიერო კვლევებში.

[10] **ალექსანდრე ბარამიძე**, ნიკო მარი როგორც ქართული მწერლობის მკვლევარი, წგნში: აკადემიკოსი ნიკო მარი. 120. თბილისი, 1988, გვ. 42.

(პალეონტოლოგიური) შესწავლის სარწმუნო შუქზე“. ნიკო მარმა ფაქტობრივად აღიარა, რომ მისი ე.წ. ნასესხობის თეორია დაირღვა.

* * *

1906 წელს ნიკო მარმა დაბეჭდა „История Грузии (культурно-исторический набросок)». По поводу слова прот. И. Восторгова о грузинском народе“. ესაა შესანიშნავი მეცნიერულ-პუბლიცისტური ნაშრომი. მეცნიერმა თანაგრძნობა გამოხატა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, ამხილა თვითმპყრობელობის ანტიხალხური პოლიტიკა. მეცნიერმა სააშკარაოზე გამოიტანა ანტიქართველი დეკანოზის იოანე ვოსტორგოვის პროვოკაციული საქმიანობა.

ნიკო მარი გვამცნობს, რომ ერთი წლის წინ (1905 წ.) მას დაუწერია სტატია – დეკანოზი ვოსტორგოვი, როგორც კავკასიური მოღვაწე; მიუჩნევია, რომ იგი „დამარხულია“. ვოსტორგოვის სიტყვებით და აზრებით დამტკიცებული იქნა, რომ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს რეალური საქართველოს და რეალური საქართველოს ეკლესიის შესახებ, ქრისტიანული სული უცხოა მისთვის, რომ იგი არის კავკასიის უძველესი ქრისტიანული ხალხის, კერძოდ ქართველებისა და სომხების აშკარა მტერი. ვოსტორგოვის ღვარძლის ნესტარი მიმართულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისკენ. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ადამიანი, რომელიც ამდენ შხამს ანთხევს საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ, ათი წლის მანძილზე „მართავდა“ საქართველოს საეგზარქოსოს სასკოლო საქმეს და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ეკლესიის „რუსულ“ მიმართულებაში. ნ. მარი არ იშურებს მკვახე ეპითეტებს ვოსტორგოვის რეალური სახის წარმოჩენის მიზნით. მისი თქმით, ეს რუსი „მოღვაწე“ ქართული სასულიერო ცხოვრების ჭირი იყო.

ნიკო მარი თვლის, რომ მისი ასეთი მწარე მხილების შემდეგ ვოსტორგოვს კავკასია უნდა დაეტოვებინა, რადგან არ შეერცხვინა რუსეთი და რუსული საქმის საბოლოო დისკრედიტაცია არ მოეხდინა. მას თავზე ნაცარი უნდა დაეყარა და უდაბნოში წასულიყო მოსანანიებლად. ვოსტორგოვმა მართლაც დატოვა საქართველო, მაგრამ მონანიებას მან არჩია მოსკოვში გამოსვლა რუსი ხალხის ყრილობაზე, სადაც მან საჯაროდ გაიმეორა თავისი შეხედულებები ქართველ ხალხზე. ვოსტორგოვმა აჩვენა თავისი სრულიად გაუთვითცნობიერებლობა ქართულ და ზოგადად კავკასიურ საქმეებში, გადმოანთხია ბოღმა ქართველების წინააღმდეგ („Змеиное шипение без змеиной мудрости»). ნ. მარს ვოსტორგვის ნათლად წარმოსაჩენად პეტრე მოციქულის სიტყვები მოჰყავს: „ძაღლი მიუბრუნდა თავის ნარწყევს, და დაბანილი ღორი კვლავ თავის წუმპეში ჩაგორდა“ (მეორე პეტრესი, 2, 22).

თუმცა რუსები, თუკი მათ საგაზეთო ინფორმაციას დავუჯერებთ, ინტერესით უსმენდნენ ვოსტორგოვს. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ (12. IV. 1905, №95) ამცნობდა საზოგადოებას: „Речь протоиерея Восторгова о Кавказе, пролившая много света на положение русского дела на этой окраине, возбудила громадный интерес. Члены съезда глубоко благодарны ему за правдивое слово». ნიკო მარი გამოჰყოფს, რომ წარმატებული იყო რუსი დეკანოზის სიტყვები: „Из всех народностей, населяющих Кавказ, самыми симпатичными являются татары: это – самый верноподданный народ; он не выдвигается вперед, потому что не имеет своих газет, у него нет интеллигенции, нет денег для подкупа и пропаганды и нет закупленных писателей» (Московские ведомости, 9.IV.1905, № 92). ნიკო მარი ადასტურებდა, რომ თათრები მართლაც სიმპათიურები იყვნენ და აქვე აღნიშნავდა დეკანოზ ვოსტორგოვის სრულ უცოდინარობას თათართა ყოფა-ცხოვრების საკითხებში. არასწორი იყო, რომ კავკასიის თათრებს არ ჰქონდათ გაზეთი. მეცნიერმა დაასახელა იმხანად გამომავალი თათრული გაზეთები „გაიატი“ და „ირშადი“. არასწორი იყო, რომ კავკასიელ თათრებს არ ჰყავდათ ინტელიგენცია (პირიქით, მათ ორგვარი ინტელიგენცია ჰყავდათ: ერთი – მუსლიმური, მეორე – ქრისტიანული, ანუ რუსული და

ევროპული). აბსურდი იყო იმის მტკიცება, რომ კავკასიელ თათრებს არ ჰქონდათ ფული. ამასთან ყოველივე ეს მონაპოვარი ღირსება იყო კავკასიელი თათრებისათვის, რადგან პირველ ხანებში მათი ცხოვრება რუსეთში არ იყო მასპინძელი ერის კეთილგანწყობით განებივრებული; არც დიდი ნდობა ჰქონდათ.

დეკანოზი ვოსტორგოვი ხედავს მხოლოდ იმას, რომ თათრებს „нет денег для подкупа и пропаганды и нет закупленных писателей“. ასეთი იყო, ნ. მარის დახასიათებით, დეკანოზ ვოსტორგოვის მართლშეგნება. ის არაფრად დაგიდევდათ ჭეშმარიტ რუსულ ეროვნულ იდეალებს. ამ მოღვაწეს, „ქართული ეკლესიის მსახურს“, უფრო ხელფასი და ჯილდოები აინტერესებდა რუსეთის ხელისუფლებისაგან. დეკანოზ ვოსტორგოვის სიტყვების პიკანტური ინტერესი ის იყო, რომ ამ „რუსი“ ადამიანის თვალში რუსეთში ხალხი იმ შემთხვევაში არიან ერთგული ქვეშევრ-დომები, თუკი ისინი „ не выдвигаются вперед“, ვიდრე „не имеют своих газет“, ვიდრე „у них нет интеллигенции“ и „нет денег“. ნიკო მარი ხაზს უსვამს „მამა ვოსტორგოვის“ მორიგ აბსურდულ მტკიცებას: „... автокефалия грузинской церкви не есть желание грузинского народа; это политический замысел, прикрывающий собою автономию“. ვოსტორგოვი კიდევ უფრო შორს მიდის, როცა ამტკიცებს, რომ ავტოკეფალია პოლიტიკური საკითხი იყო. ამით ინიღბებოდა კავკასიური რევოლუცია.

არანაკლებ საინტერესოა „მამა ვოსტორგოვის“ შეხედულებები სომხებზე და სომხეთზე: „... у армян, при отсутствии среди русских национальной идеи, все крепла идея создания Великой Армении с границею на север до Нахичевани“. მართლაც, არიან ზოგიერთი „კავკასიოლოგები“ (თავად ასე უწოდებენ თავს), რომლებიც ანტისომხურ და ანტიქართულ ლიტერატურას სცემენ განსაკუთრებულ პატივს. ნიკო მარს მოჰყავს ციტატა სოლომონის იგავებიდან „კაცის ცრუ ბაგე მისივე მტერია და ლაქარდიანი ენა საფრთხეს უმზადებს“ (იგავნი სოლომონისანი, 26, 28). ნიკო მარი განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ვოსტორგოვის განცხადებით: „эта окрайна куплена кровью русских людей“. იგი ხაზს უსვამდა, რომ, ჯერ ერთი, საქართველო არ იყო რუსი ადამიანების სისხლით ნაყიდი, ქვეყანა ქართველმა პატრიოტებმა თავისი თავგამოდებული ბრძოლითა და შემართებით შეინარჩუნეს („ნუთუ ქართველთა სისხლს არაფრად თვლის ვოსტორგოვი?“). ცილისმწამებლური იყო დეკანოზ ვოსტორგოვის გამოხდომა სომხების მიმართაც. სომხებით დასახლებული ნახიჩევანი ყოველთვის აქტიურად იყო დაკავშირებული სომხების ეროვნულ ცხოვრებასთან. ამასთან ქალაქს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ე.წ. დიდ სომხეთთან: „Сколько в невежественной касательно армянской истории среде могла зародиться и `окрепнуть идея создания Великой Армении, с границею на север до Нахичевани. Армянский народ тут непричем“. ნიკო მარი თვლის, რომ არსებობენ „უბედური თავები“ („несчастные головы“), რომლებსაც ელემენტარული ცოდნის ათვისებაც არ შეუძლიათ და მათგან უგვანო აზრი პერიოდულად ჩნდება რუსულ პრესაში, რაც ძველ განუკურნებელ ქრონიკულ დაავადებას გვაგონებს.

რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის ვოსტორგოვისეულ გაშუქებას, იგი ავტორის მონაჩმახია. აქედან ჩანს ავტორის სრული უცოდინარობა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი აზრის მსვლელობისა.

ნიკო მარი მთელი სერიოზულობით აყენებს კავკასიის საკითხს, რომლის ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა საქართველოს საკითხი. იყო დრო, - აღნიშნავს მეცნიერი, - როცა საქართველოს საკითხი რუსეთისთვის კავკასიის საკითხის ცენტრში იდგა – საქართველოს საკითხი მთლიანად ფარავდა კავკასიის საკითხს. იყო დრო, როცა თითქმის ასი წლის მანძილზე საქართველოს საკითხი რუსეთისთვის არ არსებობდა. მეცნიერს არ ჰქონდა მხედველობაში ის დიპლომატიური კეთილგანწყობა, რომელიც რუსეთს გააჩნდა საქართველოსადმი XVI საუკუნიდან მოკიდებული თითქმის 1801 წლამდე. ნიკო მარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ

რუსეთმა აღთქმული „მფარველობის“ ნაცვლად თანდათან შეზღუდა ქართველების თავისუფალი კულტურული განვითარება, გააუქმა ქართული სამეფო დინასტია, ეკლესია წაართეს ქართველებს, ხელმოცარული დატოვეს ქართული თავადაზნაურობა. უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და საეგზარქოსოთი შეცვლა. საქართველოს არჩეული კათოლიკოს-პატრიარქი შეცვალა ჩინოვნიკმა ეპისკოპოსად, რომელიც ეგზარქოსად იწოდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ეგზარქოსები, პირველი ეგზარქოსის, ვარლამის, გარდა, ყველა ეროვნებით რუსი იყო, რომლებმაც არც ერთი ქართული სიტყვა არ იცოდნენ. მეცნიერი ასკვნიდა, რომ საქართველოს საეგზარქოსოში სახელის გარდა არაფერი არ იყო ქართული.

თითქოს გაუმჯობესეს სასამართლოს მართვა, თუმცა ეს „გაუმჯობესება“ მიმართული იყო არა მართლმსაჯულების ინტერესებისაკენ, არამედ ქვეყნის სრულ რუსიფიკაციას ემსახურებოდა. სასამართლო ორგანოებში აღიკვეთა ქართული ენით საქმის წარმოება. საქართველოს ისტორიის ვრცელ სიგრძეზე ჰქონია მძიმე პოლიტიკური დევნის მომენტები სხვადასხვა დამპყრობლებისაგან, თუმცა არც მონღოლებს, არც თურქებს, არც სპარსელებს ქართული ენა არ უგულვებელუყვიათ. „Законный родной язык, – წერს ნიკო მარი, - одним росчерком пера при осуществлении обещанного русским императором Александром I попечения о Грузии был отменен и заменен русским. Выиграл ли от этого престижь русскаго правосудия? Едва-ли, если прислушаться к голосу грузинского населения“. „რუსული კანონები“, „რუსული მართლმსაჯულება“ თანდათან ქართულ ხალხურ მეტყველებაში შეიცვალა სინონიმებით „აშკარა სიცრუე“, „სასტიკი უკანონობა“ და სხვ. მართლაც მართლმსაჯულება ფორმალურ პროცედურად გადაიქცა. გაიზარდა ცრუმოწმეობა და სასამართლომ სრულად დაკარგა ავტორიტეტი.

მძიმე მდგომარეობა იყო სკოლებშიც, იდევნებოდა ქართული ენა. „Все что могло содействовать, – წერს ნიკო მარი, - развитию человеческого достоинства и здорового национального самосознания, в Грузии, естественно, грузинского, история ли Грузии, или грузинская литература, было устранено из средней школы…“.

ნიკო მარს მიაჩნდა, რომ რუსული მთავრობის მიერ საქართველოს სკოლებში ჩადებული ფული, შრომა არა მარტო უსარგებლო იყო, არამედ პირდაპირ მავნებლური ქართველი ხალხის განათლებისათვის; შეიძლება ითქვას, რომ გამიზნული იყო ქართველების კულტურული ხალხის სიიდან ამოსაშლელად, განსაკუთრებით, როცა ლაპარაკია დიდი ისტორიული წარსულის მქონე ხალხზე, რომელსაც შუასაუკუნეების განმავლობაში შეუქმნია უდიდესი კულტურული მემკვიდრეობა და ამ ხალხის სკოლებში მათი ეროვნული სიმდიდრის იგნორერებას აკეთებ, ეს არა მარტო შეცდომაა, არამედ დანაშაულია.

სინამდვილეში, როგორც ნიკო მარი განუმარტავს მკითხველს, საქართველოს კულტურული სკოლა იყო ხანგრძლივი და მრავალფეროვანი. ქართველები იყენებდნენ მას მიზანსწრაფულად და არა წარუმატებლად. სამწუხაროდ, საერთაშორისო პოლიტიკური პირობები ყოველთვის არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქართველი ხალხის გონებრივი განვითარება კეთილად წარმართულიყო. როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის დაუძინებელი მტერი ყოველთვის იყო დიდი სახელმწიფოების ტირანული წყობა, განურჩევლად ამ სახელმწიფოთა რწმენისა და რასისა.

ჩვენ მიერ მოწოდებული ზემომოტანილი მასალა შესავალია ნიკო მარის წიგნისა „საქართველოს ისტორია (კულტურულ-ისტორიული მონახაზი)“. სწორედ აქაა მთელი სისრულით წარმოდგენილი დიდი მეცნიერის პოზიცია და მეცნიერული სიღრმით და მთელი ობიექტურობითაა განქიქებული რუსეთიდან საქართველოს ეკლესიაში განათლების მეთვალყურედ მოვლენილი დეკანოზი ი. ვოსტორგოვის უგვანო საქციელი.

არ შევუდგებით ნიკო მარის კულტურულ-ისტორიული მონახაზის „საქართველოს ისტორიის“ დეტალურ განხილვას. აღვნიშნავთ, რომ აქ მარმა რთულ სტორიულ ფონზე ნათლად წარმოაჩინა საქართველოს, ქართველი ხალხის ღვაწლი, კულტურული დონე. წარმოაჩინა

რელიეფურად, მტერიც და მოყვარეც შეიცნობს საქართველოს წარსულს, ქვეყნისა და ხალხის ღვაწლს, მათ წვლილს მსოფლიო საუნჯეში. მოვიტანთ მეცნიერის რამდენიმე „მონახაზს“, რომელსაც გარკვეული ეპოქის შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აი, დავით აღმაშენებლისა და მისი დროის საქართველოს შეფასება: „Весь блеск его, блеск не только литературный, но и политической Грузии, Грузии Давида Строителя, есть результат медленной, но основательной культурной работы многих предшествовавших поколений. Эти древние поколения создали на Св. земле и на Синае грузинские обители, центры просвещенной подвижнической жизни в национальном духе, опираясь главным образом, на нравственные силы народа, на религиозное чувство свое и своих одноверных соплеменников“[11].

ნიკო მარმა „საქართველოს ისტორიის“ მონახაზში, გარდა იმისა, რომ წარმოაჩინა საქართველოს რეალური ისტორიის ფრაგმენტები, მტკიცე პასუხი გასცა დეკანოზ ვოსტორგოვის ნაყალბევ, დემაგოგიურ ნაბოდვარს.

ნიკო მარმა საგანგებოდ მოიტანა ციტატა გამოჩენილი გერმანელი ღვთისმეტყველის, პროფესორ ა. ჰარნაკის ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაში (შიტზუნგსბერიცჰტე, 1903, გვ. 840) დაბეჭდილი სტატიიდან: „Мы узнаем самым ясным образом, что к великой греко-христианской семье народов принадлежат и грузины.“[12] გერმანელი მეცნიერი ოცნებობს, რომ გამოჩნდნენ ევროპაში (გერმანიაში) მეცნიერები, რომლებიც შეისწავლიან ქართულ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას, მათ ძველ კულტურას და დაგვაახლოვებენ ჩვენ ამ ხალხის საუნ-ჯესთანო.

ნიკო მარი თავის ნარკვევში გარკვეულ ადგილს უთმობს რუსი პოეტების კეთილი დამოკიდებულების გადმოცემას კავკასიისადმი, კერძოდ ქართველი ხალხისადმი, საქართველოს ბუნებისადმი. მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ სრულიად უპერსპექტივოა რუსული ხელისუფლების პოლიტიკა საქართველოში, სრულიად უიმედოა ქართველების ეთნოგრაფიული რუსიფიკაცია.[13]

ჩვენ არ გავაგრძელებთ ნიკო მარის „საქართველოს ისტორიის“ მონახაზის განხილვას. ზოგი რამ მასში სადავოც არის, მაგრამ არსებითია ის, რომ მეცნიერმა, გავიმეორებთ, პრაქტიკულად უპასუხა დეკანოზ ი. ვოსტორგოვისა და მისთანათა საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოხდომებს.

ნ. მარის წიგნში დართულია ძალიან მნიშვნელოვანი ნარკვევი „По поводу слова прот. И. Восторгова о грузинском народе“.[14] დეტალურად არ შევჩერდებით ამ ნარკვევზე, რადგან საკითხები, რომელიც აქ არის, ზემოთაც განვიხილეთ. ნიკო მარი მკაცრი მსაჯული იყო ყოველივე არამეცნიერულის, სიყალბის, ცილისწამების და ამ პათოსითაა დაწერილი ნარკვევიც. მეცნიერს იუდას სიტყვები მოჰყავს: „ისინი კი დაგმობენ იმას, რაც არ იციან, ხოლო რაც ბუნებით, როგორც უგონო პირუტყვებმა, იციან, იმით თავიანთ თავსვე ხრწნიან... ესენი არიან თავიანთი თავისგანვე განდგომილნი, მშვინვიერნი, სულის არმქონენი“ (იუდა, I, 10, 19).

ნიკო მარი მიიჩნევს, რომ დეკანოზ ი. ვოსტორგოვის სტატია არის უღირსი პამფლეტი, რომელიც სიბრალულს იწვევს ავტორის მიმართ. გამომჟღავნებულია ისტორიისა და გეოგრაფიის სრული უცოდინარობა. ავტორიტეტულად არის წარმოდგენილი არასერიოზული მსჯელობა ადგილობრივი ენების ურთიერთობის შესახებ, თანაც არც ერთ ენაზე ავტორს მცირედი წარმოდგენაც კი არა აქვს. ნ. მარს უხვად მოაქვს ი. ვოსტორგოვის შეცდომები და აშკარა უცოდინარობის ფაქტები. დეკანოზმა ი. ვოსტორგოვმა არ იცის, რომ ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უმდიდრესი საუნჯეა აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიისა.

---

[11] **Н. Марр**, История Грузии (культурно-исторический набросок). Издательство „Амирани“, СПб, 1906, стр. 24.
[12] **Н. Марр**, История Грузии (культурно-исторический набросок). Издательство „Амирани“, СПб, 1906, стр. 25.
[13] **Н. Марр**, История Грузии (культурно-исторический набросок). Издательство „Амирани“, СПб, 1906, стр. 51.
[14] **Н. Марр**, История Грузии (культурно-исторический набросок). Издательство „Амирани“, СПб, 1906, стр. 53-88.

ნიკო მარს ი. ვოსტორგოვის უცოდინარობის კულმინაციურ პუნქტად მიაჩნია ლიტერატურული ქართულის საკითხი. მეცნიერი ჩვეული პუნქტუალობითა და მეცნიერული სიღრმით, პარალელების მოხმობით პასუხობს ახირებულ ავტორს. „... Достаточно ясно, что по научной обоснованности, статья И. Восторгова ниже всякой критики“ – დაასკვნის ნ. მარი.

დეკანოზი ვოსტორგოვი თავადაც არ მალავს, რომ „ქართული“ საეგზარქოსო არსებითად არ აინტერესებდა ქართული ეკლესიითა და ქართული მოსახლეობით. კავკასიაში მეტი ყურადღება ექცეოდა მოსულ ელემენტებს (უცხო ტომის ხალხს), ვიდრე მკვიდრებს. საქმე ისაა, რომ ამ უცხოელებში რუსული ადმინისტრაცია მორჩილ იარაღს ეძებდა. ეს კი ადგილობრივ ეროვნებათა წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებოდათ. მაგრამ ამ „ელემენტებმა“ იმედები არ გაამართლეს.

დეკანოზ ვოსტორგოვს მიაჩნდა და კმაყოფილებით წერდა, რომ ამიერკავკასიაში საეკლესიო საქმიანობას წარმატებები ჰქონდა და ხელმწიფის წინაშე დამსახურებას უსვამდა ხაზს. ნიკო მარმა ამხილა რუსი სამღვდელო პირის სიცრუე და მიუთითა, რომ ის, რასაც იგი „წარმატებას“ უწოდებდა, იყო „ღრმა ცოდვა, ანტისაეკლესიო და ანტისახელმწიფოებრივი“. ნიკო მარი ხმამაღლა აცხადებდა: „На Кавказе может быть одна действительная победа, - внутренняя, культурная, - а для такой победы нужно знание, действительное знание, и нужна любовь, не романтическая, плаксивая, мечтательная любовь к немым красотам Кавказского края, к его причудливым скалам, горным пейзажам, к узорным шальварам или развалинам былой жизни, а реальная, творческая любовь к настоящим людям, к их светлым идеалам, которые и по традиции и по чаяниям не ниже красот немой кавказской природы.“[15]

მეტად საინტერესოდ ასრულებს ნიკო მარი დეკანოზ ვოსტორგოვისადმი მიძღვნილ სტატიას. იგი ზოგადად მიმართავს რუსეთის ხელისუფლებას, რომელმაც კავკასიისადმი (კავკასიის ხალხისადმი) დამოკიდებულებაში ბევრი შეცდომა დაუშვა. მეცნიერი შეახსენებს მათ, რომ კავკასია ის მხარეა, სადაც რუსებმა ისწავლეს რუსული კანონების დარღვევა, თითქოსდა სახელმწიფოს ინტერესების გამო, უპატივცემულოდ ექცეოდნენ კავკასიის ხალხების კულტურას (ამასაც რუსული ეროვნული იდეალებით აპირობებდნენ), არაფრად აგდებდნენ მუსლიმურ სარწმუნოებას, ღიად ებრძოდნენ სომხურ ეკლესიას, შენიღბულად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ დაპირისპირებოდნენ ადგილობრივ, საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ კულტურულ საფუძვლებს და გზა გადაეჭრათ მსოფლიო ევოლუციური პროგრესისაკენ. ამგვარმა დამოკიდებულებამ კავკასია რეალურად დააქვეითა: „Кавказ, этот микрокозм культурногго мира всей Передней Азии, обратился лишь в новый источник растления этнических устоев русской государственности: русскому государству стал он готовить до преступной слепоты близоруких политиков, русскому обществу – типичных идеологов человеконенавистничества“[16].

ნიკო მარს ამ დასკვნის შემდეგ მოაქვს სრულიად უბრალო, მაგრამ ღრმად სამართლიანი ხალხური სიბრძნე: „რასაც დასთესავ, იმას მოიმკიო“.

ნიკო მარი ზემომოტანილმა ნარკვევმა [„История Грузии (культурно-исторический набросок)“] წარმოაჩინა, როგორც ღრმა მეცნიერი, რომლისთვისაც უპირველესია ჭეშმარიტება, და აჩვენა, რომ მზადაა მკაცრად ებრძოლოს სიყალბეს მეცნიერებაში, ნებისმიერი ერის შეურაცხყოფას და ემსახუროს ობიექტურ სინამდვილეს. მეცნიერმა აჩვენა სამშობლოს სიყვარულის ჭეშმარიტი მაგალითი, მყისიერი მზადყოფნა მის დასაცავად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დიდ მეცნიერთან ერთად, ნიკო მარი წარმოადგენდა მაღალმოქალაქეობრივი მრწამსით აღჭურვილ, სიმართლისათვის მამაც მებრძოლ ნამდვილ პატრიოტს.

---

[15] **Н. Марр**, История Грузии (культурно-исторический набросок). Издательство „Амирани“, СПб, 1906, стр. 81.

[16] **Н. Марр**, История Грузии (культурно-исторический набросок). Издательство „Амирани“, СПб, 1906, стр. 88.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ დიდი ექვთიმე თაყაიშვილი (წმიდა ექვთიმე ღმრთის კაცი) ამაყად აცხადებდა: „ნიკო მარი გენიალური წყობის მეცნიერი იყო... სხვა მარი ძნელად თუ ეღირსება ჩვენს ერს. მარის გამოკვლევა ქვაკუთხედია ჩვენი ენის, ლიტერატურის და, საზოგადოდ, წარსულის შესასწავლად“.

Roin Metreveli

Cultural Profile of the Georgian Nation

Summary

The paper deals with the studies of a prominent scholar and public figure Niko Marr relating to Georgian language and culture.

N. Marr mentions Georgian public men Petre Iberi, Ioane Petritsi, Ekvtime Mtatsmindeli with great reverence. He considers the existence of Georgian monasteries beyond Georgia’s boundaries as a fact of the greatest importance.

Georgian language is regarded a significant factor in determining the height of the cultural profile of the nation, Georgians high level of culture. According to Niko Marr, all material monuments of Georgian culture are manifested in Georgian language. Each step of the advancement of humanity saturated with the data of the ancient epoch is given in Georgian language.

It should be noted that Marr laid the foundations of textual criticism – Georgian textology. His name is associated with critical and philological edition of the written monuments of the old Georgian language.

The paper considers N. Marr’s essay „The History of Georgia” (cultural and historical sketch) where the author vigorously combats fraud in science, any kind of abuse of the nation.

Along with the fact that he was a great scholar, he was a true patriot, a fighter for justice equipped with civic credo.

აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული

ბერი გიორგი და მეფე გიორგი

ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების. ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო, შეგჳწყალენ“

ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა, საქართველოს ისტორიის სისტემად განხილვის პოზიციებიდან აღგვენიშნა სისტემის წარმომქმნელი რამდენიმე ფაქტორი, რომელთაც ერთი საერთო მნიშვნელი აქვთ – ერთიანი საქართველოს იდეა[1]. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ კიდევ ერთ ახალ, მცირე ქვეყნის ისტორიაში პოლიტიკური დოქტრინის სახით მოქმედ, ფაქტორს, რომლის მოკლედ ფორმულირება ასე შეიძლება: ***„ერთი ძლიერი მტრის კლანჭებიდან თავის დახსნა მეორესთან მისვლის, ე. ი. მოკავშირედ მისი ცნობის, გზით ისე, რომ არ ჩავარდე ამ მტრის, აწ უკვე მოკავშირის, კლანჭებში“.*** ამ დოქტრინის კონკრეტული, უკიდურესი გამოხატულებაა შემდეგი ფორმულა: ***„ორი ძლიერი დაპირისპირებული ძალიდან, რომელთაგან ერთ-ერთს მცირე ქვეყანა მოკავშირედ ირჩევს, გადამწყვეტ ეტაპზე, საბოლოო პერსპექტივის პოზიციიდან, უფრო საშიშია მოკავშირე“.*** ეს, ერთი მხრივ, პარადოქსული, მეორე მხრივ, ძნელად განსახორციელებელი დებულება, ჯერ ერთი, ისევ და ისევ საქართველოს ერთიანობის იდეას ემყარება, მეორეც, ჩვენს ისტორიაში პროდუქტიულ მაგალითებს გვაწვდის. მათ განხილვას ეძღვნება წინამდებარე ნარკვევი, რომლის ცენტრშიც ორი გამორჩეული ფიგურა დგას – გიორგი მერჩულე და მეფე გიორგი პირველი.[2]

* * *

... ქართულ ისტორიოგრაფიაში სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის თემა ტრადიციულად უკავშირდება ძირითადად ორი ფაქტორის – ***აღმოსავლეთის*** (ისლამურის, უფრო ადრე ეტაპზე – მაზდეანურის) და ***ჩრდილოეთის*** (რუსულის) ექსპანსიის – დაძლევას. სხვა სიტყვებით, იმ ძალებში, რომელთა აგრესიისგან თავის დაცვა და რომელთა გეოპოლიტიკური ინტერესების მთლიანი ან ნაწილობრივი ბლოკირება უშუალოდ უკავშირდებოდა ქვეყნისა და სახელმწიფოს გადარჩენის პრობლემას, დანახულია, ძირითადად, ერთი მხრივ, ირანი, არაბეთი, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, სპარსელები, ოსმალები, მეორე მხრივ – რუსეთი. ამ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ექცევა – შეიძლება ითქვას, ზოგ კონკრეტულ შემთხვევაში უგულებელყოფილია –

---

[1] **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული,** სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე. თბილისი, 1996. საქართველოს ისტორიის სისტემად განხილვის მცდელობა გვქონდა 1995-1996 წლებში (იხ.: **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული,** ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების. – გაზეთი "ლიტერატურული საქართველო," 1995, №43, 27 ოქტომბერი – 3 ნოემბერი, გვ. 12; №44, 3-10 ნოემბერი, გვ. 13-14; **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული,** იდეალიზმი და პრაგმატიზმი ქართულ პოლიტიკაში. – გაზეთი "ლიტერატურული საქართველო," 1995, №48, 1-8 დეკემბერი, გვ. 3-4; **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული,** საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა. – გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 1996, №35, 28 თებერვალი, გვ. 2; 1996, №36, 29 თებერვალი, გვ.2; 1996, №39, 6 მარტი, გვ.3; 1996, №42, გვ.3; 1996, №44, 12 მარტი, გვ.3.). ყველა ეს ნაშრომი 2001 წელს ხელახლა გამოქვეყნდა (იხ.: **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული,** ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები. თბილისი, 2001).

[2] ნაშრომი 1997 წელს გამოქვეყნდა. იხ: **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული.** ბერი გიორგი და მეფე გიორგი. თბილისი, 1997. ამჯერად გთავაზობთ ნაშრომის გადამუშავებულ ვარიანტს.

ქართული სახელმწიფოებრიობისათვის უაღრესად საშიში ***დასავლეთის, ანუ რომაულ-ბიზანტიური,*** ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ბიზანტიამ X-XI საუკუნეებში სერიოზული, გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა ერთიანი ქართული სახელმწიფოს, ერთიანი ქართული მონარქიის შექმნასა და გაძლიერებას. შესაძლოა, ეს ისტორიოგრაფიული ტენდენცია თანამედროვე რეალიებითაც არის განპირობებული, კერძოდ, იმით, რომ აღმოსავლეთის (ისლამური) და ჩრდილოეთის (რუსული) ფაქტორები უახლეს ისტორიაშიც და XX საუკუნეშიც მოქმედებენ, ხოლო დასავლეთის (ბიზანტიურმა) ფაქტორმა XII საუკუნიდან ფაქტიურად, ხოლო 1453 წლის შემდეგ ფორმალურადაც შეწყვიტა არსებობა. მაგრამ სწორედ ბიზანტია გვაწვდის ჩვენს წარსულში კლასიკურ მაგალითს იმისა, თუ რა ძნელადგადასალახ პრობლემებს და რა უკიდურეს საფრთხეს უქმნის მცირე ქვეყანას ძლიერი მოკავშირე, რომელიც თავისი საბოლოო პოლიტიკური ზრახვებით კამუფლირებული მოკავშირეა...

ყველა ერი სახელმწიფოებრივ ცხოვრებას იწყებს მოცემულ, კონკრეტულ ტერიტორიაზე ადგილის დამკვიდრებით. ეს ბრძოლაა და იგი უმწვავესი ხასიათისაა, რადგანაც სახელმწიფოს შექმნა ეს არის მოცემულ გეოპოლიტიკურ რეგიონში უპირატესობის მოპოვება, რაც რეალურად არა მარტო სხვა ქვეყნებზე, არამედ სხვა ხალხებზე უპირატესობის მოპოვებას ნიშნავს. ამიტომ ერს, რომელიც აღწევს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის მომწიფებულობას, ***პრაქტიკულად (უმთავრეს შემთხვევაში) ერთი ცდის, ერთი, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი ბრძოლის, უფლება ენიჭება;*** ბრძოლა ამ შემთხვევაში ყოველთვის კონკრეტულად ომს არ უდრის, – ეს არის ბრძოლა პროცესის მნიშვნელობით, როდესაც იგი, პროცესი, მარცხით არ შეიძლება დასრულდეს. თუ ეს გადამწყვეტი ბრძოლა ერმა მოიგო, ე. ი. კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში დაიმკვიდრა ადგილი და უვნებელყო სხვა ხალხების ყოფითი, თუ სხვა ქვეყნების (მათ შორის დიდი ქვეყნების) პოლიტიკური ზრახვები, მაშინ იგი ქმნის სახელმწიფოს უკვე თავისთვის (სახელმწიფოსთვის) განკუთვნილ ტერიტორიაზე და იწყება ამ სახელმწიფოს არსებობის, შენარჩუნების ისტორია. თუ ერი დამარცხდა გადამწყვეტ ბრძოლაში, ე. ი. კონკრეტულ სივრცეში ვერ მოიპოვა უპირატესობა, იგი არა მარტო ვერ ქმნის სახელმწიფოს, არამედ ხშირად ან საერთოდ ქრება დედამიწის ზურგიდან, ან, უკეთეს შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) შემადგენლობაში განაგრძობს ცხოვრებას, აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით, ასიმილაციის მუდმივად თანმდევი საფრთხით და ა. შ. (და იმ შესაბამისი როლით, რომელიც მას ამ შემთხვევაში განეკუთვნება). მეორე შანსი იშვიათად ჩნდება, თუ ჩნდება, უმთავრესად „არაბუნებრივი“ გზით, არა იმანენტური კანონზომიერებების განხორციელების გზით, არამედ გარეშე განვითარების, საგარეო ფაქტორების გარკვეულ დამთხვევათა შედეგად, როდესაც შექმნილი სიტუაცია საბოლოოდ მაინც არამყარია. აქედან გამომდინარე, მთელი შემდგომი პერსპექტივა იმ პირველი შანსის გამოყენებით მთავარ ბრძოლაში წარმატებითაა განპირობებული. ეს წარმატება, შემდგომი წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი (რამაც შეიძლება სახელმწიფოებრიობის ისტორიაში გარკვეული წყვეტილობაც წარმოქმნას), საბოლოო გამარჯვებისა და სტაბილურობის გარანტიას იძლევა.

ქართველებს ამგვარი შანსი ძვ. წ. IV-III საუკუნეებში მიეცათ, როდესაც აუცილებელი გახდა ქართლიდან დამპყრობთა განდევნა. ფარნავაზმა იგი ხელიდან არ გაუშვა – დამპყრობნიც განდევნილ იქნენ და ქართლის (იბერიის) სამეფომაც არსებობა დაიწყო. ეგრისის (კოლხეთის) სამეფოც მას შემდეგ იწყება, რაც, ერთი მხრივ, დასავლეთი საქართველო ბრძოლით დაატოვებინეს კავკასიის მთიანეთიდან მოძალადებულ (ჩამოსახლებელ) ტომებს, მეორე მხრივ, ეფექტურად აღკვეთეს ბერძნების ექსპანსია შავიზღვისპირეთში (შეიძლება, ეგრისელების ბრძოლა სხვა ხალხების თუ დამპყრობლების წინააღმდეგ, ჩვენთვის ცნობილი წყაროების მიხედვით, ისე მკაფიოდ და საგნობრივად არ აღიქმებოდეს, როგორც ფარნავაზისა აზოს წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტი ერთია – კოლხეთის სახელმწიფოც მხოლოდ იმიტომ აღმოცენდა, რომ არ იქნა ხელიდან

გაშვებული ის, ერთხელ შექმნილი, შესაძლებლობა და ბრძოლით იქნა მოპოვებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების უფლება).

ასეთი გზით – ბრძოლით – მოიპოვებოდა სახელმწიფოებრიობა ყოველთვის. ეგვიპტიდან მოსეს მიერ გამოყვანილი ებრაელები სწორედ იმ სივრცეს ეძებდნენ, სადაც გაბატონდებოდნენ და სახელმწიფოს შექმნიდნენ, ხოლო მათ დადევნებული ფარაონის ხალხი სწორედ ბრძოლით ცდილობდა, არ მიეცა მათთვის ამის საშუალება. მხოლოდ იმის წყალობით, რომ ბერძნებს ათქმევინეს მოცემულ რეგიონზე უარი, დაიწყო არსებობა მაკედონიის სახელმწიფომ. რომის იმპერიასთან ჭიდილში მოიპოვეს სახელმწიფოებრივი ცხოვრება გერმანელებმა და ფრანგებმა. იგივე წარმატება უფრო ადრე იმავე მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ვერ მოიპოვა კართაგენმა და მეორე შანსი მას არ მისცემია. კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში ვერ დამკვიდრდნენ ჰუნები, პაჭანიკები, ხაზარები, ყივჩაღები. სამაგიეროდ, IX-X საუკუნეებში ბრძოლების შედეგად შეიქმნა კიევის რუსეთი, ხოლო XIV-XV საუკუნეებში – რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო, ამ უკანასკნელ შემთხვევაში იმის წყალობით, რომ რუსებმა შეძლეს მონღოლებისა და ლიტვა-პოლონეთის განდევნა მოცემული სივრცის საზღვრებიდან. მონღოლებმა სახელმწიფოსათვის აუცილებელი ტერიტორია დაიცვეს ჩინელებთან და სხვა ხალხებთან დავაში. უფრო ადრე, VI-VII საუკუნეებში, არაბებმაც დაამტკიცეს, რომ უკიდურესად რთულ გეოპოლიტიკურ არეალში შეუძლიათ ოპონენტების წინააღმდეგობის დაძლევა და სახელმწიფოს შექმნა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ან არაბებს, ან მონღოლებს კიდევ ერთი მსგავსი შანსი მისცემოდათ...

პირველმა ბრძოლამ და მასში წარმატებამ ის განაპირობა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა რეგიონული, საერთაშორისო კონიუნქტურის მოვლენა შეიქნა. ის ფაქტი, რომ არსებობის რამდენიმესაუკუნოვანი ისტორიის შემდეგ დაიწყო ქართული სახელმწიფოების (იბერია, კოლხეთი) შევიწროება კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში გაბატონების მსურველთა ხელით, პირველ ყოვლისა, იყო აღიარება, ლეგიტიმაცია ამ ძალების მხრიდან, ხოლო მათი მრავალფეროვნება – რომი, ბიზანტია, პართია, სასანიდთა ირანი, არაბები – ქართველ პოლიტიკოსებს ბევრნაირ შესაძლებლობას უქმნიდა. რომაელები კარგად ხედავდნენ, რომ ტრადიციულად უკვე არსებობდა ქართული სახელმწიფოებრივი ფუნქცია, რომელიც ფრანავაზის დროიდან იღებდა სათავეს, და ამ ფუნქციას რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ ქართლი და მისი ლიდერი (კონკრეტულად, არტაგი) შეასრულებდა. არც ვახტანგ გორგასლის უგულებელყოფა შეეძლო ირანის პოლიტიკას. ბიზანტიისა და ირანის დიპლომატია იბრძოდა არა ხელაღებით ეგრისის სამეფოს უარყოფისათვის, არამედ მისი კანონიერი მბრძანებლის – გუბაზის, მიმხრობისათვის. არაბებსაც, მიუხედავად იმისა, რომ მათი უზარმაზარი ლაშქრის წინაშე მარტო, მოკავშირის გარეშე, დარჩენილ ქართლის ერისმთავარს ხედავდნენ, არ შეეძლოთ სტეფანოზის სრული იგნორირება და საჭიროდ ჩათვალეს, მისთვის „დაცვის სიგელი“ გაეცათ. დამპყრობლებს, რომელთაც თავიანთი ეგოისტური მიზნები ამოძრავებდათ, ქართულ ტერიტორიებზე დახვდათ არა ტომები და ნათესაური კავშირის მატარებელი ველური მოსახლეობა, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობა, რომლის „მონელება“ თავისთავად არ იყო იოლი საქმე.

სხვათაშორის, მოგვიანებითაც პრაქტიკულად იგივე მეორდებოდა. ქართული სახელმწიფოებრიობა საბოლოოდ ვერ დაძლიეს ვერც თურქ-სელჩუკებმა, ვერც მონღოლებმა, ვერც სპარსეთმა, ვერც თურქეთმა. დაპყრობილი და დახარკული ქვეყანა, შემდგომ – სამეფოები და სამთავროები, მაინც ქართულ სახელმწიფოებრიობას განასახიერებდა, ხოლო დამარცხებული, მაგრამ არა დამონებული მეფეები (დავით ულუ, დემეტრე მეორე, ბაგრატ მეექვსე, გიორგი მეშვიდე, ლუარსაბ პირველი, სიმონ პირველი, ალექსანდრე მეორე და სხვ.) – მაინც უმაღლეს ხელისუფლებას. ეს, სხვათა შორის, კარგად დაინახეს მონღოლებმა და სამეფო ხელისუფლების იურისდიქციიდან გამოყვეს სამცხე. მხოლოდ ასე, ქართული სახელმწიფოს ორგანიზმიდან მოწყვეტით, შეიძლებოდა რეგიონის განადგურება, მისი მოსახლეობის ასიმილირება. იგივე

პროცესი იყო აჭარაშიც, და თუ სამცხე და აჭარა მაინც გადარჩა, ეს იმიტომ, რომ გადარჩა სახელმწიფოებრიობა ქართლში, კახეთში, იმერეთში...

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ დროს, რომელზეც ვმსჯელობთ. ქართული სახელმწიფოებრიობის „მონელება" არ იყო იოლი საქმე, რადგანაც მისი არსებობა უკვე რამდენიმე საუკუნის ფაქტი იყო. ***ქართველებმა გაიმარჯვეს იმ პირველ, მთავარ ბრძოლაში, რომელიც მათ თავიანთი ისტორიის გარიჟრაჟზე გადაიხადეს.***

* * *

მაგრამ არა საბოლოოდ. რადგანაც არსებობდა ორი სახელმწიფო – დასავლეთქართული და აღმოსავლეთქართული, და არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო. ორმა სახელმწიფომ, ცალ-ცალკე, ვერ დაძლია საბოლოოდ ორი მტრული ფაქტორი – აღმოსავლური (მაზდეანური და ისლამური) და დასავლური (რომაულ-ბიზანტიური). ხანგრძლივი, მწვავე ბრძოლების შემდეგ იბერიის სამეფო ირანის პროვინციად იქცა, რაზეც ფორმალურად ისიც მიუთითებდა, რომ ქვეყანას ჯერ ირანის მოხელე – მარზპანი მართავდა, შემდეგ – ერისმთავარი. არაბების დროს ერისმთავრის ხელისუფლებაც გაუქმდა, ხოლო თბილისის საამირო არაბეთის იმპერიის ტიპურ პროვინციას წარმოადგენდა. მეფობა ეგრისშიც გაუქმდა – ეგრისი ბიზანტიის პროვინცია გახდა. თბილისის გარეთ დარჩენილი ქართლის ტერიტორიაც არაბების პროვინცია იყო, ისევე როგორც ამორფული იყო XVIII საუკუნის ბოლოს აღმოცენებული კახეთის სამთავრო და ჰერეთის სამეფო. ასევე XVIII საუკუნის ბოლოს შექმნილი დასავლეთქართული, აფხაზთა, სამეფოც, მიუხედავად თავისი სახელწოდებისა, ბიზანტიის პროვინცია იყო. არც ჰერეთის, არც აფხაზეთის სამეფო ხელისუფლების არსებობა ვითარებას არ ცვლიდა. ბიზანტიის პროვინცია იყო IX საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბებული ტაო-კლარჯეთის სამთავროც.

სამოქმედო პრინციპი – „ერთი მტრის ხელიდან დასხლტომა მეორესთან მისვლის გზით ისე, რომ მეორის ხელში არ ჩავარდე" – გულისხმობს ორი მტრის, ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ძალის, არსებობას და ძალას კარგავს არა მარტო ერთი მტრის მოსპობის ან უკიდურესი დასუსტების შემთხვევაში, არამედ მაშინაც, თუ ორი მტერი შეთანხმდება და გავლენის სფეროებს გაიყოფს. ეგრისი და ქართლი საბოლოოდ იმან დააკნინა, რომ პირველი ბიზანტიას ერგო, მეორე – ირანს: ეგრისში ირანი დამარცხდა და მთელი თავისი ძალები ქართლში აამოქმედა, ხოლო ირანის თავიდან მოცილების შემდეგ, თავის მხრივ, ბიზანტიამ შეძლო ეგრისის ათვისება (იგივე ხდება ისევ და ისევ მოგვიანებით, როდესაც გავლენის სფეროები გაიყვეს თურქეთმა და ირანმა: ირანის სფეროს წარმოადგენდა აღმოსავლეთი – ქართლის სამეფო, კახეთის სამეფო, ქართლ-კახეთის სამეფო, თურქეთის სფერო დასავლეთი იყო – იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები).

ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის გადახდილი დიდი ბრძოლების – გმირული ეპოპეის – მიუხედავად, სახელმწიფოებრიობის მოსპობა თუ ფაქტი არა, უკვე რეალური საშიშროება იყო. აღმოსავლური სამყაროდან მომართულ განუწყვეტელ სამხედრო ექსპედიციებს, მოსახლეობის განადგურებას და ეკონომიკურ ნგრევას თან ერთვოდა ბიზანტიის მხრიდან კარგად ორგანიზებული პოლიტიკური, იდეოლოგიური აგრესია, რომლის საბოლოო მიზანი იყო ქართული ეროვნული ცნობიერების დათრგუნვა და ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ბერძნული კულტურის, აზროვნების, ენის გაბატონებას ემყარებოდა.

ირანიდან თუ არაბთა სახალიფოდან მომდინარე საფრთხე ადვილად, ფიზიკურად და ხელშესახებად, იყო აღქმული მისი აშკარა ხასიათის, ბრძოლის სპეციფიკური ფორმების, ყოველდღიური შედეგების და ა. შ. გამო. გაცილებით ძნელად აღსაქმელი იყო დასავლური საფრთხე. ბიზანტიელები თანმიმდევრულად (ხშირად – ფარულად) მოქმედებდნენ. მერვე-მეცხრე საუკუნეები უდიდესი განსაცდელის ჟამი იყო: საქართველო (ქართული პოლიტიკური ერთეულები)

შეიძლება საბოლოოდ დამკვიდრებულიყო როგორც სახალიფოს და ბიზანტიის იმპერიის პროვინცია, რაც სრულიად გაურკვეველ პერსპექტივას ქმნიდა.

ამ უკიდურესად რთულ, კრიტიკულ სიტუაციაში ქართულმა პოლიტიკურმა აზრმა ერთადერთი გამოსავალი იპოვა: ქართველი ერის ხსნა გაერთიანებაში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნაში მდგომარეობს. კონკრეტულად, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან მომდინარე გამანადგურებელი საფრთხის თავიდან აცილება.

ორი მტრის წინააღმდეგობაზე აგებული სამოქმედო პრინციპის აქტუალიზება ერთიან სახელმწიფოს შეუძლია, და არა ორ ნაწილს. იმისათვის, რომ ჩვენს სინამდვილეში ამოქმედებულიყო ეს პრინციპი, საჭირო იყო ერთი რამ, მთავარი – ***სტრატეგიაში ერთიანი საქართველოს იდეის ჩადება. ეს იდეა და მისი რეალიზება საერთოდ, გლობალურად, იყო მთავარი და ერთადერთი. მასზე ორიენტირება ქართული პოლიტიკის საბოლოო გამარჯვებას ნიშნავდა, ნიშნავდა საქართველოს ისტორიაში სრულიად ახალ ეტაპს, რომელსაც თავისი ამოცანები ახლდა და თავისი მთავარი ბრძოლა ჰქონდა გადასახდელი. ეს არ იყო ისტორიის მიერ ბოძებული მეორე შანსი – ეს იყო მთავარი ბრძოლა, განკუთვნილი თვისებრივად ახალი ისტორიული ეტაპისათვის; გლობალურად – მთელი ისტორიის კონტექსტში – ეს იყო უმთავრესი ბრძოლა, რომელშიც წარმატება უკვე არა ორი ქართული სახელმწიფოს შენარჩუნების მიზანს ემსახურებოდა, არამედ სრულიად ახალ და დიდ ამოცანას წყვეტდა – საქართველოს, ანუ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნას (უფრო ზუსტად – ხელახლა შექმნას).***

ამ ამოცანის და შესაბამისი სტრატეგიის ფარგლებში უკვე კონკრეტულად და ახალი სახით დგებოდა ორი მტრული ფაქტორის – დასავლურის და აღმოსავლურის – ნეიტრალიზების პრობლემა. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ IX საუკუნისათვის ქართველმა მოღვაწეებმა, პრაქტიკულად უიმედო მდგომარეობაში, პოლიტიკური დოქტრინის სახით შეძლეს იმ სამოქმედო პრინციპის ჩამოყალიბება, რომელზეც ზემოთ იყო მსჯელობა. ამასთან, როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსების გაგებით, ამ დოქტრინას უნდა ემოქმედა არა მარტო ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის (ხელახლა წარმოქმნის) პროცესში, არამედ ერთიანი სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგაც ხანგრძლივ პერიოდში. მეორე მხრივ, მას წარმატება ექნებოდა მხოლოდ – ან ერთიანი საქართველოს შექმნაზე ორიენტირებული კურსის გატარების შემთხვევაში, ან ერთიანი საქართველოს არსებობის პირობებში (ხსენებული პრინციპი, ყოველ შემთხვევაში – მისი ძირითადი ელემენტები, შეიძლება დავინახოთ ადრეც, მაგალითად, V-VI საუკუნეებში ვახტანგ გორგასლის და გუბაზის ლავირებებში, მაგრამ ეს ტაქტიკა განწირული იყო – არა იმ დიდ მეფეთა სუბიექტური შეცდომების გამო, არამედ იმ ობიექტური მოცემულობის გამო, რომ ორი, და არა ერთი, სახელმწიფოს არსებობის პირობებში, თავიდან ვერ იქნებოდა აცილებული ირანის და ბიზანტიის პოლიტიკური გარიგება).

ამრიგად, იწყება ბრძოლა ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, იწყება აღმოსავლური და დასავლური მტრული გარემოცვის არსებობის პირობებში, იწყება კონკრეტული რეალიზება დოქტრინისა: ერთი მტრის კლანჭებიდან თავის დახსნა მეორე მტერთან მისვლის, ე. ი. მოკავშირედ მისი ცნობის, გზით ისე, რომ არ ჩავარდე ამ მტრის, აწ უკვე მოკავშირის, კლანჭებში. ეს რთული პროგრამაა, რადგანაც მის არსში თავიდანვეა ჩადებული ის, რომ, ჯერ ერთი, ორივე მტერი შენზე დიდ ძალას წარმოადგენს, მეორეც, რომ მოკავშირის შერჩევა გულისხმობს დათმობას და ამ ძალის სუზერენობის აღიარებას, მესამეც, ეს ძალა პრინციპულად არ აიღებს ხელს თავის გლობალურ ინტერესებზე, რომელთა ერთ-ერთი ობიექტი შენ ხარ. რაც მთავარია, ყველაფერი ეს თავიდანვეა ცნობილი.

* * *

თუ ცალკეულ პერიოდებს და ცალკეულ ლიდერებს ისტორიის კონტექსტიდან არ ამოვგლეჯთ და დროის გარკვეულ მონაკვეთს განვიხილავთ ერთი პროცესის განვითარების სისტემად, მაშინ ამ დოქტრინის განხორციელების რამდენიმე შემადგენელს, რამდენიმე ეტაპს და რამდენიმე მოქმედ გმირს დავინახავთ.

იწყებს აშოტ დიდი კუროპალატი (გარდაიცვალა 826 წ.). IX საუკუნის დამდეგს ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი არაბებს გამოექცა (ერთი მტრისგან დასხლტომა – თავისი ყველაზე მარტივი გამოხატულებით). აშოტი მიდის კლარჯეთში, და, საბოლოოდ, ტაო-კლარჯეთის მფლობელი ხდება. მაგრამ იგი მიდის ბიზანტიასთან (მეორე მტერთან მისვლა, მასში მოკავშირის ძებნა), რადგანაც ტაო-კლარჯეთი ბიზანტიის გავლენის სფეროა, ფაქტიურად მისი პროვინციაა. არაბებს გამოქცეული აშოტი იღებს კუროპალატის ტიტულს (მოკავშირის სუზერენად აღიარება). რაც მთავარია, აშოტ კუროპალატის გეგმა და მოქმედება წარმატებულია: მან არა მარტო უვნებელყო არაბების დაწოლა, არამედ ბიზანტიის იმპერიის დახმარებით თავისი სამთავროს მძლავრ აღმავლობას მიაღწია. უფრო მეტიც, მან ტაო-კლარჯეთიდან ქართლშიც შეუტია და ალბანიის სანაპირო თემებიც დაიჭირა ქალაქ ბარდავამდე. კიდევ უფრო მეტი: აშოტ კუროპალატი ტაო-კლარჯეთის გარშემო საქართველოს შემოკრების განზრახვას ამჟღავნებს.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ გრიგოლ ხანძთელის (სასულიერო მოღვაწის – ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანია) წასვლაც ტაო-კლარჯეთში, რაც აშოტ კუროპალატის ნაბიჯს წინ უსწრებდა. როგორი დამოუკიდებელი ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო ეს ორი მოვლენა, ისინი საბოლოოდ ერთ პერსპექტივაზე მუშაობდნენ, ყოველ შემთხვევაში ერთიანი შედეგი იქნა მიღებული – ტაო-კლარჯეთის აშკარა პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიურ-კულტურული აღმავლობა.

წარმატებული დასაწყისი ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობას იძლეოდა. აშოტ კუროპალატის მემკვიდრეებმა – ბაგრატ პირველმა კუროპალატმა (826-876), დავით პირველმა კუროპალატმა (876-881), დავით მეორემ (923-937), ბაგრატ პირველმა ქართველთა მეფემ (937-945) და სხვ. არა მარტო შეძლეს ორ მტერს შორის მანევრირების პოლიტიკის (ერთის მოკავშირედ გამოყენების გზით) უნაკლოდ განხორციელება, არამედ ბიზანტიის მეზობლად, მის აღმოსავლეთ საზღვართან, და არაბთა საამიროსგან არც ისე მოშორებით ძლიერი ქართული სამეფოს შექმნა. ეს მტრის მარცხი იყო, მაგრამ, როგორ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, არა მარტო არაბებისა, არამედ ბიზანტიელებისაც. დავით მესამეც (გარდაიცვალა 1001 წ.) კუროპალატი იყო, მაგრამ მისი მეფობის დროს უკვე აშკარა გახდა, რომ ტაო-კლარჯეთი ბიზანტიის პროვინციად აღარ აპირებდა დარჩენას. 979 წელს კი დავით დიდმა კუროპალატმა პირდაპირ იხსნა ბიზანტიის საიმპერატორო კარი ბარდა სკლიაროსის აჯანყებისგან; იმპერატორმა ბასიანის ტერიტორია უბოძა დავითს.

ტაო-კლარჯეთი ფარულად და თანდათანობით პირველად ამბობს უარს დიდი იმპერიის ვასალური ტერიტორიის როლზე. ლოგიკურია ისიც, რომ აქვე იწყებს ჩამოყალიბებას ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეოლოგია. ***მაგრამ მოულოდნელია, რომ ეს იდეოლოგია თავის განმსაზღვრელ პოსტულატებში არავითარ ადგილს არ უძებნის ანტიარაბულ, ანტიისლამურ ელემენტს, – იგი მთლიანად ეფუძნება ანტიბიზანტიურ განწყობას: ერთიანი საქართველოს იდეოლოგიის თეორიული ფორმულა ტრადიციული მოკავშირის, ერთმორწმუნე იმპერიის უარყოფაზე, მისგან მკვეთრ და პრინციპულ გამიჯვნაზეა დამყარებული.*** სხვა სიტყვებით, სტრატეგიული იდეოლოგიის გვერდით ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე ყალიბდება ზემოთ ხსენებული პოლიტიკური დოქტრინის ბოლო გამოხატულება, როგორც სამოქმედო ტაქტიკა, რომელიც, როგორც ითქვა, მოკლედ ასე შეიძლება გამოიხატოს: ***ორი ძლიერი მტრიდან, რომელთა***

შორის ერთ-ერთს მცირე ქვეყანა მოკავშირედ ირჩევს, გადამწყვეტ ეტაპზე, საბოლოო პერსპექტივის პოზიციიდან, უფრო საშიშია მოკავშირე. ერთიანი საქართველოს იდეოლოგია ემყარება მოკავშირის – ძლიერი იმპერიის – მიმართ დაპირისპირების ამოსავალ თეზისს. მართალია, ეს მოკავშირე სახელმწიფო სუზერენია და პატარა ქვეყნის სუვერენიტეტის შემზღუდველი, რომ აღარაფერი ვთქვათ პერსპექტივაზე გაანგარიშებულ ზრახვებზე, რაც ასეთ სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს, მაგრამ საკითხის ამგვარ გადაჭრას მაინც უკიდურესად არაორდინარული ელფერი დაჰკრავს. ჯერ ერთი, მეორე მტრის არსებობის პირობებში, როდესაც ეს მტერი ოკუპანტია, ამგვარი პარადოქსული გადაწყვეტა ძნელად მისაგნებია; მეორეც, იგი ძნელია იდეის გავრცელების თვალსაზრისით; მესამეც, კიდევ უფრო ძნელია განსახორციელებლად.

კიდევ უფრო ძნელია წარმოსადგენად ის, რომ ამ იდეის ავტორად გვევლინება ქრისტიანი მოღვაწე, ეკლესიის მსახური, ბერი – დღეს, ისტორიის გადასახედიდან, თამამად შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართველი მოაზროვნე, გიორგი მერჩულე (X ს.).

* * *

მოხდა ისე, რომ ეს უნიკალური მოღვაწე, თუმცა აღიარებულია აგიოგრაფიული მწერლობის უდიდეს წარმომადგენლად, საბოლოოდ მაინც მეორე დიდი პიროვნების – გრიგოლ ხანძთელის ჩრდილში მოექცა, როგორც ფაქტიურად მისი ბიოგრაფი; ყოველ შემთხვევაში, მისი სახელი ამ უკანასკნელის სახელთან ასოცირდება. პავლე ინგოროყვამ ოდნავ გააფართოვა ჩარჩოები: გიორგი მერჩულეს – პირველ ყოვლისა, როგორც ისტორიისათვის უძვირფასესი წყაროს ავტორს, საერთოდ ქართული კულტურის ისტორიაში მაღალი ადგილი მიანიჭა. მაგრამ, უნდა გავიმეოროთ, ეს არის სრულიად უნიკალური ფიგურა – არა მხოლოდ როგორც სასულიერო ლიტერატურის, მათ შორის პოეზიისაც, არა მხოლოდ როგორც საერთოდ მწერლობის, მათ შორის საისტორიო მწერლობის, წარმომადგენელი, არამედ როგორც ქართული პოლიტიკური აზროვნების განსაკუთრებული მოვლენა. ამიტომ მისი განხილვა ისეთი, თავისთავად დიდი, ფიგურების გვერდით, როგორიცაა, ვთქვათ, იაკობ ცურტაველი ან იოანე საბანისძე, არასრული განხილვა იქნება. ***გიორგი მერჩულის ადგილი საქართველოს ისტორიაში, კერძოდ, პოლიტიკურ ისტორიაში, იქ არის, სადაც გადამწყვეტი მოვლენები და განსაკუთრებული დამსახურების პიროვნებებია აღნუსხული.***

გიორგი მერჩულის განსაკუთრებული დამსახურება ქართველი ერის წინაშე, კერძოდ, იმაში გამოიხატება, ***რომ იგი ავტორია პოლიტიკური ფორმულისა, რომლის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების გარეშე საქართველო, როგორც ასეთი, არ იარსებებდა.*** ახალი საქართველო შესაქმნელი იყო. ახალი საქართველო გიორგი მერჩულემ მის შექმნამდე დაინახა.

ეს ფორმულა თავის იმ ნაწილში, რომელშიც კონკრეტული პოზიციაა გამოხატული და მინიშნებულია უახლოესი პერიოდის სამოქმედო პროგრამაზე, ფაქტიურად არის გამოხატულება ზემოთ ჩამოყალიბებული თეზისისა ორი მტრიდან უფრო საშიშის შესახებ: პოლიტიკური ბრძოლა ეცხადება არა დაუძინებელ, გამარჯვებულ მტერს – არაბებს, არამედ დიდ მოკავშირეს – ბიზანტიას, რომლის გამარჯვების დაშვება არ შეიძლება, რადგანაც სწორედ მისი მხრიდან მომართული საშიშროება (ერთი შეხედვით – ლატენტური) არის მთავარი. ***ეს იყო ფაქტიურად ახალი პოლიტიკური აზროვნების დასაწყისი იმ დროის საქართველოში.*** პოლიტიკური იყო ეს ახალი აზროვნება იმიტომ, რომ ორიენტირებული იყო არა უბრალოდ მტერზე, კერძოდ, სამხედრო მტერზე და სამხედრო გეგმაზე, არამედ პოლიტიკურ მტერზე და მისგან პოლიტიკური გამიჯვნის იდეოლოგიაზე; ახალი იყო ეს პოლიტიკური აზროვნება იმიტომ, რომ იგი პირველად და მთლიანად იყო ორიენტირებული სრულიად ახალ პოლიტიკურ ცნებაზე, რომლის სახელია ერთიანი საქართველო. მაგრამ ცალ-ცალკე არც ეს, არც სხვა ჩამოთვლილი პუნქტები არ

განსაზღვრავენ სრულად ამ ფორმულის არსს – მისი სიდიადე მაშინ ჩანს, როდესაც იგი მთლიანობაში წარმოიდგინება.

კერძოდ:

მან, ამ ფორმულამ, პირველად განსაზღვრა, რა არის საქართველო: ა) განსაზღვრა ქვეყანა და განსაზღვრა ერი, ბ) განსაზღვრა, რომ საქართველო არის ერთიანი საქართველო;

მან განსაზღვრა ამ სახელმწიფოს – ჯერ არაერთიანის, ე. ი. ჯერ არარსებულის (!) – ადგილი იმდროინდელ მსოფლმოწყობაში;

მან განსაზღვრა საქართველოს, ანუ ერთიანი საქართველოს საფუძველი;

მან განსაზღვრა ერის მომავალი, რადგანაც ეს მომავალი მხოლოდ ერთიანი საქართველოა;

მან განსაზღვრა პოლიტიკური ამოცანა – მოცემულ, გადამწყვეტ და ერთადერთ, მომენტში, როგორ უნდა იქნეს მიღწეული საქართველო, ანუ ერთიანი საქართველო;

მან განსაზღვრა მომავლის ერთადერთი პოლიტიკური ამოცანა, რომელიც გამოიხატება არა უბრალოდ ლოზუნგში – „საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება“, არამედ იმაში, რომ ალტერნატივა არასაქართველოა.

რა თქმა უნდა, ამ ფორმულის ჩამოყალიბებას ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი თოთხმეტსაუკუნოვანი ისტორია კვებავდა, ერთიანი საქართველოს იდეა ამ ისტორიის ფარგლებში მიმდინარე შინაგანმა დინამიკამ და კონკრეტულმა ქმედებებმა განაპირობა; რა თქმა უნდა, ეს იდეა ქართული ეროვნული ცნობიერების განვითარებისა და გაძლიერების პროდუქტი იყო; რა თქმა უნდა, ყველაფერ ამისკენ იყო მიმართული მთელი წინამავალი ქართული ისტორია, – რის გამოც ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეა არ გულისხმობდა უბრალოდ ქართული მიწების ერთიანი საზღვრების შიგნით მექანიკური მოქცევის პროცესს; რის გამოცვე შემდგომში ერთიანი სახელმწიფოს შექმნამ განსაზღვრა ერის მთელი მომავალი ისტორია, სამეფო-სამთავროებად დაშლის ეპოქაშიც, რუსეთის მიერ განხორციელებული კოლონიზაციის პერიოდშიც, 1918 წლის 26 მაისის დღესაც, საქართველოს სუვერენიტეტის უკანასკნელი და საბოლოო რესტიტუციის დროსაც... მაგრამ ყველაფერი ეს არაფერს აკლებს გიორგი მერჩულის არც დამსახურებას, არც გენიალობას. პირიქით, ახალი პოლიტიკური აზროვნება ჩამოსაყალიბებელი იყო იდეურად და ეს გიორგი მერჩულემ შეძლო. მან შეძლო გამოეთქვა ის, რაც მთლიანობაში არავის ჰქონდა გამოთქმული. რაც შეეხება თვითონ პოლიტიკურ ფორმულას, ის მართლაც გენიალურია, პირველ ყოვლისა, თავისი ლაკონიურობით, რადგანაც ფაქტიურად ორ წინადადებაში უნივერსალური დეფინიციაცაა მოცემული და უნივერსალური პოლიტიკური დოქტრინაც (და პოლიტიკური ანდერძიც ყველა თაობისთვის).

რაც შეეხება კონკრეტულ წანამძღვრებს ახალი პოლიტიკური აზროვნებისათვის, მათი დანახვა შეიძლება გიორგი მერჩულის უშუალოდ წინა ეპოქაში, ხოლო, თუ მის თანამედროვე და უშუალოდ მომდევნო პერიოდსაც გადავწვდებით, საერთო განწყობილების სურათიც აღდგება.

ერთი მხრივ, როგორც ითქვა, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში კარგად იყო გაცნობიერებული აღმოსავლური სამყაროდან (პართია, ირანი, არაბთა სახალიფო) მუდმივად მომდინარე საფრთხე (ამ მხრივ განუზომელია სასულიერო მწერლობის, პირველ რიგში – იაკობ ცურტაველის და იოანე საბანისძის, დამსახურება). მეორე მხრივ, დასავლეთიდან – ბიზანტიიდან – მომავალი საშიშროების აღქმა ასეთივე სიცხადით არ ხასიათდებოდა, კერძოდ, სასულიერო მწერლობა, გასაგები მიზეზების გამო, ასეთსავე როლს ვერ შეასრულებდა. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ქართველი მოღვაწეები, საქართველოს და ბიზანტიას შორის უმჭიდროესი კულტურული ურთიერთობების არსებობის ფონზე, ვერ ხედავდნენ ორ ქვეყანას შორის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მქონე დაპირისპირების ფაქტს. უფრო მეტიც, ზოგჯერ შეიძლება დავინახოთ შეგნებული იდეოლოგიური დაპირისპირების გამოვლინებებიც. ერთი მხრივ,

მართლმადიდებლურ სამყაროში არსებული სიტუაცია, კერძოდ, ეკლესიის ორგანიზაციის საქმეში, არ ჰგავდა კათოლიკურისას, სადაც ერთი გაბატონებული ენა იყო – ლათინური („გარღვევა" მარტინ ლუთერმა განახორციელა XVI საუკუნეში); მაგრამ იყო მეორე მხარეც: მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქი რეალურად ვერ განაგებდა მთელ მართლმადიდებლურ ეკლესიას და არც ბიზანტია წარმოადგენდა მისთვის საფუძვლიან საყრდენ ძალას, მას მაინც არ შეიძლებოდა ჰქონოდა მისწრაფება, გაებატონებინა აღმოსავლეთის ერებში (კერძოდ, ქართველებსა და სომხებში) ბერძნული ენა, ისევე როგორც არ შეიძლება არ ჰქონოდა ბიზანტიას აგრესიული პოლიტიკა ამ ერების მიმართ. ამ მისწრაფებებს სერიოზულ საფუძველს აცლიდა ის ფაქტი, რომ ქართველებმა ადრევე თარგმნეს ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ხოლო იოანე ზოსიმემ თავის უნიკალურ ჰიმნში ქართული ენა ბერძნულზე მაღლაც დააყენა (არ შეიძლება არ განეწყო სიმპათიით იმ იდეის მიმართ, რომ ამ ჰიმნის ავტორიც გიორგი მერჩულე იყო). ნიკო ბერძენიშვილი: „უეჭველია, ენისათვის ასე დიდი მნიშვნელობის მიცემა დიდი კულტურული ბრძოლისა და ძლიერი კულტურის მაჩვენებელია. ის ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოსვლამდე ჩანს, როცა კულტურულად დაწინაურებულმა იბერიამ ქრისტიანობა მოიწყო (ბიზანტიამ ამის საშუალება არ მისცა ლაზიკას). მან შემდეგაც დაიცვა ის და კიდევ მეტი: შეემეტოქა ბერძნულ ქრისტიანობას (ლაზიკაში) და არა მარტო ბერძნულს, არამედ სომხურს (სომხითში, ტაოში, სპერში, შირაკში), ალბანურს (ჰერეთში). და ენა იყო ის მთავარი მომენტი, რომლის საფუძველზედაც ის კულტურული მოქიშპეობა მიმდინარეობდა... განსაკუთრებით მწვავედ დადგა საკითხი, საფიქრებელია, როცა ქართული ეკლესია ლაზიკას წამოეჭიდა, სადაც დიდი ხანია ბერძნული (ქალკედონიტური) ეკლესია არსებობდა, ძლიერი ბიზანტია არ დააყოვნებდა საჭირო საერთაშორისო მნიშვნელობის არგუმენტაციას ქართული ეკლესიის ხელყოფის საწინააღმდეგოდ. მაგრამ რეალური ვითარება ისეთი იქმნებოდა, რომ ბერძნულ არგუმენტაციას საფუძველი ეცლებოდა: ლაზიკა ეთნიკურად ქართით ივსებოდა, ხოლო პოლიტიკურად ბიზანტიას სცილდებოდა. და ბერძნები ქართულ ენასა სწვდნენ, ქართველებმა ზოსიმეს ჰიმნით უპასუხეს და უფრო გვიან ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებით (ილარიონ ქართველი, გიორგი მთაწმინდელის მოსახსენებელი, ბრძოლა ბერძნებთან, გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონი). ასე ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული სარწმუნოება ქართულ ენასა და ქართულ ფეოდალურ კულტურას შეგუებული"[3].

მაგრამ ყველა შემთხვევაში საჭირო იყო სწორედ პოლიტიკური ფორმულის ჩამოყალიბება. გარდა ამისა, ქართული ენის დამკვიდრება ეკლესიაში და საზოგადოებაში ძირითადად ბერძნულიდან თარგმნილი ლიტერატურის, ბიზანტიურიდან გადმოღებული კულტურის და ფილოსოფიის საფუძველს ემყარებოდა და ყველაფერი ეს, მათ შორის, ბრწყინვალე მთარგმნელობითი სკოლები, საბოლოოდ ბიზანტიური კულტურის უკიდურეს გავლენას ბადებდა. ეპოქა X საუკუნემდე, ეს არის ეპოქა, როდესაც სავსებით რეალური საფრთხე შეექმნა თვითმყოფად ქართულ ცნობიერებას და, შესაბამისად, ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ხსნა, როგორც ითქვა, საქართველოს გაერთიანებაში იყო, ხოლო იდეის დონეზე პრობლემა ასე გამოითქმოდა: ერთიანი საქართველოს შექმნის საქმისათვის რა უფრო საშიში იყო – აღმოსავლური თუ დასავლური ფაქტორი. მიუხედავად მწარე გამოცდილების არსებობისა, რომ ბიზანტია თავის დროზე დაუფარავი დამპყრობლის სახით მოევლინა დასავლეთ საქართველოს, მოკლა იქ მეფე, დააკნინა სახელმწიფოებრიობა, რომ ეგრისშიც და იბერიაშიც ეკლესიის გაბერძნულებისათვის იბრძოდა, რომ ირანის წინააღმდეგ ომში მოკავშირის გარეშე დატოვა ვახტანგ გორგასალი, ხოლო არაბებთან ასევე მარტო დატოვა ერისმთავარი სტეფანოზი, –

[3] **ნიკო ბერძენიშვილი**, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. – **ნიკო ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები. მეორე გამოცემა. თბილისი, 1990. გვ. 415

მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართველ საზოგადოებაში გაკეთებული ბუნებრივი დასკვნა აღმოსავლური ფაქტორის სასიკვდილო საშიშროებას და ბიზანტიის იმპერიის მოკავშირეობას გულისხმობდა. სრულიად გასაგები იყო არგუმენტებიც: ერთი მხრივ, არაბთა სამსაუკუნოვანი ბატონობა, ისლამი, უკანასკნელი გამაოხრებელი ლაშქრობები, ბუღა-თურქი (853 წ.), აბულ-კასიმი (914 წ.) და ა. შ., მეორე მხრივ – ბიზანტიაზე დაყრდნობით ტაო-კლარჯეთის დაცვა, რეგიონის აღმავლობა, რაც მთავარია, კულტურული და რელიგიური ერთობა. აი, ამ ფონზე და ამ ფონისათვის, ერთი შეხედვით, სრულიად შეუფერებლად კეთდება დასკვნა, რომელიც გიორგი მერჩულის ცნობილი ფორმულის ქვეტექსტში შეიძლება ამოვიკითხოთ: ***ახალი საქართველოს, ე. ი. ერთიანი საქართველოს, შექმნას უპირველეს დაბრკოლებას უქმნის ერთმორწმუნე, მოკავშირე ბიზანტია; ერთიანი საქართველოს იდეის რეალიზება მხოლოდ ბიზანტიის იმპერიასთან და მის ინსტიტუტებთან დაპირისპირების საფუძველს უნდა დაემყაროს. კიდევ უფრო მთავარი, რისი ამოკითხვის საშუალებას ქვეტექსტი იძლევა: ეს დაპირისპირება არის გადამწყვეტი ბრძოლა, ის ბრძოლა, რომელიც ერთხელ ეძლევა ქვეყანას სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად,*** რადგანაც გაერთიანებულ საქართველოს ახალი სახელმწიფოებრიობა უნდა შეექმნა.

* * *

რას შეიძლება დაყრდნობოდა ეს იდეა, რომელიც, უნდა ვიგულისხმოთ, კოდირებულია გიორგი მერჩულის გამონათქვამში?

– მდგომარეობის ხსნა მხოლოდ გაერთიანებაშია.

– გაერთიანებული საქართველო თვისებრივად ახალი საქართველოა, რომელსაც ახალი სახელმწიფოებრიობა შეესაბამება; ახალ სახელმწიფოს გადასახდელი აქვს მთავარი ბრძოლა.

– საჭიროა მთავარი ბრძოლის მიმართულების განსაზღვრა.

– ორი დაპირისპირებული ძალიდან მთავარ მტრად დასახულ უნდა იქნას არა ხმლით მოსული მოწინააღმდეგე, რომელსაც უცხო, მიუღებელი სული, კულტურა და სარწმუნოება მოაქვს, არამედ პოლიტიკური მტერი, რომელიც ნაცნობ, შეთვისებულ კულტურასა და აზროვნებაზე დაყრდნობით ლამობს ერის თვითმყოფადი და სუვერენული პოტენციალის დათრგუნვას.

– მოცემულ ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოებრიობის შექმნა გულისხმობს იმ ძალებისგან პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ გამიჯვნას, რომლებიც ამ ტერიტორიაზე წარმატებით მოქმედებენ.

– არაბებისგან ქართველები თავისთავად იყვნენ გამიჯნულები, აქ კომპრომისი არც არსებობდა და წარმოუდგენელიც იყო. წინააღმდეგობა ისლამური სამყაროს მიმართ ყოველთვის იქნებოდა. უფრო მეტიც და უფრო პარადოქსულიც: ეს ბრძოლა, ნებისმიერი მარცხის მიუხედავად, პოლიტიკურად ყოველთვის მოგებული იქნებოდა, სწორედ იმიტომ, რომ საქართველო ამ სამყაროს უკვე პრინციპულად იყო გამიჯნული.

– იმისათვის, რომ შეიქმნას, ახალი საქართველო უნდა გაემიჯნოს ბიზანტიის იმპერიას. მომაკვდინებელ საშიშროებას წარმოადგენს არა ის რეალობა, რომ არსებობს ანექსირებული ქართული მიწები, არამედ ის, რომ არსებობს ქართული მიწები, რომელთა მფლობელებიც ბიზანტიის ვასალები არიან, ხოლო აზრისა და კულტურის მატარებელი საზოგადოება ბერძნულ ეტალონებსაა დამორჩილებული – იმდენად, რომ, მაგალითად, უკუგდებულია ტრადიციული ქართული სალექსო ფორმები და მათ ადგილზე მოქმედებს პირდაპირ კალკირებული (იამბიკო) ან მიბაძვით შექმნილი (ე. წ. ანტიფონური ლექსი) ფორმები. სხვა სიტყვებით: გამიჯვნა სწორედ მოკავშირისაგან უნდა მომხდარიყო, რადგანაც მას, ჩამოყალიბებული ტრადიციების მიხედვით, მყარად ეჭირა საქართველოში ხელსაყრელი, გაბატონებული, პოლიტიკური მდგომარეობა, მასვე

ჰყავდა ქართველი საზოგადოება თავის კულტურულ და ინფორმაციულ სივრცეში ინტეგრირებული.

– რაც მთავარია, სახელმწიფოებრივი გამიჯვნა ახალი საქართველოს – გაერთიანებული საქართველოს – პოზიციებიდან და ინტერესებიდან უნდა მომხდარიყო, ხოლო საქართველოს გაერთიანების – ქართული ტერიტორიების და ქართველი საზოგადოების გაერთიანების – საქმეს რეალურად მხოლოდ ბიზანტიის ფაქტორი ეწინააღმდეგებოდა. თუ ვისმე მიაჩნია, რომ გიორგი მერჩულის დროისათვის და, განსაკუთრებით შემდგომ, XI საუკუნეში, ბიზანტია დასუსტებული იყო და დიდ ზიანს ვერ მიაყენებდა სხვა ქვეყანას, გავახსენებთ XI-XII საუკუნეების ბალკანეთის მოვლენებს, კერძოდ, იმას, თუ როგორ დააკნინა ბიზანტიამ ბულგარეთის სახელმწიფოებრიობა; უფრო მეტიც, ბიზანტიის იმპერიის ფაქტიური არარსებობის პირობებში, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა შეძლო უმძიმესი დაბრკოლებები შეექმნა რუსეთის ეროვნული ეკლესიისათვის – თვით XVI საუკუნის ბოლომდე.

– ამ იდეის დეკლარირება სასწრაფო საქმე იყო, რადგანაც აღმოსავლური (მაზდეანური და ისლამური) სამყაროდან მომდინარე საფრთხე დიდი ხანია აღქმული იყო სრულად – ერთი მხრივ, ვახტანგ გორგასლიდან და გურგენ მეფიდან, მეორე მხრივ, იაკობ ცურტაველიდან და იოანე საბანისძიდან მოყოლებული („... აღვერიენით ერსა, უცხოსა შჯულითა, განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთრო სა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულის-თქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტჱსგან და დამვიწყებელნი საუკუნოჲსა ცხორებისანი“[4]). საწინააღმდეგოდ ამისა, ბიზანტია იმიტომაც იყო საშიში მოწინააღმდეგე, რომ დასავლური საფრთხე არც პოლიტიკოსებს ჰქონდათ განცხადებული, არც, მით უმეტეს, მწერლობას – სასულიერო მწერლობას, რადგანაც არ იყო გამორიცხული ამგვარი განცხადების გაიგივება აუდიტორიის მხრიდან ანტიქრისტიანულ გამოვლინებასთან. საბოლოოდ, არსებობდა დიდი ალბათობა ამ საფრთხის სრულად არდანახვისა და მთავარი ბრძოლის ან არგადახდის, ან გადავადებისა, რაც ერთნაირად საშიში იყო.

– ამ იდეის დეკლარირება რთული საქმე იყო, რადგანაც, მთელი წინამავალი ისტორიის მიხედვით, სამშობლოსთვის ბრძოლა მაზდეანური და ისლამური ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლას უდრიდა; სხვა სიტყვებით: სამშობლოსთვის ბრძოლის იდეოლოგია უშუალოდ იყო გადაჯაჭვული ქრისტიანობისთვის ბრძოლის იდეოლოგიასთან, რომელიც თავის მოწამეთა გმირობის მაგალითზე კვებავდა საზოგადოებას (შუშანიკი, ევსტათი მცხეთელი, აბო თბილელი, კონსტანტი კახი, დავითი და კონსტანტინე და სხვ.).

– ამ იდეის დეკლარირება რადიკალურ ფორმასაც მოითხოვდა – სწორედ მკრეხელობაში დადანაშაულების კომპლექსის მოხსნას და გამიჯვნის სფეროში ეკლესიის მოქცევას, უფრო მეტიც – მასში წინააღმდეგობის მთავარი მიმართულების დანახვას, რადგანაც სწორედ ეკლესია, ბერძნულ ნიადაგზე მოწყობილი, იქნებოდა ქართველობის დათრგუნვის მძლავრი იარაღი.

– უახლოესი და კონკრეტული პერსპექტივის პოზიციებიდან, სრულიად რეალური იყო ხალიფატის დასუსტება და ბიზანტიის პოზიციების განმტკიცება აფხაზთა სამეფოში და ტაო-კლარჯეთში, რაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბიზანტია ვერ განავითარებდა წარმატებებს და ვერ გადააქცევდა თავის პროვინციად ქართლს, კახეთსა და ჰერეთს, მაინც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა საქართველოს გაერთიანების საქმეს.

– დაბოლოს, სახელმწიფოებრივი გამიჯვნისა და ახალი სახელმწიფოს მარკირებისათვის საჭირო იყო პრინციპული თეორიული კრიტერიუმების ფორმულირება.

---

[4] **იოანე საბანის-ძე**, მარტვილობაჲ ჰაბოჲსი. – ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია. ს. ყუბანეიშვილის გამოცემა. ტომი I. თბილისი, 1946, გვ. 70.

ეს ყველაფერი ამოსაკითხია გიორგი მერჩულის ლაპიდარულ გამონათქვამში, რომელიც დღეს, საბედნიეროდ, ქართული სკოლების ყველა მოსწავლემ იცის, მაგრამ, საუბედუროდ, ყველა ჩვენგანს არ აქვს პრაქტიკულად და სამოქმედოდ აღქმული:

„ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების. ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო, შეგჳწყალენ“[5].

ეს ორი ტევადი წინადადება უშუალოდ ამზადებდა ახალი შინაარსის ორ ტერმინს: „ქართ-ვ-ელ-ი“ და „სა-ქართველ-ო“.

საქართველო ემიჯნებოდა დანარჩენ სამყაროს და ამ გზით იქმნებოდა ახალი სახელმწიფო. კონკრეტულად, ზღვარი გაივლებოდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის. ეს ზღვარი ოსტატურად იყო გავლებული: გიორგი მერჩულემ შეძლო, შეექმნა ანტიბიზანტიური, მაგრამ არა ანტიქრისტიანული იდეოლოგია.

საქართველოს საქართველოდ მარკირებისთვის მთავარ ნიშნად რელიგიური საზღვარი არ გამოდგებოდა. ეთნიკური ნიშანი, ერთი მხრივ, ბუნებრივი იყო და ხაზგასმას არ საჭიროებდა. მეორე მხრივ, თვითონ მოითხოვდა ფორმალურ განსაზღვრას. ***გიორგი მერჩულე მკვეთრ ნიშანს ირჩევს – ლინგვისტურს, რომელიც სრული სიცხადით განსაზღვრავდა, სად მთავრდებოდა დანარჩენი სამყარო, კერძოდ, ბიზანტია, და სად იწყებოდა საქართველო*** (ერთიანი საქართველო და არა ქართული მიწები და პოლიტიკური ერთეულები). საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ვრცელდება ქართული ენა. ეს ამოსავალი პოსტულატი არა უბრალოდ ზღვარს უდებდა იმპერიის პროვინციად საქართველოს გადაქცევის პროცესს (ქვეყანა, სადაც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, არ შეიძლება იყოს ბიზანტია, – იგი საქართველოა), არამედ მისგან გამომდინარეობდა ეთნიკური და პოლიტიკური დეფინიციაც: ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ქართველებია, ამ ხალხით დასახლებული ტერიტორია არის ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომლის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საზღვარი იქ მთავრდება, სადაც აღარ ლაპარაკობენ ქართულად.

ამგვარად განისაზღვრა ქართული სამყაროს ლინგვისტური, ეთნიკური და პოლიტიკური ჩარჩოები, ხოლო მათზე დაყრდნობით ამგვარად მოიხაზა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ქართული სახელმწიფოებრიობის ახალი, ჯერ კიდევ შესაქმნელი, თვისებრიობა – საქართველო.

მთავარ მადიფერენციალებელ ნიშანს, როგორც ითქვა, ამ ფორმულაში ***ლინგვისტური ფაქტორი (ენა)*** ქმნის: ერი და სახელმწიფო მეორე ერისა და სახელმწიფოსაგან ენით განირჩევა. ყველა სხვა ნიშანი ამ ფაქტორს ეყრდნობა. ენის შემდეგ განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულია ***გეოგრაფიული ფაქტორი (ტერიტორია):*** ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობს (იქ აშენებს თავის სახელმწიფოებრიობას). მესამე ნიშანს ქმნის ***რელიგიური ერთობა:*** მოცემულ ქვეყანაში ხალხი საკუთარ, ერთსა და იმავე, ენაზე ლოცულობს. დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ ერის ცნების განსაზღვრისას პირველი ორი ფაქტორი მსოფლიო აზრმა ვერ უარყო (ათი საუკუნის შემდეგ, 1913 წელს, ი. ჯუღაშვილი ასე განსაზღვრავდა ერს: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“[6]).

* * *

... „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 950 წელს დაიწერა. 1014 წელს ტახტზე ავიდა გიორგი პირველი, მეფე, რომელმაც პირველმა არ ისურვა კუროპალატობა.

---

[5] **გიორგი მერჩულე**, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. – ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია. ს. ყუბანეიშვილის გამოცემა. ტომი I. თბილისი, 1946, გვ. 132.

[6] **ი.სტალინი**, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. – **ი. სტალინი**. თხზულებანი. ტომი 2. თბილისი, 1947, გვ. 319

იქამდე პოლიტიკური განვითარების დინამიკა კულმინაციას აღწევს დავით მესამე კუროპალატისა და ბაგრატ მესამე კუროპალატის ეპოქებში. ფაქტიურად ბაგრატ მესამის დროიდან იწყებს დამკვიდრებას მსოფლიოს რუკაზე ახალი სახელმწიფო, რომლის მეფე იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“.

მიუხედავად ამისა, ერთი მხრივ, პარადოქსულად, მეორე მხრივ, ლოგიკურად, თუ გავიხსენებთ გიორგი მერჩულის ფორმულის არსს, – საქართველოს ბიზანტიის პროვინციად გადაქცევის საშიშროება არ მოხსნილა. პირიქით, ბიზანტია, უფრო და უფრო, საქმით ამჟღავნებდა თავის პოლიტიკურ ზრახვებს. გარკვეული, შეიძლება ითქვას, გასაგები, მიზეზების გამო არც დავითი, არც ბაგრატი არ ცდილან განეხორციელებინათ ანტიბიზანტიური პოლიტიკური კურსი. შეიძლება ითქვას ასეც – თავს იკავებდნენ. ყოველ შემთხვევაში, საამისო არგუმენტები აშკარა იყო: პირველი – არაბთა სახალიფოს დაშლის მიუხედავად, ისლამური საფრთხე არ განელებულა (რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თბილისშიც კი ამირა იჯდა), ამ საფრთხის განხორციელების შემთხვევაში ანტიბიზანტიური კურსი წამგებიანი ჩანდა; მეორე – ის, რაც შედარებით ადვილი განსახორციელებელი იყო აზროვნების სფეროში, ადვილი გადასატანი არ იყო რეალურ ცხოვრებაში, სადაც ბიზანტია ერთმორწმუნე და ერთკულტურისან მოკავშირეს განასახიერებდა.

მაგრამ რეალობა იყო ისიც, რომ დრო ქართველთა სასარგებლოდ აღარ ითამაშებდა. დავით კუროპალატი სხვებთან შედარებით თითქოს უფრო უკეთეს მდგომარეობაში მოექცა ბარდა სკლიაროსის აჯანყების შემდეგ – მისი ურთიერთობა საიმპერატორო კართან განსაკუთრებული ხასიათისა გახდა, რისი პრაქტიკული გამოხატულებაც იყო ბიზანტიის მხრივ ისეთი მნიშვნელოვანი ტერიტორიის დათმობა, როგორიც ბასიანია. მაგრამ დავითის გარდაცვალებისთანავე, 1001 წელს, იმპერატორმა ბასილიმ ბაგრატს ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ტერიტორია წაართვა, რაც მთავარია, ბაგრატ მეფე იძულებული იყო, დაეთმო: საქართველოს გაერთიანების საქმე ჯერ არ იყო დასრულებული, ხოლო ბიზანტია აშკარად ეწინააღმდეგებოდა ამ პროცესს და სერიოზული პრობლემების შექმნა შეეძლო. ის, რომ ბაგრატიც და დავითიც კუროპალატის ტიტულს ატარებდნენ, ერთი მხრივ, ნიშნავდა იმას, რომ ისინი აღიარებდნენ ბიზანტიის უზენაესობას, მეორე მხრივ, იმას, რომ ქართველ ლიდერებს ანტიბიზანტიური იდეოლოგია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში არ აჰყავდათ. ***ამის გვერდით, მოვლენათა განვითარება აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ ანტიბიზანტიური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაც და რეალიზებაც უკვე გადაუდებელი საქმე იყო. გადამწყვეტი მომენტი დგებოდა და გადამწყვეტი – ის ერთადერთი – ბრძოლაც გამოსაცხადებელი იყო,*** წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმავალი დინამიკა შეიძლებოდა საწინააღმდეგოთი შეცვლილიყო, დაწყებულიყო უკუსვლა – იმპერიის წიაღში საბოლოო დაბრუნება მისი პოლიტიკური და კულტურული დანამატის, პროვინციის, სახით, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით ერისა და სახელმწიფოსათვის.

ეს დიდი ისტორიული მისია გიორგი პირველმა (1014-1027) აღასრულა.

გიორგი მერჩულის მსგავსად, გიორგი პირველიც დღემდე ერთგვარად ჩრდილში მოქცეული მოღვაწეა. კონსტანტინე გამსახურდიას ტალანტმა ბრწყინვალედ დაინახა შეურიგებელი ხასიათის ლიდერი, თავისი შინაგანი მრწამსით მაქსიმალისტი მეფე, ფანტასტიკური პატრიოტიზმის პიროვნება, რომელიც ვერ იტანდა საქართველოში ყველაფერს არაქართულს, მათ შორის, ბიზანტიურს. ისტორიოგრაფიის მიერ გასაკეთებელი იყო მთავარი: ისტორიის, როგორც სისტემის, პოზიციებიდან, გიორგის ადგილის – მისი ფუნქციისა და მისიის, – საბოლოოდ, მისი დიდი დამსახურების განსაზღვრა...

გიორგი პირველი მაინც იმ მშრალი დახასიათებით დარჩა, რაც „ქართლის ცხოვრებაშია“ წარმოდგენილი („მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა): „მეორმოცდათორმეტე

მეფე, გიორგი, ძე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ბაგრატოანი", „სავსე ყოველთა განგებითა სა ელმწიფოებითა".

გიორგი პირველის როლი ქართველი ერის ისტორიაში წარმოუდგენლად დიდია. მისი განსაზღვრა არ შეიძლება მხოლოდ ისეთი მორიგე ფრაზებით, როგორიცაა, ვთქვათ, „ეროვნული ცნობიერების გაძლიერება", ან „სახელმწიფოს განმტკიცება". ***გიორგი პირველმა იკისრა ის მისია, რომლის განხორციელების გარეშე ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობა – ახალი საქართველო – შეიძლებოდა განუხორციელებელ იდეად დარჩენილიყო. გიორგი პირველმა განსაზღვრა გადამწყვეტი მომენტი, როდესაც დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, არ დააყოვნა, გადამწყვეტი – ის ერთადერთი – ბრძოლა გამოაცხადა, და, ერთი მხრივ, დაუპირისპირდა იმპერიას, რომელსაც არ უნდოდა სერიოზულად აღექვა ახალი სახელმწიფო, მეორე მხრივ, გამოაფხიზლა ქართველი საზოგადოება, რომელიც არ ჩქარობდა სუზერენისგან არც რეალურ პოლიტიკურ, არც, მით უმეტეს, კულტურულ-იდეოლოგიურ გამიჯვნას.***

ეს შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილება იყო. გიორგის მომდევნოდ ბიზანტიელების აგრესიული განწყობილებები სრული ფრონტით რეალიზდებოდა. ასე მაგალითად, სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის ავტონომიაზეც მიიტანა იერიში – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, მისი რომელიმე საპატრიარქოსთვის (ანტიოქია, კონსტანტინეპოლი) დაქვემდებარება იძლეოდა საშუალებას დამოუკიდებელი საქართველოს საშინაო საქმეებში აქტიური ჩარევისა. ასეთი ცდა 1057 წელს განახორციელეს შავი მთის ბიზანტიელმა ბერებმა, როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი დასვეს; მაშინ გიორგი მთაწმინდელმა შეძლო, ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ყოველმხრივ დაესაბუთებინა ამ იდეის აბსურდულობა, მაგრამ თვით ფაქტი მრავლისმეტყველია. ამავე კონტექსტში შეიძლება სხვა მაგალითებიც გავიხსენოთ. ბიზანტიის სამღვდელოებას აშკარად აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ მცირე აზიისა და საბერძნეთის ქართულ კულტურულ-რელიგიურ ცენტრებში ქართული სული სუფევდა. ამიტომ გამუდმებით ცდილობდა ამ ცენტრებიდან (მონასტრებიდან) ქართველების განდევნას. ასეთი კოლიზიების ანარეკლი ცხადად ჩანს პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში (1083 წ.), რომლის ავტორი, მონასტრის დამაარსებელი გრიგოლ ბაკურიანის ძე კატეგორიულად მოითხოვდა, მონასტერში გამონაკლისის სახით მიეღოთ ხოლმე ერთი ბერძენი ბერი, ისიც მწერლად, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბერძნებს შეეძლოთ მონასტერი წაერთმიათ ქართველებისთვის, თავისად გადაექციათ: „კუალად ვამცნებ ამასცა და შჯულ-დებით დავამტკიცებ, რაჲთა არაოდეს იყოს მონასტერსა შინა ჩემსა მკჳდრობით ბერძენი ხუცესი ანუ მონაზონი, თჳნიერ ერთისა ხოლო მონაზუნისა, რომელმან ჴელით წერილი იცოდის და მწიგნობრობასა იქმოდის და თავადსა თანა მიივლინებოდის წინამძღურისაგან და მონასტრისა საქმეთა იურვოდის. ხოლო ამას ამისთჳს განვაწესებ ესრეთ დამტკიცებით, რომელ ვითა არიან ბუნებით მძლავრნი და ანგაჰარნი და ხელოვანნი, მეშინის, თუ ნუთუ სავნებელი და დასაკლებელი რაჲმე შეამთხჳონ მონასტერსა, ანუ თუ წინა-აღდგომცა ადგილისა იქმნენ და სრულიად უფლებად მისა ეცადნენ მამასახლისობად ჴელ-ყოფითა, ანუ სხჳსა რა სმე მიზეზისა სახითა, და თავისდა შექმნად ინებონ მონასტრისა, რომელი-ესე მრავალ გზის გჳხილავს მათგან ქმნილად ჩუენისა ნათესავისა უმანკოებისა და გულ-მარტიობისაგან. თუ არა, ნებითა ღმრთისაჲთა, ჭეშმარიტისა მართლმადიდებლობისა მათისა მიმდგომნი ვართ და აღმსაარებელნი და მოწაფენი მათნი"[7].

გიორგის მემკვიდრის – ბაგრატ მეოთხის (1027-1072) დროს ბიზანტიის იმპერიული გეგმები მთელი სიცხადით გამომჟღავნდა. ბიზანტიამ ტერიტორიის მიტაცება აღარ იკმარა და ქვეყნის შიგნით სეპარატიზმის დანერგვას მოჰკიდა ხელი, რითაც საქართველოში

[7] **აკაკი შანიძე**. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი. – **აკაკი შანიძე**. თხზულებანი. ტომი IX. თბილისი, 1986, გვ. 103.

დესტაბილიზაციის მთავარ ფაქტორად გადაიქცა. რაც შეეხება თვითონ საქართველოს, ბაგრატ მეოთხე ისევ კუროპალატი იყო, ხოლო გიორგი მეორე თანახმა იყო სევასტოსობაზეც. მეორე მხრივ, ეპისკოპოს საბა მტბევარის (ისევ სასულიერო პირი!) შეურიგებელი ბრძოლა ბიზანტიასთან უკვე იმის მაჩვენებელი იყო, რომ იმპერიას წინ აღუდგა მტკიცე ეროვნული ცნობიერების ერი, რომ ბიზანტიას აღარ ჰქონდა საქმე თავის განაპირა მხარესთან. ბრძოლა საქართველოსთვის მოგებული იყო, მიუხედავად სამხედრო მარცხისა თუ ტერიტორიული დანაკარგებისა.

იმპერია, სუსტი თუ ძლიერი, ქრისტიანული თუ ისლამური, მცირერიცხოვანი ერების, პატარა სახელმწიფოების მტერია, სულ ერთია მოკავშირეა იგი თუ მოწინააღმდეგე. მას არ სურს, დაუშვას პატარა სახელმწიფოს რეალური სუვერენიტეტი, იგი ყოველთვის მზადაა, შთანთქას ეს სახელმწიფო. პატარა სახელმწიფოს, მცირერიცხოვანი ერის, რეალური არსებობა დიდ იმპერიასთან განუწყვეტელი, ფარული თუ აშკარა, სამხედრო თუ კულტურულ-იდეოლოგიური წინააღმდეგობაა. ეს პროცესია და მისი შეწყვეტა პატარა ქვეყნის არსებობის ფაქტიური შეწყვეტაა. დიდ იმპერიასთან ბრძოლა კონკრეტული (მათ შორის – სამხედრო) მარცხიანი შედეგების მომტანიცაა, მაგრამ იგი პატარა ქვეყნისათვის ჰაერივითაა საჭირო.

მცირერიცხოვანი ერი ყოველთვის უნდა ფხიზლობდეს, კონკრეტულად, მას არ უნდა გამორჩეს მომენტი, რომლის იქით მისი ფაქტიური მოსპობა იწყება. მცირერიცხოვანი ერი ყოველთვის უნდა ავლებდეს ზღვარს – ხაზგასმულს – ქართულსა და ბიზანტიურს, ქართულსა და თურქულს, ქართულსა და რუსულს, ქართულსა და ფრანგულს შორის. ეს არის მისი არსებობის განმსაზღვრელი წესი.

გიორგი პირველს ეს კარგად ესმოდა. გიორგი მერჩულის მიერ ჩამოყალიბებული ანტიბიზანტიური იდეოლოგია მან სახელმწიფო პოლიტიკად აქცია იმ დროს, როდესაც ეს საჭირო იყო. ან ომი ბიზანტიასთან, ან საქართველოს დარჩენა პროვინციად – ასე იდგა საკითხი. გიორგი პირველმა ეს დაინახა. მან ომი აირჩია.

გიორგი პირველის ცდა, მიტაცებული ტერიტორია წაერთმია ბიზანტიის იმპერიისაგან, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უპერსპექტივო იყო, რაც შემდეგში დაამტკიცა კიდეც 1023 წლის მარცხიანმა ზავმა. მაგრამ ეს მარცხი არ ნიშნავდა დამარცხებას, ეს იყო დიდი გამარჯვების მომზადება. ***გიორგის ქმედებაში მთავარი იყო ახალი პოლიტიკური კურსის განხორციელება და ახალი პოლიტიკური აზროვნებისთვის რეალური დასაწყისის შექმნა. ეს მართლაც ახალი და მართლაც პოლიტიკური აზროვნება იყო, რადგანაც მისი მიზანი მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნებას არ გულისხმობდა. მიზანი გაცილებით მასშტაბური იყო და გლობალურ ამოცანებზე გათვლილი: ერთიანი ქართული ეროვნული, სახელმწიფოებრივი ცნობიერების სამუდამოდ ჩამოყალიბება, რის ბაზაზეც წყდებოდა კონკრეტული ამოცანა – საქართველოს გადარჩენა და საბოლოოდ შექმნა ახალი თვისებრიობის სახით, სულ ერთია, ბასიანით თუ უბასიანოდ, მაგრამ ყველა შემთხვევაში – უბიზანტიოდ.*** მთავარი იყო სრული, რეალური და საბოლოო დამოუკიდებლობის გზაზე დადგომა, ამისათვის მხოლოდ დეკლარაციული ფორმა არ კმაროდა, საჭირო იყო არა წაყრუება, არამედ დემონსტრატიული რისკიანი მოქმედება, რომელიც ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებდა. საჭირო იყო ომი.

ამ მასშტაბური მიზნის ფონზე მეორეხარისხოვნად ჩანს ის მნიშვნელოვანი კონკრეტული ამოცანა, რომელიც გიორგი პირველმა აგრეთვე შეასრულა, – ერთმორწმუნე მოკავშირის, იმპერიის, ნამდვილი ბუნების გამოაშკარავება და მისგან მომდინარე რეალური საფრთხის განსაზღვრა.

გიორგი პირველის ომი მასშტაბური ხასიათისა და გლობალური მიზნისა რომ არ ყოფილიყო, გიორგის რომ უბრალოდ სამეფოს ტერიტორიული ზრდა ჰქონოდა ზრუნვის საგნად, ის ჯარს ბასიანში კი არ შეიყვანდა, არამედ გაურჩებულ კახეთსა და ჰერეთს დაიმორჩილებდა. მაგრამ სწორედ მაშინ იქნებოდა კნინი ამოცანა: ***ომი კახეთის ან ჰერეთის კვლავ***

შემოერთებისათვის იქნებოდა ომი ტერიტორიისათვის, ომი საკუთარი პროვინციისათვის; ომი ბასიანისათვის იყო ომი ბიზანტიასთან საქართველოსათვის.

გიორგი ისტორიულ ამოცანას წყვეტდა...

* * *

დღეს, ისტორიის გადასახედიდან, ცხადად მოჩანს ორი კოლოსალური ფიგურა. გიორგი მერჩულე – მოაზროვნე, რომელმაც ფაქტიურად პირველმა ჩამოაყალიბა საქართველოსა და ქართველობისათვის ბრძოლის იდეოლოგია. გიორგი პირველი – მეფე-პოლიტიკოსი, რომელმაც საქართველოსა და ქართველობისათვის ბრძოლის იდეოლოგია სახელმწიფო პოლიტიკად აქცია და თავი შესწირა მის განხორციელებას.

იაკობ ცურტაველმა და იოანე საბანისძემ აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხე ბრწყინვალედ გააცნობიერეს უკვე მომხდარი ტრაგედიის (ირანისა და არაბთა სახალიფოს მიერ განხორციელებული ექსპანსიის) შემდეგ (და კონკრეტულად შუშანიკისა და აბოს პირადი დრამის ფონზე); გიორგი მერჩულემ გადამწყვეტი საფრთხე, დასავლეთიდან მომართული, შესაძლო ტრაგედიამდე შენიშნა და განაზოგადა. ვახტანგ გორგასალმა და ნერსე ერისმთავარმა თავგანწირული ბრძოლა გაუმართეს შეუნიღბავ მტრებს – ირანელებს და არაბებს; გიორგი პირველმა ერთმორწმუნე მოკავშირეში დაინახა მოსალოდნელი საფრთხე და წინ გადაუდგა ქართული სახელმწიფოებრიობის დათრგუნვას...

... ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ ექვსი-შვიდი საუკუნის შემდეგ გამოცდა მოუწყო მძლავრ დაპირისპირებულ ძალებთან მცირე ქვეყნის დამოუკიდებლობის იმ პოლიტიკურ დოქტრინას, რომლის ორ გამოხატულებაზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ეს გამოცდა გიორგი მერჩულის და გიორგი მეფის გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სრული დამარცხებით. საქართველო, ქართულ სამთავროებად დაშლილი (ეს გამოცდა ისტორიამ უფრო ადრე მოაწყო), კვლავ იმ, ტიპურ, სიტუაციაში იყო, როდესაც ორი დიდი სამყარო შეეჯახა ერთმანეთს მის ტერიტორიაზე. მაშინ ქართველებმა მხოლოდ ისლამური სამყაროდან (ოსმალეთი, ირანი) ტრადიციულად მომართული საშიშროება გაითვალისწინეს და მთელი სისრულით ვერ შეაფასეს ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან, წამოსული ძალა. მაშინ ქართველებმა დაივიწყეს საკუთარი ისტორია და ვერ გაიხსენეს ტიპოლოგიურად ისეთივე სიტუაცია, რომელიც ადრე, ექვსი-შვიდი საუკუნის წინ, ჰქონდათ. შედეგი სავალალო იყო, რადგანაც ქართველებმა ისტორიული გამოცდილების საწინააღმდეგოდ იმოქმედეს: ***ორ დაპირისპირებულ ძალას შორის ერთს გაექცნენ, მაგრამ მეორესთან, მოკავშირედ არჩეულთან, ისე მჭიდროდ მივიდნენ, რომ მის კლანჭებში აღმოჩნდნენ; ქართველებმა ვერ დაინახეს, რომ გადამწყვეტი საფრთხე ერთმორწმუნე მოკავშირის მხრიდან მოდიოდა...*** რა თქმა უნდა, კატასტროფას ბევრი სხვა მიზეზიც კვებავდა, მაგრამ ფაქტი ერთია: ქართველებმა ვერც ბალანსირების პოლიტიკის გატარება შეძლეს, ვერც მოკავშირის მხრიდან თამაშის ელემენტარული ნორმების დარღვევა აღკვეთეს, ვერც ის აიცდინეს, რომ საბოლოოდ სწორედ მოკავშირეს – დიდ იმპერიას – პრაქტიკულად უმტკივნეულოდ გადაეყლაპა ქართული სახელმწიფოებრიობა (ძალიან ძნელია, გაუძლო ცდუნებას და არ დაამატო: მაშინ ქართველებს გიორგი მერჩულის და გიორგი პირველის დარი მოაზროვნეები და პოლიტიკოსები არ ჰყავდათ)...

მაგრამ ვერც ამ კატასტროფამ შეძლო, დაესრულებინა საქართველოს ისტორია: ქვეყანა გაქრა რუკიდან, მაგრამ დარჩა დამპყრობლისგან გამიჯვნის მუდმივი სურვილი – ენისა და ტერიტორიის ერთიანობის საფუძველზე საქართველოს მთლიანობის იდეა, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული იმ დიდ ეპოქაში, რომელზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ამ იდეის ჩამოყალიბება და რეალიზება იყო ის მთავარი, გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც წარმატებამ მთელი მომავალი განაპირობა. რადგანაც საქართველოს ისტორია ორ დიდ ეპოქად იყოფა.

პირველი უძველესი დროიდან IX საუკუნემდე გრძელდება. ეს არის ეპოქა ახალი ერთიანი საქართველოს იდეოლოგიის შექმნამდე, პერიოდი, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის დაკნინებით, სხვათა პროვინციებად გადაქცევით დასრულდა (თუ ქართული სახელმწიფოებრიობა რაღაც ფორმით ჯერ კიდევ მაინც განაგრძობდა არსებობას, ეს წინამავალი დიდი ისტორიის დამსახურება იყო, რომელშიც ბოლოს გმირული ფურცლები გუბაზ მეფემ და ვახტანგ გორგასალმა ჩაწერეს). მეორე პერიოდი ერთიანი საქართველოსთვის ბრძოლით იწყება IX-X საუკუნეებში და არ სრულდება არც XV საუკუნის მეორე ნახევრით, როდესაც დაიშალა ერთიანი სახელმწიფო და არც IX საუკუნის დამდეგით, როდესაც განხორციელდა ქვეყნის კოლონიზაცია. ***ერთიანი საქართველოს იდეა არასოდეს ჩამქრალა, ქართველობისა და საქართველოს გადარჩენის კონკრეტულ ამოცანად ქცეულმა, მან მაინც გაიმარჯვა XX საუკუნეში...***

გიორგი მერჩულის და გიორგი პირველის ფენომენი – ასეთი ფენომენი არსებობს საქართველოს ისტორიაში – ქართული სახელმწიფოებრიობის, ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის, შექმნისას თუ აღდგენისას, მშენებლობისას თუ განმტკიცებისას ყოველთვისაა გასათვალისწინებელი. გასათვალისწინებელია იგი დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში და მის გარეთ ბევრი რამაა შეცვლილი (ეს, როგორც ბევრი რამ სხვა, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ დაინახა: „ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მისვლამ ლაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა ... კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისვლას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიან მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისას“). დღეს ჩვენ ყველამ, ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმამდე, სახელმწიფოს ეროვნული კონცეფციის განსაზღვრისას, თუ ქვეყნის მოწყობის მოდელის არჩევისას უნდა ვჩხრიკოთ არა მხოლოდ მსოფლიო პოლიტოლოგიაში ცნობილი სქემები, არამედ, პირველ რიგში, საკუთარი, ერთადერთი, გამოცდილება უნდა გავითვალისწინოთ, – საკუთარი გამოცდილება საკუთარი პოლიტიკური კონცეფციაა, რომელიც საკუთარმა პოლიტიკურმა აზროვნებამ და საკუთარმა პოლიტოლოგიამ გამოიმუშავა ათი საუკუნის წინ. ჩვენ ეს აზროვნება უნდა ვთარგმნოთ ახალი რეალიების ენაზე და, პირველ რიგში, უნდა დავინახოთ ის, რომ ამ რეალიებშიც ჩვენ ისევ ის მცირე ქვეყანა ვართ, რომლის სახეცვლაც – ახალ და გარეგნულად ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობა – ყველას ხელს აძლევს, ჩვენ გარდა, რომლის რეალური სუვერენიტეტის შეზღუდვისა თუ შთანთქმისათვის დიდ სახელმწიფოებს თუ მთელ მსოფლიო თანამეგობრობას მრავალნაირი მეთოდი აქვს, რომელსაც საკუთარი *მე*-ს დასამკვიდრებლად რუსულ, თურქულ თუ ამერიკულ ეტალონებთანაც ჭიდილი სჭირდება, და რუსულ, თურქულ თუ ამერიკულ ინტერესებთანაც. ***ჩვენ, ახალ სიტუაციაში, ისტორიამ კიდევ ერთი გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობა დაგვისახა. იმისათვის, რათა ჩვენი მანევრირებების დასასრულს არ მივიღოთ სახეცვლილი საქართველო. სახეცვლილი საქართველო ერთიანი საქართველოს ალტერნატივაა. ეს არასაქართველოა.***

Apolon Silagadze,Vakhtang Guruli

Monk George and King George

Summary

George Merchule (10th century) is primarily known as a great representative of Georgian hagiographic writers, author of the work depicting life and merits of St. Grigol of Khandzta. Up to present no proper attention was paid to the fact that George Merchule was particularly outstanding phenomenon in Georgian political thought.

George Merchule's greatest contribution to Georgian nation is that he is an author of political formula, without stating and realization of which, Georgia, as such, could not exist. New Georgia was to be created. George Merchule has seen new Georgia before its creation. Actually, this was the starting point of new political thinking in Georgia of that Period. George Merchule has:

1) Defined, for the first time, what is Georgia: a) defined the country and defined the nation; b) defined that Georgia is a unified Georgia;
2) Defined, for the first time, the place of this state in the world – the state disintegrated in that period, i.e. not existent yet;
3) Determined the basis of Georgia, i.e. unified Georgia;
4) Determined the future of the nation, as this future was unified Georgia only;
5) Stated the political objective – what should be the basis for unification of Georgia;
6) Stated the only political objective not being simply the slogan – „maintaining of integrity of Georgia" – and the fact that its alternative is absence of Georgia at all.

George Merchule's implied sense is: unified Georgia cannot be formed without opposing to the external world. Such opposition is the decisive battle, the one, being the chance given to the nation only once.

Georgia attempted to separate from the outer world and this was the way of creation of the new state. More specifically, the limit was made between Georgia and Byzantium. This limit was really made by the master: George Merchule managed to develop anti-Byzantine but not anti-Christian ideology.

Religious limit could not be the main characteristic to define Georgia, as a country. Ethnical characteristic, on one hand, was the natural one and did not require definition as such but on the other hand, it required formal definition itself. George Merchule has chosen the most prominent characteristic – the linguistic one, clearly defining the point where the outer world and in particular, Byzantium, ended and from where Georgian territory started (unified Georgia and not Georgian lands and political units). Georgia is the country where people speak Georgian. This basic postulate has not only restricted the process of making Georgia the province of the empire but it also provided ethnical and political definition: people speaking Georgian are the Georgians, the territory where this people live is unified state of Georgia with the state and political border at the point where people do not speak Georgian.

Thus, the linguistic, ethnical and political borders of Georgian world were identified and based on the qualitatively new state – Georgia was identified on the political map of the world.

King George I (1014-1027) has realized George Merchule's political formula. He based the country's foreign politics on the following statement: Byzantine Empire, though Orthodox Christian state, is the enemy of Georgia, as it prevents unification of Georgia and attempts to make it the province of Byzantium.

ლევან ჯიქია

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ხელმძღვანელი პირები საბჭოთა სამსჯავროზე (1925 წლის ივლისი-აგვისტო)

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. ფორმალურად საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა, სინამდვილეში კი ის კრემლის სრულ მორჩილებაში იმყოფებოდა. ქართველი პატრიოტები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ შერიგებიან ქვეყნის ოკუპაციას და 1921 წლიდანვე საქართველოში იწყება ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა, რაც მალე აჯანყებებში გადაიზარდა (სვანეთში, დუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში). ეს აჯანყებები ლოკალური იყო, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი ადვილად ჩაახშო. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით წარმოიშვა იდეა მომხდარიყო ანტისაბჭოთა აჯანყება მთელი კავკასიის მასშტაბით. გადაიდგა კიდეც ნაბიჯები ამ მიმართულებით, თუმცა აჯანყების კავკასიის მასშტაბით ორგანიზება ვერ მოხერხდა, რაშიც გადამწყვეტი როლი საქართველოს საგანგებო კომისიამ და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ შეასრულეს.

საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის მაკოორდინირებელი როლის შესრულება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ („დამკომმა“) იკისრა. დამკომი 1922 წლის აგვისტოში შეიქმნა ხუთი წამყვანი ქართული პოლიტიკური პარტიის შეთანხმებით. დამკომში შევიდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკები), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და სოციალ-დემოკრატებს ჩამოშორებული ჯგუფი „სხიველები“, რომლებსაც დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებსაც ეძახდნენ. თითოეული პარტია დამკომში თითო წარმომადგენელს აგზავნიდა. დამკომის პირველი თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი გიორგი (გოგიტა) ფაღავა გახდა, მდივანი – ეროვნულ-დემოკრატი იასონ ჯავახიშვილი. 1922 წლის აგვისტოშივე გოგიტა ფაღავა დამკომის თავმჯდომარის პოსტზე სოციალ-დემოკრატმა ნიკოლოზ ქარცივაძემ შეცვალა, ეს უკანასკნელი კი 1923 წლის მარტში სოციალ-დემოკრატმა კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილმა (ნიკოლოზ ქარცივაძე დააპატიმრეს).

დამკომის ორგანიზებით 1924 წლის აგვისტოში საქართველოში ადგილი ჰქონდა მძლავრ ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებას. აჯანყებულებმა საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში დაამარცხეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და ძალაუფლება აიღეს ხელში, თუმცა საბოლოოდ ვერ გაუმკლავდნენ საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში დისლოცირებული წითელი არმიის ნაწილების შემოტევებს და დამარცხდნენ. მთელი საქართველო რეპრესიებმა მოიცვა. აჯანყებულებსა და ეჭვმიტანილებს ყოველგვარი გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ. **„მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება!“** - აცხადებდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჯალათი სერგო ორჯონიკიძე.

1924 წლის 3 სექტემბერს შიო მღვიმის მონასტერთან ახლოს დამკომის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და მდივანი იასონ ჯავახიშვილი დააპატიმრეს. მალევე დააპატიმრეს სოციალისტ-რევოლუციონერი მიხეილ ბოჭორიშვილი, ეროვნულ-დემოკრატი მიხეილ იშხნელი, სოციალ-დემოკრატი გიორგი ჯინორია და სხვები. პატიმრები ამიერკავკასიის საგანგებო

კომისიის საპყრობილეში მოათავსეს.[1] 4 სექტემბერს კოტე ანდრონიკაშვილი პირადად ლავრენტი ბერიამ დაკითხა.[2] 4 სექტემბრის ღამეს დამკომის დაპატიმრებულმა წევრებმა, მუქარის ქვეშ, ხელი მოაწერეს განცხადებას დამკომის დაშლის შესახებ. საპყრობილიდან კოტე ანდრონიკაშვილმა თანამებრძოლების მისამართით წერილი გააგზავნა, სადაც უხსნიდა მათ, თუ რა მიზეზით მოაწერა ხელი დეკლარაციას, მაგრამ წერილმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია, ის საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში.[3]

1925 წლის 15 ივლისიდან 3 აგვისტომდე 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ხელმძღვანელი პირების სასამართლო პროცესი გაიმართა, მანამდე კი ძიება მიმდინარეობდა. უფროსმა გამომძიებელმა **ბ. კუპრაშვილმა** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურორს წარუდგინა საბრალდებო დასკვნა **საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის** საქმეზე. წარდგენილი საქმე მოიცავდა: 1. საბრალდებო დასკვნას; 2. საქმეს 7 ტომად (1944 ფურცელი); 3. დამატებას 5 ტომად; 4. ნივთიერი დამამტკიცებელი მასალის 1 ტომს (347 ფურცელი).[4]

1925 წლის 2 ივლისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის გამწესრიგებელმა სხდომამ (თავმჯდომარე **ა. თუმანიშვილი**, წევრები: **ლ. მიროტაძე** და **შ. გალდავა**, რესპუბლიკის პროკურორის მაგიერ **ნ. ოკუჯავა**, მდივანი **ვ. ცინცაძე**) წარმოებაში მიიღო საქმე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების შესახებ. დამტკიცდა მოწმეების სია. სასამართლოს თავმჯდომარედ უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრი **გალაკტიონ ვაშაძე** დაინიშნა. გალაკტიონ ვაშაძის ბრძანებით ბრალდებულებს სახაზინო დამცველები გამოუყვეს. **ჩერქეზიშვილი** დაინიშნა **გრიგოლ გიორგაძის, კირილე ნინიძისა** და **ნიკიფორე იმნაიშვილის** დამცველად; **მესხიშვილი – გრიგოლ რცხილაძის, სამსონ დადიანისა** და **ამბროსი კვირიკაძის; გუბელაძე – ალექსანდრე ჩხაიძის, გაბრიელ გოგოლიშვილისა** და **კონსტანტინე ლორთქიფანიძის; რიჟამაძე – მიხეილ ბოჭორიშვილის, აპოლონ ბახტაძისა** და **მიხეილ ჭანიშვილის; შოთა დადიანი – ივანე ავალიშვილის, ნიკოლოზ ნაკაშიძისა** და **ვლადიმერ ბერიძის; ნიკოლოზ ქიქოძე – იაკობ ფანოზაშვილის, ვახტანგ ნაცვლიშვილისა** და **ვლადიმერ გეგეჭკორის; პოლუმორდვინოვი – მიხეილ იშხნელის, სიმონ (ხუხუ) ხოფერიასა** და **შალვა თვალთვაძის; ვანო ჯაფარიძე – აკაკი კალანდარიშვილის, თეოფილე შენგელიასა** და **ეგნატე გაბლიანის; მიხეილ ტატიშვილი – ალექსანდრე ძაძამიას, შალვა კალანდარიშვილისა** და **დავით ონიაშვილის; ნასიძე – კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, გიორგი ჯინორიასა** და **გენადი ბელთაძის; ზედგინიძე – გრიგოლ ცინცაბაძის, ნიკოლოზ ქარცივაძისა** და **ნაპოლეონ კახიანის; ანდრეი ტატიშვილი – ვალერიან ბილანაშვილის, ვლასი მამალაძისა** და **შალვა იოსელიანის; მაჭავარიანი – ხარიტონ ლაშხიას, ესტატე ლატარიასა** და **აკაკი ფიჩხაიას; გელაზაროვი – არტემ ფანცულაიას, პართენ ხურციძისა** და **ლავრენტი ესვანჯიას; ღვამიჩავა – ბიძინა პირველისა** და **ალექსანდრე ბოკერიას** (დოკუმენტში დანარჩენი განსასჯელების დამცველები არ იხსენიებიან – **ავტ.**).[5]

1925 წლის 14 ივლისს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის განმაწესრიგებელმა სხდომამ, საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურორო

---

[1] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 358-368.

[2] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 201.

[3] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 358-368.

[4] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 491.

[5] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 742.

განყოფილების მიმართვის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების სასამართლო პროცესზე საზოგადო ბრალმდებლად სერგო ქავთარაძე დაინიშნა.[6]

სასამართლოზე მოწმეებად გამოიძახეს: ილია გიორგის ძე ფირცხალაიშვილი, ივანე პეტრეს ძე ჭავჭანიძე, გრიგოლ ირაკლის ძე ბარამიძე, ლევან მიხეილის ძე ლოლუა, დიმიტრი ზაქარიას ძე ძიძიკაშვილი, სილოვან ვასილის ძე ბარამიძე, ნიკოლოზ შაჰნაზაროვი, დიმიტრი ნიკოლოზის ძე შმილევი, სამსონ სტეფანეს ძე ალასანია, მელიტონ გიორგის ძე კალანდაძე, ბიქტორ (ვიქტორ) ვასილის ძე თევზაია, ანდრია იასეს ძე ღლონტი, გერონტი მინას ძე კილასონია, ანტონ გიორგის ძე მგალობლიშვილი, მათე მიხეილის ძე ახალბედაშვილი, თედო სართია, ვლადიმერ ჯალაღანია, ვასილ კაჭარავა, გედენია კაჭარავა, ივანე ნიჟარაძე, ვარლამ ძიძიგური, ვარლამ გელოვანი, გიორგი პირველი, გრიგოლ მგალობლიშვილი, ტარას მგალობლიშვილი, სერგო მეგრელიშვილი, ნინა თალაკვაძე, კონსტანტინე პატარკალაშვილი, ვასილ ლუკას ძე გელენიძე, აპოლონ აქვსენტის ძე გოგინავა, მიხეილ ნიკოლოზის ძე მახვილაძე, ისააკ ზაქარიას ძე ლელაშვილი, გრიგოლ ირაკლის ძე შარაშიძე, მიხეილ ვლადიმერის ძე გზელიევი, ალექსანდრე ანდღულაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სეით დევდარიანი და სხვ.[7]

სასამართლო პროცესი 1925 წლის 15 ივლისიდან 1925 წლის 3 აგვისტომდე მიმდინარეობდა ქალაქ თბილისში სასამართლოს ქუჩა №32-ში.[8] სასამართლო პროცესზე სახალხო მსაჯულებად იყვნენ: **ი. სტურუა** და **ი. ცინცაძე**.

სასამართლომ ბრალდებულებს: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, დავით ონიაშვილს, გიორგი ჯინორიას, ნიკოლოზ ქარცივაძეს, გიორგი (გიზო) ანჯაფარიძეს, იასონ ჯავახიშვილს, გრიგოლ გიორგაძეს, ნიკიფორე იმნაიშვილს, კირილე ნინიძეს, გრიგოლ რცხილაძეს, სამსონ დადიანსა** და **მიხეილ ბოჭორიშვილს** წაუყენა ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58 და 59 (I ნაწილი) მუხლებით,[9] რაც გულისხმობდა შეიარაღებული კონტრრევოლუციური აჯანყების მოწყობას მუშათა და გლეხთა მთავრობის დასამხობად, უცხო სახელმწიფოების ინტერვენციის განხორციელებისათვის ხელშეწყობასა და მათ სასარგებლოდ ჯაშუშობას[10] სასამართლომ ბრალდებულებს: **აკაკი კალანდარიშვილს, შალვა კალანდარიშვილს, ვალერიან ბილანაშვილს, ესტატე ლატარიას, აკაკი ფიჩხაიას, პართენ ხურციძეს, ლავრენტი ესვანჯიას, შალვა თვალთვაძეს, არტემ ფანცულაიას, ვლასი მამალაძეს, თეოფილე შენგელიას, ნაპოლეონ კახიანს, შალვა იოსელიანს, მიხეილ იშხნელს, ხარიტონ ლაშხიას, გ. ცინცაძეს, გრიგოლ ცინცაბაძეს, ვლადიმერ გეგეჭკორს, გენადი ბელთაძეს, სიმონ ხოფერიას, ბიძინა ბირველს, ეგნატე გაბლიანს, ამბროსი კვირიკაძეს, მიხეილ ჭანიშვილს, ალექსანდრე ბოკერიას, ალექსანდრე ჩხაიძეს, გაბრიელ გოგოლიშვილს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ივანე ლორთქიფანიძეს, აპოლონ ბახტაძეს, ნიკოლოზ ნაკაშიძეს, ივანე ავალიშვილსა** და **ვლადიმერ ბერიძეს** წაუყენა ბრალი გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლით,[11] რაც გულისხმობდა იმ ორგანიზაციის წევრობას, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დამხობა და უცხო სახელმწიფოებთან ან მის წარმომადგენლებთან ურთიერთობა საქართველოში ინტერვენციის განსახორციელებლად.[12]

---

[6] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 623.

[7] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 399-419; 497-499; 500-501; 506; 517; 520; 523-524; 537; 548).

[8] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 399.

[9] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 772.

[10] **ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსი** (1924 წლის რედაქციით). იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1924, გვ. 15.

[11] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 773.

[12] **ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსი**. იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1924, გვ. 15-16.

სასამართლომ **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, გიორგი ჯინორიას, იასონ ჯავახიშვილს, მიხეილ ბოჭორიშვილს, მიხეილ იშხნელსა** და **გრიგოლ ცინცაბაძეს** წაუყენა ასევე ბრალი გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 60 და 61 მუხლებით,[13] რაც გულისხმობდა უცხო სახელმწიფოებთან ან მის წარმომადგენლებთან ურთიერთობას მის დასაყოლიებლად საქართველოს საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩარევის მიზნით და მონაწილეობის მიღებას იმ ორგანიზაციის მუშაობაში, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით მუშათა და გლეხთა მთავრობის დამხობა.[14] სასამართლომ ბრალდებულებს: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, გიორგი ჯინორიას, იასონ ჯავახიშვილს, მიხეილ იშხნელსა** და **მიხეილ ბოჭორიშვილს** ასევე წაუყენა ბრალი გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16-ე და 64 მუხლებით,[15] რაც გულისხმობდა უშუალო მონაწილეობას, სხვების დაყოლიებას, დამნაშავის დამალვასა და ტერორისტული აქტების განხორციელებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.[16]

სასამართლომ **ვახტანგ დიმიტრის ძე ნაცვლიშვილს** ვერ დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება და ის პატიმრობიდან გაათავისუფლა.

სასამართლომ **ივანე ნესტორის ძე ლორთქიფანიძეს, ვალერიან მიხეილის ძე ბილანიშვილს, ესტატე ბესარიონის ძე ლატარიას, აკაკი ალექსის ძე ფიჩხაიას, ლავრენტი ვასილის ძე ესვანჯიას, შალვა კონსტანტინეს ძე თვალთვაძეს, ვლასი ლუკას ძე მამალაძეს, შალვა დიმიტრის ძე იოსელიანს, ხარიტონ პეტრეს ძე ლაშხიას, ვლადიმერ ალექსის ძე გეგეჭკორს, თეოფილე სიმონის ძე შენგელიას, ეგნატე გიორგის ძე გაბლიანს, ამბროსი საბას ძე კვირიკაძეს, მიხეილ თომას ძე ჭანიშვილს, გაბრიელ კონსტანტინეს ძე გოგოლიშვილს, კონსტანტინე დარისპანის ძე ლორთქიფანიძეს, ალექსანდრე სამსონის ძე ბოკერიას, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩხაიძეს, აკაკი მათეს ძე კალანდარიშვილს, შალვა მათეს ძე კალანდარიშვილს** და **არტემ ფილიპეს ძე ფანცულაიას** „დაუმტკიცა“ წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლით და თითოეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის 1925 წლის 7 მარტის დადგენილებით და ზემო ჩამოთვლილი პირები სასჯელისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **დავით ეფრემის ძე ონიაშვილს** „დაუმტკიცა“ წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე და 59-ე (I ნაწილი) მუხლებით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დავით ონიაშვილმა გულწრფელად აღიარა „თავისი შეცდომები“ და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით. სასამართლომ გაითვალისწინა დავით ონიაშვილის ავადმყოფობა და პატიმრობის დარჩენილი ვადა მას პირობით სასჯელად ჩაუთვალა.

სასამართლომ ბრალდებულებს: **გრიგოლ სიმონის ძე რცხილაძეს, სამსონ პლატონის ძე დადიანს, კირილე იასეს ძე ნინიძეს, ნიკიფორე ბესარიონის ძე იმნაიშვილს** და **გრიგოლ კიმოთეს ძე გიორგაძეს** „დაუმტკიცა“ წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე და 59-ე (I ნაწილი) მუხლებით. ამასთან, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლით და თითოეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციით. სასამართლომ

---

[13] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 774.
[14] **სსსრ სისხლის სამართლის კოდექსი.** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1924, გვ. 15-16.
[15] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 775.
[16] **სსსრ სისხლის სამართლის კოდექსი (1924 წლის რედაქციით).** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1924, გვ. 7-16.

მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ აღნიშნული პირები საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენდნენ და იხელმძღვანელა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 7 მარტის დადგენილებით და ისინი სასჯელისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **ალექსანდრე ბეგლარის ძე ძაძამიას** „დაუმტკიცა" წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16-ე და 64-ე მუხლებით. ამასთან, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციით. სასამართლომ გაითვალისწინა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 7 მარტის დადგენილებით და ალექსანდრე ძაძამია სასჯელისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძეს** „დაუმტკიცა" წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე და 59-ე (I ნაწილი) მუხლებით. სასამართლომ გაითვალისწინა ის, რომ ნიკოლოზ ქარცივაძე ამ მუხლებით ერთხელ უკვე იყო გასამართლებული და ის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **იაკობ საბას ძე ფანოზაშვილ**ს „დაუმტკიცა" წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 16-ე და 64-ე მუხლებით. სასამართლომ გაითვალისწინა ის, რომ იაკობ ფანოზაშვილი ამ ბრალდებით ერთხელ უკვე იყო გასამართლებული და ის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **აპოლონ კიმოთეს ძე ბახტაძეს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნაკაშიძეს, ვლადიმერ ალექსის ძე ბერიძეს, პართენ ივანეს ძე ხურციძესა** და **გენადი მოსეს ძე ბელთაძეს** „დაუმტკიცა" წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლით. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლით და თითოეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციით, წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **სიმონ გიორგის ძე ხოფერიას** „დაუმტკიცა" წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16-ე, 61-ე და 64-ე მუხლებით და სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციით, წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **გიორგი ნესტორის ძე ანჯაფარიძეს** „დაუმტკიცა" წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე და 59-ე (I ნაწილი) მუხლებით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **ივანე დავითის ძე ავალიშვილსა** და **ბიძინა გიორგის ძე პირველს** „დაუმტკიცა" წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლით და მიუსაჯა თითოეულ მათგანს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **ნაპოლეონ ილიას ძე კახიანს** „დაუმტკიცა" წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **გრიგოლ დიმიტრის ძე ცინცაბაძეს** „დაუმტკიცა" წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-60-ე და 61-ე მუხლებით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **კონსტანტინე ემანუილის ძე ანდრონიკაშვილს, იასონ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილს, გრიგოლ ევგენის ძე ჯინორიას, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილსა** და **მიხეილ ნიკოლოზის ძე იშხნელს**, რომელთაგან პირველ ოთხს „დაუმტკიცდა“ წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16-ე, 58-ე, 59-ე (I ნაწილი), მე-60-ე, 64-ე და 66-ე მუხლებით, ხოლო მიხეილ იშხნელს „დაუმტკიცდა“ წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16-ე, მე-60-ე, 61-ე, 64-ე და 66-ე მუხლებით, თითოეულ მათგანს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. სასამართლომ მიიღო მხედველობაში სასამართლო პროცესზე მათი მხრიდან გაკეთებული საჯარო განცხადება, რომლითაც ისინი მოუწოდებდნენ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს დადგომოდნენ მშვიდობიან გზას და კონსტიტუციის ფარგლებში საბჭოთა ხელისუფლებასთან ეთანამშრომლათ და დახვრეტის განაჩენი შეუცვალა მათ 10 წლის პატიმრობით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.[17]

ამდენად, საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა 1924 წლის აჯანყების მონაწილეებს, რაც თვით ჯალათმა სერგო ორჯონიკიძემაც კი აღიარა. მოგვიანებით, 1925 წლის ივლის-აგვისტოში 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელი 47 პირის (რომლებიც დახვრეტას სასწაულებრივად გადაურჩნენ) სასამართლო პროცესი გაიმართა. ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობაში ისედაც ნულზე დასული ნდობა და ავტორიტეტი როგორმე აღედგინა და 1924 წლის აჯანყების მეთაურები შედარებით ჰუმანურად დაესაჯა. სწორედ ამით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ დახვრეტამისჯილ პირებსაც (კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, გიორგი ჯინორია, მიხეილ ბოჭორიშვილი, მიხეილ იშხნელი) შეეცვალათ სასჯელი ათწლიანი პატიმრობით.

Levan Jikia

The leaders of the Anti-Soviet National Revolt 1924 on the soviet justice (July-August 1925)

Summary

In August 1924 in Georgia the anti-soviet national revolt took place and it was organized by „committee of Independence of Georgia”. The aim of the rebels was to restore national state of Georgia. The rebels reached serious successes in the most regions of Georgia though finally they failed and after it the process of imprisonment of the leaders and participants of the revolt was launched. The trial of the leaders of the revolt 1924 was held in July-August 1925. The purpose of the soviet government was to restore the insulted authority and the circumstance was conditioned by the fact that the soviet government pardoned and condemned only 10 years-arrest to the persons (Konstantine Andronikashvili and others) being sentenced to death by the court.

[17] **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 776-779.

ფილოლოგია

გიორგი ალიბეგაშვილი
მეტაფრასტიკის ისტორიისა და თეორიის საკითხები ეფრემ მცირისა და მიქაელ პსელოსის ნაშრომების მიხედვით

თეიმურაზ გვანცელაძე
ენა და პოლიტიკა ოკუპირებულ აფხაზეთში

ტარიელ ფუტკარაძე
განათლება და ქართველთა ეთნიკური (ეროვნული) თვითაღქმა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში (აჭარა, ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი)

ლია კარიჭაშვილი
ეთიკური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“ (ზოგიერთი ასპექტი)

გიორგი ალიბეგაშვილი

მეტაფრასტიკის ისტორიისა და თეორიის საკითხები ეფრემ მცირისა და მიქაელ პსელოსის ნაშრომების მიხედვით

მეტაფრასულად გადამუშავებული საკითხავი კრებული, რომლის შექმნაც ტრადიციულად სიმეონ მეტაფრასტისა და მისი საქმის გამგრძელებლის იოანე ქსიფილონოსის სახელებს უკავშირდება, საუკუნეების მანძილზე ბიზანტიური ლიტურგიკის პრაქტიკაში სხვადასხვა წმიდანის ხსენების დღის უმთავრესი კრებული იყო, ან როგორც წმ. ეფრემ მცირე იტყოდა, „ვიდრე მოაქამდე საზეპუროდ იკითხვების ყოველთა შინა საბერძნეთისა ეკლესიათა“.

შუა საუკუნეების სასულიერო მწერლობაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიის განვითარებაში სწორედ მეტაფრასტიკას უკავია უმნიშვნელოვანესი ადგილი. მეტაფრასტიკის სასულიერო მწერლობის მიმდინარეობად ჩამოყალიბება სხვადასხვა ქრისტოლოგიურ ტრადიციასთან და ტენდენციასთან ერთად განაპირობა ნაწარმოებთა მხატვრულ-გამომსახველობითი დონის დახვეწისა და ამაღლებისკენ სწრაფვამ. მეტაფრასტიკა სხავადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით გავრცელდა აღმოსავლეთის ქრისტიანულ მწერლობაში.

ყოველივე ამან განაპირობა მეტაფრასტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხებით დაინტერესება ჯერ კიდევ გასული საუკუნეებიდან. მართალია, მეცნიერთა მიერ მეტაფრასტიკის შესწავლის შედეგად გამოტანილი დასკვნები განსხვავებულია, მაგრამ ყველა მიიჩნევს, რომ მეტაფრასტიკას საფუძველი წმ. სიმეონ მეტაფრასტმა ჩაუყარა, რომ მეტაფრასტიკამ შეცვალა ადრეული ხანის ჰაგიოგრაფიაში - ე. წ. კიმენში დამკვიდრებული ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპი, რომ ეს იყო ჰაგიოგრაფიის განახლების მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც აისახა თეორიულ ნააზრევშიც და ა.შ.

„კიმენი“- keimenon „რომაული და ბიზანტიური პერიოდების ბერძნულ ლექსიკონში“ განმარტებულია როგორც საღმრთო წერილის ტექსტი. კიმენის ასეთივე განმარტება ძველ ქართულ მწერლობაშიც გვხვდება, ოღონდ უფრო დაკონკრეტებულადაა განსაზღვრული მისი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა. უნდა შეინიშნოს, რომ VI ს-ის შემდეგი დროის ეგზეგეტები უფრო იმაზე ზრუნავენ, რაც შეიძლება მეტი ციტატა მოიყვანონ „მამათა და მოძღუართა“ თხზულებებიდან. აქედან წარმოიშვა ე.წ. ეგზეტიკური კატენები ანუ კრებულები (Catenae, Seirai), რომელთა დახმარებით მკითხველს შეუძლია სულ ადვილად გაითვალისწინოს, თუ როგორ ესმოდათ ტექსტის კონკრეტული მონაკვეთები წინა ეპოქის წმ. მამებს. კატენები ასე ფორმდებოდა: ქაღალდის ეტრატის შუაგულში წერდნენ ბიბლიურ ტექსტს, რომელსაც ქართულად კიმენს უწოდებდნენ, ხოლო აშიაზე - მის განმარტებასა და სქოლიოს. ეგზეტიკას კი, აქვე შენიშნავთ, მეტაფრასტიკის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი მიენიჭა, რადგან ეგზეტიკა ამ უკანასკნელს უხსნიდა გზას ტექსტთა სახეობრივად მოაზრებისაკენ. ამიტომაც არ შეიძლება შემთხვევითად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მეტაფრასტიკის სფეროში ძველქართული ტერმინოლოგია დაესესხა ეგზეტიკის ტრადიციულ ტერმინოლოგიას.

ამრიგად, კიმენის ერთ-ერთი მნიშვნელობაა განსამარტავი ან, უბრალოდ, ბიბლიური ტექსტი.

მოგვიანებით კიმენმა სხვა მნიშვნელობაც შეიძინა, „ძველ კიმენს“ „ვიეთნიმე მრავალთავადცა უწოდენ“; კიმენი „ესე იგი მრავალთავად წოდებული“ წიგნი. ხოლო როდესაც IX ს-იდან განსაკუთრებით გაძლიერდა ენობრივი სტილის მხატვრულ-გამომსახველობითი ზემოქმედების მნიშვნელობა, „კიმენმა“ მიიღო სხვა ტერმინოლოგიური დანიშნულებაც - სიტყვა კეიმენონ ტექსტის აღნიშვნიდან იქცა გარკვეული ჟანრის თხზულების აღმნიშვნელად. იგი გულისხმობდა

„თანადახდომილთა“ მიერ „პირველ ლიტონად აღწერილსა“ ძველ „წიგნსა მოწამეთასა“ ანუ „ვითარცა ნახშირითა ხატი გამოსახულ“ (თეოფილე ხუცესმონაზონი) ტექსტებს. კიმენურად მიიჩნიეს ის თხზულებებიც, რომლებიც იყო „მწვალებელთა მიერ განდრეკილად აღწერილნი“. „კიმენის“ პირდაპირი მნიშვნელობა კი არის „მდებარე“. სულხან-საბა ორბელიანიც თავის ლექსიკონში „კიმენს” განმარტავს „წინამდებარისად“; ხოლო იქვე ასეთი განსაზღვრებაცაა მოცემული, რომელიც შემდგომ გადახაზულია: „წინამოწამე, ძველი წერილი ახლისადა შესამოწამებლად“.

ეს ტერმინი, როგორც ჩანს, ფილოსოფიურ მწერლობაშიც გამოიყენებოდა. იოანე პეტრიწი პროკლე დიადოხოსის „კავშირისთვის“ დართულ ერთ-ერთ სქოლიოში შენიშნავს: „შეისწავე, რამეთუ ესე წიგნი „კიმენ-სხოლიოდ“ აღნაწერი“ არისო. მართლაც, ბიზანტიელი იურისტ-კომენტატორები კანონის ტექსტს კეიმენონს უწოდებდნენ, ხოლო ამ კანონების ახსნა-განმარტებას, რომელიც მათ ეკუთვნოდა - Skholias.

მეტფარაზი - metafrazo , რომელმაც შეცვალა კიმენი, „რომაული და ბიზანტიური პერიოდების ბერძნულ ლექსიკონში“ განმარტებულია პარაფრაზად. ზმნის - მეტაფრაზო-ს მნიშვნელობები, რომლიდანაც ეს ტერმინია მიღებული, შემდეგია: განსხვავებულად გამოხატვა, პარაფრაზირება, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა. პარაფრაზი და მეტაფრაზი სინონიმური სიტყვებია. ამ ტერმინებს ბერძნები ხმარობდნენ ძველ ძეგლთა ენობრივი და სტილური განახლების, „გარდაკაზმვის“ აღსანიშნავად. ასეთი გზით მიღებულ ტექსტთა ახალ რედაქციებს ეწოდება მეტაფრაზები. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში „მეტაფრასს“ „სამოწმო“ შეესატყვისება.

„მეტაფრასი – ჰამბავთ განვრცელება, ცხოვრებათა ჰამბავი (ჰანბავი), ცხორება“,- განმარტავს სულხან-საბა. თუმცა დამატებით უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული ტერმინოლოგიით „მეტაფრასი“ დიდმარხვის გადაკეთებულ საკითხავებს უფრო ეწოდება, ვიდრე ცალკე თვეთა ცხოვრება-ენკომიებს.

მეტაფრასტიკა, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა წმ. სიმეონ ლოღოთეტმა-მეტაფრასტმა. სხვადასხვა მეცნიერთა დასკვნების გათვალისწინებით, სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ სიმეონმა წმიდანთა ცხოვრების ძველ ანუ კიმენურ ტექსტთა მეტაფრასული გადამუშავება დაიწყო ბიზანტიის იმპერატორის, ბასილი მეორის (976-1025) მეფობის მეექვსე, ე.ი. 982 წლიდან. სიმეონმა გაამეტაფრასა საეკლესიო კალენდრის პირველი ხუთი თვის (სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით) საკითხავები. დარჩენილი ტექსტები კი გარდაკაზმა იოანე ქსიფილინოსმა ალექსი 1 კომნენოსის (1081-1118) მეფობაში, XI ს-ის მიწურულს.

მეტაფრასტიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშნად მიჩნეულია წმ. ეფრემ მცირის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც, სიმეონ ლოღოთეტმა „მცირედ-მცირედი საკითხავები“ შექმნა „საეკლესიო თხრობათაგან“, ერთი მხრივ, და „ხრონოღრაფთაგან“, მეორე მხრივ; ამ დროს მისთვის მთავარი იყო არა ვრცელი ნაწარმოებების დაწერა, რომლებიც „ცრუჲთა და საეჭუელითა“ იქნებოდა სავსე, არამედ მცირე მოცულობის თხზულებებისა, რომლებიც მკითხველს მიაწვდიდა „უეჭუელსა და ჭეშმარიტ“ ცნობებს.

საგულისხმოა, რომ სიმეონ ლოღოთეტს წმ. ეფრემი ახასიათებს როგორც „ყოვლითა საწარმართოჲთა და გარეშითა სიბრძნითა სრულიად განსწავლულ და ეგრევე შინაგანთა მოსწრაფებით წურთილ“ პირს. ზოგადად, თუ რომელ ავტორთა თხზულებები შეიძლება იგულისხმებოდეს, ერთი მხრივ, „საწარმართოსა“ და „გარეშეში“, და, მეორე მხრივ, „შინაგანში“, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის წმ. ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ერთ-ერთი ნაწარმოების სათაური: **„სიტყუანი და სწავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი სულ-სხეულობით,**

ორკერძოვე ძუელისა და ახალისა წმიდათა წერილითაგან რჩევით გამოკრებილნი, კლემაქსისგან, დიდისა ბასილისა და გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა და იოანე ოქროპირისა და სხუათა წმიდათა, მღდელმოძღვართა, მამათა, მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა და სოლომონ და ზაქარიასი და გარეშეთა წიგნთა: პლატონ, სოკრატი და მენანდროს და სხუათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი“

წმ. ეფრემ მცირის მიხედვით, სიმეონი, ამასათანავე, იყო „საღმრთოჲთა და კაცობრივითა სიბრძნითა აღსავსე“ და „ხედვისა და საქმისა მოღუაწე“. „ხედვით და საქმით“ მოღვაწეობაში, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის განმარტებით, იგულისხმება შემდეგი: „ფილოსოფოსობა ნამდვილვე მაღალი იგი და აღმართმავალი, რაოდენი საქმითი არს და ხედვითი და რაოდენი სიტყუათა გამომაჩინებელი და განწყობითი, რომელსა სიტყვისგებად სახელდებენ“; შენიშნულია, რომ ფილოსოფიის საქმითი სახე ესაა პრაქტიკული ფილოსოფია, ხედვით მოღვაწეობაში კი „კაცობრივი“ ანუ პრაქტიკული ფილოსოფია იგულისხმება.

მიქაელ პსელოსის შეფასებით, სიმეონმა გონება კეთილხმოვანი, ხოლო ენა - მოაზროვნე გახადა.

ცნობილია, რომ ბიზანტიელთა შეხედულებით, რაც ნამემკვიდრევი იყო ანტიკური პერიოდიდან, რიტორიკა უკავშირდებოდა პოლიტიკასა და პოლიტიკურ საქმიანობას, ხოლო ფილოსოფია გონებითი ჭვრეტისკენ, განყენებული სამეცნიერო მოღვაწეობისკენ, სამყაროსგან განცალკევებისკენ, მონაზვნური ცხოვრებისკენაც კი იხრებოდა, რის გამოც მონაზვნები ზოგჯერ ქრისტიან ფილოსოფოსებად იწოდებოდნენ. „ფილოთეონ ისტორიის“ წინასიტყვაობაში წმ. ეფრემი შენიშნავს, რომ „ჭეშმარიტად ფილოსოფოსობად. ესე იგი არს, სბრძნისმოყუარებად ჭეშმარიტსა მონაზონებასა სახელ-ედებისო“, რაც იმას ნიშნავს, რომ სიბრძნე, სოფია „ცვლის“ ფილოსოფიას, ე.ი. საქმე ეცილება სიტყვას იმდენად, რამდენადაც უპირველესი ქრისტიანული აზროვნებისათვის უმაღლეს ჭეშმარიტებასთან ზიარების გზაა. ასე რომ, ფილოსოფია უნდა გავიგოთ არა დღევანდელი მნიშვნელობით, არამედ ეტიმოლოგიური შინაარსით - „სიბრძნის სიყვარული“.

მიქაელ პსელოსთანაც „ფილოსოფია“, „ფილოსოფოსობა“ იმავე აზრითაა დატვირთული, რომლითაც ეს ორი სიტყვა ხასიათდება VI საუკუნიდან (და არა მათი კლასიკური გააზრებით): ფილოსოფია VI საუკუნიდან ნიშნავს მონაზვნურ ცხოვრებას, ხოლო ფილოსოფოსობა კი ასკეტური ცხოვრების წესს, მონაზვნობას. გარდა ამისა, მოგვიანებით ყალიბდება აზრი, რომ ფილოსოფია არის წინამძღვარი ბრძენთა და პოეტთა.

ასეთი საფუძველი ჰქონდა სიმეონ მეტაფრასტის მიერ გადამუშავებულ ტექსტებში შეტანილ „რიტორებრივ განგრძობებსა და ფილოსოფოსებრივ შემკობილობებს“, რაც „წინამდებარე არს სახილველად გონიერთა და არადსაძიებელ უგუნურთა და უსწავლელთა“.

მიქაელ პსელოსის შეფასებითაც, მან სიმეონის გარდა არ იცის სხვა რომელიმე მწერალი, რომლის სტილიც ასე კარგად იყოს შეგუებული არჩეულ საგანს, ვინაიდან, მართალია, სხვას შეიძლება უფრო მაღალმხატვრული თხზულებები შეექმნა, მაგრამ, საეჭვოა, რომ ისინი ყველასათვის ასე მისაწვდომი და სასარგებლო ყოფილიყო; ამას კი ყველაფერთან ერთად აპირობებს სიმეონის მსუბუქი და სასიამოვნო ენა და სიუჟეტთა კარგი შერჩევის უნარი.

ადრექრისტიანული ეპოქის მოაზროვნენი კი, მაგალითად, კლიმენტი ალექსანდრიელი „სტრომატებში" პირიქით აცხადებდა: ჩემ წიგნებში ნუ ეძიებთ წესრიგს, ნურც მოხდენილობას. ჩემი მიზანი იყო ამებნია და შემერია საგნები, რათა მათი გაგება შეძლებოდათ მხოლოდ მცოდნეებსა და ყურადღებიანებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ არც გვიანდელი პერიოდისთვისაა უცხო „მომზადებული" მკითხველის გათვალისწინება; წმ. ეფრემ მცირე თარგმანებათა სახეობებზე საუბრისას შენიშნავს: განმარტების ერთი ფორმა შეიძლება იყოს „შემოკლებულად და ლიტონად მარტივთათვის და ლიტონთა, და მეორე იგი უვრცელესად და უღრმესად გამომეძიებელთათვის და გულისხმის-მყოფელთა".

მიქაელ პსელოსი სიმეონის წვლილს წმიდანთა ცხოვრებების გადამუშავებისას შემდეგნაირად აფასებს: ძველ ტექსტებში მრავალი იყო მხატვრულ-სტილისტური ხარვეზი და დაუხვეწავი ფრაზები; გადმოცემული ამბები ზოგიერთებს სიცილს გვრიდა. მათში არ იყო არც მოხდენილი კომპოზიცია, არც აზრის თანმიმდევრობა; გულუბრყვილო გამოთქმები კი არცთუ საამო მოსასმენი იყო და კეთილგანწყობის ნაცვლად უფრო მეტ უნდობლობას აღვივებდა. ყველას ესმოდა ეს და ყველა კიცხავდა ამ ნაწარმოებთა ნაკლს, მაგრამ მათი რაიმე უკეთესით შეცვლა ზოგის ძალებს აღემატებოდა, თუმცა ჰქონდათ სურვილი, ხოლო სხვებს არ ჰქონდათ სურვილი, თუმცაღა ძალები კი გააჩნდათ. ეს საპატიო საქმე იტვირთა სიმეონმა.

წმ. ეფრემ მცირის მოწმობითაც, ძველი ტექსტები „თხრობის სახედ ოდენ აღიწერნეს თითეულისა წმიდათაგანისა თანდახუდომილსა ვისგანმე და არა ხოლო ლიტონობასა და სიმარტივესა შინა დაშთეს, არამედ რომელნიმე მათგანნი განირყურნესცა კაცთა მიერ ბოროტთა და მწვალებელთა, რომელთა დრკუნი იგი სიტყვანი მათნი თანაშეჰრინეს ლიტონობასა მას თხრობასა და ცრუითა მათ მართალიცა შეამრღვიეს და საეჭუელ – ყვეს". როგრც ვხედავთ, ძველ ცხოვრებათა შეცვლის მიზეზად, მიქაელ პსელოსისგან განსხვავებით, წმ. ეფრემი ასახელებს სხვა მნიშვნელოვან, იდეოლოგიურ მოტივსაც – მწვალებელთა მიერ ტექსტთა დამახინჯებას.

მიქაელ პსელოსისა და ეფრემ მცირისეული მსჯელობანი სიმეონ მეტაფრასტის მუშაობის სტილის თავისებურებებზე სხვაგან უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს. მიქაელის მოწმობით, სიმეონს არ შეუცვლია დედნების შინაარსი. იგი ძველ ავტორთა ნაწარმოებებს იღებდა როგორც პირველსახეს, რათა არ შექმნილიყო ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს იგი ახალ თხზულებებს ქმნიდა.

ასე რომ, სიმეონ მეტაფრასტი ამუშავებდა თხზულებათა გარეგნულ მხარეს, მის მასალასა და შემადგენლობას კი უცვლელად ტოვებდა. იგი ასწორებდა ნაწარმოებთა მხოლოდ ენობრივ ნაკლს. ერთი სიტყვით, ეს იყო ძველ ძეგლთა ახალი რედაქციები, რომელთა ამოცანაც განისაზღვრა ენისა და სტილის განახლებით ანუ იმით, რასაც ბერძნები უწოდებენ მეტაფრაზს ანუ პარაფრაზს. ხოლო გრძელი შესავლები, რომლებიც ფაქტიურად იმეორებდნენ თხზულებათა შინაარსს, აგრეთვე, წმიდანთა გაჭიანურებული შექებანი, გარდაცვალების მომდევნო სასაწაულები და ა.შ. სიმეონმა გადაამუშავა და გახადა უფრო ბუნებრივი და დამაჯერებელი, დაუახლოვა ადამიანურ განსჯას.

ანალოგიურად მსჯელობს წმ. ეფრემ მცირეც: კიმენურ ტექსტებში სიმეონმა „პირველად შეამკო უშუერება სიტყვისა, ხოლო არა ეგრეთ, ვითარცა სხუა ძალი შემოიღო, არამედ იგივე ძალი პირველაღწერილისა სიტყვისა შეამკო და აღწერა უბრწყინვალესად"; ხოლო ეს მან გააკეთა „არა გავრცელებისათვის თქმულისა". ერთ-ერთ მინაწერშიც იმავეს ამბობს ეფრემი: სიმეონი „არა შეჰმატებდეს, არცა დააკლებდეს საქმეთაო".

„გამეტაფრასება" რომ არ ნიშნავს სიმეონ მეტაფრასტისთვის მაინცდამაინც გავრცელებას, ამაზე მეტყველებს ქართულ ხელნაწერში დაცული „ფოკას შესხმის" ორი რედაქცია: ვრცელი და მოკლე. ვრცელი მიჩნეულია კიმენურ ვერსიად. მართალია, დასაწყისის მიხედვით ბერძნული და ვრცელი ქართული ტექსტი ერთნაირია და მათგან განსხვავებულია მეტაფრასული, მაგრამ დანარჩენ შემთხვევაში ბერძნული უფრო ადეკვატურად არის ასახული მეტაფარასულ ვერსიაში, ვიდრე – კიმენში.

მეტაფრასტიკის ლიტერატურული თავისებურებანი ხასიათდება არა მხოლოდ „რიტორიკული განგრძობებითა" და „ფილოსოფოსებრივი შემკობილობებით", არამედ საისტორიო მწერლობიდან შეთვისებული ზოგიერთი ტრადიციითაც. თითოეულისთვის დამახასიათებელი ნიშნები მეტნაკლებობით შეიმჩნევა კიდეც ე.წ. წინამეტაფრასტთა თხზულებებშიც.

საზოგადოდ, უნდა შეინიშნოს, რომ ფილოსოფიისა და რიტორიკის შერწყმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრექრისტიანულ მოაზროვნეთათვის. ხოლო, ანტიკური წარმოდგენით,

მხატვრული პროზა, პირველ რიგში, რიტორიკული ხასიათისა იყო. ამ მიმართებით საინტერესოა რიტორიკის ტრადიციული განმარტება ქართულ აზროვნებაში. ს. დოდაშვილის მიხედვით, „მშვენიერსიტყუა არს გამოღება ჰაზრთა ან გრძნობათა ზეპირად ანუ ქარტასა ზედა მოკლედ, ცხადად და შესაბამად სათქმელისა ანუ აღწერისა საგნისა".

რაც შეეხება ფილოსოფიური მწერლობის კავშირს სასულიერო ლიტერატურასთან, იგი კარგად არის ნაჩვენები მიქაელ პსელოსის მსჯელობაში. რამდენადაც ეს ავტორი სიმეონ მეტაფრასტის მხატვრული თავისებურებების შემფასებელია, ამდენად, შემოვიფარგლებით მისი ზოგადთეორიული მოსაზრებების ჩვენებით.

როგორც აღინიშნა, მიქაელ პსელოსთან „ფილოსოფია" და „ფილოსოფოსობა" იმავე აზრითაა დატვრითული, რომლითაც ხასიათდება ეს ორი სიტყვა VI ს-დან: ფილოსოფია ამ პერიოდიდან ნიშნავს მონაზვნურ ცხოვრებას, ხოლო ფილოსოფოსობა- ასკეტური ცხოვრების წესს, მონაზვნობას („სიბრძნისმოყუარებად ჭეშმარიტსა მონაზონებასა სახელ-ედების", - წერს წმ. ეფრემიც). ამ ტერმინთა ასეთი მნიშვნელობით ხმარებას გარკვეული საფუძველი აქვს. ელინურმა სამყარომ კულტურას მისცა ფილოსოფოსის ტიპი, რომელიც იდგა ცხოვრების ზემოთ, გარედან ჭვრეტდა ცხოვრებას. ძველი აღთქმის წიგნები გვიხატავს ბრძენს (მოსე, დავითი, სოლომონი, სხვა წინასწარმეტყველები), რომლებიც იმყოფებიან ცხოვრებისეული სიტუაციის შიგნით, მოქმედებენ აქტიურად, იყენებენ ყველა ყოფით შესაძლებლობას, რაღაცისკენ მიისწრაფიან და ასე აღწევენ უმაღლეს სრულყოფილებასა და ცოდნას. აქედან გამომდინარე, შუა საუკუნეთა წარმოდგენით, ადამიანი ღმერთს შეიცნობს და ეზიარება არა ფილოსოფიური ლოგიკური მსჯელობით, არამედ უშუალოდ თვით ცხოვრებაში. ამიტომაც ერთგვარად იგივეობრივი ხდება ფილოსოფოსობა და მონაზვნობა - „მონაზვნობაში" სინთეზურად იგულისხმება ცოდნა, მოქმედება, სიბრძნე და რწმენა, თეორია და პრაქტიკა. „ფილოსოფიის" ამოსავალი, პირველ რიგში, ქრისტოლოგიის ეთიკური თვალსაზრისია, ხოლო ლოგიკური მსჯელობანი „შეცვლილია" ბიბლიისეული ფსიქოლოგიური გაგებით. ამიტომ საჭირო გახდა ამ ორი ასპექტის სინთეზურად შემოტანა მეტაფრასულად გადამუშავებულ თხზულებებში.

მიქაელ პსელოსი წერდა, რომ „არსებობს ორი სახე ფილოსოფიისა. ერთის საგანია სამყარო, რომელიც შესაძლებელი ცდების ზღვარს მიღმაა; მის წყაროს წარმოადგენს მისტიკა და ინტუიცია. ეს ფილოსოფია თავის დებულებებს კი არ ამტკიცებს, არამედ მოითხოვს, რომ ისინი ირწმუნოს კაცმა. მეორე სახე ფილოსოფიისა მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს ყველა არსის ბუნება და ცდილობს, ყველა თავისი დებულება დაამტკიცოს, ე. ი. იქცევა ისე, როგორც მათემატიკა", რადგან ფილოსოფია, ფილოსოფოსობა, როგორც ითქვა, მონაზვნურ ცხოვრებას, ასკეტური ცხოვრების წესს დაუკავშირდა, ამიტომ ინტუიციასა და მისტიკას პსელოსი ადგილს უთმობს ღვთისმეტყველებაში. თუმცა აქაც იგი მის ორმაგ ხასიათს გამოკვეთს; ღვთისმეტყველება, ერთი მხრივ მტკიცებულებებს ემყარება, მეორე მხრივ კი – ზეშთაგონებას. რადგან ფილოსოფია ემყარება მტკიცებულებებს, ამიტომ პსელოსი წერს: მე არ უგულებელვყოფდი სილოგიზმს, რადგან მსურდა, აშკარად მეხილა უფალი და არა საიდუმლო გამონათქვამების საშუალებით. სილოგიზმებით დასკვნების გაკეთება არ ეწინააღმდეგება ეკლესიის მოძღვრებას, სილოგიზმები წარმოადგენს ჭეშმარიტების იარაღს, საძიებელი საგნის მოპოვების საშუალებას.

თუმცა, როგორც ცნობილია, „არისტოტელური სისტემურობით" მსჯელობის ასეთ ფორმას, რომელიც გულისხმობს ემპირიულ ცოდნას, ხილული სამყაროს უშუალო შესწავლითა და შემდგომ მისი განსჯით რომ მიიღება, წინააღმდეგობა ხვდებოდა ეკლესიის მხრივ, რადგან იქმნებოდა აზროვნების კანონიკური ფორმების შეცვლის საფრთხე.

თუ როგორ გადადის წვდომის ეს „სისტემურ-ლოგიკური" კონსტრუქცია მხატვრული აზროვნების სფეროში და როგორ ხდება იგი სახეობრივი, ამაზე მიქაელ პსელოსი ასე მსჯელობს:

„სიტყვიერ ხელოვნებაში ვბაძავ ფერმწერებს, მაშინვე კი არ ვინიშნავ დასრულებულ სიტყვიერ ხატს და არც პირველი, როგორც ამბობენ, ასოდენ ვქმნი მოძღვრებას ან უარყოფას, არამედ დასაწყისში ვაკეთებ რა ზოგად მონახაზს და თითქოსდა გამომყავს მსუბუქი ჩრდილი, ვრთავ ამ წესით მოკაზმულობას და შემომაქვს მსგავსება, რომელიც შეესაბამება წარმოსახვით ხატს. ეს პირველად ვისწავლე არა ფერმწერთაგან, არამედ გადმოვიღე ფილოსოფიიდან. მასში ხომ ძალზედ მნიშვნელოვანია ის, რაც თვით მეცნიერებას უსწრებს წინ: შესავალი ნაწილები, ზოგადი მონახაზი იმისა, რის შესახებაც იქნება საუბარი, ისევე როგორც დაბოლოებანი". როგორც ვხედავთ, ფილოსოფიური მსჯელობის მეთოდის „სიტყვიერ ხელოვნებაში" გამოყენება მიქაელ პსელოსს დასრულებული „სიტყვიერი ხატის" შექმნის საშუალებად მიაჩნდა.

გარდა ამისა, ფილოსოფიური „შემკობილობების" შემოტანის საჭიროება და მნიშვნელობა განისაზღვრება იმ არსებითი იდეოლოგიური მოთხოვნითაც, რომელსაც ჯერ კიდევ აპოლოგეტები ითვალისწინებდნენ, შემდეგ განავითარა პატრისტიკამ, განსაკუთრებით კი ბიზანტიურმა და ასახვას პოვებს წმ. ეფერემ მცირის ნააზრევში.

ლაქტანციუსი წერდა, რომ იგი ისურვებდა ჰქონოდა ციცერონის მჭერმეტყველების მსგავსი ნიჭი. რა მიზეზი აქვს ამ სურვილს: პირველი, რომ ჭეშმარიტება უფრო მალე მოეწონება ხალხს, რომელიც ჩვეულებრივ აცდუნებს მას, და, მეორე, სასიამოვნო იქნებოდა გამემარჯვა ფილოსოფოსებზე მათი საკუთარი იარაღითვე. ანალოგიურად მსჯელობს წმ. ეფრემ მცირეც: „მოუწყინებლად ვრეკდეთ ზედაჲსა – ზედა კითხვითა და უეჭველად განგუელოს კარი გულის-ხმის ყოფისაჲ, და დაღაცათუ ყოველივე ვერ გულისხმა-ვყოთ, გარნა ესე ხოლო სადმე უწყოდით, ვითარმედ ესევითარი არს საფილოსოფოსოჲ სწავლა, რომელი – იგი აქაცა საჭიროსა სახმარად შემოულებიეს წმიდასა იოანე დამასკელსა, რათა ამით მიერ წინა აღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითა ისრითა განჰგურემდენ მათ".

ასე რომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, „ფილოსოფია", „ფილოსოფოსობა" დაკავშირებულია მონაზვნობასთან, რადგან ეს უკანასკნელი უმაღლესი ჭეშმარიტების წვდომის უპირველესი საფეხურია. ამავე დროს, „ფილოსოფიურ შემკობილობათა" შემოტანა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ხელს უწყობს მკითხველებში ჭეშმარიტი „სიბრძნის სიყვარულის" გაღვიძებას. ამ გზით გადმოცემული რომელიმე კონკრეტული სახე ერთმნიშვნელოვანი აღარაა, რადგან ერთმანეთთან შერწყმულია ამ სახის როგორც თეოლოგიური, ასევე პლასტიკურ-მხატვრული ასპექტები.

მეტაფრასტიკის თეორიულ-ლიტერატურული მოდელის შემუშავება განაპირობა, აგრეთვე, ბიზანტიური ესთეტიკის ჩამოყალიბების ერთ-ერთმა უმთავრესმა ეტაპმა – ხატმბრძოლობის დამარცხებამ. ხატმბრძოლობა ბიზანტიაში მიმდინარეობდა 726-823 წ.წ.-ში. ნიკიფორე პატრიარქი და თეოდორე სტუდიელი იცავდნენ ხატთაყვანისცემას, ხოლო იმპერატორი ლეონ V (813-823) იყო ხატმებძოლი. საბოლოოდ ხატმბრძოლობის დამარცხება გაფორმდა 843 წლის 11 მარტს კონსტანტინოპოლში მოწვეულ საეკლესიო კრებაზე. ხატთაყვანისცემის გამარჯვების ნიშნად 843 წლის შემდეგ მონეტებსა და ბეჭდებზე კვლავ ჩნდება ქრისტეს გამოსახულება. ხატმბრძოლობის დამარცხება, გარდა იმისა, რომ ნიშნავდა ეკლესიის კონსოლიდაციას – მწვალებლურ მიმდინარეობათა აღმოფხვრას, ხელოვნებაში მოასწავებდა ესთეტიკური ელემენტის გაზრდას. ხედვითი ხატი სიტყვასთან ერთად იქცა განსახოვნების უმნიშვნელოვანეს საშუალებად. სასულიერო მწერლობაში შემოიჭრა „სიტყვახელოვნებითი" აღწერის ტენდენცია. როგორც ინგლისელი მეცნიერი ჯ. მეთიუ შენიშნავს, **ამ პერიოდის ბიზანტიურ ესთეტიკაში ხატი აღიქმება არა მხოლოდ როგორც გრაფემა, არამედ როგორც ლოგოსი, ნაწერი სიტყვა.** ასე რომ, ბიზანტიური მწერლობის დიდი აქცია-ძველი ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის გადამუშავება, ლოტონად დაწერილ ძეგლთა განვრცობა, გამართვა მაღალი რიტორიკული სტილის ნორმათა შესატყვისად, წარმოადგენდა ახალი ეტაპის ესთეტიკურ მოთხოვნათა განხორციელებას.

ამიტომაცაა ასეთი სულისკვეთებით აღბეჭდილი XIV ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის – ნიკიფორე გრიგორასის შემდეგი შეხედულება, რომელიც ერთგვარად ეხმიანება ეფრემ მცირის, მიქაელ პსელოსისა და წინარე ეპოქების სხვა ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს: „ვინც ხელს ჰკიდებს კალამს, უნდა მიბაძოს კარგ მხატვარს; კარგი მხატვარი კიდევაც რომ ხედავდეს დასახატი დედნის რაიმე ბუნებრივ ნაკლს, სხეულის რომელიმე ნაწილის რაიმე წუნს, ყველაფერს ზედმიწევნით კი არ გადმოიტანს სურათზე; ზოგს წაუმატებს, რომ უფრო მეტი იყოს მსგავსება, ზოგს რამეს მიჩქმალავს, რომ მნახველს თვალში არ ეცეს ბუნებრივი მანკი".

სიმეონი, ისევ როგორც წინარე მეტაფარასტები, ჟამთააღმწერელიც იყო (ცნობილია, რომ უმრავლესობა ბიზანტიელი ავტორებისა თავიანთი შემოქმედებით „მრავალჟანროვანები" არიან). ამიტომაც ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა გადამუშავებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ის თეორიული მოდელი, რომელიც შემუშავდა ისტორიოგრაფიაში და რომელიც შემდეგ მოთხოვნებს უყენებდა მწერალს: სხვადასხვა ნაწარმოების თავმოყრა და წესრიგში მოყვანა (აგათია სქოლასტიკოსი), ამბავთა პირადად შემსწრეთა გამოკითხვა, რათა არათუ დაუმოწმებელი რამ არ გაპარულიყო, არამედ სხვა წყაროსთანაც შეჯერებულიყო ჭეშმარიტების დაცვის მიზნით, რადგან ჭეშმარიტება, როგორც ერთმა ვინმემ თქვა, ისტორიის სულია (გიორგი პახიმერე); ხოლო ისტორია რჩება როგორც ცოცხალი და მეტყველი ხმა, როგორც სულის ჩამბერი და სულში მწვდომი მაცნე უკიდო საუკუნეთა მანძილზე (გიორგი სფრანძესი); ამასთანავე, საჭიროა, ისტორიკოსმა მხედველობაში მიიღოს საერთო ხმები და მითქმა-მოთქმაც, თუ არ სურს, უმტყუნოს ჭეშმარიტებას; მან არც მიდგომით ან შურით უნდა აღწეროს, არც სიძულვილით ან კეთილმიდგომით, არამედ საჭიროა, ისტორიკოსმა მხოლოდ ისტორიის გულისთვის წეროს, რათა არ მიეცეს სიღრმეს დავიწყებისასა (გიორგი აკროპოლიტე); ხოლო თუ სიტყვის საშუალებით დაწერილი მნიშვნელოვანი მოვლენები არ არის მეხსიერებისთვის გადაცემული, ისინი წარიხოცებიან ხოლმე დუმილის წყვდიადში; წიგნები კი სიცოცხლეს ანიჭებენ თვით დაღუპულ საქმეებსაც კი (იოანე ეპიფანელი); თუმცა სხვანაირად ამბების მოყოლას დუმილი სჯობს, რადგან უკეთესია, მსმენელებმა სრულიად არ იცოდნენ, ვიდრე იცოდნენ სხვანაირად და არა ისე, როგორც ისტორიას ნამდვილად სურს; იმას მარტივი უცოდინრობა მოჰყვება, რაც სამარცხვინო არ არის, ხოლო ამას ორმაგი უცოდინრობა მოჰყვება – მომხდარი ამბავი არ იცის და ჰგონია, რომ იცის; ამაზე უარესი არაფერია (გიორგი პახიმერე).

ისტორიულ თხზულებათა და, აგრეთვე, სასულიერო ნაწარმოებთა წერის უმთავრესი ეთიკური მხარე, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასე განისაზღვრა: 1) ის, რაც მომავალ თაობებს დარჩება, უნდა გადმოიცეს როგორც ნიმუში და წესი, რათა არ აღმოჩნდეს მავნე და დამღუპველი. წმ. ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ტექსტი ასეთი სიტყვებით იწყება: „ყოველივე საღმრთოდ ცხორებულთა ცხორებაᲂ სარგებელ არს კეთილად მსახურთათვის არა ხოლო წესად და სახედ, არამედ ნუგეშინის საცემელად";

2) თხზულებაში ყოველივე სწორად და ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს მოთხრობილი, რათა სხვებს არ მიეცეთ საბაბი უკადრისი საუბრისა (ნიკიფორე გრიგორასი)

ასევე მსჯელობენ ძველი დროის ქართველი ისტორიკოსებიც. მაგალითად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი აცხადებს: „აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმიან, გარდავსცე ისტორიასო". ხოლო ჟამთააღმწერელის თქმით, „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს და არა თუალახმა ვისთვისმე".

ასეთია, ერთი მხრივ, „ფილოსოფოსებრივი შემკობილობა", და, მეორე მხრივ, „კაცობრივი სიბრძნით" განსაზღვრული „უეჭველი და ჭეშმარიტი" „სიტყუანი", რომელთა ტრადიციებიც (მეთოდური თვალსაზრისითაც) შეითვისა მეტაფრასტიკამ. მას ემატება ასევე „რიტორებრივი განგრძობაც", რაც გამოიხატა „ენის აზრთან დაკავშირებით", როგორც ეს, მიქაელ პსელოსის

თქმით, სიმეონმა მოახერხა. ასე რომ, მეტაფრასული გადამუშავება და „გარდამშვენება" შეეხო არა მარტო ფრაზებს, არამედ აზრობრივ მხარესაც.

წმ. ეფრემის მიხედვით, ფილოსოფიის, ისტორიის, რიტორიკისა და ლიტერატურის ტრადიციები წმ. სიმეონმა მოგვცა როგორც „სიტყვისა და აზრის სინთეზი". აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ „რიტორებრივი განგრძობების" მიზანი და „ფილოსოფოსებრივი შემკობილობების" არსი, ქრისტოლოგიური წარმოდგენებიდან გამომდინარე, გარკვეული აზრით, ემთხვევა ერთმანეთს – რიტორიკაც და ფილოსოფიაც იმდენადაა ჩართული ტქსტის მხატვრულ ქსოვილში, რამდენადაც მათთვის დამახასიათებელი „განგრძობანი" და „შემკობილებანი" ღვთაებრივ სიბრძნეს გამოხატავენ. ამანაც განაპირობა მეტაფრასტიკის ფორმალურ-ჟანრობრივი სიახლენი.

ეფრემ მცირის თქმით, სიმეონ მეტაფრასტი იყო „ხედვისა და საქმისა მოღუაწე", „საღმრთოთა და კაცობრივითა სიბრძნითა აღსავსე". მან „საეკლესიო თხრობათგან და ხრონოღრაფთა" მცირედ-მცირედი საკითხავები შექმნა და „მოსახსენებელი" უწოდა. და აღირჩია ყოველივე უეჭუელი და ჭეშმარიტი, დაღაცათუ დიდ და ვრცელ იყვის; ვინაცა აწ ჩუენდა არად სახმარ არს სიტყუაჲ შეწყობილებისათვის საქმითთა და ხედვითთა სიტყვითაჲსა და რიტორებრივთა მათ განგრძობათა და ფილოსოფოსებრივთა მათ შემკობილობათაჲსა. ასე რომ, ეს მან გააკეთა „პირველაღწერილი სიტყვის „ძალის" შემკობით" და არა „სხუა ძალის" შემოღებით. ამდენად, მეტაფრასტიკაში ნაგულისხმევია არა „ახლებური" თემის შემოტანა, არამედ გათვალისწინებულია თემის ახლებური გაფორმება, ახლებური გადამუშავება.

როგორც კონტექსტიდან ჩანს, „ძალი" აქ შინაარსის მნიშვნელობითაა ნახმარი, ხოლო „სიტყუა" თხრობის, ამბავის, ისტორიისა, შეიძლება-ფრაზისაც.

წმ. ეფრემ მცირისეულ ტერმინებზე - „საქმითი სიტყვა" და „ხედვითი სიტყვა" – სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგნაირი მსჯელობაა: „ხედვაჲ", როგორც ქართველი მოაზროვნე განმარტავს არეოპაგიტულ თხზულებათა კომენტარებში, ნიშნავს „თეორიას". ასე რომ, „ხედვითი სიტყვაჲ" გამოხატავს „თეორიულ ნააზრევს", თეორიულ განსჯას. გამოდის, რომ მეტაფრასტულ თხზულებებში შეჰქონდათ „თეორიული განსჯანი". ასეთია მეტაფრასტიკის ერთ-ერთი თავისებურება (ასეთი ელემენტი ჰაგიოგრაფიაში ყოველთვის მოიპოვებოდა, ოღონდ მეტაფრასტიკამ ის კიდევ უფრო გააძლიერა). აქ წმ. ეფრემი შემოქმედების ინტელექტუალისტურ კონცეფციას ეხმიანება. „ხედვით სიტყვას", ქართველი თეოლოგის მიხედვით, ემიჯნება „საქმითი სიტყუაჲ", „პრაქტიკული" აზრი, შინაარსი, რომელიც კიმენური ჰაგიოგრაფიისთვის იყო დამახასიათებელი. მეტაფრასტიკამ ის გამოიყენა, ოღონდ გარდაქმნა იგი „ხედვითი სიტყვითა" თანადართვით. ეს გულისხმობს, რომ მეტაფრისტიკამ მოგვცა კიმენის „თხრობითი" შინაარსის გააზრებანი, თეორიული განსჯანი, თანაც მან „ფილოსოფიური შემკობილობა" შეიტანა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, როგორც ამას აღნიშნავს წმ. ეფრემი.

„ხედვა" რომ „თეორიას" ნიშნავს, წმ. ეფრემ მცირე ამას წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემისთვის" დართულ ერთ-ერთ კომენტარშიც შენიშნავს: „შეისწავე, რამეთუ ყოველთა მხედველად ბერძენთა ენითა ითქუმის ღმერთი, ვინაჲთაგან ხედვასა თეორია ჰრქვიან და ღმერთსა თეონ. ამისთვის ხედვად თარგმანებენ სახელსა ღრმთისასა წესითა ეტვიმოლოგიობისა, ესე იგი არს მზაპასუხობისაჲთა".

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტერმინები „სიტყვა", „საქმითი" და „რიტორებრივი განგრძობა", ერთი მხრივ, და „ძალი", „ხედვითი" და „ფილოსოფოსებრივი შემკობილება", მეორე მხრივ, სიმეონის მიერ მეტაფრასტიკაში შემოტანილი ორი სხვადასხვა ნაკადის სამეულებად შეიძლება ჩაითვალოს. პირველი სამეული „ხედვისა და საქმის მოღუაწე" სიმეონის კაცობრივ სიბრძნეს უკავშირდება, ხოლო მეორე – საღმრთო სიბრძნეს.

ასეთ სინკრეტულ ხასიათს ატარებს, წმ. ეფრემის აზრით, წმ. სიმეონის მიერ გადამუშავებულ მხატვრულ ნაწარმოებებში ფილოსოფიის, რიტორიკისა და ისტორიის თეორიული პრინციპები და მეთოდი, რაც გამოიხატა „აზრის ენასთან და ენის აზრთან დაკავშირებით" (მიქაელ პსელოსი).

Giorgi Alibegashvili

History and theory of metaphrastic according to Ephraim Minor and Michael Psellos's works

Summary

Metaphrastic has a key role in sacred writings of middle ages, especially, in the development of hagiography. Metaphrastic was formed as a field of sacred literature in X century. The process was conditioned by the aspiration for refining and rising the level of artistic-expressive works. Metaphrastic had been spread in different times and different forms in Eastern Christian writings.

Regarding the history and theory of metaphrastic, the works of Ephraim Minor and Michael Psellos carry a very special value. The observations and opinions expressed in their works reflect theologian and literary positions both in the view of ideology and terminology of middle ages. In this regard, the proposed assessment of both figures expresses syncretic character of metaphrastic, which means artistic elaboration of works considering theoretical principles and methods requirements of philosophy, rhetoric and history. In another words, regarding „language of thought and thought of language" (Ephraim Minor and Michael Psellos).

თეიმურაზ გვანცელაძე

ენა და პოლიტიკა ოკუპირებულ აფხაზეთში

ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს მთლიანად, ან ნაწილობრივ ოკუპაციასა და ანექსიას, ჩვეულებრივ, მოსდევს მითვისებული ტერიტორიის, ამ მიწაწყლის მოსახლეობის, ადგილობრივი ენების, კულტურის, რელიგიის მიმართ დაგეგმილ ღონისძიებათა განხორციელება, რამაც საბოლოოდ უნდა გამოიწვიოს ოკუპირებული მხარის სამართლებრივი, ეთნიკურ-დემოგრაფიული, ენობრივი, კულტურული და რელიგიური ვითარების იმგვარი ცვლა, რომ წარმოიქმნას ოკუპანტისათვის ხელსაყრელი გარემო.

ამ ზოგადი კანონზომიერების გამოვლენის ცხადი მაგალითია 1993 წლის სექტემბრიდან დღემდე მიმდინარე პროცესები, რაც ხდება რუსეთის ფედერაციის დაუფარავი სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებული და ანექსირებული, საქართველოს იურისდიქციაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამ პროცესებში განსაკუთრებული ფუნქცია აქვს დაკისრებული სოციოლინგვისტურ ასპექტებს, კერძოდ, ენობრივ პოლიტიკას, რომლის ნაწილსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ.

ეთნიკურ-დემოგრაფიული ვითარების ცვლა აფხაზეთში

1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებულ და 1993 წლის 30 სექტემბერს დასრულებულ რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდში საომარი ოპერაციები იგეგმებოდა და ხორციელდებოდა რუსეთის დაფინანსების საფუძველზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინტელექტუალური შესაძლებლობებითა და ხელმძღვანელობით ამ ქვეყნის გენერალიტეტის, რეგულარული სამხედრო ნაწილების, რუსეთის მოქალაქე „მოხალისეებისა" და სამხედრო ტექნიკის მონაწილეობით, აგრეთვე აფხაზთა და სომეხთა შეიარაღებული ფორმირებების მიერ.

ივარაუდება, რომ ომის შედეგად, დაიღუპა 20-30 ათასი ეთნიკური ქართველი, 2 500-იდან 4 000-მდე ეთნიკური აფხაზი; დევნილად იქცა მხარეში მცხოვრები 250 000-მდე ყველა ეროვნების მოქალაქე, მათგან 200 000-მდე ეთნიკური ქართველი და 20 000-მდე აფხაზი[1].

ეუთოს მიერ ბუდაპეშტის (1994 წ.), ლისაბონისა (1996 წ.) და სტამბოლის (1999 წ.) სამიტებზე მიღებული რეზოლუციებით აღიარებულია, რომ აფხაზეთში ომის მიმდინარეობისა და მისი დასრულების შემდგომ განხორციელდა **ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა:** მასობრივად დახოცეს, ან გააძევეს მშვიდობიანი ქართველები გაგრასა და სოხუმში, აგრეთვე მრავალ სოფელში[2].

ეთნიკური წმენდის დამადასტურებელი სხვა ფაქტების გვერდით აღსანიშნავია ის, რომ ომამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული 6 რაიონიდან (გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონები), რომლებშიც მეტ-ნაკლებად დიდი რაოდენობით ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა, ომის შემდეგ ისინი პრაქტიკულად თითქმის სრულებით არ არიან წარმოდგენილნი 4 რაიონში (გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონები).

იმ ცვლილებათა მასშტაბის შესაფასებლად, რაც გამოიწვია ომმა მხარის ეთნიკურ-დემოგრაფიულ ვითარებაში, წარმოვადგენთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის

[1]https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთის_ომი_(1992-1993)

[2]https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთის_ომი_(1992-1993); ეთნიკური წმენდის შედეგად დაღუპულ ქართველთა სია იხ.: http://scara.gov.ge/ka/2010-07-05-08-39-35/691--1992-.html

ეთნიკური განაწილების მონაცემებს 1989 წლის საყოველთაო აღწერისა და მხარის საოკუპაციო რეჟიმის მიერ 2003 და 2011 წლებში ჩატარებული აღწერების მიხედვით[3]:

ცხრილი №1

ეროვნება	მოქალაქეთა რაოდენობა და წილი (1989 წ.)	მოქალაქეთა რაოდენობა და წილი (2003 წ.)	მოქალაქეთა რაოდენობა და წილი (2011 წ.)
აფხაზი	93 267 (17,7%)	94 606 (44,0%)	122 069 (50,7%)
ქართველი	239 872 (45,7%)	45 953 (21,3%)	46 367 (19,3%)
სომეხი	76 541 (14,6%)	44 870 (20,8%)	41 864 (17,3%)
რუსი	74 913 (14,3%)	23 420 (10,9%)	22 077 (9,2%)
ბერძენი	14 664 (2,8%)	1 486 (0,7%)	1 380 (0,6%)
უკრაინელი	11 655 (2,2%)	1 797 (0,8%)	1 743 (0,7%)
სხვა	14 149 (2,7%)	3 140 (1,4%)	5 205 (2,2%)
ჯამი	525 061 (100%)	215 272 (100%)	240 705 (100%)

ამ ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან აშკარად გაყალბებულია 2003 და 2011 წლებისათვის. ჩვენი შეფასებით, რეალობა ასეთი უნდა იყოს:

ცხრილი №2

ეროვნება	მოქალაქეთა რაოდენობა და წილი (1989 წ.)	მოქალაქეთა რაოდენობა და წილი (2015 წ.)
აფხაზი	93 267 (17,7%)	50 000 (27,7%)
ქართველი	239 872 (45,7%)	65 000 (36,1%)
სომეხი	76 541 (14,6%)	60 000 (33,3%)
რუსი	74 913 (14,3%)	12 000 (6,6%)
ბერძენი	14 664 (2,8%)	1 000 (0,5%)
უკრაინელი	11 655 (2,2%)	1 000 (0,5%)
სხვა	14 149 (2,7%)	2 000 (1,1%)
ჯამი	525 061 (100%)	180 000 (100%)

თუნდაც ჩვენ ვცდებოდეთ და საოკუპაციო რეჟიმის მონაცემები სიმართლეს ასახავდეს, მაინც ცხადია, თუ რა კატასტროფული აღმოჩნდა მხარის მოსახლეობისათვის ომის შედეგები.

დაუჯერებელია, თითქოს აფხაზთა ამჟამინდელი საერთო რიცხოვნობა აღემატებოდეს ომამდელ დონეს 28 802 კაცით. 1989 და 2003 წლების მონაცემთა საფუძველზე პროფ. მერაბ ნაჭყებიასა და პროფ. მანანა ტაბიძის მიერ გამოთქმული შეფასების პერიფრაზირებით შეგვიძლია განვაცხადოთ შემდეგი:

ამ მონაცემებით მიგვანიშნებენ, თითქოს ომს აფხაზებისთვის კვალი სრულებით არ დაუჩნევია მაშინ, როდესაც აფხაზეთის ომში აფხაზების მხარეზე მონაწილე რუსები და სომხები ამტკიცებენ, რომ ომმა მათ რიცხოვნობაზე კატასტროფულად იმოქმედა... ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ აფხაზები არასოდეს გამოირჩეოდნენ დიდი მატებით. რა უნდა ითქვას ამის გამო? რატომ უმატებენ აფხაზთა რიცხოვნობას რუსი და აფხაზი ავტორები? როგორც ჩანს, **რუსების შემთხვევაში მოქმედებს დამნაშავის სინდრომი:** ომი **რუსეთმა დაიწყო** არა აფხაზი ხალხის ინტერესების დასაცავად, არამედ რუსეთის გავლენის სფეროდან გასვლის მოსურნე **საქართველოს დასასჯელად და მისი კუთვნილი მიწის მისატაცებლად**. რაკი რუსეთი ფარავს თავის რეალურ გეგმას, დემაგოგიურად ამახინჯებს სინამდვილეს, რათა მსოფლიო დაარწმუნოს, რომ

[3] წყარო: https://ru.wikipedia.org/wiki/Население–Абхазии

„ქართველებისაგან დაჩაგრულ აფხაზ ხალხს" სულ რაღაც 14 წელიწადში დაეწყო **დემოგრაფიული ბუმი** და მისი საქმე რუსეთის წყალობით ბრწყინვალედ მიდის[4].

ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ იმავე მიზანს ემსახურება აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ქცევაც, თუმცა იგივე რეჟიმი, პოლიტიზებული აფხაზი მეცნიერები და აფხაზეთის მედია ხშირად აცხადებენ, რომ 1992-1993 წლების ომის დროს ქართველებმა „გაანადგურეს აფხაზთა გენოფონდი", ხოლო როგორც ომის მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდგომ ათასობით აფხაზი წავიდა ემიგრაციაში რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

ამრიგად, 2003 და 2011 წლების აღწერების მონაცემები რეალობისაგან ძალზე შორს მდგომ სურათს წარმოგვიდგენს, რაც განპირობებული ჩანს ერთი მთავარი მიზეზით: ჯერ ერთი, **აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა შეასრულა მოსკოვის დაკვეთა, წარმოეჩინა იდეალური სურათი რეალურად მძიმე ვითარების შესალამაზებლად**; მეორე, 2011 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებში აფხაზთა რაოდენობად **122 069 კაცის მითითება, რაც მხარის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი - 50,7% გამოდის, მიზნად ისახავს მსოფლიოსათვის იმის ჩვენებას, თითქოს 1992-1993 წლების „სამამულო" ომი „სამართლიანი" იყო და მის შემდგომ „აღდგა ქართველთაგან განადგურების პირას მიყვანილი" ხალხის დემოგრაფიული შესაძლებლობები**; მესამე, იგივე ციფრები მსოფლიოს იმასაც უკარნახებს, რომ **აფხაზეთს დამოუკიდებლობა თუნდაც იმიტომ ეკუთვნის, რომ იქ მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეთნიკური აფხაზია**.

სინამდვილეში აფხაზეთში 11-თვიანი ომის შედეგად რადიკალურად შემცირდა მოსახლეობის საერთო რაოდენობა, მათ შორის ორივე მთავარი ეთნოსის - **აფხაზებისა და ქართველების** რიცხოვნობა, რაც უადვილებს რუსეთს იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას მხარეში.

მაგრამ მხოლოდ ეთნიკურ-დემოგრაფიული ვითარების ხელოვნურად შეცვლა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ იოლად იქნება მიღწეული რუსეთის საბოლოო მიზნები - **აფხაზეთის სრული მიერთება (შდრ. 2014 წელს გათამაშებული ყირიმისა და დონეცკ-ლუგანსკის სცენარი უკრაინაში) და თავის მიმართ ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის ყოლა, აფხაზეთის მოსახლეობის ყველა არარუსული ჯგუფის ეთნიკური იდენტობის მოშლა და გარუსებისათვის მყარი ნიადაგის შექმნა**. ამ მიზნების მიღწევას პოლიტიკური ხერხების მთელი კომპლექსის განხორციელება სჭირდებოდა და თითქმის ომის დასრულების მეორე დღესვე დაიწყო ამ ხერხების გამოყენება.

იმის გამო, რომ ეთნიკური იდენტობა ადამიანის ფუნდამენტური მახასიათებელია, ხოლო მისი უმთავრესი კომპონენტი დედაენაა, საოკუპაციო რეჟიმს სწორედ ენობრივ იდენტობაზე შეტევა დაუსახეს ძირითად მიზნად და ისიც ახორციელებს ანტიეროვნულ ენობრივ პოლიტიკას, რაც რამდენიმე ძირითადი მიმართულებით იერიშს გულისხმობს. მივყვეთ თანმიმდევრულად:

ენების სტატუსი

1926 წლიდან მოყოლებული აფხაზეთის ომამდე მხარის კონსტიტუციაში უცვლელად იყო ჩაწერილი, რომ ამ მიწაწყალზე **სახელმწიფო ენებია აფხაზური, ქართული და რუსული**, თუმცა პრაქტიკულად ეს ფუნქცია აფხაზურ ენას არასოდეს შეუსრულებია თვით აფხაზურ სოფლებშიც კი, ქართული ენა გამოიყენებოდა მხოლოდ ზოგ სფეროში, ხოლო რუსული ენა იყო ერთადერთი პრესტიჟული სახელმწიფო ენა, რომელიც იხმარებოდა ოფიციალურ საქმისწარმოებაში, განათლების ყველა დონეზე, კულტურასა და მეცნიერებაში, მასმედიაში, რელიგიურ ღვთისმსახურებაში.

აფხაზეთის ომის დასრულებისთანავე ადრინდელი სახელმწიფო ენებიდან აიკრძალა მხოლოდ ქართული ენის გამოყენება საქმისწარმოებაში, მასმედიაში, კულტურაში, უმაღლეს განათლებაში,

[4] **მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე**. აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება. 1993-2010 წლები. თბილისი, 2010, გვ. 99-100.

მეცნიერებაში, ღვთისმსახურებაში. მეტიც, გალის რაიონის გარდა, ამ ენაზე დალაპარაკებაც კი დიდხანს სახიფათო იყო სიცოცხლისათვის.

1994 წლის 26 ნოემბერს მიღებულ იქნა „რესპუბლიკა აფხაზეთის კონსტიტუცია", რომლის არცერთ მუხლში, მათ შორის არც ენისადმი მიძღვნილ მე-6 მუხლში ქართული ენა სრულებით აღარ იხსენიება:

"აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა აფხაზური.

რუსული ენა აფხაზურთან ერთად აღიარებულია სახელმწიფო და სხვა დაწესებულებათა ენად.

სახელმწიფო გარანტიას უქმნის აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის უფლებას, თავისუფლად გამოიყენონ დედაენა"[5].

ციტირებული ტექსტიდან ცხადად ჩანს, რომ **აფხაზური ენის ოფიციალური სტატუსი ფიქციაა**, ვინაიდან რუსულ ენას მისი ტოლი იურიდიული უფლებები აქვს არა რომელიმე პერიფერიულ სფეროებში, არამედ **სახელმწიფო დაწესებულებებში**. მოხმობილი მუხლი იმასაც გვიდასტურებს, რომ კომუნისტური დემაგოგიის ინერციითა და „დემოკრატიის" მოჩვენებითი დაცვის მიზნითაა ჩაწერილი ბოლო აბზაცი სხვა ენების უფლებებისა და გარანტიის შესახებ.

"კონსტიტუციის" დამტკიცებიდან გასული რამდენიმე წლის განმავლობაში აფხაზური ენისათვის განსაზღვრული მაღალი სტატუსი მე-6 მუხლის წინააღმდეგობრივი ხასიათისა და სხვა ფაქტორების გამო რეალურად არაფერს იძლეოდა:

- აფხაზური ენა კვლავ რჩებოდა **მონოეთნიკურ გარემოში არასრულად ფუნქციონირებად ენად**, ვინაიდან მას ვერ ფლობდა არა მარტო ეთნიკური აფხაზების უმრავლესობა (ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, აგრეთვე სოფლელი ბავშვებისა და ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი), არამედ სხვა ეროვნების ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა;
- სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების სფეროში წამყვანი ადგილი კვლავ რუსულ ენას ეჭირა;
- სამეცნიერო დარგების უმრავლესობა იყენებდა მხოლოდ რუსულ ენას;
- არ გამოდიოდა, ან მცირე ტირაჟით იბეჭდებოდა აფხაზურენოვანი პრესა;
- სატელევიზო გადაცემების უმრავლესობა გადაიცემოდა რუსულ ენაზე;
- აფხაზურ ენაზე გამოსულ მხატვრულ ლიტერატურას ძალიან დაბალი ტირაჟი ჰქონდა და, რაც მთავარია, არ ჰყავდა მყიდველი და მკითხველი;
- ოფიციალური საქმისწარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე ხდებოდა;
- ქრისტიანული ღვთისმსახურება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე;
- „პარლამენტისა" და „მთავრობის" სამუშაო ენა რუსული იყო;
- საინფორმაციო ფირნიშნებისა და აბრების უმრავლესობა რუსულ ენაზე იწერებოდა და ა.შ.

ამ პრობლემების დაძლევისა და ენათა უფლებების მოწესრიგების მიზნით 2007 წლის 14 ნოემბერს დე ფაქტო პარლამენტმა მიიღო და 29 ნოემბერს დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშის ხელმოწერით დამტკიცდა **„კანონი აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენის შესახებ"**. ამ „კანონის" მიხედვით განისაზღვრა, რომ მისი ძირითადი ნაწილი ამოქმედდებოდა დამტკიცების დღესვე, ხოლო რამდენიმე მუხლის ცალკეული პუნქტების ამოქმედების ვადად დადგინდა ხელმოწერიდან 6 თვე, აგრეთვე 2010 და 2015 წლები. საყურადღებოა, რომ „კანონის" მთელ ტექსტში ტერმინოლოგიური შესიტყვება „სახელმწიფო ენა" გულისხმობს მხოლოდ აფხაზურ ენას და არ გულისხმობს რუსულ ენასაც კი. „კანონის" მე-2 მუხლი იწყება „კონსტიტუციის" მე-6 მუხლის ზუსტი გამეორებით, რასაც მოსდევს შემდეგი ტექსტი:

[5] http://www.emb-abkhazia.ru/respublika_abhaziya/konstituciya_respubliki_abhaziya

„...აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ვალდებულნი არიან, იცოდნენ აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა.

სახელმწიფო უზრუნველყოფს აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენის შესწავლას, განვითარებასა და ფუნქციონირებას.

აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების, მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრების-პარლამენტის დეპუტატები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, იცოდნენ და იყენებდნენ აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენას"[6].

ციტირებული მუხლის ბოლო აბზაცი ძალაში უნდა შესულიყო 2015 წლის დადგომისთანავე, ხოლო „კანონის" ტექსტის თავდაპირველი ვარიანტის მე-6 მუხლში ისიც იყო მითითებული, რომ „კანონის" გამოქვეყნებიდან 6 თვის გასვლის შემდგომ მასმედიის ყველა საშუალება უნდა გადასულიყო სახელმწიფო ენაზე, ხოლო ტელევიზიას ამ ენაზე უნდა გადაეცა გადაცემათა არანაკლებ ნახევრისა.

„ენის კანონის" ციტირებულ ტექსტს თუ ვენდობით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯერ კიდევ 2007 წელს აფხაზებს თავი დაუღწევიათ რუსული ენის ზეგავლენისაგან და გაუზრდიათ აფხაზური ენის უფლებები, მაგრამ რეალობა სულ სხვა აღმოჩნდა:

განგაში პირველებმა ჟურნალისტებმა და გამომცემლებმა ატეხეს. მათი განცხადებით, ამ „კანონის" ამოქმედება გააძვირებდა და გააკოტრებდა მასმედიას, ვინაიდან აუცილებელი გახდება აფხაზური ენის მცოდნე თანამშრომლების აყვანა, ან უკვე მომუშავე პერსონალის გადამზადება და ახალი ტექნიკის შეძენა, ხოლო 2015 წლამდე დარჩენილი დრო არ იქნება საკმარისი აფხაზური ენის უცოდინარი პირების მიერ სასწავლო ცენტრების გასახსნელად და ამ ენის შესასწავლადო...[7].

„კანონის" გამოსვლიდან გასული 8 წლის განმავლობაში ზემოთ ციტირებული მუხლის მოთხოვნები ნაწილობრივ შესრულდა:

- შეიქმნა **აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა**;
- დაარსდა **აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო ფონდი**, რომელიც აფინანსებს აფხაზური ენის შემსწავლელთათვის განკუთვნილ სხვადასხვა დონის სახელმძღვანელოებს, აუდიო- და ვიდეოგაკვეთილებს, კომპაქტ-დისკებს, მულტფილმებისა და ფილმების აფხაზურ ენაზე დუბლირებას, უფასოდ არიგებს სასწავლო მასალებს საბავშვო ბაღებსა და სკოლებში;
- ყველა რაიონში შეიქმნა **აფხაზური ენის კურსები**;
- **კონსულტაციას უწევდნენ და სასწავლო საშუალებებს აწვდიდნენ** საზღვარგარეთ (თურქეთის ქალაქებში: ანკარაში, იზმითში, დუზჯესა და ადაფაზარში) მოქმედ ენის კურსების მასწავლებლებს.

ჩვენი აზრით, ეს ღონისძიებები უდავოდ სასარგებლოა, მაგრამ საკმარისი სულაც არ არის აფხაზური ენის გადარჩენისა და მის მიერ სახელმწიფო ენის ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად.

სწავლების ენა

როგორც ცნობილია, მოსახლეობაში ენის ცოდნის მდგომარეობა დიდად არის დამოკიდებული სწავლების ენის საკითხზე. ამიტომ საყურადღებოა „ენის კანონის" მე-7 მუხლი „აღზრდისა და სწავლების ენა", სადაც წერია:

[6] http://www.abiblioteka.info/rus/doc/section_6/abk_law/lang.html

[7] **მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე**. აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება. 1993-2010 წლები. თბილისი, 2010, გვ. 118-119.

"აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენასა და რუსულ ენაზე აღზრდა და სწავლება.

სახელმწიფო ხელს უწყობს თავის მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყნის გარეთ, აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე სწავლებისა და აღზრდის სხვადასხვა ფორმის ორგანიზებაში.

აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ, მიიღონ განათლება დედაენაზე, აგრეთვე აირჩიონ სწავლების ენა საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში არსებული შესაძლებლობების მიხედვით.

აფხაზეთის რესპუბლიკაში ეროვნულ კულტურულ საზოგადოებებს შეუძლიათ დადგენილი წესით შექმნან მათ დედაენაზე მოქმედი სკოლამდელი და კულტურის დაწესებულებები.

სახელმწიფო ენა შეისწავლება აფხაზეთის რესპუბლიკის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და საგანმანათლებლო დაწესებულების უწყებრივი დაქვემდებარებისა.

აფხაზეთის რესპუბლიკის საშუალო, საშუალო სპეციალური, საშუალო პროფესიული და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები აბარებენ სახელმწიფო გამოცდებს აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაში.

ენის ცოდნის საჭირო დონე დგინდება აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენის შესწავლის სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით.

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სამეცნიერო ნაშრომების წარდგენა და საჯარო დაცვა ხდება აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, ანდა რუსულ ენაზე"[8].

როგორც ვხედავთ, ,,ენის კანონის" ამ მუხლშიც **თანაბარ დონეზეა დაყენებული აფხაზური და რუსული ენები** და სრულებით არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ **კონკრეტულად როგორ უნდა დაიძლიოს აფხაზთა შორის დედაენის ცოდნის უდაბლესი დონის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი - ე.წ. აფხაზურ სკოლაში სწავლების მთელი ციკლის სხვის ენაზე სწავლება მე-5 კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით**.

როგორც ცნობილია, არა მარტო აფხაზეთში, არამედ რუსეთის მიერ ოკუპირებულ შიდა ქართლშიც (ცხინვალის მხარეში) და რუსეთის ფედერაციაში შემავალ უკლებლივ ყველა რესპუბლიკაშიც მოქმედებს **ე.წ. ეროვნული სკოლები**, რომლებიც გადმონაშთია XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში მოქმედი **სამრევლო სკოლებისა**. სამრევლო სკოლებში მოსწავლეებს დედაენაზე ასწავლიდნენ სწავლების პირველ წელს, პარალელურად კი ინტენსიურად ისწავლებოდა რუსული ენაც, ხოლო მეორე წლიდან ყველა საგანს ასწავლიდნენ რუსულ ენაზე. **ამ საგანმანათლებლო სისტემის მიზანი მოსწავლეთა ენობრივ-ეროვნული იდენტობის შერყევა და გარუსების პროცესის დაჩქარება იყო, მოსწავლეთა დედაენას კი მხოლოდ დამხმარე როლი ეკისრებოდა**. საბჭოთა პერიოდში ამ ტიპის სკოლები არ შეცვლილა და ისინი მოქმედებდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა და ავტონომიურ წარმონაქმნთა უმრავლესობაში[9].

დაისმის კითხვა: **რატომ არ დაისახეს მიზნად აფხაზმა ,,კანონმდებლებმა" ეგრეთ წოდებული აფხაზური, რეალურად კი რუსული სკოლის ჭეშმარიტად ეროვნულ სკოლად გარდაქმნის ამოცანა?**

პასუხი მარტივია: **აფხაზ ,,კანონმდებლებს" ამის ნებას მოსკოვი არასოდეს მისცემს**, ვინაიდან ე.წ. აფხაზური სკოლის ნამდვილად ეროვნულ სკოლად გარდაქმნის პრეცედენტი

[8] http://www.abiblioteka.info/rus/doc/section_6/abk_law/lang.html

[9] **თ. გვანცელაძე**. აფხაზური ენის ფუნქციონირება განათლების სფეროში. – "სპეკალი", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, № 2, 2010. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/magazinHeadlines/2

ეპიდემიასავით სწრაფად გამოიწვევს ანალოგიური რეფორმის მოთხოვნებს რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში, განსაკუთრებით კი ისედაც ამღვრეულ ჩრდილოეთ კავკასიასა და ვოლგისპირეთში, რაც დაანგრევს ჯერ კიდევ ცარიზმის მიერ XIX საუკუნეში შემუშავებულ რუსიფიკატორულ საგანმანათლებლო სისტემას, რომელსაც რატომღაც **„ეროვნული სკოლა"** ეწოდება.

2013 წლის 3 სექტემბრის ინფორმაციით, აფხაზეთში სულ მოქმედებდა 165 საშუალო სკოლა, რომელთაგან 60 „აფხაზური" იყო, 16 - შერეული „აფხაზურ"-რუსული, 47 - რუსული, 31 - სომხური და 11 - ქართული[10].

რაკი რეალურად „აფხაზურ" სკოლებში მეხუთე კლასიდან ყველა დისციპლინის სწავლების ენა რუსულია (გამონაკლისია მხოლოდ დისციპლინები: **„აფხაზური ენა"** და **„აფხაზური ლიტერატურა"**), მოყვანილი სტატისტიკა არ ასახავს სინამდვილეს და მხარის საოკუპაციო რეჟიმი ან თავს იტყუებს, ანდა შეცდომაში შეჰყავს მთელი მსოფლიო: **რეალურად „აფხაზური", „აფხაზურ"-რუსული და რუსული სკოლები რუსულენოვანი სკოლებია** და მათი რაოდენობის ჯამი მხარის სკოლათა საერთო რიცხოვნობაში შეადგენს 123 ერთეულს, ანუ არსებული სკოლების 74,5%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ **მხარის მოსწავლეთა 2/3-ზე მეტი, მათ შორის უკლებლივ ყველა აფხაზი ბავშვი, ყოველდღე განიცდის რუსული ენის წამლეკავ ზეგავლენას**:

- ფიქრობს, წერს და მეტყველებს თითქმის მხოლოდ რუსულ ენაზე;
- ზუსტ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში სწავლობს მხოლოდ რუსულ ტერმინოლოგიას;
- აღიქვამს სამყაროს რუსული ენის პრიზმიდან;
- აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოების დაბალი დონე უჩენს აგდებულ-ნიჰილისტურ დამოკიდებულებას აფხაზური ენის, მხატვრული ლიტერატურისა და კულტურის დაბალი დონის შესახებ;
- ეჩვევა იმ აზრს, რომ მისი ეროვნების ენა და კულტურა უუფლებო და უპერსპექტივოა, ხოლო რუსული ენა და კულტურა უმაღლესი კატეგორიის, სრულყოფილი, პრესტიჟული და პირადი კარიერის ასაწყობად ყველაზე გამოსადეგი ენაა.

ყოველივე ეს კარგად ჩანს ინტერნეტით გავრცელებულ თვით იმ მასალებშიც კი, რომლებშიც საუბარია აფხაზური ენის შესწავლისა და სწავლების პრობლემებზე. მაგალითად, აფსნიპრესის მიერ 2012 წლის 5 აპრილს გავრცელებულ მრავლისმეტყველი სათაურის მქონე მასალაში **„აფხაზი ბავშვები აფხაზურ სკოლებში"** (Абхазские дети - в абхазские школы) მოთხრობილია იმ დღეს **გაგრის რაიონის სოფელ ბზიფის** ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ დე ფაქტო მაღალი თანამდებობის პირებს, პედაგოგებსა და მოსახლეობას. განუხილავთ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში აფხაზური ენის გამოყენებისა და სწავლების საკითხი. არსებული პრობლემებიდან დასახელებულა შემდეგი:

- უარესდება აფხაზური ენის სწავლების მდგომარეობა სკოლებსა და საბავშვო ბაღებში;
- რუსულ სკოლებში უფრო მეტი აფხაზი ბავშვი სწავლობს, ვიდრე „აფხაზურ" სკოლებში;
- აფხაზებს ერცხვინებათ აფხაზურ ენაზე ლაპარაკი;
- მართალია, აფხაზეთის სახელმწიფო ტელევიზიის გადაცემათა უმრავლესობა აფხაზურ ენაზეა, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო ამ ტელევიზიის სიგნალს ყველგან ვერ იღებენ;
- რუსულენოვანი სკოლები და საბავშვო ბაღები უკეთესადაა მოწყობილი და აღჭურვილი, ვიდრე აფხაზურენოვანნი, რის გამოც მშობლებს შვილები სასწავლად რუსულ სკოლებში შეჰყავთ;

[10] http://abkhazeti.info/abkhazia/2013/1378241687.php

- რუსული სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობა ეროვნებით აფხაზია. მაგალითად, გაგრის №2 რუსულ სკოლაში აფხაზია მოსწავლეთა 38%, რუსი - 23%, ხოლო სხვები [ძირითადად სომხები – თ.გ.] – 39%;
- უინტერესოა აფხაზურენოვანი სასწავლო ლიტერატურა და თვალსაჩინოების მასალები;
- დაბალია დედაენის სწავლების დონე;
- საკმარისი არ არის აფხაზური ენის პედაგოგთა კადრები;
- აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო ფონდის მიერ აფხაზურ ენაზე გახმოვანებული მულტფილმები კარგია, მაგრამ არ არსებობს აფხაზური ფოლკლორის მიხედვით გადაღებული მულტფილმები;
- საბავშვო ბაღებში შეყვანილი პატარების უმრავლესობამ არ იცის აფხაზური ენა, რის გამოც მათთან თანატოლები რუსულ ენაზე ურთიერთობენ [ე.ი. აფხაზურის მცოდნე პატარების ნაწილი საკომუნიკაციო დონეზე მაინც ფლობს რუსულ ენას - თ.გ.];
- საბავშვო ბაღებში ცალ-ცალკე არ არსებობს დედაენის მცოდნეთა და ამ ენის უცოდინართა ჯგუფები;
- აფხაზი მასწავლებლები ერთმანეთთან უმეტესად რუსულ ენაზე ურთიერთობენ, რითაც ცუდ მაგალითს აძლევენ მოსწავლეებს;
- არ ეწყობა შეხვედრები აფხაზ მწერლებთან და მსახიობებთან;
- ბავშვებს დედაენის სიყვარული უნდა ჩაუნერგონ ჯერ მშობლებმა, შემდეგ მასწავლებლებმა;
- შეკრების მონაწილეთა უმრავლესობამ არც კი იცოდა აფხაზური ენის განვითარების ფონდის მიერ გამოცემული და დამზადებული სასწავლო მასალების არსებობა;
- მხარის დე ფაქტო პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, აფხაზურ სკოლებში სასწავლად მთავარი სურვილი ყოფილა;
- "ხელისუფლება" ნაკლებ ყურადღებას უთმობს აფხაზური ენის სწავლების გაუმჯობესებას;
- უნდა შემუშავდეს აფხაზური ენის გადარჩენის ახალი სტრატეგია[11].

ამ ინფორმაციიდან სრულიად უეჭველად ჩანს, რომ არც თანამდებობის პირებს, არც პედაგოგებსა და არც მშობლებს **არ შეუძლიათ დაინახონ, ანდა, რაც უარესია, ხედავენ, მაგრამ ვერ ამხელენ**, რომ აფხაზური ენის სასკოლო სწავლებას ვერ უშველის ვერც საბავშვო ბაღებისა და სკოლების მაღალ დონეზე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ვერც მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ვერც სახელმძღვანელოების, თვალსაჩინოებათა ბეჭდვა და მულტფილმები, ვერც მშობელთა და პედაგოგთა შეგნებაზე აპელირება – მათ უნდა შეიგნონ, რომ **მთავარია აფხაზი ბავშვების გამარუსებელი საგანმანათლებლო სისტემისაგან მოწყვეტა, ე.წ. აფხაზურ საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და უნივერსიტეტის „აფხაზურ" სექტორებზე დედაენაზე სწავლების უზრუნველყოფა პრინციპით „აფხაზური ენა ბაღიდან დიპლომის მიღებამდე"**. ღრმად გვწამს, რომ, თუკი ეს საფუძველი შეიქმნება, ამაღლდება აფხაზური ენის პრესტიჟიც, თუმცა მაინც დარჩება ბევრი პრობლემა, რომლებსაც აფხაზური საზოგადოება მარტო ვერ მოუვლის და ჭეშმარიტი მოკეთეების დახმარება დასჭირდება...

აფხაზური ენის სწავლების უკიდურესად დაბალი დონისა და უკიდურესად დიდი პრობლემურობის ფონზე უბრალოდ გაუგებარია საოკუპაციო რეჟიმის განცხადებები გალის რაიონში ჯერ კიდევ მოქმედი 11-ოდე ქართულ სკოლაში სწავლების ე.წ. აფხაზურ მოდელზე, ან პირდაპირ რუსულ სისტემაზე გადაყვანის აუცილებლობის შესახებ. ვინაიდან **ჭეშმარიტად აფხაზური საგანმანათლებლო სისტემა დღემდე არასოდეს არსებულა - იყო და არის მხოლოდ**

[11] http://apsnypress.info/news/5927.html

რუსული საგანმანათლებლო სისტემა აფხაზური ენის სწავლების ელემენტებითურთ, გალის რაიონის **ქართველ მოსწავლეებს დიდი არჩევანი არ რჩებათ**: მათ ან თვით აფხაზურ თემში არაპოპულარული და უპრესტიჟო ფსევდოაფხაზური სკოლა უნდა აირჩიონ, ანდა პირდაპირ აფხაზეთში ყველაზე პრესტიჟულ რუსულ სკოლებს უნდა მიაშურონ. იოლი მისახვედრია, თუ ასეთ პირობებში რას აირჩევს მოსახლეობა და ამაში **მოსკოველ დამგეგმავ-დამკვეთთან ერთად დამნაშავე იქნება აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმიც და ის აფხაზური ინტელიგენციაც, რომელიც ვერ/არ ხედავს საკუთარი იდენტობისათვის არსებულ რეალურ საფრთხეს და ქართველებსაც უბიძგებს იმავე უფსკრულისაკენ, რომლისკენაც უკვე დიდი ხანია მიექანებიან.**

შედარებისათვის ვიტყვით, რომ ომამდე გალის რაიონში 58 სკოლა მოქმედებდა. მათგან 19 სკოლა დაწვეს აფხაზებმა, რუსებმა და ჩრდილოეთკავკასიელმა მარბიელებმა ომის დასრულებისთანავე. მოგვიანებით რაიონის 10 სოფელი მიუერთდა ახლადშექმნილ ტყვარჩელის რაიონს, სადაც ყველა ქართული სკოლა მაშინვე გადაიყვანეს რუსულ ენაზე. გალის რაიონში ამჟამად მოქმედებს 31 სკოლა, მათ შორის მხოლოდ 11 სკოლაში მეტად შეკვეცილად მიმდინარეობს სწავლება ქართულ ენაზე. მიმდინარე წლის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2015 წლის სექტემბრიდან გალის რაიონის სკოლებში სწავლება მეგრული მეტყველების საფუძველზე დაიწყებოდა[12], გამოსცეს კიდეც ვინმე ნარგიზა ბასარიას შედგენილი მეგრულის სახელმძღვანელო, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო (მეგრულად სხვა სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის არარსებობა, ახალი წიგნების ავტორთა შრომის ასანაზღაურებელი თანხის უქონლობა, ამ წიგნების ბეჭდვის ხარჯები, პედაგოგთა უყოლობა, კონტროლის სიძნელე...) უარი ითქვა ამ გეგმაზე, სამაგიეროდ გაჟღერდა ახალი გადაწყვეტილება 11-ვე ქართულ სკოლაში სწავლების ე.წ. აფხაზურ, ან რუსულ სისტემაზე გადაყვანის შესახებ.

ყოველივე ეს იმ პირობებში ხდება, როცა თვით აფხაზ ხალხს უკიდურესად უჭირს რეალურად დაიცვას საკუთარი ენა რუსული ენის მძლავრი ზეგავლენისაგან, რაც ზემოთ დასახელებული ფაქტების გარდა თვალსაჩინოდ ჩანს კიდევ ერთი ფაქტიდანაც:

"ენის კანონისა" და სამრევლო სკოლის ტიპის ფსევდოაფხაზური საგანმანათლებლო სისტემის მანკიერება არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ 2014-2015 სასწავლო წლის მიწურულს მხარის ყველაზე პრესტიჟულ სკოლად მიჩნეული **სოხუმის №10 „აფხაზური" სკოლის** (მას ახლახან აღუდგინეს მეფის რუსეთის ხელისუფლების დროინდელი სახელი: **სოხუმის მთიელთა სკოლა**) დამამთავრებელი კლასის **მოსწავლეთა 2/3 ჩაიჭრა აფხაზური ენის სახელმწიფო გამოცდაზე**, რომელსაც პირადად დე ფაქტო განათლების მინისტრი ესწრებოდა. ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა აფხაზეთის მედიაში, დასახელდა მოსწავლეთა მხრიდან დედაენის ცოდნის კატასტროფულად დაბალი დონის სხვადასხვა მიზეზი, მაგრამ უთქმელი დარჩა უმთავრესი:

აფხაზური ენის შემდგომი ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გაუქმდება სამრევლო სკოლების ტიპის ფსევდოაფხაზური საგანმანათლებლო სისტემა და შეიქმნება დედაენაზე სრული განათლების მიღების შესაძლებლობა.

არ ვიქნებით მართალი, თუ აქვე იმასაც არ ვიტყვით, რომ აფხაზური ენის ამჟამინდელ უმძიმეს მდგომარეობას გულისტკივილით აღნიშნავს აფხაზ ავტორთა ნაწილიც. მაგალითად, აფხაზი ჟურნალისტი ვიტალი შარია მიმდინარე წლის დადგომისთანავე, როცა მთლიანად უნდა ამოქმედებულიყო „ენის კანონის" ყველა მუხლი, წერდა: „დასკვნა ერთია და მე ის გამომიტანია არაერთგზის. კანონის მიერ დასახული ამოცანა შეიძლებოდა შესრულებულიყო, ოღონდ ვადები იყო არარეალური, ვინაიდან ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სკოლამდელი ბავშვების მიერ სახელმწიფო ენის უგამონაკლისოდ შესწავლის გზით"[13].

[12] http://scara.gov.ge/ka/2011-09-08-07-44-18/685--20-.html
[13] http://www.ekhokavkaza.mobi/a/26806451.html

უფრო ღრმა ანალიზი წარმოადგინა ახალგაზრდა აფხაზმა მეცნიერმა **მიხეილ ჯერგენიამ** თავის სტატიებში. ნაშრომში **„აფხაზური ენა და საზოგადოება: აწმყო, წარსული და მომავალი"** იგი მიმოიხილავს ენობრივ სიტუაციას ცარიზმისა და საბჭოთა პერიოდებში და დაასკვნის, რომ ცარიზმის დროსაც და საბჭოთა პერიოდშიც აფხაზთა უმრავლესობამ შეინარჩუნა დედაენა, ხოლო ეროვნული იდენტობა დაკარგა ძალზე ცოტა ადამიანმა (უცნაურია, რომ მ. ჯერგენიას არ გაახსენდა, ბრალი დაედო ქართველებისათვის 1938-1954 წლებში ვითომდა წარმოებული „გაქართველების პოლიტიკის" გამო - თ. გ.). იქვე ავტორი ხაზს უსვამს იმასაც, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ამაღლდა აფხაზური ენის ავტორიტეტი, რაც, მისი აზრით, განაპირობა „ეროვნული მოძრაობის განსაკუთრებულმა მომძლავრებამ 80-იან წლებში, ქართულ-აფხაზურმა ომმა და შემდგომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ". აქვე მოვიხმობთ სტატიის ვრცელი ნაწილის თარგმანს, სადაც მ. ჯერგენია თვითონვე არ ეთანხმება საკუთარ აზრს და საკმაოდ დამაჯერებლად აღწერს იმ კატასტროფულ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება აფხაზური ენა ოკუპირებულ აფხაზეთში:

"**...არც საბჭოთა სახელმწიფოს დაშლამდე, არც შემდგომ საზოგადოება არ განიხილავდა აფხაზურ ენას განათლების, მეცნიერებისა და განათლებულობის ენად, ეს კი, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, ნებისმიერი ენისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენია.**

ცალკე უნდა განვიხილოთ თანამედროვე აფხაზური ოჯახი და აფხაზური ენის მდგომარეობა მასში. [...] უპირველეს ყოვლისა, ცხადია, რომ **ამჟამინდელმა ახალგაზრდა თაობამ უფრო ნაკლები ხარისხით შეითვისა დედაენა, ვიდრე მისმა წინა თაობამ.** ქალაქებში მცხოვრებ აფხაზებს შორის მხოლოდ ერთეულები ზრდიან მიზანმიმართულად საკუთარ შვილებს აფხაზურ ენაზე. ეს იმიტომ ხდება, რომ მშობლები ნაწილობრივ ვერ გრძნობენ, რომ სრულყოფილად შეუძლიათ ბავშვის აღზრდა დედაენის გამოყენებით, მეორე მხრივ, აქვთ იმისი შიში, რომ ბავშვი ვერ შეძლებს რაიმეს მიაღწიოს და განათლება მიიღოს, თუკი არ ეცოდინება რუსული ენა. მსგავსი ვითარება იქმნება სოფელშიც, თუმცა იქ ენა უკეთაა დაცული მისი შედარებით მეტი გავრცელების გამო. უმნიშვნელო ფაქტორი არაა ის, რომ სოფლის მოსახლეობა ილტვის ქალაქისკენ, სადაც გაბატონებულია რუსული ენა.

ამრიგად, იქმნება სიტუაცია, როცა **ენის უცოდინარებს არ სურთ, ან არ შეუძლიათ შეისწავლონ დედაენა, ხოლო მცოდნეები არ ცდილობენ, გაიღრმაონ ცოდნა. ასეთ მდგომარეობაშია აფხაზთა უმრავლესობა. ხოლო ისინი, ვისაც სურს, რომ მათმა შვილებმა იცოდნენ აფხაზური ენა, იკითხონ და წერონ აფხაზურად, აწყდებიან ინდივიდისათვის გადაულახავ დაბრკოლებებს.** უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ენობრივ გარემოს აფხაზეთში, რომელიც [აფხაზეთის] ცალკეულ მხარეთა გამოკლებით ხელს არ უწყობს აფხაზური ენის ცოდნას. ცხადია, რომ თვით სიტუაცია ვერ შეიცვლება ზემოდან ფართო მხარდაჭერის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, გააძლიერებდა მხარდაჭერას ქვემოდან.

უნდა ითქვას, რომ **საზოგადოებაში აგდებულ დამოკიდებულებას აფხაზური ენისადმი არამცირედ ხელს უწყობს აფხაზეთის სასკოლო სისტემა.** რას წარმოადგენს დღეს აფხაზური ეროვნული სკოლა? სასკოლო პროგრამის მიხედვით, ბავშვები პირველ ოთხ წელიწადს ყველა საგანს სწავლობენ აფხაზურ ენაზე. ასე მიღებული განათლების შემდგომ მოსწავლეები გადადიან რუსულ ენაზე სწავლაზე. ამგვარი სისტემის გამო ახალგაზრდა აფხაზები, რომლებიც მყარად ვერ დგანან აფხაზურ სამწიგნობრობო ენაზე, ამ მომენტიდან პრაქტიკულად მიაგდებენ მას სკოლაში სწავლის დასრულებამდე. არცთუ იშვიათად ხდება, რომ **აფხაზური სკოლიდან გამოდიან ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ ელემენტარული წარმოდგენა დედაენის შესახებ.** უფრო მძიმე მდგომარეობაა არააფხაზურ სკოლებში აფხაზური ენის სწავლებაში.

მთლიანობაში დღეისათვის აფხაზური ენის მდგომარეობა აფხაზეთში ასეთია: აფხაზთა შორის საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული სასაუბრო ენა, რომელიც სულ უფრო მეტად შორდება სამწიგნობრო სტანდარტებს და ითვისებს რუსული ენისაგან ნასესხობათა დაუშვებელ რაოდენობას. **აფხაზთა ძირითადი მასის ნაცნობობა მშობლიურ წერა-კითხვასთან და ლიტერატურასთან ზედაპირულია. იშვიათი არაა აფხაზურ ენაზე სრული უწიგნურობაც.** რაც შეეხება არააფხაზებს, შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის აფხაზური ენა არანაირად არ გავრცელებულა.

[...] **აფხაზეთში აფხაზური ენის დაბალი პოპულარულობის მთავარი მიზეზი არის თვით საგანმანათლებლო სისტემის არსი.** გარდა ამისა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო აფხაზური ენა ვერ გახდა რესპუბლიკაში საქმისწარმოების ენა და პრაქტიკულად არ გამოიყენება ბიუროკრატიულ ორგანოებში.

[...] ამრიგად, აფხაზურმა ენამ უნდა დაძლიოს თავისი გარკვეული „პროვინციალიზმი" და შეწყვიტოს იყოს მხოლოდ საყოფაცხოვრებო ენა"[14] (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – თ.გ.).

სტატიის დასკვნით ნაწილში მ. ჯერგენია წერს:

"ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ **აფხაზურ სკოლაში ყველა კლასი თანდათან იქნეს გადაყვანილი აფხაზურ ენაზე** და, გასაგები მიზეზების გამო, უნდა შენარჩუნდეს რუსული ენის გაძლიერებული სწავლება. [...]

რაც შეეხება არააფხაზურ სკოლებს, მათში შემოღებული უნდა იქნეს სასაუბრო აფხაზური ენისა და ნაწილობრივ სამწიგნობრო ენის ფორსირებული სწავლება. [...]

სკოლაში სწავლების სისტემის ცვლასთან ერთად აუცილებელია მთელი განათლების გადაყვანა აფხაზურ ენაზე საბავშვო ბაღებიდან დაწყებული უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით. გვერდი ვერ აექცევა ვერც მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებსაც. ასევე აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა მუშაკებისათვის, ანუ ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებისათვის აფხაზური ენის სწავლებაც"[15] (ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

ძნელია არ დაეთანხმო აფხაზ მეცნიერს ამ მოსაზრებათა უმრავლესობის სისწორეში და კიდევ ერთხელ არ გაიმეორო, რომ **აფხაზური ენა გადარჩება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწყდება აგრესიულ გამარუსებელ ენობრივ პოლიტიკას და მის განვითარებას ხელს შეუწყობს ის ერი და სახელმწიფო, რომლებთან ურთიერთობაში არც აფხაზ ხალხს, არც მის იდენტობას და არც აფხაზურ ენას არავითარი საფრთხე არასოდეს დამუქრებია. ასეთი ერი ქართველი ხალხია, ხოლო სახელმწიფო – საქართველო. სანამ ამას არ გაითავისებს აფხაზური საზოგადოება, მანამდე არ მოიხსნება ზემოთ დასახელებული პრობლემები.**

ტოპონიმია

როგორც ცნობილია, კონკრეტული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა საკუთარ დედაენაზე შედგენილი გეოგრაფიულ ობიექტთა სახელების მეშვეობით ახდენს სასიცოცხლო სივრცის მარკირებასა და გამიჯვნას სხვისი მიწაწყლისაგან. სხვა ქვეყნიდან მოსული და ახალ ტერიტორიაზე კომპაქტურად დაბინავებული ეთნოსი ცდილობს ენობრივადაც აითვისოს და გაამშობლიუროს დამხვდური გეოგრაფიული სივრცე, რისთვისაც იყენებს სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს:

- საკუთარი ენის ფონემატურ სტრუქტურასა და ფონეტიკურ წესებზე დაყრდნობით ახდენს დამხვდური გეოგრაფიული სახელების ადაპტირებას;

[14] http://www.apsnyteka.org/d/abhazskii_yazik_i_obschestvo_nastoyaschee_proshloe_i_buduschee/index.html
[15] http://www.apsnyteka.org/d/abhazskii_yazik_i_obschestvo_nastoyaschee_proshloe_i_buduschee/index.html

- ზუსტად, ან მიახლოებით თარგმნის დამხვდურ ტოპონიმიას თავის ენაზე;
- ქმნის დამხვდური ეთნოსის ენაზე უკვე არსებული სახელებისაგან განსხვავებულ ახალ სახელებს;
- სახელს არქმევს იმ ობიექტებს, რომლებიც მის მოსვლამდე არ არსებობდა, ან არ იყო სახელდებული;
- ქმნის ახალი გეოგრაფიული გარემოს ცალკეულ ობიექტებთან დაკავშირებულ მითებს, თქმულებებსა და ლეგენდებს;
- ქმნის ფსევდოსამეცნიერო ტრადიციას გეოგრაფიულ სახელთა ეტიმოლოგიის შესახებ;
- თავის ენაზე გვიან შექმნილ ტოპონიმთა საფუძველზე აცხადებს პრეტენზიას ამ მიწის ავტოქთონობის შესახებ.

უკვე უდავოდაა დამტკიცებული, რომ ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები იმთავითვე არ ბინადრობდნენ ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და მათი ისტორიული სამშობლო მდებარეობდა კავკასიონის ქედის გადაღმა, მდინარე ყუბანის აუზში[16]. შესაბამისად, მათ აფხაზეთში დასახლების შემდგომ გამოიყენეს ახალი ტერიტორიის ათვისების ყველა დასახელებული ხერხი, მაგრამ მას მერე, რაც XX საუკუნის დასაწყისში ჩაისახა აფხაზური სეპარატიზმი და აფხაზებს გაუჩნდათ პრეტენზიები, რომ ისინი არიან აფხაზეთის ერთადერთი ავტოქთონი მოსახლეობა, ტოპონიმთა ეტიმოლოგიისა და მართლწერის პრობლემები გადაიქცა ყველაზე მწვავე საკითხებად. ეს სიმწვავე დღემდეა შენარჩუნებული.

ამიტომაა, რომ „ენის კანონში" ამ საკითხსაც ექცევა განსაკუთრებული ყურადღება და მას ორი მუხლი ეთმობა. კერძოდ, „კანონში" წერია:

"მუხლი 18. გეოგრაფიულ სახელწოდებათა, ტოპოგრაფიულ ნიშანთა, წარწერათა და საგზაო ნიშანთა ენის განსაზღვრის წესი

აფხაზეთის რესპუბლიკაში გეოგრაფიული სახელწოდებანი იწერება აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – რუსულ და ინგლისურ ენებზე. წარწერები რუსულ და ინგლისურ ენებზე ფორმატით არ უნდა აღემატებოდეს აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე დაწერილ წარწერას.

გეოგრაფიული და სხვა საკუთარი სახელები არ ითარგმნება სხვა ენაზე.

აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს ნუსხას იმ ტერიტორიებისა და ობიექტებისა, სადაც გეოგრაფიული სახელები, ტოპოგრაფიული ნიშნები, წარწერები და საგზაო ნიშნები უნდა გაფორმდეს აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ ტოპოგრაფიულ ნიშანთა და საგზაო ნიშანთა წარწერების დაყენებას. აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებენ მათ გაფორმებასა და სათანადოდ მოვლაზე.

მუხლი 19. დასახლებული პუნქტებისა და ტერიტორიების სახელდება და გადარქმევა

დასახლებული პუნქტებისა და ტერიტორიების სახელდება და გადარქმევა ხდება აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

გადაწყვეტილებას დასახლებული პუნქტებისა და ტერიტორიების სახელდებისა და გადარქმევის შესახებ იღებს აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრება-პარლამენტი".

როგორც ვხედავთ, „კანონის" ამ მუხლებშიც სრულებით არ იხსენიება არც ქართული ენა და არც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართულენოვანი გეოგრაფიული სახელები, სამაგიეროდ ავტორებს რუსულ და ინგლისურ ენებზე დაწერილობის საკითხი არ გამორჩენიათ.

[16] ვრცლად იხ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი, 2007.

გარდა ამისა, **უკიდურესად აპარტეიდულია მე-19 მუხლის მოთხოვნა, რომ გეოგრაფიულ ობიექტთა სახელდება (ნომინაცია) და გადარქმევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ აფხაზურ ენაზე – ამ გზით საოკუპაციო რეჟიმმა შექმნა იურიდიული საფუძველი ქართული წარმოშობის მქონე უკლებლივ ყველა გეოგრაფიული სახელწოდების წინააღმდეგ მასობრივი „ტოპონიმიკური ომის" საწარმოებლად.**

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან აფხაზეთის გეოგრაფიულ ობიექტთა სახელდებისა და მათი მართლწერის საკითხები აფხაზურ-ქართული ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო: აფხაზი მეცნიერები წერდნენ ნაშრომებს, რომლებშიც აშკარად ქართული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები ისტორიული წერილობითი წყაროებისა და ძველი კარტოგრაფიული მასალების იგნორირების გზით, ზერელე არგუმენტების საფუძველზე, ან ფოლკლორული წყაროების ფეტიშიზაციით (**Как говорят наши старики...** „როგორც ჩვენი მოხუცები ამბობენ...", **Как рассказывал 104-летний информатор...** „როგორც ჰყვებოდა 104 წლის ინფორმატორი...") ცხადდებოდა უძველეს აფხაზურ ტოპონიმებად, რასაც მოსდევდა კატეგორიული მოთხოვნები, ეს „აფხაზური" სახელები რუსულ და ქართულ ენებზე დაწერილიყო არა ორიგინალის ენის მართლმეტყველებასთან (ორთოეპიასთან) ახლომდგომი ფორმით, არამედ მეორეული აფხაზური ვარიანტების ფონეტიკური იერსახის გათვალისწინებით. ბუნებრივია, ამგვარ უსამართლო და უარგუმენტო მოთხოვნებს არ იზიარებდნენ ქართველი მეცნიერები და მოსახლეობა, რასაც მოჰყვებოდა ხოლმე აფხაზთა მიერ საგზაო ნიშნებზე გამოსახული ქართული წარწერების წაშლა, საპროტესტო წერილების გაგზავნა მოსკოვში და სხვ. მოსკოვიც შესანიშნავად იყენებდა ამ საკითხს ორ ხალხს შორის ურთიერთობის სამართავად, დაძაბულობის შესანარჩუნებლად და გეოგრაფიულ სახელთა მართლწერის დასადგენად ხან აფხაზურ ვარიანტებს აძლევდა სანქციას, ხან – ქართულს.

ერთ-ერთი პირველი სოციოლინგვისტური ღონისძიება, რაც ომის დასრულებისთანავე განახორციელა აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა, იყო „ტოპონიმიკური ომის" დაწყება ქართული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელწოდებების წინააღმდეგ. ამ „ტოპონიმიკური ომის" უკანასკნელი „ბრძოლა" გაიმართა 2013 წლის 11 დეკემბერს, როცა აფხაზეთის „პარლამენტმა" მიიღო გადაწყვეტილება გალის რაიონის 18 სოფლის დასახელებათა აფსუიზირებისა და მათი რუსულ ენაზე წერის წესების შესახებ.

კონკრეტულად რა და როგორ შეიცვალა 1993-2013 წლებში? ამ კითხვის პასუხი ამგვარია:

1. უპირველეს ყოვლისა, ყველა იმ ქალაქის, დაბისა და სოფლის ქართული ეტიმოლოგიის მქონე სახელწოდებებს, რომლებსაც ქართულ ენასა და მეგრულ დიალექტში დაერთვის სახელობითი ბრუნვის ქართული ნიშანი, სუფიქსი **-ი**, ჩამოსცილდა ეს სუფიქსი და რუსულ და სხვა ენებზე წერის ნორმად დაწესდა უსუფიქსო ვარიანტები. მაგალითად, ან ნორმის მიხედვით უნდა დაიწეროს: **Сухум** (შდრ. ძველქართული **ცხუმი**), **Гал (გალი), Ткуарчал (ტყვარჩელი), Илор (ილორი), Кутол (კვიტოული), Отап (ოტოფე), Окум (ოქუმი), Пакуаш (ფოქვეში), Шашалат (შეშელეთი), Хуап (ხოფი), Арсаул (არსაული), Багмаран (ბაღმარანი), Мархяул (მერხეული), Пшап (ფშაფი), Цабал (წებელი), Гумрыш (ღუმურიში), Чхуартал (ჩხორთოლი), Таглан (თაგილონი)** და მრ. სხვ. ამ პოლისონიმებსა და იოკონიმებს მხოლოდ ქართული ეტიმოლოგია აქვთ და მათი უმრავლესობა დასტურდება ძველ ისტორიულ წერილობით წყაროებსა და რუკებზე. ამ ორთოგრაფიული ცვლილების მთავარი მიზანი მსოფლიოსათვის იმის ჩვენებაა, თითქოს ამ სახელებს არაფერი აკავშირებდეს ქართულ ეთნიკურ-ენობრივ სივრცესთან;
2. ქართველური წარმომავლობის ზოგი დასახელებული პუნქტის სახელწოდებანი და სხვა ტოპონიმების რუსულ-ინგლისურად წერის ნორმად დაადგინეს აფხაზურ წარმოთქმასთან

მიახლოებული ფორმები: **Ткуарчал (ტყვარჩელი), Кутол (კვიტოული), Отап (ოტოფე), Пакуаш (ფოქვეში), Шашалат (შეშელეთი), Хуап (ხოფი), Мархяул (მერხეული), Цабал (წებელი), Гумрыш (ღუმურიში), Чхуартал (ჩხორთოლი), Таглан (თაგილონი), Очамчыра (ოჩემჩირე), Аалдзга (ღალიძგა), Баслата (ბესლეთი), Гуп (გუფუ), Бчара (ფიჩორა)** და მრ. სხვ. ამ ცვლილებათა მთავარი მიზანიც იმის ხაზგასმაა, თითქოს ამ სახელებს არაფერი აკავშირებდეს ქართულ ეთნიკურ-ენობრივ სივრცესთან;

3. ბევრ შემთხვევაში ყოველგვარი ისტორიულ-დოკუმენტური საფუძვლის გარეშე გააფხაზურდა ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა. მაგალითად, სოფელ **ლეკუხონა**-ს ეწოდა **ალაკუმჰარა**; **წყურგილი** გახდა **აძიხ-აგა**; **ჯობრია** ტრანსფორმირდა **აჯბლირა**-დ; **მახუნჯია** გადააქციეს **მახუ-იჯრა** სახელად; **პირველი ოტობაია** მონათლეს **ჰაშთა**-დ; **მეორე ოტობაია**-ს **ბგოურა** ეწოდა; **დიხაზურგა** გადააქციეს **აბააქით**-ად; **ზემო ბარღები** იწერება როგორც **ვიადა-ბარგიაფ**; **ქვემო ბარღები ლადა-ბარგიაფ** გახდა; **ნაბაკევ**-ს **ბათაიგვარა** უწოდეს; **ჭუბურხინჯი** ტრასფორმირდა **ხიაცჰა**-დ; **ოკვინორე**-ს **ციღტვარა** შეარქვეს; **საბერიო პაპუნირხვა** გახდა და ა.შ. მთავარი მიზანი ამ შემთხვევებშიც იგივეა;
4. საინტერესოა, რომ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმს ხელი არ უხლია იმ რუსულენოვანი სახელების უმრავლესობისათვის, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა და უკვდავყოფს რუსეთის საიმპერატორო დინასტიის წარმომადგენელთა, რუს გენერალთა და მსხვილ მიწათმფლობელთა სახელებსა და გვარებს. ასევე უცვლელია ზოგი სხვა ტიპის რუსული ტოპონიმიც: **პრიმორსკოე, ხოლოდნაია რეჩკა, გრებეშოკ, პავლოვსკოე, ერმოლოვკა, ალექსანდროვსკაია, ოლგინსკოე, მიხაილოვკა** და მრ. სხვ.[17];
5. გაუქმდა ყველა ქალაქისა და დაბის იმ ქუჩებისა და პროსპექტების დასახელებანი, რომლებსაც საფუძვლად ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა გვარები ედო, მათ ნაცვლად კი ქუჩებსა და პროსპექტებს ეწოდა 1992-1993 წლების ომში დაღუპულ რუსეთის ინტერესების დამცველ მარბიელთა და ჩრდილოეთ კავკასიის იმ რესპუბლიკათა სახელები, საიდანაც იყვნენ ჩამოყვანილი ეს პირები. ამ ჯგუფს ეკუთვნის: **კონფედერატების, არძინბას, ადიღეს, ყაბარდოს, ჩეჩნეთისა** და სხვა ქუჩები.

როგორც ვხედავთ, საოკუპაციო რეჟიმი დაუნდობლად შლის აფხაზეთში ქართველთა ისტორიული ცხოვრების ყოველგვარ კვალს. ყველა ამ ცვლილებას გარდა ზემოთ დასახელებული ერთი საერთო მიზნისა, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანიც აქვს: **მხარეში დარჩენილ ქართველ მოსახლეობას რადიკალურად უცვლიან გეოგრაფიული გარემოს ისტორიულ იერსახეს, რათა თავი არ იგრძნონ მშობლიურ გარემოში და გაუცხოვდნენ იმ მიწის მიმართ, რომელიც მათი წინაპრების ძვლებით, სისხლითა და ოფლითაა გაპოხილი.**

ამიტომაც იყო, რომ 2008 წლის 13 აგვისტოს, როცა რუსეთის არმია იპყრობდა შიდა ქართლს და ბომბავდა საქართველოს მთელ ტერიტორიას, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ინფორმაციის სამმართველოს უფროსმა კრისტიან ბჟანიამ კატეგორიულად მოსთხოვა მასმედიას, ამიერიდან აფხაზეთის შესახებ წერისა და საუბრისას გამოეყენებინათ „აფხაზური კანონებით" დამტკიცებული გეოგრაფიული სახელები[18], რომლებიც, მისი სიტყვით, აფხაზთა მიერაა შექმნილი და არსებობენ ათასწლეულების განმავლობაში და ეს მაშინ, როცა აფხაზური ეტიმოლოგიის მქონე უძველესი ტოპონიმები წერილობით წყაროებში დადასტურებულია მხოლოდ XVI საუკუნიდან[19].

---

[17] აფხაზეთში რუსულენოვან ტოპონიმთა ისტორიის შესახებ ვრცლად იხ: **თ. გვანცელაძე**. ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ. "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXIV. თბილისი, 2000, გვ. 44-51; **გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე**. რუსეთ-კავკასიის ომის კვალი დასავლეთ ჩერქეზეთისა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ტოპონიმიაში. – კრებული "ფილოლოგიური პარალელები", № 3, თბილისი, 2011, გვ. 46-61.

[18] http://lenta.ru/news/2008/08/13/names

[19] **თ. გვანცელაძე**. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბილისი, 2011, გვ. 180-254.

მასმედია

ომამდე აფხაზეთში აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდებოდა რესპუბლიკური მასშტაბის გაზეთები: **„აფსნი ყაფშ"** (აფხაზურ ენაზე), **„საბჭოთა აფხაზეთი"** (ქართულ ენაზე) და **„სოვეტსკაია აბხაზია"** (რუსულად). 5 რაიონს ჰქონდა ერთ-, ან ორენოვანი გაზეთები, თავისი სამენოვანი გაზეთი ჰქონდა აგრეთვე ოჩამჩირის რაიონსა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. გარდა ამისა აფხაზურ ენაზე გამოდიოდა ყოველთვიური ჟურნალები: ლიტერატურული **„ალაშარა"**, საბავშვო **„ამცაბზ"**, მეთოდიკური **„აშკოლი აფსთაზაარეი"** და სახელოვნებო **„აფსნი აყაზარა"**, დიდი დაბრკოლებების გადალახვის საფუძველზე არაპერიოდულად გამოიცემოდა ქართულენოვანი სალიტერატურო ალმანახი „რიწა".

ამჟამად გამოდის შემდეგი გაზეთები: 1. აფხაზური **„აფსნი"** და **„ეწვაჯაა"**; 2. რუსულ-აფხაზური **„აყვა-სუხუმ", „ამცახარა", „ახიაცა", „ბზიფ", „ნოვი დენ // ამშ ჭიც", „ფორუმ // აფორუმ", „ხრისტიანსკაია აბხაზია // იქირსიანუ აფსნი"**; 3. რუსული **„ეხო აბხაზიი", „ნუჟნაია გაზეტა", „რესპუბლიკა აბხაზია", „ჩეგემსკაია პრავდა"**; 4. რუსულ-აფხაზურ-მეგრული **„გალ"**; 5. სომხურ-რუსული **„ჰამშენ"**. უკლებლივ ყველა გაზეთი გამოხატავს საოკუპაციო რეჟიმისა და, რაც მთავარია, რუსეთის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესებს, მაგრამ მათგან მაინც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს გაზეთ **„გალ"**-ის გამოცემას და მის მუშაობას:

ამ გაზეთში მასალების უმრავლესობა უპირატესად იბეჭდება რუსულ ენაზე, უფრო იშვიათად კი აფხაზურ ენასა და მეგრულ კილოზე. საინტერესოა, რომ რუსული და აფხაზური პუბლიკაციები მხოლოდ ოფიციალური შინაარსისაა (ნორმატიული დოკუმენტები, ოფიციალური ინფორმაციები, პოლიტიკურ-იდეოლოგიური ხასიათის ტექსტები...), ხოლო მეგრულად ქვეყნდება უპირატესად ხალხური ლექსები, ანეკდოტები, საყოფაცხოვრებო შინაარსის ტექსტები.

გალის რაიონის კოლაბორაციონისტი მმართველის თემურ ნადარაიას სიტყვით, იგეგმება გალში მეგრულ მეტყველებაზე მოქმედი მძლავრი სატელევიზიო სტუდიის ამოქმედება, რაც აშკარად მოსკოვშია დაგეგმილი, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი კოლაბორაციონისტები ამ პროექტს წინააღმდეგობას გაუწევენ იმის შიშით, რომ ტელევიზია მეგრელებს გაუძლიერებს ეროვნულ იდენტობას და გაჭირდება მათი დამორჩილება.

შემთხვევითი სულაც არ არის ის ფაქტი, რომ მხოლოდ გალის რაიონს აქვს რაიონული მასშტაბის გაზეთი, ხოლო მეგრული მეტყველება სამწიგნობრო „ენად" გადააქციეს და ამ მიზნით დაუშვეს საოკუპაციო რეჟიმისათვის საძულველი ქართული დამწერლობა (მხედრული) **იმ დროს, როცა მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცეცხლს მისცეს ბიბლიოთეკებში, სკოლებსა და ოჯახებში არსებული ქართული წიგნები, დაანგრიეს და გადაწვეს ქართული სკოლების უმრავლესობა, ხოლო ქართველ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უკრძალავენ ქართულად დალაპარაკებასაც კი. გარდა ამისა, აფხაზეთში დარჩენილ მეგრელებს ხან იმას უმტკიცებენ, თქვენ ქართველები კი არა, მეგრელები ხართო, ხან კი აცხადებენ, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე თქვენი წინაპრები აფხაზები (აფსუები) იყვნენ და XIX-XX საუკუნეებში ჩაწერეს ისინი ქართველებად ქართველმა მღვდლებმა და კომუნისტებმაო[20], თუმცა არც ერთი და არც მეორე მოსაზრება ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. ასეთ პირობებში ცხადია, რომ საოკუპაციო რეჟიმს მოსკოვის დავალებით აკისრია შემდეგი ამოცანა:**

- ახალი „ენისა" და ახალი „ეთნოსის" ფაბრიკაციის გზით მოსწყვიტოს აფხაზეთის ქართველობა დანარჩენ ქართველობას;

[20] **Т.А. Ачугба**. Этническая история абхазов XIX–XX вв. Этнополитические и миграционные аспекты. - http://apsnyteka.org/143achugba_etnicheskaya_istoriya_abhazov_19_20_vv_etnopoliticheskie_i_migratsionnie_aspekti.html; **А.Э. Куправа**. Вопросы традиционной культуры абхазов. Сухум[и], 2008.

- ახალი „ეთნოსის" „ენაზე" მწიგნობრული ტრადიციის არარსებობისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის უქონლობის მომიზეზებით დანერგოს რაიონის სკოლებში რუსულენოვანი სწავლება, ან მისი აფხაზური ვარიანტი;
- ქართულენოვანი განათლების აკრძალვისა და წმინდა რუსული, ან ფსევდოაფხაზური სკოლების გახსნის გზით სხვადასხვა ვადის განმავლობაში მიღწეულ იქნეს ერთი და იგივე შედეგი: ათასობით ქართველის გარუსების მაღალი დონე;
- გარუსებული ქართველები უფრო ადრე გარუსებულ აფხაზებთან ერთად უნდა მიეჯაჭვონ რუსულ ენას, რუსულ მსოფლმხედველობას, რუსულ კულტურას და საბოლოოდ მოსწყდნენ დედაენას, ქართულ მსოფლმხედველობასა და კულტურას.

გვარები

იმავე საბოლოო მიზანს ემსახურება ზოგიერთი მეკონიუნქტურე ვაიმეცნიერის მიერ ბოლო დროს გამოთქმული ჰიპოთეზები, რომელთა თანახმად, თურმე აფხაზეთში სამოღვაწეოდ გამწესებული ქართველი მღვდლები არა მარტო ეროვნებას უცვლიდნენ აფხაზებს, არამედ გვარებსაც თვითნებურად გადაუკეთებდნენ ხოლმე მეგრულ ყაიდაზე. ყოველგვარი დოკუმენტური ბაზის გარეშე ამგვარი მოსაზრება არაერთგზის გამოუთქვამთ თემურ აჩუგბასა და პროფ. არველოდ კუპრავას[21]. მაგალითად, ა. კუპრავას უკანასკნელი წიგნის IV, V და VI თავები სწორედ ამ „ჭეშმარიტების უტყუარად მტკიცებას" ეძღვნება[22]. ამ წიგნის მთავარი დოკუმენტური საფუძველია ცნობილი „არგუმენტები": **Как говорят наши старики…** „როგორც ამბობენ ჩვენი მოხუცები", ანდა **Как рассказывал 104-летний сказитель…** „როგორც ჰყვებოდა 104 წლის მთქმელი…"

ამ კონტექსტში საინტერესო ფაქტია, რომ გაზეთ „სამრეკლოს" 1989 წლის №2-ში გამოქვეყნდა ამჟამადაც სოხუმში მცხოვრები პროფ. არველოდ კუპრავას ღვიძლი დის ირინა კუპრავას წერილი, რომელსაც აქ სრულად დავიმოწმებთ:

„როგორც ცნობილია, მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის რაოდენობა გაზრდილია ქართველების ხარჯზე. **ამ შორსმიმავალი ფაქტის დადასტურებაა ჩემი მაგალითი: წარმოშობით ქართველს, დაბადებულს 1937 წელს ოჩამჩირის რ-ნ სოფ. რეკაში, როგორც ყველა ჩემს თანასოფლელს, პასპორტში მიწერია ეროვნება – აფხაზი.** არც მე და არც სხვა ჩემნაირები ადრე ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებდით და ამგვარ ჩანაწერს ეთნოსის გამომხატველად არ ვთვლიდით. დღეს, როცა ჩვენ ვხედავთ ე.წ. „ლიხნის წერილის" მწარე გაკვეთილებს: როცა უკანაა 1-ელი და 9 აპრილი, 15-16 ივლისის ტრაგედია; როცა ჩემი მრავალტანჯული საქართველო იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, – **მე, სისხლით და ხორცით, სიტყვით და საქმით, რწმენით და შეგნებით ქართველი, სამი ქართველი შვილის დედა** (სამივე – ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ერთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტი), ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (სტაჟი – 32 წელი), რომელიც მუხლს ვიყრი ქართული ენისა და საქართველოს წინაშე, ვოცნებობ მის ნათელ მომავალზე და ვარ ეროვნული თვითშეგნების ერთგული, – **საჭიროდ ვთვლი, ჩემი ნამდვილი ეროვნების – ქართველი – აღდგენას და ამის პასპორტში შეტანას**"[23] (ხაზგასმა ჩვენია – თ.გ.).

აწ განსვენებული ირინა კუპრავას ვაჟი დავით ლაცუზბაია ასე იგონებს ამ ამბის გაგრძელებას:

---

[21] **Т.А. Ачугба**. Этническая история абхазов XIX–XX вв. Этнополитические и миграционные аспекты. - http://apsnyteka.org/143achugba_etnicheskaya_istoriya_abhazov_19_20_vv_etnopoliticheskie_i_migratsionnie_aspekti.html; **А.Э. Куправа**. Вопросы традиционной культуры абхазов. Сухум[и], 2008.

[22] **А.Э. Куправа**. Вопросы традиционной культуры абхазов. Сухум[и], 2008.

[23] გაზეთი "სამრეკლო", 1989, №2.

„დედის ამ საგაზეთო აქციას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ურეკავდნენ და ლანძღავდნენ, ემუქრებოდნენ ოჯახის განადგურებით და ა.შ. აფსუებში ნათესაობა გვყავდა და მრავალმა მათგანმა ჩვენთან ურთიერთობა შეწყვიტა. ამბობდნენ, ასეთმა გველმა გველისწიწილი გაზარდაო, – ეს ჩემზე!...”[24]

ვფიქრობთ, და-ძმის ინფორმაციიდან უფრო სწორი ირინა კუპრავას ცნობაა, მით უმეტეს, რომ არველოდ კუპრავას სიცრუე წარსულშიც არაერთხელ გამომჟღავნებულა.

ა. კუპრავას, თ. აჩუგბასა და სხვათა მიერ სრულიად უსაფუძვლო „ჭეშმარიტების” ტირაჟირებაც იმავე მიზანს ემსახურება, რასაც საგანმანათლებლო სისტემა, ტოპონიმთა ცვლა, გაზეთი „გალ” და სხვ.

უნდა ითქვას ისიც, რომ დე ფაქტო პარლამენტში ჯერ კიდევ 2013 წელს მომზადდა კანონპროექტი “აფხაზეთის რესპუბლიკის კანონში „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების შესახებ” ცვლილებათა შეტანის თაობაზე”. იგი ითვალისწინებდა ვითომდა ქართველების მიერ ძალდატანებით ეროვნებაშეცვლილი და გვარგამოცვლილი „აფხაზებისათვის” ეროვნებისა და გვარის გამარტივებული წესით „აღდგენას”, რეალური მიზანი კი მხარეში მცხოვრები ქართველების იძულებით დენაციონალიზება იყო. პროექტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია აფხაზ რადიკალებში, ქართველები თავზე წამოგვასხდებიან და დიდ თანამდებობებსაც ჩაიგდებენ ხელთო. მიუხედავად ამისა, დე ფაქტო პარლამენტმა კანონპროექტი მაინც დაამტკიცა 2015 წლის 25 თებერვალს, მაგრამ, როგორც ჩანს, რადიკალების „საბუთმა” გაჭრა და 2015 წლის 12 მარტს დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ჰაჯიმბამ კანონპროექტი დე ფაქტო პარლამენტს დაუბრუნა აპარტეიდული განმარტებით: **„Получается, что любой человек, живущий в Абхазии, любой национальности может просто взять и изменить свою национальность. Это, практически, идет в разрез с Конституцией, в которой говорится, что „Президентом РА может стать только гражданин абхазской национальности”**[25] (**“გამოდის, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ნებისმიერი ეროვნების ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, უბრალოდ აიღოს და შეიცვალოს ეროვნება. ეს პრაქტიკულად უპირისპირდება კონსტიტუციას, რომელშიც ნათქვამია: „აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ აფხაზური ეროვნების მქონე მოქალაქე”**).

ამრიგად, აპარტეიდული დოკუმენტით გაამართლეს სხვა აპარტეიდული აქტი! ვფიქრობთ, აქ კომენტარი სრულიად ზედმეტია.

***

ამრიგად, 1993-2015 წლებში რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში განხორციელებული ენობრივი პოლიტიკა გაცილებით სახიფათოა, ვიდრე იყო ცარიზმისა და კომუნისტების დროს, კერძოდ;

- აფხაზი კოლაბორაციონისტების ხელით დამყარდა აშკარად აპარტეიდული სისტემა;
- გაბატონებულ მდგომარეობაშია მხოლოდ რუსული ენა;
- მოჩვენებითი „პრივილეგიები” დაუწესდა აფხაზურ ენას, მაგრამ რეალურად ეს ენა უკვე დგას გაქრობის საფრთხის წინაშე;
- იდევნება ყოველივე ქართული: ენა, საგანმანათლებლო სისტემა, გეოგრაფიული ნომენკლატურა, მასმედია, გვარები...;
- საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებული ენობრივი პოლიტიკა მიმართულია აფხაზეთის არარუს მცხოვრებთა ეთნიკური იდენტობის საბოლოოდ მორყევისაკენ და

[24] https://www.facebook.com/latsuzbaia.david/notes?pnref=lhc.
[25] http://www. apsnypress.info/news/prezident-ne-soglasen

ემსახურება მხარის მთელი მოსახლეობის გარუსების პროცესის რადიკალურად დაჩქარებას. განსაკუთრებული აგრესია გამოიხატება ყოველივე ქართულის მიმართ.

Teimuraz Gvantseladze

Language and politics in contemporary Abkhazia

Summary

In 1993, after the occupation and annexation of the Autonomous Republic of Abkhazia by Russia various sociolinguistic processes has been taking place in this region of Georgia:

1. Georgian language has been revoked the status as a state language. Abkhazian remained as an official language, Russian has been elevated to the status as a language of state institutions. In fact, Abkhazian cannot compete with Russian, which is in the prevailing condition;

2. The occupation has annulled the majority of toponyms of Georgian origin in 5 districts of 6 ones but the Russian toponymas which had appeared in the 19th century remained unchangeably. In addition, in the Gali region, where the population is Georgian, the Georgian toponyms have been alternated by the voluntarily and artificially created Abkhazian lexical variants written according to Russian and English spellings;

3. In order to change the ethnic identity of the Georgian population in Gali, they conceive them as if their ancestors were Abkhazians and were Georgianized by virtue by Georgian priests, so they should „restore" the Abkhazian names and nationality. In fact, such „Georgianization" facts aren't attested in history ;

4. The Russian language is dominant in the field of education. Till September 1, 2015 there were 165 schools in the region: 60 of them „Abkhazian", 16 - Abkhazian-Russian, 47 - Russian, 31 - Armenian, and 11 - Georgian. Practically „Abkhazian" school is the Russian school, because in the first 4 grades children are taught Abkhazian, and from the 5th grade all disciplines are taught in Russian (exceptions are Abkhazian language and Abkhazian literature). As for the Georgian schools, Georgian has been banned since September 1, 2015, the schools turned into Russian schools. Thus, currently in the region there function 134 Russian and 31 Armenian schools;

5. The newspapers are printed in Russian and Russian-Abkhazian languages. The exception is the newspaper „*Gal"*, in which the materials are printed in Russian (the majority of articles), Abkhazian and Megrelian. There function two TV companies, which broadcast in Russian, rarely - in Abkhazian.

6. Language policy carried out in the region by the occupation regime is analogous to that of in the republics of Russian Federation. In both cases, the ultimate goal of sociolinguistic methods is to weaken an ethnic, linguistic identity of non-Russian population and to Russificate them.

ტარიელ ფუტკარაძე

განათლება და ქართველთა ეთნიკური (ეროვნული)[1] თვითაღქმა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში (აჭარა, ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი)

მეტნაკლებად ყველა ადამიანს აწუხებს კითხვა - „ვინ ვარ?" „საიდან მოვდივარ?"... განათლების დეფიციტის პირობებში კი ბევრმა დანამდვილებით არც კი იცის თავისი ეთნიკური წარმომავლობა. მოზარდს, რომელიც ცხოვრობს თავისი წინაპრების მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოში და აკადემიურ სასკოლო განათლებას იღებს, მსგავსი პრობლემა არ აქვს; მაგ., **თავს ქართველად აღიქვამს** და გაორებული არ არის საქართველოში აღზრდილი და განათლებამიღებული ლაზი, მეგრელი, აჭარელი, იმერელი თუ კახელი. საქართველოდან ევროპასა თუ ამერიკაში მიგრირებულ ქართველს, ან სხვა ერის მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოს ველში მოქცეულ ავტოქთონ ქართველს დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ შეძლოს არაქართულენოვან სახელმწიფოში ინტეგრირებაც და შეინარჩუნოს/აღიდგინოს წინაპრებისგან გადმოცემული **დედაენა, რელიგია, ცხოვრების წესი, ეროვნული ტანსაცმელი თუ ეროვნული კვების სისტემა (კერძები, სასმელი, პურობის წესები...), ზოგადად, ეთნიკური იდენტობა.** სხვაენოვან სახელმწიფოში ადაპტაცია შედარებით იოლია, თუკი პირი უარს იტყვის წინაპრებთან ენობრივ-კულტურულ კავშირზე და თვითიდენტიფიკაციას მოახდენს მოქალაქეობის შესაბამისად; ასეთ შემთხვევაში ქართველისთვის (თუ მისი შთამომავლისათვის), ზოგადად, ნებისმიერი ერის წარმომადგენლისათვის, გარეგნულად დაფარულ, მაგრამ მოურჩენელ იარად დარჩება კითხვა: **„ვისი გორისა ვარ?"**

* * *

ოსმალეთის იმპერიის აგრესიის პირობებში ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ქართველობა დიდხანს უძლებდა დამპყრობელთა შემოტევას; **სწორედ აჭარლების, ლაზების, ლივანელების, შავშელების, ტაოელების, სამცხელების, ჯავახების... წინააღმდეგობამ** (სამხრეთის საზღვრებზე მეცხოვნეობამ!) **გადაარჩინა საქართველოს შიდა კუთხეების - გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, ცენტრალური ქართლის - ქართველობა დიდ სისხლისღვრას, სრულ თუ ნაწილობრივ გადაგვარებას; სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქართველობამ კი დიდი დარტყმა მიიღო:**

ოსმალეთის იმპერიის შემოტევის პირველ პერიოდში სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მრავალრიცხოვან მომხვდურთან დამარცხებულ ქართველებს აიძულებდნენ, მართლმადიდებლობაზე - ისტორიულ რწმენაზე - უარი ეთქვათ. მეორე ეტაპზე გამუსლიმანება ეკონომიკური ზეწოლით გაგრძელდა: ვინც გამუსლიმანდებოდა, ის არ იხდიდა მიწის გადასახადს. ამგვარი ხერხით ჯერ ლაზები და ზღვასთან ახლოს მცხოვრები სხვა ქართველები გაამუსლიმანეს, დროთა განმავლობაში კი მთებში თავშეფარებული მცირემიწიანი ქართველობაც გამუსლიმანდა (გადმოცემის მიხედვით, ზემო აჭარაში **ფარული ქრისტიანობა** შემორჩა მე-20 საუკუნემდე).

გამუსლიმანებულ ქართველთა უმრავლესობამ დედაენის - ქართული ენის - მშობლიური დიალექტის სახით შეინარჩუნა წინაპრების ენა, თუმცა, მუსლიმანური რელიგიისა და ოსმალეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის გამო, **დროთა განმავლობაში ბევრის ეთნიკური იდენტობაც გაორდა:**

---

[1] ტერმინი: **ეროვნული თვითაღქმა** შეიძლება გულისხმობდეს როგორც სახელმწიფოებრივ მეობას, ასევე, ეთნიკურ (ენობრივ-კულტურულ-გენეტიკურ ერთობით განსაზღვრულ) მეობას; ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ენობრივ-კულტურულ-გენეტიკურ ერთობით განსაზღვრულ მეობას.

ადამიანის იდენტობის ფორმირებაზე გავლენას ახდენს როგორც სქესი, გენეტიკური წარმომავლობა, დედაენა და ცხოვრების წესი, ასევე, რელიგია და მოქალაქეობა; სათანადო განათლების არ არსებობის პირობებში ადამიანს უჭირს ეთნიკური/ეროვნული თვითგამორკვევა. **ქრისტიან და მუსლიმან ქართველებთან მრავალწლიანი უშუალო თანაცხოვრების პირობებში მიღებული გამოცდილების შემდეგ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ პიროვნების თვითაღქმის, თვითიდენტიფიკაციის პროცესში არსებითია განათლება - ცოდნა საკუთარი წარსულის შესახახებ**[2]; კერძოდ, მაგ., თურქეთის მოქალაქე ქართული წარმომავლობის პირს თუკი გაცნობიერებული აქვს საკუთარი ენობრივ-კულტურული ისტორია, აღმსარებლობის მიუხედავად მას არ უჭირს საკუთარი თავის ქართველად აღქმა; ხოლო პირმა, რომელმაც არ იცის საკუთარი დედაენისა თუ კულტურის ისტორია და თურქეთის მოქალაქე მუსლიმანი ქართველია, თავი შეიძლება თურქად აღიქვას; შდრ., ასევე: არაიშვიათია, რომ საქართველოს მოქალაქე ქართველმა, თუკი არ იცის საკუთარი დედაენისა თუ კულტურის ისტორია, **თვითიდენტიფიკაცია შეიძლება მოახდინოს მოცემული კუთხის მასშტაბით:** ეთნიკურ-ეროვნულად თავი შეიძლება ჩათვალოს არა ქართველად, არამედ: აჭარელად, ლაზად, მეგრელად, სვანად, თუშად... **განათლებისა და იდენტობის მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს საზღვრებში მცხოვრები გამუსლიმანებული ქართველების თვითაღქმის რეტროსპექტივა:**

ისტორიული მესხეთი (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ერუშეთი, ტაო, შავშეთი, მაჭახელი, ლივანა, ლაზეთის ნაწილი...) როგორც წარმართული, ასევე, ქრისტიანული საქართველოს კულტურულ-სახელმწიფოებრივი ცენტრი იყო. **ოსმალეთის ბატონობის პერიოდში ამ კუთხეების ქართველობა მრავალი აგრესიის მსხვერპლი გახდა;** ბევრი ქართველი კულტურულად თუ ეთნიკურად გაორდა. რუსეთის ბატონობის პერიოდში (ბოლო 200 წელიწადში) ეთნიკურად გაორებულ ქართველთა ბედი ორი მიმართულებით წარიმართა:

აჭარასა და ლაზეთის იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში დარჩა რუსეთ-თურქეთის 1920-1921 გარიგების წლების შემდეგ, **ისტორიული ეთნიკური თვითღქმა (ქართველი) თითქმის სრულად აღორძინდა, სამცხე-ჯავახეთსა და თურქეთის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოს ნაწილში მცხოვრები მუსლიმანი ქართველების ეთნიკური თვითაღქმა კი მეტწილად ისევ პრობლემური დარჩა;** კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ განათლების დეფიციტის პირობებში აჭარლებიცა და ლაზებიც თავს ქართველებად არ თვლიდნენ (მათთვის ქართველი და ქრისტიანი სინონიმური ცნებები იყო), აჭარლებიცა და ლაზების ეს ნაწილიც უდიდეს შეურაცხყოფად იღებდნენ, თუკი მათ თურქებად ან თათრებად მოიხსენიებდნენ; პარალელურად, აჭარისა თუ ლაზეთის მოწინავე საზოგადოება თვლიდა, რომ ისინი ქართველები არიან[3]. ქართველთა ამ ნაწილის თვალსაზრისის იგნორირებით 30-იანი წლების ბოლომდე **რუსეთის საბჭოთა იმპერიის მესვეურნი აჭარლებსაც და ლაზებსაც „მცირე ნაციად“ თვლიდნენ;** იხ., მაგ., ი. სტალინის პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა ელიტის სამაგიდო წიგნში: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“:[4]

„კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოტათ თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს განვითარებული კულტურით, ლიტერატურით. უამპირობოდ ეს ავტონომია ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, უაზრობად იქცევა. მაგრამ კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები,

[2]ადამიანის პიროვნულ არსს განსაზღვრავს არა მხოლოდ პირადი მახასიათებლები, არამედ ენობრივ-ეთნიკური წარმომავლობაც; შდრ., ბიბლიური ხედვით ადამიანის უპირველესი ნიშნებია: სქესი (ადამი, ევა), სიკეთე და ბოროტება ანუ შური (აბელი, კაენი) და ენა ანუ ეთნიკური მახასიათებელი (ბაბილონის გოდოლის მოვლენა).

[3]მაგ., ლაზეთში დაარსებული „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის შესახებ“ იხ.: **ტ. ფუტკარაძე, ი. თანდილავა, მ. ლაბაძე**, ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივ-ეთნიკური იდენტობის საკითხები. – ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები. I. თბილისი, 2012, გვ. 207-222.

[4]ფრაგმენტებს დავიმოწმებთ 1952 წლის გამოცემიდან.

რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?" (გვ. 138- 139)... "ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ **დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.)** უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142). მსგავსი იდეოლოგიით შედგა საბჭოთა კავშირის ხალხთა ჩამონათვალიც.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ (1921 წ.) ბოლშევიკები შეეცადნენ, ი. სტალინის პრინციპების მიხედვით დაეგეგმათ საქართველოს დამანაწევრებელი ენობრივ-ეთნიკური პოლიტიკა; შესაბამისად, აჭარელთა, ლაზთა, მეგრელთა და სვანთა შორის ეძებდნენ აქტივისტებს, რომლებიც „იმუშავებდნენ" კუთხური იდენტობის მიხედვით ახალი „ნაციის" (აჭარელი, მეგრელი, ლაზი, სვანი...), კუთხური მეტყველების (დიალექტის) მიხედვით კი ახალი დამოუკიდებელი „ენის" ჩამოყალიბებისათვის[5]. XX საუკუნის 20-იან წლებში ი. სტალინის (და ვ. ლენინის) მოსაზრებების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საფუძველზე **ზუგდიდში მოქმედებდა ბოლშევიკებისგან მართული სამი ჯგუფი და სამივე სამეგრლოს ავტონომიის თემას აკავშირებდა „მეგრული ენის განვითარების" საკითხთან;** კერძოდ, მიშო დადიანის ჯგუფი ითხოვდა სამეგრელოს ავტონომიას რუსეთის შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას; გრიგოლ ახალაიას ჯგუფი - სამეგრელოს ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას, ისაკ ჟვანიას ჯგუფი სამეგრელოს „ობლასტს" საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას[6]. 20-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო მეგრული გაზეთების გამოცემა და ე.წ. მეგრულენოვანი სკოლების გახსნა. **მოვლენების ამგვარ განვითარებას შეეწინააღმდეგა სამეგრელოს მოწინავე საზოგადოება და სამეგრელოდან გამოსული ინტელიგენცია (თედო სახოკია, კონსტანტინე გამსახურდია...).** ამის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ლ. ბერიას გადაწყვეტილება, რომ სამეგრელოში მიევლინებინა (1932 წ.) **ენათმეცნიერი, პროფესორი არნ. ჩიქობავა. არნ. ჩიქობავას დასკვნა შედგებოდა ორი ძირითადი პუნქტისგან:**

1. მეგრული არ არის დამოუკიდებელი ენა; იგი არის ზანური ენის დიალექტი;

2. დაუშვებელია მეგრულენოვანი სკოლებისა და გაზეთების არსებობა.

სავარაუდოა, რომ არნ. ჩიქობავას დასკვნის შემდეგ ლავრენტი ბერიამ დაარწმუნა იოსებ სტალინი, რომ მეგრული თუ ლაზური სკოლების ამოქმედება და მეგრულ-ლაზური გაზეთების გამოცემა დიდი შეცდომა იყო; შედეგად, 30-იანი წლების პირველ ნახევარში გაუქმდა დიალექტზე ორიენტირებული სკოლები და აღდგა დედაენაზე (ქართულად) სწავლება; შეწყდა ასევე, მეგრული და ლაზური (აფხაზეთში) გაზეთების ბეჭდვა და საქმისწარმოების მცდელობა. ამ ყოველივეს გამო ლენინურ-სტალინურ ავტონომიებად თუ „ობლასტებად" **საქართველოს დანაწევრების მომხრე პირები ლანძღავდნენ არნ. ჩიქობავას, ვაიმეცნიერად და ვაიმეგრელად მოიხსენიებდნენ მას; სამაგალითოდ დავასახელებ ენგურის ქაღალდის კომბინატის პარტკომის მდივნის, ტარასი შენგელიას მიერ დაწერილ „კოლექტიურ განცხადებას"**[7]. პარალელურად, ლ. ბერიას

[5] „გათიშე და იბატონეს" პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ 20-იან წლებში თბილისში ჩატარებულ ერთ-ერთ ბოლშევიკურ პლენუმზე სვანეთის **ერთ-ერთმა მკვიდრმა მოხსენება სვანურად წაიკითხა.**

[6] **ტ. ფუტკარაძე**, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის amocanebi (Actual Problems of Kartvelology and Objectives of the Kartvelology Centre of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia), თბილისი, 2011, გვ. 28-30.

[7] საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივი, ფონდი. 14, აღწერა. 6, საქმე 266, ფურცელი, 22-231; რუსულენოვან დოკუმენტს თარგმანითა და კომენტარებით გამოსაცემად ამზადებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი მარიკა თედორაძე. ამ დოკუმენტისა და საკითხის სუბიექტური მიმოხილვისათვის იხ., აგრეთვე, **ვ. გვარამია**, **გ. ციციშვილი**, „მეგრული საკითხი". თბილისი, 2009, გვ. 392-393.

დაუპირისპირდნენ საბჭოთა იმპერიის ცენტრიდან მართული „სეპარატისტული“[8] ჯგუფების გავლენიანი ლობისტები: ფ. მახარაძე, ალ. წულუკიძე, ს. ორჯონიკიძე, ა. გეგეჭკორი. ლ. ბერიამ ეს ბრძოლაც მოიგო.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ლ. ბერია ი. სტალინის ე.წ. „ნაციონალურ“ პოლიტიკას შეეწინააღმდეგა აჭარლების გამოც და ამ შემთხვევაშიც თავისი გაიტანა; მოკლედ საკითხის ისტორიის შესახებ:

ი. სტალინის კონცეფციის შესაბამისად, 1926 წელს მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ დამოუკიდებელ ნაციებად წარმოადგინა: ქართველები, მეგრელები, ჭანები, სვანები და ბაცბები.

საყოველთაო საკავშირო აღწერის დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტმა 1937 წელს უფრო დაანაწევრა ქართველი ერი; მისი კვალიფიკაცია ასე გამოიყურებოდა: **ქართველები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ბაცბები და აჭარლები.** მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიის ინსტიტუტმა ამავე წელს (1937 წ.) მთავრობას შესთავაზა მესამე კვალიფიკაცია: ქართველები (მეგრელები, ლაზები, სვანები, ბაცბები) და აჭარლები. სწორედ ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებულ „ეროვნებათა ლექსიკონს“ („Словарь национальностей“). 1937 წელს ლ. ბერია (იმხანად საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი) კრიტიკულად მიმოიხილავს ქართველი ერის დანაწევრების საბჭოურ ისტორიას და ი. სტალინს თხოვს:

„აჭარლები ისეთივე ქართველები არიან, როგორიც სხვა კუთხის ქართველები... გთხოვთ, სსრკ გოსპლანს მისცეთ მითითება, გაასწოროს საქართველოს ეროვნებების არასწორი კვალიფიკაცია და აჭარლები ჩართოს ქართველი ერის შემადგენლობაში“ (საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა, 11, საქმე 3 152)[9].

---

[8] **ტერმინი „სეპარატისტი“** აღნიშნავს პირს, რომელიც ცდილობს, მისი კუთხე რაღაც ფორმით გამიჯნოს ერთიანი სახელმწიფოსგან. პირები, რომლებიც რუსეთის იმპერიის დავალებით მოქმედებდნენ (და მოქმედებენ), უფრო კოლაბორაციონისტები არიან ვიდრე „სეპარატისტები“; შდრ., **დღევანდელი კოლაბორაციონისტები** არიან რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები.

[9] საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ იმავე წლის 21 ოქტომბერს სტალინისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ლ. ბერია ოსი ეროვნების რანგში განიხილავს მეგრელსა და აჭარელს; კერძოდ, ი. სტალინს სთხოვს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის პირველ მდივნად დაამტკიცოს მეგრელი ა. რაფავა, აჭარის ავტონომიურ რესპულიკაში - აჭარელი ხ. ფუტკარაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი - ოსი ვ. ხუბაევი (საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა, 11, საქმე 3 152;).



- 2 -

1. Грузины
2. Мегрели
3. Лазы
4. Сваны
5. Бецбии
6. Адзерцы

А Институт Антропологии Академии Наук СССР, тоже в связи с переписью населения 1937 года, предлагает третью классификацию, которая и легла в основу преподанного к руководству ЦУНХ "Словаря национальностей":

1. Грузины

В том числе:

а) Мегрели
б) Лазы
в) Сваны
г) Бецбии

2. Адзерцы

Таким образом, в первом случае, адзерцы включаются в состав грузинской национальности, но зато в виде отдельных национальностей выделяются: мегрелы, сваны, лазы и т.д.; во втором случае и адзерцы, и мегрелы, и сваны, и лазы, и бецбии выделены в самостоятельные национальности; в третьем случае те же самые мегрелы, сваны, лазы, бецбии вновь включены в грузинскую национальность, но зато адзерцы выделены уже в отдельную национальность.

В ближайшее время материалы переписи населения Грузинской ССР подвергнутся в Москве обработке и подсчету, при котором адзерцы, согласно вышеупомянутой классификации, пройдут особой позицией, как отдельная национальность.

Поэтому прошу дать ЦУНХУ Госплана СССР соответствующее указание об исправлении неправильной классификации национальностей Грузии, предложив включить адзерцев в состав грузинской национальности.-

Секретарь ЦК КП(б) Грузии (Берия)

ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ ლ. ბერიას გადაწყვეტილებას ამაგრებდა აჭარის ხელისუფლების პირველი პირისა (ხ. ფუტკარაძე) და აჭარის რჩეული საზოგადოების განწყობა:

კავკასიაში საბჭოთა იმპერიის შემოსვლის საწყის ეტაპზევე ტბელი აბუსერიძის მშობელი კუთხის მოწინავე საზოგადოებამ ისურვა ქართულენოვანი სკოლების ქსელის გაფართოვება; კერძოდ, აჭარის ხელისუფლებისა და ადგილობრივი ინტელექტუალური წრეების აქტიურობით განახლდა ილია ჭავჭავაძის, ზოგადად, **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ შემუშავებული სახალხო განათლების პოლიტიკა - გაგრძელდა ქართულენოვანი სკოლების დაარსება**[10]. აქვე გავიხსენებ ცნობილ ფაქტს:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ შეიქმნა (1879 წ.) განათლების სისტემის ქართულ ენაზე - ქართველთა დედაენაზე - აღორძინებისა და სხვადასხვა კუთხის ქართველთა ენობრივ-კულტურული კონსოლიდაციის მიზნით (შდრ.: რუსეთისა თუ ოსმალეთის, ზოგადად, იმპერიული პოლიტიკა: „გათიშე და იბატონე“). ცნობილი ქართველი მოღვაწეების მიერ დაფუძნებული ამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო რუსეთისა თუ ოსმალეთის მიერ დეზორიენტირებული ჯგუფები აჭარაში, სამხრეთ საქართველოსა თუ სამეგრელოში; შემთხვევითი არ იყო, რომ ერთ-ერთი პირველი ქართულენოვანი სკოლა გაიხსნა 1881 წელს აჭარაში.[11]

[10] მაგ., ერთ-ერთ ასეთი სკოლა გაიხსნა ზემო აჭარის პატარა, 30-კომლიან სოფელ ტომაშეთშიც კი ბაბუაჩემის მამის - ყაია ფუტკარაძის - ოჯახში.

[11] 1881 წლის 23 მარტს უშუალოდ ილია ჭავჭავაძის ინიციატივით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გახსნა მის მიერვე დაფინანსებული პირველი ქართული სკოლა აჭარაში (ბათუმში). სკოლის გახსნას დაესწრო თავად **ილია ჭავჭავაძე**. ახალდაარსებული ქართული სასწავლებლის ყველა პირველ მოსწავლეს ილია შუბლზე ეამბორა. თავიდანვე ამ სკოლაში გვერდიგვერდ სწავლობდნენ ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველები; შდრ.: 1906 წელს ამ სკოლაში მხოლოდ 7 მუსლიმი ბავშვი სწავლობდა, რადგან რუსეთმა აჭარაში გააძლიერა ანტიქართული ღონისძიებები იმ მიზნით, რომ გაეთიშა მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები. საზოგადოების ანგარიშით სულ ბათუმის სკოლაში 1881-1913 წლებში ისწავლა 3242 მოსწავლემ (www.literacy.ac.ge/საზოგადოება/sample-menu). ზემო აჭარაში პირველი ქართული სკოლა გაიხსნა 1915 წლს სოფელ ოლადაურში ხულოს მაზრის მოსამართლის, ნური ბერიძის ოჯახში. პირველი გამგე-მასწავლებელი იყო ილიკო ნაცვალაძე. ნიშანდობლივია, რომ ნური ბერიძემ სკოლა გახსნა თავის სახლში – ერთი ოთახი კლასს დაუთმო,

აჭარის ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებად მუშაობდნენ მეზობელი კუთხეების - გურიის, იმერეთის, სამეგრელოს - მკვიდრნი, რომლებიც დიდი რუდუნებით ცდილობდნენ, აჭარის მკვიდრთათვის მიეცათ დედაენობრივი განათლება და აეღორძინებინათ ქართველური მეობა. **პირადად მე პირველ მასწავლებელთა თავდადებას მივიჩნევ იმ სისხლის კეთილშობილურ საფასურად, რაც ომალეთის ბატონობის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქართველებმა დაღვარეს** საქართველოს ცენტრალური კუთხეების დაცვა-მეცხოვნეობაში...

სამწუხაროდ, **სხვა მიმართულებით განვითარდა პროცესი სამცხე-ჯავახეთში:**

საქართველოს ამ მხარეში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი ქართველები, მუსლიმანი ქართველები, კათოლიკე ქართველები და აქ ჩამოსახლებული მცირე რაოდენობის თარაქამები, ქურთები და თურქები; შესაბამისად, ამ კუთხეში მძაფრი იყო რელიგიური დაპირისპირება, რის გამოც რელიგიური თვითაღქმა განზოგადდა ენობრივ-ეთნიკურ თვითაღქმადაც: ეთნონიმი „ქართველი“ იქცა მხოლოდ მართლმადიდებლების აღმნიშვნელად, კათოლიკენი მოინათლნენ „ფრანგებად“, მუსლიმანები კი - „თათრებად“. „თათრებად“ გამოცხადებულ ქართველებსაც[12] და არაქართველებსაც საბჭოთა ხელისუფლებამ აზერბაიჯანულენოვანი[13] სკოლები გაუხსნა, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა ქართულენოვანი თვითაღქმაც და ქართული ენის გამოყენების ასპარეზიც. **აზერბაიჯანული სკოლების გახსნამ მოკლე დროში სრულად დაარღვია სამცხე-ჯავახეთის მუსლიმან ქართველთა ეთნიკური მეობა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტაცია.**

1944 წელს საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ უნდობლობა გამოუცხადა სამცხე-ჯავახეთის მუსლიმანებს და შუა აზიაში გადაასახლა. მოგვიანებით ამ დეპორტირებული და ორიენტირებგაბუნდოვნებული საზოგადოების დიდი ნაწილისგან **აზერბაიჯანულენოვანი თუ რუსულენოვანი განათლების გამოც** ჩამოყალიბდნენ ე.წ. თურქი მესხები - ქართველობადაკარგული მუსლიმანები, რომელთა შთამომავლების დიდი ნაწილი დღეს შუა აზიაში, რუსეთში, ამერიკაში, აზერბაიჯანსა თუ თურქეთში ცხოვრობს და საკუთარ თავს „მესხეთელ თურქად“ თვლის. სამცხე-ჯავახეთში გამუსლიმანებული ქართველების შთამომავალთა ძალიან მცირე ნაწილმა შეინარჩუნა ქართული იდენტობა.

თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეული ქართველების თვითაღქმაც სხვადასხვაგვარია[14]:

მეორეში კი მასწავლებელი დააბინავა; მისივე ხელშეწყობით ამავე პერიოდიდან იხსნება სკოლები ზემო აჭარის სხვა სოფლებში: თხილვანაში, ფაჩხასა და ჯაბნიძეებში...

[12]ეთნოგრაფიული მასალებისა თუ სხვა ცნობების მიხედვით, აჭარისგან განსხვავებით სამცხე-ჯავახეთში მუსლიმან ქართველთა ნაწილიც თავს „თათრად“ აღიქვამდა.

[13]თურქულენოვანი სკოლები რომ გაეხსნათ, ხელი შეეწყობოდა ამ საზოგადოების თურქებთან გაერთიანებას.

[14]მსჯელობისა და მასალებისათვის ვრცლად იხ.: **დ. ბაქრაძე**, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ),"საბჭოთა აჭარა". ბათუმი, 1987; **შ. ფუტკარაძე**, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993; **რ. გუჯეჯიანი**, **ტ. ფუტკარაძე**, იუსუფელის (ისტორიული ტაოს) ქართულენოვან სოფელთა ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა - I ხევაი (Biçakçilar) ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009; **მ. ლაბაძე**, ქართველთა ეროვნული ერთიანობის ანარეკლი თურქეთის ლაზთა ფოლკლორში, ქართველური მემკვიდრეობა, IX, ქუთაისი, 2005; **ტ. ფუტკარაძე**, ქართველები, 2005, თბილისი, 2005; **ტ. ფუტკარაძე**, მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა ეროვნულ-ენობრივი თვითგანსაზღვრისათვის, რესპუბლიკური კონფერენციის (ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა) მასალები, თბილისი, 2004; **T. Putkaradze**, **N. Putkaradze**, Some aspects of the national and linguistic identity of descendants of Georgian Muhajirs, საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: Language, history and cultural identities in the Caucasus (Abstracts; მალმოს უნივერსიტეტის გამომცემლობა), Malmo University, 2005, June 17-19; http://www.scribd.com/doc/30161550/Language-History-And-Cultural-Identities-In-The-Caucasusu-June-17-19-2005-Malmo; **ტ. ფუტკარაძე**, ლაზთა ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმის საკითხისათვის, ლაზეთ-ჭანეთი: ისტორია და თანამედროვეობა, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2005, 25 აგვისტო, საქართველოს პარლამენტი - პირველი რესპუბლიკის დარბაზი; **ტ. ფუტკარაძე**, დედაენა, სახელმწიფო ენა და თვითაღქმა (მასალები თურქეთის ქართათველობის შესახებ); საერთაშორისო კონფერენცია: „ენა და კულტურა“: ინტერდისციპლინარული და ინტერპარადიგმული პერსპექტივები, თბილისი, 26-27 ივნისი, 2008; **ტ. ფუტკარაძე**, იუსუფელში /თურქეთი/

თურქულენოვანი განათლების პირობებში აღზრდილ ქართველთა ნაწილი თავს უკვე ეთნიკურ თურქად თვლის; **ნაწილისათვის საამაყოა როგორც თურქული სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, ასევე, ქართული ენობრივ-ეთნიკური მეობა;** ნაწილი კი თავს ან აჭარელად თვლის ან ლაზად (არც თურქად, არც - ქართველად). თურქეთის ქართველთა დიდ ნაწილისთვის ეთნონიმი „ქართველი" ბოლო დრომდე მხოლოდ ქრისტიან ქართველს მიემართება[15]; შდრ., ზოგისათავის გურჯი მხოლოდ მუსლიმანი ქართველის აღმნიშვნელია. რელიგიური თვითაღქმის თემა ფაქიზია, ამიტომ არ ვაპირებ ამ მიმართულებით მსჯელობის გაგრძელებას[16]; აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ესა თუ ის რელიგია არის არა მხოლოდ მსოფლხედვისა და ცხოვრების წესის საფუძველი, არამედ, ხალხის კულტურისა და ისტორიის არსებითი ნაწილი. ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა ფაქტი: **არც აჭარლების მიერ და არც თურქეთში მოქცეულ ქართულ მიწებზე მცხოვრები სხვა ქართველების[17] მიერ დღემდე არ შექმნილა ქართულენოვანი მუსლიმანური კულტურა[18];** სულ მცირე, ტბელი აბუსერიძიდან მოყოლებული დღემდე, როგორც წესი, **აჭარის ნიჭიერ მკვიდრთა შემოქმედება ქართულენოვან კულტურულ ნაკადს უერთდება, თუკი ამ კუთხეში აღზრდილი ქართველი შემოქმედი ქართველი ერის ისტორიულ დედაენასა და ისტორიულ რწმენაზეა ორიენტირებული.**

მცხოვრებ ქართველთა იდენტობის საკითხები, ილია ჭავჭავაძის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 2011 წლის 15-16 ოქტომბერი; **ტ. ფუტკარაძე**, საქართველო-თურქეთი: გრძელი გზა: ქუთაისი, ფაცა, ამასია, დუზჯე, ხენდეკი, იზმითი, სტამბოლი; გებზე, ბურსა, ინეგოლი, სინჯანი, ანკარა, კაბადოკია, ბანა, იშხანი, ქუთაისი (წიგნი იბეჭდება ქართულ და თურქულ ენებზე).

[15]**შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე მუსლიმანი ქართველებისთვისაც კი უცხოა წინაპრების მიერ შექმნილი ქრისტიანული ძეგლები**; ბოლო დროს, აქაურ ქართველებში უფრო მეტი ინტერესი ჩნდება თავიანთი ეთნიკური ისტორიისა და კულტურის შესახებ. ამავე დროს ისინი, გარკვეულწილად, დისტანციურად უყურებენ რეალურ ისტორიას, ვინაიდან, ხვდებიან, რომ მათი წინაპრების ისტორია გადაჯაჭვულია ქრისტიანობასთან - მათთვის უცხო რელიგიასთან; თუმცა, ახალი ინფორმაციების მიღების, თანამედროვე ტურისტული ბუმით გამოწვეული ურთიერთობების, საინტერნეტო აქტიური კავშირებისა და სხვა ფაქტორების გამო თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის იზრდება ეთნიკური მეობის განმსაზღვრელი ფაქტორების რაოდენობა; მაგ., იუსუფელში მცხოვრებ ავტოქთონ ქართველთა მიერ საკუთარი ეთნიკური იდენტობის გააზრებაში ახალი ეტაპი იწყება, თუმცა, ჯერჯერობით მაინც დიდია იმ ქართველთა პროცენტი, რომლებიც ვერ ახდენენ იდენტიფიცირებას ისტორიულ ტაოში არსებულ ქართული კულტურის ძეგლებთან. ვფიქრობთ, საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლობა მომავალში უფრო მეტ ღია და დემოკრატიულ სივრცეს შექმნის, რათა საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებმა განახორციელონ თავიანთი უფლება: სახელმწიფოებრივ ისტორიასთან ერთად უკეთ იცოდნენ საკუთარი ენობრივი და ეთნიკური ისტორია.

[16]მაგ., ტაოელ ქართველთა ეს ნაწილი ასე მსჯელობს: „ქართველები სადაც იყვნენ, იქ ეკლესიები ააშენეს; ოსმალოები რომ მოვიდნენ, თავიანთი მიწები დატოვეს და წავიდნენ. ხევას ხეობაში ეკლესია არ არის; ე.ი. აქ ქრისტიანი ქართველები საერთოდ არ იყვნენ; აქ მიწები დაუსახლებელი იყო. აჭარა რუსებმა რომ დაიკავეს, ჩვენ აჭარიდან წამოვედით და აქ მოვედით, დავსახლდით და ამ ადგილებს სახელებიც მას შემდეგ დავარქვით"... ციტირებული ფრაზა ეკუთვნის ისმეთ ბათმაზს /40 წლის, სოფელი ხევა; 2011 წლის 21 ივლისი/. როგორც წესი, ამ ქართველებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის შესახებ; მათ იქაურ სკოლებში არ უსწავლიათ არც ქართველი ერის ისტორია და არც ისტორიული ტაოს რეალური ისტორია. ისინი დააჯერეს, რომ ოშკი, პარხალი, იშხანი... იმ ქართველებმა ააგეს, რომლებიც ოსმალოების შემოსვლისას გამოიქცნენ იმერეთსა თუ ქართლ-კახეთში... ოშკის, ხახულის, ბანას, იშხანისა თუ პარხალის დონის ეკლესიები მთიან ხევას ხევში მართლაც არა გვაქვს, მაგრამ მიკროტოპონიმია აქაც მყარად ინახავს ქრისტიანული ძეგლების არსებობის კვალს, მაგ., ქალაძორის ყველაზე ლამაზ, ვაკე ადგილს ჰქვია საყდარი. ხევეგელთა გადმოცემით, აქ უცხოვრია თამარ მეფეს, მას აქვე შორიდან მოუყვანია წყალი და ა. შ. ნათელია, რომ ამგვარი გადმოცემები ტაოელებს აჭარიდან არ მოუტანიათ... **შდრ., ბოლშევიკების ბატონობის 70-წლიან პერიოდში - ათეიზმის პირობებში - საქართველოს ცენტრალურ მხარეებში (გურიაში, იმერეთში, ქართლში...) უფრო მოკლე დროში გაუუცხოოვდა ხალხი ქრისტიანულ ეკლესიებს.**

[17]კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია ზუსტად ითქვას, თუ რამდენი ეთნიკური ქართველია თურქეთში. მით უმეტეს, რთულია, დავადგინოთ წარმოდგენილ ჯგუფთა ზუსტი პროცენტული მაჩვენებლები. სავარაუდოდ, თურქეთში 5 მილიონამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. ამათგან მესამედი თუ აღიქვამს თავს ეთნიკურ ქართველად (საკუთარი თავი ეთნიკურ ქართველად თურქეთის ბევრმა მოქალაქემ შეიძლება გაიაზროს აკადემიური განათლების პირობებში).

[18]ბევრი ნიჭიერი ქართველი იყო ოსმალეთისა თუ თურქეთის ველში, მაგრამ მათი შემოქმედება მიუერთდა თურქულ თუ არაბულ კულტურას; იშვიათი გამონაკლისებიც არსებობენ; მაგ., ჩემი შორეული წინაპარი ლომან-ეფენდი ქარცივაძე უფრო იმიტომ შემორჩა საქართველოს ისტორიას, რომ მან დიდ მუჰაჯირობისგან (დაცლისაგან) იხსნა აჭარა, ხოლო ახმედ მელაშვილმა ქართული ენობრივ-ეთნიკური იდენტობისათვის სიცოცხლე გაიღო.

ამრიგად, ლ. ბერიას აქტიურობით გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს აჭარაში შეჩერდა ქართველთა ეთნიკურ-ეროვნული დანაწევრების ხელოვნური პროცესი, თუმცა სამცხე-ჯავახეთის ქართველობის დიდ ნაწილს ვერაფერი ეშველა. უცვლელი დარჩა ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებისათვის მიზანმიმართულად მომზადებული სხვა „იდეოლოგიური ბაზაც“ - **ქართველთა ენობრივად დანაწევრების სქემა**, სქემა, რომლის მიხედვითაც საბჭოთა პერიოდში ქართველთა თითქმის ნახევარი „უმწერლობო ენის“ მქონე „მცირე ხალხად“ ცხადდებოდა; მაგ., საქართველოს ერთ-ერთი მხარე - სვანეთი - მტერთაგან მიუსვლელობის გამო მთელი ისტორიის მანძილზე იყო ქართული კულტურის სავანე; სვანეთშია გადაწერილი "საწელიწდო იადგარი", „იერუსალიმის განჩინება“, „საგალობლები“ და სხვ. სვანი გადამწერების: გრიგოლის, იოვანეს, ვახტანგ ფარჯიანის, ივანე ფარჯიანის, ტიმოთეს, იოვანე ქსცხიანის, იოვანე ხარიტონიანის, დემეტრე ღოღელიანის და სხვათა გადაწერილი მრავალი ხელნაწერი. ჟამთა სიავის დროს სვანეთში (სოფელ ადიშში) გახიზნეს 897 წელს შატბერდის ლავრაში გადაწერილი ცნობილი ოთხთავი და ერუშეთში გადაწერილი „ადიშის იადგარი“; ასევე, მესტიაშია დაცული იშხანში 1033 წელს გადაწერილი ოთხთავი; სვანეთშია შემონახული ლექციონარის ორი ხელნაწერი (კალასა და ლატალში); სვანეთში, სოფელ ადიშის ეკლესიებზეა შემორჩენილი XI საუკუნის ნაკაწრი ქართულენოვანი წარწერები და მრავალი სხვ.[19] **როგორ შეიძლება, ასეთი კულტურული ისტორიის მქონე სვანეთის მკვიდნი უმწიგნობრი ენის მქონე „ხალხად“ გამოცხადდეს** (როგორც ამას დღესაც აკეთებს ზოგი ევროპელი თუ რუსი პოლიტიკოსი)? იგივეს თქმაა შესაძლებელი სამეგრელოს ქართველობის მისამართით:

იოვანე ლაზიდან მოყოლებული სამეგრელოს რჩეული საზოგადოება ქმნიდა ქართულ კულტურას (მაგ., ბოლოს ქართული ხელნაწერების შეგროვებისა და შენარჩუნებისთვის დიდი ამაგი აქვს გაწეული დავით დადიანს. დავით დადიანის შვილმა ნიკო დადიანმა ეს ხელნაწერები 1885 წელს გადასცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“); იგივე ითქმის საქართველოს ყველა სხვა კუთხის ქართველების მისამართით:

საქართველოს ყოველი კუთხე იყო ქართული სამწიგნობრო კულტურის კერა და სავანე; საქართველოს მხარეების მიხედვით დავასახელებთ ქართულენოვანი კულტურის რამდენიმე ძირითად ცენტრს: ოპიზა, ხანძთა, ბანა, იშხანი (ტაო-კლარჯეთში), აწყური, საფარა, ვარძია (სამცხე-ჯავახეთში), იყალთო, დავითგარეჯა, მცხეთა (ქართლ-კახეთი), გელათი, ბედია, ჭყონდიდი, მოქვი (ეგრის-აფხაზეთი)... ვიმედოვნებ, ამ ფაქტების გამო და, რაც დღეს ასევე არსებითია, სათანადო განათლების პირობებში, ველარავინ შეძლებს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დეზორიენტირებას.

დღეს საქართველო დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირებების ეპიცენტრშია; შესაბამისად, არსებითია იმის გააზრება, რომ ენობრივ-ეთნიკურად თუ რელიგიურად ქართველთა ხელოვნური დაცალკევება არის მოკლე გზა ქართველი ეთნოსის დეზინტეგრაციისა. ისტორიის გათვალისწინებით იოლია მიხვედრა, რომ საქართველოში თუკი გაძლიერდება გარედან მართული ახალი ე.წ. ენობრივი და ეთნოკულტურული რყევები, იმპერიული ძალები იოლად შეძლებენ საქართველოს შემდგომ ტერიტორიულ დანაწევრებას; შდრ., მაგ., რუსეთის იმპერიის მესვეურნი ღიად აცხადებენ, რომ მათი მიზანია საქართველოს საბოლოო დაშლა, განაპირა მხარეების საბოლოო ანექსია და ცენტრალურ კავკასიაში გეოპოლიტიკური კონტროლის აღდგენა[20].

---

[19] ვრცლად იხ., სვანეთი - ქართული კულტურის სავანე, თბილისი, 2008.

[20] ა. დუგინის კონცეფციის კრიტიკისათვის იხ., **ტ. ფუტკარაძე**, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, პუტინ-დუგინის გეოპოლიტიკური გეგმები და რუსული ოკუპაციის დასასრულის დასაწყისი; საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს ფორმატით გამართული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები“, 2008 წლის 13 ოქტომბერი; The act April 9 of the restoration of independence of Georgia, geopolitical plans of Putin-Dugin's and the commence of the end of the Russian occupation;

ფართო საზოგადოების განათლების მიმართულებით განსაკუთრებული როლი აკისრია საქართველოს ამჟამინდელ განათლებისა და მეცნიერების სისტემას. იმედია, თანამედროვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეძლებს, საქართველოს ყველა მოქალაქემდე მიიტანოს ობიექტური ენობრივ-ეთნიკური და პოლიტიკური ისტორია, რაც ხელს შეუწყობს ქართველთა ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების სტაბილურობას.

დასასრულს, ეთნიკური მეობის გააზრების კიდევ ერთი წახნაგის შესახებ:

მიუხედავად თურქეთის მოქალაქეობისა, წინაპრების ენის (დედაენის) ვერფლობისა, აკადემიური განათლების დეფიციტისა და მუსლიმანობისა, თურქეთის ზოგი მოქალაქე თავს მაინც ქართველად თვლის იმიტომ, რომ იცის, მისი წინაპრები ქართველები იყვნენ. **ამ შემთხვევაში ცოდნასთან ერთად არსებითი ჩანს სხვა მახასიათებელი:** ძლიერი პიროვნული ხასიათი. ხასიათისა თუ შინაგანი სულიერი წყობის თემა შეიძლება განვაზოგადოთ:

ხშირად მინახავს: თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ბათუმში, ზემო აჭარაში, სვანეთში, იმერხევში, თურქეთის მაღალმთიან ქართულ სოფელსა თუ სტამბოლში გვერდიგვერდ ცხოვრობს ერთნაირი განათლების მქონე ქართული წარმომავლობის ორი პირი: ერთში ძლიერია ეროვნული (ეთნიკური თუ სახელმწიფოებრივი) თვითაღქმა, მეორეში - მეორეხარისხოვანია. ჩემი დაკვირვებით, ეთნიკურ-ეროვნული თვითიდენტიფიკაციის დროს ბევრ რამეს განსაზღვრავს დედაენა, პირველი ენა, მოქალაქეობა, რელიგია, ცხოვრების წესი, ეროვნული ტანსაცმელი თუ ეროვნული კვების სისტემა (კერძები, სასმელი, პურობის წესები...), თუმცა, ზოგჯერ არსებითია ასევე, ძლიერი პიროვნული ხასიათიც: ყველა ადამიანისთვის რთულია, სხვა ერის ენისა და კულტურის დომინანტობით შექმნილ სახელმწიფოში დაიცვას ეთნიკური მეობა (იდენტობა); მაგალითად, თურქეთსა თუ რუსეთში, ზოგადად, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთაგან ზოგს არ აინტერესებს ეთნიკური ფესვები თუ დედაენა და კარიერისა თუ „გადარჩენის ინსტიქტის" გამო ცდილობს სრულ ინტეგრაციას უცხოენოვან გარემოში. აქვე არიან ძლიერი პიროვნებებიც, რომლებიც ამ სახელმწიფოს პატრიოტებიც არიან და ამავდროულად ესწრაფვიან, შეინარჩუნონ (ან აღიდგინონ, განავითარონ) წინაპრების ენობრივ-ეთნოკულტურული მახასიათებლები. ღირსეულ და განათლებულ პიროვნებებს ურჩევნიათ, თავი ჩათვალონ მოცემული სახელმწიფოს ეთნიკურ უმცირესობად და, ტერორისტი ჯგუფებისგან განსხვავებით, ცივილიზებული მეთოდებითა და ფორმებით დაიცვან/წარმოაჩინონ თავიანთი დედაენა, წინაპრების კულტურა, ქართველური ღირსება და არ გაუუცხოურდნენ წინაპართა მემკვიდრეობას.

ზოგადად თუ ვიტყვით, საკუთარ სამშობლოს მოწყვეტილი და სხვა ეთნოსის დომინანტობით დაარსებულ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანისათვის თანდათანობით შორეული ხდება ეთნიკური ისტორია. ეთნიკურ ფესვებთან გაუცხოებას რამდენიმე მიზეზი აქვს:

- მწირი ობიექტური ინფორმაცია მისი მოდგმის ენობრივ-კულტურული წარსულის შესახებ;

- მშობლიურ ველს მოშორება და დამხვდური საზოგადოების ცხოვრების წესზე ანგარიშის გაწევის აუცილებლობა;

- ახალ გარემოში ადაპტაციის სურვილი კარიერული წარმატების გამო;

- მიმღები სახელმწიფოს განსხვავებული მოქალაქეობრივი და რელიგიური მსოფლაღქმა;

- უცხოენოვან საზოგადოებაში ეთნიკური მეობის დაცვისათვის საჭირო შინაგანი რესურსების სიმწირე...

Anti-crisis council scientific conference of the parliament of Georgia: „Perspectives for the restoration of entirety of Georgia", 13 October, 2008; http://www.scribd.com/doc/6505547/The-Perspectives-of-Restoration-of-the-Entirety-of-the-Territory-of-Georgia. შდრ., ასევე: 1997 წელს შექმნილ კრემლის ერთ-ერთ დოკუმენტში: „რუსეთის სტრატეგიული ინტერესები სამხრეთში" დაუფარავად წერია რუსეთის ხელისუფლების მიზანი: საქართველოსთვის აფხაზეთის, შიდა ქართლის, სამეგრელოსა და აჭარის ჩამოშორება; **გ. გაჩეჩილაძე** http://www.opentext.ge/index.php?m=28&y=2002&art=10644;
ზ. მჭედლიშვილი http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=76&info_id=996

ეთნიკურ-ეროვნული თვითიდენტიფიკაციის თვალსაზრისით მთავარი მაინც **საკუთარი ეთნიკური წარსულის შესახებ ცოდნის ფლობა**[21]. მოკლე პერიოდში აჭარის მოსახლეობის ეროვნული მეობის აღორძინება ცხადყოფს, რომ პიროვნებისათვის აკადემიური განათლება ნათელი სარკის როლს ასრულებს: ადამიანს რეალურად აჩვენებს საკუთარ ენობრივ-ეთნიკურ ისტორიას, საკუთარ მეობას; შესაბამისად, ობიექტური ისტორიული ცნობები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს: ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი ეთნიკური, ენობრივი თუ ეროვნული წარსული. მით უმეტეს დღეს - მეტად დინამიურ თანამედროვე სამყაროში. დღეს, როგორც არასოდეს, აუცილებელია, რომ ჩვენ – ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა... შევძლოთ ერთობლივი არაპოლიტიზებული კვლევების განხორციელება და გასაზოგადოებრიობა. საერთაშორისო სამეცნიერო თუ საინფორმაციო ველში შეჯერებული ობიექტური კვლევების შედეგების ხელმისაწვდომობა ყველა საზოგადოებას შეუწყობს ხელს, განახორციელოს თავისი უფლება, იცოდეს საკუთარი ენობრივ-ეთნიკური წარსული; გარდა ამისა, ობიექტური კვლევების შედეგების მისაწვდომობა გაზრდის ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემას და, რაც, ჩვენი აზრით, არანაკლებ არსებითია, ყოველი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობებისათვის (მაგ., ბასკებისათვის საფრანგეთსა თუ ესპანეთში; ფრიზებისათვის - გერმანიაში, ქართველებისათვის - თურქეთსა თუ აზერბაიჯანში და სხვ.), შექმნის ობიექტური თვითაღქმისა და ენობრივ-ეთნიკური მეობის გადარჩენის მყარ საფუძველს.

Tariel Putkaradze

Education and Ethnic (National)[22] Identity of Georgians in Historical South-West and South Georgia (Achara, Lazeti, Tao-Klarjeti, Samtskhe-Javakheti)

Summary

Ethnic history gradually becomes distance for the people being cut off their homeland and living in the state dominated by another ethnos. There are several reasons that cause ethnic alienation:

- A lack of information about linguistic and cultural past of the race;

[21]ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ისტორიისა და ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვის შესახებ იხ.: **ტ. ფუტკარაძე**, ქართველები, ქუთაისი, 2005; **ტ. ფუტკარაძე**, ტერმინოლოგიური შეფასება, განათლების დაგეგმვა და საზოგადოებრივი თვითაღქმა, ქართველი ხალხის სოციოკულტურული ანთროპოლოგიისა და ეთნოლინგვისტური კვლევის საერთაშორისო ცენტრის სიმპოზიუმი, ბათუმი, 22-24 სექტემბერი, 2006; **ტ. ფუტკარაძე**, იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი (ქართულ და თურქულ ენებზე); ქუთაისი, 2007; **ტ. ფუტკარაძე**, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: "სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში"; აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები; გამომცემლობა: "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2009. გვ., 111-136. რეზიუმე რუსულ ენაზე. საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო; ბათუმი, 11-12 ივნისი; **ტ. ფუტკარაძე**, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში, თბილისი, 2011. თანავტორი **ი. ვაშაკიძე**. გამომცემლობა „უნივერსალი"; **ტ. ფუტკარაძე**, იდიომთა კლასიფიკაციის კრიტერიუმები და ისტორიული სამხრეთ საქართველოს დიალექტთა ადგილი ქართველურ ენობრივ სამყაროში; პროფესორ შუშანა ფუტკარაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, 2012 წლის 5 დეკემბერი, ბათუმი; **ტ. ფუტკარაძე**, ქართველოლოგიის შესავალი, თბილისი, 2014.

[22] The term: **National identity** may imply state as well as ethnic (unity of linguistic-cultural-genetic) identities; here we mean linguistic-cultural-genetic identity.

- Distancing historical roots and the necessity to reckon the lifestyle of the host society;
- Willingness to adopt to a new environment for career development;
- Different civil and religious worldview of the recipient state;
- A lack of required internal resources to defend ethnic identity in the foreign language speaking society…

In terms of ethnic-national self-identity, the knowledge of one's own ethnic history is of vital importance. Revival of national identity of the population of Achara in a short period of time shows that the academic knowledge of a person serves as a mirror showing his/her own linguistic and ethnic history, identity; correspondingly, objective historical facts should always be available: every person has the right to know his/her ethnic, linguistic or national past. Especially today – in a very dynamic contemporary world. Today as never before, it is necessary for us – linguists, historians, ethnologists… to conduct national non-politicized researches and make them public. Availability of objective research in the international scientific or informational arenas will enable all societies to exercise their rights and to become aware of their own linguistic-ethnic past.

ლია კარიჭაშვილი

ეთიკური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“ (ზოგიერთი ასპექტი)

სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ტერმინი, ცნება და პარადიგმა „ვეფხისტყაოსანში“ (FR/399/1-20/13) - ფარგლებში

„ვეფხისტყაოსნის“ ეთიკური სისტემა

რუსთველოლოგიაში მიღებული თვალსაზრისით, რუსთაველის ეთიკური სისტემა ეყრდნობა ერთი მხრივ ეროვნულ ზნეობას, რომელიც არსებითად (არა სრულიად) განმსჭვალულია ქრისტიანული მორალით, ხოლო მეორე მხრივ, არისტოტელეს ნააზრევს ეთიკის პრობლემებზე. პირველი, ვინც ზნეობის პრობლემებს შეეხო, იყო სოკრატე, რომლის შეხედულებებს ვეცნობით პლატონის მეშვეობით. თვითონ ეთიკის ცნება, რომელიც გულისხმობს მეცნიერების ადამიანის ზნეობის შესახებ, მიეკუთვნება არისტოტელეს და მიღებულია სიტყვიდან „ეთოს“, რაც ჩვევას, ჩვეულებას ნიშნავს. არისტოტელეს სახელით შემორჩენილია სამი ნაშრომი აღნიშნულ პრობლემატიკაზე: „ნიკომაქეს ეთიკა„ „დიდი ეთიკა“ და „ევდემოსოს ეთიკა“, რომელთაგან ავთენტიკურად მიიჩნევა „ნიკომაქეს ეთიკა“. ნაშრომის ძირითადი თემაა ადამიანი, მისი დანიშნულება და მისია.

ადამიანის არსებობის უმთავრეს მიზნად არისტოტელე მიიჩნევს ბედნიერებას, რომელიც „მდგომარეობს სათნო მოქმედებაში“[1]. ბედნიერებას, მისი აზრით, პიროვნება იღებს არა როგორც ღვთის ან ბედისწერის საჩუქარს, არამედ, როგორც საკუთარი აზროვნებისა და მოქმედების შედეგს. უმთავრესი სიკეთე სულიერი სიკეთეა: „სიკეთე დაკავშირებულია ადამიანის სულთან“[2].

ზნეობას არისტოტელე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მიაჩნდა, რომ იგი პოლიტიკის ნაწილია: „პოლიტიკაში კი მოღვაწეობა არ შეიძლება ისე, თუ კაცს საამისო თვისებები არა აქვს. მე ვგულისხმობ ზნეობრიობას“[3]. სათნოებად იგი მიიჩნევდა ზომიერებას, ორ უკიდურესობას შორის საშუალოს. „სათნოება კი ნიშნავს ზომის აღმოჩენას და მის შერჩევას... სათნოება არის ე.წ. შუალედური მდგომარეობა“[4]. მაგალითად, არისტოტელე სიმამაცეს უწოდებს შუალედურ მდგომარებას შიშსა და გაბედულებას შორის. დიდსულოვნად მიიჩნევს მას, ვინც საკუთარ თავს დიდად იფასებს და ღირსიცაა ამის, „ხოლო ვინც საკუთარ თავს დიდად იფასებს სინამდვილისადმი შეუსაბამოდ, სულელია“[5]. ზომიერება ანუ „საშუალო“ იოლი მისაღწევი არაა, „ისევე, როგორც არაა ადვილი წრის ცენტრის მიგნება“.

არისტოტელე ზნეობის კატეგორიათა შორის განიხილავს შემდეგ ცნებებს: სიმამაცე, სიმშვიდე, სამართლიანობა, პატიოსნება, თავისუფლება, საზოგადოებრივი ურთიერთობა, სიმორცხვე, ბედნიერება, სიამოვნება და სხვა. „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაში განსაკუთრებით

---

[1] **არისტოტელე**, ნიკომაქეს ეთიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 222

[2] **არისტოტელე**, ნიკომაქეს ეთიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 36

[3] **არისტოტელე**, დიდი ეთიკა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო პროფესორმა თამარ კუკავამ. თბილისი, 1994. გვ. 10.

[4] **არისტოტელე**, ნიკომაქეს ეთიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 54

[5] **არისტოტელე**, ნიკომაქეს ეთიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 94

საყურადღებოა როგორ განმარტავს იგი მეგობრობას: „მეგობრობის უმაღლესი ფორმა არსებობს კარგ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან სათნოებით," „მეგობრობა არის თანასწორობა, რაც ყველაზე მეტად კარგ ადამიანებს ახასიათებთ." „მეგობრობა თანასწორობასა და მსგავსებაში მდგომარეობს".[6]

არისტოტელეს აზრით, სათნოების მიზანია ზნეობრივი მშვენიერება. სიკეთე და მშვენიერება მისთვის ერთი მთლიანობაა, რაც აისახა კიდეც მის მიერ შექმნილ ტერმინში „კალოგაკათია".

რუსთაველის ეთიკური მრწამსის სიახლოვე არისტოტელეს ნააზრევთან პოემის რენესანსული ტენდენციის ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნია მკვლევარ ელგუჯა ხინთიბიძეს: „ამქვეყნიური სინამდვილის, სიცოცხლის, ადამიანის უმაღლეს სიკეთედ მოაზრებით და ადამიანური ცხოვრების იდეალის ზეციდან დედამიწაზე ჩამოტანით რუსთაველი მკვეთრად ემიჯნება ქრისტიანულ დოგმატიკას და გვიანდელი შუასაუკუნეების ახალი სააზროვნო ნაკადის - არისტოტელიზმის ნიადაგზე დგას. სწორედ ამ გზით მიისწრაფვის პოეტის აზროვნება რენესანსისაკენ".[7] თუმცაღა მკვლევარი რუსთველის მსოფლმხედველობის თავისებურებას ხედავს იმაში, რომ აღნიშნული არისტოტელიანური ნაკადი შერწყმულია ქრისტიანობასა და არეოპაგიტიკულ ნააზრევთან. მკვლევარი გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ „უმაღლეს სიკეთედ და ნეტარების უმაღლეს სახედ რუსთაველი, წინააღმდეგ არისტოტელიზმისა, მიიჩნევს არა შემეცნებას, ჭვრეტას, არამედ თანახმად ქრისტიანული რელიგიისა, სიყვარულს, მაგრამ ეს სიყვარული წინააღმდეგ ქრისტიანობისა, არის არა ღმერთის სიყვარული, არამედ, თანახმად არისტოტელიზმისა, იგი ადამიანთა სიყვარულია, რომელიც ღვთაებრივია აღმაფრენით, გრძნობის სიწმინდით და გრძნობის სიდიადით."

ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსნის" სიყვარულში არ ჩანს დაპირისპირება (ან მიჯნა) ღმერთის სიყვარულსა და ადამიანის სიყვარულს შორის. ეს უფრო ერთი მთლიანობაა. უმთავრესია საღმრთო სიყვარული, რომელიც გამოიხატება და განხორციელდება ქრისტიანულ თეზაში „გიყვარდეს მოყვასი შენი". მკვლევარი ერთგვარად არბილებს ზემოაღნიშნულ პოზიციას, როდესაც შენიშნავს: „კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ამქვეყნიური რეალობის ფასეულობაში დარწმუნება, ადამიანური სამყაროს სილამაზის ჭეშმარიტი შემეცნება, ადამიანური გონების, ინტელექტისადმი ნდობის გამოცხადება რუსთაველის შემოქმედებაში უშუალოდ ერწყმის ტრადიციულ ქრისტიანულ იდეალს - კეთილი და მოწყალე შემოქმედის მარადიულობის, ღვთაებასთან შეერთების რწმენას".[8]

რუსთაველის ეთიკური კრედო მჭიდრო კავშირშია ესთეტიკასთან. ზნეობრიობა, სულიერი სათნოებები ამავე დროს ესთეტიკურია და მშვენიერების გამსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინება. მკვლევარი გიორგი ნადირაძე სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს, როდესაც შენიშნავს: „ჭეშმარიტი გმირობა, ე.ი. რაიმე ზნეობრივი მიზნისთვის ჩადენილი თავგანწირვა, წარმოადგენს ესთეტიკურ ფენომენს და ხალხის თვალში ისევე იმოსება სილამაზის, მშვენიერების შარავანდედით, როგორც ზნეობრივად ამაღლებული სიყვარული და მეგობრობა.

სიყვარულისა და მეგობრობის მაგალითზე ჩვენ ვნახეთ, რომ რუსთაველისთვის ადამიანური განცდისა და ქცევის ესთეტიკური ღირსება ემყარება ეთიკურს, ე. ი. მშვენიერია მხოლოდ ის, რაც ზნეობრივია. არც ერთი ადამიანური მოვლენა არ გამოიწვევს ესთეტიკურ მოწონებას, არ

[6] **არისტოტელე,** ნიკომაქეს ეთიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2003, გვ. 175.

[7] **ე ხინთიბიძე,** ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო. გამომცემლობა „ქართველოლოგი", თბილისი, 2009, გვ. 748.

[8] **ე ხინთიბიძე,** ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო. გამომცემლობა „ქართველოლოგი", თბილისი, 2009, გვ. 752.

ჩაითვლება ლამაზ განცდად ან ლამაზ საქციელად, თუ იგი არ აკმაყოფილებს ჩვენს მორალურ გრძნობებს“.[9]

ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობით რუსთაველი, ცხადია, ეხმიანება არისტოტელეს ზემონახსენებ დებულებას სიკეთისა და მშვენიერების მთლიანობის შესახებ, ამავე დროს, იგი აგრძელებს სასულიერო მწერლობის ტენდენციას, რომლის მიხედვით - მშვენიერებას განსაზღვრავს სულიერი სათნოებანი. მშვენიერება სულიერი ფენომენია. ვარსქენისაგან ნაგვემი წმიდა შუშანიკი იაკობ ხუცესის სულიერი თვალით აღქმულია საღვთო მშვენიერებით: „და ვითარ შემიყვანა მცველმან მან და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტეჲსი შვენიერად, ვითარცა სძალი შემკული საკრველთა მათგან...“. წმ. შუშანიკის სულიერმა ღვაწლმა პირქუში ციხეც კი გაამშვენიერა: „განაბრწყინა და განაშვენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა“. მშვენიერება სულიერი ფენომენია აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა ...“, რომელშიც პოეტი მსჯელობს სილამაზისა და მშვენიერების ცნებებზე. სილამაზეს, როგორც უფრო სუბიექტურს, ის ხორციელების თვისებად მიიჩნევს, ხოლო მშვენიერებას - სულისა. სწორედ ესაა შეუცვლელი, ნამდვილი მშვენიერება, რომელიც შეიძლება ჭეშმარიტი სიყვარულის საგნად იქცეს.

რუსთაველის მხატვრულ სამყაროში მშვენიერებას უკავშირდება სიყვარული, მეგობრობა, სიუხვე, სამართლიანობა, სიმამაცე, ღირსეული სიკვდილი. რუსთაველისთვის უპირველესად თვითონ ადამიანია ესთეტიკური ფენომენი იმდენად, რამდენადაც პიროვნება ზნესრულია.

ადამიანის ფენომენი „ვეფხისტყაოსანში“

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველი არ ქმნის იდეალურ, სრულყოფილ სახეებს. მისთვის მთავარია სწრაფვა სრულყოფისაკენ. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახეები, მიუხედავად ჰიპერბოლიზაციისა, შექმნილნი არიან ერთგვარი რეალიზმით. მათ აქვთ ადამიანური სისუსტეები, შეცდომები, შეცოდებანი. რუსთაველს თავისი გმირები უყვარს, თანაუგრძნობს მათ, მტკივნეულად განიცდის მათ ბედს და ეს თანაგანცდა პროლოგშივე საცნაურდება: „მო, დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“, ან „დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი...“. გარდა ამისა, პოემის ტექსტს გასდევს რუსთაველის „კომენტარები”. ეს არის ერთგვარი ჩანართი, სიუჟეტური თვალსაზრისით, მცირე წყვეტა, შეყოვნება, როდესაც რუსთაველი მკითხველის პოზიციიდან აფასებს ამა თუ იმ პერსონაჟის ქცევას ან ფაქტს. ხშირად ეს შეფასება ემოციურია. ამ „კომენტართა” შესწავლამ შესაძლებელი გახადა მათი ერთგვარი კლასიფიკაცია. ავტორი გამოხატავს თანაგრძნობას: „ხედავთ, ვარდსა უმზეობა როგორ ადრე დააჩნდების“ (717); „პატრონისა ვერა მჭვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა“ (812); მოწონებას: „რას უბნობდის, რას მოსთქმიდის, რა ტურფასა, რაზომ გვარსა!“ (842); აღტაცებას: „ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მათებრი არვინ შობილა“ (872); გაოცებას: „ესე მიკვირს სისხლი მათი ასრე ვითა მოიპარა“ (1117); „მიკვირს რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს“ (764); ან გმობს რაიმე მიუღებელს, ამორალურს: „ნახეთ თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ (1196); „აწ ნახეთ მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი“ (1165). ზოგიერთი „კომენტარი“ ფილოსოფიური ხასიათისაა: „ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს...“ (716); „ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან, ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, ყინვასა ჩივიან...“ (1347). ამავე დროს, რუსთაველი არ ივიწყებს მკითხველს, არ წყვეტს კონტაქტს მკითხველთან, დაწყებული პროლოგიდან - „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ...” (7), შემდეგ - „ლექსთა მკითხველნო, შენიმცა თვალი ცრემლისა მღვრელია...” (942), ან „აქა,

[9] **გ. ნადირაძე,** „რუსთაველის ესთეტიკა“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1958, გვ. 226.

მხატვარო დახატენ ძმათ უმტკიცესნი ძმობილნი...“ (1373) - პოემის დასასრულამდე - „ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“... (1665).

ამდენად, რუსთაველისთვის ადამიანი ისეთია, როგორიც არის სინამდვილეში, შეულამაზებლად. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს არც სჭირდებათ შელამაზება. ისინი მშვენიერნი არიან იმ მხატვრული სინამდვილითა და დამაჯერებლობით, რომელიც მათ რუსთაველმა მიანიჭა და მათი შინაგანი ბუნება ისეთივე განსხვავებული და მრავალფეროვანია, როგორიც „ქვეყანა... უთვალავი ფერითა“.

რუსთაველის პერსონაჟები, ცხადია, მოქცეულნი არიან გარკვეულ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში, მაგრამ არსებითად მნიშვნელოვანია არა რომელიმე რეგალია და სოციალური სტატუსი, არამედ თვითონ პიროვნების რაობა (რაგვარობა). ამიტომაც შენიშნავს რევაზ სირაძე: „ვეფხისტყაოსნის ავტორი რაინდულ-კურტუაზიული კულტურის მატარებელიცაა, და შეიძლება ითქვას, ცერემონიალური კულტურისაც, მაგრამ მისი პერსონაჟების სახეთა რაობა არსებითად ვლინდება არა სამეფო კართა ატმოსფეროში, არამედ უშუალოდ ბუნების ფონზე, სამეფო პალატებიდან შორს, ცისქვეშეთში, სადაც ყოველგვარ აზრს კარგავს პიროვნებათა რეგალიები და რჩება მხოლოდ წმინდა კაცად-კაცური და ქალად-ქალური ღირსებანი, რჩება ის, რაც მათ მიანიჭა ღმერთმა და არა სამეფო კარმა“.[10]

რუსთაველის მთავარი პერსონაჟები მატერიალურად უმდიდრესნი და უძლიერესნი არიან, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მათთვის ეს არა არის ცხოვრების მიზანი და ბედნიერების უმთავრესი პირობა. ტარიელიც, ავთანდილიცა და ფრიდონიც იოლად თმობენ კეთილდღეობას სხვა მიზნებისთვის, როგორებიცაა სიყვარული, მეგობრობა, მოყვასის შეწევნა და სხვა. მათი სულიერი წონასწორობა განპირობებულია არა რომელიმე მატერიალური ფაქტორით, არამედ პირველ ყოვლისა, ღვთის რწმენითა და სასოებით, იმ ზნეობრივი პრინციპების შენარჩუნებით, ურომლისოდაც სიცოცხლე სიკვდილზე უარესია („სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“).

ცხადია, „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს, რომ ადამიანი რთული ფენომენია. ყველას თანაბრად არ ძალუძს გააცნობიეროს თავისი, როგორც ღვთის ხატის, უმთავრესი დანიშნულება ამქვეყნად, იფიქროს თვითსრულყოფაზე. ასეთ ადამიანთა უმთავრესი საზრუნავი მიწიერ ზრახვებს უკავშირდება, ასეთები არიან, მაგალითად, არაბეთის „მექრთამე“ ვაზირი, გულანშაროს მკვიდრი უსენი და სხვა. რუსთაველმა გვიჩვენა პიროვნების შინაგანი დინამიკაც (ნესტან-დარეჯანი, ფატმანი), ამდენად, მან, ერთი მხრივ, შექმნა პერსონაჟთა სახეები, რომელთა სიკეთე, სიბრძნე იმთავითვე მოცემულია (თინათინი, როსტევანი, ავთანდილი), მეორე მხრივ, გვიჩვენა, როგორ ვითარდება, ღრმავდება და იხვეწება პიროვნება ცხოვრებისეულ განსაცდელთა გადატანისა და გაცნობიერების კვალობაზე (ნესტან-დარეჯანი, ფატმანი). აგრეთვე, მოქმედ პირებად შემოიყვანა ქაჯნი, მითოლოგიური არსებანი, რომლებიც აქ ბოროტ ადამიანებს განასახიერებენ („ყოველთა კაცთა მავნენი...“).

ნარკვევში „სამი საღვთისმეტყველო სათნოება და ვეფხისტყაოსანი“ ამ საკითხზე მსჯელობისას აღვნიშნავდით, რომ „რუსთაველმა ადამიანის შინაგანი ბუნება ასახა თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით და დააყენა სამყაროს ცენტრში ისე, რომ ის თავისი ჯანსაღი ცნობიერებით და სიბრძნით სამყაროს გვირგვინია, უფლის ხატია, მისი მორჩილი და მსასოებელი. მას აქვს თავისუფალი ნება და არჩევანი, მაგრამ ძლიერია მაშინ, როდესაც ექვემდებარება განგებას, თავის ნებას ღვთის ნებას უთანხმებს და მის უზენაესობას აღიარებს ყველაზე მტკივნეულ მომენტებშიც კი. ეს არის ღვთისა და ადამიანის ენერგიათა და ნებელობათა

[10] **რ. სირაძე**, ქართული კულტურის საფუძვლები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2000, გვ. 6.

დამთხვევა, სინერგია, და ადამიანის სწორ სულიერ მიმართებას გულისხმობს ღვთისა და გარე სამყაროსადმი“.[11]

საყურადღებოა, რომ მაღალ სოციალურ ფენას, არისტოკრატიას, რომელიც ამავე დროს რაინდის სტატუსსაც უნდა ითავსებდეს, მოეთხოვება დაიცვას ზნეობრივი კოდექსი, იყოს ჰუმანური, კეთილი, სამართლიანი, და მთლიანობაში იმ ღირსებათა მატარებელი, რომლებიც ხაზს გაუსვამს მის შინაგან არისტოკრატიზმსაც. ეს ყოველივე გამოარჩევს მას მონა-ყმის ზოგადი მხატვრული სახისგან, რომელსაც თავის მხრივ აქვს გარკვეული (არა მხოლოდ სოციალური) ზნეობრივი ვალდებულებანი. მიწიერი იერარქია კი იდეალურ შემთხვევაში ბაძავს ზეციურს. ამიტომაც ნიშანდობლივია ფრაზები: „ვინათგან ღმერთი შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა...“, ან „ თუ ღმრთულებრ შეგვიწყალებდეთ, აქა ნუ მოვლენ სპანია“ და სხვა.

მაგალითად, არაბთა მეფე როსტევანის მხატვრული სახე, რომლითაც იწყება პოემის სიუჟეტი, წარმოადგენს მეფე-პატრონის შუასაუკუნეობრივ იდეალს, ვინაიდან მის პორტრეტში თავმოყრილია ფიზიკური, მორალური თუ ეთიკური კატეგორიების მთელი წყება: „ღმრთისაგან სვიანი“, „მაღალი“, „უხვი“, „მდაბალი“, „ლაშქარმრავალი“, „მოსამართლე“, „მოწყალე“, „მორჭმული“, განგებიანი... როსტევანის სახე ხელმწიფის ღვთაებრივი წარმოშობით არის შთაგონებული.

საყურადღებოა როსტევან მეფის ურთიერთობა ხელქვეითებთან, იქნებიან ისინი მაღალი რანგის მოხელეები, ვაზირები, თუ ყმა-მონები. ამ საკითხზე მსჯელობისას ნარკვევში „სოციალური ტერმინოლოგია და ურთიერთობანი ვეფხისტყაოსანში“ შევნიშნავდით, რომ არაბეთის ბრძენმა მონარქმა იცის, როგორ მართოს და დაიქვემდებაროს სოციალურად განსხვავებული ფენები, როგორ გაიერთგულოს ორგულნი და რა პრინციპით იხელმძღვანელოს ურთიერთობებში. ამ სიბრძნესა და გამოცდილებას იგი თავის ქალიშვილსაც უზიარებს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების,
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“.

(49[12])

მეფე პირად ურთიერთობებშიც ჰუმანურია, ლმობიერი და ზოგიერთ შემთხვევაში, თავმდაბალიც კი.

პოემის მიხედვით, ძირითადად მაღალი არისტოკრატული ფენა ქმნის რაინდთა წრეს, რომელსაც კარგად ჩამოყალიბებული ზნეობრივი კოდექსი აქვს. საერო მწერლობის აღმოცენებასთან ერთად ჩნდება რაინდის მხატვრული სახეც და რაინდობა, როგორც სოციალური ინსტიტუტი. პირველ საერო თხზულებად მიჩნეული „ამირანდარეჯანიანი“ სარაინდო რომანია. სარაინდო რომანად მიიჩნევს „ვეფხისტყაოსანს“ მკვლევართა დიდი ნაწილიც.

რაინდის ცნება პოემაში არ ჩანს. მას შეესატყვისება ყმა, მოყმე, ჭაბუკი. თუმცა ამ ცნებათა შორისაც არის გარკვეული სხვაობანი. ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის ყმა, მოყმე ჭაბუკი“, რომელშიც სათანადო მასალის განხილვის საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ „ყმას“ (როგორც ვაჟს, ახალგაზრდა კაცს) და „მოყმეს“ შორის სინონიმური მიმართებაა.... „ჭაბუკი“ უნდა განიმარტებოდეს, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული – მეომარი ყმა //მოყმე – საბრძოლო ხელოვნებას დაუფლებული ვაჟი.[13]

---

[11] **ლ. კარჭაშვილი**, ვეფხისტყაოსანი და პოსტმოდერნიზმი. გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, გვ. 18.
[12] **შოთა რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966.
[13] **ლ. კარჭაშვილი**, ვეფხისტყაოსანი და პოსტმოდერნიზმი. გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, გვ. 82.

რაინდის არქეტიპი სასულიერო მწერლობის პერსონაჟი წმინდა მხედარია - სულიერი მოღვაწე, რომელიც იბრძვის უხილავი მტრის წინააღმდეგ. საერო მწერლობაში მისი ტრანსფორმაციაა რაინდი, რომელიც რეალურ, არა მისტიკურ, სივრცეში იბრძვის სიკეთის, სამართლიანობის დასაცავად და ამარცხებს ბოროტს, თავის გამორჩეულ ფიზიკურ ძალას იყენებს სიკეთის სამსახურში. იგი, პირველ ყოვლისა, ღვთის მორწმუნე და მორჩილია. თუ რაინდმა საკუთარი შესაძლებლობები ბოროტად გამოიყენა, ცხადია, ის სცილდება თავის არქეტიპს და აღარც ეწოდება რაინდი, იგი შეიძლება იყოს დაქირავებული ფალავანი, მეკობრე ან ყაჩაღი. რაინდის სახის დაკავშირება წმინდა მხედართან, როგორც არქეტიპთან, თავისთავად გულისხმობს, რომ მისი ზნეობა ეფუძნება ქრისტიანულ ეთიკას. საყურადღებოა ამ მხრივ ავთანდილის მხატვრული სახე. მის „ანდერძში“ მკაფიოდ ჩანს ქრისტიანული მსოფლშეგრძნება და ეთიკური კონცეფცია თავისი უმნიშვნელოვანესი პრობლემატიკით, რომელშიც მოიაზრება ადამიანის არსის რაობა, მისია, ღირებულებანი. განხილულია ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა განათლების ფუნქცია და მნიშვნელობა, ნდობა, სიტყვა, მეგობრობა, სიყვარული, სიმამაცე, ვაჟკაცობა, სიუხვე, სიცრუე, სილაჩრე... ამავე მონაკვეთში პირდაპირ ხდება უფლის მოციქულის დამოწმება სიყვარული თემასთან დაკავშირებით.

მეორე მხრივ, რაინდობის ინსტიტუტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომლითაც ემსგავსება „ვეფხისტყაოსანი“ თავისი დროის დასავლეთევროპულ ლიტერატურას. სწორედ ზნეობრივი კოდექსი განაპირობებს რაინდთა საერთო ღირებულებებსა და მსოფლმხედველობას. რაინდი ხშირად მიჯნურიც არის. იგი გარკვეულ დავალებას იღებს სატრფოსგან, რათა დაამტკიცოს თავისი ღირსეულობა და მოიპოვოს მიჯნურის გული.

გამიჯნურებულ რაინდი დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში ხელმძღვანელობდა ე.წ. „სასიყვარულო კოდექსით“, რომლის ყველა პუნქტიც უყოყმანოდ უნდა ყოფილიყო დაცული: 1. კურტუაზული სიყვარული მხოლოდ რაინდთა წრის კუთვნილება იყო; 2. სიყვარულის კოდექსის ყველაზე მთავარ პირობად მიჩნეული იყო დუმილი და მოთმინება, ვინაიდან სიყვარული ცხადდებოდა ისეთ საიდუმლოდ, რომელიც დაფარული უნდა ყოფილიყო ბოროტი და შურიანი თვალისაგან; 3. შეყვარებული რაინდი უნდა ყოფილიყო არა მარტო მამაცი, ერთგული და უხვი, არამედ თავაზიანი, დახვეწილი მანერების მქონე; 4. იგი ვალდებული იყო, უყოყმანოდ შეესრულებინა სატრფოს ყოველგვარი დავალება, ვინაიდან მისი სამიჯნურო ურთიერთობა წარმოდგენილი იყო, როგორც ვასალური სამსახური. სასიყვარულო კოდექსის ეს პირობები დაცულია „ვეფხისტყაოსანში“ (თუმცა, დასავლურ ევროპული ლიტერატურისგან განსხვავებით, აქ არ ხდება ადიულტერი). პოემის რაინდები პასუხობენ მიჯნურობის რუსთველისეული „კოდექსის“ ყველა მუხლს.

პროლოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია რუსთველისეული მიჯნურობის კონცეფცია. იგი განარჩევს მიჯნურობის სხვადასხვა სახეს. პირველ მიჯნურობად რუსთაველი თვლის საზეო, საღვთო სიყვარულს. პოეტის სიტყვით, მიწიერი სიყვარულიც საღვთო მიჯნურობას ემსგავსება, თუკი ის წმინდაა. ვფიქრობთ, სწორედ ეს არაბული სიტყვა (მიჯნური) მიესადაგებოდა ღვთის მოტრფიალეს, რომლის ცნობიერება ამაღლების კვალდაკვალ სცილდებოდა ემპირიული რეალობის საზღვრებს და პრაგმატული პოზიციიდან შმაგად, ხელად აღიქმებოდა.

პროლოგშივე მოგვცა რუსთაველმა იდეალური მიჯნურის ზნეობრივი სახე, რომელსაც პოემაში შეასხა ხორცი:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძლოთა მძლეობა.
ვისაც ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურს ზნეობა“.
(23)

ეს სტროფი არაერთხელ იქცა საგანგებო შესწავლის საგნად. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა „მოცალეობის“ ცნება, რომელსაც ორგვარად განმარტავდნენ: 1. მოცალეობა შემოქმედებითი თავისუფალი დროის თვალსაზრისით, 2. ცალობა, შესაფერისობა, ტოლ-სწორობა. ჩვენი აზრით, რამდენადმე ხელოვნურია ცნების პირველი განმარტება და მას უშუალოდ პოემის ფაქტობრივი, ენობრივი მონაცემებით ვერ დავასაბუთებთ. მეორე განმარტების დადასტურება კი შესაძლებელია. მაგალითად, ტაეპში - „სიყვარული სიყვარულსა შეგიცალო, შეგიწონო“ - სწორედ ამ მნიშვნელობით ჩანს სიტყვა „შეგიცალო“ - შეგიფერო, შეგითანასწორო, ამ გაგებას ადასტურებს იქვე სინონიმური მნიშვნელობით გამოყენებული „შეგიწონო.“

ზემომოხმობილ სტროფში დასახელებული თვისებების, როგორც სამიჯნურო ზნეობის, მატარებელნი არიან ავთანდილი და ტარიელი. მიჯნურს მიჯნურის ამოცნობა უნდა შეეძლოს, მზად უნდა იყოს მისი თანაგრძნობისა და თანადგომისთვის, რადგან მათ არა მხოლოდ მსგავსი სულიერი მდგომარეობა, საერთო აქვთ ღირებულებები, ზნეობრივი ნორმები და ქცევის კოდექსი, რომელზეც საუბარია პროლოგში. მიჯნურობა ყველას არ ძალუძს, მას ცოდნა უნდა, შინაგანი დამტევნელობა და ძალა სჭირდება. საყურადღებოა, რომ ასმათის კეთილგანწყობა ავთანდილმა სწორედ მას შემდეგ მოიპოვა, რაც ახსენა, რომ მიჯნურია, ხოლო „მიჯნური მტერთაცა შეებრალების“.

რუსთველური სიყვარული აწრთობს ნებისყოფას და აფაქიზებს ზნეობას, აძლევს ძალას ბოროტების დასამარცხებლად. სიყვარულის ძალამ შემუსრა ბოროტების სამეფო - ქაჯეთის ციხე.

განსხვავებულია ვაჭართა ზნეობა, გულანშარო არის მიწიერი ქალაქი, თავისი ცხოვრების წესითა და ღირებულებებით. აქ ყველაფრის საზომი სიმდიდრეა. გლახაკი შეიძლება ერთ თვეში გამდიდრდეს, ან პირიქით, მდიდარი გაღატაკდეს. ვაჭრის მხატვრულ სახეს გულანშაროს ეპიზოდამდე ეცნობა მკითხველი, როდესაც ავთანდილი ვაჭართა ქარავანს ხვდება, რომელიც ზღვის პირას გაჩერებულა და გზის გაგრძელება ვერ გაუბედია. ავთანდილში რაინდს ერთი შეხედვით ამოიცნობენ ვაჭრები:

„თქვეს: ყმა ვინმეა ჭაბუკი, არა ჩვენებრვე რიდითა“.
(1036)

ჭაბუკი აქ ნიშნავს მეომარ ვაჟკაცს, საბრძოლო ხელოვნებას დაუფლებულ ვაჟს. ამიტომაც გაუხარდათ მისი დანახვა ვაჭრებს, მისი მფარველობის იმედი გაუჩნდათ და არც შემცდარან. ავთანდილი თავის მხრივ იცნობს ვაჭართა ფსიქოტიპს. „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი“- ეუბნება და ამით ხაზს უსვამს მათ სიმხდალეს, ბრძოლისუუნარობას. საინტერესოა, რომ იგი აქვე განუმარტავს თავისი სიმამაცის მიზეზს - ეს არის რწმენა იმისა, რომ მოხდება მხოლოდ ის, რაც უფალს სურს.

„ყმამან უთხრა: ვინცა ჭმუნავს, ცუდია და ცუდად სცთების!
რაცა მოვა საქმე ზენა. მომავალი არ აგვცდების.“ (1035)
„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა მებნენ ხმელთა სპანი,
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი“. (1039)

ეს არის სიკვდილის შიშის დაძლევის წინაპირობაც.

უფალი ბრძანებს: სადაცაა შენი საუნჯე, იქვეა შენი გულიც. რაინდთაგან განსხვავებით, ვაჭართა საუნჯე მატერიალური სიმდიდრეა, ამიტომ მათი გული და გონება მიჯაჭვულია მიწიერ ფასეულობებზე. თუმცა თავისთავად ეს ფაქტი არ გულისხმობს იმას, რომ ვაჭარს არ მოეთხოვება ან არ შეიძლება იყოს ზნეობრივი. ვაჭართუხუცესი უსამი საკმაოდ საინტერესო პიროვნება ჩანს. მას ავთანდილის პიროვნების დანახვა ძალუძს, მისი დაფასება და თაყვანისცემა შეუძლია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თვითონ მასშია სიკეთე. ასევე დადებით სახეს ქმნის ვაჭართა ქალაქის მეფე მელიქ სურხავი. მას მონარქისთვის ნიშანდობლივი თვისებები ამშვენებს, მათ შორის, სიბრძნეც. ეს განსაკუთრებით იკვეთება იმ ეპიზოდში, რომელშიც მეფე ვარაუდს გამოთქვამს ნესტან-დარეჯანის ვინაობის შესახებ:

„ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების,
მისგან კიდე არვისად სცალს, ვეღარცა ვის ეუბნების.
ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი.“
(1184)

მიჯნურისა და ბრძენის მსგავსების აღნიშვნა, ცხადია, მეფის გონიერებაზე მეტყველებს. მეფე კარგად იცნობს როგორც მიჯნურის ფენომენს, აგრეთვე ბრძენისა. ორივე შემთხვევაში განსხვავებულ ცნობიერებას ესმევა ხაზი.

საკმაოდ უსიმპათიოა უსამი, როგორც ანგარებიანი, ფლიდი, სიტყვის გამტეხი კაცი. მიუხედევად იმისა, რომ ისიც ღმერთს იფიცებს, რეალურად მას არც რწმენა აქვს და, ცხადია, არც შიში ღვთისა. ყველა მის ქმედებას წარმართავს ანგარება და დოვლათის მოხვეჭის სურვილი. ეს მოტივი ჩანს მის დამოკიდებულებაშიც ნესტან-დარეჯანის მიმართ. ზოგადად, ნესტან-დარეჯანისადმი ორგვარი დამოკიდებულება იკვეთება. მის მშვენიერებას ყველა აღიარებს, მაგრამ ერთნი თუ თაყვანისმცემლები ხდებიან (როგორც ფატმანი) და ცდილობენ რამით დაეხმარონ მას, მეორენი ფიქრობენ, როგორ გამოიყენონ მისი არაჩვეულებრივი გარეგნობა, როგორც ეს უსენის და როშაქის მაგალითზე ჩანს.

პოემის მიხედვით, ვაჭართა ეთიკის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა და მასთან დაკავშირებული ობიექტური ფაქტორებისა, მათი ზნეობის ძირითადი განმსაზღვრელი პიროვნული ხასიათია.

ზემოთ ყურადღება გავამახვილეთ როგორ განსაზღვრავს არისტოტელე მეგობრობას და რა მიაჩნია მის მთავარ მახასიათებლებად. მეგობრობა „...უაღრესად აუცილებელია ცხოვრებისთვის. ადამიანი მეგობრების გარეშე ცხოვრებას ვერ ისურვებდა.“ (გვ. 168) „მეგობრებს ერთმანეთისთვის სიკეთე უნდა სურდეთ და სწორედ ამას ეწოდება მეგობრობა“ (გვ. 170). „მეგობრობის უმაღლესი ფორმა არსებობს კარგ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან სათნოებით,“ გვ. 172. „მეგობრობა არის თანასწორობა, რაც ყველაზე მეტად კარგ ადამიანებს ახასიათებთ.“ (გვ.175). მეგობრობა თანასწორობასა და მსგავსებაში მდგომარეობს“.[14]

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მეგობრობა სწორედ ამ საფუძვლებს ეყრდნობა: პიროვნული სრულყოფა („კარგი ადამიანები“), სიკეთის სურვილი, თანასწორობა და მსგავსება. რუსთაველისთვის განუყოფელია მეგობრობა და სიყვარული. პერსონაჟები საკუთარ თავს ხედავენ ერთმანეთში, ამიტომაც მეყსეულად ხდება მათი ურთიერთშეცნობა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მთავარ პერსონაჟთა შეხვედრები, რომელთა ხასიათს განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი: ესთეტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ეთიკური.

[14] **არისტოტელე**, ნიკომაქეს ეთიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 168-175.

მეგობრობის საფუძველი ხდება მსგავსება და თანასწორობა, რაინდობა და მიჯნურობა – ეს ყოველივე საერთო მსოფლმხედველობასა და ღირებულებებს გულისხმობს.

* * *

სასულიერო პირების მხრიდან რუსთაველის მიუღებლობის უმთავრესი მიზეზი ისიც იყო, რომ პერსონაჟთა ქცევები, ზოგიერთ შემთხვევაში ქრისტიანული ეთიკისთვის მიუღებელია. ასეთად პირველყოვლისა სახელდება ტარიელის მიერ ხვარაზმშას მკვლელობა, რომელიც საგანგებო შესწავლის საგანია რუსთველოლოგიაში. ამ ფაქტის ინტერპრეტაცია-შეფასება სხვადასხვაგვარია. ზოგი ცდილობს ახსნა მოუძებნოს და გაამართლოს ტარიელისა და ნესტანის ქმედება, მკვლევართა ნაწილი კი მას ცალსახად დანაშაულად მოიაზრებს. ფაქტია, რომ ხვარაზმაშას მკვლელობა, ისევე როგორც ჭაშნაგირისა, ქრისტიანული ეთიკისთვის შეუწყნარებელია. ამ საკითხზე მსჯელობისას მკვლევარი ელგუჯა ხინთიბიძე შენიშნავს: „ნესტანისა და ტარიელის თათბირი სასიძოს მოსაკლავად და ფატმანის დავალებით ავთანდილის მიერ ჭაშნაგირის მოკვლის გადაწყვეტა, რელიგიური ეთიკით, არის ცოდვა შეგნებული, თავისუფალი; როდესაც ადამიანი გადაწყვეტს, განიზრახავს „უსჯულოებას“, უკანონობას და არ ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს მას. რაც შეეხება ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლას და ავთანდილის მიერ ჭაშნაგირის მოკვლას, ქრისტიანული თვალსაზრისით, ესაა ცოდვა საქმითი, მიმართული მოყვასის წინააღმდეგ.“[15]

ცხადია, მკვლელობა უმძიმესი ცოდვაა, მით უფრო საქმე უფლისწულს ეხება. მაგრამ პოეტი ქმნის მხატვრულ სინამდვილეს, სინამდვილე კი, თუნდაც მხატვრული, გულისხმობს ცხოვრებას თავისი კოლიზიებითა და ტრაგედიებით, შეცდომებითა და ცოდვებით. სხვა საკითხია იწონებს თუ არა რუსთაველი ამ ფაქტს, რაზე მეტყველებს სიუჟეტის განვითარება. ხვარაზმშას მკვლელობას მოჰყვა ნესტანისა და ტარიელის ცხოვრების ურთულესი ცრემლითა და ტკივილით აღბეჭდილი პერიოდი. ელ. ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ ისინი არ გამოთქვამენ სინანულს: „უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ არც ნესტანს და არც ტარიელს არა აქვთ შეგნებული თავიანთი „დანაშაული“. მათ არ მიაჩნიათ, რომ ცოდვა ჩაიდინეს. ნესტანის დაკარგვით უმაგალითო ჭირში ჩავარდნილი ტარიელი არც ერთხელ არ დაეჭვებულა იმაში, რომ ეს ჭირი იმ ცოდვის პასუხია, რომელიც მან ჩაიდინა. არც ერთხელ არ დაფიქრებულა იმაზე, რომ მის მიერ ჩადენილი ცოდვა მოენანიებია“.[16]

პოემის ფაქტობრივი მონაცემები ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ორივე პერსონაჟს ზარავს ამ მკვლელობის გახსენება. როდესაც ტარიელი ავთანდილს ამ ამბავს მოუთხრობს, აღნიშნავს: „კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარმაც თქმად ენით“. ამავეს მოწმობს ტაეპი „სულთა ვყიდდი გულისათვის, კოშკი ამად გამებაზრა“. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ ხვარაზმშას ძის შემოსვლას ინდოეთში ახლავს პოლიტიკური ასპექტიც (რომლითაც ფარსადანის წინაშე თავის ქმედებას ამართლებს ტარიელი, ინდოეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე).

ხვარაზმშას ძისა და ჭაშნაგირის მკვლელობებთან დაკავშირებით ელ. ხინთიბიძე აღნიშნავს: „ნესტანისა და ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა არის გააზრებული საშუალებად, გზად დასახული მიზნის - გმირთა ბედნიერების (სიკეთის) მისაღწევად. ავთანდილის მიერ ჭაშნაგირის მოკვლაც არის საშუალება, გზა დასახული მიზნის მისაღწევად, ფატმანის საიდუმლოს გასაგებად, რომელსაც უშუალოდ გმირების ბედნიერებამდე (სიკეთემდე) მივყავართ. ამიტომაც, ვეფხისტყაოსნის ეთიკური კონცეფციით, ორივე მოქმედება არის ქველმოქმედება, სათნოებითი მოქმედება.

---

[15] **ე. ხინთიბიძე,** ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო. გამომცემლობა „ქართველოლოგი“, თბილისი, 2009, გვ. 374.

[16] **ე. ხინთიბიძე,** ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო. გამომცემლობა „ქართველოლოგი“, თბილისი, 2009, გვ. 374.

მაგრამ, ქრისტიანული ეთიკით, რომელსაც ქველმოქმედება მიზნად მიაჩნია და რომელიც ყველა მოქმედებაში სიკეთის გამოხატულებას ეძიებს, რაღა თქმა უნდა, ეს მოქმედებანი არ ჩაითვლება ქველმოქმედებად. პირიქით, რამდენადაც რელიგიური თვალსაზრისით ყოველი „სჯულიერი“ მოქმედება არის ქველმოქმედება, ანუ ამქვეყნიური სიკეთე, ხოლო ყოველი „უსჯულო“ მოქმედება - ბოროტება, ორივე განხილული შემთხვევა, ქრისტიანული ეთიკით, მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებად აღიქმება.

ამრიგად, ვეფხისტყაოსნის მორალური კონცეფცია პრინციპულად განსხვავდება ქრისტიანული ნორმირებული სისტემისგან ეთიკის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტაში - სიკეთისა და ქველმოქმედების გაგებაში.“[17]

ვფიქრობთ, ამ მსჯელობის შედეგად მიღებული დასკვნა „ვეფხისტყაოსნის“ მორალური კონცეფციის ქრისტიანული ეთიკისაგან პრინციპული განსხვავებულობის შესახებ კიდევ საჭიროებს ჩაღრმავებასა და განხილვას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ რუსთაველის ქმნის მხატვრულ რეალობას, რომელშიც ბოროტება და ცოდვა, ნებსითი თუ უნებლიე, სიკეთესთან ერთად თანაარსებობს. სხვა საკითხია რუსთაველი იწონებს თუ არა თავისივე გმირების ზემოაღნიშნულ ქმედებებს. ხვარაზმშას მკვლელობასთან დაკავშირებით უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს მკვლელობა ნესტანსა და ტარიელს უდიდეს განსაცდელად ექცათ, რაც შეეხება ჭაშნაგირის მკვლელობას, არც ეს ეპიზოდი დატოვა რუსთაველმა „უკომენტაროდ“, „ესე მიკვირს სისხლი მათი ასრე ვითა მოიპარა“ - ამბობს იგი. აქ, ცხადია, ავთანდილის სწრაფი, უხმაურო, მარჯვე მოქმედება „აოცებს“ და მას აქვე უწოდა „ვარდი ტკბილი“, მაგრამ შესაძლებელია ეს ფაქტი ალეგორიული მნიშვნელობით იყოს უფრო რელევანტური. მაგალითად, დამაჯერებლად გვესახება თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ჭაშნაგირის მკვლელობით კვდება ფატმანის წარსული, ის იშორებს ძველ ცხოვრებას და ავთანდილთან ურთიერთობაში, ნესტანისა და ტარიელის შემწეობაში „იბადება“ ახალი ფატმანი, რომელსაც ბედნიერებად მიაჩნია ამ უჩვეულო ამბავში წვლილის შეტანა.

„ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომხვდეს მო-რანი,
დღეს რომე მესმნეს ამბავნი, უკვდავებისა სწორანი!“

(1268)

იმ რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, რომლებიც ეთიკის პრობლემატიკასთან დაკავშირებით განვიხილეთ, შეიძლება ითქვას, რომ, ჩვენი თვალსაზრისით, რუსთაველის ეთიკური კონცეფცია, როგორც სიუჟეტის განვითარების, ისე პერსონაჟთა მხატვრულ სახეთა დონეზე, არსებითად ქრისტიანულია. იგი მნიშვნელოვნად თანხვდება არისტოტელეს ნააზრევს ეთიკის პრობლემებზე. პერსონაჟის ზნეობა გარკვეულწილად განპირობებულია მისივე მსოფლმხედველობით, სოციალური ნიშნულით, უმთავრესად კი ინდივიდუალური მახასიათებლებით. ამდენად, ეთიკა რუსთაველისთვის, ისევე, როგორც ზოგადად, პიროვნული ფენომენია.

[17] **ე. ხინთიბიძე,** ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო. გამომცემლობა „ქართველოლოგი“, თბილისი, 2009, გვ. 382.

Lia Karichashvili

Ethical Realities In „Knight In The Panter's Skin"
(Some Aspects)

Summary

Some ethical aspects from the „Knight In The Panter's Skin“ are considered in this paper. In our opinion, Rustaveli's ethical concept, as the storyline and the artistic images of characters, is essentially Christian. It is similar with the Aristotle's ethics problems. Character's morality is formed by world outlook, social level and, mainly, by personal characteristics. Thus, the ethics for Rustaveli, as in general, is the personal phenomenon.

ფსიქოლოგია

დიმიტრი ნადირაშვილი
ადამიანის თვითობის ფენომენი განწყობის თეორიაში, ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში

ნონა ახალაშვილი, ანა მანდარია
პიროვნული ღირებულებების კვლევა დამნაშავე და არადამნაშავე ქალებთან

მაია კალანდარიშვილი, ხატია ღვინიაშვილი
ხანმოკლე მეხსიერების ფაქტორული ანალიზი

თეა გოგოტიშვილი
ნარკოდამოკიდებულების ფორმირების ფსიქო-სოციალური წანამძღვრები

სალომე საბიაშვილი, თინათინ ფანცულაია, ლუიზა არუთინოვა
თავის ტკივილის (შაკიკი) მქონე პაციენტებთან აგრესიულობის და ალექსითიმიურობის მაჩვენებელი

დიმიტრი ნადირაშვილი

ადამიანის თვითობის ფენომენი განწყობის თეორიაში, ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში

„თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები.“
შოთა რუსთაველი

განწყობის კონცეფცია, ჯერ კიდევ დიმიტრი უზნაძის მიერ გააზრებული, მთლიან ადამიანური, მთლიან სუბიექტურის სახით შემოვიდა ფსიქოლოგიაში. მიუხედავად განწყობის ცნების ამგვარი გაგება-დახასიათებისა, განწყობის თეორიაში არ ფიგურირებს, არ არსებობს თვითობის ცნება (Self, Самость) ადამიანთან, პიროვნებასთან მიმართებაში. ჩვენი ეს ნაშრომი თვითობის ფენომენის განწყობის თეორიაში დანერგვას, შემოტანას ემსახურება.

როგორც ვიცით ფუნქციონალურად, განწყობა ესაა ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მომზადება, მომართვა ქცევისთვის. სტრუქტურულად განწყობის შექმნა-ფორმირებისთვის აუცილებელია სამი კომპონენტი: შინაგანი მოთხოვნილება, ინსტრუმენტული შესაძლებლობა-უნარი და გარე სიტუაცია.

თვითობასთან დაკავშირებით, ბავშვი იბადება ამ ფენომენით და უნარით. თვითობის განცდა მას თანდაყოლილი აქვს. ის იბადება ამ თვით განცდით, რასაც გამოიხატავს კიდეც ქცევაში. ბავშვი არ იძენს თვითობას. ის ისევე მნიშვნელოვნად და აუცილებლად განიცდება როგორც სუნთქვა, იმდენად აქტუალურია ეს უნარი. თვითობა ხასიათდება გარკვეული ნიშნით, ესენია: აუთენტობა ანუ თავისთავადობა, სხვანაირად სინაღდე; სპონტანურობა, რაც სილაღეს სძენს ადამიანს ქცევაში; უშუალობა ინტერპერსონალურ მიმართებებში. ეს ის თვისებებია, რომლებიც ჯანმრთელ ბავშვს თავიდანვე ახასიათებს. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ზრდასრული ამ თვისებების დემონსტრირებაში ბავშვს ვერ შეედრება. ამ სასიცოცხლო თვითობის გამოვლინებებში აჯობოს ბავშვს, ძნელად თუ ვინმე ზრდასრულს ძალუძს.

ბავშვის უპირატესობა თვითობის წარმოჩენაში რიგი გარემოებებითაა გაპირობებული. ეს უპირატესობა რომ ავხსნათ, ფოკუსში მოვაქციოთ, თუ რა დონეები გამოიყოფა განწყობის თეორიაში, ესენია: ინდივიდი, სუბიექტის და პიროვნების განწყობათა დონეები. ახალშობილ ბავშვს ძირითადად სუბიექტის დონის განწყობები აქვს. მას გარკვეულ სტადიამდე არ გააჩნია სუბიექტის დონისთვის დამახასიათებელი აზროვნების შესაძლებლობანი. ასევე არ გაუვლია სოციალიზაციის პროცესი და არ არის მატარებელი სოციალური, პიროვნული განწყობების. ამიტომ პატარა ბავშვს არ გააჩნია ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი სტრუქტურები. ის მხოლოდ ინდივიდის განწყობებს გამოხატავს თვითობისთვის დამახასიათებელი მთლიანობით, აუთენტობით და სპონტანურად. სხვაგვარადაა ვითარება ზრდასრულ ადამიანთან, რომელსაც აზროვნების უნარი გააჩნია და სოციალიზირებულიცაა. ასეთმა შინაგანი სტრუქტურის მქონე ადამიანმა თვითობა რომ შეინარჩუნოს და ქცევაში გამოხატოს, ამ სამი სტრუქტურის ისეთი ურთიერთ მიმართება უნდა მოახერხოს, რომ ეს განწყობები ერთმანეთში კონფლიქტში არ მოვიდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთლიანობა და ქცევის სპონტანურობა გაქრება, სახეზე არ იქნება. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ზრდასრულმა რომ თვითობა და მთლიანობა შეინარჩუნოს რთული შინაგანი პიროვნული მუშაობა უნდა გასწიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითობა მე-ს სტრუქტურის შინაგან კონფლიქტებს შეიძლება შეეწიროს. ზრდასრულთან მთლიან პიროვნული, მიზანშეწონილი ქცევები რომ განხორციელდეს მას ცხოვრებაში იერარქიული პრიორიტეტები უნდა გააჩნდეს, რომელიც ისე უნდა შეიქმნას და ფორმირდეს, რომ ამ ადამიანის ინდივიდის განწყობები დაკმაყოფილებისას კონფლიქტში არ მოდიოდეს მის სუბიექტის განწყობებთან და პიროვნების განწყობებთან.

თავსებადობა და ჰარმონია ამ სფეროში თვითობის განწყობების რეალიზაციის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო ამ სტრუქტურათა შორის არსებული გადაულახავი კონფლიქტები თვითობის არ ქონის მიმანიშნებელია.

სანამ თვითობას დავახასიათებთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ განწყობის ფსიქოლოგიაში ადამიანის განწყობების დონეების მიხედვით კლასიფიკაციით, შოთა ნადირაშვილმა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შექმნა ადამიანთა ბუნების სიღრმისეული გაგებისათვის. ამ კლასიფიკაციის ხატოვნად აღქმისა და შემეცნებისათვის გვინდა უფრო თვალსაჩინოდ დავახასიათოთ განწყობათა ეს დონეები. ინდივიდის განწყობათა, სუბიექტის განწყობათა და პიროვნების განწყობათა დონეები. ერთიანი მთელის ეს სამი სტრუქტურული ნაწილი სრულიად განსხვავებულ სფეროებში ქცევით აქტივობებს წარმოადგენენ. ინდივიდის განწყობები ძირითადად ბიოლოგიური, ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. ამ დონის განწყობები უაღრესად მნიშვნელოვანია სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ამიტომ ბავშვებს ინტენსიურად ავარჯიშებენ მშობლები და გარშემომყოფი ახლობლები, რომ მათ ამ დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დამოუკიდებლად მოახერხონ. თუმცა ადამიანი ამ დონის აქტივობით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება. ადამიანი რომელიც განასახიერებს ინდივიდის დონის განწყობებით შემოსაზღვრულ არსებას, ქართულ ლიტერატურაში თავადი ლუარსაბ თათქარიძეა, ილია ჭავჭავაძის მიერ გენიალურად და სარკასტულად დახასიათებული. ლოყებ ღაჟღაჟა და დიდ ღიპიან ლუარსაბს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვნად ჭამა-სმის პროცესის ორგანიზირება მიაჩნია. მისი სიტყვებით, მას როგორც ადამიანს ყველაფერი აქვს ფერიც არ აკლია თუ ხორციც. კაცი ჭამისთვისაა გაჩენილი და ამ „მაღალ მოვალეობას“ თათქარიძე პირნათლად ასრულებს. ლუარსაბს გვერდში თავისივე მსგავსი, ინდივიდის განწყობების დონით შემოფარგლული დარეჯანი ჰყავს. ერთმანეთს მშვენივრად უგებენ. კარგად იციან, თუ რაა ცხოვრების მთავარი საზრუნავი. ფასეულობებიც მსგავსი აქვთ, თუმცა კამათი მაინც მოსდით. ორაგული სჯობია თუ თართი? ან ბოზბაში უფრო გემრიელია მაძღარ კუჭზე, თუ ჩიხირთმა? ეს ყველაფერი ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს არ სცდება, მაგრამ როდესაც საქმე ინტელექტუალურ თემებს შეეხება, თუ რამდენი ბუზია ჭერში, ლუარსაბისთვის კლება და მატება, გაფრენილა თუ მოფრენილა, ძნელად გადასაჭრელი საკითხია. ილია ჭავჭავაძე ასეთ ადამიანებზე კარგად ამბობს, კაცია ადამიანი?!

სუბიექტის განწყობების დონეს ლუარსაბ თათქარიძე აშკარად არ შეესაბამება. მისი განუვითარებელი უნარები ელემენტარულ მათემატიკას, მიმატება-გამოკლებას ვერ სწვდება. მიხეილ ჯავახიშვილი კვაჭი კვაჭანტირაძის დახასიათებისას ხაზს უსვამს მის ინტელექტს, აზროვნებას, ეშმაკობას, განწყობის ენაზე რომ ვთქვათ, სუბიექტის განწყობის დონეს. კვაჭი ლუარსაბის მსგავსად ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული, მაგრამ მისგან განსხვავებით სუბიექტის დონის განწყობებითაც ცხოვრობს. კვაჭის არა მარტო საქართველოს მასშტაბით შეუძლია საქმეების, როგორც თვითონ იტყოდა „გააიმასქნება“, არამედ რუსეთის იმპერიის მასშტაბითაც. კვაჭი პროტოტიპია სტალინ ბერიასი და მისდაგვარების. უღვთოთა და ეთიკისა და მორალის მიღმა მდგომთა. ის უდავოდ სხარტად აზროვნებს. ეშმაკია და გაქნილი. კვაჭი ინდივიდის და სუბიექტის განწყობებით ცხოვრობს, მაგრამ რაც მას არ გააჩნია ეს მაღალი პიროვნული განწყობების მქონე ღირებულებებია. ამდენად, ილია ჭავჭავაძე მასზეც იგივეს იტყოდა, კაცია ადამიანი?

პიროვნული განწყობის დონე ხასიათდება როგორც მაღალი ღირებულებათა სისტემის ქცევაში რეალიზაცია. ასეთ ქცევაში ადამიანური მორალი, ეთიკაა მოქმედებაში მოყვანილი. ეს დონე მაღალ ფასეულობათა გამოხატვა-დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. ადამიანები, რომლებიც მაღალ პიროვნული განწყობებით ცხოვრობენ სავალალოდ უფრო ცოტანი არიან, ვიდრე წინა ორი დონის განწყობების გამომხატველნი. ასეთნი იყვნენ, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული, ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ჯორდანო ბრუნო, მაჰათმა განდი, აბრაამ

ლინკოლნი. მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟებიდან: დათა თუთაშხია, ალიოშა კარამაზოვი, ალუდა ქეთელაური, ეს ის ადამიანები არიან რომლებიც პიროვნულად მაღალი ღირებულების მქონე იდეებს ახორციელებენ ცხოვრებაში.

ახლა რაც შეეხება ჩვენი ნაშრომის მთავარ თემას; თვითობა ესაა ისეთი მთლიანობაა, რომელიც მეს ნაწილების ჯამზე არ დაიყვანება და მასზე მეტია. თვითობა განიცდება და წარმოადგენს ქცევის საფუძველს. ის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში ორიენტირია, საყრდენია. მთელი, განწყობის თეორიის მიხედვით, მეს ნაწილების, ანუ ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების განწყობების იერარქიული, თავსებადი სისტემაა, რომლის მთლიანობაც თვითობაში გამოიხატება. ეს მთლიანობით წარმოჩენილი თვითობა ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან, მთავარ ორიენტირებს გამოხატავს. აქვს თუ არ აქვს თვითობა ადამიანს იმაში გამოიხატება, წარმოაჩენს თუ ვერ წარმოაჩენს მნიშვნელოვან პრიორიტეტებს ცხოვრებაში, რომლის რეალიზაციაც, დაკმაყოფილებაც პირველხარისხოვანია ამ პიროვნებისთვის.

როგორც აღვნიშნეთ ჰოლისტური, ანუ მთლიანობითი მიდგომა თავიდანვე ახასიათებდა განწყობის თეორიას, თუმცა ბევრ თეორიას რომელიც პოპულარობითა და მნიშვნელობით გამოირჩევა, თვითობის ცნება არ გააჩნდათ. ფსიქოანალიზი, რომელიც გამოირჩევა პიროვნების თეორიითა და საკუთარი სპეციფიური ტექნიკით, ამ თვალსაზრისით სერიოზულ თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს აწყდება. ფსიქოანალიზი პიროვნებას სტრუქტურული თვალსაზრისით სამ ნაწილად განიხილავს. ესენია: იგი, მე და იდეალური-მე ერთეულები. თითოეული მათგანი ავტონომიური წარმონაქმნია და გარკვეული ქცევისკენ უბიძგებს ადამიანს. იგი და იდეალური–მე სტრუქტურები რიგ ვითარებებში რადიკალურად დაპირისპირებული ერთეულებია. ფროიდის თქმით, იგი თავის უკიდურეს გამოვლინებაში ამორალურია, ხოლო იდეალურ მე-ს ზემორალურობაზე აქვს პრეტენზია. მე სტრუქტურას ამ ორ ინსტანციას შორის შუამავალის, დირიჟორის ფუნქცია აკისრია. ის ფროიდის მეტაფორით, ორი ბატონის მსახურია, რომელმაც არცერთს შეძლებისდაგვარად არ უნდა აწყენინოს. ცხადია, ამ როლის შესრულება ძნელი ამოცანაა.

ყოველივე ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ფროიდის მსოფლხედვით პიროვნება აღნიშნული ნაწილებისგან შედგება და შინაგანად კონფლიქტების მატარებელია. თითოეული ნაწილი, მნიშვნელოვნების თვალსაზრისით განსაზღვრავს ქცევას. ადამიანის შიგნით არსებული ავტონომიური ერთეულები, რომლებიც ერთმანეთში კამათობენ განსაზღვრავენ ამ პიროვნების ქმედებებს ისე, რომ ეს პიროვნება, როგორც მთლიანი არაა პასუხისმგებელი საკუთარ ქცევაზე. ამ მოდელის მიხედვით არარის კაცი, რომელიც პასუხს აგებს საკუთარ თავზე, არამედ სახეზეა სამი „კაცუნა", რომლებიც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ექაჩებიან სხვადასხვა მიმართულებით. ფსიქოთერაპევტი, რომელიც პაციენტთან მუშაობს რთული ამოცანის წინაშე დგას. ამ ვითარებაში თერაპევტის მიზანი ეგოს გაძლიერებაა. ეგო მხოლოდ ერთი ინსტანციაა, ამ სამ სტრუქტურას შორის, ამიტომ მის მთლიან პიროვნულ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი ძნელია, მით უმეტეს მე ინსტანციის დაქვემდებარებულობის გამო. ფროიდი მეს იერარქიულ დაქვემდებარებულ სტატუსის მქონედ განიხილავს. ხშირად ფროიდი მესთან დაკავშირებით ხმარობს მეტაფორას ორი ბატონის მსახური. ორ ბატონში იგულისხმება იგი და იდეალური მე ინსტანციები. ამ ვითარებაში, რომელშიც დაქსაქსულობასა და მძიმე იერარქიულობას აქვს ადგილი ძნელია ლაპარაკი პიროვნების მთლიანობასა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობაზე. თვითობის ცნების არ არსებობა ფსიქოანალიზში, მძიმე სურათს ქმნის, თუ როგორ შეიძლება ფუნქციონირებდეს ერთის მხრივ თავისუფალი, მეორეს მხრივ საკუთარ ბედზე პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი.

განწყობის ანთროპულ თეორიაში ადამიანი განიხილება, როგორც სამი დონის განწყობების მატარებელი არსება. ესენია: ინდივიდის, სუბიექტის, და პიროვნების დონეები. ეს კლასიფიკაცია შოთა ნადირაშვილის მიერ შემოტანილი, პრაქტიკული მიმართებების საშუალებას აძლევს

თეორიას, რომლის ბაზაზეც ფსიქოთერაპიული მუშაობის განხორციელება ხდება შესაძლებელი. ამ მიმართულებით ჩვენ მიერ შემუშავებული იქნა ანტინარკოტიკული პრევენციის განწყობის ფსიქოლოგიის მოდელი, რომელშიც ფსიქოთერაპიული თვალსაზრისით ნაჩვენები გვაქვს ანტისოციალური ქცევის მქონე ახალგაზრდებთან მუშაობისა და პრევენციის სპეციფიკა. ამჟამად თვითობის განწყობებზე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ, რომელიც სიახლეს წარმოადგენს განწყობის ფსიქოლოგიისთვის. რაც თავიდანვე გვინდა ფოკუსში მოვაქციოთ, ესაა თვითობის განწყობათა ფენომენი, რომელიც არ დაიყვანება არცერთ უკვე ნახსენებ განწყობის ავტონომიურ მოქმედებაზე, ანუ ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების განწყობებზე. ის თითოეულ მათგანის მოქმედებისგან განსხვავებული რეგულაციის მქონე განწყობაა. ამ თვალსაზრისით თვითობა სამი დონის განწყობებისგან განსხვავებული თვითრეგულაციის განწყობაა, რომელიც მოქმედებს თავისი სპეციფიკით. თუ ინდივიდის განწყობებში ბიოლოგიური მოთხოვნილებაა ფოკუსში, სუბიექტისაში აზროვნება და პიროვნულში ფასეულობები, მაშინ თვითობის განწყობაში ის მოთხოვნილებაა ფოკუსში, რომელიც მთლიან ადამიანს აქვს ცნობიერად მოცემული აქტუალურ მოთხოვნილებად, იერარქიულად გაცნობიერებული. ის სპონტანურად მოდის მოქმედებაში თვითობის რეგულირების დირიჟორობით. ქცევის სპონტანურობა ქცევის მუდმივ გაცნობიერებას არ გულისხმობს, თვითობა მას დირიჟორობს ისევე ავტოპილოტის რეჟიმში, როგორც მძღოლს მიჰყავს ავტომობილი და ამავე დროს საუბრობს, ან ადამიანი დადის და მოძრაობს გარკვეული დასახული მიმართულებით, ისე რომ ამ პროცესზე ცნობიერ კონტროლს ახორციელებს.

თვალსაჩინოებისთვის ნათლად რომ განვიხილოთ თვითობის ფსიქოლოგიური ფენომენი, ერთმანეთს შევადაროთ თვითობის მქონე, ინტეგრირებული და თვითობის არ მქონე არაინტეგრირებული, დაშლილი სუბიექტი (სქემა):



თვითობის არ მქონე სუბიექტის განწყობის თითოეული დონე კონფლიქტშია სხვა დონეებთან, მაგალითად ინდივიდის განწყობები ისევე ითხოვენ დაკმაყოფილებას, როგორც პიროვნების განწყობები. მათ შორის არ არსებობს სუბორდინაცია, თუ მოცემულ მომენტში რომელს მიენიჭოს უპირატესობა და რომელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება გადაიდოს მომავლისთვის. განწყობის ეს დონეები მოქმედებენ დამოუკიდებლად, ავტონომიურ რეჟიმში, მეს დანარჩენ ნაწილებთან არა სინქრონიზირებულად. ეს განწყობები რადგან ერთმანეთთან ცნობიერ ურთიერთ მიმართებაში არ არიან, ისინი მეტწილად არათავსებადი განწყობებია, ამიტომ ურთიერთმიმართებაში კონფლიქტებს ქმნიან. ეს განწყობები ვერ ერთიანდებიან და ქმნიან ერთიან მტევანს, კლასტერს. ამ განწყობათა ინტერაქციები გახლეჩილილი ნაწილების ერთმანეთთან კონფლიქტს წარმოადგენს. მათთვის მოკლებულია მთელისთვის დამახასიათებელ თვისებები. ამგვარი ადამიანის ნაწილების მიმართებაში არაა ზე ინსტანცია, რომელიც მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე მოქმედებს, ამიტომ არსებული ნაწილები კრილოვის იგავის გმირებივით აქეთ-იქით ექაჩებიან და შედეგად უდირიჟოროდ მოქმედებას, უსისტემო გაუაზრებელ ქცევებამდე მიჰყავთ ადამიანი. როგორც სქემაზე ჩანს, განწყობის თითოეული დონე ლოკალურადაა შემოსაზღვრული და მეს ნაწილები ერთმანეთთან როგორც უცხოსთან ისეთ მიმართებაშია. ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნული განწყობების სტრუქტურათა შორის არსებული საზღვრები ბარიერს ქმნიან. ამ არათავსებად განწყობებს შორის თვითობის ერთიანი სივრცე არ იქმნება. შედეგად გეშტალტის პრინციპი დარღვეულია, არაა ნაწილების ჯამი, ამიტომ არაა მთელიც, რომელიც ნაწილების ჯამზე მეტია.

ახლა გავაანალიზოთ, თუ როგორ მოქმედებს თვითობის სტრუქტურის მქონე ადამიანი. მასში გახლეჩილი მე-ს სტრუქტურის მქონე სუბიექტისგან განსხვავებით, სამი დონის განწყობათა სტრუქტურები სინქრონიზირებულ, თავსებად მიმართებაში არიან ერთმანეთთან. მე-ს ნაწილები კონფლიქტში არ იმყოფებიან ერთმანეთთან. ნათლადაა გაცნობიერებული სუბორდინაცია და პრიორიტეტები განსხვავებული დონის განწყობებს შორის. ამ ნაწილებს შორის არაა დაპირისპირება, არამედ ისინი თვითობის რეგულაციისა და დირიჟორობის ქვეშ მოქმედებენ. თვითობა ქმნის ნათელ საზღვარს, სივრცეს, რომელიც ერთ მთლიანობად საკუთარ მე-დ განიცდება. ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნული განწყობები თავსებადი ერთმანეთთან გაცნობიერებული მიმართებებით ხასიათდებიან. ეს სივრცე პიროვნების მიერ საკუთარ მე-ს სივრცედ განიცდება, რომელიც მთლიანობის და თავსებადობის გამო საყრდენად განიცდება. ეს სივრცე არაა საზღვრებით გახლეჩილი. მე განიცდება ერთიანად, თავისთავად, თვითმყოფადად. თვითობა ქმნის ერთიან საზღვარს. განწყობის დონეთა ასეთ ერთობაზე შეიძლება ითქვას, რომ ის როგორც მთელი ნაწილების ჯამზე მეტია. ამის გამო, თვითობის მქონე ადამიანი საკუთარ ავტონომიურ ფუნქციად ისეთ შესაძლებლობებს ფლობს, რაც თვითობის არ მქონეს არ გააჩნია. ეს ადამიანის ის სტრუქტურაა, რომელიც თვითობის სახითაა წარმოდგენილი და საკუთარი თავის ავტონომიურად მართვის შესაძლებლობებს იძლევა. ეს უნარები რომლებიც თვითობის მქონე ადამიანს ახასიათებს სიმთელის მახასიათებლებია. სამი რამ განიცდება ერთიანად, სინქრონიზებულად ერთ მთელში. სამივე სტრუქტურის ერთიანობა განიცდება საკუთარ თავად, მედ. ის მთავარი ინსტანციაა ცხოვრებაში და გარემოსთან ურთიერთობაში.

თვითობა ესაა მე-ს ნაწილების ჯამზე მეტი მთლიანობა, რომელიც ადამიანის ქცევის საფუძველია. ის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას მთავარი ორიენტირი და საყრდენია. განწყობის პრინციპიდან გამომდინარე მთელი, მისი ნაწილების, ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების განწყობების თავსებადი ერთიანობის მიღწევაა თვითობაში. არსებული თვითობა შესაძლებლობას აძლევს ადამიანს გამოხატოს არსი და საკუთარი სიღრმისეული მთავარი

ორიენტირები ცხოვრებაში. თვითობის ფუნქციონირებით ადამიანი იძენს აუტენტურობასა და ქცევაში სპონტანურობას.

თვითობა როგორც ის დავახასიათეთ, ესაა საკუთარი თავის ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების დონის განწყობების ავტონომიურად მმართველი ორგანო. ის ზოგს გააჩნია და ზოგს არა, ანუ დაკარგული აქვს, მიუხედავად იმისა, რომ თვითობით ბავშვი, ადამიანი თავიდანვე იბადება. ამითი გვინდა ვთქვათ, რომ შესაძლებელია ცხოვრება და ქცევა ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნული აქტივობის დონეებზე. ასევე შესაძლებელია აქტივობა თვითობის დონეზეც, რომელიც გულისხმობს სამი დონის განწყობების რეგულირებას თვითობის ინსტანციით. იბადება კითხვა, რა განსხვავებაა ნებისმიერ განწყობასა და თვითობის განწყობას შორის? თვითობის განწყობით ქცევის დროს ადამიანი აცნობიერებს სამივე შინაგანი მოთხოვნილების დონეებს, ასევე გარე რეალობის სიტუაციას და აძლევს რა რომელიმე დონის მოთხოვნილებას პრიორიტეტს სამიდან, ქმნის განწყობას და ახორციელებს ქცევას. ასეთი ქცევა ნებელობელებით ხანგრძლივი გადაწყვეტილებებით არ წარიმართება, თვითობა სპონტანურ წვდომებს, პასუხებს ბადებს. ასეთი ქცევები მე-ს თვის მიზანშეწონილი ქცევაა. თვითობა ნათლად აღიქვამს, თუ რა დონის განწყობები რომელ სიტუაციაშია განსახორციელებელი. თვითობის მახასიათებელია ცნობიერი სიცხადე საკუთარი შინაგანი რეალობისა და გარე სიტუაციის აღქმაში, იგი როგორც ბარომეტრი ისე სწრაფად და სპონტანურად რეაგირებს.

ცხოვრებაში თვითობის მქონე, მთლიანი და თვითობის არ მქონე, დაშლილი ადამიანი რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან ორიენტირებით, როგორც გლობალურად სტრატეგიულად, ასევე ლოკალურად ტაქტიკურად. თვითობის მქონე ადამიანი ადვილად იყალიბებს მსოფლმხედველობას; ასევე ადვილად ხედავს სტრატეგიას ამ მსოფლმხედველობის ცხოვრებაში გასატარებლად. თვითობის მქონე ადამიანი საკუთარ ქცევებს ამ მსოფლმხედველობასა და სტრატეგიას უქვემდებარებს, ამიტომ მისი ქცევა მიზანშეწონილად გამოიყურება და ქცევა გააზრებულია. ასეთ ადამიანს არ ახასიათებს იმპულსური, გაუცნობიერებელი ქცევები, რადგან მათ უპირისპირდება დისპოზიციური განწყობები, ან მიზანშეწონილი სიტუაციური განწყობები და სჯობნის მათ თავიანთი ინტენსივობით, ძალით. ის არ მოქმედებს იმპულსურად და დაბნეულად, რადგან გააჩნია ფასეულობები, რომელიც სიტუაციის მიუხედავად წარმმართველი ძალაა მის ცხოვრებაში. თვითობის მქონე ადამიანს როდესაც მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გადასაჭრელი საკუთარი მსოფლმხედველობიდან, დისპოზიციური განწყობებიდან ამოდის, ამიტომ მცდარ, მისთვის მიუღებელ, გაუაზრებელ ქცევებს არ ასრულებს. მისი არჩევანი ფასეულობების, იერარქიული პრიორიტეტებით არის განსაზღვრული. თვითობის მქონე ადამიანი ჰარმონიულ მიმართებაშია სამყაროსთან. კარგად ხედავს და აცნობიერებს საკუთარ თავს. გარე რეალობასთან ურთიერთობაში არ კარგავს საკუთარი თავს. არ ივიწყებს მისთვის პრიორიტეტულ ინტერესებს. საკუთარ ქცევას არ მიაწერს გარემოს და პირიქით გარემოდან მომდინარე ქცევას არ მიაწერს საკუთარ თავს. ნათლად ხედავს რა საკუთარ თავს, დროთა განმავლობაში სულ უფრო აზუსტებს, კორექციას უწევს მეს სტრუქტურას და ხვეწს საკუთარ ქცევებს. დრო თვითობის მქონე ადამიანის განვითარება-სრულყოფას უწყობს ხელს და არა პირიქით. თვითობის მქონე ადამიანი ადვილად პოულობს ცხოვრების საზრისს, მისი შინაგანი უკონფლიქტო მე-ს სტრუქტურა გარემოს გათვალისწინებით შემძლეა ფორმირება მოახდინოს, ჩამოაყალიბოს მისთვის უნიკალური, აუთენტური ცხოვრების საზრისი, რომელიც თავსებადია საკუთარ შინაგან სამყაროსი. თვითობა როგორც აქამდე აღვნიშნეთ დირიჟორის როლს ასრულებს ადამიანის თვითრეგულაციაში. ამასთან ის საყრდენის და ლოკუს კონტროლის ფუნქციასასრულებს, ამიტომ მძლავრი სასიცოცხლო იარაღია მისთვის ვისაც ის გააჩნია.

ახლა ვნახოთ როგორ გამოიყურება თვითობის არ მქონე დაშლილი ადამიანი. მისი ქცევები ჩვეულებრივ სიტუაციურია, ამასთან მის ქცევას წარმართავს გარე ძალები და ვითარებები. თუკი

გარე სიტუაცია გარკვეულ ტენდენციას წარმოშობს, ასეთი ადამიანი მიჰყვება წარმოქმნილ დინებას. მიუხედავად იმისა ეს სასარგებლოა მისთვის თუ არა. თვითობის არ ქონის გამო, ასეთი ადამიანი უხერხემლოდ გამოიყურება და იქცევა. მას არ გააჩნია შინაგანი საყრდენი და ორიენტირი. მისთვის ძნელად გასარჩევია, თუ ვისთვისაა სასარგებლო მოვლენა, სხვისთვის თუ მისთვის, ამიტომ ხშირად რაც უმრავლესობისთვის სასარგებლოა, მას მიაჩნია რომ მისთვისაც სასარგებლოა. თვითობის არ მქონე მუდამ სხვაში ეძებს საყრდენს, რადგან საკუთარ თავში მას ვერ პოულობს. ამგვარ ადამიანს არ გააჩნია საკუთარი მსოფლმხედველობა; თუ კი მსოფლმხედველობას გამოხატავს ის სხვისგანაა აღებული, ნასესხები და ჩვეულებრივ არაა თავსებადი საკუთარ შინაგან მრწამსთან. შედეგად ის კონფლიქტს ატარებს, ამიტომ უჭირს ამგვარი კონფლიქტით გარემოსთან კონტაქტი და მასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. დაშლილი ადამიანი მეტწილად იმპულსურად მოქმედებს, ეს იმპულსები მისი მე სტრუქტურის გაუცნობიერებელი ნაწილების, ან გარე რეალობის გამოხატულებებია. ამგვარი იმპულსები უმწეო, სუსტი საყრდენის არ მქონე ადამიანის დისჰარმონიულ ბუნებას გამოხატავს. ასეთი ადამიანი ხშირად იმპულსებიდან გამომდინარე მწეველი, ნარკომანი, ან აზარტული თამაშებითაა შეპყრობილი. ეს ვითარებაც თვითობის არ ქონის სიმპტომი და გამოხატულებაა, რადგან ის დინებას პასიურად მიჰყვება. თვითობის არ მქონე ადამიანის ცხოვრება საზრისს მოკლებულია, რადგან საზრისი საკუთარი მეს კონცეფციისა და თვითობის პროდუქტია. ამგვარი ადამიანის ცხოვრება აბსურდს წარმოადგენს და ქაოსის მატარებელია. როგორც ვხედავთ თვითობა ფუნდამენტური კომპონენტია და ადამიანის დახასიათებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება.

იმისათვის რომ თვითობის ფენომენი სიღრმისეულად გავაცნობიეროთ, ვნახოთ როგორაა ეს მოვლენა დახასიათებული მხატვრულ ლიტერატურაში. ამ მხრივ სერიოზული ლიტერატურა ადამიანის სულიერ, ფსიქოლოგიური ყოფის უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე ყოვლის მომცველი ანალიზის მომცემი სფეროა. ასეთი მაღალი ლიტერატურა იძლევა პასუხს, თუ რომელი პერსონაჟები ფლობენ ან არ ფლობენ თვითობას და რა ეგზისტენციალურ ძალებს აძლევს, ან ართმევს თვითობის არ ქონა ამ ლიტერატურულ გმირებს? თვითობას მოკლებული, დაშლილი, ვერ ინტეგრირებული ლიტერატურული პერსონაჟები მსოფლიო ლიტერატურაში საჩვენებლად აქტუალური გახდა მე-19-20 საუკუნეში. ეს ეპოქა წარმოჩინდა ინდუსტრიალიზაციითა და გლობალიზაციით. სოციალური ფენების რევოლუციური გარდაქმნით, როდესაც ადამიანები მატერიალურ-სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებიდან გამომდინარე ერთვებიან რა საერთო თამაშის წესებში, იძულებულნი არიან დაკარგონ საკუთარი ფესვები, ჩვეული გარემო, საკუთარი პრინციპები, გემოვნება, რაც თავის მხრივ გაუცხოებას, აუტენტობის დაკარგვას განაპირობებს. გაუცხოება, იზოლაცია და ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებთ რომანის პერსონაჟებს, რომელთაც ჩვენ შევეხებით. ჩვენ სამი კულტურის პოპულარული ლიტერატურული გმირები გვინდა ფოკუსში მოვაქციოთ. ისინი ვინც ყველასთვის ნაცნობია. ქართული კულტურიდან თეიმურაზ ხევისთავი, მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან ,,ჯაყოს ხიზნები", ფრანგული კულტურიდან, ალბერ კამიუს მერსო-,,უცხო", და რუსული კულტურიდან, ივანე გონჩაროვის ილია ობლომოვი. დავინახოთ თვითობის ფასი და მნიშვნელობა ადამიანის და პიროვნების განვითარების თვალსაზრისით, ეთნო კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების პრიზმით.

მიხეილ ჯავახიშვილი თავის რომანში ქართველს, ჩვენ ელიტას, თავად-აზნაურობას მრავალ პლასტით ახასიათებს, მაგრამ ჩვენი ფსიქოლოგიური ანალიზისთვის საინტერესოა ეს პერსონაჟი თვითობის დაკარგვის თვალსაზრისით. თეიმურაზი, მისი პიროვნება რომ გავიგოთ, ამ ადამიანის სოციალური, ოჯახური გარემო და შინაგანი ფსიქოლოგიური წახნაგებია ფოკუსში მოსაქცევი. ფიზიკურად ეს ადამიანი სრულიად ჯანმრთელია. ინტელექტუალურად, ევროპულად განათლებული

და განსწავლულია. თითქოსდა იგი ქართული სოციუმის წარმმართველ და საყრდენ ბურჯს უნდა წარმოადგენდეს. თეიმურაზ ხევისთავი თავადია. სოციალურად და მატერიალურად სხვებზე ბევრად მაღლა მდგომი. გვარის მემკვიდრეობაზე რომანში ხშირადაა აქცენტი. მშვენიერი მეუღლე ჰყავს. მასთან სულიერი და პიროვნული სიმები აკავშირებს. თითქოსდა ყველა ფსიქოლოგიური პირობა აქვს პიროვნული ზრდის, გაძლიერების, განვითარებისთვის, მაგრამ მთავრდება ერთი ეპოქა, ხდება რევოლუცია, მთლიანად იცვლება სოციალური გარემო, ეგზისტენციალური ფონი. გარემოს რადიკალური შეცვლა შინაგანი დესტრუქციული პროცესების ნეგატიურ პროვოცირებას ახდენს. გარემოში დაირღვა, დაინგრა სტაბილობა, ჰარმონია. საკუთარი თავისა და ირგვლივ ყველაფერი მნიშვნელოვანის შესანარჩუნებლად საჭიროა შინაგანი რეორგანიზაციის აქტის განხორციელება, საკუთარი თავის რადიკალურად გადაწყობა. ასეთ პირობებში დინების პასიურად მიყოლა კატასტროფის ტოლფასია. რამდენად შემძლეა თეიმურაზი უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს? საიდან, რა ფიზიკურ-ფსიქიკური მარაგიდან, პოტენციიდან უნდა მიიღოს მან ენერგია, ძალა? ვისთან უნდა იდენტიფიცირდეს? ვინ უნდა ჰყავდეს მხარდამჭერი, რომ შეინარჩუნოს თავი და გადაარჩინოს საკუთარ-თავთან ერთად ის ფასეულობები, რომელიც მას გააჩნია, მოსწონს და ეთაყვანება? როგორც ვხედავთ ძალიან რთული ამოცანის წინ დგას თავადი, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილისთვის ქართველი კაცის, ჩვენი ინტელექტუალურ, არისტოკრატიული ელიტის პერსონიფიცირებაა. როგორ იქცევა თეიმურაზი ამ ექსტრაორდინალურ გამოწვევების ფონზე? მიხეილ ჯავახიშვილი სულიერი დაცემისა და განადგურების, უსაზღვროდ ტრაგიკულ სცენარს და მის ანალიზს გვაწვდის. თეიმურაზის თვითობა, მისი მმართველი ერთეული, ინსტანცია, გარე რეალობის შეცვლასთან ერთად ჩამოიშლება, აორთქლდება, ქრება. ამ ადამიანის ყოფილი „დირიჟორულ არქიტექტურული“ უნარები იკარგება, როგორც წყალი უდაბნოს ქვიშაში. მისი ინტელექტუალობა და განსწავლულობა სკოლის მასწავლებლის დონეზეც ვერ რეალიზდება. დაბნეული და თავგზააბნეულია. სრულ უუნარობას და უსუსურობას ავლენს. ამ კრიტიკულ ვითარებაში ვისაც არ უნდა ენდოს, მით უმეტეს დაეყრდნოს, მას უპრინციპოდ და თვალდახუჭული ენდობა, ჯაყოს სახით. სრულ დეგრადაციას განიცდის მისი ურთიერთობა და სიყვარულიც. ტრაგედია იმაში გამოიხატება, რომ თეიმურაზი მთელ თავის მატერიალურ სიმდიდრეს კარგავს, თავისი ერთ დროს მოსამსახურის, ჯაყოს მოჯამაგირე თავად ხდება. ამას ისიც ემატება, რომ საკუთარ ცოლსაც კარგავს და ისიც ჯაყოს გაუპატიურებული, მისივე მეორე მეუღლედ მოგვევლინება. თეიმურაზი ვერ რა თვითობას, დომინოს პრინციპის მსგავსად მიყოლებით ეთხოვება ყველაფერს რაც კი რამ გააჩნდა ამ ქვეყანაზე, სულიერი თუ მატერიალური. დიდი ქართველი ხელოვანი, მწერალი ამ ნაწარმოებით გვაძლევს ქართველი ადამიანის, მმართველი ელიტის, პოსტ რევოლუციურ კრიზისში მყოფი ქართული საზოგადოების და ქართული სახელმწიფოებრიობის დეგრადაციისა და სიკვდილის ანალიზს. ეს ანალიზი დღესაც აქტუალურია ჩვენი საზოგადოების და ეთნო კულტურისთვის, რომ ხვალინდელი დღე ქართული სახელმწიფოებრიობის ტრაგიკულობით წარსულის მსგავს არ იყოს. ქართველმა კაცმა მეტაფორულად მომავალს ადექვატური გასაღები მოუძებნოს.

ალბერ კამიუს რომანი „უცხო“ არა მარტო ფრანგული, არამედ მსოფლიო მასშტაბის ეპოქალური ნაწარმოებია. მწერლის შედევრი ეგზისტენციალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების ნიშანდობლივ ნაწარმოებად იქცა. გაუცხოება, როგორც მეოცე საუკუნის განუკურნებელი სენი კამიუმ მთელი სიმძაფრით გადმოსცა. რომანის მთავარი გმირი 30 წლის მერსო ინდიფერენტულობის მწვერვალზეა და ეს საკუთრივ მისთვისაც უცნაურად ჩანს. მერსო დედის დასაფლავებაზე მიემგზავრება, მაგრამ არავითარი გულდაწყვეტა, მწუხარების განცდა არ ჩანს მასში. მისი გრძნობები საშინლად არააუთენტური და ქაოტურია. კითხვაზე უყვარდა თუ არა დედა, რომელიც მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა, პასუხობს- ისე როგორც ყველას უყვარს, მაგრამ უცნაურ რამეს ამატებს, - ვის არ სურს ახლობლის სიკვდილი? ვერაფრით ვერ იხსენებს

თუ რამდენი წლის იყო დედა. კითხვაზე ნახავს თუ არა გარდაცვლილ დედას მერსო არას, უარს ამბობს. თავადაც უკვირს, რომ ამ ვითარებაში სიცხე და მზე უფრო აღიზიანებს, ვიდრე დედის სიკვდილი. იგივე განურჩევლობაა ეგრეთ წოდებული შეყვარებულის მიმართაც. ქალი რომელსაც მოსწონს მერსო დაეკითხება მოიყვანს თუ არა ცოლად, პასუხობს რათქმაუნდა, თუკი ეს ქალს უნდა. იქვე ამატებს, რომ ეს მისთვის სულ ერთია. ამით გაკვირვებული მარი ეკითხება, მოიყვანდა თუ არა სხვა ქალს ცოლად ვინმეს რომ ანალოგიური შემოეთავაზებინა? მერსო პასუხობს რომ, ალბათ მასაც დათანხმდებოდა. საგულისხმოა რომ მერსო სრულიად გულწრფელია თავის ლაპარაკში. რაიმონდი, რომელსაც ყოფილი საყვარლის ძმასთანა აქვს კონფლიქტი, როდესაც მერსოს მეგობრობას სთავაზობს, მერსო ეთანხმება, თუმცა ამატებს, რომ ეს მისთვის სულერთია. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული მეგობრობა არ აკავშირებს, არაბებთან შეხვედრისას, მერსო არ იფიქროს შეეშინდაო, გამოართმევს იარაღს „მეგობარს", ჯერ ერთხელ ესვრის არაბს და შემდეგ დაინახავს რა რომ დაეცა, კიდევ ოთხჯერ დაახლის ტყვიას. სასამართლოზე, როდესაც პროკურორი ამ მკვლელობის მიზეზს ეკითხება, მერსო პასუხობს, რომ მზე და სიცხეა ამის მიზეზი. დამსწრეები დარბაზში იცინიან, ხოლო ამის მთქმელი მერსო ხვდება თუ კითხვაზე რა სულელურად გამოუვიდა პასუხი და ჩუმდება. ეს ქცევა რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფიზიკურად სრულიად ჯანმრთელ ადამიანის ცხოვრების თავისებურება და მახასიათებელია. უცხოს-მერსოს პიროვნული დაშლილობა თვითობის დაკარგვის მიზეზითაა გაპირობებული. თავის მხრივ სიმთელის-თვითობის გაქრობა ერთის მხრივ ძნელად საკონტაქტო გარემოს, სოციუმის, ინფრასტრუქტურის და მეორეს მხრივ საკუთარი შინაგანი სამყაროს არ ცოდნის, ვერ შემეცნების შედეგია. რომანის ნახევარი ციხის საკანში, განაჩენის მოლოდინში და დაკითხვების მსვლელობაში მიმდინარეობს. თვითობის არ ქონა ართმევს ამ გარემოში სიცოცხლეს მერსოს. მისდა გასაოცრად თვითობა აუცილებელია სასიცოცხლო, ეგზისტენციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პროკურორი სასამართლო პროცესზე ჩვენდა საკვირველად, მერსოს ჭკვიან, უმოწყალო ბოროტმოქმედად ახასიათებს, რომელმაც ერთხელაც არ გამოხატა სინანული. ადვოკატიც არანაკლები ეპითეტებით ამკობს მერსოს დაკითხვის შემდეგ, - „დღეს კმარა ბატონო ანტიქრისტე". დაკითხვა იმდენად ფსიქოლოგიურ ნიუანსებს ეხება, რომ მერსო გაკვირვებულია, მკვლელობისთვის ასამართლებენ მას, თუ იმისთვის რომ დედა და საყვარელი არასათანადოდ უყვარს. პროკურორი მძვინვარებს, - ეს კაცი დედის სიკვდილის მეორე დღეს მიდის საბანაოდ, იჩენს საყვარელს და ესწრება კომიკურ ფილმს, (ფერნანდელის მონაწილეობით). მოსამართლის განაჩენი ასეთია, ფრანგი ხალხის სახელით საჯაროდ თავის მოკვეთა, მოედანზე. საბოლოო კითხვა იყო, ხომ არაფერს იტყვით. მერსო დაფიქრდა და პასუხობს არაფერს. არაფერს ინანიებს მღვდელთანაც. მერსოს მამა არ ახსოვს, თუმცა აგონდება დედის მონაყოლი, თუ როგორ წავიდა ერთ დღეს ქალაქის მოედანზე სიკვდილის საჯაროდ ნახვის საყურებლად და შემდეგ მთელი დღე აღებინებდა. ახლა საკანში მჯდომს მოუნდა რომ მის სანახავად მოედანზე, გილოტინასთან ბევრი ადამიანი მოსულიყო, რომ მათში ზიზღი გამოეწვია. ასეთი იმპულსური, უპიროვნო, დაქსაქსულ უთავბოლო სისტემისა და საზრისს მოკლებულია მერსოს აზრები და მასთან გაუცხოებული გრძნობები. მე-ს დაშლილობა და მთლიანობის არ ქონა იწვევს მერსოს ამგვარ ინდიფერენტულ ქცევებს; ხოლო ასეთი ქცევები, კატასტროფას, სასიკვდილო განაჩენს. სწორედ მე-ს და გარე რეალობის აუთენტური აღქმა, მსოფლშეგრძნება, არის თვითობის არსებობის მახასიათებლები, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ადამიანური ბედნიერებისთვის, სამყაროსთან და საკუთარ თავთან ღრმა კონტაქტისა და ურთიერთობისათვის.

თვითობის არქონის მშვენივრად აღწერილი პერსონაჟი, რუსული ლიტერატურიდან ივანე გონჩაროვის ობლომოვია, ამავე სახელწოდების რომანიდან. გონჩაროვის ტალანტი კარგად გამოიხატა რუსი ადამიანის კრიტიკულ ანალიზში. რუსული ეთნო-კულტურა რა თქმა უნდა

სრულიად უნიკალური და ორიგინალურია. ამ კულტურაში თვითობის არ ქონა სრულიად განსხვავებულად გამოიყურება. ობლომოვიც ქართველი და ფრანგი პერსონაჟების ანალოგიურად ფიზიკურად სრულიად ჯანმრთელია ეს ტიპიურია თვითობის არ მქონე ადამიანისთვის. რაც შეეხება ფსიქოლოგიურად, ისიც უმწეოდ და საცოდავად გამოიყურება. მისი თვითრეალიზაცია სოციალურ და ინტიმურ, ინტერპერსონალურ სფეროებში საშინელი მარცხისთვისაა განწირული. ილიას მეგობარი შტოლცი გაკვირვებული და გაბრაზებულია, თუ რატომ არ პასუხობს სიყვარულით მანდილოსანს, რომელიც მისი და ობლომოვის აზრითაც იდეალურად გამოიყურება. ამას თავად ილია ობლომოვიც ვერ ხსნის რაციონალურად. ნიშანდობლივია, თუ როგორ ახასიათებს საკუთარ თავს ობლომოვი როდესაც შტოლცთან გულახდილად ლაპარაკობს საკუთარ თავზე. მას მეტაფორულად თავი ბიბლიოთეკად წარმოუდგენია. აზრები, რომლებიც თავში მოსდის ამ წიგნებიდანაა ნასესხები. ტომები ამ ბიბლიოთეკაში ვიღაცას სრულიად არა კლასიფიცირებულად ჩაუყრია. არცერთი სრული კრებული არაა. თითოეულს აკლია რამოდენიმე ტომი. რატომ ახსენდება ამ წიგნებიდან ესა თუ ის ისტორიული ფაქტი და თარიღი თავადაც ვერ აუხსნია. აზრებიც თავში მოსული, ვერ გამოხატავს სათქმელს. ასეთი ბიბლიოთეკის სიმბოლიკა თვითობის არ ქონის კარგი მეტაფორაა, როდესაც ადამიანს არ გააჩნია დირიჟორი, რომელიც ალაგებს ქაოსს, გაურკვევლობას. თვითობას სინათლე, სიცხადე, იდეა, და საზრისი შეაქვს არსებულ რეალობაში და ამით ერთ მტევანში ალაგებს და აერთიანებს მანამდე უაზროდ, უსისტემოდ არსებულ ელემენტებს. ასე იქმნება თავსებადი განწყობების მტევანი, გეშტალტი, რომელიც ჰარმონიისა და მსოფლმხედველობითი საზრისის შემომტანია ადამიანის სამყაროში. გონჩაროვმა ჯავახიშვილის მსგავსად ნათლად წარმოაჩინა თვითობა დაკარგული რუსი "ბარინის" გადაგვარების გზაზე მყოფი არისტოკრატიის, ნაწილობრივ რუსი ინტელიგენციის სუსტი, მტკივნეული ეგზისტენციალური წახნაგები; რაც ქართველების, ფრანგების მსგავსად დღესაც სტკივა რუს ერს. საშინლად უშლის ხელს თვით იდენტიფიკაციაში და მსოფლიოს განვითარების პროცესში ჩართვაში. გონჩაროვი ნათლად აჩვენებს ილია ობლომოვის ამ სამყაროდან იზოლირებისა და გაქრობის პროცესს, რაც თვითობის არ მქონე სუბიექტის ერის გარდაუვალი ტრაგიკული ფინალია.

ამ ლიტერატურული პერსონაჟების ცხოვრებაში მკაფიოდ ჩანს თვითობის გაქრობის არ ქონის ტრაგიკული მნიშვნელობა არა მარტო პიროვნებებისთვის, არამედ ასევე ეთნო კულტურებისთვის. კრიზისი, რომელიც ამ შემოქმედებმა თავიანთ ნაწარმოებებში აღწერეს მთელი სიმწვავით დღესაც აქტუალურია ჩვენი და არამარტო ჩვენი საზოგადოებისთვის. ამ ნაშრომის მიზანია დამკვიდრდეს თვითობის განწყობების ცნება განწყობის ფსიქოლოგიაში. ამას არა მარტო თეორიული, არანედ პრაქტიკული ღირებულება აქვს, რადგან ფსიქოთერაპიული აქტივობისას, როდესაც განწყობის კანონზომიერებები იქნება ჩართული ფსიქოკორექციულ დახმარებაში, მნიშვნელოვანი მიზანი ამ მუშაობაში გამოიკვეთოს ადამიანის, პიროვნების თვითობის აღდგენა რეკონსტრუქციაში, როგორც ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და ამოცანა. ამ მნიშვნელოვან თემას ფსიქოთერაპიულ კონტექსტში, ჩვენ მომავალში სპეციალურ ნაშრომსაც მივუძღვნით.

Dimitri Nadirashvili

The Phenomenaof Human Self in the Theory of Attitude, Georgian and European Litarature

Summary

The research is focused on the phenomena known as the concept of Self in the western psychological literature. Self as the ability of human being is particulatrly important in the Counseling and psychotherapeutic work. In the given research, Self is considered in the contest of psychological attitude; it's understood and characterized from the Attitude Psychology viewpoint. Self is the wholethat is more than a sum of parts. Self is experienced as the basis of the behavior. It is the guiding line and the support in the process of satisfaction of needs. The Whole, according to the Theory of Attitude is the hierarchical, consistent system of parts of the Ego: Individ, Subject and the Personality those are unified and expressed in Self. The Self, represented as a whole, reflects the important reference point in the life of a human being. The excistanse of Self relates to the representation and implementation of important priorities, those are essential for the person. In the research, the phenomena of the loss of the Self is analysed on the examples of Georgian, French and Russian literature personages. From the viewpoint of the loss of Self, there are psychologically studied the protagonists, such as Mikheil Javakhishvili's Teimuraz Khevistavi; Alber Camu's Merso; Ivan Goncharov's Ilia Oblomov. The research is oriented on the implication and integration of the concept of Self's Attitudes in the Theory of Attitude.

ლიტერატურა

1. **ნადირაშვილი დ**. სოციალურ ფსიქოლოგიური გავლენა. "ნეკერი", 2009.
2. **ნადირაშვილი დ**. კარლ როჯერსის კლიენტზე ცენტრირებული თერაპიის ევოლუციის საკითხისათვის. ფსიქიკა, თბილისი, 2001, №1, გვ. 33-38
3. **ნადირაშვილი დ**. ეგზისტენციალური გაშტალტთერაპია. "ნეკერი" 2007.
4. **ნადირაშვილი შ**. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, "მეცნიერება", 1979.
5. **ნადირაშვილი შ**. განწყობის ანტროპული თეორია. 2001. თბილისი, 2001.
6. **უზნაძე დ.** განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ტომი VI, 1949.
7. **უზნაძე დ**. პედაგოგიური ფსიქოლოგია, შრომები, ტომი 5, თბილისი, 1967.
8. **Бандура А**. Теория социального научения. "Евразия". СПБ. 2000.
9. **Эриксон Э**. Идентичность:Юностьи кризис.М., Прогрес. 1996.
10. **Зимбардо Ф**. Ляйппе М. Социальное влияние. Изд. «Питер». СПБ. 2000.
11. **Левин К**. «Разрешение социальных конфликтов». «Речь». СПБ. 2000.
12. **Майерс Д**. Социальная психология. М., «ОЛМа пресс». 2000.
13. **Надирашвили Д**. Воздействие благожелательности с точки зрения закономерности теории установки. «Кавказоведение», 2004.№6.
14. **Надирашвили Д**. Исследование зависимости влияния эффекта согласия в малом на согласие в большцом. „Кавказоведение", 2004. №5, с. 174-182.

15. **Надирашвили Ш**. „Психология пропаганды“, изд. „Мецниереба“ Тбилиси, 1978.

16. **Ф. Перлз**. Гештальт-суминары..Москва. „Институт общегуманитарных исследований“. 1998.

17. **Ф. Перлз**. Гештальттерапия. Теорияипрактика. Москва. „Эксмопресс“. 2000.

18. **Ф. Перлз**. Внутри и вне помойного ведра; Практикум по Гештальттерапии. Петербург. „XXI век“, 1995.

19. **И.Польстер**. Обитаемый человек. Москва. „Класс“, 1999.

20. **М. Польстер**. Интегрированная Гештальттерапия. Москва. „Класс“, 1997.

21. **Ф. Перлз**. Опыты психологии самопознания. Москва, „Гиль-Эстель“, 1993.

22. **Балюбам И.Д**. Руководствопо Гештальт-терапии. Москва. „Институт Психотерапии“, 2004.

24. **Роджерс К**. Становление человека. М.,. „Прогресс“, 1988.

25. **Роджерс К**. Клиенто-центрированная терапия. Киев, 1997.

26. **Роджерс К**. „Свобода учиться“. М., „Смысл“, 2002.

27. Личность и социальное поведение». Изд. „Питер“. СПБ, 2001.

28. **Фестингер Л**. Теория когнитивного диссонанса. „Ювента“ СПБ, 1999.

29. **Фрейд З**. Анализ фобии пятилетнего мальчика. Психологические этюды Минск, „Белорус“, 1991, стр. 273-370

30. **Фрейд З**. Из Жизни детской душы. Психологические этюды Минск, 1991, стр. 269-273

31. **Фрейд З**. Леонардо-да-Винчи. Воспоминание детства. Психоаналитические этюды. Минск, 1991, стр. 370-422.

32. **Allport F.H**. The influence of the group upon association and thought. Journal of Exp. Psycgology 3, 1920, 159-182.

33. **Bandura A**. Social Learning-Theory. Englewood Cliffs. NS: Prentice-Hall, 1977.

34. **Bem D.J**. Self Perception theory. Advances in Exp. Social Psychology. vol.6, pp. 1-62. New-York, 1972

35. **Cialdini R.B.**, Vincent J.E., Lewis S.K., Catalan j., Wheeler D. & Darby B.L. Reciprocal concession procedure for inducing compliance: The-door-in-the-face technique. Journal of Personality and social Psychology, 31, 1975, pp. 206-215.

36. **Erikson E**. Identity and the life cycle. New-York: Norton 1980.

37. **Festinger L**. When propecy fails. Minneapolis: University of Minnesota Press, 1956

38. **Zimbardo P.G.**, and Leippe M.R., The Psychology of Attitude Change and Social Influence. New York, 1991

ნონა ახალაშვილი, ანა მანდარია

პიროვნული ღირებულებების კვლევა დამნაშავე და არადამნაშავე ქალებთან

ფსიქოლოგიაში არასაკმარისადაა შესწავლილი ქალთა დანაშაულის ტენდენციებთან, დინამიკასა და მიზეზებთან დაკავშირებული საკითხები. მხოლოდ ბოლო წლებში, დანაშაულის მიზეზების კვლევისა და მათი თავიდან აცილების გზების დასახვის პროცესში, გაჩნდა ცალკეული მოსაზრება ამ პრობლემასთან დაკავშირებით. საკითხის გამოკვლევა ჩეზარე ლომბროზომ დაიწყო, რომელიც თვლიდა, რომ დამნაშავე და არადამნაშავე ქალებს შორის დიდი სხვაობა არსებობს; დამნაშავე დაბადებიდანვე მიდრეკილია ჩაიდინოს ასოციალური ქცევა და მათ „თანდაყოლილი დამნაშავე ქალები" უწოდა. თუმცა ლომბროზო დანაშაულის ჩადენის მიზეზებზე გარემოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გავლენის მნიშვნელობასაც აღიარებდა და ამ ტიპის დამნაშავეებს „შემთხვევითი დამნაშავე ქალები" უწოდა.

სხვადასხვა ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების მეცნიერებმა ვერ შეძლეს ქალთა დანაშაულების მიზეზების დადგენა. მკვლევარები დღემდე კამათობენ თუ რა არის დანაშაულის ჩადენის საფუძველი და მიზეზები. თუ დამნაშავეობა გენეტიკურად არის განპირობებული და ადამიანში დაბადებისთანავე ჩადებულია იმპულსი, რომელიც გარემოდან ინსტრუმენტული შესაძლებლობის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს მას, მაშინ დამნაშავე ადამიანი არადამნაშავისგან განსხვავდება და მისი ქცევაც და ფასეულობებიც განსხვავებული უნდა იყოს. ღირებულებითი ორიენტაციები პიროვნების ქცევისა და ცნობიერების საფუძველს წარმოქმნიან და უშუალოდ ახდენენ გავლენას მის განვითარებასა და ქცევაზე, ამიტომ საინტერესოა იმ ქალთა ღირებულებების შესწავლა, რომელთაც, გარკვეული მიზეზების გამო, ჩადენილი აქვთ ესა თუ ის დანაშაული და შემდეგ მათი პრიორიტეტული ღირებულებების შედარება არადამნაშავე ქალების მიერ არჩეულ ღირებულებებთან.

სოციალური, პროფესიული, ასაკობრივი, გენდერული, ეთნიკური თუ სხვა სახის ჯგუფების ღირებულებების შესწავლას მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში, მრავალწლიანი ისტორია აქვს.[1] ყოველი ადამიანი ღირებულებათა განსაზღვრულ სისტემაში ცხოვრობს, რაშიც იგულისხმება პიროვნების შინაგანი სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი თვისებების ერთობლიობა, ის, რაც მისთვის განსაკუთრებულად ფასეულია. ეს ღირებულებითი ორიენტაციები წარმოქმნიან პიროვნების ქცევისა და ცნობიერების საფუძველს და უშუალოდ ახდენენ გავლენას მის განვითარებასა და ქცევაზე. როგორი ღირებულებებიც ბატონობს, ისეთივეა პიროვნება და, შესაბამისად, საზოგადოებაც.

შემთხვევითი არ არის, რომ საზოგადოებრივი განვითარების გარდამავალ პერიოდში პირველ ადგილზე ყოველთვის ღირებულებების პრობლემა გამოდის. ჩვენი საზოგადოება ამჟამად სწორედ ამას განიცდის - არასტაბილურობას, მკვეთრ სოციალურ ბიძგებს, პიროვნების დეზორიენტაციასა და დეზიდენტიფიკაციას. ყოველივე ეს გამოხატულებას ჰპოვებს ღირებულებათა გადაფასების პროცესში. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შიდა კონფლიქტებმა, ტრადიციულ ღირებულებათა გაფერმკრთალებამ, ზოგიერთის კი სრულად მოშლამ, შესაძლოა, საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრების ძველი ფორმების უარყოფა გამოიწვიოს. საზოგადოებაში არსებული ღირებულებების დევალვაციის ფონზე საინტერესოა ერთმანეთს შევადაროთ დამნაშავე და

[1] **ახალაშვილი ნ.**, შენგელია ლ. სტუდენტთა პრიორიტეტული პიროვნული ღირებულებები. გთსუ-ის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 2015, გვ. 159-165

არადამნაშავე ქალების პრიორიტეტული ღირებულებები. გარდა ამისა, ბოლო დროს ქალთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა სიმრავლე და მიზეზების ძიება განაპირობებს ამ კვლევის აქტუალობასაც.[2]

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ქალთა მიერ ჩადენილი დანაშაული 5-ჯერ ნაკლებია მამაკაცთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალების რაოდენობა საგრძნობლად აღემატება მამაკაცებისას. 2003-2007 წლებში ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკური მასალის დამუშავებისას ყურადღება გამახვილდა დანაშაულთა საერთო რიცხვში ქალთა დანაშაულების ხვედრით წილზე. 2003 წელს ქალთა დანაშაულის წილმა დანაშაულის საერთო რიცხვთან მიმართებაში შეადგინა 16.5%, ხოლო 2007 წელს - 21,5%. როგორც ჩანს, ერთმნიშვნელოვანია, რომ ქალთა დანაშაულმა 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, შესამჩნევად იმატა. აღნიშნულ პერიოდში თითოეულ წელზე ქალთა დანაშაულის ხვედრითი წილი დანაშაულის საერთო რიცხვთან მიმართებაში შემდეგნაირად გადანაწილდა: 2003 წელი-16,5%, 2004 წელი-20,5%, 2005 წელი-20,6%, 2006 წელი-20,8% და 2007 წელი-21,5%. ეს ზრდა ახსნილია, როგორც ქვეყანაში მომხდარი რევოლუციის, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შედეგი. ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ 2015 წელსაც არ უნდა იყოს სახარბიელო მდგომარეობა. რუსთავის ქალთა მე-5 საპყრობილეში არაზუსტი ინფორმაციით 400-მდე ქალი იხდის სასჯელს. საჭირო ა ჩატარდეს სტატისტიკური კვლევები, დადგინდეს იზრდება თუ კლებულობს ქალთა დანაშაულების რიცხვი, გაირკვეს თუ რა არის ამის საფუძველი და მიზეზი, მოხდეს დროული პრევენცია. ვფიქრობთ, ქვემოთ წარმოდგენილი კვლევით და მიღებული შედეგებით მცირეოდენ წვლილს შევიტანთ ამ საქმის წამოწყებაში.

კვლევის მიზნები და ამოცანები

ხანგრძლივი დროის მანძილზე ითვლებოდა, რომ დანაშაულის ჩადენა და დანაშაულებრივი ქმედება მამაკაცის პრეროგატივაა. სინამდვილეში, დამნაშავე მამაკაცთა რიცხვი დამნაშავე ქალთა რიცხვთან შედარებით 10-ჯერ მეტია. ეს, უპირველესად, მამაკაცებისა და ქალების ქცევის ფსიქოფიზიოლოგიური კანონზომიერებებით აიხსნება. მძიმე სოციალურ სიტუაციებში მამაკაცები უფრო რისკიანები არიან და კონფლიქტების გადაჭრის აგრესიულ ხერხებს მიმართავენ. ქალები ნაკლებად აგრესიულები არიან, უფრო ფრთხილობენ და იშვიათად მიდიან რისკზე. მაგრამ უკანასკნელ წლებში ემანსიპაციასთან დაკავშირებით შეიცვალა ზემოთ აღნიშნული თანაფარდობა. ქალები სულ უფრო ხშირად ჩადიან აგრესიულ და სასტიკ დანაშაულებს. ღირებულებათა სისტემიდან გარკვეული ღირებულებების შერჩევის გზით, შევიმუშავეთ სპეციალური კითხვარი და ამის მიხედვით ორი სოციალური ჯგუფის გარკვეული წარმომადგენლები ვიკვლიეთ. ეს არის დამნაშავე და არადამნაშავე ქალთა ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ დღემდე დამნაშავე ქალების ღირებულებები შესწავლილი არ არის, ამიტომ, ეს კვლევის სიახლეს წარმოადგენს. შესაბამისად, საინტერესო აღმოჩნდა კვლევის მიზნები, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

1. არადამნაშავე და დამნაშავე ქალთა მიერ პრიორიტეტულად აღიარებული ფასეულობების დადგენა;

2. არადამნაშავე და დამნაშავე ქალთა მიერ არჩეული პრიორიტეტული ფასეულობების შედარებითი ანალიზი.

დიდი ხანია მკვლევარები კამათობენ იმაზე, თუ რა არის ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველი და მიზეზები[34].

---

[2] **მერაბიშვილი გ.**. ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია. თბილისი, 1998, გვ. 180-200

[3] **ლომბროზო ჩ**. "დამნაშავე ქალები და მეძავები". თბილისი, 2004, გვ.26-55

[4] **Ильин Е**. "Мотивация и мотивы". М., С-Пб, 2006, ст. 236-253

ზოგი თვლიდა, რომ დამნაშავეობა გენეტიკურადაა გაპირობებული და ადამიანს დაბადებიდან აქვს იმპულსი, რომელიც გარემოდან ინსტრუმენტული შესაძლებლობის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს მას ანუ თანდაყოლილი ზნეობრივი გადახრების საფუძველზე შესაძლებელია ადამიანი კრიმინალად მივიჩნიოთ. თუ ეს სიმართლეა, მაშინ დამნაშავე ადამიანი არადამნაშავისგან განსხვავდება და ასევე განსხვავებული უნდა იყოს მისი ქცევა. პიროვნების ფასეულობები მისი ქცევისა და ცნობიერების საფუძველს წარმოადგენენ და გავლენას ახდენენ მის განვითარებაზე. ჩვენი კვლევის ჰიპოთეზას კი წარმოადგენს ის, რომ დამნაშავე და არადამნაშავე ქალებს მსგავსი ღირებულებები უნდა ჰქონდეთ.

ამის დასადგენად გამოვიყენეთ სპეციალურად შემუშავებული ღირებულებების ჩამონათვალი, რომელიც ეფუძნება როკიჩის „ღირებულებითი ორიენტაციების" მეთოდიკას. კვლევის ჰიპოთეზა შემოწმდა არადამნაშავე და დამნაშავე ქალთა მიერ არჩეული პრიორიტეტული ფასეულობების შედარებითი ანალიზის მეშვეობით.

ღირებულებები ყოველთვის ადამიანურია და სოციალურ ხასიათს ატარებს. ისინი საზოგადოებრივი პრაქტიკის, ადამიანის ინდივიდუალური საქმიანობისა და განსაზღვრული კონკრეტულ-ისტორიული საზოგადოებრივი მიმართულებების ჩარჩოებში იქმნება. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ინდივიდუალური ღირებულებებისგან ცალკე არსებობენ. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები - ეს, ამავე დროს, ინდივიდუალური, პიროვნული ღირებულებებია და ყოველი ადამიანი მათ თავისებურად აღიქვამს და შეიმეცნებს. როგორი ღირებულებებიც ბატონობს, ისეთივეა პიროვნება და, შესაბამისად, საზოგადოებაც. ყოველთვის შეინიშნება ღირებულებითი ორიენტაციის შედარებითი ხასიათი, რამეთუ ვიღაც სწავლობს იმიტომ, რომ მომავალში მაღალანაზღაურებადი სამუშაო იშოვნოს, ხოლო მეორე მუშაობს იმისთვის, რომ სწავლისა და განვითარების მიღების საშუალება ჰქონდეს. მაგრამ, ასეა თუ ისე, ღირებულებითი ორიენტაციის კონკრეტული სისტემა და მათი იერარქია პიროვნების განვითარების რეგულატორებია. ისინი პიროვნების ქცევის წესებისა და ნორმების კრიტერიუმების როლსაც ასრულებენ.

თანამედროვე ლიტერატურაში ღირებულებების ბუნებასა და მათი გაგების საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ღირებულება განიხილება როგორც საგანი (რომელსაც აქვს რაღაც სარგებელი და რომელსაც შეუძლია ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება), როგორც იდეალი, როგორც ნორმა და ა.შ. ღირებულებების სხვა სახეობას წარმოადგენს „სუბიექტური ღირებულებები", რომელთაც განეკუთვნება განწყობები, შეფასებები, მოთხოვნები, აკრძალვები და ა. შ. გამოხატული ნორმების ფორმით. ისინი ადამიანთა საქმიანობაში გამოდიან როგორც ორიენტირები და კრიტერიუმები. ამდენად, ღირებულებების გაგების ცენტრში იმ სამყაროსადმი ღირებულებითი დამოკიდებულებაა, რომლის მხარეებსაც „საგნობრივი" და „სუბიექტური" ღირებულებები შეადგენენ.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ღირებულებების კლასიფიცირების და იერარქიის სხვადასხვა ხერხი და პრინციპი არსებობს. მაგალითად, გამოყოფილია ღირებულებები - მიზნები ანუ უმაღლესი (აბსოლუტური) ღირებულებები, და ღირებულებები - საშუალებები ანუ ინსტრუმენტული ღირებულებები. საუბარია, ასევე, დადებით და უარყოფით ღირებულებებზე, მხედველობაში აქვთ რა მათი სოციალური მნიშვნელობა და მათი რეალიზების შედეგები. შეიძლება გამოვყოთ მატერიალური და სულიერი ღირებულებები და ა.შ. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ღირებულებები მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და ყოველი ადამიანის მთლიან ფასეულობით სამყაროს წარმოქმნიან.

ღირებულებების დიფერენციაციის განსხვავებული ფორმებისა და მათი რეგულაციური ხასიათის მიუხედავად, არსებობს უმაღლესი და აბსოლუტური ღირებულება - თვით ადამიანი და

მისი ცხოვრება. ეს ღირებულება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ, როგორც ღირებულება - მიზანი და არასოდეს უნდა გვქონდეს მისადმი, როგორც ღირებულება - საშუალებისადმი დამოკიდებულება. ადამიანი - თვითღირებულებაა, აბსოლუტური ფასეულობაა. ის წარმოადგენს ღირებულებებისა და ღირებულებითი დამოკიდებულებების სუბიექტს. ადამიანის გარეშე ღირებულებების შესახებ საკითხის დაყენება აზრს კარგავს. მსგავს ღირებულებებს წარმოადგენს სოციალური ერთობები და საზოგადოება მთლიანად, რომლებიც ღირებულებების სუბიექტადაც გვევლინებიან. უმაღლეს ღირებულებებს მიეკუთვნება ცხოვრების საზრისი, სიკეთე, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, სილამაზე, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სხვა. ეს ღირებულებები, უპირველესად, პიროვნების სოციალიზაციაზე ახდენენ ზეგავლენას. მათი რეალიზაცია გაიგივებულია პიროვნების სტრუქტურის ისეთი სიღრმისეული ფენის რეალიზებასთან, როგორიც თვით აქტუალიზაციაა. ამის გარეშე ადამიანი პიროვნებად ვერ ყალიბდება. მაგრამ არამხოლოდ უმაღლესი ღირებულებები ახდენენ პიროვნების სოციალიზაციაზე გავლენას. ამ პროცესში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ ღირებულება - საშუალებებს, რომლებიც გამოდიან შუალედური ღირებულებების როლში. ისინი გაპირობებულნი არიან და ექვემდებარებიან უმაღლეს ღირებულებებს. თუ ადამიანი იღწვის სამართლიანობის დასამტკიცებლად, ის მის მისაღწევად უსამართლო ხერხებს არასოდეს მიმართავს; სიკეთისადმი მისწრაფება შეუთავსებელია ბოროტი საშუალებების გამოყენებასთან და ა.შ. ამდენად, ღირებულება - საშუალებების გარეშე მიუღწეველია ღირებულება - მიზნები. ამასთან, ვერანაირი კეთილშობილი მიზანი ვერ გაამართლებს მიუღებელ ხერხებს. ჩვენ გამოკვლევაში გამოვიყენეთ როგორც ღირებულება - მიზნები, ისე ღირებულება - საშუალებები.

საზოგადოების განსხვავებული სოციოკულტურული ტიპები სპეციფიკურ ღირებულებებს ფლობენ, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ პიროვნების ქცევასა და ღირებულებით ორიენტაციას, ასევე მისი სოციალიზაციის ხერხებსაც. მაგალითად, კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ორი ღირებულებითი პარადიგმა - აღმოსავლური და დასავლური - ასახავს შესაბამისი საზოგადოების ცხოვრების წესებთან დაკავშირებულ ფასეულობებს.

აღმოსავლური ტრადიციისათვის დამახასიათებელია ადამიანისა და საზოგადოების ერთიანობის განმტკიცება, ისეთი ნორმებისა და ქცევის წესების ბატონობა, როგორიცაა სამართლიანობა, ჰუმანურობა, გულწრფელობა, მშობლებისა და უფროსების პატივისცემა. პიროვნების სოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოჯახს, შეიძლება ითქვას, რომ თვით საზოგადოება განიხილება ერთ დიდ ოჯახად. აღზრდასა და პიროვნების სოციალიზაციაში მთავარს წარმოადგენს არა სამყაროს შეცვლა, არამედ საკუთარ თავზე მუშაობა და თვითსრულყოფა.

დასავლური ტრადიციებისათვის დამახასიათებელია პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება და პრიორიტეტი, საზოგადოებრივთან შედარებით, ინდივიდუალურ ფასეულობებს აქვს მინიჭებული. შესაბამისად, პიროვნების სოციალიზაცია აქ სოციალური გარემოს შეცვლას უკავშირდება.

ამ ორი ტრადიციის კონტექსტში ჩვენს საზოგადოებაში პიროვნებათა სოციალიზაციის პერსპექტივა ორივე სახის ღირებულებებს უნდა უკავშირდებოდეს. ვფიქრობთ, რომ არაფერი სასირცხვილო და დასაძრახი არ არის კოლექტივიზმის პრინციპში, რომელიც განმტკიცებულია ქართველი ხალხის მენტალიტეტში, ტრადიციულ ფასეულობებში, მაგრამ, არ უნდა მოვახდინოთ ამ პრინციპის აბსოლუტიზირება და „ყაზარმულ კოლექტივიზმთან“ მისი გაიგივება. ამასთანავე საჭიროა ინდივიდუალიზმის ღირებულებების წინ წამოწევა, მაგრამ არა უკიდურესი ეგოიზმის, არამედ პიროვნების ინდივიდუალიზმის, აქტიურობისა და დამოუკიდებლობის განვითარების ფორმით. მხოლოდ კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის ღირებულებების ერთიანობა მოგვცემს

პიროვნების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის საშუალებას. როდესაც ისმის კითხვა - პიროვნების სოციალიზაციის რომელ ხერხს უნდა მიეცეს უპირატესობა, რა უნდა შეიცვალოს უპირველესად - პიროვნება თუ სოციალური გარემო, პასუხი შეიძლება გავცეთ ამგვარად: პიროვნების ნორმალური განვითარებისათვის უნდა შეიცვალოს ადამიანიც და სოციალური გარემოც. პიროვნება, რომლის ღირებულებითი ორიენტაციები უკავშირდება მხოლოდ საკუთარი თავის შეცვლას, მხოლოდ სოციალური გარემოსადმი შეგუებას, განწირულია კონფორმიზმისათვის. ინდივიდუალიზმის ღირებულებათა აბსოლუტიზაცია კი იწვევს პიროვნების საზოგადოებისგან გაუცხოებას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების ღირებულებების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ დასავლეთის კულტურებში წინა პლანზე გამოდის ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ინდივიდუალობა, ფული, ეფექტიანობა, პირველობისადმი სწრაფვა, აგრესიულობა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. აღმოსავლეთის კულტურაში პირველ ადგილზეა კოლექტიური პასუხისმგებლობა, უფროსების პატივისცემა, პატრიოტიზმი, ავტორიტარიზმი, დედობა, უბრალოება. კულტურის ყოველ ტიპს თავისი ნაკლოვანებები და ღირსებები აქვს.

დამნაშავის პიროვნება და მისი ღირებულებითი სისტემა

სამართალდამრღვევთა ფსიქოლოგიას, დამნაშავე პირების მიერ დანაშაულის ჩადენის ფსიქოლოგიურ მექანიზმებს კრიმინალური ფსიქოლოგია შეისწავლის. დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნული თავისებურებების ანალიზი აუცილებელია იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ როგორ და რატომ ჩაიდინა მან ესა თუ ის დანაშაული. დამნაშავის პიროვნება წარმოადგენს ინდივიდის ტიპოლოგიური ნიშან-თვისებების ერთობლიობას, რომლებიც განაპირობებენ მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას. დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობას იღებენ სოციალური, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური და გენეტიკური ფაქტორები.

ზოგადად ადამიანის ქცევა დეტერმინებულია და კანონზომიერად გაპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, რომლებიც იყოფა ორ ჯგუფად: სოციალურად და ბიოლოგიურად. ნორმიდან გადახრადი ქცევის მრავალრიცხოვანი გამოვლინების ანალიზის საფუძველზე მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორები კრიმინალური ქცევის დეტერმინანტებად იქცევიან არა თავისთავად, არამედ ინტეგრირდებიან დამნაშავის პიროვნულ-ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებებში. დამნაშავეთა უმრავლესობის ქცევისთვის დამახასიათებელია სოციალურ-ღირებულებითი დეზადაპტაცია და თვითრეგულაციის დეფექტები. დანაშაულებრივი ქმედება ხორციელდება ინდივიდის მიერ სოციალური უპასუხისმგებლობის საფუძველზე, თვითგამართლებადი მოტივაციის მექანიზმის დახმარებით, რაც გამოვლინდება საზოგადოდ მიღებული ფასეულობების უგულებელყოფაში[5].

დანაშაულებრივი ქმედება კონფლიქტური ქცევაა. იგი ყოველთვის ეფუძნება საზოგადოებაში, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში, ჯგუფსა და პიროვნებას, ცალკეულ პიროვნებებს შორის და ბოლოს, თვით პიროვნებაში არსებულ დაპირისპირებას. დანაშაულის მოტივაცია ყალიბდება დამნაშავის ნეგატიური ნიშან-თვისებებით. დამნაშავეთა უმრავლესობის მოთხოვნილებები უკიდურესად პრიმიტიულია, გამოირჩევა შეზღუდულობით, სივიწროვით, მატერიალურ-უტილიტარული ცალმხრივობით, სოციალურად დადებითი სახეების განუვითარებლობით. მათი ქმედებები ხორციელდება რეგულაციის დაბალ იმპულსურ დონეზე.[6] [7]

[5] **ამინოვი ი.**, „იურიდიული ფსიქოლოგია“. თბილისი, 2008, გვ. 36-88
[6] **ამინოვი ი.**, „იურიდიული ფსიქოლოგია“. თბილისი, 2008, გვ. 36-88

დანაშაულის შესწავლამ, მისმა მიზეზებმა, დინამიკამ და სტრუქტურამ, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოავლინა ერთი საინტერესო გარემოება: ქალთა მიერ ჩადენილი დანაშაული, მამაკაცთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან შედარებით, რამდენჯერმე უფრო მცირეა. კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის საკითხებით დაინტერესებული მეცნიერები ცდილობდნენ აეხსნათ ეს სხვაობა. ამ საკითხზე კვლევების ჩატარების აუცილებლობის დასაბუთებაში დიდი წვლილი მიუძღვით XIX საუკუნის უდიდეს სტატისტიკოსებს კეტლესა და გერის[8].

კეტლე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის ჩადენისაკენ სწრაფვა დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე, სქესზე, მის პროფესიაზე, განათლების დონეზე, წლის პერიოდზე და სხვა. იგი ქალთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმცირეს არა მხოლოდ მათი ფიზიკური სისუსტით, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მათი გარიყვითა და ოჯახური ვალდებულებების მორევში ჩაძირვით ხსნიდა.

ქალთა დანაშაულობის პრობლემების შესწავლაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ჩეზარე ლომბროზომ. იგი ერთ-ერთი პირველი დაინტერესდა დამნაშავე ქალებით. ლომბროზომ დანაშაულის საფუძვლად დაასახელა ინდივიდუალური ქცევის ანომალიები, აქედან გამომდინარე დაიწყო ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ინდივიდუალური ფაქტორების გავლენის შესწავლა.

მისი აზრით, დამნაშავე ადამიანს კრიმინალური ქცევის ნიშნები თანდაყოლილი აქვს. მომავალში კი ამ ნიშნების გამოვლენას ხელშემწყობი პირობების მეტ-ნაკლებობა განსაზღვრავს. მართალია, საკუთარი მოღვაწეობის გვიან პერიოდში, ლომბროზომ აღიარა დანაშაულის ჩადენაზე სოციალური ფაქტორების ზეგავლენაც, მაგრამ დანაშაულებრივი ქცევის პირველწყაროდ მათ მაინც არასოდეს თვლიდა, მხოლოდ გარე ფაქტორის როლს ანიჭებდა და ბუნების მიერ ქალში ჩადებული დანაშაულებრივი თვისებების გამოვლინების ხელშემწყობ პირობად მიიჩნევდა.

ლომბროზო დიდ ყურადღებას უთმობდა დამნაშავე ქალების ტიპების შესწავლასა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების მიზეზების ძიებას. ის ფაქტი, რომ ქალები უფრო ნაკლებ დანაშაულს ჩადიან მამაკაცებთან შედარებით, ლომბროზომ ახსნა ქალის ორგანიზმის მამაკაცის ორგანიზმთან შედარებით ფიზიოლოგიური განუვითარებლობით. იგი ამტკიცებდა, რომ ქალებს ნაკლებად აქვთ განვითარებული თავის ტვინი, რომელიც წონითაც და ხვეულების რიცხვითაც ჩამორჩება მამაკაცისას. მან მიაგნო სპეციფიკურ თავისებურებებს ქალის თმების, ყურებისა და სხვა ორგანოების განვითარებაშიც. სუსტი სქესის წარმომადგენლების გონებრივ ჩამორჩენილობას ლომბროზო და მისი მიმდევრები ხსნიდნენ მათი კონსერვატულობით, ოჯახური ღირებულებების შენარჩუნებისკენ მისწრაფებით. ლომბროზო და ლასკი წერდნენ: „ქალი ბავშვის მსგავსია, იგი ცდილობს შეინარჩუნოს რელიგია, ზნეობა, წინაპართა ტრადიციები და ჩვევები მაშინ, როცა მამაკაცებმა მათზე უკვე უარი თქვეს.“[9] ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლები ქალის გონებრივ ჩამორჩენილობას დედობრივი ფაქტორის არსებობით ხსნიდნენ. ლომბროზოს აზრით, დედობა შთანთქავდა მთელ მათ შესაძლებლობებს. ვ. ფერეროსთან ერთად იგი ამტიცებდა, რომ კაცი მუდმივად იცვლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობებს, ქალი კი თავისი ცხოვრების საუკეთესო ნაწილს დედობრივ მზრუნველობას უძღვნის, რაც ხელს არ უწყობს მის ინტელექტუალურ განვითარებას[10].

ლომბროზო თვლიდა, რომ დამნაშავე და არადამნაშავე ქალებს შორის სხვაობა არსებობს. ის აღნიშნავდა, რომ დამნაშავის თავის ქალის დამახასიათებელი თავისებურებები არა იმდენად კრანიომეტრული გაზომვის რიცხობრივ მონაცემებშია, რამდენადაც სხვადასხვა კრანიალური* ანომალიების არსებობაში.

---

[7] **ახალაშვილი ნ.**, „იურიდიული ფსიქოლოგია“. თბილისი, 2009, გვ. 111-141

[8] **Кетле А.**, „О человеке и развитии его способностей“. Москва, 1865.

[9] **ახალაშვილი ნ.**, „იურიდიული ფსიქოლოგია“. თბილისი, 2009, გვ. 111-141

[10] **ახალაშვილი ნ.**, „იურიდიული ფსიქოლოგია“. თბილისი, 2009, გვ. 111-141

რუსეთში ლომბროზოს მიმდევარმა პ. ტარნოვსკაიამ დამნაშავე ქალების ცალკეული ტიპის შესწავლას რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა.

იგი თვლის, რომ „კვლევის ყველაზე უხეში მეთოდების გამოყენების შემთხვევაშიც კი, ერთი და იმავე ეროვნების დამნაშავე და უდანაშაულო ადამიანებს შორის უეჭველად არსებობს ბიოლოგიური სხვაობა“[11]. ამის მიუხედავად, მკვლევარი აღიარებდა, რომ „დანაშაულის ჩადენისთვის აუცილებელია სხვა მიზეზების არსებობაც“ და პირველ ადგილს ამ მიზეზებს შორის სოციალურ პირობებს, გარემოს გავლენას, სხვის მაგალითსა და აღზრდას ანიჭებს. ტარნოვსკაია აცხადებდა, რომ მხოლოდ ანატომიური მონაცემების ან თანდაყოლილი ზნეობრივი გადახრების საფუძველზე არ შეიძლება ადამიანის კრიმინალად მიჩნევა. იგი თვლის, რომ არსებობენ პიროვნებები, რომლებიც ფლობენ დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილებას. ცხოვრების არასახარბიელო პირობებს, აღზრდის ცუდ მაგალითს ან უბრალო შემთხვევითობას შეუძლია ისინი დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანოს. მეორე მხრივ, თუ დავეყრდნობით მეცნიერის აზრს დამნაშავეებისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ანატომიური და მორალურ-ზნეობრივი თავისებურებების არსებობის შესახებ, თუ ვაღიარებთ დანაშაულობისადმი მათი მიდრეკილების შესაძლებლობას, მაშინ არ უნდა უარვყოთ ლომბროზოსეული ტიპის არსებობაც.

ტარნოვსკაია დამნაშავე ქალებს უღებდა თავისა და ცხვირის ზომებს. ადგენდა მათი სახის ოვალის, გულმკერდისა და მუცლის ფორმას, წონას, კიდურების სიგრძეს, სმენის სიმახვილეს, სწავლობდა მათ მგრძნობელობას. ამ გზით ცდილობდა დამნაშავის ე.წ. ანთროპომეტრული ცხრილების შედგენას. განსაკუთრებით ყურადღება ეთმობოდა მემკვიდრულობას, ალკოჰოლისადმი მიდრეკილებას არამხოლოდ დამნაშავეებში, არამედ მათ მშობლებშიც.

* კრანიომეტრია - თავის ქალას გაზომვა მეცნიერული მიზნით

ტარნოვსკაიას დებულებები საკმაოდ წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. ჩ. ლომბროზო და პ. ტარნოვსკაია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დამნაშავე ქალი ფსიქიკურად და ფიზიკურადაც განსხვავდება იმავე ეროვნებისა და წრის საშუალო, ნორმალური ტიპის ქალისგან.

ტარნოვსკაია, რომელმაც თავისი გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა რუსი ეროვნების სხვადასხვა ტიპის დამნაშავე ქალების შესწავლას, აღნიშნავდა, რომ დანაშაულის გენეტიკურ საფუძვლებზე დაყრდნობით, დაკვირვების ქვეშ მყოფ ქალთაგან იკვეთება დამნაშავეთა ორი ძირითადი ჯგუფი გარკვეული ფსიქიკური და ფიზიკური ანომალიებით. პირველ ჯგუფში გადამწყვეტია „მგზნებარე ვნება, ჟინი, რომელიც მთლიანად მოიცავს გაუწონასწორებელ არსებას და იგი მკვლელობამდე მიჰყავს, მეორე ჯგუფში, პირიქით, წინა პლანზე გამოდის ზნეობრივი საწყისების არასრული, დაჩლუნგებული აღქმა, ინტელექტის დაბალი დონე“. ამ ნიადაგზე, სრულიად ჩვეულებრივმა მიზეზმაც კი შეიძლება ადამიანს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგო.[12] [13]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დამნაშავეთა ეს ჯგუფები თითქოს მოწყვეტილნი არიან რეალურ სინამდვილეს და იმ სოციალურ პირობებს, რომელთა წყალობითაც ისინი ასეთებად ჩამოყალიბდნენ. ლომბროზოსა და მისი სკოლის მიმდევრების მიხედვით, გარემოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გავლენის მნიშვნელობის აღიარება თითქოს ფონს ქმნის დამნაშავის თანდაყოლილი და გენეტიკური თვისებების გამოსავლენად, რაც მისი განვითარების ფსიქიკურ და ფიზიკურ ანომალიებში აირეკლება.

დამნაშავე ქალთა მიმართებაში ანთროპოლოგიური სკოლის მიერ გამოთქმული მთავარი დებულებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

[11] **Тарновская П**. „Женщины-убийцы“. Москва, 1902
[12] **Фойницкий И**. „Женщина-преступница“. Москва, 1893
[13] **Фернхем А.**, **Хейвен П.** „Личностъ и социальное поведение“. С-Пб, Москва, 2001. ст. 175-201

- ქალის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის სოციალური რეალობის პროდუქტი, არც საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის ანარეკლია. ის პიროვნების თანდაყოლილი უარყოფითი თვისებების (ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქიკური) თავისებური გამოხატვაა;

- დანაშაულის მთავარი მიზეზი მდგომარეობს არასახარბიელო მემკვიდრეობითობაში, გარემო პირობები მხოლოდ ხელს უწყობენ პიროვნების თანდაყოლილი თვისებების გამოვლენას;

- კრიმინალები, რომლებიც არ მოხვდნენ არცერთ ანთროპომეტრულ ცხრილში, მიეკუთვნებიან ე.წ „შემთხვევით" დამნაშავეებს. ქალთა და მამაკაცთა დანაშაულობას შორის დიდი სხვაობა იმით აიხსნებოდა, რომ დამნაშავე ქალების რიცხვს არ ემატებოდა იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც „პროსტიტუციას" ეწეოდნენ. როდესაც არსებობდა სოციალური მიზეზები, როგორც ფონი დანაშაულებრივი მიდრეკილებების გამოსავლენად, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ქალთა ერთი ნაწილი დანაშაულის ჩადენაში, მეორე კი - პროსტიტუციაში პოულობდა.

ლომბროზომ წამოაყენა მოსაზრება, რომ მეძავისა და დამნაშავის ტიპებს შორის არსებობს მსგავსება. პროსტიტუციის მიზეზების ახსნისას მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ბევრისთვის სიღარიბე და მშობლების მხრიდან უყურადღებობა არის მხოლოდ საბაბი, ნამდვილი მიზეზი კი იმალება უსირცხვილობასა და უზნეობაში, რომლის გამოც ქალი მიდის პროსტიტუციამდე.

- რადგან დანაშაული გაპირობებული იყო ქალის ბიოლოგიური თავისებურებებით, მისთვის სასჯელი სამედიცინო ხასიათის ზომებით უნდა შეეცვალათ.

ამგვარად, ანთროპოლოგიური სკოლა დამნაშავე ქალს სოციალური პირობებისგან მოწყვეტით განიხილავდა, მაგრამ ადამიანი არ შეიძლება განიხილო იზოლირებულად, რადგან იგი სოციალური არსება და სოციალური ჯგუფის ნაწილია. ამიტომ თვისებები, რომლითაც ხასიათდება პიროვნება, არ შეიძლება იყოს მხოლოდ თანდაყოლილი, იგი საბოლოოდ ცხოვრების მატერიალური პირობებით განისაზღვრება.

კვლევის აღწერა, მიღებული შედეგების ანალიზი და დასკვნა

როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა დამნაშავე და არადამნაშავე ქალთა პრიორიტეტული ღირებულებების დადგენა და მათი შედარება, რადგან ნაშრომის ჰიპოთეზის თანახმად – დამნაშავე და არადამნაშავე ქალებს მსგავსი ღირებულებები აქვთ. კვლევის სამუშაო ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ღირებულებათა ამგვარი ჩამონათვალი:

1. გულისხმიერება;
2. სიყვარული (სულიერი და ფიზიკური სიახლოვე საყვარელ ადამიანთან);
3. კარგი და სანდო მეგობრების ყოლა;
4. განვითარება;
5. თავისუფლება;
6. ბედნიერი ოჯახური ცხოვრება;
7. აღზრდილობა;
8. დამოუკიდებლობა;
9. სამშობლოს სიყვარული;
10. განათლებულობა;
11. მოთმინება, პატიების და შეწყნარების უნარი;
12. პატიოსნება;
13. ჯანმრთელობა (ფიზიკური და ფსიქიკური);
14. პასუხისმგებლობა;
15. ნებისყოფა;
16. სამართლიანობა;

17. სულიერება (ღვთის რწმენა, რელიგიური კანონებით ცხოვრება).

ღირებულებების შესადარებლად საჭირო იყო ცალკ-ცალკე იმის დადგენა, თუ რომელი ჯგუფისთვის (დამნაშავე და არადამნაშავე ქალები) როგორი ღირებულებებია პრიორიტეტული. სწორედ ამიტომ კვლევა ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპს წარმოადგენდა არადამნაშავე ქალების ღირებულებების შეფასება, მათი ფასეულობების დადგენა, რისთვისაც გამოვიკითხეთ სხვადასხვა ასაკის შემთხვევით შერჩეული 120 ქალბატონი. ცდის პირებს მოეთხოვებოდათ ყურადღებით წაეკითხათ ჩამოთვლილი ღირებულებები, ამოერჩიათ მათთვის ყველაზე მეტად მისაღები 6 ღირებულება და მინიჭებული პრიორიტეტების მიხედვით გადაენომრათ თავიდან 1-დან მე-6-მდე. შედეგების ანალიზმა გამოავლინა ყველაზე მნიშვნელოვანი როგორც ტერმინალური, ასევე ინსტრუმენტული ღირებულებები.

კვლევის მეორე ეტაპი საკმაოდ რთული და ამავდროულად საინტერესო პროცესი აღმოჩნდა, ვინაიდან, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 95 დამნაშავე ქალი, რომლებიც იმყოფებიან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ისინი სასჯელს რუსთავის მე-5 ქალთა საპყრობილეში იხდიან. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 215-მა ცდისპირმა. რაც შეეხება ცდის პირთა ასაკს, გამოკითხული იქნა ყველა ასაკის ქალი. არადამნაშავეების ასაკი იცვლება 17 -დან 77 წლამდე, ხოლო დამნაშავეებისა - 19-დან 66 წლამდე. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა არსებობს თუ არა შესამჩნევი განსხვავებები დამნაშავე და არადამნაშავე ქალების მიერ პრიორიტეტულად აღიარებულ ფასეულობებში. შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ჰიპოთეზა გამართლდა, ე.ი დამნაშავე და არადამნაშავე ქალების ღირებულებები მსგავსია. ამ ორი ჯგუფის მიერ შევსებული კითხვარების ნედლი მონაცემების პროცენტულად დამუშავებისა და შედარების შედეგად მათ შორის არ აღმოჩნდა რაიმე არსებითი განსხვავება. კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ არადამნაშავე ქალთა მიერ პრიორიტეტულად აღიარებულია ისეთი ფასეულობები, როგორიცაა სულიერება, ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, განათლებულობა, ჯანმრთელობა, სიყვარული, კარგი და სანდო მეგობრების ყოლა. არადამნაშავე ქალთა მიერ არჩეული თითოეული ღირებულების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შეიძლება ასე გამოვსახოთ: (1-დან 17-მდე დანომრილია კითხვარში აღნიშნული ღირებულებები)



რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ დამნაშავე ქალებისთვის უპირველესი მნიშვნელობის მქონეა ისეთი ფასეულობები, როგორიც არის თავისუფლება, ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, სულიერება. მას მოჰყვება სამართლიანობა, მოთმინება, კარგი და სანდო მეგობრების ყოლა და ჯანმრთელობა. გასაკვირი არ არის, რომ

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია თავისუფლება და ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, რაც შედეგებზეც აისახა. (ბედნიერი ოჯახური ცხოვრება - 78%, თავისუფლება 60%) ამ ორის შემდეგ ყველაზე მეტად არჩევითი აღმოჩნდა ღირებულება - მიზანი ანუ ტერმინალური ღირებულება - „სულიერება". პარადოქსულია, რომ ადამიანი, რომელიც რელიგიური კანონებით ცხოვრობს და მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფასეულობაა ღვთის რწმენა, ჩაიდენს მკვლელობას ან ზიანს მიაყენებს სხვის ჯანმრთელობას, გაძარცვავს ან დააყაჩაღებს ვინმეს. ეს შედეგი შეიძლება ავხსნათ იმით, რომ სულიერება ანუ ღვთის რწმენა და რელიგიური კანონებით ცხოვრება, მათთვის ხსნის ერთადერთი გზა და იმედია მოცემულ სიტუაციაში. ბევრმა მათგანმა საუბრისას აღნიშნა, რომ მხოლოდ ციხეში მოხვედრის შემდეგ დაიწყო ლოცვა და ტაძარში სიარული. მართლაც თითქმის ყველა საკანში დიდი ადგილი ეთმობა ხატების კუთხეს და ისინი დღეში ორჯერ ციხის სამლოცველოში ლოცვებსაც ესწრებიან.

დამნაშავე ქალთა მიერ არჩეული თითოეული ღირებულების პროცენტული მაჩვენებელი გრაფიკულად შეიძლება ასე გამოვსახოთ:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის მიზანი იყო შესამჩნევი განსხვავებების დადგენა დამნაშავე და არადამნაშავე ქალების მიერ პრიორიტეტულად აღიარებულ ფასეულობებში. შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ასეთი „შესამჩნევი განსხვავებები" არ გამოვლინდა და მათი ღირებულებები მსგავსია. შეინიშნება მხოლოდ მცირედი განსხვავებები, რაც გამომდინარეობს სოციალური პირობებიდან და არა პიროვნული მახასიათებლებიდან. მაგალითად, ღირებულება - მიზანი ანუ ტერმინალური ღირებულება - „თავისუფლება" ციხეში მყოფისთვის და თავისუფალი ადამიანისთვის განსხვავებულად ღირებულია. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების შეზღუდვა არ გულისხმობს მხოლოდ პატიმრობაში ყოფნას და, შესაბამისად, თავისუფლებაც არ გულისხმობს მხოლოდ ციხიდან გამოსვლას, არადამნაშავეებისთვის ეს ღირებულება არ არის მნიშვნელოვანი (27,5%), მაშინ როცა დამნაშავეებისთვის ის ერთ-ერთი პირველი ფასეულობაა (60%).

როგორც არადამნაშავეებისათვის, ისე დამნაშავეებისთვის პრიორიტეტულად აღიარებულია შემდეგი ღირებულებები: ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, სულიერება, ჯანმრთელობა, სიყვარული, კარგი და სანდო მეგობრების ყოლა. ბედნიერი ოჯახური ცხოვრება დამნაშავე ქალებთან პირველ ადგილზე დგას, არადამნაშავეებთან -მეორეზე (შესაბამისად - 53,3% და - 78%), რაც მსგავს შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა პროცენტული მაჩვენებლის ეს სხვაობა გამოწვეულია

იმით, რომ პატიმრები მოკლებულნი არიან ოჯახთან სიახლოვეს და ახლობლებთან ურთიერთობებს.

ორივე ჯგუფის შედეგების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისეთი ღირებულებები, როგორიცაა გულისხმიერება, განვითარება, აღზრდილობა, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა და ნებისყოფა (რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში) საერთოდ არ წარმოადგენს ფასეულს და პრიორიტეტულს როგორც არადამნაშავე, ისევე დამნაშავე ქალისთვის. მიგვაჩნია, რომ ამ ღირებულებათა გაუფასურება უკანასკნელი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პირობებითაა გაპირობებული და ცალკე სერიოზული კვლევის საგანს წარმოადგენს.

ამდენად, კვლევის მიზანი იყო არადამნაშავე და დამნაშავე ქალების ღირებულებების შესწავლა და მათი პრიორიტეტული ფასეულობების შედარებითი ანალიზი, რამაც დაამტკიცა კვლევის ჰიპოთეზა და მოგვცა დასკვნის გაკეთების საშუალება, რომ არადამნაშავე და დამნაშავე ქალებს მსგავსი ღირებულებები აქვთ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაულის ჩადენის მიზეზები არ უნდა ვეძებოთ გენეტიკაში; დანაშაული არ არის პიროვნების თანდაყოლილი უარყოფითი თვისებების გამოხატულება; დამნაშავე პირში დაბადებისთანავე არ არის ჩადებული დევიაციური ქცევისკენ მიდრეკილება; დამნაშავეები არ იბადებიან „დამნაშავეებად“; არ შეიძლება სოციალური „იარლიყი“ მივამაგროთ დამნაშავე ადამიანს და ჩვენგან განსხვავებულად აღვიქვათ იგი.

კვლევამ, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, აგრეთვე გამოკვეთა საზოგადოების დღევანდელი აქტუალური პრობლემა. როგორც დამნაშავე, ისე არადამნაშავე ქალების ღირებულებების შესწავლისას ნათლად გამოჩნდა ზოგადად ღირებულებების პრობლემა. გაუფასურებულია საზოგადოების განვითარებისთვის და წინსვლისთვის საჭირო ფასეულობები. ღირებულებითი ორიენტაციები წარმოქმნიან პიროვნების ქცევისა და ცნობიერების საფუძველს და უშუალოდ ახდენენ გავლენას მის განვითარებასა და ქცევაზე. ღირებულებების დევალვაცია დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან როგორი ღირებულებებიც ბატონობს, ისეთივეა პიროვნება და შესაბამისად - საზოგადოებაც. ჩვენი საზოგადოება ამჟამად სწორედ ამას განიცდის - არასტაბილურობას, მკვეთრ სოციალურ ბიძგებს, პიროვნების დეზიდენტიფიკაციას. ყოველივე ეს კი, გამოხატულებას ჰპოვებს ღირებულებათა გადაფასების პროცესში.

Nona Akhalasvili, Ana Mandaria

Criminal and Non-criminal Women Research According to Personal Values

Summary

Social, professional, age, gender, ethnic and other different types of group values are studied prolonged in general all over the world and in Georgia as well. However, nowadays the current devalvation of value approach caused problems in our society. Besides special questioning that is elaborated by the selection from the value system due to researching of various social groups that is innovational, the first approach of researching of criminal women values according to its goals appears to be interesting. We considered to establish the priorities of criminal and non-criminal women points of view and expose comparative analysis. The researching results confirmed the hypothesis that criminal and non-criminal women appreciate the similar values. The special list was worked out that is based on the method of „Value Oriantations“ by Rochik. The survey was focused

on 215 guineapigs support – 120 non-criminal and 95 criminal women and resulted their similar approach to values that is concerned on spirituality, happy marrital affairs, good and reliable friends, health and freedom conditions.

მაია კალანდარიშვილი, ხატია ღვინიაშვილი

ხანმოკლე მეხსიერების ფაქტორული ანალიზი

წარმოდგენილი კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადენს ხანმოკლე მეხსიერების კვლევის სფეროში ფაქტორული ანალიზის გამოყენება. კერძოდ, ხანმოკლე მეხსიერების პროდუქტულობაზე სუბიექტურ (დახსომების უნარი) და ობიექტურ (დასახსომებელი მასალის ტიპი) ფაქტორთა ზემოქმედების კვლევა და ფაქტორული წონების დადგენა!

მეხსიერება არის ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის უნარი. იგი მიეკუთვნება როგორც ბიოლოგიურ, ისე კოგნიტურ (შემეცნებით) პროცესებს.

მეხსიერების ფუნქციას წარმოადგენს გამოცდილების შეძენა, წარსულში აღქმულისა და განცდილის შენახვა, მომავალ ქცევაში მისი გათვალისწინება და ჩართვა[1].

არსებობს ტერმინის „მეხსიერება“ სხვადასხვა განსაზღვრება: მეხსიერება ფსიქოლოგიაში ფართო მნიშვნელობით გულისხმობს ინდივიდის ფსიქიკაში წარსულში განცდილის ამა თუ იმ სახით ასახვას, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით – წარსულში განცდილის ცნობიერებაში აღდგენის უნარს მისი რეპროდუქციის ან განმეორებითი აღქმისას მისი ცნობის სახით; დ. უზნაძის აზრით, წარსულის შენახვას, აწმყოში მის გავლენას, საზოგადოდ, „მეხსიერება“ ეწოდება[2]; მეთლინი თვლის, რომ მეხსიერება წარმოადგენს ინფორმაციის დროში შენარჩუნების პროცესს[3]; სტერნბერგის აზრით, მეხსიერება საშუალებაა, რომლითაც ვიღებთ წარსულის გამოცდილებას ამ ინფორმაციის აწმყოში გამოყენების მიზნით[4]; გერიგი და ზიმბარდო მეხსიერებას მიიჩნევენ ინფორმაციის კოდირების, შენახვისა და აღდგენის უნარად[5]; და სხვ. ამგვარად, მეხსიერება ინფორმაციის კოდირებაში, შენახვასა და მის აღდგენაში ჩართული სტრუქტურებისა და პროცესების გამოყენების უნარია.

ხანმოკლე მეხსიერება, ესაა მეხსიერების სახე, რომელიც უზრუნველყოფს საგნებისა და მოვლენების ცნობიერებაში მოკლე ხნით შენახვას. ამ დროს აღდგენა ხდება მაქსიმალური სიზუსტით. დღეს ხდება ხანმოკლე მეხსიერების მახასიათებლების მნიშვნელოვანი დაზუსტება. მასში შთაბეჭდილებების შემონახვის დრო განისაზღვრება 20-30 წამით. დახსომების რაოდენობრივი გამოხატულებაა 7 ± 2, რაც სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული[6].

ძირითადი ფუნქცია ხანმოკლე მეხსიერების არის გარემოში პირველადი ორიენტირება, იგი ქმნის მიმდინარე მოქმედების განხორციელების საშუალებას. ასეთი მეხსიერება აუცილებელია, რათა გავიგოთ ეს-ესაა წაკითხული წინადადების შინაარსი. ხანმოკლე მეხსიერების კიდევ ერთი ფუნქცია ისაა, რომ იგი აფიქსირებს ხანგრძლივ მეხსიერებაში შესატან მასალას, ამის ერთ–ერთი პირობა განმეორებაა[7].

ხანმოკლე მეხსიერებაში დავიწყებას ძირითადად დროის ფაქტორს უკავშირებენ, ანუ რაც უფრო მეტი დრო გადის აღქმიდან მით მეტად ხდება დავიწყება. აღდგენისას შეცდომებს შესახებ

---

[1] **დ. ფარეჯანაძე**, „მეხსიერების ფსიქოლოგია“ შ.პ.შ. ‘თათა სოლუშნებსის“ მიერ, თბილისი, 2008

[2] **დიმიტრი უზნაძე** 1964

[3] **atlin**, 2005

[4] **Sperling, G**.Successive approximations to a model of short-term memory, Acta Psychologica, 1967, p. 27

[5] **რ. გარიგი**,. **ფ. ზიმბარდო**. „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009

[6] **A.C. Miller**, **J.M. Keenan**. How word decoding skill impacts text memory: The centrality deficit and how domain knowledge can compensate. 2009

[7] **დ. უზნაძე**. ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. (ნ. იმედაძის შესავლით) სკოლა და ცხოვრება, №1 (იანვარი), საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1981

კი მეცნიერთა აზრი იყოფა, თუმცა ეს ძირითად ყურადღებისა და აღქმის დროს დაშვებულ შეცდომებით განისაზღვრება და არა თავად მეხსიერების თავისებურებით[8].

მეხსიერება უკვე პირველსავე თვეებში იჩენს თავს. თუმცა ამ პერიოდში მისი შესწავლა ძალიან ძნელია. რაც შეეხება მისი განვითარებას იგი 13 წლამდე ნელა ვითარდება, ხოლო შემდეგ 13-დან 16-მდე სწრაფი ტემპით მიდის წინ და 22-დან 25–მდე თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს. ზრდასრული ადამიანის უშუალო მეხსიერება თავის მაღალ ეფექტს ნებელობის დახმარებას უნდა უმადლოდეს.

ხანმოკლე მეხსიერების მექანიზმი ეს არის თავის ტვინის ქერქში ნერვული იმპულსების რევერბერაცია. სუბიექტურად ეს პროცესი გამოიხატება, როგორც სულ ახლახანს მომხდარი ფაქტის „გამოძახილი". ამავდროულად ხანმოკლე მეხსიერებაში ხდება საკმაოდ რთული გარდაქმნები შემავალი ინფორმაციის, რომელიც ხორციელდება შეკუმშული სახით. ელემენტები, რომლებიც ინახება ხანმოკლე მეხსიერებაში ან გამოიდევნება ახალი ელემენტებით ან წაიშლება[9].

მკვლევარები სხვადასხვა მასალას იყენებდნენ ხანმოკლე მეხსიერების მოცულობისა და პრუდუქტიულობის შესამოწმებლად. თუმცა, ამ სხვადასხვა მასალების ტიპების შედარება და ურთიერთმიმართების კვლევა არ გვხვდება. ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენს კვლევაში შეგვედარებინა მათი მიმართება მეხსიერებასთან.

ბედლიმ და ჰინჩმა (1974) თავისი ექსპერიმენტებით შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ ხანმოკლე მეხსიერება ქვესისტემებისგან შედგება, რომელთაც დამოუკიდებლადაც შეუძლიათ მოქმედება და ამდენად – ორი განსხვავებული ამოცანის ერთდროული შესრულებაც. ბედლიმ წარმოადგინა მუშა მეხსიერების მოდელი, რომელიც სამი ქვესისტემისგან შედგებოდა: 1. ფონოლოგიური ყულფი. 2. ვიზუალურ–სივრცითი ინფორმაციის პირველადი საცავი და 3. ცენტრალური აღმასრულებელი. მოგვიანებით ამ მოდელს მეოთხე კომპონენტიც დაუმატა, ე.წ. ეპიზოდური ბუფერი[10].

ფონოლოგიურ ყულფში შეზღუდული რაოდენობის აკუსტიკურ–ვერბალური ინფორმაციის აღბეჭვდა და მცირე ხნით შეჩერება ხდება. ბედლის აზრით, სწორედ ეს არის პასუხისმგებელი უშუალო მეხსიერებაზე. ფონოლუგიური ყულფის შეზღუდული მოცულობით აიხსნება ის კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც უშუალო მეხსიერებაში მნიშვნელობა აქვს სიტყვათა სიგრძეს. კერძოდ, უფრო მეტი ერთეულის დამახსოვრება ხდება თუ ეს სიტყვა მოკლეა და – პირიქით.

ვიზუალურ–სივრცით საცავში ხდება მხედველობით და სივრცითი ხასიათის მქონე ინფორმაციის მცირე ხნით შეჩერება. გარდა ამისა, აქ შემოდის ასევე ვერბალური გზით შემოსული ინფორმაციაც.

ეპიზოდური ბუფერი ეს არის დროებითი ადგილი, სადაც ჩერდება ფონოლუგიური ყულფიდან, ვიზუალურ სივრცით საცავიდან და ხანგრძლივი მეხსიერებიდან მიღებული ინფორმაცია. აქ ხდება წარსულში მიღებული ინფორმაციის გადმოტანა და ინტერპრეტაცია, მომავალი აქტივობების დაგეგმვა.

ცენტრალური აღმასრულებელი ინსტანცია ახდენს ზემოდ ხსენებული სამი „ადგილიდან" ინფორმაციის ინტეგრაციას და გადამწყვეტ როლს თამაშობს ყურადღების, სტრატეგიების დაგეგმვის და ქცევის კოორდინაციის პროცესში. გარდა ამისა, ეს ინსტანცია „არ უშვებს"

---

[8] **ი. იმედაძე**. „ფსიქოლოგიის საფუძვლები" თავი XII. მეხსიერება. რედაქტორი: პროფ. ი. იმედაძე, გამომცემლობა "მწიგნობარი", თბილისი, 2007

[9] **ლ. სვანიძე**. „ზოგადი ფსიქოლოგია", კონსპექტი, წ.მ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2011

[10] **A.D. Baddely**, **G.J. Hitch**. Working Memory. In G.H. Bower (ed), The psychology of learning and motivation: advances in research and theory New York. Academic press, 1974

არასაჭირო ინფორმაციას. ის განსაზღვრავს ჩვენი ქცევის მომდევნო ნაბიჯს – რა გავაკეთოთ ან არ გავაკეთოთ, რათა არ ავცდეთ დასახულ მიზანს[11].

ვივიენ კუკიმ ა. ბედლის საარტიკულაციო ყულფის მოდელზე დაყრდნობით, ერთმანეთისგან გამიჯნა ხანმოკლე და მუშა მეხსიერება, კერძოდ: ხანმოკლე მეხსიერება ინფორმაციას ინახავს მხოლოდ რამოდენიმე წამს, მუშა მეხსიერება კი წარმოადგენს მეხსიერების სისტემას, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის შესანარჩუნებლად და მის სამართავად გონებრივი ამოცანების შესრულებისას. საარტიკულაციო ყულფი განიხილება, როგორც საშუალება, რომლითაც ინფორმაცია შემოინახება მუშა მეხსიერებაში ხმამაღალი და უხმო დანაწევრებული მეტყველებისას[12].

მკვლევარებმა (ნაჩაევმა) დაადგინეს, რომ მეხსიერების ტიპი ურთიერთკავშირშია, იმასთან, თუ რა საგანი მოსწონს ან არ მოსწონს მოსწავლეს, (ანუ სიმპათია-ანტიპათიასთან). ანუ მეხსიერების ტიპი გარკვეულ როლს უნდა თამაშობდეს პიროვნების მიერ პროფესიის არჩევაში[13]. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვედგინა სხვადასხვა პროფესიების მიმართება მეხსიერებასთან.

მოიმანს ის მიხედვით მეხსიერების ტიპები სხვადასხვანაირად ვითარდება სქესის მიხედვით[14]. ამიტომ გადავწყვიტეთ ხანმოკლე მეხსიერებაზე სქესის ფაქტორის ზემოქმედების დადგენაც.

კვლევის მიზანია:

- ხანმოკლე მეხსიერების ფაქტორული ანალიზი - კერძოდ, ხანმოკლე მეხსიერების პროდუქტულობაზე სუბიექტურ (დახსომების უნარი) და ობიექტურ (დასახსომებელი მასალის ტიპი) ფაქტორთა ზემოქმედების კვლევა და ფაქტორული წონების დადგენა!
- მასალის ტიპის ზეგავლენის დადგენა ხანმოკლე მეხსიერების პროდუქტულობაზე;
- გენდერული და პროფესიული ფაქტორის ზემოქმედება ხანმოკლე მეხსიერების პროდუქტიულობაზე.

მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ: ხანმოკლე მეხსიერების მოცულობა, განსხვავებულ ვიზუალურ მასალაზე (8 ტიპის მასალა: ორნიშნა რიცხვები, სამნიშნა რიცხვები, უაზრო მარცვლები, ასოები, ინგლისური სიტყვები, ქართული სიტყვები, გეომეტრიული ფიგურები, ნახატები) განსაზღვრულია ერთი მხრივ, ადამიანის მეხსიერების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური უნარით, მეორეს მხრივ, თავად მასალის თვისობრიობით. შესაბამისად, ერთი და იგივე ცდის პირებთან განსხვავებულ მასალაზე ხანმოკლე მეხსიერების პრუდუქტიულობის მაჩვენებლების ფაქტორიზაციის შედეგად უნდა გამოიყოს სამი – ოთხი ფაქტორი.

ჰიპოთეტურად, ფაქტორული ანალიზის შედეგად, შესაძლებელია დადგეს ორი უკიდურესი შემთხვევა. თუ ერთი გენერალური ფაქტორი გამოიყოფა ეს ნიშნავს, რომ მასალას საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა და ხანმოკლე მეხსიერების პრუდუქტულობისთვის მთავარია ადამიანის დახსომების უნარი. თუ გამოიყოფა რვა ფაქტორი ესე იგი მასალის ტიპს აქვს მთავარი ზეგავლენა ხანმოკლე მეხსიერების პრუდუქტულობაზე და არა დახსომების უნარს.

---

[11] **დ. ფარჯანაძე**. „მეხსიერების ფსიქოლოგია“ შ.პ.შ. „თათა სოლუშნებსის“ მიერ, თბილისი, 2008

[12] **V. Cook**. Second Language Learning and language Teaching. Edward Arnold , A division of Hodder & Stoughton, London New York, Melbourne, Auckland, 1991

[13] **დ. უზნაძე**. ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. (ნ. იმედაძის შესავლით) სკოლა და ცხოვრება, №1 (იანვარი), საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1981

[14] **Moiman**, 1972

კვლევისთვის ავიღეთ შემდეგი ვიზუალური მასალა: 1. **ორნიშნა რიცხვები** 2. **სამნიშნა რიცხვები** 3. **უაზრო მარცვლები** 4. **ასოები** 5. **უცხო (ინგლისური) სიტყვები** 6. **ქართული სიტყვები** 7. **გეომეტრიული ფიგურები** 8. **ნახატები**.

კვლევის მეთოდი:

მასალა: რვა ცხრილი, რომლებზედაც წარმოდგენილი იყო ერთი ტიპის მასალის ათი ელემენტი, კერძოდ, ცხრილები: 1 ორნიშნა რიცხვები 2. სამნიშნა რიცხვები 3. უაზრო მარცვლები 4. ასოები 5. უცხო (ინგლისური) სიტყვები 6. ქართული სიტყვები 7. გეომეტრიული ფიგურები 8. ნახატები. (იხილეთ დანართი 1).

ცდისპირები:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 100 ინდივიდმა, 40 მამრობითი და 60 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. ასაკი ვარირებდა 18–დან 25–წლამდე.

ძირითადად ცდის პირები იყვნენ სტუდენტები: სოციალური მეცნიერებები (ფსიქოლოგია, სოციალური სამუშაო) – 35; სამართალმცოდნეობა (იურიდიული) – 17; საერთაშორისო ურთიერთობები – 15; პროგრამირება (მათემატიკა) – 17; ჰუმანიტარული სპეციალობები (ისტორია, ლიტერატურა) – 16.

ექსპერიმენტული პროცედურა:

კვლევის მონაწილეებს ექსპერიმენტის დასაწყისში მიეწოდებოდათ სტანდარტული ინსტრუქცია. ჩვენ ოცი წამის განმავლობაში ვაჩვენებდით ათი ელემენტისგან (მაგ. რიცხვები) შემდგარ ცხრილს და ცდის პირები 20 წამის განმავლობაში იხსომებდნენ მათ. შემდგომ 3 წუთის განმავლობაში პასუხების ფურცელზე წერდნენ აღდგენილ ელემენტებს.

ინსტრუქცია:

„წარმოგიდგენთ ცხრილს გამოსახულებებით, თქვენი ამოცანაა 20 წამის განმავლობაში დაიმახსოვროთ, რაც შეიძლება მეტი გამოსახულება. 20 წამის შემდეგ ავიღებ ცხრილს და თქვენ უნდა დაწეროთ, ან დახატოთ გამოსახულებები, რომლებიც დაგამახსოვრდათ“.

თითოეულ ცდისპირს მიეწოდებოდა რვა ცხრილი, განსხვავებული მასალით (იხ. მასალა)

კვლევის ინსტრუმენტი:

კვლევის ინსტრუმენტი შემუშავებულ იქნა ხატობრივი მეხსიერების და „მხედველობითი მეხსიერების“ საკვლევ ტესტებზე დაყრდნობით. იგი შედგებოდა რვა სერიისგან, რომელშიც განთავსებული იყო სხვადასხვა ტიპის მასალის ათი ელემენტი დასამახსოვრებლად. სერიებში შედიოდა: 1. ორნიშნა რიცხვები, 2. სამნიშნა რიცხვები, 3. უაზრო მარცვლები, 4. ასოები, 5. უცხო (ინგლისური) სიტყვები, 6. ქართული სიტყვები, 7. გეომეტრიული ფიგურები (ნახაზები), 8. სურათები (ნახატები).

ცდის პირებს რიგ–რიგობით ვაჩვენებდით თითოეულ სერიას 20 წამის განმავლობაში და შემდეგ ისინი პასუხების ფურცელზე წერდნენ აღდგენილს.

სანამ ძირითადი ცდების ჩატარებაზე გადავიდოდით, ჩავატარეთ საპილოტე კვლევა ოც ცდისპირზე. ამის შედეგად გამოვლინდა, რომ ცდისპირთა დამახსოვრებაზე გავლენას ახდენდა სერიების მიწოდების თანმიმდევრობა. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ დასაწყისში უფრო ნაკლებ მობილიზირებულნი იყვნენ ვიდრე ექსპერიმენტის ბოლოს, ანუ ბოლო სერიებში მათი შედეგი უმჯობესდებოდა. ასევე შესაძლოა დასაწყისში კარგად ვერ გაეაზრებინათ ცდის არსი, რომელიმე

სერიაში მკვეთრად მცირე ან დიდ აღდგენას გავლენა ჰქონოდა მოტივაციაზე და მათ მონდომებულობაზე.

ყოველივე ამის გამოსარიცხად ჩვენ გადავაადგილეთ სერიები (ექსპოზიციები) და მივიღეთ რვა სხვადასხვა თანმიმდევრობის და განლაგების ტესტი. ამის გასაკეთებლად გამოვიყენეთ ლათინური კვადრატი. ძირითად ცდებში გამოიყენებოდა ამ ტესტების თანაბარი რაოდენობა. ფერების ზეგავლენის გამოსარიცხად, ტესტების ყველა სერია დაბეჭდილი იყო ერთ ფერში (შავად).

კვლევის შედეგები

ცდის პირები ყველაზე უკეთ იმახსოვრებდნენ კატეგორიას, რომელშიც შედიოდა ასოები, შემდეგ მას მოჰყვება ნახატების, ნახაზების, სიტყვები, უცხო სიტყვებისა და რიცხვების კატეგორია, წინა კატეგორიებს საკმაოდ ჩამორჩება ბოლო ორ ადგილას გასული მარცვლებისა და სამნიშნა რიცხვების კატეგორია.

შედეგებს წარმოგიდგენთ ჰისტოგრამის სახით:



ამის ახსნა შესაძლებელია **ალან ბედლის**[15] თეორიის მიხედვით, რომ მეხსიერებისთვის მნიშვნელობა აქვს სიტყვათა სიგრძეს. კერძოდ, უფრო მეტი ერთეულის დამახსოვრება ხდება, თუ ეს სიტყვა მოკლეა და – პირიქით. ანუ ჩვენს შემთხვევაში სწორედ ყველაზე მოკლე იყო ასოების კატეგორია, სამნიშნა რიცხვები კი ყველაზე მეტ ერთეულს შეიცავდა.

შედეგების ასეთი გადანაწილება შეიძლება აიხსნას ასევე **ბარტლეტის**[16] თეორიის მიხედვით, რომ აზრიანი ელემენტების დამახსოვრება უკეთესად ხდება. სწორედ ამიტომ, ცდის პირებმა უკეთ დაიმახსოვრეს ნახატები და სიტყვები. და ძნელად დაიმახსოვრეს უაზრო მარცვლები, ასევე ორნიშნა და სამნიშნა რიცხვები, რომლებიც სხვებთან შედარებით ნაკლებ აზრიანი იყო.

ასოების კატეგორიის პირველ ადგილზე გასვლის ახსნა შესაძლებელია, ხანმოკლე (უშუალო) მეხსიერების კანონზომიერებით, რომლის მიხედვითაც, ელემენტის შენარჩუნების დრო

[15] **A.D. Baddely**, **G.J. Hitch**, Working Memory. In G.H. Bower (ed), The psychology of learning and motivation: advances in research and theory New York. Academic press, 1974

[16] **Bartlet**, http://psycholib.com

ხანმოკლე მეხსიერებაში 30 წამია (სპერლინგი). ცდის პირები წაკითხვის შემდეგ ბარათებზე წერდნენ აღდგენილს, ანუ ასოების შემთხვევაში ისინი 30 წამში მოასწრებდნენ ჩამოწერას, როცა განცდილი ჯერ კიდევ აწმყოშია. ხოლო სხვა შემთხვევაში, ისინი კარგავდნენ დროს წერისას და უშუალო მეხსიერებიდან იშლებოდა ელემენტები, ეს კი ხელს უშლიდა აღდგენას.

სწორი პასუხების რაოდენობა სქესთა შორის და პროფესიების მიხედვით კი ასე განაწილდა



	ფსიქოლოგია 1	იურიდიული 2	საერთაშორისო 3	მათემატიკა 4	ჰუმანიტარული 5
მდედრობითი	5.68	5.96	5.44	5.71	5.78
მამრობითი	5	5.82	6.04	5.61	5.11

სქესთა შორის სწორ პასუხებში განსხვავება საშუალოების მიხედვით უმნიშვნელოა.

- მდედრობითი – 5,6;
- მამრობითი – 5,57.

ასევე უმნიშვნელო იყო განსხვავება პროფესიებს შორისაც.

- ფსიქოლოგია – 5,45;
- იურიდიული – 5,9;
- საეთაშორისო ურთიერთობები – 5,72;
- პროგრამირება – 5,65;
- ჰუმანიტარული – 5,45.

საერთო საშუალოს მიხედვით გამოვლინდა, რომ ხანმოკლე მეხსიერების მოცულობა შემცირებულია და ის საშუალოდ 5,6 უდრის.

შეცდომების მიხედვით - როგორც ვხედავთ, შეცდომების რაოდენობა გაცილებით მაღალია პირველ სამ კატეგორიაში (ორნიშნა და სამნიშნა რიცხვები, მარცვლები).



ეს მიმართება უკუპროპორციულია სწორ პასუხებთან. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ცდის პირს, რაც უფრო უჭირს აღდგენა, მით მეტ შეცდომას უშვებს. აღსანიშნავია რომ, სწორი პასუხების ჩანაცვლება ხდებოდა ძირითადად ასოციაციურად.

სქესის მიხედვით კი სტატისტიკურად სანდო განსხვავება მხოლოდ სამნიშნა რიცხვებში მივიღეთ, მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მეტ შეცდომას უშვებენ ამ შემთხვევაში.

ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზი

დისპერსიული (ერთფაქტორიანი) ანალიზის შედეგად ვადგენთ თუ რამდენად სანდოა განსხვავება სხვაობა მასალის ტიპში მიღებული ქულებისთვის.

სწორი პასუხების შემთხვევაში: $df = 7$ (ფაქტორული დისპერსია), $df = 792$ (შიდა დისპერსიების თავისუფლების ხარისხი), $p < 0{,}05$. დისპერსიებს შორის შეფარდება გამოვლინდა 11,22. ფიშერის ცხრილიდან კი შესაბამის შემთხვევაში სანდოობა მეტი უნდა იყოს 2,01–ზე. მიღებული შედეგი – 11,22 >2,01. ანუ დაფიქსირდა მაღალი სანდოობა.

მიღებული შედეგიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემულ დასამახსოვრებელი მასალის რვა კატეგორიაში შემავალი ჯგუფებისათვის სწორ პასუხებში სხვაობა სანდოა. ეს მიუთითებს დასამახსოვრებელი მასალის ტიპის ზეგავლენას, რადგან თითოეულ კატეგორიაში სხვადასხვა ტიპის მასალა იყო, ამან განსაზღვრა სწორ პასუხებში სხვაობები, რომელთა სანდოობაც დავადგინეთ.

მცდარი განგაშების (შეცდომების) შემთხვევაში: $df = 7$ (ფაქტორული დისპერსია), $df = 792$ (შიდა დისპერსიების თავისუფლების ხარისხი), $p < 0{,}05$. დისპერსიებს შორის შეფარდება გამოვლინდა 11,52. ფიშერის ცხრილიდან შესაბამება სანდოობა > 2,01. მიღებული შედეგი 11,52 > 2,01. ამ შემთხვევაშიც მაღალი სანდოობაა.

ეს ნიშნავს, რომ დაშვებული შეცდომები, სხვადასხვა ტიპის მასალის ჯგუფებს შორის სხვაობა, სანდოა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასამახსოვრებელი მასალის ტიპი განსაზღვრავს არა მარტო აღდგენებს ანუ სწორ პასუხებს, არამედ დაშვებულ შეცდომებსაც.

სხვა და სხვა პროფესიების შემთხვევაში: $df = 4$ (ფაქტორული დისპერსია), $df = 70$ (შიდა დისპერსიების თავისუფლების ხარისხი), $p < 0{,}05$. დისპერსიებს შორის შეფარდება

გამოვლინდა 2,01. ფიშერის ცხრილის შესაბამისად ამ შემთხვევაში სანდოობა უნდა იყოს > 2,45. მიღებული შედეგი 2,01 < 2,45. ამ შემთხვევაში არ გამოვლინდა სანდოობა.

ამ შემთხვევაში მივიღეთ, რომ სხვადასხვა პროფესიის ჯგუფებს შორის სწორ პასუხებში განსხვავება არასანდოა. ეს ნიშნავს, რომ პროფესიის ფაქტორი არ ახდენს გავლენას ხანმოკლე მეხსიერების პრუდუქტიულობაზე. თუმცა, ასე პირდაპირი დასკვნის გამოტანაში ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ კვლევაში მონაწილეობდნენ ძირითადად სტუდენტები, რომლებიც ცოდნას ეუფლებოდნენ და შესაძლოა არც ჰქონდათ ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება აერჩიათ თუ არა ფაკულტეტი, რომელზეც სწავლობდნენ.

ფაქტორული ანალიზი

ფაქტორული ანალიზის შედეგად მოხდა რვა კატეგორიის მოცემული დასამახსოვრებელი ტიპების, ფუნდამენტურ სამ ტიპამდე (ფაქტორამდე) დაყვანა.

გამოყოფილი სამი ფაქტორიდან შედგა ჯგუფები (კორელაციურ განაწილებებზე დაყრდნობით), რომელთაც პირობითი სახელები დავარქვით:

პირველი ფაქტორის სახელი იქნება „მათემატიკური ელემენტები", რადგან იგი შეიცავს რიცხვებსა და ნახაზებს, რომელსაც ცდის პირთა უმეტესობა აღდგენისას ხაზავდა (და არა წერდა). შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ თუკი ადამიანი კარგად იმახსოვრებს რიცხვებს ის ადვილად დაიმახსოვრებს ნახაზებსაც და პირიქით. ამ ფაქტორში მაღალი ქულები მიიღეს ადამიანებმა, ვისაც კარგად აქვთ განვითარებული მათემატიკური უნარები.

მეორე ფაქტორის პირობითი სახელი იქნება „უაზრო (არასემანტიკური შინაარსის მქონე) ელემენტები", რადგან მასში შედის უაზრო მარცვლები და ასოები. როგორც ვვარაუდობდით, მათ შორისაც მყარი კავშირია, მიუხედავად იმისა, რომ საშუალოები მკვეთრად განსხვავდებოდა. ამ განსხვავების ახსნა შესაძლებელია **ალან ბედლის** თეორიით, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო გრძელია ელემენტი, მით უფრო ჭირს მისი დამახსოვრება. მარცვლები სამი ელემენტისგან შედგებოდა, ასოები კი ერთი, ამიტომ მათ საშუალოებს შორის განსხვავება აღარაა გასაკვირი. ისინი განსაზღვრავენ ურთიერთს, ადამიანი რომელიც ადვილად იმახსოვრებს მარცვლებს ადვილად იმახსოვრებს ასოებსაც და ა.შ.

მესამე ფაქტორს შეგვიძლია ვუწოდოთ „ვერბალური მასალა" (აზრიანი ელემენტები), რადგან მასში შედის ქართული და უცხოური სიტყვები და ასევე ნახატები, რომელსაც სიტყვებით წერდნენ ცდის პირები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი რაც უფრო თუ კარგად იმახსოვრებს ნახატებს ის კარგად დაიმახსოვრებს ქართულ და უცხოურ სიტყვებსაც. მათ შორის მყარი კავშირია.

ფაქტორების მიხედვით ქულათა საშუალოები ასეთია:

- მათემატიკური ელემენტები – 4,73;
- უაზრო ელემენტები – 5,76;
- აზრიანი ელემენტები – 6,35.

როგორც ვხედავთ, აზრიან ელემენტებს ცდის პირები ყველაზე უკეთ აღადგენდნენ. ეს იხსნება **ბარტლეტის** თეორიით, რომლის მიხედვითაც მეხსიერების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს მნიშვნელობა თამაშობდა და ცდის შედეგადაც დადასტურდა, ყველაზე უკეთ ცდისპირები მნიშვნელობის მქონე ელემენტებს აღადგენდნენ, ხოლო უაზრო და მათემატიკურ ელემენტებს კი ნაკლებად.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა, იმის შესახებ რომ ხანმოკლე მეხსიერების მოცულობა განსხვავებულ ვიზუალურ მასალაზე, განსაზღვრულია ერთის მხრივ, ადამიანის მეხსიერების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური უნარით, მეორეს მხრივ, თავად მასალის თვისობრიობით. შესაბამისად, ერთი და იგივე ცდის პირებთან განსხვავებული მასალის ტიპზე ხანმოკლე მეხსიერების პრუდუქტიულობის მაჩვენებელთან ფაქტორიზაციის შედეგად გამოიყო სამი ფაქტორი. ეს ფაქტორებია – ა) „მათემატიკური ელემენტები“. ბ) „უაზრო (არასემანტიკური მნიშვნელობის მქონე) ელემენტები. გ) ვერბალური მასალა (აზრის შემცველი ელემენტები).

ასევე გამოვლინდა დასამახსოვრებელი მასალის ტიპის ზემოქმედება ხანმოკლე მეხსიერების პრუდუქტიულობაზე. ყველაზე პრუდუქტიული ხანმოკლე მეხსიერება იყო ასოების შემთხვევაში, შემდეგ მას მოყვებოდა ნახატები, ნახაზები ქართული და უცხოური სიტყვები. შედარებით ნაკლებ პრუდუქტული იყო მარცვლების, ორნიშნა და სამნიშნა რიცხვების დამახსოვრება. ხოლო გენდერული და პროფესიული ფაქტორების გავლენა ხანმოკლე მეხსიერების პროდუქტულობაზე არ გამოვლინდა.

Maia Kalandarishvili, Khatia Gvinashvili

The factor analysis of Short-term memory

Summary

The purpouses of present investigation are:

A) The factor analysis of short-term memory – The influence of the subjective (mamory ability) and the objective (material type) factors on the produtcivity of short - term memory and to determine there factorial weights .

B) The impact of the type of memorable material on the short-term memory productivity.

C) Influencing of gender and professional factors on the short-term memory productivity.

The instumant of investigation included the following material types: 1. double-digit numbers 2. three-digit numbers 3. meaningless syllables 4. Letters 5. foreign (English) words 6. Georgian words 7. geometric figures 8. pictures. Subjects were asked for between 20 seconds to remember It may be more items from vizual field. In the experoment were taking part 100 subjects: (60 female, 40 male), age: 18 to 25 years

Conclusions: The short-term memory productivity determianed : on the one hand, with individual-psychological ability of human memory, on the other hand, with the type of material. After factorization procedure it outlining on such three factors as are: - a) "mathematical elements". B) "meaningless elements” C) verbal material (meaningfull elements).

Also revealed the type of memorable material impact on short-term memory prodactivity. The haist level of productivity of short-term memory was in the case of letters, next - by the pictures, next- geometric figures, next- Georgian and foreign words. The less productivity was on yhe double-digit and three-digit numbers to remember. The gender and professional factors on short-term memory productivity has not been revealed.

დანართი 1

ტესტის ნიმუში

1. ორნიშნა რიცხვები

17	23	54	36	92
42	89	61	75	28

2. სამნიშნა რიცხვები

120	894	306	917	542
735	458	683	271	769

3. ასოები

ლ	ო	ბ	ტ	ჯ
ჰ	ს	ფ	ნ	ვ

4. მარცვლები

წირ	ნგე	ვუზ	კათ	ტხე
ლუმ	ჰიფ	პად	ზუც	ჯსო

5. სიტყვები

წიგნი	ბაღი	ტელეფონი	კაბა	კარადა
პორტრეტი	ჯოხი	მაცივარი	გლობუსი	ძაღლი

6. უცხო სიტყვები

Members	Host	Percent	island	People
Develop	Second	Steady	century	Relations

7. ნახაზები



8. ნახატები



თეა გოგოტიშვილი

ნარკოდამოკიდებულების ფორმირების ფსიქო-სოციალური წანამძღვრები

თანამედროვე მეცნიერული ხედვა ნარკოტიკებზე დამოკიდებულებას მრავალფაქტორიან პრობლემად განიხილავს, რომელშიც მოიაზრება სამედიცინო-ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სულიერი ასპექტები.

წინამდებარე სტატიის მიზანია სხვადასხვა ფსიქოთერაპიული მოდალობის თეორიულ ბაზასა და განწყობის ანთროპულ კანონზომიერებებზე დაყრდნობით განვიხილოთ ადამიანის ნარკოტიკებზე მიჯაჭვულობის ჩამოყალიბების ფსიქო-სოციალური ფაქტორები და გავაანალიზოთ ნარკოტიკების მოხმარებისადმი ფსიქოლოგიური მზაობის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი მიზეზები; ვნახოთ, თუ რა სახის აღმზრდელობითი მიდგომები ქმნის ნარკოტიკების მოხმარების მიმართ რეზისტენტობის (წინააღმდეგობის უნარის) ჩამოყალიბებას და როგორი ფსიქო-სოციალური კლიმატი უწყობს ხელს ნარკოტიკების მოხმარების მიმართ დადებითი განწყობის ფორმირებას პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

თავდაპირველად მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ როგორ ვითარდება ნარკოტიკებზე მიჯაჭვულობა, ანუ ნარკოტიზაციის პროცესის დინამიკა და რა გარემოებებია მოზარდებში ნარკოტიკების პირველადი მოხმარების ბიძგის მიმცემი.

ნარკოტიკების მიღების შედეგი ნარკოტიკებზე დამოკიდებულების – მიჯაჭვულობის ჩამოყალიბება, ანუ ნარკომანიით დაავადებაა.

ნარკოტიზაციის 5 საფეხურს გამოყოფენ:

1. ნარკოტიკის ერთჯერადი, ან იშვიათი მოხმარება

2. ნარკოტიკის პერიოდული გამოყენება ფსიქიკური და ფიზიკური მიჯაჭვულობის ნიშნების გარეშე

3. I ხარისხის ნარკომანია: ფსიქიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ნარკოტიკებისადმი ლტოლვა სიამოვნების მიღების მიზნით და არა ფიზიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად ამ ეტაპისათვის, ჯერ კიდევ არ არის დამახასიათებელი ე.წ. "ლომკა", ანუ აბსტინენციის, იგივე აღკვეთის სინდრომი.

4. II ხარისხის ნარკომანია: უკვე ჩამოყალიბებულია ნარკოტიკზე ფიზიკური დამოკიდებულება, მიჯაჭვულობა. მოხმარების მოთხოვნილება უკვე აღარ უკავშირდება ეიფორიის, სიამოვნების შეგრძნებების მიღებას, არამედ "ლომკის", ანუ აღკვეთის სინდრომისათვის დამახასიათებელი გაუსაძლისი ტანჯვის მოსახსნელად ხდება.

5. უკანასკნელი – III ხარისხის ნარკომანია: სრული ფიზიკური და ფსიქიკური დეგრადაცია. პიროვნების ნგრევა, ნარკოტიკების გარეშე არსებობის შეუძლებლობა.

მიჩნეულია, რომ ნარკოტიკების მიღებისაგან თავის შეკავება შესაძლებელია, მხოლოდ პირველ და მეორე სტადიაზე. მოზარდები, რომლებიც ეპიზოდურად მოიხმარენ ნარკოტიკებს, ყველა შემთხვევაში იძენენ მდგრად ფსიქოლოგიურ კომპლქსებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებაში დადგენილი წესრიგთან, ფასეულობებთან ტრადიციებსა და მორალის ნორმებთან [57].

დღევანდელ დღეს მოზარდი თაობის ნარკოტიზაცია მრავალფაქტორიან მოვლენადაა მიჩნეული, მაგრამ რა არის ის მთავარი, საბაზისო ფაქტორი, რომელიც იცავს მოზარდს გარემოს

მავნე ზეგავლენისაგან და რეზისტენტულს ხდის რისკის არსებობის შემთხვევაშიც? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თავდაპირველად განვიხილოთ მოზარდების ნარკოტიზაციის რისკფაქტორები.

- ნარკოტიზმი მოზარდ თაობაში ექსპერიმენტირებასთან, ახალი შეგრძნებებისა და უჩვეულო განცდების ძიებასთანაა დაკავშირებული. მისთვის დამახასიათებელია მისწრაფება ჩარჩოებისაგან გათავისუფლებისაკენ (ოჯახი, მოვალეობები, სწავლა);
- მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანატოლთა დაჯგუფების შეხედულებები და ქცევის ნორმები. მოზარდების 90% იწყებს ნარკოტიკების მოხმარებას კომპანიაში. ასეთ დროს წამყვან როლს თამაშობს იმ ჯგუფის კანონების მიღება და წამბაძველობა, რომელსაც მოზარდი მიაკუთვნებს თავს;
- ნარკოტიზაციას, რიგ შემთხვევებში მაპროვოცირებელ ნიადაგს უქმნის გარდატეხის პერიოდში სექსუალური ლტოლვის გააქტიურება. ზოგიერთი მოზარდი თავისი სექსუალობის რეალიზებას ნარკოტიკების მოხმარებით ცდილობს;
- ამას გარდა, ნარკოტიკების გასინჯვის მამოტივირებელ ფაქტორს დაძაბულობის მოხსნის, რელაქსაციის, გართობის, სიამოვნების მიღების, "დროისტარების" სურვილი წარმოადგენს.
- რიგ შემთხვევებში, ნარკოტიკების გამოყენების მიზეზი ხდება ე.წ. „კომპლექსების მოხსნის" მოთხოვნილება სიმამაცის, გამბედაობის, კომუნიკაბელურობის მიღწევის მიზნით.
- მერყევი ხასიათის, გართობასა და სიამოვნებაზე ორიენტირებული ახალგაზრდები ყველაზე ადვილად ხვდებიან ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის ხაფანგში [57].

ნარკოტიკების პირველადი მოხმარების ცნობიერ მოტივაციურ საფუძველს, ჩატარებული კვლევების მიხედვით, შემდეგი ფაქტორები ქმნის [57]:

1. სურვილი "ვგავდე სხვებს"– 31%
2. ცნობისმოყვარეობა – ახალი შეგრძნებებისა და უჩვეულო განცდების ინტერესი – 19%
3. "ფანტასტიკის" ძიება – 12%
4. უსიამოვნებათაგან გაქცევა, განრიდება, გათიშვა – 10%

შეიძლება ითქვას, უკვე ბანალურ ფრაზებად იქცა ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა: „ლოთები შობენ ლოთებს", „ნარკომანები – ნარკომანებს" ნათელია, რომ სწორედ ოჯახური პრობლემები უბიძგებენ შვილებს "რისკჯგუფში" მოხვედრისაკენ, უქმნიან ნაყოფიერ ნიადაგს ნარკოტიკების მოხმარებისათვის. ცნობილია, რომ არასრული ოჯახი თავისთავად პათოლოგიური განვითარების წინაპირობაა. ბავშვებს, რომელთაც ზრდის ერთი მშობელი, როგორც წესი ექმნება ურთიერთობის დეფიციტი – „ოჯახის დეფიციტი", „სოციალური შიმშილი". ხშირ შემთხვევაში ასეთი ბავშვები მოზრდილობის პერიოდში ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მიმართავენ. [57]

ჰარმონიის დეფიციტი სრულ ოჯახში, ასევე რისკფაქტორს წარმოადგენს. კონფლიქტები, ურთიერთგაგების პრობლემა, უნდობლობა, ფიზიკური, თუ ფსიქოლოგიური ძალადობა, გაუცხოება ის ვითარებებია, რომელიც ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე უარყოფით დაღს ასვამს. ბავშვის ქცევით უკმაყოფილება, ჩხუბი, გამუდმებული შენიშვნები და კრიტიკა იწვევს მისი თვითშეფასების დაქვეითებას და განცდას იმისა, რომ მას ვერ უგებენ და არ აფასებენ. ასეთ შემთხვევაში, ის უფრო მიილტვის ისეთი თანატოლთა წრისაკენ, სადაც არ ექნებათ მის მიმართ პრეტენზიები, გაუგებენ და მიიღებენ ისეთად, როგორიც ის არის. სწორედ ასეთი გარემოცვის პოვნის მოთხოვნილება უბიძგებს მოზარდს „ცუდ წრეში". ამავე კატეგორიას განეკუთვება ოჯახები, რომლებიც ვერ ახერხებენ ბავშვის თავისუფალი დროის ორგანიზებას. მოსაწყენი, უინტერესო გარემო, რომელშიც ვერ ხერხდება თავის შექცევა და სიამოვნების მიღება, ნაადრევად „კრავს ხელს" მოზარდს ქუჩისკენ. *ალბათ ყველა მშობელმა უნდა დაუსვას თავს კითხვა: „რამდენად ზრუნავს შვილის გართობაზე, რამდენად არის ჩართული და ინიციატივიანი ბავშვის თავისუფალი*

დროის ორგანიზებაში – რამდენად უთმობს თავის დროს ბავშვისათვის სასიამოვნო და საინტერესო აქტივობებს?“

უყურადღებობა, ბავშვის მოთხოვნილებათა იგნორირება, მისი ცხოვრებისადმი განურჩევლობა და სრული უკონტროლობა, ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმს ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის [57].

აბსოლუტურად იგივე შეიძლება ითქვას ზემოთხსენებულისაგან პოლარულად განსხვავებულ აღზრდის სტილზე, რომელსაც გადაჭარბებული ყურადღება, ზე-მეურვეობა ახასიათებს. პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, იგი არანაკლებ უარყოფით ზემოქმედების ახდენს, ვიდრე სრული უყურადღებობა და უკონტროლობა. გადაჭარბებული მზრუნველობით, ე.წ. ზემეურვეობით შეპყრობილი მშობელი შვილს ინიციატივას ართმევს, გასაქანს არ აძლევს მის დამოუკიდებლობას, არ აძლევს საშუალებას განივითაროს პასუხისმგებლობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარჩვევები; განამტკიცებს მასში უსუსურობისა და უსარგებლობის განცდებს. ასეთი აღზრდის მსხვერპლი ყველა გზით ცდილობს თავი დააღწიოს მშობლის მომაბეზრებელ კონტროლსა და აქტიურობას; გაურბის მას, როგორც „აბეზარ ბუზს“ და ქუჩას აფარებს თავს. ამგვარი აღზრდის სტილი ახასიათებთ ძირითადად არარეალიზებულ მშობლებს, როდესაც მათი ცხოვრების ერთადერთი საზრისი და ფუნქცია „შვილისათვის თავდადებაა“. ასეთი ცხოვრებისეული კრედოს მქონე დედებისათვის ტიპიურია გამოთქმები: „ბავშვს სულ კუდში უნდა სდიო,“ „17 წლამდე ბავშვისთვის ხელი არ გამიშვია“, „სანამ სტუდენტი არ გახდა გვერდიდან არ მომიცილებია“ და ა.შ. ანალოგიური აღმზრდელობითი მიდგომები ფართოდ უღებს კარს ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმს, როგორც მშობლის კონტროლისა და მანიპულაციისაგან თავის დაღწევის საშუალებას. შედეგად, ადვილად ხდება „ცუდი წრის“ გავლენის ქვეშ მოხვედრა. ასეთ გარემოში აღზრდილ ბავშვებს არ გააჩნიათ გარემოს „მავნე ზემოქმედებისაგან თავდაცვის იმუნიტეტი“. ისინი სათბურის პირობებში ფორმირდებიან და მოგვიანებით, მშობლების მიმართ პროტესტი და დაპირისპირებულობა უყალიბდებათ. ნარკოტიკების მომხმარებელთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უმეტესად, სწორედ ასეთი მშობლების შვილები ხდებიან ნარკომანები. დედები მათ ზრდასრულობაშიც, წლოვანების მიუხედავად, მაინც ბავშვებად მიიჩნევენ. შვილის მდგომარეობით შეწუხებულები სპეციალისტებს მიმართავენ დახმარებისათვის და მათ შესახებ საუბრისას, როგორც წესი მოიხსენიებენ – „ჩემი ბავშვი“.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბავშვი იზრდება ჰარმონიულ ოჯახში, კარგად სწავლობს, კითხულობს წიგნებს, დადის სპორტზე და ჭადრაკის წრეზე, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის დაზღვეულია ნარკოტიკების გასინჯვისაგან და ამ მავნე ქმედებაზე განწირული, მხოლოდ რთულად აღსაზრდელი, ან ტრავმირებული ბავშვია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოზარდი თავისი ბუნებით მაძიებელი და ექსპერიმენტატორია. სამყაროს შეცნობის მოთხოვნილება და ყოვლის ცოდნისადმი ინტერესი, ხშირად ნარკოტიკის გასინჯვის იმპულსი ხდება. ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, რომ ასეთ ავანტიურაში მხილებული მოზარდი არ უნდა შეირაცხოს „ხელიდან წასულ“, დაღუპულ ადამიანად, უკუნაჩვენებია სკანდალისა და კონფლიქტის გაჩაღება, არამედ მნიშვნელოვანია მისთვის კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ რა არის ნარკომანია და რომ ეს დაავადება, ხშირ შემთხვევაში სწორედ ამგვარი შემეცნების ინტერესით გამოწვეული „გასინჯვით“ იწყება. ამგვარი „ცნობისმოყვარეობით“ შეპყრობილი ადამიანები უმეტესწილად თავს იმართლებენ იმით, რომ აკონტროლებენ სიტუაციას და მათ ხელშია მავნე ნივთიერების განმეორებითი მოხმარება/არმოხმარების საქმე. სინამდვილეში, ნარკოტიკის „გემოს გაგების“ შემდეგ მისი „კლანჭებიდან“ თავის დაღწევა იშვიათად ხერხდება, რომ არაფერი ვთქვათ მასთან ერთჯერადი ზიარების სასიცოცხლო რისკზე. მნიშვნელოვანია ინფორმაციის ფლობა იმის შესახებ, რომ ნარკოტიკების ერთმა გასინჯვამ მრავალი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.

ნარკომანიის პრობლემის მეცნიერული, ფსიქოლოგიური ანალიზის დროს, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ისეთი გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც:

1. ადამიანებს ჰყავთ ნარკომანი მეგობრები, თვითონ კი უარყოფითად აფასებენ ასეთ ქცევას და ჯანმრთელი ცხოვრების წესს ანიჭებენ უპირატესობას;

2. ინდივიდები ჯანსაღ გარემოცვაში ცხოვრობენ და მიუხედავად მათი გარემოცვის ნეგატიური დამოკიდებულებისა ამ დესტრუქციული, დამღუპველი ქმედების მიმართ, იწყებენ ნარკოტიკების მოხმარებას;

3. არსებობს იშვიათი გამონაკლისი ადამიანებისა, რომლებიც ნარკოტიკის ერთჯერადი მოხმარების მიუხედავად, ახერხებენ მათზე დამოკიდებულების თავიდან აცილებას.

ამგვარი მაგალითები გაუგებრობის, განცვიფრების განცდას იწვევს და ამის გამო, ფსიქოლოგიაშიც კი, მსგავსი ფაქტები ინდივიდუალურ თავისებურებებზეა დაყვანილი. სწორედ ამიტომ, ჩვენი ინტერესის საგანს ისეთი კანონზომიერების მიგნება წარმოადგენდა, რომელიც ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარების ყველა გავრცელებულ თუ გამონაკლის შემთხვევას ახსნიდა და ცალსახად გასცემდა პასუხს მთავარ კითხვას: რატომ მოიხმარს მოზარდი ნარკოტიკს?

ამ კითხვაზე პასუხის ძიება დავიწყეთ სხვადასხვა ფსიქოთერაპიული მოდალობების კონცეპტუალურ საფუძვლებში. აღმოჩნდა, რომ თითოეული მიმდინარეობის თეორიული ბაზისი ნარკომანიის ფენომენის მრავალმხრივად დანახვისა და გაგების საშუალებას იძლევა. გავაანალიზოთ ყოველი მათგანი:

ბიჰევიორიზმი

ბიჰევიორისტები მიიჩნევენ, რომ ადამიანის ქცევა გარე სტიმულით დეტერმინირებულ რეაქციას წარმოადგენს [21]. იგი მუდმივად ზემოქმედი სოციალური გარემოსა და მასზე ორგანიზმის რეაგირების შედეგია.

გარემოს ზემოქმედება ორი ტიპის რეაქციას განაპირობებს: ***რესპოდენტულ*** ქცევას – პასუხს ნაცნობ სტიმულზე და ***ოპერანტულს*** – რომელიც იმართება და კონტროლდება მიღებული შედეგით. თუ ქცევას მოაქვს სუბიექტისთვის დადებითი რეზულტატი, იგი განმეორებითობის ტენდენციით ხასიათდება, და პირიქით – ნეგატიური შედეგის შემთხვევაში – აღკვეთის ალბათობის მქონეა. ბიჰევიორისტებმა შემოიტანეს პოზიტიური და ნეგატიური განმტკიცების ცნებები. პოზიტიური განმტკიცება – წახალისება, ან დაჯილდოება გულისხმობს ქცევით რეაქციაზე დადებითი, სასიამოვნო სტიმულის მიღებას, რასაც ჩვეულებრივ განმეორებისაკენ წსრაფვა ახასიათებს; და პირიქით, ქცევის ნეგატიურად სტიმულირების შემთხვევაში შესაძლებელია მისი განმეორების მოთხოვნილების გაქრობა [21].

ბიჰევიორისტული ტერმინოლოგიით, ნარკოტიკების მოხმარება **ოპერანტულ ქცევას** წარმოადგენს, რადგან ის სიამოვნების მიღებაზეა, როგორც შედეგზე ორიენტირებული. იგი მიისწრაფის განმეორებითობისაკენ, რადგან, ნარკოტიკების გამოყენებით მიღებული სიამოვნება მომხმარებლისათვის „ფსევდო“ (ყალბ) პოზიტიურ სტიმულს ქმნის და მასზე მიჯაჭვულობასა და დამონებას იწვევს.

ბიჰევიორისტული თეორიის კონტექსტში, ნარკომანის ურთიერთქმედება სამყაროსთან, ამ სენით დაავადებული ადამიანებით შემოიფარგლება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ნარკომანის პიროვნულ თავისებურებებია: სისუსტე, დაბალი სტრესგამძლეობა, თავში დაურწმუნებლობა. სოციალური განვითარების „ნაკლოვანების“ გამო, ნარკომანი ცდილობს გაექცეს ნებისმიერ პასუხისმგებლობას; უნდობლობითა და არაკეთილგანწყობითაა გამსჭვალული ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც მისთვის საფრთხისა და მუქარის მომტანი სამყაროს ნაწილია, ამიტომ

ცალკეულ ჯგუფებად გაერთიანება ნარკომანთათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სოციალური მოთხოვნილებაა. ჯგუფის წევრებს მათთვის სასიცოცხლო აქტუალობის მოთხოვნილება – ნარკოტიკების მოპოვება აერთიანებთ. მათ სოციალურ ჯგუფში არ არსებობს იერარქია, ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობს და არავითარი მოვალეობა და პასუხისმგებლობა არ გააჩნია ერთმანეთის მიმართ. თუკი ეს ჯგუფი ერთხელ მაინც ჩაითრევს ნარკომომხმარებელს, იქიდან თავის დაძვრენა ძალიან რთული – მეტწილად შეუძლებელია, რადგან მას აქ სთავაზობენ იმას, რის მიღებაც რეალურ სამყაროში შეუძლებელია, ანუ ამ გარემოში ხდება მისი **პოზიტიური სტიმულირება.** სხვა წრეში, მათ შორის ოჯახურშიც მას განკითხვის, აგრესიისა და უარყოფის გარდა არაფერი ელოდება. საზოგადოება ზურგს აქცევს ნარკომანებს, თუმცა მნიშვნელოვანწილად თვითონ არის პასუხისმგებელი ამ დაავადების აღმოცენებაზე. **ბიჰევიორისტული თვალსაზრისით, ნებისმიერი გადახრა ადამიანის საქციელში, გარემოში არსებული სხვა პირების ქცევითაა გამოწვეული და მათთან ურთიერთობის სიხშირეზეა დამოკიდებული.**

აღსანიშნავია ნარკომანის მიზანდასახულობა და ქცევის მაღალეფექტურობა ნარკოტიკის მოძიებისა და მოპოვების საქმეში. არც მატერიალური სახსრების უქონლობა, არც კანონი, არც პოლიცია, არც კონტროლი, თუ ზეწოლა ოჯახისა და საზოგადოების მხრიდან ნარკომანისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. აღნიშნული გარემოებები გადაულახავ ბარიერად აღიმართებოდა ნებისმიერი ჯანსაღი ადამიანისათვის. ნარკომანის ქცევითი აქტივობის ეს ურთულესი ჯაჭვი უმეტესწილად წარმატებით სრულდება და იგი თითქმის ყოველთვის აღწევს საწადელს, ანუ იღებს **დადებით განმტკიცებას,** შესაბამისად იგი განმეორებითობის ტენდენციით ხასიათდება. ნარკოტიკზე უარის თქმა ნარკომანისათვის აღნიშნულ აქტივობის უარყოფას ნიშნავს, თანაც მისადმი მტრულად განწყობილი გარემოს სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ნარკომანიას ახასიათებს ნარკოტიკის დოზაზე შეჩვევა – ე.წ. ტოლერანტობა, რის შედეგადაც ადამიანი ველარ იღებს სიამოვნებას, არამედ აღკვეთის სინდრომით, ანუ „ლომკით“ გამოწვეული გაუსაძლისი დისკომფორტის მოხსნის მიზნით ეძებს და იყენებს ნარკოტიკს. მიუხედავად მიღებული შვების დროებითობისა, რომელიც სიამოვნებისისაგან უკვე საკმაოდ შორსაა, ნარკომანი აგრძელებს დესტრუქციული ქცევის გამეორებას. იგი კვლავ დადებითი განმტკიცების (სიამოვნების) მიღებით მოტივირებული სულ უფრო და უფრო ზრდის დოზას მიუხედავად ცოდნისა, რომ ასეთ ქცევას გამოუსწორებელი ლეტალური შედეგი მოჰყვება.

ამრიგად, ბიჰევიორული თეორიის თანახმად, ნარკომანია ნარკომანის გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ქცევის წესია, რომელიც საკუთარი სიცოცხლის რისკთან დაკავშირებულ სპეციფიურ ცხოვრებისეულ ნირთან არის დაკავშირებული. მასზე უარის თქმა ნარკომანისათვის დეზადაპტაციური ქმედება იქნებოდა. ფხიზელი ყოფა და ქცევა ნარკომანს ბედნიერებას არ უქადის, ნარკოტიკების მოხმარება კი – პრობლემებისაგან თუნდაც დროებით გაქცევას უზრუნველყოფს.

ბიჰევიორისტული მიმართულების ფარგლებში, ნარკომანიის პრევენცია შემდეგი სახით შეიძლება იყოს განხორციელებული: თუკი აღზრდის პროცესი წარიმართება ისე, რომ ბავშვისა და მოზარდის კონსტრუქციული ქცევითი აქტივობის სტიმულირება – პოზიტიური განმტკიცება ხდება, სავარაუდოა, რომ აღსაზრდელს დაუფიქსირდება აღნიშნული სტიმულ-რეაქცია და დადებითი ქცევის განმეორების ტენდენცია გაუჩნდება. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ბავშვის, მოზარდის პოზიტიურ ქცევაზე ზრდასრულის მხრიდან სიტყვიერი წახალისებით (შექება, დადებითი ეპითეტების გამოთქმა), თუ მატერიალური დაჯილდოებით (საჩუქარი, ბავშვისათვის სასურველი, სასიამოვნო სიტუაციების შექმნა) პასუხი გამოიწვევს დადებითი ქმედების გამეორების სურვილს. ამგვარად, აღმზრდელის მხრიდან პოზიტიური განმტკიცების სისტემატური გამოყენება, შეიძლება ბავშვის/მოზარდისათვის დადებითი ქცევის მოტივაციის შექმნის ინსტრუმენტად იქცეს, რაც ნარკომანიის პრევენციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

კოგნიტურ-ბიჰევიორული მიდგომა

კოგნიტურ-ბიჰევიორული ფსიქოთერაპიული მიდგომის ფსოფლმხედველობრივ საფუძველს ალბერტ ბანდურას სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია წარმოადგენს, რომელიც ადამიანის ფუნქციონირებას, როგორც ქცევითი აქტივობის, შემეცნებითი პროცესებისა და გარემოს განუწყვეტელი ურთიერთქმედების შედეგს განიხილავს [21; 47]. ალბერტ ბანდურამ დაადგინა ურთიერთზემომქმედი ფაქტორების ტრიადა, რომელიც ქცევის ანალიზის პროცესში მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების გაგების საშუალებას იძლევა. ურთიერთდეტერმინიზმის პრინციპი, რომელიც ამ ტრიადის მოდელს ახასიათებს აჩვენებს, რომ ადამიანის ქცევა, გარემო და პიროვნული ფაქტორები მუდმივ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე.



რომელი ფაქტორი იქნება წამყვანი, დომინანტური და ზემოქმედების მქონე დანარჩენ ორზე, მის სიძლიერესა და ხვედრით წონაზეა დამოკიდებულია.

ადამიანის ნარკომომხმარებლად ჩამოყალიბების ფსიქოლოგიური ანალიზის კონტექსტში, ზემოთმოყვანილი ფორმულა შემდეგი სახით შეიძლება იქნას წარმოდგენილი:

მაგალითი 1 – პიროვნული ფაქტორის დომინანტა

ინდივიდის პიროვნული თავისებურებები – ფასეულობები, ნებისყოფა, მოლოდინები, შეხედულება საკუთარ თავზე შეხებაში მოდის გარემოსთან, რომელიც სთავაზობს მას ნარკოტიკულ ნივთიერებას. ის, თუ რა მიმართება დამყარდება ამ ორ ფაქტორს შორის, განსაზღვრავს მათი ურთიერთქმედების შედეგს – ქცევას, რომელიც იქნება ან ნარკოტიკის მოხმარება, ან მასზე უარის თქმა. თუ ინდივიდის პიროვნული ფაქტორები უფრო ძლიერია, ვიდრე გარემოს მიერ შემოთავაზებული ცდუნება, მაშინ ნეგატიური ქცევა თავიდან იქნება აცილებული.

მაგალითი 2 – გარემოს ფაქტორის დომინანტა

ინდივიდს გააჩნია ზიანის მომტანი ქცევის – ნარკოტიკების მოხმარებისადმი მიდრეკილება. ხოლო მის გარემოში ასთი ქცევა არ არის მოწონებული და პოპულარული, არამედ უარყოფით მოვლენადაა განხილული. თუ ამ ადამიანისათვის მისი გარშემომყოფი ადამიანები ავტორიტეტს, მნიშვნელოვან პიროვნებებს წარმოადგენენ, მაშინ მისი მოთხოვნილება განეიტრალდება და ნეგატიური ქცევა არ იქნება განხორციელებული.

კოგნიტური მიდგომის თანახმად, ადამიანი სწავლობს სხვაზე **დაკვირვების** და **ქცევის მოდელირების** გზით.

დაკვირვების გზით დასწავლის კომპონენტები [21; 47]:

ყურადღების პროცესი – ადამიანი აკვირდება სხვის ქცევას და ზუსტად აღიქვამს მას;

შენახვის პროცესი – ადამიანს ახსოვს თავისი დაკვირვების ობიექტის ქცევა. მას ეს შინაარსი მეხსიერებაში აქვს შენახული;
მოქმედებაში, ანუ მოტორიკაში რეპროდუცირებული (განხორციელებული) პროცესი – სუბიექტი თვითონ იქცევა ისე, როგორც მეხსიერებაში შენახული, კოდირებული დაკვირვების ობიექტი იქცეოდა;
მოტივაციური პროცესი – თუ სუბიექტს აქვს პოზიტიური განმტკიცების – წახალისების, ან დაჯილდოების მოლოდინი, მაშინ იგი განახორციელებს მოდელირებულ ქცევას.

ამ თვალსაზრისით, ადამიანის ქცევის მნიშვნელოვან წარმმართველ ფაქტორს მისი „მისაბაძი მაგალითი“ წარმოადგენს. როგორ იქცევიან ინდივიდისათვის მნიშვნელოვანი, ავტორიტეტული, მისაბაძი ადამიანები; რა ფასეულობებს სცემენ პატივს, რა არის მათ მიერ პრესტიჟულად, პოპულარულად მიჩნეული გადამწყვეტ როლს ითამაშებს ინდივიდის ქცევის ფორმირებაში. ზემოთ მოყვანილი დასწავლის კომპონენტების ამოქმედებით ხდება დაკვირვების ობიექტის – ე.წ. ქცევის მოდელის დასწავლა და გათავისება.

მაშასადამე, ინდივიდის „მისაბაძ მაგალითებზე“ დაკვირვება მათი ქცევის მოდელირების წინაპირობას ქმნის. ამგვარად, თუ ადამიანისათვის მნიშვნელოვანი პიროვნებები ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარენ, იგი ამ ქცევის გაშინაგნებას მოახდენს. აქედან გამომდინარე, ნარკომანიის პრევენციის საქმეში ცენტრალური ადგილი უჭირავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ფასეულობებს, რომელთა ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ბერკეტებს მასმედია და პოპკულტურა ფლობს. თუ ტელევიზია, კინემატოგრაფი, პოპულარული მუსიკალური შემსრულებლები იზრუნებენ ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდირებაზე, სავარაუდოა, რომ ახალგაზრდობაში ნარკოტიკების მოხმარების მსურველთა რიცხვი მოიკლებს.

ნარკომანიის წარმოშობის მიზეზებისა და შედეგების თაობაზე კოგნიტური მიდგომის ფარგლებში ყველაზე უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა **კონტროლის ლოკუსის** კონცეფციამ [43], რომლის მიხედვით ადამიანთა ერთ კატეგორიას მაკონტროლებელი ინსტანცია საკუთარ თავში გააჩნია – ე.წ. ინტერნალები, ხოლო მეორეს კი – გარეთ – ე.წ. ექსტერნალები. ინტერნალები თავიანთ საქციელს შინაგანი მიზეზებით ხსნიან, ექსტერნალები კი – ყოველთვის გარემოს მიაწერენ.

კვლევებმა აჩვენა, რომ **ექსტერნალები** და **ინტერნალები** ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო თავიანთი შეხედულებით იმის შესახებ, თუ სად მდებარეობს მათი ქცევის მაკონტროლებელი წყარო [Strickland, 1989], არამედ გლობალური მსოფლმხედველობრივი პოზიციებით, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებას პრობლემებისა და მათი დაძლევის საშუალებების მიმართ.

ინტერნალებს ახასიათებთ:

- საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. მაგალითად, თამბაქოსთვის თავის დანებება და ფიზიკური ვარჯიშის დაწყება, რადგან დარწმუნებული არიან იმაში, რომ თვითონ განსაზღვრავენ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას
- აქტიურობა, მიზანდასახულობა
- გარშემომყოფებზე ზემოქმედება, მათი მართვა
- ოპტიმიზმი
- თავში დარწმუნებულობა

ექსტერნალებისათვის უფრო ტიპიურია:

- ფსიქოლოგიური პრობლემები – დეპრესიულობა, შფოთვა;
- დაბალი თვითშეფასება
- თვითმკვლელობები
- სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევა
- გარშემომყოფთა შეფასებაზე მიჯაჭვულობა

რატომ უკავშირდება დაბალი ადაპტაციის უნარი კონტროლის წყაროს ექსტერნალურ ლოკალიზაციას? ვინაიდან ასეთ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ პრობლემები გარემოშია, მათ არ შეუძლიათ რეალობაზე ზემოქმედება და ცვლილებების გამოწვევა. ასეთი შეხედულება იწვევს უსუსურობისა და სასოწარკვეთის განცდებს და ზემოთჩამოთვლილი პრობლემების წარმოქმნას.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ აღზრდის პროცესში ბავშვის მაკონტროლებელი შინაგანი ინსტანციის განვითარებაზე ზრუნვა მშობლებისა და პედაგოგების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს, რადგან პიროვნულ სიძლიერეს, სწორედ შინაგანი (ინტერნალური) ლოკუს კონტროლი განსაზღვრავს.

აღზრდასა და პედაგოგიკაში პიროვნების შინაგანი ლოკუს კონტროლის ჩამოყალიბება-განმტკიცებაზე ზრუნვა ნარკომანიის პრევენციის ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს. კოგნიტურ-ბიჰევიორული კონცეფციის თანახმად, ბავშვის პასუხისმგებლობის განვითარებაზე მიმართული პოზიტიური განმტკიცების სტრატეგია (დადებითი ქცევის წახალისება, დაჯილდოება) შინაგანი ლოკუს კონტროლის ფორმირების რეალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

მაშასადამე, კონტროლის ლოკუსის ადგილმდებარეობის საკვლევი მეთოდოლოგია წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ნარკოტიკების მომხმარებელთა რისკ-ჯგუფის გამოვლენისა და პრევენციული ზომების მიღების საქმეში.

რაც შეეხება ნარკომანთან ფსიქოლოგიურ სარეაბილიტაციო მუშაობას, ფსიქოთერაპევტი სტრატეგიულ მიზნად გარეგანი ლოკუს კონტროლის შინაგანით შეცვლას უნდა ისახავდეს, რადგან

ნარკომანები თავიანთ ცხოვრების წესში გარემოს ადანაშაულებენ. დარწმუნებული არიან, რომ მათ მიერ ნარკოტიკების მოხმარება სხვების, ან შემთხვევითობის ბრალია. ამიტომ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვერ ახერხებენ ამ დაავადების დაძლევას, შინაგანი კონტროლის უქონლობაა.

კოგნიტური მიდგომა მიმართულია ადამიანსა და მის გარემოში შექმნილი ვითარების ურთიერთზემოქმედების სირთულის გაგებაზე. სამწუხაროდ, ამ მიმართულების წარმომადგენლები ვერ სცემენ პასუხს კითხვაზე: „რატომ ხდება ისე, რომ ერთნი საკუთარ თავში ეძებენ მომხდარის მიზეზებს, ხოლო მეორენი კი – გარემოს დადანაშაულებაზე არიან ორიენტირებული.“ ფსიქოანალიზი, კოგნიტური მიდგომისაგან განსხვავებით პრობლემის მიზეზ შედეგობრივი – კაუზალური კავშირების ახსნაზეა ორიენტირებული.

ფსიქოდინამიური მოდელი

ფსიქოანალიზი (ფსიქოდინამიკური მიმართულება) ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიას, ისე როგორც ყველა სხვა პრობლემას ადრეული ბავშვობაში (6 წლამდე პერიოდში) ჩამოყალიბებულ ფიქსაციებს უკავშირებს [60].

დალევის – „გადაყლაპვის“ პროცესი, ისევე, როგორც ალკოჰოლის ზემოქმედება ფსიქოანალიზში პიროვნების დაცვითი მექანიზმის სახით განიხილება, რომელიც ალკოჰოლიკს გაუსაძლისი შინაგანი მდგომარეობისაგან – ისეთი განცდებისაგან იცავს, როგორიცაა, შიში, სირცხვილი, ბრალეულობა. როგორც ნევროზების, ფსიქოზებისა და ფსიქოსომატური დაავადებების დროს დისკომფორტის აღმძვრელი ემოციების გამოხატვისა და განმუხტვის ნაცვლად მათი რეპრესირება, დათრგუნვა ხდება, ასევე ალკოჰოლიზმის შემთხვევაში, ანალოგიურად ხდება დისკომფორტის ჩახშობა-ჩაძირვა – სასმელის მეშვეობით.

ალკოჰოლიზმს ფსიქოანალიზი განიხილავს, როგორც ადრეული ბავშვობის, კერძოდ ჩვილობის ასაკში (ფროიდის მიხედვით ელემენტარული ნარცისული და ორალური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა) მიღებული ტრავმის შედეგს, რომელიც, როგორც ფუნდამენტური – „ბაზისური კონფლიქტი“ სერიოზულ საფრთხეს უქმნის პიროვნულ ყოფნა-არყოფნას რეალობასთან შეჯახებისას. ასეთ დროს აღნიშნული პრობლემის მქონე ადამიანი ცდილობს გაექცეს გარე ძალის ზემოქმედებას, რომელიც მის მიერ განიცდება, როგორც ზეწოლის, დევნის განმახორციელებელი, დამსჯელი ინსტანცია. ამიტომ, ალკოჰოლიზმით დაავადებულებს ფსიქოანალიზი განიხილავს, როგორც ჩვილობის მდგომარეობაში ჩამოყალიბებული დარღვევების, დანაკლისის (ჩვილობის ასაკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დეფიციტის) ნევროზის მქონე ადამიანებს [51] .

მაშასადამე, „ალკოჰოლში გაქცევა“, როგორც წესი არის გაუსაძლისი შინაგანი მდგომარეობისაგან თავდაცვის ნევროზული სტრატეგია. ადამიანი ცდილობს გამოიყენოს ალკოჰოლი მტანჯველი ემოციების – როგორც წესი უსუსურობისა და სასოწარკვეთის განცდების ჩასახშობად.

ნარკოდამოკიდებულების მქონე პირებს ფსიქოანალიზი ახასიათებს, როგორც ადამიანებს, რომელთაც ***არ შეუძლიათ რეალობაში ეძებონ ის, რაც მათ სჭირდებათ, ანუ აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება.*** მათ არ გააჩნიათ მოთმინება და უნარი, რომელსაც ჯანსაღი ადამიანი იყენებს გარშემომყოფებთან კონტაქტში საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

ამგვარად, ადამიანებს, მიდრეკილებს ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისაკენ, არ გააჩნიათ გარეშე პირებთან კონტაქტის დამყარების, დაახლოების, დაყოლიების, სერიოზული, ღრმა ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების უნარი. მათთვის დამახასიათებელი ემოციური ზედაპირულობა და ზერელე მიმართებები ძლიერი შინაგანი დისკომფორტის წყაროს ქმნის. გრძნობადი დეფიციტი ცნობიერებისათვის გაუსაძლისი ხდება. სწორედ ამიტომ, ასეთი ადამიანებისათვის დასაშვებია ნებისმიერი გზა და საშუალება, მათ შორის ჯანმრთელობის დამანგრეველიც კი – აღნიშნული დისკომფორტისაგან თავის დასაღწევად. მათთვის სწორედ ნარკოტიკები ხდება ის „ჯადოსნური ჯოხი“, რომელსაც შეუძლია ამ მდგომარეობიდან „განთავისუფლება-დახსნა“.

აღსანიშნავია, რომ ნარკოდამოკიდებულების შემთხვევაში, ნივთიერების მავნე ზემოქმედება მომხმარებლის მიერ სრულიად იგნორირებულია. ეს საკითხი განიდევნება ცნობიერებიდან სხვადასხვა ფსიქოლოგიური თავდაცვითი მექანიზმების მეშვეობით.

არის შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკები სასურველი ხდება, სწორედ მათი მავნებლობის გამო. საკუთარი თავის დესტრუქცია – თვითდამანგრეველი ქცევისადმი ლტოლვა საკმაოდ რთული ასახსნელია. თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ ადგილი აქვს ადამიანისათვის დამახასიათებელ აგრესიას, უფრო კონკრეტულად კი „მე“-ზე მიმართული აგრესიის (ე.წ. აუტოაგრესიის) ფორმას. საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენება, ისე როგორც მისი უკიდურესი ფორმა სუიციდური (თვითმკვლეობის) ქცევა, გარემოს დადანაშაულება-დასჯის გამოხატულებას წარმოადგენს: „ისე მექცევით, რომ სხვა გზას არ მიტოვებთ, თუ არა საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენება –

ნარკოტიკების მოხმარება, მიუხედავად მათი დამღუპველობისა". ასეთი არაცნობიერი მიმართება აქვს ნარკომომხმარებელს საზოგადოებასთან, მაშინ, როდესაც მან კარგად იცის იმის შესახებ, რომ ნარკომანი ისწრაფავს სიცოცხლეს სერიოზული ორგანული დაავადებებით, ან დოზის გადაჭარბებით და ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას სპეციალურად მიმართავს ნარკოტიკების გამოყენებას. ნარკომანები თავს გრძნობენ საზოგადოებისაგან ბედის ანაბარა მიტოვებულ, გარიყულ აუტსაიდერებად, რომლებიც სულ უფრო და უფრო იძირებიან და ფსკერისაკენ მიემართებიან.

ამის მიზეზია ნარკოდამოკიდებული პირის ადრეული ბავშვობის უარყოფითი გამოცდილება. ბავშვის სრულიად კანონიერი და ბუნებრივი მოთხოვნილება მოეპყრონ პატივისცემით, გაგებითა და სიყვარულით, მისი პიროვნული ინდივიდუალობის გათვალისწინებით, ამა თუ იმ მიზეზი გამო არ კმაყოფილდებოდა. ამაში, ნარკოდამოკიდებული ადამიანის სულიერი ტრავმებით მდიდარი გამოცდილებაა დამნაშავე, რომელიც თავისი არსით საოცრად ჰგავს დელიკვენტებისა (სამრთალდამრღვევების, კრიმინალების) და ფსიქოსომატურად დაავადებულთა ავტობიოგრაფიულ მონაცემებს [51].

სოციალურ გარემოში, რომელიც ორიენტირებულია წარმატებასა და მომხვეჭელობაზე, მათ, ვინც საზოგადოებისაგან უარყოფილია, გარიყული და სტიგმატიზებული, არ შეუძლიათ ლეგალური გზებით თავის დამკვიდრება. ისინი საკუთარი მისწრაფებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განწირული არიან კანონის დარღვევისა და გვერდის ავლის გზით სიარულზე – დელიკვენტურ ქცევაზე. ასეთი ტიპის ინდივიდებისათვის, ისევე როგორც ნარკოტიკების მომხმარებელთათვის დამახასიათებელია ე.წ. ბაზისური (ადრეული ბავშვობიდან მომდინარე) შფოთვა, ემოციური დისკომფორტი; ღრმა, სერიოზული გრძნობების განცდის უუნარობით გამოწვეული ზერელე ურთიერთობები, რომლის რეალიზების საშუალება, მიმღებლობისა და თანასწორობის მდგომარეობის მოპოვების შესაძლებლობა, მათ თანასწორთა/თანამზრახველთა წრეში (ინგლისურ ენაზე „Gang"-ში – გერმანულად კი – „Bande"-ში) ეძლევათ. როგორც დელიკვენტური ქცევის, ასევე ნარკოდამოკიდებულების შემთხვევაში ინდივიდის ბავშვობაში ადგილი აქვს დრამატულ მოვლენებს: სიკეთის დეფიციტს/შეურაცხყოფას, ზიანის მიყენებას, ფსიქოლოგიურ წნეხს [51].

ტრანსაქციული ანალიზი

ტრანსაქციული ანალიზის ფუძემდებელი ერიკ ბერნი პიროვნების სტრუქტურას ზიგმუნდ ფროიდის მსგავსად, სამი საწყისისაგან შემდგარ მთლიანობად განიხილავს [48]. თუ ფსიქოანალიზი პიროვნებას „ეგო"-ს („მე"-ს), „იდ"-ისა (ინსტინქტების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული არაცნობიერი პიროვნული საწყისის) და „სუპერეგო"-ს (მორალის მქადაგებელი „მე-იდეალი", „ზე-მე"-ს) ურთიერთქმედების კონტექსტში წარმოაჩენს [60], ტრანსაქციული ანალიზი პიროვნებაში მიმდინარე პროცესებს და მის ქცევაში გამოხატულებას „მოზრდილის", „ბავშვისა" და „მშობლის" ინტერაქციის (ურთიერთზემოქმედების) შუქზე ხედავს [48]. პიროვნების სრულფასოვანი, ჰარმონიული განვითარება შესაძლებელია, თუ „მოზრდილს", „ბავშვსა" და „მშობელს" შორის გაწონასწორებული ურთიერთობაა, თითოეულის საზღვრები კარგადაა დაცული და თითოეულს ეძლევა საშუალება შეასრულოს თავისი ფუნქცია. ტრანსაქციული ანალიზის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ნარკომანად ჩამოყალიბება ხდება მაშინ, როდესაც ზემოთჩამოთვლილ შინაგან ინსტანციებს შორის „ეგო-მდგომარეობა" „ბავშვი" დომინირებს.

მოკლედ განვიხილოთ, თუ რა სახის მიმართებებს განიხილავს ტრანსაქციული ანალიზი პიროვნების „ეგო-მდგომარეობებს" შორის: „მოზრდილი", ეს არის პიროვნების საყრდენი – ღერძი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, ახორციელებს ადექვატურ ქმედებებს, მიზანშეწონილ ქცევას; "მშობელი" – თავისი არსით „სუპერეგოს" როლს ასრულებს, ეს დამსჯელი, ამკრძალავი,

შინაგანი ცენზორია, რომელიც ცდილობს თავისი სტრატეგიების, სცენარების „მოზრდილისათვის“ თავზე მოხვევას. „ბავშვი“ კაპრიზული, სიამოვნებაზე ორიენტირებული ირაციონალური პიროვნების საწყისია, რომელიც „მინდა“-ს პრინციპს ლობირებს და ყველაფერს ცდილობს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ სამი ინსტანციის ურთიერთქმედების – ინტერაქციის თავისებურებას განაპირობებს ადრეული ბავშვობიდან მომდინარე აღმზრდელებთან ურთიერთდამოკიდებულებები – ის როლური მიმართებები, რომელიც ოჯახურ სცენარებში ყალიბდება, ფიქსირდება და შემდგომში პიროვნების ქცევის, მისი გარემოსადმი დამოკიდებულებების განმსაზღვრელი ხდება. ასე, მაგალითად ნარკომანია, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სპექტაკლი – თამაში, სადაც ყველა ოჯახის წევრი თავის როლს ასრულებს. არც ერთ მათგანს არ შეუძლია იმპროვიზირება, მათი ურთიერთქმედება მყარ ჩარჩოებშია მოქცეული. არსებულ მიმართებებში, თითოეულს გააჩნია თავისი არაცნობიერი სარგებელი. ამ პირობებში, დრამის არც ერთ მონაწილეს არ ძალუძს ცვლილების განხორციელება, დამოკიდებულების შეცვლა. სწორედ ასეთ ვითარებაში იქმნება ნარკოტიკების მიმართ დამოკიდებულების ფიქსაცია. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი სახის სცენარი: დედა (მშობელი) მთლიანად მობილიზებულია შვილის კომფორტის უზრუნველყოფაზე. თავის ცხოვრების ერთადერთ საზრისად, მისიად შვილის კეთილდღეობაზე ზრუნვას მიიჩნევს. ინტერესები შვილის მეურვეობაზე, კონტროლსა და მისი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებაზე დაიყვანება, რომლისთვისაც არ იშურებს ძალ-ღონეს და ამ ფონზე თრგუნავს და უგულებელყოფს ყოველივე პირადულს. შვილი მუდმივი მეურვეობის, კონტროლის, სიამოვნების მიღების ობიექტია. უყალიბდება დამოკიდებულების, მიჯაჭვულობის მდგომარეობაში ყოფნის პოზიცია, რომლის ობიექტი ბავშვობაში დედაა, ხოლო მოგვიანებით ნარკოტიკით შეიძლება ჩაენაცვლოს. ფიქსირდება კომფორტსა და სიამოვნებაზე მომართული განწყობა, რომელსაც დროთა განმავლობაში რეალობა სათანადოდ ვეღარ აკმაყოფილებს და იწყება ალტერნატული “ბედნიერების” მომტანი წყაროს ძიება, რომელსაც ინდივიდი ნარკოტიკებთან მიჰყავს. აღსანიშნავია, რომ ნარკოდამოკიდებულების მდგომარეობა ამართლებს მშობლის მიერ თავს მოხვეულ დამოკიდებულებას: „მე უნდა ვიზრუნო შენზე, სხვაგვარად დაიღუპები“. იგი იწყებს შვილის „გადარჩენაზე ზრუნვას“, რაც კიდევ უფრო განუმტკიცებს მის პირმშოს უსუსურობის განცდას და სხვაგვარად ცხოვრების შესაძლებლობის არ არსებობას.

გეშტალტ თერაპიული მოდელი

გეშტალტი გერმანული სიტყვაა და ნიშნავს მთელს. იგი ასევე იხმარება ფორმის, კონფიგურაციის მნიშვნელობით.

გეშტალტ თერაპია საკუთარ თავთან კონფლიქტში მყოფი, გაუცხოებული ადამიანის გამთლიანება-ინტეგრირებაზეა ორიენტირებული. ადამიანი, რომლის ემოციები, აზრები, ქცევები არ არის თნხვედრაში საჭიროებს გეშტალტ თერაპიას.

გეშტალტ თერაპია აწმყო დროსა და სივრცეში თავისთვის შესატყვის, აუთენტურ პიროვნული რესურსების აქტუალიზაცია-გამოვლინებაზეა ორიენტირებული.

გეშტალტ თერაპიის მოდელს სხვაგვარად კონტაქტზე ორიენტირებულ მიდგომასაც უწოდებენ, რადგან კონტაქტის ცნებას ამ მიმართულებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს [11]. გეშტალტ თერაპიაში კონტაქტის ცნება გულისხმობს ადამიანის „მე“-სა და ობიექტურ სინამდვილეს შორის (სხვა ადამინებთან, საგნებთან) მიმართება, რომლის დროსაც „მე“ იკმაყოფილებს აქტუალურ მოთხოვნილებებს. შედეგად, „მე“ იზრდება კონტაქტით მიღებული გამოცდილების ასიმილირებით (გათავისებით), როდესაც ადამიანს აქვს პრობლემური მდგომარეობა,

გეშტალტ თერაპიის ამოცანაა განისაზღვროს კონტაქტის რღვევის, ანუ უკონტაქტობის მიზეზი, დიაგნოზი კონტაქტის აღდგენის მიზნით.

პიროვნებათშორისი ურთიერთობის დონეზე რომ განვიხილოთ, ერთი ადამიანის ურთიერთობას მეორესთან ორი უკიდურესობა ემუქრება.

1. იზოლაცია, როდესაც ადამიანი კონტაქტს წყვეტს მეორესთან; განიზიდავს მას და ამის გამო ვერაფრის ასიმილირებას ახერხებს. თუ ადამიანს სჭირდება კონტაქტი, ის კი განიზიდავს მეორე ადამიანს იმის ნაცვლად, რომ მიიზიდოს, კონტაქტში შევიდეს მასთან, ასეთი ქცევა სტაგნაციას, პიროვნულ ზრდაში შეფერხებას იწვევს.

2. საპირისპირო პროცესი ხორციელდება, მაშინ როდესაც ერთი ადამიანი ერწყმის მეორეს, კარგავს თავის „მე"-ს საზღვრებს, კონტაქტის ნაცვლად ითქვიფება, იკარგება სხვის საზღვრებში. ასეთ დროს ორ ადამიანს შორის არ ხდება ორ ერთეულს შორის კონტაქტის დამყარება. ამის საპირისპიროდ, ხდება შერწყმა, რომელსაც გეშტალტ თერაპიაში „კონფლუენცია" ეწოდება. ამ დროს არ ხდება პიროვნების ზრდისათვის აუცილებელი გამოცდილების ასიმილირება.

კონტაქტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დამოუკიდებელ არსებებს, ერთეულებს შორის. იზოლაცია და შერწყმა კონტაქტის დარღვევის წინაპირობას წარმოადგენს.

როგორია ბავშვის ბუნება კონტაქტის უნარის თვალსაზრისით? სანამ ბავშვი დედის მუცელშია, იგი არ არის ფიზიკურად დამოუკიდებელი არსება, ის დედის ორგანიზმის ნაწილია, მაგრამ დაბადება და ჭიპლარის გადაჭრა მხოლოდ ფიზიკურ დამოუკიდებლობას ანიჭებს ჩვილს; ფსიქოლოგიურად მან ბევრი რამ უნდა ისწავლოს, აითვისოს რომ დამოუკიდებლობა მოიპოვოს. მიუხედავად ამისა, ჩვილ ბავშვს უკვე აქვს გარეშე ობიექტებთან კონტაქტის დამყარების თანდაყოლილი უნარი, რაც მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ ობიექტთან მიახლოება-მიზიდვაში, ხოლო ხელისშემშლელ ობიექტებისგან განზიდვა-განშორებაში გამოიხატება.

ნარკოტიკებზე დამოკიდებული, მიჯაჭვული ადამიანი ვერ ახორციელებს გარემოსთან საჭირო კონტაქტს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იმის ნაცვლად, რომ მიიზიდოს საჭირო ობიექტი, იგი განზიდვას ახდენს და პირიქით, ობიექტი რომელიც განზიდვას მოითხოვს მიიზიდება. შედეგად მოთხოვნილებები, რომლებიც, დაკმაყოფილებას საჭიროებს დაუკმაყოფილებელია. ამის გამო ნარკომანი პიროვნულად არ იზრდება. სტაგნაციასა და რეგრესს განიცდის.

მაშასადამე, სრულფასოვანი კონტაქტი ადამიანისგან, როგორც ფიზიკურს, ასევე ფსიქოლოგიურ დამოუკიდებლობას მოითხოვს.

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ თუ როგორ მიმდინარეობს კონტაქტის პროცესი: ესაა „მე"-სა და გარემოს შორის არსებული საზღვრის ფუნქციონირება. შემოქმედებითი მორგება ობიექტურ რეალობასთან. სწორედ კონტაქტის მეშვეობით ხდება გარემოს გარკვეული ნაწილის ასიმილაცია და ამასთან საკუთარი განსხვავებულობის შენარჩუნება.

„ადამიანის მოქმედება, ფუნქციონირება ახალი გეშტალტების შექმნისა და ძველის დაშლის პროცესს წარმოადგენს, რომელიც „კონტაქტის ციკლის" სახელს ატარებს [11]"

ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა მომხმარებელს უქმნის პიროვნული ზრდის შედეგად მიღებული შედეგის კომპენსატორულ ილუზიას. ნარკომანს ექმნება ფსევდო განცდა იმისა, რომ მის წინაშე ალტერნატივების ფართო სპექტრია გაშლილი და ის აკეთებს სპონტანურ, ერთადერთ სწორ არჩევანს. ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში **ფანტომური ციკლ-კონტაქტი** წარმოიქმნება (fantom-ბერძნული სიტყვიდან fantazma - წარმოიშვა, რაც მოჩვენებას, არარეალურს ნიშნავს). თუ ციკლ-კონტაქტის „ჩვეულებრივი" რღვევის პირობებში ადამიანი იძულებული ხდება დაუბრუნდეს და ეცადოს გაიაროს აქტუალური გამოცდილების ციკლი [11], ნარკოტიკი ხსნის ამ პრობლემას, გვერდზე სწევს ბარიერებს: ფობიებს (შიშებს), სოციალურ და ოჯახურ სტერეოტიპებს – ინტროეცირებულ შინაარსებს, რომელიც წინ ეღობება კონტაქტის სრულფასოვან რეალიზაციას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მცდელობები, რომელსაც ადამიანი ამ

მიმართულებით ახორციელებს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, არ „იწერება“, არ რჩება მის გამოცდილებაში, ანუ არ ხდება მისი ასიმილირება და შედეგად, ფიზიზელ მდგომარეობაში მის ადგილზე ისევ სიცარიელეა და შესაბამისად ვერ ხერხდება შესატყვისი გამოცდილების გამოყენება-ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკი ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს სტიმულს (პავლოვის მიხედვით), რომელიც გამყარებულია რაიმე მოვლენით ან ქმედებით. ნარკოტიკი ორგანიზმის ტრანსფორმაციას ახდენს, სახეცვლილ, სხვა ორგანიზმად გარდაქმნის მას. ეს მდგომარეობა გარკვეულწილად წააგავს შიზოფრენიულ/დისოცირებულ აშლილობას – პიროვნების გაორებას (მრავლობითი პიროვნება DSM IV). ასეთ ვითარებაში „სხვა ორგანიზმი“ ახდენს თავისი ქმედების ორგანიზებას. ამ მიმართულებით ჩატარებულ ექსპერიმენტთაგან განსაკუთრებით საინტერესოა ვირთხების შემთხვევა: ვირთხებს გაუკეთეს ნარკოტიკი და ამ კონდიციაში დაასწავლეს გარკვეული ქცევა. ნარკოტიკების ეფექტის ამოწურვის შემდეგ, ჩვეულებრივ მდგომარეობაში ამ პირობითმა რეფლექსმა შეწყვიტა ფუნქციონირება – ვირთხებს დავიწყებული ჰქონდათ დასწავლილი ქცევა; ხოლო ნარკოტიკების ხელახალი ზემოქმედების ქვეშ კვლავ მოხდა „გამოცდილების აღდგენა“.

აღსანიშნავია, რომ რაც უფრო მჭიდროა ნარკომანსა და მის დედას, ან მეუღლეს შორის ურთიერთდამოკიდებულება, მით უფრო პათოლოგიურია შერწყმა (კონფლუენცია), რომელიც „აძლიერებს რეტროფლექსიას და ასუსტებს ფსიქოთერაპიული მუშაობის ეფექტს“, რადგან ნარკომანი ფსიქოთერაპევტთან მიმართებაში ანალოგიური მიმართების დუბლირებას ახდენს. იგი ცდილობს იმდენად მიუახლოვდეს და „ჩამოეკიდოს“ ფსიქოთერაპევტს, რომ წაშალოს პიროვნული საზღვრები და კონტაქტის ნაცვლად შერწყმის დაცვითი რეაქცია აამოქმედოს მასთან ურთიერთობაში. შედეგად, ნაცვლად თერაპიული ეფექტისა, თავს იჩენს თერაპიული შინაარსის ინტროეცირება, რომელიც ვერ ასიმილირდება და არ იწვევს პიროვნულ ზრდას.

ადამიანის არსებობა იწყება კონფლუენციით. მუცლადყოფნიდან მოზარდობის ხანამდე (გარდატეხის პერიოდამდე), იგი გარკვეულწილად თავის აღმზრდელებთანაა შერწყმული. ამ მდგომარეობის ცვლილება, ანუ მოზარდის მშობელზე დამოკიდებულებისაგან გამოსვლა, თავის დაღწევა გადაიზრდება ჯერ კონტრდამოკიდებულებაში, ხოლო შემდეგ კი – დამოუკიდებლობაში. როდესაც კონფლუენციის ვითარებაში შერწყმის ობიექტით მანიპულაცია წარუმატებლობას განიცდის და სუბიექტი ფრუსტრაციულ (მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის) მდგომარეობაში რჩება, იგი დისკომფორტს გრძნობს და იწყებს დამნაშავეების გარე რეალობაში ძიებას. ამგვარად, მოქმედებას იწყებს ფსიქოლოგიური დაცვითი მექანიზმი – პროექცია, ანუ საკუთარი პრობლემის მიზეზების სხვაზე მიწერა. შერწყმის შემთხვევაში, დადანაშაულების სამიზნე თვით კონფლუენციის ობიექტი ხდება. გაისმის ბრალდებები, რომელიც თავისის არსით ასევე მანიპულაციურია: „ვერ მიგებენ“, „უსულგულოდ, უსამართლოდ მეპყრობიან“ და ა.შ. ნარკომანი პათოლოგიური კონფლუენციის მდგომარეობაში მყოფი ადამიანია. „ფიზიზელ“ ნარკომანთან შეხებისას არასრულწლოვანთან ურთიერთობისას შთაბეჭდილება იქმნება. შემთხვევითი არ არის, რომ ნარკომანებისათვის დამახასიათებელია მოზარდებისათვის ტიპიური ახირებულობა (კომპულსურობა), კატეგორიულობა, ირონიზაცია, რევოლუციურობა, ავტორიტეტულ ჯგუფთან/პიროვნებასთან შერწყმის ტენდენცია, მიჯაჭვულობისა და კონტრმიჯაჭვულობის უკიდურესი ქცევითი გამოვლინებები. პრაქტიკულად არ არსებობს „მარტოხელა“ ნარკომანი. როგორც წესი, ყოველ მათგანს ყავს დედა, და, ან მეუღლე, რომლისგანაც მას შეუძლია მიიღოს საკვები, ფული, დაიკმაყოფილოს ინფანტილური (ბავშვური, უმწიფარი) მეურვეობის ქვეშ ყოფნის მოთხოვნილება. ნარკომანი მუდმივად მანიპულირებს მათით. ნარკომანების ფსიქოთერაპია აჩვენებს, რომ პათოლოგიური კონფლუენციის გაცნობიერებაზე მუშაობისას წინა პლანზე გამოდის ისეთი ინტროეცირებული შინაარსები (მექანიკურად მიღებული გაუთავისებელი სტერეოტიპები),

როგორიცაა: „ვინ არის ჩემი პატრონი დედის გარდა“, „შენიანი, მაინც შენიანია, ცუდი არ უნდა თქვა“, „რაც არ უნდა იყოს ცოლს ქმარი მაინც ეყვარება“ და ა.შ.

პათოლოგიური კონფუენცია, რომელსაც განიცდიან ოჯახისწევრები, ძირითადად დედები და ცოლები, შემდეგ გამონათქვამებში ჩანს, რომელიც, როგორც წესი პირველ პირსა და მრავლობით რიცხვში გამოიხატება: „სად არ *ვ*იმკურნალეთ“, „აქ ბოლო იმედმა მო*გვ*იყვანა“. ქართულ კულტურაში ყველაზე ტიპიურია ასეთ შემთხვევებში დედის მიერ ნებისმიერი ასაკის შვილის ბავშვად მოხსენიება: „იცით, ჩემს ბავშვს პრობლემა აქვს და დახმარება გვჭირდება.“ ყველა აღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებულია გრამატკული ფორმა: პირველი პირი მრავლობით რიცხვში, რაც „მე“-ს საზღვრების შერწყმის მკაფიო დადასტურებაა. ამგვარი ურთიერთობა იმთავითვე ქმნის დედა-შვილის მყარ სიმბიოზურ ერთიანობას, რომელიც მოზარდს ართმევს ინიციატივას, ხელ-ფეხს უბორკავს და უსუსურს, მშობლის კალთაზე მიჯაჭვულს ხდის. წინააღმდეგობა, მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზაზე წარმოქმნილი ბარიერი სერიოზულ დისკომფორტს უქმნის ასეთ ადამიანს. იგი მშობლისგანაა მიჩვეული დისკომფორტის თავიდან აცილებას და თუ გარკვეული მიზეზების გამო, იგი პირისპირ რჩება დასაძლევ წინააღმდეგობასთან, ასეთმა ვითარებამ შესაძლოა სერიოზული ადაპტაციური პრობლემები შეუქმნას. ვინაიდან ცოცხალი არსების ფსიქიკური ფუნქციონირების დანიშნულება გარემოსთან ადაპტაციაა, ამიტომ ინდივიდი მასში არსებული შინაგანი რესურსების მობილიზაციით ცდილობს ადაპტაციური ბარიერის გადალახვას. კონფლუენციის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თავს უძლურად გრძნობს. ნარკოტიკების პირველადი მოხმარებას სტიმულს მას ადაპტაციისკენ სწრაფვა უქმნის, ხოლო მავნე ნივთიერებაზე მიჯაჭვულობის ფორმირების პროცესში ადაპტაციური იმპულსი ნარკომომხმარებლის რეალობასთან კონტაქტისაგან განრიდების საფუძველი ხდება. ნარკოტიკული ნივთიერება კონფლუენციისაგან თავის დახსნის ფანტომური გამოცდილების როლში გამოდის, რაც თავისთავად კიდევ უფრო აძლიერებს პათოლოგიური შერწყმის მდგომარეობას და ნარკომანს უფრო ინტენსიური ნარკოდამოკიდებულებისაკენ უბიძგებს. შედეგად, ყალიბდება ფანტომური ციკლ-კონტაქტი, რომლის პირობებში ორგანიზმი არ ურთიერთქმედებს ნარკოტიკებთან, არ ახდენს ახალი გამოცდილების ასიმილაციას. „მე“ რჩება განვითარების იმ დონეზე, როდესაც ადამიანმა დაიწყო მავნე ნივთიერების მოხმარება. პრინციპში, ეს არის „მე“-ს განვითარების პუბერტატის (გარდატეხის პერიოდის, მოზარდობის ხანის) სტადია, რომელიც ფიქსირდება და ვეღარ განიცდის წინსვლას ნარკოტიკების მოხმარების გამო ბუნებრივი განვითარების პირობების ბლოკირებას ახდენს.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულება თავად კონფლუენციის ბუნების მატარებელია. იმისათვის, რომ მომხმარებელმა მიიღოს მისგან სასურველი ეფექტი, იგი უნდა შეერწყას ნარკოტიკს. სახელწოდება – ნარკომანი სიმბოლურად ასახავს ამ შერწყმას.

პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომა

XX საუკუნის მეორე ნახევარში ჰუმანისტური ფსიქოლოგიური მიმდინარეობა ჩამოყალიბდა. იგი ეგზისტენციალური ფილოსოფიური იდეების ნიადაგზე აღმოცენდა, რომელიც ერთადერთ რეალობად სუბიექტურ სინამდვილეს აღიარებს. ადამიანი გონიერი, შემოქმედებითი არსებაა, რომელსაც თავისუფალი ნება გააჩნია და მთელი სიცოცხლის მანძილზე მუდმივი განვითარების პროცესშია. იგი ეძებს საზრისს, მიისწრაფის თავისი შესაძლებლობების გამოვლენა-რეალიზაციისაკენ და პასუხისმგებელია საკუთარ არჩევანსა და ქცევაზე. ძიებისა და განვითარების გზაზე მისთვის ჩვეულია: შფოთვა, წუხილი, მარტოობისა და სასოწარკვეთილების განცდები. ის ვინც გაურბის ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს საკუთარ ბუნებას უარყოფს. ადამიანი, რომელიც

თამამად მიიწევს წინ, არ ნებდება განსაცდელს უმთავრეს მიზანს აღწევს, ასრულებს თავის მისიას – თვითგანხორციელებას [58].

ჰუმანისტური ფსიქოლოგიური მიმართულების ფუძემდებლისა და პიროვნებაზე ცენტრირებული თერაპიის ავტორი კარლ როჯერსი ადამიანს უკიდურესად პოზიტიურად განიხილავს. მისი კონცეფციის თანახმად, ადამიანი თვითკმარი, დადებითი, სანდო არსებაა, რომელსაც თანდაყოლილი აქვს თვითგანვითარებისა და პიროვნული ზრდის მამოძრავებელი ძალა, იმპულსი. იგი საკუთარი თავის სრულყოფაზე, შემოქმედებითობის რეალიზაციაზეა ორიენტირებული. ადამიანის თვითგანხორციელების, შესაძლებლობების გამოვლენაზე მიმართული შინაგან სწრაფვას როჯერსმა აქტუალიზაციის ტენდენცია უწოდა [59]. მისი აზრით, პიროვნებას გააჩნია ე.წ. ორგანიზმული შეფასების უნარი, რომელიც არჩევს აქტუალიზაციის აქტუალიზაციის ხელის შემწყობ და ხელის შემშლელ შინაარსებს, განცდებს. განერიდება უარყოფითს და მიიზიდება დადებითისაკენ [7]. ადამიანის ორგანიზმს, ასევე თვითრეგულაციის უნარი ახასიათებს, რომელიც სტრესების, მატრავმირებელი გამოცდილების გადამუშავებისა და „მონელების“ შინაგან რესურსს გულისხმობს..

მიუხედავად ადამიანის სრულყოფილი, თვითკმარი ბუნებისა, როჯერსის აზრით აქტუალიზაციის ტენდეციის გამოვლენა/ბლოკირების საქმეში უდიდეს როლს ასულებს **გარემო,** რომელშიც ადამიანი იზრდება, ვითარდება და ფუნქციონირებს. ყველაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადამიანზე სამი ძირითადი ფაქტორი ახდენს [59]:

1. **ემპათია**
2. **უპირობო პოზიტიური მიმღებლობა**
3. **კონგრუენტულობა**

ემპათია გულისხმობს თანაგანცდას, თანაგძნობას, გაგებას, ადამიანის მდგომარეობაში შესვლას, მის ადგილზე დადგომას.

უპირობო პოზიტიური მიმღებლობაში მოიაზრება: პიროვნების პატივისცემა, მის მიმართ დადებით დამოკიდებულება იმისდა მიუხედავად, რამდენად მიღებული თუ მიუღებელია მისი ქცევა. შეიძლება ითქვას, რომ უპირობო. პოზიტიური მიღება შეუძლია კაცთმოყვარე, დადებითი პიროვნული თვისებების დანახვაზე ორიენტირებულ ადამიანს, რომელიც განწყობილია და შეუძლია მიიღოს სხვა ისეთად, როგორიც ის არის განკითხვისა და შეფასების გარეშე.

კონგრუენტულობის ცნება სიწრფელის, სინაღდის, ბუნებრიობის ექვივალენტია. კონგრუენტულობა თვალთმაქცობისა და სიყალბის საწინააღმდეგო მოვლენაა. კონგრუენტული ადამიანის აზრები და განცდები, თანხვედრაში, შესაბამისობაში, შესატყვისობაშია ქცევით გამოხატულებასთან.

როდესაც ადამიანის მიმართ ემპათიური დამოკიდებულება, უპირობო მიმღებლობა ხორციელდება და მასთან კონგრუენტული პიროვნება ურთიერთობს, წინა პლანზე მისი დადებითი საწყისი გამოდის, მასში აქტუალიზაციის ტენდენცია იწყებს მოქმედებას. ამგვარი მიმართება პიროვნული ზრდისა და განვითარების ხელისშემწყობ პირობებს ქმნის. ეს ის უნივერსალური პიროვნებათშორისი ურთიერთობის მოდელია, რომელიც აღზრდის, პედაგოგიკისა და ფსიქოთერაპიული პროცესის ეფექტურობის განმსაზღვრელ ფუნდამენტურ პრინციპებს წარმოადგენს.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიური მსოფლმხედველობა ადამიანის ბუნების, მისი აღზრდისა და პიროვნული განვითარების ხელშემწყობი პირობების განხილვა გვიჩვენებს, თუ რა გარემო უნდა შეექმნას ბავშვსა და მოზარდს დადებით, კონსტრუქციულ, კრეატიულ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის.

ემპათია, კონგრუენტულობა და უპირობო, პოზიტიური მიმღებლობა – ეს სამი კომპონენტის გაერთიანებული ურთიერთობის სტილი, მიმართებაა. საკმარისია ერთ-ერთი მათგანის დეფიციტი

შეიქმნას, რომ დანარჩენი ორი განიცდის რღვევას. ასეთ შემთხვევაში იქმნება პიროვნების ზრდის დამაბრკოლებელი, არახელსაყრელი გარემო, რომელიც ადამიანზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს და ნეგატიური ქცევის წინაპირობას უქმნის.

აქედან გამომდინარე, აღნიშნულ სამ პრინციპზე დაფუძნებული აღზრდის სტილი შეიძლება ნარკომანიის პრევენციის საუკეთესო საშუალებად იქნას განხილული, და პირიქით, რომელიმე მათგანის ან სამივეს დეფიციტი კი – დევიაციური ქცევის, კერძოდ, მავნე ნივთიერებების მოხმარებისადმი პიროვნული მზაობის შემქმნელ წინაპირობად.

როგორ ვითარებაში იზრდება პოტენციური ნარკომომხმარებელი? რა სახის ურთიერთობები და აღზრდის პირობები აყალიბებს ისეთ დესტრუქციულ ქცევას, რომელსაც ნარკომანია ეწოდება?

ადამიანები ხშირად საკუთარი მოთხოვნილებების, სურვილების დაკმაყოფილებაზე არიან ფოკუსირებული, რის გამოც არ შეუძლიათ გვერდით მყოფთა ინდიდივიდუალობისა მათი განწყობების აღქმა და ანგარიშის გაწევა. ასეთ დროს წარმოიშობა ემპათიის დეფიციტი – მეორე ადამიანის გაგების, თანაგრძნობის, მასთან ჰარმონიული ურთიერთობის პრობლემა, რომელიც გაუცხოებას, დისტანცირებას იწვევს, ხოლო უფროსისა და ბავშვის ურთიერთობაში აღსაზრდელის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში სერიოზულ ბარიერებს ქმნის. რიგ შემთხვევებში ზრდასრულები თავიანთი საქმითა და პრობლემებით არიან მოცული, სითბოსა და ყურადღების დეფიციტს მათ მიმართ ინდიფერენტული დამოკიდებულების, ზოგჯერ მიტოვებულობის განცდას უქმნიან აღსაზრდელებს. ემპათიური დამოკიდებულების არ არსებობა ავტომატურად იწვევს უპირობო პოზიტიური მიმღებლობისა და კონგრუენტულობის პრინციპს. ასეთ პირობებში არ ხდება უარყოფითი ქცევისადმი რეზისტენტულობის, "იმუნიტეტის" შემქმნელი თაობიდან თაობაში პოზიტიური გამოცდილებისა და დადებითი ფასეულობების გადაცემა.

არსებობს ამის საპირისპირო აღზრდის სტილი, რომელიც ურთიერთობის მეორე უკიდურესობას წარმოადგენს და თავის მხრივ ასევე გამორიცხავს ემპათიურ, უპირობო პოზიტიურ მიმღებლობაზე ორიენტირებულ კონგრუენტულ ურთიერთდამოკიდებულებას. აქ, მშობლები მთლიანად ბავშვის მეურვეობის იდეით არიან შეპყრობილი. ბოჭავენ, თრგუნავენ მის ინიციატივებსა და შესაძლებლობათა გამოვლინებას. ისინი მთლიანად საკუთარი "მზრუნველობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე" არიან მობილიზებული; არ ესმით ბავშვის, ვერ უგებენ მის დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვას, სურვილს განიმტკიცონ "მე შემიძლია"-ს განცდა. ასეთი მშობლისათვის მიუღებელია შვილის მხრიდან თვითდამკვიდრებაზე მიმართული მცდელობები, რაც უპირობო პოზიტიურ მიმღებლობას გამორიცხავს. ამ კონტექსტში, ბავშვები უშეცდომოდ გრძნობენ მშობლის არაკონგრუენტულობას, რომელიც თავს სდებს შვილის სიყვარულზე და ამავდროულად სრულად უგულებელყოფს მისი პიროვნული განვითარების მოთხოვნილებას. შედეგად, ასეთ ოჯახებში აღზრდილ ადამიანებს უსუსურობის განცდა, არასრულფასოვნების კომპლექსი უყალიბდებათ, რომელიც პიროვნული ზრდის სტაგნაციას, მისი აქტუალიზაციის ტენდენციის ბლოკირებას იწვევს. ამგვარ პირობებში არ ხდება დამოუკიდებელი აქტივობის გამოცდილების დაგროვება, კრიტიკულ ვითარებაში ადექვატური რეაგირების უნარის გამომუშავება, რაც ადაპტაციის პრობლემას ქმნის. რთულ სიტუაციაში, ასეთი ადამანის შინაგანი დისკომფორტისაგან გაქცევის, თავის დაღწევის სტრატეგიას მიმართავს და თავშესაფარს ნარკოტიკების მოხმარებაში პოულობს.

ამგვარად, ზემოთმოყვანილი ფსიქოთერაპიული მიდგომების კონტექსტში განხორციელებული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ ნარკოტიკების პირველადი მოხმარება, მიუხედავად მოტივაციური მრავალფეროვნებისა ყველა შემთხვევაში ადაპტაციის პრობლემას უკავშირდება.

1. მოზარდობის ე.წ. კონფორმულობის კომპლექსი [57] ნარკოტიკების მეშვეობით „სხვებთან მსგავსების“ ასაკობრივ მოთხოვნილებას უკმაყოფილებს ინდივიდებს, რომლებიც სხვა გზით ვერ ახერხებენ თავის სოციალურ გარემოში თავის დამკვიდრებას

2. ცნობისმოყვარეობა – ახალი შეგრძნებებისა და უჩვეულო განცდების ინტერესი ბიძგის მიმცემი ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოზარდი თავის რეალობაში ვერ პოულობს ადგილს, ვერ გრძნობს თავს კომფორტულად და „ფანტასტიკის“ ძიებაშია

3. უსიამოვნებისგან გაქცევა, განრიდება, გათიშვა პრობლემების დაძლევის უნარის დეფიციტზე მეტყველებს, რომელიც ნარკოტიკების „ფანტომურ“ წიაღში ეძებს უდრტვინველობისა და ბედნიერების განცდას.

როგორც ზემოთმოყვანილი მსჯელობა გვიჩვენებს, რიგი ფსიქოთერაპიული მოდალობების საფუძვლადმდებარე პიროვნების ფსიქოლოგიურ თეორიებში მნიშვნელოვანი ცოდნაა თავმოყრილი, რაც მოცემული პრობლემის ღრმა ანალიზის საშუალებას იძლევა; მაგრამ ამას გარდა არსებობს განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ხსნის ადამიანის ბუნებასა და მის ქცევას და თავისი მასშტაბით შესაძლებელს ხდის ნარკომანიის პრობლემის სიღრმისეულად წვდომას. დიმიტრი უზნაძის შექმნილმა და ინიცირებულმა განწყობის თეორიამ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილისა და მისი მოწაფეების შრომებში** განიცადა განვითარება. შოთა ნადირაშვილის განწყობის ანთროპული თეორია სოციალურ მეცნიერებებში ის ბაზაა, რომელმაც ადამიანის, როგორც სოციალური ცოცხალი არსების ბუნების ახსნა და შემეცნება გახადა შესაძლებელი. ამ თეორიის საფუძველზე, პროფესორმა **დიმიტრი ნადირაშვილმა** შემოგვთავაზა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემის ფსიქოლოგიური გაგება.[1]

ვინაიდან, განწყობის თეორიის მიხედვით, საქციელს. ყოველ ქცევას და, მათ შორის ნარკოტიკის მოხმარებასაც განწყობა უდევს საფუძვლად. იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რა შეიძლება გახდეს ნარკოტიკების მოხმარების მიზეზი, თავდაპირველად მოკლედ უნდა განვმარტოთ განწყობის ნაირსახეობები: არსებობს სიტუაციური განწყობა, რომელიც ყოველი ქცევის წინ წარმოიშვება და დისპოზიციური - რომელიც შენახული სახით არსებობს ადამიანში. “ნარკოტიკის მოხმარება ერთმაც შეიძლება გამოიწვიოს და მეორემაც, მაგრამ თუ ადამიანს ნარკოტიკი არ გაუსინჯავს, მაშინ მასში ნარკოტიკის მოხმარების დისპოზიციური განწყობა არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, მიზეზი სიტუაციურ განწყობით აღძრულ ქცევაში უნდა ვეძებოთ. რა პირობებშია შესაძლებელი სიტუაციურ განწყობაზე აღმოცენებული ქცევა? ამისთვის აუცილებელი ფაქტორებია მოთხოვნილება, მისი შესატყვისი სიტუაცია და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ინსტრუმენტული შესაძლებლობა. ნარკოტიკის მიღების ქცევა რომ განხორციელდეს, უნდა არსებობდეს: ნარკოტიკის მოხმარების მოთხოვნილება, სათანადო სიტუაცია-გარემო და ნარკოტიკის მიღების ინსტრუმენტული შესაძლებლობა. მათ, ვისაც ნარკოტიკი არ გაუსინჯავს, მისი მიღების ფიზიოლოგიური მოთხოვნილება არ გააჩნია. მაშ, რა გზით შეიძლება გაუჩნდეს მოხმარების განწყობა?

საშიშროება ამ ვითარებაში ჩნდება თუ კი მოზარდს გაუჩნდა ნარკოტიკის გასინჯვის სოციალური მოთხოვნა. ამგვარი მოთხოვნა, ბიოლოგიური მოთხოვნილებისგან განსხვავებით, სოციალური ბუნებისაა და პიროვნებათაშორის ურთიერთობაში იქმნება“.[2] რაც შეეხება ნარკოტიკების მოხმარების ინსტრუმენტულ შესაძლებლობას, ანუ უნარს, მიგვაჩნია, რომ მოთხოვნის გაჩენის შემთხვევაში ეს პრობლემას აღარ წარმოადგენს. შესაბამისად, ნარკოტიკის

[1] **ნადირაშვილი დ.**, ნარკომანიის პრევენცია - განწყობის თეორიის მოდელი. ნარკომანიის ფსიქოლოგიურ-სოციალური საფუძვლები. გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, გვ. 131 -151.

[2] **ნადირაშვილი დ.**, ნარკომანიის პრევენცია - განწყობის თეორიის მოდელი. ნარკომანიის ფსიქოლოგიურ-სოციალური საფუძვლები. გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, გვ. 131 -151.

მოხმარების მოთხოვნის გაჩენა არსებით როლს ასრულებს ნარკოტიკის მოხმარების განწყობის შექმნაში, რაც შემდგომში ქცევაში რეალიზდება.

განწყობის ანთროპულ თეორიაში ჩამოყალიბებულია სოციალურ განწყობათა თავსებადობის კანონზომიერებები. დადგენილია, რომ თუ ერთ სუბიექტს დადებითი განწყობა აქვს მეორე სუბიექტის მიმართ; ხოლო მეორე სუბიექტი დადებითადაა განწყობილი ობიექტის მიმართ, პირველ სუბიექტს დადებითი განწყობა ექმნება აღნიშნული ობიექტის მიმართ, ვინაიდან ვალენტობის 2 დადებითი ნიშნის, ანუ ორი პლუსის (+) + (+) = (+) მიმატების შედეგად მიიღება პლუსი.

ახალგაზრდაზე მისი ავტორიტეტის, ანუ მისი იდეალის გავლენა ნარკოტიკების მოხმარების მიმართ მოთხოვნის გაჩენასთან დაკავშირებით, შემდეგ სურათს ქმნის: თუ მოზარდის ავტორიტეტი/იდეალი დადებითად არის განწყობილი ნარკოტიკების მიმართ, მაშინ მოზარდსაც დადებითი განწყობა ექმნება ნარკოტიკების მოხმარების მიმართ.



(+) + (+) = (+)



მაშასადამე, წინამდებარე სქემა ნათელყოფს, განწყობის თავსებადობის შემდეგ კანონზომიერებას:

თუ მოზარდისთვის ავტორიტეტი, ან იდეალი ნარკოტიკების მიმართ შემწყნარებელია (დადებითი განწყობის მქონეა), ეს გააჩენს მოზარდის მიმღებლობას (დადებით განწყობას) ნარკოტიკისადმი. ანალოგიურად, თუ მოზარდს უარყოფითი განწყობა აქვს ნარკომანიის მიმართ დადებითად განწყობილი ადამიანების მიმართ, განწყობათა თავსებადობის კანონზომიერების პრინციპით, მას გაუჩნდება უარყოფითი განწყობა ნარკოტიკის მოხმარების მიმართ.



(+) + (-) = (+)



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნარკომანიის პრევენციის გენერალური ხაზი უნდა გადიოდეს შემდეგ საკითხზე: მოზარდის ავტორიტეტს არ უნდა წარმოადგენდეს ადამიანი, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებას პოზიტიურად აფასებს, რადგან ასეთ შემთხვევაში მოზარდიც დადებითად განეწყობა ნარკოტიკების მიმართ. ამის საპირისპიროდ, ნარკოტიკების მავნე ზემოქმედებაზე ინფორმირება და ანტინარკოტიკული განწყობის შემუშავება ბავშვობაშია განსახორციელებელი. კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პრევენციული მუშაობისათვის ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს 10-14 წლის ასაკი. ამისათვის საჭიროა სკოლაში ნარკოტიკების მოხმარების ზიანის შესახებ რელევანტური განათლების დანერგვა, საზოგადოებაში ჯანსაღი ადამიანებისა და ცხოვრების წესის პოპულარიზება-დამკვიდრება.

ლიტერატურა

1. **გოგოტიშვილი თ**. ქართული საზოგადოება და ნარკომანია. დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი „მაცნე“, №1-2, 2006
2. **გოგოტიშვილი თ**. უფროსკლასელთა ინფორმირებულობა ნარკოტიკების მავნე ზემოქმედების შესახებ და მათი დამოკიდებულება ნარკომანიის მიმართ. შ. ჩხარტიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის XXI შრომების კრებული. თბილისი, 2008
3. **გოგოტიშვილი თ**. პოზიტიურ ფასეულობებზე ფოკუსირება – ნარკომანიის პრევენციის ეფექტური გზა. გაზეთი „ახალი განათლება“ №33 თბილისი, 2008
4. **იმედაძე ი**. XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობანი. „ენა და კულტურა“, 2004.

5. **მაღრაძე გ**. ახალი ადამიანის აღზრდა და ჰარმონიული განვითარება. თბილისი, „ცოდნა“, 1983, თბილისი, 2001, გვ. 117-118
6. **ნადირაშვილი დ**. კარლ როჯერსის კლიენტზე ცენტრირებული თერაპიის ევოლუციის საკითხისათვის. ჟ. ფსიქიკა, №1, თბილისი, 2001, გვ. 33-38
7. **ნადირაშვილი დ**. გოგოტიშვილი თ. კონტაქტისა და განრიდების ფსიქოლოგიური მექანიზმები ფსიქოთერაპევტისა და კლიენტის ურთიერთობაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის) ჟურნალი „მაცნე“, სერია „ფსიქოლოგია“, №1, 2003, გვ. 79-82
8. **ნადირაშვილი დ**. ზეგავლენა ფსიქოთერაპიაში. საქართველოს მეცნიერებათ აკადემიის (დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის) ჟურნალი „მაცნე“, სერია „ფსიქოლოგია“, №1, 2004, გვ. 117-125
9. **ნადირაშვილი დ**. ბავშვობის პერიოდში განცდილი ზეგავლენის ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. საქართველოს მეცნიერებათ აკადემიის (დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის) ჟურნალი „მაცნე“, სერია „ფსიქოლოგია“, №1, 2004, გვ. 126-134
10. **ნადირაშვილი დ**. კეთილგანწყობის ფსიქოლოგიური ზეგავლენის ეფექტი. შრ. კრ. ფსიქოლოგია, ტ. XIX, გვ. 116-121. თბილისი, 2004.
11. **ნადირაშვილი დ**. ეგზისტენციალური გეშტალტ თერაპია. “ნეკერი”, თბილისი, 2007 წ.
12. **ნადირაშვილი შ**. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. "მეცნიერება”, თბილისი. 1979.
13. **ნადირაშვილი შ**. განწყობის ანტროპული თეორია. თბილისი 2001
14. **სარჯველაძე ნ**. ფსიქოლოგიური საუბრები. „მერიდიანი“, 1995
15. **სირბილაძე თ**. და სხვ. ნარკომანიის პირველადი პრევენცია საჯარო სკოლებში. სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა. თბილისი, 2006
16. **სირბილაძე თ**. და სხვ. საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია. თბილისი, 2006
17. **უზნაძე დ**. პედაგოგიური ფსიქოლოგია, ტ. 5; თბილისი 1967
18. **ჯავახიშვილი დ**. წამალდამოკიდებულების ეტიოლოგიის ფსიქოლოგიური, სოციალური და პიროვნების განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტორები. *გ. ლეჟავა (რედ), ნარკოლოგია*, თბილისი, 2000
19. **Ainsworth M**. Attachment as related to mother-infant interaction / Advances in the Study of Behavior / / J. Rosenblatt et al. (Eds.). New York: Academic Press, 1979.
20. **Bandura A**. Vicarious extnction of avoidence behavior. Journal of Personality and Social Psychology, 5, 1967, pp. 16-23.
21. **Bandura A**. Social Learning-Theory. Englewood Cliffs. NS: Prentice-Hall, 1977
22. **Brown G.I.** Awareness training and creativity based on gestalt therapy. Journal of Contemporary Psychotherapy, 2(1), 1969, p. 25-32.
23. **Brown. R**. Further comments on the risky shift. American Psychologist, 29, 1974, pp. 468-470.
24. **Brown. R**. Social Psychology: The second edition . New York: Free Press, 1986
25. **Erikson E**. Dimensions of a new identity. New-York: Norton, 1974.
26. **Erikson E**. Identity and the Life cycle. New-York: Norton, 1980.
27. **Erikson, E**. Childhood and Society. New York: Norton, 1951.
28. **Freud, S**. The Complete Psychological Works of Sigmund Freud (The Standard Edition). New York: Norton, 1996.
29. **Freud, S**. An Outline of Psychoanalyses. New York: W. W. Norton, 1949.

30. **Goodman P**. Novelty. Excitement and Growth. Vol. 2 // Perls, F., Hefferline, R., Goodman. P. Gestalt Therapy: Excite-ment and Growth in the Human Personality. New York: Julian Press, 1951.
31. **Kohut H**. The Restoration of Self. Madison (CT): International Universities Press, 1977.
32. **Kohut H**. Self Psychology and the Humanities. New York: W. W. Norton, 1985.
33. **Lee R**., Gestalt and Shame: the foundation for a clearer understanding of field dynamics // British Gestalt Journal. № 4 (1), 1995, p.14-22
34. **Mahoney M. J**. Human Change Processes. New York: Basic Books, 1991
35. **McConville M**. Adolescence. San Francisco: Jossey-Bass
36. **Perls F**. Ego, Hunger and Aggression. London: Alien &. Unwin, 1947
37. **Perls F**. Theory and technique of personality integration. American Journal of Psychotherapy, 2, 1948, 564-586.
42. **Perls F**. Morality, ego boundary and aggression. Complex, 9, 1953, pp. 42-51
43. **Rotter J.B**. The development and applications of of sociallearning theory: Selected papers. New yourk: Praeger. 1982
44. **Skinner B.F**. The shaping of a behaviorist. New York: Knopf. 1979
45. **Skinner B.F**. A matter of consequences. New York: Knopf. 1982
46. **Taylor S**. Health psychology. New-York. Rondom Hause, 1986
47. **Бандура А**. Теория социального научения. „Евразия“. Санкт-Петербург. 2000
48. **Берн Э**. Игры, в которые играют люди. Люди которые играют в игры. Москва, 1997
49. **Эриксон Э**. Идентичность:Юностьи кризис.Москва, Прогрес. 1996
50. **Кемплер У**. „Основы семейиой Гештальттерапии“. Из-во Пиражкова. Санкт-Петербург. 2001
51. **Куттер П**. Современный психоанализ. Б.С.К. Санкт-Петебург1997.
52. **Левин К**. „Разрешение социальных конфликтов“. „Речь“. Санкт-Петербург. 2000.
53. **Надирашвили Д**. Воздействие благожелательности с точки зрения закономерномти теории установки. „Кавказоведение“, №6, 2004.
54. **Перлз Ф**. Практикум по Гештальттерапии. М. изд. Гилл-Эсмель. 1993.
55. **Польстер И**. „Обытаемый человек“ М. „Класс“. 1999.
56. **Польстер И**. Польстер М., „Интегрированная гещтальттерапия“. М. „Класс“, 1997
57. Психологические основы профилактики наркомании в семье. Под ред. С.В. Березина, К.С. Лисецкого, Самара, 2001.
58. **Роджерс К**. Становление человека. Москва. „Прогресс“, 1988.
59. **Роджерс К**. Клиенто-центрированная терапия. Киев. Ваклер, 1997.
60. **Фрейд З**. Введение в психоанализ. Лекции. М. „Наука“1995.
61. **Фрейд З**. Основные психологические теории в психоанализе. М. 1923.

Tea Gogotishvili

Psycho-Social Predictors for the Formation of Drug Addiction

Resume

The given article is focused on the consideration of psysho-social factors of formation of drug addiction, based on the roots of different psychotherapeutic modalities and the reguliarities of Anthropiic Theory of Attitude and analysis of the reasons those promote the psychological readiness for the drug abuse. It shows the difference in fostering approaches, those that provide the resistance against drug abuse and the others – creating the ground for the formation of the positive attitude towards drug abuse in the process of personal development.

The exploration of the given field clarifies that prevention of drug addiction has to be aimed on the following goal: the adolescent must not have the authority, who has the positive attitude towards drugs. In this case, the teenager will get the positive disposition towards drug abuse. On contrary, the preventive activities should be carried out in the age of 10-14 years. It is essential to incorporate the relevant educational course on the negative impact of drug abuse in schools, to promote the healthy lifestyle and to make the healthy public faces popular in the society.

სალომე საბიაშვილი, თინათინ ფანცულაია, ლუიზა არუთინოვა

თავის ტკივილის (შაკიკი) მქონე პაციენტებთან აგრესიულობის და ალექსითიმიურობის მაჩვენებელი

თავის ტკივილი ერთ-ერთი იმ სიმპტომთაგანია, რომლის გამოც ადამიანები ყველაზე ხშირად მიმართავენ ექიმს. მოსახლეობის 70%-ს ეპიზოდური ან ქრონიკული თავის ტკივილები აწუხებს. ის წამყვანი, ზოგჯერ კი ერთადერთი სიმპტომია 40-ზე მეტი დაავადების (ნევროზი, დეპრესია, ჰიპერტონიული დაავადება, თირკმლის და ენდოკრინული პათოლოგიები, ნერვული სნეულებები და სხვა). თავის ტკივილის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას შაკიკი (25%) წარმოადგენს.

მრავალი დიაგნოსტიკური საშუალების მიუხედავად თავის ტკივილის სახეობების ზუსტი დიაგნოსტირება გართულებულია, შესაბამისად მკურნალობის მეთოდებიც ბუნდოვანი და ძირითადად მხოლოდ მედიკამენტოზურია.

შაკიკი ტრადიციულად ნევროლოგიური წრის დარღვევად განიხილება. თუმცა უცხოელი მკვლევარები თავის ტკივილით დაავადებულ პაციენტების 90%-ში სხვადასხვა სახის ფსიქიკურ დარღვევებს გამოყოფენ, რაც იმის საფუძველი ხდება, რომ თავის ტკივილი ერთ-ერთ ფსიქოსომატურ დაავადებად მივიჩნიოთ.

შაკიკი 2000 წელს გლობალური მნიშვნელობის დაავადებათა სიაში იქნა შეყვანილი, რაც მისმა ფართო გავრცელებამ და პაციენტებში ცხოვრების ხარისხის ცვლილებების გამოწვევამ განაპირობა. შაკიკი, ისევე ხშირად გვხვდება მსოფლიო მოსახლეობაში, როგორც ისეთი ცნობილი ფსიქოსომატური დაავადებები, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი ან ბრონქიალური ასთმა.

როგორ მოქმედებს თავის ტკივილი, კერძოდ კი შაკიკი ადამიანის ცხოვრების ხარისხზე? მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციების მონაცემებით, შაკიკი იმ 20 მიზეზთა შორისაა, რომელიც ადამიანის დეზადაპტაციის გამომწვევი ხდება. შაკიკით დაავადებულ პაციენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ შაკიკი მათი ცხოვრების ხარისხს დაბლა სწევს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შაკიკი, მისი გართულებული ფორმის დროს ცერებრალური ინსულტის გამომწვევი შეიძლება გახდეს. მრავალრიცხოვანმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა სანდო კორელაცია დაადგინეს შაკიკსა და ინსულტს შორის, განსაკუთრებით კი აურიანი შაკიკით დაავადებულ ქალ პაციენტებში. ნეიროვიზუალური კვლევების შედეგებში ნაჩვენებია, რომ შაკიკი ინსულტის, ინფარქტის და თავის ტვინის თეთრი ნივთიერების დარღვევის რისკის შემცველია.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავის ტკივილი, როგორც ფსიქოსომატური დაავადება თავისებურ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემასაც წარმოადგენს. ცნობილია, რომ სხვადასხვა ფსიქო-სომატური დარღვევების, მათ შორის თავის ტკივილის (შაკიკის), მქონე პაციენტების (20-25 %) მომსახურება ჯანდაცვის ორგანოებს საკმაო თანხა უჯდებათ. თავის ტკივილის მწვავე ფორმებით კი როგორც წესი დასაქმებული, განათლებული და შრომისმოყვარე ადამიანები ავადდებიან. თავის ტკივილის განვითარებასთან ერთად შეინიშნება მათი შრომისუნარიანობის დაქვეითება და ცხოვრების ხალისის დაკარგვა, შედეგად ხდება სამსახურეობრივი გრაფიკის დარღვევა, გაცდენა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზარალი გამოწვეულია, როგორც პაციენტების მხრიდან (ტკივილის დროს) სამსახურის გაცდენით და შრომისუნარიანობის დაქვეითებით, ასევე მათი მისამართით გატარებულ დიაგნოსტიკურ პროცედურებსა და მკურნალობაზე გაწეული ხარჯებით.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინა საკმარისად ფლობს თავის ტკივილის მკურნალობის მეთოდებს, ექიმებს მაინც უჭირთ ტვინის შინაგანი მუშაობის ყველა საიდუმლოების გაგება. ერთადერთი დარწმუნებით ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ – თავის ტკივილის მქონე

ადამიანები თავიანთ პრობლემასთან მარტონი არ რჩებიან – იშვიათად თუ შევხვდებით ადამიანს, რომელსაც არ განუცდია თავის ტკივილი. უმეტესობისთვის ეს უკანასკნელი მხოლოდ დროებითი უსიამოვნებაა. ზოგისთვის კი თავის ტკივილი ძლიერ, ქრონიკულ ხასიათს ატარებს.

ეტიოლოგია

თავის ტკივილი – ეს ტკივილის შეგრძნებაა თავის, სახის ან კისრის მიდამოებში. მას შეუძლია გამოიწვიოს პულსირებადი, მტვრევადი, მჩხვლეტავი ან მწველი შეგრძნებები. თავის ტკივილის გამომწვევ მიზეზებზე არაერთგვაროვანი შეხედულებაა. სულ რაღაც 50 წლის წინ შაკიკი ეჭვგარეშედ მიიჩნეოდა ფსიქოსომატურ დაავადებად, თუმცა მოგვიანებით მეცნიერებმა აღმოაჩინეს თავის ტკივილის სხვა ობიექტური მიზეზი კერძოდ, ტკივილი კუნთების დაჭიმულობიდან, თავის სისხლძარღვთა პათოლოგიებიდან (სისხლძარღვების გაგანიერება ან შევიწროება) წარმოიქმნება.

დღესდღეისობით, მეცნიერებიც და ექიმებიც თვლიან, რომ თავის ტკივილის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. სისხლძარღვების გაგანიერებით ან შევიწროვებით გამოწვეული უსიამოვნო შეგრძნებები შეიძლება საფუძველს ტვინის ბიოლოგიური ანომალიის სიმპტომებიდან იღებდეს. ქრონიკული თავის ტკივილების, განსაკუთრებით კი შაკიკის მქონე ადამიანები შესაძლოა მიდრეკილნი იყვნენ ტვინის ქიმიური ნივთიერების მემკვიდრული დარღვევისკენ.

სეროტონინი – ნივთიერება, რომელიც პირდაპირ კავშირშია თავის ტკივილთან, მოქმედებს, როგორც ქიმიური შუამავალი და გავლენას ახდენს ძილზე, განწყობასა და სისხლძარღვების გაფართოებაზე. თუკი მისი რეზერვი ამოიწურება, შესაძლოა განვითარდეს შაკიკი. ხშირად განსაზღვრული ფერმენტები ანადგურებენ სეროტონინს და მის დონეს დაბლა სწევენ. ზოგიერთ შემთხვევაში რეცეპტორების დისფუნქციის გამო ვერ ხდება სეროტონინის საკმარისი რაოდენობით სისხლში გადასვლა.

თავის ტკივილების კვლევები სწორედ ამ ნივთიერების შესწავლას უკავშირდება. თუმცა რეალური ფიზიოლოგიური მიზეზი ჯერ სრულიად ნათელი არ არის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ კუნთოვან და პათოლოგიურ სისხლძარღვოვან ცვლილებებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ამ ყველაფერზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის ტკივილის მაპროვოცირებელი გარეგანი ფაქტორები უფრო მეტადაა გამოკვლეული, ვიდრე ფიზიოლოგიური.

მართალია შაკიკი მოსახლეობის არც თუ დიდ ნაწილს აწუხებს, მაგრამ მასზე დაკვირვებას და აღწერას უკვე კაცობრიობის ისტორიის შექმნის მიჯნაზე ვხვდებით.

შაკიკის ძირითადი კლინიკური გამოვლინებები - მისი პერიოდულობა, დამოკიდებულება ხასიათსა და ცხოვრების პირობებზე, მისი სხეულებრივი და ემოციური სიმპტომები - გამოვლენილი და ნათლად აღწერილი ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში იყო. ძველი რომის ცნობილი ექიმი და ფილოსოფოსი არეტაიოსი მას ჰეტეროკრანიას უწოდებს: ”კერძო შემთხვევებში თავი მთლიანად გტკივა, მაგრამ ხანდახან ტკივილი თავის მხოლოდ მარჯვენა ან მარცხენა ნახევარსფეროში იგრძნობა, სხვა შემთხვევებში ტკივილი შუბლის ნაწილისკენ ინაცვლებს და დღის განმავლობაში ერთი ადგილიდან მეორისკენ გადაადგილდება. ამ დაავადებას ჰეტეროკრანია ჰქვია და არ შეიძლება მისი მარტივ დაავადებად ჩათვლა... იგი უსიამოვნო და საშიში სიმპტომებით ჩნდება... გულის რევის შეგრძნება, პირ-ღებინება, გულყრა... ავადმყოფი შეშდება, განიცდის სიმძიმეს და შფოთვას თავის არეში; ცხოვრება ხდება ტვირთი. ასეთი ავადმყოფები გაურბიან სინათლეს, თითქოს სიბნელე ტანჯვას ამსუბუქებს; მათ აღიზიანებთ რაიმე სასიამოვნოს ყურებაც და სასიამოვნო სიტყვების მოსმენაც... ავადმყოფები იტანჯებიან ცხოვრებით და სიკვდილი სურთ”.[1]

შაკიკი – ნევროლოგიური დაავადება, რომლის ხასიათობრივ სიმპტომად ითვლება ეპიზოდური ან რეგულარულად ძლიერი თავის ტკივილის შეტევები ძირითადად თავის ერთ ნაწილში. დიფერენცირებული დიაგნოსტირებისას დგინდება, რომ სახეზე არ არის სერიოზული თავის ტრავმები, ინსულტი, ტვინის კიბო, ხოლო პულსირებადი ინტენსიური ხასიათის ტკივილები გვაფიქრებინებს სისხლძარღვების თავის ტკივილზე და არა დაძაბულობის თავის ტკივილზე. თავის ტკივილი შაკიკის დროს არ არის დაკავშირებული არტერიული წნევის უეცარ მომატებასთან ან პირიქით, უეცარ დავარდნასთან.

შაკიკით ავადდება პოპულაციის დაახლოებით 15%; (10 % -დიაგნოსტირებული პაციენტები; 5% არადიაგნოსტირებული ან არასწორად დიაგნოსტირებული პაციენტები). ავადმყოფობის სიმძიმე იყოფა იშვიათ (რამდენიმეჯერ წელიწადში), შედარებით მსუბუქ და შედარებით მძიმე შეტევებად.

შაკიკის შეტევის ტიპიური კლინიკური გამოვლინებები, - პერიოდულობა, ავადმყოფობის მომასწავლებელი სინდრომები (მხედველობითი დარღვევები, დროდადრო პარესთეზიისა და მეტყველებითი დარღვევები. ის, რომ ტკივილი ყოველთვის ერთმხრივია, შეინიშნება ფოტოფობია, ღებინების შეგრძნება, (ღებინება აადვილებს დიაგნოზის დასმას). შაკიკის სხვა ხასიათობრივი თავისებურებაა ის, რომ შეტევის შემდეგ ავადმყოფი თავს აბსოლუტურად ჯანმრთელად გრძნობს. ყველა ეს ტიპიური თავისებურება ამარტივებს შედარებით კლინიკურ კვლევებს ავადმყოფებთან. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ამ დაავადებას ფსიქოსომატური კვლევებისთვის ხელსაყრელს ხდის არის ის ფაქტი, რომ შეტევები ხშირად ვითარდება და უცაბედად სრულდება. ეს საშუალებას იძლევა საფუძვლიანად გამოკვლეულ იქნას, როგორც შაკიკის შეტევის გამომწვევი, ისე შეწყვეტის ფაქტორები.

ფიზიოლოგიური მექანიზმები

ითვლება, რომ შაკიკის დროს ტკივილის ერთ-ერთი მიზეზი სისხლძარღვების დაჭიმულობაა. ეს მოსაზრება დამტკიცებულია გრეჰემისა და ჰ. ვულფის ექსპერიმენტული კვლევებით, რომლებმაც გვიჩვენეს, რომ ტკივილის შეგრძნების საფუძველი თავსის ქალის არტერიების დაჭიმულობაა. ამით აიხსნება ერგოტამინის ტარტრატის სპეციფიური სამკურნალო მოქმედება (თერაპიული ეფექტი), რომელიც სისხლძარღვების შევიწროვებას იწვევს.

მკვლევარების უმეტესობა თვლის, რომ ჰისტამინური (ჰისტამინი – ნივთიერების დასახელება რომელიც არის ალერგიული რეაქციების ხელშემწყობი, წარმომქმნელი), ალერგიული წარმოშობის თავის ტკივილების მექანიზმიც ასეთივეა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მექანიზმი ერთმანეთს ჰგავს, ამ ორ თავის ტკივილის ტიპს შორის მაინც არის შესამჩნევი განსხვავებები. ტკივილის ბუნება და გავრცელება განსხვავებულია; ჰისტამინური თავის ტკივილი ყოველთვის ორმხრივია და სუბიექტურად აღიქმება, როგორც უფრო ღრმა ტკივილი. შაკიკის შეტევის დროს ერგოტამინის ტარტარის მოქმედება ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ალერგიის დროს. ვულფი ამას იმით ხსნის, რომ ჰისტამინი მოქმედებს ინტრაცერებრალურ არტერიებზე მაშინ, როცა ერგოტამინის ტარტრატი უმთავრესად საძილე არტერიების გარეგან შტოზე ზემოქმედებს.

ითვლება, რომ დაავადების გამომწვევი სიმპტომები, მხედველობის დარღვევა და პარესთეზია განისაზღვრება სისხლძარღვთა პირველადი სპაზმით; სპაზმით, რომელიც ტკივილის შეტევას იწვევს. ვულფის აზრით, სისხლძარღვების გაფართოვება ზეკომპენსირებადი რეაქციაა მათ პირველად შეკუმშვაზე. ფ. ალექსანდერის აზრით კი, სისხლძარღვების გაფართოვება შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებზე სულაც არ იყოს დამოკიდებული. ამაზე ის დაწვრილებით თავის ნაშრომში "ფსიქოსომატური მედიცინა" საუბრობს.

ემოციური ფაქტორები

ბევრი ავტორი ამტკიცებს, რომ შაკიკის ეტიოლოგიაში უმნიშვნელოვანეს როლს ემოციური ფაქტორები ასრულებენ. ეს კვლევები ნაწილობრივ შაკიკის გამომწვევ ფაქტორებს ეხება, ნაწილობრივ კი შაკიკისკენ მიდრეკილი პაციენტების პიროვნულობის ტიპიურ თავისებურებებს.

ტიუნერმა და დრეიპერმა შაკიკით დაავადებულ ავადმყოფებში "კონსტიტუციური" პიროვნების ტიპი გამოყვეს. ფიზიკურად მათ თანდაყოლილი აქვთ აკრომეგალოიდური (აკრომეგალია - სხეულის ნაწილებისა და ორგანოების არაპროპორციული ზრდა) ნიშან-თვისებები. რაც შეეხება პიროვნულობას, მათთვის დამახასიათებელია ემოციური განვითარების შეფერხება, მაგრამ ამასთან ერთად მაღალი ინტელექტი. ხშირად შეინიშნება არსებითი სირთულეები სექსუალურ ადაპტაციაში. ტიუნერის და დრეიპერის თანახმად, შაკიკის თავის ტკივილები პირველად მაშინ ჩნდება, როცა ასეთი ადამიანები კარგავენ ოჯახზე დამოკიდებულების განცდას და ეჯახებიან დამოუკიდებელი ცხოვრების პასუხისმგებლობას. აღინიშნება უკიდურესი მიჯაჭვულობა დედასთან, რომლისგან გათავისუფლებაც მათ უბრალოდ არ შეუძლიათ.

შაკიკით დაავადებულ ავადმყოფებში შემდეგი პიროვნების ტიპი – "ფარისევლური" - ოლგა კნოფმა გამოყო. მან 30 პაციენტი აქედან (22 ქალი) გამოიკვლია. პიროვნების ამ ტიპში ერთიანდებიან ადამიანები, რომელთაც ახასიათებთ: პატივმოყვარეობა, ჩაკეტილობა, სიმშვიდე, სიამაყე, მგრძნობიარობა, დესპოტურობა და იუმორის გრძნობის არქონა. კვლევაში მონაწილე ყველა ქალი ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში ნაკლებად იყო ადაპტირებული.

აღსანიშნავია, რომ არც ტიუნერი და დრეიპერი და არც კნოფი საკუთარ აღწერებში უფრო ღრმად არ მიდიან. ისინი არ ცდილობენ გამოავლინონ ძირითადი ფსიქოდინამიური პატერნები.

უფრო დიდ ინტერესს იწვევს ფრომ-რაიჰმანის საფუძვლიანი კვლევა, რომელიც ინტენსიური ფსიქოთერაპიის მეთოდით შაკიკით დაავადებულ 8 პაციენტს მკურნალობდა. ავტორი საუბრობს შაკიკით დაავადებულ პაციენტთა შემდეგ თავისებურებაზე: ავადმყოფებს თავდაპირველად მტრული და შურის შემცველი იმპულსები უჩნდებათ ინტელექტით გამორჩეული ადამიანების მიმართ, რაც შემდეგ გადაიზრდება საკუთარი თავისკენ მიმართულ დანაშაულის განცდაში.

ჰაროლდ ვულფს შაკიკის შეტევების ფიზიოლოგიის კუთხით ძალიან ბევრი ნაშრომი აქვს წარმოდგენილი. მან შაკიკით დაავადებულ პაციენტების პიროვნული ნიშნების გამოსაკვლევად საფუძვლიანი კვლევები ჩაატარა. ვულფმა გამოყო კომპულსური პიროვნების ტიპი. ამ ტიპის ნიშნებია: პერფექციონიზმი, პატივმოყვარეობა, შეჯიბრების გადაჭარბებული ტენდენცია, რიგიდულობა, პასუხისმგებლობის გადანაწილების უუნარობა. ვულფის თანახმად, ასეთი ავადმყოფებისთვის დამახასიათებელია გულისწყრომა, რომელიც საკუთარ თავზე აღებული პასუხისმგებლობის ვერგამკლავების და საკუთარი პერფექციონისტული ამბიციების შესაბამისად ცხოვრების ვერქონის შედეგია. ფრუსტრაციის ეს მდგომარეობა იწვევს დაძაბულობას და დაღლილობას ვიდრე რომელიღაც გარეგანი მოვლენა არ გააძლიერებს ყოველთვის უკვე მზად მყოფ გულისწყრომას და შაკიკის შეტევას არ გამოიწვევს.

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა გ. სელინსკი. იგი ასევე ხაზს უსვამდა ,,ბრძოლას, წყენასა და შფოთვას". შეტევა იწყება მაშინ, როცა ადამიანი ეჯახება ამოცანას, რომლის ამოხსნაც მის ძალებს აღემატება.

ბევრი კლინიკური მონაცემი მოწმობს იმას, რომ შაკიკით დაავადებულებისთვის დამახასიათებელია ზედაპირული ურთიერთობები. (ტიპიურია კომპულსური პიროვნების ტიპისთვის).

უფრო მეტად შთამბეჭდავია ის ფაქტი, თუ რამდენად ერთგვაროვანია შაკიკის გამომწვევი ემოციური ფაქტორები.

შაკიკის თავის ტკივილის შესახებ პუბლიკაციების უმეტესობაში საუბარია ჩახშობილ ან შევიწროვებულ მტრულ იმპულსებზე. შაკიკით დაავადებულ პაციენტებთან მომუშავე ფსიქოანალიტიკოსებს ფსიქოლოგიური სეანსების დროს საშუალება აქვთ დააკვირდნენ შაკიკის შეტევის დაწყებასა და დასრულებას. შაკიკის შეტევის პროვოცირებას როგორც წესი, შეკავებული, გამოუხატავი მრისხანება იწვევს. გასაოცარია ის ფაქტი, რომ შაკიკის შეტევა წყდება მაშინვე, როგორც კი პაციენტი აცნობიერებს თავის გამოუხატავ მრისხანებას და აძლევს მას გამოხატვის საშუალებას.

ასეთი დაკვირვებები მცირე ეჭვს თუღა ბადებს იმაში, რომ გამოუხატავი მრისხანების იმპულსებს პირდაპირი და სპეციფიური კორელაცია აქვთ შაკიკის შეტევებთან. შაკიკით დაავადებული ადამიანების კიდევ ერთი მიდრეკილებაა შეიკავონ მტრული იმპულსები. ამით აიხსნება, მაგალითად ის რომ შაკიკით დაავადებული ადამიანები კონოფის მიერ აღწერილი "ფარისევლური" ტიპის ან ვულფის მიერ ხსენებული კომპულსური პიროვნების ტიპის მსგავსად ჩვეულებრივ დაძაბული, ემოციურად შეკავებულები არიან.

გამოუხატავი მტრული დამოკიდებულება სხვადასხვა ტიპის ადმიანებში გვხვდება. ეს საკითხი ფსიქოსომატური კვლევის თვალსაზრისით, ხაზს უსვამს სპეციფიურობის საკითხის მნიშვნელობას. აქტუალურად დგება საკითხი, რომელი სპეციფიური ფსიქოდინამიური ფაქტორები არიან პასუხისმგებელნი იმაზე, თუ რომელი გამოუხატავი ემოციების მქონე ადამიანს განუვითარდება ჰიპერტონია, ართრიტი თუ შაკიკი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შაკიკს ბევრი საერთო აქვს ერთი მხრივ ჰიპერტონიასთან, მეორეს მხრივ კი ეპილეფსიასთან. თავის ტკივილი ხანდახან ჰიპერტონიის მეორად სიმპტომად გვევლინება. ასეთ დამთხვევას შესაძლოა ჰქონდეს, როგორც კონსტიტუციური, ისე ფსიქოდინამიური საფუძველი. სამივე ავადმყოფობაში – ეპილეფსია, ჰიპერტონია და შაკიკი – მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დესტრუქციული, მტრული იმპულსები.

ფროიდის მიხედვით, პაციენტებთან ეპილეფსიური შეტევისას სახეზეა არა კოორდინირებული, დესტრუქციული იმპულსების განმუხტვა, რასაც პაციენტი ხშირად მიჰყავს თვითმკვლელობის აზრამდე. ზოგჯერ შაკიკის შეტევა ეპილეფსიის ექვივალენტადაც შეიძლება აღმოცენდეს.

რაც შეეხება ფსიქოდინამიური ფაქტორების სპეციფიურობას, უმეტესი მნიშვნელობა მტრული იმპულსების ბუნებას ენიჭება. აგრესიის მთლიანად დასრულებულ აქტს სამი ფაზა აქვს. თავიდან ხდება აქტის წარმოსახვაში მომზადება: მისი დაგეგმვა და აზრობრივი წარმოდგენა. ეს კონცეპტუალური ფაზაა. მეორე ფაზა სხეულის ვეგეტატური (ავტონომიური) მომზადებაა მოქმედების კონცენტრირებისთვის - ნივთიერებათა ცვლის ცვლილება და სისხლში გადანაწილება. აგრესიის დროს სისხლი დიდი რაოდენობით მიედინება კუნთებში, ფილტვებსა და ტვინში. ეს ვეგეტატური (ავტონომიური) მომზადების ფაზაა. ბოლოს, დგება ნეიროკუნთოვანი ფაზა, კუნთების აქტიურობის შედეგად ყველაზე აგრესიული მოქმედების დასრულება ხდება.

სავსებით შესაძლებელია, რომ ფიზიკური სიმპტომების ბუნება (ხასიათი) ზემოთ აღნიშნულ ფაზებზეა დამოკიდებული. ფაზებზე, რომელიც ფოკუსირდება ან რომელშიც ფერხდება, კავდება მტრული აგრესიის მთელი ფსიქოფიზიოლოგიური პროცესი. თუკი შეკავება აგრესიული მოქმედების ფსიქოლოგიური მომზადებისას ხდება, ვითარდება შაკიკის შეტევა. თუკი ადგილი აქვს მეორე ფაზას, მოქმედების ვეგეტატურ მომზადებას და პროცესი შემდგომ აღარ გრძელდება, ამ პირობებში სისხლის ნაკადი კიდევ უფრო იზრდება. ეს შესაძლოა შაკიკის შეტევის ფიზიოლოგიური საწყისი იყოს.

კუნთობრივი ტონუსისა და სისხლის წნევის ზრდა ბრაზის სინდრომის სხვა კომპონენტებს წარმოადგენენ. მოცემული ჰიპოთეზა ხსნის იმ ფაქტს, რომ ჩახშობილ ბრაზზე ერთნი რეაგირებენ ერთი საერთო ფიზიოლოგიური ბრაზის სინდრომის კომპონენტებით, მეორენი კი ამ სინდრომის სხვა კომპონენტებით.

შაკიკის თერაპევტულ პრობლემას ორი ასპექტი აქვს – შეტევების აღმოფხვრა და მათი ხელახალი განმეორების თავიდან აცილება.

რაც შეეხება შეტევის შეწყვეტას, აქ ეჭვგარეშეა ერგოტამინის ტარტრატის თერაპევტიული ეფექტურობა, რომელიც განპირობებულია სისხლძარღვების შემავიწროვებელი მოქმედებით.

ყველაზე სერიოზული პრობლემა შეტევის პრევენციისას დაკავშირებულია ტვინის სისხლის მიმოქცევის ლოკალური დარღვევების მიზეზების გაბათილებასთან.

მარკუსენი და ვულფი აღწერენ კარგ შედეგებს თავიანთ პაციენტებთან, რომლებმაც კონსულტირების გზით შეძლეს გარემოსთან ადაპტაცია. ისინი პაციენტებს დაეხმარნენ იმ პირობების გაცნობიერებაში, რომლებმაც საბოლოოდ, მათ უბიძგეს ცხოვრების წესის, პროფესიული საქმიანობის, დასვენების და პიროვნული ურთიერთობების ცვლილებისაკენ.

ყველაზე ღრმა თერაპევტიული მიდგომა, როგორც ფ. ალექსანდერი ამბობს, ფსიქოანალიზური მიდგომაა. აქ ცდილობენ გადაწყვიტონ ძირითადი კონფლიქტები და შეცვალონ პაციენტის უნარები ემოციურ კონფლიქტებთან (ნაწილობრივ არაცნობიერ მტრულ იმპულსებთან) მიმართებაში. ამ მიდგომით იმუშავეს ფრომმა და რაიხმანმა და მათი რვა პაციენტიდან უმეტესობას დამაკმაყოფილებელი შედეგი ჰქონდა.[1]

შაკიკი აურასთან მიმართებაში

ბევრმა შაკიკით დაავადებულმა ადამიანმა იცის, რომ თავის ტკივილი ჩნდება მაშინ, როცა „აურა“ მოდის. ეს არის გაფრთხილება, რომ დროა მივიღოთ წამალი.

გაელვებადი ცეცხლები, დახვეული ხაზები, ხმაური ყურებში – ბევრისთვის ეს და სხვა შეგრძნებები ცნობილია, როგორც „აურა“. – სიგნალი რომ შაკიკის შეტევა დაიწყება. მაგრამ სანამ აურა სულიერად მოიცავს ადამიანს, იგი ერთგვარი გამაფრთხილებელი ნიშანია, რომ ავადმყოფმა საჭირო ზომებს – მაგალითად, მედიკამენტის მიღებას მიმართოს. ამან შესაძლოა შაკიკი მის დაწყებამდე შეაჩეროს.

შაკიკით დაავადებული ადამიანების სადღაც 30 %-ს ექიმები „შაკიკს აურით“ უწოდებენ. ეს ადამიანები განიცდიან ვიზუალურ ან სხვა სენსორულ დარღვევებს 5 წთ-დან 60 წთ-მდე ადრე შაკიკის შეტევამდე.

აურას, რომელიც წინ უსწრებს შაკიკს, ადამიანები ამ დროს ხედავენ: ტალღოვან ან დაკბილულ ზიგზაგის ხაზებს, მოელვარე ნათებას, ბრმა ლაქებს ან სახეზეა: მხედველობის ნაწილობრივი დაკარგვა; ძირითადი ობიექტების ზომის, ფორმის და ადგილმდებარეობის დამახინჯებები, ფიზიკური ცვლილებები.

არის თუ არა საშიში შაკიკის აურა?

ზოგიერთი მკვლევარი ასე არ ფიქრობს. მეცნიერები, რომლებიც აკვირდებიან შაკიკის აურით დაავადებული ადამიანების ტვინის გამოსახულებებს, ფიქრობენ, რომ აურა ელექტრული ფენომენია, ტვინის ნერვებთან ერთად. ექნება თუ არა შაკიკით დაავადებულ ადმაიანს შაკიკის აურა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მგრძნობიარე ნერვული უჯრედები აქვს მას.

როდესაც განსაკუთრებით მგრძნობიარე ნერვული უჯრედები განმეორებითად სტიმულირდებიან მოელვარე ნათებისგან, დროთა განმავლობაში სტიმულაცია სულ უფროდაუფრო იზრდება. ამიტომ, როცა ნერვული უჯრედები იწყებენ „სროლას“, იწვევენ მოქმედებას, რომელსაც ვიზუალურ ან სხვა დარღვევებამდე მივყავართ. ამგვარად, აურა აფრთხილებს ადამიანს, რომ შაკიკი „მოდის“.[2]

პიროვნების სურათი შაკიკის დროს

შაკიკი და გენიალურობა

ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად ვ.პ. ეფროიმსონი, ავტორი წიგნისა „გენიალურობა და გენეტიკა“, თვლის, რომ ნიკრისის ქარი, მარფინის სინდრომი და სხვა დაავადებები შემოქმედებითი ნიჭის თანმხლებნი არიან. ცნობილია, რომ ასეთი დაავადებების დროს ორგანიზმი გამოიმუშავებს გადაჭარბებული რაოდენობის ნივთიერებებს, რომელთაც ფსიქოსტიმულირებადი ეფექტი აქვთ. არ არის გამორიცხული, რომ ამ ნივთიერებების მეშვეობით შემოქმედებითი ამოცანები უფრო წარმატებულად ხორციელდება.

შესაძლებელია, რომ შაკიკი გენიალურობასთან იყოს კავშირში. შაკიკით დაავადებული გამორჩეული პიროვნებების სია მართლაც რომ გაგვაოცებს: იულიუს ცეზარი, ალექსანდრე მაკედონელი, პონტოელი პილატე, პეტრე I, დარვინი, ბეთჰოვენი, ჩაიკოვსვი; შოპენი, ვაგნერი, მარქსი, ჩეხოვი, გი დე მოპასანი, ნიცშე, ნაპოლეონი, დოსტოევსკი, გოგოლი, კალვინი, პასკალი, რაღა თქმა უნდა, ფროიდი ... ქალებიდან - შარლოტა ბრონტე, ელიზაბეტ I ტიუდორი, ვირჯინია ვულფი. [1]

ეს ადამიანები პიროვნულად საქმიანი, წარმატებაზე ორიენტირებულნი არიან და შესაბამისად მიზანს აღწევენ; მათ ახასიათებთ არაორდინალურობა, ნათელი გონება, შორსმჭვრეტელობა და აქტიურობა.

თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა ადამიანი, ვისაც შაკიკი აქვს, ერთნაირი პიროვნების ტიპისაა. სინამდვილეში, შაკიკი სავსებით ჩვეულებრივ ადამიანებსაც ემართებათ. ამასთანავე, ითვლება, რომ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებს უფრო აქვთ ეს დაავადება, ვიდრე მათ, ვინც მსუბუქად უყურებს ცხოვრებისეულ პრობლემებსა თუ უსიამოვნებებს. ასევე, ავადმყოფობის პიკი 40 წელი - შემოქმედებითად ყველაზე ნაყოფიერი ასაკია. შემდეგ ასაკობრივ ეტაპზე შეტევების სიხშირე და სიმძიმე თანდათან მცირდება და 50 წლის შემდეგ შაკიკი იშვიათად გვხვდება.

მაგრამ არსებობს კი პირდაპირი კავშირი ხასიათის ნიშნებსა და შაკიკს შორის? ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე ჯერ-ჯერობით არ არის. შაკიკით დაავადებულ ადამიანებში გამოვლენილია ხასიათის რამდენიმე საწინააღმდეგო ნიშანი. იმის მიუხედავად, რომ უმეტესობა მათგანი საქმიანი და აქტიური პიროვნებაა, რომელიც თვითდამკვიდრებისკენ ისწრაფვის, ამავდროულად ცდილობს პასუხისმგებლობისგან გაქცევას და ეშინია წარუმატებლობის. როგორც წესი, ეს ადამიანები ძალიან მომთხოვნი არიან საკუთარი თავის მიმართ, თვითკრიტიკულები არიან და ძალიან მტკივნეულად განიცდიან მათი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას. თუმცა, არასდროს აძლევენ საკუთარ თავს უფლებას სხვები აკრიტიკონ. ისინი ასევე, არასდროს ეუბნებიან სხვას დახმარებაზე უარს. მაშინაც კი, თუ მათ ეს პიროვნულ ზიანს მიაყენებს. თავიანთ მოთხოვნილებებზე კი თითქმის ყოველთვის დუმან და ღიად არ საუბრობენ.

ამგვარად, შაკიკით დაავადებული ადამიანის განზოგადებული პიროვნული პორტრეტი დაახლოვებით ასეთია: ეს არის აქტიური პიროვნება, დისციპლინირებული, პასუხისმგებლიანი, წარმატებისკენ მიმავალი.

ამავდროულად, შინაგანად საკუთარ თავში დაურწმუნებელი ადამიანი, მორცხვიც კი, რომელსაც სირთულეების ეშინია და ცდილობს გაექცეს მათ. ფსიქოლოგების აზრით, სწორედ ეს ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები და მათ განსხვავებულ დონეებს შორის შეუთანხმებლობა წარმოადგენენ ამ დაავადების საფუძველს.

თავის ტკივილით დაავადებული ტიპიური პაციენტი, როგორც თავის ნაშრომებში ვულფი აღნიშნავდა (1948) - ეს არის პასუხისმგებლობის მქონე, პატიოსანი, აკურატული, მუდმივად

წარმატებაზე ორიენტირებული ადამიანი, რომელიც „ეცემა“ მაშინ, როცა თითქმის უკვე აღწევს მიზანს. თავის ტკივილით დაავადებული პაციენტების მაღალ ინტელექტუალიზმს თითქმის ყველა ავტორი აღნიშნავს, და ამასთანავე მიუთითებს სუსტად განვითარებულ ემოციურ სფეროზე. ლოჩი (1965) ამბობს, რომ ალბათ „საჭიროა აზროვნებდე შედარებით მაღალ დონეზე, რათა გახდე თავის ტკივილით დაავადებული პაციენტი.“

ჰაასმა და ბეკმა შაკიკით დაავადებულ პაციენტებში შენიშნეს მომატებული მგრძნობელობა ნარცისტულ „ტრავმებსა“ და ნარცისტულ დაუცველობაზე. მათ შაკიკის ინტერპრეტაცია მოახდინეს, როგორც მცდელობა აღადგინო თავდაპირველი ეგო, რათა დაიცვა იგი ფრაგმენტაციისა თუ ფსიქიკური დეკომპენსაციისგან. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფსიქოგენური ტკივილის გაგებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: ნარცისტული და კონვერსიული მექანიზმები, რესომატიზაცია და კოგნიტური მექანიზმები. მკვლევარები შეეცადნენ ფსიქოდინამიური კონცეფციებისა და თავის ტკივილის თანამედროვე კვლევების ინტეგრირებას.

თანამედროვე მკვლევარები ასევე მისდევენ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ტკივილი შაკიკისას ფსიქიკური სიმპტომია, რადგან ორგანული ცვლილებები უმეტეს შემთხვევებში არ შეინიშნება. ამასთანავე, სიმპტომის გაშიფვრა ხანდახან ნამდვილ სირთულესთანაა დაკავშირებული. როგორც მაკდუგალი ამბობს, ზოგიერთი ფსიქოსომატური პაციენტი ჯიუტად ვერ/არ ხედავს კავშირს ფსიქოსომატურ და ფსიქოლოგიურ მანიფესტაციებს (გამოვლინებებს) შორის. ამგვარად, საფრთხეზე მიმანიშნებელი ფიზიკური და ფსიქიკური სიგნალები, აბსოლუტურად ამოგდებულნი არიან მათი მეხსიერებიდან. მძაფრი მოგონებები პრაქტიკულად არ ფიქსირდება, განდევნილნი ან უარყოფილნი არიან და ამგვარად ქვეცნობიერად დარეგისტრირებული, როგორც ეს ნევროტულ ფსიქიკურ სტრუქტურებში ხდება.

ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეხსიერება, ფანტაზიები – ყველაფერი, რაც ფსიქიკური ფუნქციების სახითაა წარმოდგენილი – აქვს დიდი მნიშვნელობა შაკიკის ფორმირებაში.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ფსიქოსომატური დაავადებები იძენენ დამატებით მნიშვნელობებს – მეორად სარგებელს. ფიზიკურ ტანჯვას, რომელსაც ისინი იწვევენ, ხშირად კომპენსირდება გაუცნობიერებელი რწმენით, რომ დაავადება ასრულებს დამცავ ფუნქციას; მაგალითად, სხეულის საზღვრებს განსაზღვრავს. ამგვარად, სხვებთან აფექტური ურთიერთზემოქმედებისას აღრევის შიშები (ქვეცნობიერი შეხსენება დედა-ახალშობილის ურთიერთობების დარღვევაზე და შიშზე რომ დედა ან „გადაგყლაპავს“, (ჰიპერმზრუნველი) ან მიგატოვებს) სუსტდება.

შეტევები ყველაზე მეტად გვხვდება მაშინ, როცა სახეზეა ინტენსიური ძალისხმევა, ხდება გარკვეული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება ან საჭიროა წინასწარ განსაზღვრული მიზნის ან მიზნების მიღწევა, გარკვეული მოთხოვნების შესრულება. ამ სიტუაციისთვის დამახასიათებელი გამონათქვამებია: „მე ეს უნდა გამეკეთებინა“; „მე დროში უნდა მოვასწრო“; „მე შუადღემდე ათასი საქმე უნდა მოვილიო“; „მე ვცდილობ ყველა საქმე დავალაგო“.

ვულფმა გამოყო შაკიკით დაავადებული ადამიანების პიროვნული თვისებები, როგორიცაა მაგალითად, აკვიატებული იდეები, პერფექციონიზმი, სოციალური ამბიციის გამოხატულება. ალექსანდერმა, ფრომ-რეიჰმანმა და შაფერმა ჩამოაყალიბეს "შაკიკით დაავადებული პიროვნების ტიპაჟი." შაფერი ამტკიცებდა, რომ ასეთი ადამიანების პიროვნული თავისებურებები ეგზიტენციალური შიშებისგან იცავს მათ. ალექსანდერი თვლიდა, რომ შაკიკი აგრესიული ემოციების შეკავებას უწყობს ხელს. ამგვარად, შაკიკი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვეგეტატიური ნევროზი.

კვლევა და შედეგების ანალიზი

მთელ რიგ ფიზიოლოგიურ პროცესებზე ფსიქოლოგიური ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას. თანამედროვე ფსიქოსომატური მედიცინის კუთხით დაავადებათა უმრავლესობა ფსიქოსომატურ დაავადებებად განიხილება. მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორთა როლი დაავადებათა მანიფესტაციაში, მით უფრო იმ დაავადებათა შემთხვევაში, სადაც მედიცინა ორგანულ დარღვევებზე ვერ საუბრობს. ასეთი ტიპის დავადებათა რიგში შაკიკი ერთ-ერთი პრიორიტეტულია.

ჩვენი კვლევის **მიზანს** სწორედ შაკიკით დაავადებულ პაციენტთა ფსიქოსომატური მახასიათებლების კერძოდ ალექსითიმიურობის და არაერთი მკვლევარისთვის საინტერესო აგრესიის მაჩვენებლის ურთიერთ მიმართების შესწავლა წარმოადგენს.

კვლევის ამოცანები:

1) შაკიკით დაავადებულ პაციენტთა ალექსითიმიურობის მაჩვენებლის განსაზღვრა;

2) შაკიკით დაავადებულ პაციენტთა აგრესიულობის მაჩვენებილის და მისი გამოვლენის ფორმის დადგენა;

3) ალექსითიმიურობისა და აგრესიულობის ხარისხის ურთიერთმიმართების დადგენა შაკიკით დაავადებულ პაციენტებთან.

კვლევა ჩატარდა 20 ცდის პირზე (პაციენტზე), სამედიცინო თვალსაზრისით, დიაგნოსტირებულ პაციენტებზე; აქედან 18 ქალი და 2 მამაკაცი. კვლევისას გამოყენებულ იქნა 26 პუნქტიანი ტორონტოს ალექსითიმიის სკალა (მეთოდი აპრობირებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუში ლ. არუთინოვას მიერ) და ბასისა და დარკის აგრესიული და მტრული რეაქციების გამოსავლენი კითხვარი (მეთოდი აპრობირებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუში).

მოკლედ ალექსითიმიის შესახებ

ალექსითიმია - (ბერძნ. ἀ - უარყოფის აღმნიშვნელი წინსართი, λέξις - სიტყვა, θυμός - გრძნობა, სიტყვასიტყვით „უსიტყვოდ გრძნობებისთვის“).

ალექსითიმიის ტერმინით, უწინარეს ყოვლისა, აღინიშნება ემოციების სიმწირე, ემოციური მდგომარეობების იდენტიფიკაციის, გამოხატვისა და განსაზღვრის სირთულე, რასაც თან ერთვის წარმოსახვისა და სიმბოლიზაციის ფუნქციის დეფიციტი, რეფლექსიის უუნარობა. ემოციების წვდომისა და გაცნობიერების სიძნელე შეიძლება გამოვლინდეს, როგორც საკუთარი გრძნობებისა და ფიზიკური შეგრძნებების ერთმანეთისგან დიფერენცირების უნარის დაქვეითებაში, აგრეთვე გარე სამყაროსთან ემოციური კავშირების შეზღუდულობაში, ვინაიდან საკუთარი ემოციების გაგებისა და წვდომის უუნარობა აფერხებს სხვათა განცდებსა და გრძნობებში გარკვევას, მათდამი ემპათიის გამოვლენას. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მის ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან და ხელს უშლის ადეკვატურ რეაგირებას სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებში.[1]

უფრო ზუსტად რომ ჩამოვაყალიბოთ, ალექსითიმია პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათებაა, რომელიც შემდეგ თავისებურებებს მოიცავს:

- საკუთარი და სხვათა ემოციების განსაზღვრის და აღწერის (ვერბალიზაციის) სირთულე;
- ემოციებისა და სხეულებრივი შეგრძნებების ერთმანეთისგან განსხვავების სირთულე;
- სიბოლოზიაციის უნარი; კერძოდ ფანტაზიაში.
- გარემო მოვლენებზე ფოკუსირება შინაგანი შეგრძნებების საზიანოდ;

- ემოციური რეაქციების დეფიციტის დროს ლოგიკური, უტილიტარული და კონკრეტული აზროვნებისკენ მიდრეკილება.

მოპოვებული მასალის შედეგები და ანალიზი:

ტორონტოს ალექსითიმიის სკალით (TAS) მოპოვებული მონაცემებიდან ყურადღებას იქცევს შემდეგი მახასიათებლები, კერძოდ: შაკიკით დაავადებულ პაციენტთა ალექსითიმიურობის ზოგადი მაჩვენებელი 74,05-ია მაშინ, როცა საკონტროლო ჯგუფში ნორმა 67,46-ია. სენზიტიურობის სკალის

მაჩვენებელზე პაციენტებთან მონაცემი 45,65-ია, საკონტროლო ჯგუფის ნორმა კი 39,5-ია. რაც შეეხება ფანტაზიისა და კოგნიტურობის სკალის მიხედვით მაჩვენებლებს, ორივე მათგანი ნორმის ფარგლებშია.



აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ შაკიკით დაავადებულ პაციენტთა შემთხვევაში, სახეზეა ალექსითიმიურობა. კერძოდ, მისი მახასიათებელი ოთხი ძირითადი ნიშნიდან წამყვანია ემოციების გამოხატვის უნარის შეზღუდულობა, ვერბალური და არავერბალური სიმბოლოების ერთმანეთთან დაკავშირების უნარის არქონა და ემოციური მდგომარეობის იდენტიფიკაციის პრობლემა, რომელიც ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად გვევლინება ალექსითიმიის ცნებასთან მიმართებაში.

ბასისა და დარკის აგრესიული და მტრული რეაქციების გამოსავლენი კითხვარის მონაცემთა მიხედვით მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები:

I.	**ფიზიკური აგრესია**	-	5.1	-	**საშუალო დონე ჩვენი კლასიფიკაციით**
II.	**ირიბი აგრესია**	-	6.1	-	**საშუალო დონე ჩვენი კლასიფიკაციით**
III.	**გაღიზიანება**	-	6.2	-	**საშუალო დონე ჩვენი კლასიფიკაციით**
IV.	**ნეგატივიზმი**	-	3.5	-	**მაღალი დონე ჩვენი კლასიფიკაციით**

V.	წყენა	-	4.0	-	საშუალო დონე ჩვენი კლასიფიკაციით
VI.	ეჭვიანობა	-	6.6	-	მაღალი დონე ჩვენი კლასიფიკაციით
VII.	ვერბალური აგრესია	-	7.6	-	საშუალო დონე ჩვენი კლასიფიკაციით
VIII.	დანაშაულის გრძნობა	-	3.8	-	საშუალო დონე ჩვენი კლასიფიკაციით



მონაცემებიდან ყურადღებას იქცევს შემდეგ სკალათა მონაცემები: IV სკალა - ნეგატივიზმი, VI სკალა - ეჭვიანობა.

აღნიშნული სკალები წამყვან მახასიათებლებად შეიძლება ჩაითვალოს შაკიკით დაავადებულ პაციენტებთან.

ზემოთაღნიშნულ პაციენტთა მონაცემებიდან გამომდინარე, აგრესიის სკალის მიხედვით, სახეზეა ნეგატივიზმი - ქცევის ოპოზიციური მანერა პასიური წინააღმდეგობიდან აქტიურ ბრძოლამდე არსებული კანონებისა თუ წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ და ეჭვიანობა - ეჭვიანობა – ადამიანებთან მიმართებაში უნდობლობისა და სიფრთხილის გამოვლენა და იმის რწმენა, რომ სხვები ზიანის მიყენებას აპირებენ, ან გეგმავენ.

კორელაციები ტორონტოს ალექსითიმიის სკალასა (TAS) და ბასისა და დარკის აგრესიული და მტრული რეაქციების გამოსავლენ კითხვარს შორის

სტატისტიკურად სანდო კავშირი დადგინდა:

ალექსითიმიის ზოგად მაჩვენებელსა (0,446) და აგრესიის კითხვარის ეჭვიანობის სკალის მაჩვენებელთან მიმართებაში.

უარყოფითი კავშირი (-0,550) დაფიქსირდა ასაკსა და ალექსითიმიას შორის. - ასაკთან ერთად ალექსითიმიურობის მაჩვენებელი კლებულობს.

ალექსითიმიის სკალის მიხედვით, სამივე სკალა ერთმანეთთან კორელაციაშია.

უარყოფითი კავშირი (-0,461) დაფიქსირდა ბასისა და დარკის კითხვარის გაღიზიანების სკალასა და ალექსითიმიის ფანტაზიის სკალასთან მიმართებაში.

სენსიტიური სკალის მაჩვენებელი, კერძოდ კი ემოციის გამოხატვის „სიმწირე“ ეჭვიანობასთანაა დადებით კავშირში (0,557).

მიღებული შედეგები

1. შაკიკით დაავადებულ პაციენტებთან ალექსითიმიურობისთვის დამახასიათებელი ნიშნებდიან მკვეთრად არის გამოხატული შემდეგი მახასიათებელი: ემოციების გამოხატვის უნარის შეზღუდულობა, ვერბალური და არავერბალური სიმბოლოების ერთმანეთთან დაკავშირების უნარის არქონა და ემოციური მდგომარეობის იდენტიფიკაციის პრობლემა.
2. შაკიკით დაავადებულ პაციენტებში სახეზეა აგრესიის მაღალი მაჩვენებელი. კერძოდ, გამოხატულია ეჭვიანობა და ნეგატივიზმი.

კვლევის შედეგად მიღებული ალექსითიმიურობის და აგრესიის მაჩვენებელი (არაპირდაპირ გამოხატული) მიუთითებს მკვეთრად გამოხატულ ფსიქოსომატურ ტენდენციაზე.

აღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთაშორისო კვლევებით მიღებულ მონაცემებს შაკიკის, როგორც ერთ-ერთ ფსიქოსომატურ პათოლოგიათა რიგში განხილვის თვალსაზრისით.

დასკვნა

კვლევის შედეგად, შაკიკით დაავადებულ ცდის პირებისთვის (პაციენტებისთვის) დამახასიათებელი ალექსითიმიურობა, არსებული აგრესიის მაჩვენებელი კი მიუთითებს მკვეთრად გამოხატულ ფსიქოსომატურ ტენდენციაზე.

ლიტერატურა

1. **Оливер Сакс**; Мигрень; Издание на русском языке AST Publishers, 2012, pp. 7-8
2. **Гаранян Н.Г**., **Холмогорова А.Б**. Концепция алекситимии (обзор зарубежных исследований) Социальная и клиническая психиатрия. № 1, 2003, стр.128-145
3. http://www.psychol-ok.ru/lib/alexander/pm/pm_01.html; **Александер Ф**. Психосоматическая медицина; Перевод с англ. А. М. Боковикова, В. В. Старовойтова под научн. ред. С. Л. Шишкина. М.: Институт Общегуманитарных Исследований, 2006
4. http://www.everydayhealth.com/headache-migraine/migraine-auras.aspx; By **Debra-Lynn B**. Hook Medically reviewed by Kevin O. Hwang, MD, MPH; 2012
5. http://www.medn.ru/statyi/migren-simptomy.html
6. http://psyhosomatika.blogspot.com/2011_09_01_archive.html
7. http://www.sbce.med.br/associados/index.php?option=com_mtree&task=viewlink&link_id=251&Itemid=496
8. **Хабиб О**. История медицины. Фрейд и мигрен: зарождение психодинамических взглядов на природу головной боли - http://www.all-psy.com/ru/books_download.php?id=551

Salome Sabiashvili, Tinatin Pantsulaia, Luiza Arutinova

Indicator of Aggressiveness And Alexitimy In Patients With Headache (Migraine)

Summary

At present, we can say that a number of physiological processes are influenced by psychological factors. Modern psychosomatic medicine considers most of diseases to be psychosomatic disorders. Role of variety of psychological factors is important to disease manifestations, especially in the case of diseases where the medicine is not able to speak about organic injuries. Migraine is one of the priority among the diseases of this type.

Our research aims study of psychosomatic characteristics in migraine patients, in particular alexitimy and interrelation of indicators of aggression, the issue very interesting for many of researchers.

Objectives of the study:

1) Investigate indicator of alexitimy in patients with migraine;
2) Detection of indicator and form of aggressiveness in migraine patients;
3) Detection of quality of interrelation of alexitimy and aggressiveness in migraine patients.

The study was conducted in 20 persons, medically diagnosed patients; among them 18 women and 2 men. In the study we used Toronto 26-point scale and Bass and Dark questionnaire to reveal aggressive and hostile reactions.

Outcomes:

1. The following characteristics of alexitimy are clearly reflected in migraine patients: limited ability to express emotions, lack of skill to relate verbal and nonverbal symbols with each other and failure to identify the emotional state.

2. In migraine patients we face high level of aggression. In particular, there is expressed jealousy and negativism.

Alexitimy and aggression rate (expressed indirectly) obtained in the study, indicate a clear trend of psychosomatic.

These data once again confirms the data of the international studies of migraine, as one of the foremost consideration in terms of psychosomatic pathologies.

მათემატიკა

ივანე წერეთელი
სპეციალური ტიპის ბერნშტეინის სიმრავლეები და ტოპოლოგიური სასრულობა

ჰამლეტ მელაძე, იულია მელაძე
არალოკალური საკონტაქტო ამოცანა მუდმივკოეფიციენტებიანი მეორე რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებისთვის

გიორგი მაქაცარია, ნინო მანჯავიძე
რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანა კარლემან-ვეკუას განტოლებისათვის პოლარული განსაკუთრებულობებით

თამაზ თევზაძე
კვაზიამოზნექილი კოეფიციენტებიანი ფურიეს ჯერადი მწკრივების ზოგიერთი თვისება

Ivane Tsereteli

Bernstein sets of special type and topological finiteness

1. Notations and Definitions

Term "space" means "topological space".

All spaces below are at least Hausdorff.

Symbol T_{SM} stands for the class of all separable and metrizable spaces.

A space is called topologically complete, if it admits an admissible complete metric.

T denotes the class of all separable, metrizable, topologically complete and uncountable spaces.

A subspace (subset) Y of a space (set) X is proper provided $Y \neq X$.

A topological space X is said to be topologically finite, if X is homeomorphic to no one of its proper subspaces ([8]). Otherwise we say that X is topologically infinite.

$|X|$ stands for cardinality of X.

c is the cardinality of continuum and $\aleph_0$ is the cardinality of the set of all natural numbers.

Ω_c is the first ordinal number having cardinality c.

For any space X and any its subspace Y, by $[Y]_X$ is denoted the closure of Y in X and by $\operatorname{int}_X Y$ is denoted the set of all inner points of Y (relative to X).

Any space homeomorphic to the Cantor middle-third subspace of the unite closed $[0;1]$ interval is called Cantor set.

A subset B of a space $X \in T$ is called Bernstein set (in X), or Bernstein subset of X, iff for every Cantor subset $K \subset X$ we have: $B \bigcap K \neq \varnothing$ and $(X \setminus B) \bigcap K \neq \varnothing$ (or equivalently, both B and $X \setminus B$, contain no Cantor set). Note that since every compact (in particular, every Cantor set) is topologically complete and since every uncountable topologically complete space contains a Cantor set (see e.g. [5; 1.5.12]) then a subset B of a space $X \in T$ is Bernstein set in X iff neither B nor $X \setminus B$ contains an uncountable topologically complete subspace. It is well-known that any space $X \in T$ contains a Bernstein subset (see e.g. [5; p.480 and Corollary 1.5.14]).

Remind that (see e.g. [3]) a subset A of a space X is nowhere dense (in X) iff $X \setminus [A]_X$ is dense in X. A subset A of a space X is called meager (in X) iff A can be represented as a countable union of nowhere dense subsets of X.

dim stands for the covering dimension function (for definition see e.g. [4], [6]).

Let $f : X \to Y$ be a mapping from a space (set) X to a space (set) Y and Y_1 be a subspace (subset) of Y with $f(X) \subset Y_1$. Then the mapping from X to Y_1, sending any point $x \in X$ to a point $f(x) \in Y_1$ is denoted by the same symbol f. If moreover f is an injection and $f(X) = Y_1 \subset Y$ then the mapping from Y_1 to X, sending any point $y \in Y_1$ to that (unique) $x \in X$ for which $f(x) = y$, is denoted by f^{-1}.

A mapping $f: X \to Y$ from a space X to a space Y is homeomorphic imbedding provided $f: X \to f(X)$ is homeomorphism.

If $f: X \to Y$ is a mapping of spaces (sets) and $X_1 \subset X$, then $f|_{X_1}: X_1 \to Y$ denotes the restriction of f over X_1.

Let $f: X \to Y$ be a mapping of spaces (sets) and $A \subset X$ be a (nonempty) subspace (subset) of X. Then f is identical (respectively, constant) on A provided $f(x) = x$ for any $x \in A$ (respectively, there is a point $y_0 \in Y$ such that $f(x) = y_0$ for all $x \in A$).

"Iff" is abbreviation for "If and only if".

We say that s space X has property (*), iff for any nonempty open subset U of X and any continuous mapping $f: U \to X$ the following holds: f is either identical on U or there exists a nonempty open subset $W \subset U$ such that f is constant on W).

The class of all spaces having property (*) is denoted below by the symbol $T_{(*)}$.

A topological space X is called strongly rigid (see [2]), iff the only homeomorphism of X into itself is the identical mapping of X onto X.

$\square$ denotes end of proof.

2. Introduction

The concept of topological finiteness is in definite connection with various kinds of topological rigidity. In particular, in [8; Remark 4.6] it is shown that the class of all strongly rigid spaces is contained in the class of all topologically finite spaces. Besides, in [8; 4.24] the following theorem is proved:

Theorem 1. For any $n \in \{0,1,2,...\} \bigcup \{\infty\}$ there exists a non strongly topologically rigid, topologically finite, separable and metrizable space X_n with $dimX_n = n$ and $|X_n| = c$.

Proof of Theorem 1 is essentially based on the Theorem 2 below, which was formulated in [8; Theorem 3.14] without proof and where a Bernstein subset of special type of an arbitrary topologically complete, separable, metrizable, uncountable space with no isolated points is constructed (this is a modification of an example presented in [7]. Our argument (except some details, especially concerning proof of statement (e)) is analogous to those given in [5; Example 6.13.1], where such subspace of the standard space of all real numbers is described.

Theorem 2. For every space $X \in T$ without isolated points there exists a subspace $B \subset X$ having the following properties:

(a) $|B| = |X \setminus B| = c$.

(b) B is a Bernstein subset of X and $X \setminus B$ is a Bernstein subset of X.

(c) No open nonempty subset of B (respectively, of $X \setminus B$) is meager in X and the more so in B (respectively, in $X \setminus B$).

(d) $B \in T_{(*)}$.

(e) $X \setminus B \in T_{(*)}$.

(f) Any open nonempty subset of B, as well as any open nonempty subset of $X \setminus B$, belongs to the class $T_{(*)}$.

Aim of the present work is to give a detailed proof of Theorem 2.

3. Some auxiliary statements

Proposition 1 (for proof see [5; Theorem 1.5.12]). Let $X, Y \in T_{SM}$. Suppose X is topologically complete, $|Y| > \aleph_0$ and $f : X \to Y$ is a continuous surjection. Then X contains a Cantor set K such that $f|_K$ is one-to-one (and hence a homeomorphic imbedding).

Proposition 2 (for proof see [5; Corollary A.8.4]). Let $X, Y \in T_{SM}$ and be topologically complete. Then for any subset $A \subset X$ and any continuous mapping $f : A \to Y$ there exists a G_δ subset S of X containing A such that f can be extended to a continuous mapping $\overline{f} : S \to Y$.

Proposition 3 (for proof see [8; Proposition 2.6]). Let $X \in T_{SM}$ be a topologically complete space with $|X| > \aleph_0$. Then X contains continuum-many pairwise disjoint Cantor sets.

Proposition 4 (for proof see [8; Proposition 3.3]). Let $X \in T_{SM}$. Then:

(i) If B is a Bernstein subset of X, then its complement is a Bernstein subset of X as well.

(ii) A subset B of X is Bernstein subset of X iff B and $X \setminus B$ contain no Cantor subset of X.

(iii) Every Bernstein subset B of X, as well as its complement $X \setminus B$, has cardinality c.

Proposition 5 (for proof see [5; Proposition 3.4]). Let $X \in T_{SM}$ and X has no isolated points. Then:

(i) Every nonempty open subset of X has cardinality c.

(ii) If B is any Bernstein subset of X, then B has no isolated points.

(iii) If B is any Bernstein subset of X, then both B and its complement $X \setminus B$ are dense in X.

(iv) If B is any Bernstein subset of X, then B has no inner points relative to X, i.e. $\operatorname{int}_X B = \varnothing$.

Proposition 6 (for proof see [8; Lemma 3.6]). Let $X \in T$, X has no isolated points and B is a Bernstein subset of X. Suppose, also, $U \subset B$ is nonempty and open in B. Then U is not meager in X and U is not meager in B.

Proposition 7 (for proof see [8; Proposition 3.7]). Let $Y \in T$, Y has no isolated points. Let, also, $U, X \subset Y$, where U is open in X. Suppose, $f : U \to X$ is a continuous mapping, which is not identical on U. Then there exists an uncountable open (in U and hence in X) subset $W \subset U$ with $[W]_X \subset U$ and $[W]_Y \cap [f(W)]_Y = \varnothing$.

Proposition 8 (for proof see [8; Proposition 3.10]). If $X \in T_{(*)}$ and $U \neq \varnothing$ is an open subset of X, Then $U \in T_{(*)}$.

4. Proof of Theorem 2

Construction of B.

First note that if K is a proper Cantor subset of X, there exists a continuous mapping $f : K \to X$ such that $|f(K)| > \aleph_0$ and $f(K) \cap K = \varnothing$. Indeed, by Proposition 5 $X \setminus K$ is uncountable and by Proposition 3 it contains a Cantor subset, say K_1. Let $f : K \to X$ be any homeomorphic imbedding with $f(K) = K_1$. Then f is as required.

Note that since $f(K)$ is uncountable compact subspace of X, in fact $|f(K)| = c$.

Denote:

$$\mathrm{C}=\{(K,f)\,|\,K \textit{ is a proper Cantor subset of } X,\ f:K\to X \textit{ is a continuous mapping},\ |f(K)|>\aleph_0,\ f(K)\bigcap K=\varnothing\}.$$

Since the quantity of all closed subsets of X, as well as the quantity of all continuous mappings from a Cantor subset $K\subset X$ to X does not exceed c (see e.g. [5; Exercise A.2.16], [5; Corollary 1.3.4]), then by Proposition 3 one concludes that $|\mathrm{C}|=c$. Hence we can enumerate C by all ordinals less then Ω_c (see e.g. [1; §3, Theorem 1″]):

$$\mathrm{C}=\{(K_\alpha,f_\alpha)\,|\,0\le\alpha<\Omega_c\}.$$

Construction of B is carried out by transfinite induction as follows:

Let x_0 be any point of K_0. Clearly, $\{x_0\}\bigcap\{f(x_0)\}=\varnothing$.

Suppose, for some $0<\alpha<\Omega_c$ and any $0\le\beta<\alpha$ a point $x_\beta\in X$ is chosen in such a way, that

(i) for any $0\le\beta_1,\beta_2<\alpha$, where $\beta_1\ne\beta_2$, we have: $x_{\beta_1}\ne x_{\beta_2}$;

(ii) for any $0\le\beta_1,\beta_2<\alpha$, where $\beta_1\ne\beta_2$, we have: $f(x_{\beta_1})\ne(x_{\beta_2})$;

(iii) $\{x_\beta\,|\,0\le\beta<\alpha\}\bigcap\{f(x_\beta)\,|\,0\le\beta<\alpha\}=\varnothing$.

Denote:

$$B_\alpha=f_\alpha(K_\alpha)\setminus(\{x_\beta\,|\,0\le\beta<\alpha\}\bigcup\{f(x_\beta)\,|\,0\le\beta<\alpha\}).$$

As $|f_\alpha(K_\alpha)|=c$ and $|\{x_\beta\,|\,0\le\beta<\alpha\}\bigcup\{f(x_\beta)\,|\,0\le\beta<\alpha\}|<c$, we have: $|B_\alpha|=c$.

For any $b\in B_\alpha$ fix a point $a_b\in f_\alpha^{-1}(b)\subset K_\alpha$.

Denote: $A_\alpha=\{a_b\,|\,b\in B_\alpha\}$. Obviously, $A_\alpha\subset K_\alpha$ and $|A_\alpha|=c$.

Let:

$$A'_\alpha=A_\alpha\setminus(\{x_\beta\,|\,0\le\beta<\alpha\}\bigcup\{f(x_\beta)\,|\,0\le\beta<\alpha\}).$$

Clearly, $A'_\alpha\subset A_\alpha\subset K_\alpha$, $A'_\alpha\bigcap(\{x_\beta\,|\,0\le\beta<\alpha\}\bigcup\{f(x_\beta)\,|\,0\le\beta<\alpha\})=\varnothing$ and $|A'_\alpha|=c$ (in particular, A'_α is non-empty).

Fix arbitrarily a pint $x_\alpha\in A'_\alpha$.

Thus, two subsets $\{x_\beta\,|\,0\le\alpha<\Omega_c\}$ and $\{f(x_\beta)\,|\,0\le\alpha<\Omega_c\}$ of the space X are constructed. One can easily verify, that:

(i′) for any $0\le\alpha_1,\alpha_2<\Omega_c$, where $\alpha_1\ne\alpha_2$, we have: $x_{\alpha_1}\ne x_{\alpha_2}$;

(i″) for any $0\le\alpha_1,\alpha_2<\Omega_c$, where $\alpha_1\ne\alpha_2$, we have: $f(x_{\alpha_1})\ne(x_{\alpha_2})$;

(i‴) $\{x_\alpha\,|\,0\le\alpha<\Omega_c\}\bigcap\{f(x_\alpha)\,|\,0\le\alpha<\Omega_c\}=\varnothing$.

Denote:

$$B=\{x_\alpha\,|\,0\le\alpha<\Omega_c\}.$$

Thus, construction of B is completed.

Proof of (a). That $|B|=c$ is obvious.

It is not difficult to make sure that for any $0 \le \alpha < \Omega_c$

$$f_\alpha(x_\alpha) \notin B \qquad (1)$$

Consequently, $X \setminus B \supset \{f(x_\alpha) \mid 0 \le \alpha < \Omega_c\}$ and as $|\{f(x_\alpha) \mid 0 \le \alpha < \Omega_c\}| = c$ we can conclude that $|X \setminus B| = c$.

Proof of (b). By Proposition 4 it is sufficient to show that B is a Bernstein subset of X.

For this purpose one has to show that for any Cantor subset $K \subset X$, $B \bigcap K \ne \varnothing$ and $(X \setminus B) \bigcap K \ne \varnothing$.

Indeed, if K is not proper subset of X, this is obvious.

Suppose, K is proper subset of X,.

Let $f : K \to X$ be a homeomorphic imbedding with $f(K) \bigcap K = \varnothing$ (see beginning of the proof). Clearly, $(K, f) \in \mathrm{C}$. Hence, there is an ordinal $\alpha_1 < \Omega_c$ such that $x_{\alpha_1} \in K$. Hence, $B \bigcap K \ne \varnothing$. Furthermore, note that $(f(K), f^{-1})$ (where $f^{-1} : f(K) \to K \subset X$ is inverse of the homeomorphism $f : K \to f(K) \subset X$) also belongs to C. Consequently, there exists an ordinal $\alpha_2 < \Omega_c$ such that $x_{\alpha_2} \in f(K)$. Clearly, $f^{-1}(x_{\alpha_2}) \in K$. But by (1), $f^{-1}(x_{\alpha_2}) \notin B$, i.e. $f^{-1}(x_{\alpha_2}) \in (X \setminus B) \bigcap K$ and thus $(X \setminus B) \bigcap K \ne \varnothing$.

Proof of (c). Since both B and $X \setminus B$ are Bernstein subsets of X, correctness of (c) follows from Proposition 6.

Proof of (d). Let $U \ne \varnothing$ be an open subset of B and $f : U \to B$ be a continuous mapping. Suppose, f is not identical on U. We shall show that there exists a nonempty open subset of U on which f is constant. By Proposition 7 there exists an uncountable and open in U subset $W \subset U$ with $[W]_B \subset U$ and $[W]_X \bigcap [f(W)]_X = \varnothing$.

Show that $|f(W)| \le \aleph_0$.

Suppose on the contrary, $|f(W)| > \aleph_0$.

By Proposition 2, there exists a G_δ-subset S of $[W]_X$ containing $[W]_B$ and such that the restriction of f to $[W]_B$ can be continuously extended to a function $\bar{f} : S \to [f(W)]_X$. Since, by the assumption, $|f(W)| > \aleph_0$, then $|\bar{f}(S)| > \aleph_0$. By Proposition 1 there exists a Cantor subset $K \subset S$ such that $\bar{f}|_K : K \to [f(W)]_X$ is homeomorphic imbedding. Then $\bar{f}|_K : K \to X$ is homeomorphic imbedding as well. Clearly, $|\bar{f}|_K(K)| = c$ and $(\bar{f}|_K(K)) \bigcap K = \varnothing$. Hence, $(K, \bar{f}|_K) \in \mathrm{C}$. Consequently, there exists an ordinal number $\alpha < \Omega_c$ with $(K, \bar{f}|_K) = (K_\alpha, f_\alpha)$.

Let x_α be those point of B which corresponds to the ordinal α. Then (by (1)) we should have: $f_\alpha(x_\alpha) \notin B$.

But on the other hand, $f_\alpha(x_\alpha) = \bar{f}(x_\alpha) = f(x_\alpha) \in B$.

The Obtained contradiction shows that $|f(W)| \le \aleph_0$.

Now for any $q \in f(W)$ denote: $M_q = \{x \in W \mid f(x) = q\}$. Obviously, each M_q is closed in W and $W = \bigcup_{q \in f(W)} M_q$. But, by Proposition 6, W is no meager in U. Hence there must exist at least

one $q_0 \in f(W)$ such that $\mathrm{int}_B(M_{q_0}) \neq \varnothing$ i.e. there must be a nonempty open subset V of B with $V \subset M_{q_0}$. Clearly, for every $x \in M_{q_0}$ we have: $f(x) = q_0$ and hence, f is constant on V.

Proof of (e). Denote: $B_1 = X \setminus B$.

Let $U \neq \varnothing$ be an open subset of B_1 and $f : U \to B_1$ be a continuous mapping. Suppose f is not identical on U. We shall show that there exists a nonempty open subset of U on which f is constant.

By Proposition 7 there exists an open in U and uncountable subset $W \subset U$ with $[W]_{B_1} \subset U$ and $[W]_X \bigcap [f(W)]_X = \varnothing$.

Show that $|f(W)| \leq \aleph_0$.

Suppose on the contrary, that $|f(W)| > \aleph_0$.

By Proposition 2, there exists s G_δ-subset S of $[W]_X$ containing $[W]_{B_1}$ such that the restriction of f to $[W]_{B_1}$ can be extended to a function $\overline{f} : S \to [f(W)]_X$. Since, by the assumption, $|f(W)| > \aleph_0$, then $|\overline{f}(S)| > \aleph_0$.

Furthermore, by Proposition 1 There exists a Cantor subset $K \subset S$ such that $\overline{f}|_K : K \to [f(W)]_X$ is homeomorphic imbedding. Denote: $K_1 = \overline{f}|_K(K)$.

Consider the inverse mapping $(\overline{f}|_K)^{-1} : K_1 \to X$ which obviously is a homeomorphic imbedding as well. Clearly $(\overline{f}|_K)^{-1}(K_1) = K$. Hence $|(\overline{f}|_K)^{-1}(K_1)| = c$ and as $K \subset S \subset [W]_X$, we have: $((\overline{f}|_K)^{-1}(K_1)) \bigcap K_1 = \varnothing$. Consequently, $(K_1, (\overline{f}|_K)^{-1}) \in \mathrm{C}$ and hence there exists an ordinal number $\alpha < \Omega_c$ such that $(K_1, (\overline{f}|_K)^{-1}) = (K_\alpha, f_\alpha)$.

Let x_α be that point of B which corresponds to the ordinal α. Then (by (1)) we have: $f_\alpha(x_\alpha)) \notin B$ and hence $f_\alpha(x_\alpha)) \in B_1$.

As $x_\alpha \in K_1$, then $f_\alpha(x_\alpha) = (\overline{f}|_K)^{-1}(x_\alpha) \in K$. Hence $f_\alpha(x_\alpha) \in K \subset S \subset [W]_X$ and thus $f_\alpha(x_\alpha) \in B_1 \bigcap [W]_X = [W]_{B_1} \subset S$.

Consequently, $\overline{f}(f_\alpha(x_\alpha)) = f((\overline{f}|_K)^{-1}(x_\alpha)) \in B_1$.

But $\overline{f}(f_\alpha(x_\alpha)) = \overline{f}((\overline{f}|_K)^{-1}(x_\alpha)) = x_\alpha$. Thus $x_\alpha \in B_1$. This is a contradiction because x_α was taken from B and $B \bigcap B_1 = \varnothing$. The remainder part of the proof is completely analogous to those in (d).

Proof of (f). Follows from Proposition 8.

□

References

[1] **P.S. Alexandroff**, Introduction to Set Theory and General Topology, “Nauka”, Moscow, 1977 (in Russian).

[2] **J.J. Charatonik**, On generalized rigidity, Houston Journal of Mathematics, Volume 26, No. 4, 2000, pp. 639-660.

[3] **R. Engelking**, General Topology, PWN, Warszawa, 1977.

[4] **R. Engelking**, Theory of Dimensions Finite and Infinite, Sigma Series in Pure Mathematics, Volume 10, Heldermann Verlag, 1995.

[5] **J. van Mill**, The infinite-dimensional topology of function spaces, Voulme 64, North Holland, Elsevier, 2001.

[6] **J. Nagata**, Modern dimension theory, Revised and extended edition, Berlin, 1983.

[7] **R. Pol**, On metrizable E with $C_p(E) \not\cong C_p(E) \times C_p(E)$. Mathematika, 42 (1995), pp. 49-55.

[8] **I. Tsereteli**, Topological finiteness, Bernstein sets and topological rigidity, Topology and its Applications, Volume 159, Issue 6, 2012, Pages 1645-1653.

ივანე წერეთელი

სპეციალური ტიპის ბერნშტეინის სიმრავლეები და ტოპოლოგიური სასრულობა

რეზიუმე

ნაშრომში მტკიცდება ტოპოლოგიურად სრული, სეპარაბელური, მეტრიზებადი, არათვლადი, ტოპოლოგიური სივრცის (რომელსაც არ გააჩნია იზოლირებული წერტილები) სპეციალური ტიპის ბერნშტეინის ქვესიმრავლის არსებობა. ეს შედეგი ავტორის მიერ გამოყენებულია იმის საჩვენებლად, რომ ყოველი $n \in \{0,1,2,...\} \bigcup \{\infty\}$-სათვის არსებობს ტოპოლოგიურად სასრული, სეპარაბელური, მეტრიზებადი სივრცე X_n, ისეთი, რომ X_n არ არის მკაცრად მყიფე და რომლის განზომილებაც n-ის ტოლია.

ჰამლეტ მელაძე, იულია მელაძე

არალოკალური საკონტაქტო ამოცანა მუდმივკოეფიციენტებიანი მეორე რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებისთვის

სხვადასხვა ტიპის არალოკალური ამოცანების შესწავლა გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყო და დღესაც ინტენსიურად გრძელდება. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო კენონისა [1] და ბიწაძე-სამარსკის ამოცანებმა [2], რომლებიც შემდგომში განზოგადდა და მრავალფეროვანი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა. არალოკალური ამოცანების გამოჩენამ ბუნებრივად მისცა სტიმული სხვადასხვა მიახლოებითი მეთოდების აგებას და მათ გამოკვლევას (მაგ., [3]-[5]). დ. გორდეზიანისა და ი.მელაძის ნაშრომში [6] განხილულია არალოკალური სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ორგანზომილებიანი ელიფსური ტიპის განტოლებისთვის, დამტკიცებულია ამოცანის ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა, აგებულია იტერაციული პროცესი, რომელსაც საწყისი ამოცანა დაყავს დირიხლეს კლასიკური ამოცანების ამოხსნაზე.

მიმდინარე ნაშრომში განხილულია არალოკალური სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა მუდმივკოეფიციენტებიანი მეორე რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებისთვის. აგებულია დასმული ამოცანის ანალიზური ამონახსნი. ამ ამოცანის რიცხვითი ამონახსნის მოსაძებნად გამოყენებულია სხვაობიანი სქემა, რომელიც ასევე ანალიზურად არის ამოხსნილი. ეს ანალიზური ამონახსნი იძლევა სხვაობიანი სქემის კრებადობის დამტკიცების საშუალებას.

1°. განვიხილოთ შემდეგი ამოცანა: ვიპოვოთ $[a,b]$ სეგმენტზე უწყვეტი $u(x)$ ფუნქცია

$$u(x)=\begin{cases} u^{-}(x), \text{ თუ } a\le x\le c \\ u^{+}(x), \text{ თუ } c\le x\le b, \end{cases}$$

$a<c<b$, $u^{-}(c)=u^{+}(c)$, რომელიც აკმაყოფილებს განტოლებებს

$$\frac{d^2u^{-}}{dx^2}=-f^{-}(x), \text{ თუ } a<x<c, \quad \frac{d^2u^{+}}{dx^2}=-f^{+}(x), \text{ თუ } c<x<b, \tag{1}$$

კლასიკურ პირველი გვარის სასაზღვრო პირობებს $x=a$ და $x=b$ წერტილებში

$$u^{-}(a)=\varphi^{-}, \quad u^{+}(b)=\varphi^{+} \tag{2}$$

და არალოკალურ საკონტაქტო პირობებს:

$$\begin{gathered} u^{-}(c)=u^{+}(c)=u(c)=\gamma^{-}u^{-}(\xi^{-})+\gamma^{+}u^{+}(\xi^{+})+\varphi^{0}, \\ a<\xi^{-}<c<\xi^{+}<b, \quad \gamma^{-}+\gamma^{+}<1 \end{gathered} \tag{3}$$



(2) სასაზღვრო პირობებთან ერთად თავდაპირველად განვიხილოთ სასაზღვრო პირობები:

$$u^{-}(c)=u^{+}(c)=u(c), \tag{4}$$

სადაც $u(c)$ ჯერჯერობით უცნობი სიდიდეა და მიღებული (1), (2), (4) ამოცანების ანალიზური ამონახსნები წარმოვადგინოთ შემდეგი სახით [7], [8]:

$$u^{-}(x)=\frac{c-x}{c-a}\varphi^{-}+\frac{x-a}{c-a}u(c)+\frac{x-a}{c-a}\int_a^c\left[\int_a^t f^{-}(S)dS\right]dt-\int_a^x\left[\int_a^t f(S)dS\right]dt, \text{ თუ } a\le x\le c, \tag{5}$$

$$u^{+}(x)=\frac{x-c}{b-c}\varphi^{+}+\frac{b-x}{b-c}u(c)+\frac{x-c}{b-c}\int_{c}^{b}\left[\int_{c}^{t}f^{+}(S)dS\right]dt-\int_{c}^{x}\left[\int_{c}^{t}f^{+}(S)dS\right]dt,\ \text{თუ}\ \ c\le x\le b. \quad (6)$$

(5), (6) ტოლობების საშუალებით განვსაზღვროთ $u^{-}(\xi^{-})$ და $u^{+}(\xi^{+})$ სიდიდეები და ვისარგებლოთ (3) საკონტაქტო პირობით:

$$u(c)=\gamma^{-}\left[\frac{c-\xi^{-}}{c-a}\varphi^{-}+\frac{\xi^{-}-a}{c-a}u(c)+\frac{\xi^{-}-a}{c-a}\int_{a}^{c}\left[\int_{a}^{t}f^{-}(S)dS\right]dt-\int_{a}^{\xi^{-}}\left[\int_{a}^{t}f(S)dS\right]dt\right]+$$

$$+\gamma^{+}\left[\frac{\xi^{+}-c}{b-c}\varphi^{+}+\frac{b-\xi^{+}}{b-c}u(c)+\frac{\xi^{+}-c}{b-c}\int_{c}^{b}\left[\int_{c}^{t}f^{+}(S)dS\right]dt-\int_{c}^{\xi^{+}}\left[\int_{c}^{t}f^{+}(S)dS\right]dt\right]+\varphi^{0},$$

საიდანაც მივიღებთ

$$\left[1-\gamma^{-}\frac{\xi^{-}-a}{c-a}-\gamma^{+}\frac{b-\xi^{+}}{b-c}\right]u(c)=\Phi, \quad (7)$$

სადაც

$$\Phi=\gamma^{-}\left[\frac{c-\xi^{-}}{c-a}\varphi^{-}+\frac{\xi^{-}-a}{c-a}\int_{a}^{c}\left[\int_{a}^{t}f^{-}(S)dS\right]dt-\int_{a}^{\xi^{-}}\left[\int_{a}^{t}f(S)dS\right]dt\right]+$$

$$+\gamma^{+}\left[\frac{\xi^{+}-c}{b-c}\varphi^{+}+\frac{\xi^{+}-c}{b-c}\int_{c}^{b}\left[\int_{c}^{t}f^{+}(S)dS\right]dt-\int_{c}^{\xi^{+}}\left[\int_{c}^{t}f^{+}(S)dS\right]dt\right]+\varphi^{0}. \quad (8)$$

შევაფასოთ გამოსახულება:

$$1-\gamma^{-}\frac{\xi^{-}-a}{c-a}-\gamma^{+}\frac{b-\xi^{+}}{b-c}=\frac{1}{(c-a)(b-c)}\left[(c-a)(b-c)-\gamma^{-}\left(\xi^{-}-a\right)(b-c)-\gamma^{+}\left(b-\xi^{+}\right)(c-a)\right]\ge$$

$$\ge\frac{1}{(c-a)(b-c)}\left[(c-a)(b-c)-\gamma^{-}(c-a)(b-c)-\gamma^{+}(b-c)(c-a)\right]=1-\left(\gamma^{-}+\gamma^{+}\right)>0, \quad (9)$$

რადგან $\gamma^{-}+\gamma^{+}<1$.

ამრიგად, მივიღებთ:

$$u(c)=\left[1-\gamma^{-}\frac{\xi^{-}-a}{c-a}-\gamma^{+}\frac{b-\xi^{+}}{b-c}\right]^{-1}\Phi, \quad (10)$$

სადაც Φ მუდმივი განსაზღვრულია (9) ტოლობით.

ამრიგად, (1)-(3) ამოცანის ანალიზური ამონახსნენი ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$u(x)=\begin{cases}\dfrac{c-x}{c-a}\varphi^{-}+\dfrac{x-a}{c-a}u(c)+\dfrac{x-a}{c-a}\displaystyle\int_{a}^{c}\left[\int_{a}^{t}f^{-}(S)dS\right]dt-\int_{a}^{x}\left[\int_{a}^{t}f(S)dS\right]dt,\ \text{თუ}\ \ a\le x\le c,\\[2ex] \dfrac{x-c}{b-c}\varphi^{+}+\dfrac{b-x}{b-c}u(c)+\dfrac{x-c}{b-c}\displaystyle\int_{c}^{b}\left[\int_{c}^{t}f^{+}(S)dS\right]dt-\int_{c}^{x}\left[\int_{c}^{t}f^{+}(S)dS\right]dt,\ \text{თუ}\ \ c\le x\le b,\end{cases}$$

სადაც $u(c)$ მუდმივი განსაზღვრულია (10) ტოლობის საშუალებით.

2°. (1)-(3) ამოცანის რიცხვითი ამონახსნის ასაგებად $[a,b]$ მონაკვეთზე შემოვიღოთ რეგულარული ბადე h ბიჯით. ვიგულისხმოთ, რომ c, ξ^- და ξ^+ წერტილები ბადის კვანძებს ემთხვევა.

$$\overline{\omega}_h^- = \left\{x_i = a + ih, \quad \xi^- = a + k^- h, \quad c = a + N^- h, \quad i = \overline{0, N^-}\right\},$$
$$\overline{\omega}_h^+ = \left\{x_i = c + ih, \quad \xi^+ = c + k^+ h, \quad b = c + N^+ h, \quad i = \overline{0, N^+}\right\}.$$



შემოვიღოთ აღნიშვნები

$$y_i^- = y^-(x_i), \quad y_i^+ = y^+(x_i)$$

და განვიხილოთ (1)-(3) ამოცანის აპროქსიმაცია შემდეგი სხვაობიანი სქემის საშუალებით

$$y_{\bar{x}x,i}^- = -f^-(x_i), \ i = \overline{1, N^- - 1} \qquad y_{\bar{x}x,i}^+ = -f^+(x_i), \ i = \overline{1, N^+ - 1} \tag{11}$$

$$y_0^- = \varphi^-, \ y_{N^+}^+ = \varphi^+, \tag{12}$$

$$y_{N^-}^- = y_0^+ = y(c) = \gamma^- y_{k^-}^- + \gamma^+ y_{k^+}^+ + \varphi^0, \tag{13}$$

სადაც $y_{\bar{x}x,i}^-$ და $y_{\bar{x}x,i}^+$ მეორე რიგის სხვაობიანი წარმოებულებია [7].

(12) სასაზღვრო პირობებთან ერთად განვიხილოთ სასაზღვრო პირობები:

$$y^-(c) = y^+(c) = y(c), \tag{14}$$

სადაც $y(c)$ ჯერჯერობით უცნობი სიდიდეა და მიღებული (11), (12), (14) ამოცანების ანალიზური ამონახსნები წარმოვადგინოთ შემდეგი სახით [7], [8]:

$$y_i = y(x_i) = \begin{cases} \dfrac{c - x_i}{c - a}\varphi^- + \dfrac{x_i - a}{c - a} y(c) + \dfrac{x_i - a}{c - a} \displaystyle\sum_{m=0}^{N^- - 1} h \sum_{p=1}^{m} h f^-(x_p) - \sum_{m=0}^{i-1} h \sum_{p=1}^{m} h f^-(x_p), \ \text{თუ} \ x_i \in \overline{\omega}_h^- \\ \dfrac{x_i - c}{b - c}\varphi^+ + \dfrac{b - x_i}{b - c} y(c) + \dfrac{x_i - c}{b - c} \displaystyle\sum_{m=0}^{N^- - 1} h \sum_{p=1}^{m} h f^+(x_p) - \sum_{m=0}^{i-1} h \sum_{p=1}^{m} h f^+(x_p), \ \text{თუ} \ x_i \in \overline{\omega}_h^+, \end{cases} \tag{15}$$

აქ ვიგულისხმოთ, რომ თუ $i = 0,1$, მაშინ $\displaystyle\sum_{m=0}^{i-1} h \sum_{p=1}^{m} h f^-(x_p) = 0$ და $\displaystyle\sum_{m=0}^{i-1} h \sum_{p=1}^{m} h f^+(x_p) = 0$.

(15) ტოლობების საშუალებით გამოვთვალოთ $y_{k^-}^-$ და $y_{k^+}^+$ და ვისარგებლოთ (13) არალოკალური საკონტაქტო პირობით. გავითვალისწინოთ, რომ $x_{k^-} = a + k^- h = \xi^-$ და $x_{k^+} = c + k^+ h = \xi^+$, $y_{k^-}^- = y(x_{k^-})$, $y_{k^+}^+ = y(x_{k^+})$.

$$y_{k^-}^- = \frac{c - \xi^-}{c - a}\varphi^- + \frac{\xi^- - a}{c - a} y(c) + \frac{\xi^- - a}{c - a} \sum_{m=0}^{N^- - 1} h \sum_{p=1}^{m} h f^-(x_p) - \sum_{m=0}^{k^- - 1} h \sum_{p=1}^{m} h f^-(x_p), \ \text{თუ} \ x_i \in \overline{\omega}_h^-,$$

$$y_{k^+}^+ = \frac{\xi^+ - c}{b - c}\varphi^+ + \frac{b - \xi^+}{b - c} y(c) + \frac{\xi^+ - c}{b - c} \sum_{m=0}^{N^- - 1} h \sum_{p=1}^{m} h f^+(x_p) - \sum_{m=0}^{k^+ - 1} h \sum_{p=1}^{m} h f^+(x_p), \ \text{თუ} \ x_i \in \overline{\omega}_h^+,$$

მაშინ მივიღებთ

$$\left[1 - \gamma^- \frac{\xi^- - a}{c - a} - \gamma^+ \frac{b - \xi^+}{b - c}\right] y(c) = \Phi_h,$$

სადაც

$$\Phi_h = \frac{c-\xi^-}{c-a}\varphi^- + \frac{\xi^- - a}{c-a}\sum_{m=0}^{N^--1} h\sum_{p=1}^{m} hf^-(x_p) - \sum_{m=0}^{k^--1} h\sum_{p=1}^{m} hf^-(x_p) +$$

$$+\frac{\xi^+ - c}{b-c}\varphi^+ + \frac{\xi^+ - c}{b-c}\sum_{m=0}^{N^--1} h\sum_{p=1}^{m} hf^+(x_p) - \sum_{m=0}^{k^+-1} h\sum_{p=1}^{m} hf^+(x_p) + \varphi^0 . \qquad (16)$$

(9) უტოლობის გათვალისწინებით შეიძლება $y(c)$-ს მნიშვნელობის განსაზღვრა:

$$y(c) = \left[1 - \gamma^- \frac{\xi^- - a}{c-a} - \gamma^+ \frac{b-\xi^+}{b-c}\right]^{-1} \Phi_h , \qquad (17)$$

სადაც Φ_h განსაზღვრულია (16) ტოლობის საშუალებით.

ამრიგად, (11)-(13) ამოცანის ანალიზური ამონახსენი შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$y_i = y(x_i) = \begin{cases} \dfrac{c-x_i}{c-a}\varphi^- + \dfrac{x_i - a}{c-a} y(c) + \dfrac{x_i - a}{c-a}\displaystyle\sum_{m=0}^{N^--1} h\sum_{p=1}^{m} hf^-(x_p) - \sum_{m=0}^{i-1} h\sum_{p=1}^{m} hf^-(x_p), \text{ თუ } x_i \in \overline{\omega}_h^- \\ \dfrac{x_i - c}{b-c}\varphi^+ + \dfrac{b-x_i}{b-c} y(c) + \dfrac{x_i - c}{b-c}\displaystyle\sum_{m=0}^{N^--1} h\sum_{p=1}^{m} hf^+(x_p) - \sum_{m=0}^{i-1} h\sum_{p=1}^{m} hf^+(x_p), \text{ თუ } x_i \in \overline{\omega}_h^+ , \end{cases}$$

(18)

სადაც $y(c)$ განსაზღვრულია (17) ტოლობის საშუალებით. (18) ტოლობაში იგულისხმება, რომ თუ $i = 0,1$, მაშინ $\sum_{m=0}^{i-1} h\sum_{p=1}^{m} hf^-(x_p) = 0$ და $\sum_{m=0}^{i-1} h\sum_{p=1}^{m} hf^+(x_p) = 0$.

3°. (11)-(13) სხვაობიანი სქემის ანალიზური ამონახსნი იძლევა სხვაობიანი სქემის კრებადობის დამტკიცების საშუალებას.

შემოვიღოთ $z_i = y_i - u(x_i)$ ცდომილების ფუნქცია, სადაც $y_i = y(x_i)$ (11)-(13) სხვაობიანი სქემის ამონახსნის მნიშვნელობაა x_i წერტილში, $u(x_i)$ კი – (1)-(3) ამოცანის ამონახსნის მნიშვნელობა იმავე x_i წერტილში:

$$z_i = z(x_i) = \begin{cases} z_i^- = y_i^- - u^-(x_i), \text{ თუ } x_i \in \overline{\omega}_h^- \\ z_i^+ = y_i^+ - u^+(x_i), \text{ თუ } x_i \in \overline{\omega}_h^+ \end{cases} .$$

$y_i = z_i + u(x_i)$ ფუნქციის მნიშვნელობა შევიტანოთ (11)-(13) სხვაობიან სქემაში

$$z_{\bar{x}x,i}^- + u_{\bar{x}x,i}^-(x_i) = -f^-(x_i), \qquad z_{\bar{x}x,i}^+ + u_{\bar{x}x,i}^+ = -f^+(x_i),$$

$$x_i \in \omega_{h^-}, \qquad x_i \in \omega_{h^+},$$

$$z_0^- = 0 \ , \qquad z_{N^+}^+ = 0 .$$

$$z_{N^-}^- + u^-(x_{N^-}) = z_0^+ + u^+(x_0) = z(c) + u(c) = \gamma^- z_{k^-}^- + \gamma^+ z_{k^+}^+ - \gamma^- u^-(\xi^-) + \gamma^+(\xi^+) + \varphi^0 .$$

ვთქვათ, $f^-(x) \in c^2[a,c]$, $f^+(x) \in c^2[c,b]$, მაშინ მივიღებთ, რომ z_i ცდომილების ფუნქცია შემდეგი სხვაობიანი სქემის ამონახსნია

$$\begin{aligned} &z_{\bar{x}x,i}^- = -\psi^-(x_i),\ x_i \in \omega_{h^-}, \quad z_{\bar{x}x,i}^+ = -\psi^+(x_i),\ x_i \in \omega_{h^+} \\ &z_0^- = 0 \qquad\qquad\qquad\qquad z_{N^+}^+ = 0 \end{aligned} \qquad (19)$$

$$z_{N^-}^- = z_0^+ = z(c) = \gamma^- z_{k^-}^- + \gamma^+ z_{k^+}^+ ,$$

სადაც $\psi^-(x_i)$ და $\psi^+(x_i)$ შესაბამისი სხვაობიანი სქემის აპროქსიმაციის ცდომილებებია,

$$\left|\psi_i^+\right| \le Ah^2 , \ \left|\psi_c^-\right| \le Ah^2$$

(A გარკვეული დადებითი მუდმივაა, რომელიც დამოკიდებული არაა ბადის h ბიჯზე).

(19) სხვაობიანი სქემის ანალიზური ამონახსნის აგება შეიძლება (18) ფორმულის გამოყენებით:

$$z_i = z(x_i) = \begin{cases} \dfrac{x_i - a}{c-a} z(c) + \dfrac{x_i - a}{c-a} \displaystyle\sum_{m=0}^{N^- -1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^-(x_p) - \sum_{m=0}^{i-1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^-(x_p), \text{ თუ } x_i \in \overline{\omega}_h^- \\ \dfrac{b - x_i}{b-c} z(c) + \dfrac{x_i - c}{b-c} \displaystyle\sum_{m=0}^{N^+ -1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^+(x_p) - \sum_{m=0}^{i-1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^+(x_p), \text{ თუ } x_i \in \overline{\omega}_h^+ , \end{cases}$$

სადაც

$$z(c) = \left[1 - \gamma^- \frac{\xi - a}{c-a} - \gamma^+ \frac{b - \xi}{b-c} \right]^{-1} \varphi_h$$

და

$$\varphi_h = \gamma^- \left[\frac{\xi^- - a}{c-a} \sum_{m=0}^{N^- -1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^-(x_p) + \sum_{m=0}^{k^- -1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^-(x_p) \right]$$

$$+ \gamma^+ \left[\frac{\xi^+ - c}{b-c} \sum_{m=0}^{N^+ -1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^+(x_p) + \sum_{m=0}^{k^+ -1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^+(x_p) \right].$$

შევაფასოთ $|\varphi_h|$

$$|\varphi_h| \le \gamma^- Ah^2 \left[\frac{\xi^- - a}{c-a} \sum_{m=0}^{N^- -1} mh^2 + \sum_{m=0}^{k^- -1} mh^2 \right] + \gamma^+ Ah^2 \left[\frac{\xi^+ - c}{b-c} \sum_{m=0}^{N^+ -1} mh^2 + \sum_{m=0}^{k^+ -1} mh^2 \right]$$

$$\le \gamma^- Ah^2 \left[\frac{k^-}{N^-} \frac{N^-(N^- -1)}{2} h^2 + \frac{k^-(k^- -1)}{2} h^2 \right]$$

$$+ \gamma^+ Ah^2 \left[\frac{k^+}{N^+} \frac{N^+(N^+ -1)}{2} h^2 + \frac{k^+(k^+ -1)}{2} h^2 \right]$$

$$\le \gamma^- Ah^2 (c-a)^2 + \gamma^+ Ah^2 (b-c)^2 \le (b-a)^2 h^2 ,$$

სადაც $\gamma = \max(\gamma^-, \gamma^+)$.

ამრიგად მივიღეთ, რომ $|\varphi_h| = 0(h^2)$.

ანლოგიურად დავამტკიცებთ, რომ

$$\left| \frac{x_i - a}{c-a} \sum_{m=0}^{N^- -1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^-(x_p) - \sum_{m=0}^{i-1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^-(x_p) \right| = 0(h^2), \text{ თუ } x_i \in \overline{\omega}_h^-$$

$$\left| \frac{x_i - c}{b-c} \sum_{m=0}^{N^+ -1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^+(x_p) - \sum_{m=0}^{i-1} h \sum_{p=1}^{m} h\psi^+(x_p) \right| = 0(h^2), \text{ თუ } x_i \in \overline{\omega}_h^+$$

ამრიგად, ჩვენ დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა:

თეორემა. თუ $f^{-}(x) \in c^{2}[a,c]$, $f^{+}(x) \in c^{2}[c,b]$, მაშინ (11)-(13) სხვაობიანი სქემა თანაბრად კრებადია (1)-(3) საკონტაქტო ამოცანის ამოხსნისკენ, ხოლო კრებადობის რიგი არის 2-ის ტოლი:

$$\|z_i\|_c = \|y_i(x_i) - u(x_i)\|_c = 0(h^2).$$

ლიტერატურა

1. **Canon J. R**. The solution of heat equation subject to the specification of energy // Quart. Appl. Math., # 21 - 1963 - pp. 155-160
2. **Бицадзе А. В.**, **Самарский А. А**. О некоторых простейших обобщениях линейных эллиптических задач // Докл. АН СССР - 1969 - т. 185 # 2 - стр. 739-740
3. **Гордезиани Д. Г**. О методах решения одного класса нелокальных краевых задач. Тбилиси, изд-во Тбилисского гос. университета, 1981
4. **Ильин В. А.**, **Моисеев Е. И**. двумерная нелокальная краевая задача для оператора Пуссона в дифференциальной и разностной трактовках // Матем. моделирование - 1990. т. 2 # 8 стр. 130-156
5. **Сапаговас М. П.**, **Чегис Р. Ю**. О некоторых краевых задач с нелокальными условиями / Диф. уравнения - 1987, т. 29, # 7 - стр. 1268
6. **Gordeziani D.**, **Meladze I**. Nonlocal Contact Problem for Two-Dimansional Linear Elliptic Equations // Bulletin of the Georgian National Academy of sciences - 2014, vol. 8, no 1-8 p. 40-45
7. **Самарский А. А.**, **Гулин А. В**. Численные методы. Москва, «Наука», 1989, стр. 430

Hamlet Meladze, Iulia Meladze

Nonlocal Contact Problem for Second Order Ordinary Differential Equation with Constant Coefficients

Summary

In the present work nonlocal contact problem for second order ordinary differential equation with constant coefficients is considered. The solution of the stated problem is constructed analyticaly. For numerical solution of this problem the difference scheme is applied and solved analyticaly as well. The analitical solution allows to prove convergence of the difference scheme.

გიორგი მაქაცარია, ნინო მანჯავიძე

რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანა კარლემან-ვეკუას განტოლებისათვის პოლარული განსაკუთრებულობებით

ნაშრომში შესწავლილია რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანა

$$Re\{\overline{\lambda(t)}w(t)\} = \gamma(t), \qquad t \in \Gamma, \tag{R-H}$$

კარლემან-ვეკუას განტოლებისათვის

$$\frac{\partial w}{\partial \bar{z}} + A(z)w + B(z)\overline{w} = 0 \tag{C-V}$$

პოლარული განსაკუთრებულობებით G არეში. აქ G წარმოადგენს $z = x + iy$ კომპლექსური სიბრტყის სასრულ ბმულ არეს (რომლის რიგია $(m+1)$) და აქვს საკმარისად გლუვი საზღვარი; ამასთან მოცემული ფუნქციები $\lambda(t)$ და $\gamma(t)$ ჰოლდერის აზრით უწყვეტია.

ადვილი საჩვენებელია, რომ რეგულარული კოეფიციენტების შემთხვევაში (ე.ი, როცა $A(z), B(z) \in L_p(G), p > 2$) პირობა $\lambda(t) \neq 0, t \in \Gamma$ უზრუნველყოფს (R-H) ამოცანის ნეტერისეულობას $\bar{G}\backslash\{z_0\}$ კლასის უწყვეტი ფუნქციებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ (C-V) განტოლებას $G\backslash\{z_0\}$ არეში და $O(|z - z_0|^{\sigma}), z \to z_0$ ასიმპტოტურ პირობას სადაც, z_0 G-ს რაიმე წერტილია, σ ნამდვილი რიცხვია (შდრ.[3]).

კარლემან-ვეკუას განტოლებისათვის პოლარული განსაკუთრებულობებით სიტუაცია არსებითად განსხვავებულია. ცნობილია, რომ არსებობს ასეთი განტოლებების საკმარისად ფართო კლასი, რომლებიც არ უშვებს არატრივიალურ ამოხსნებს $G\backslash\{z_0\}$ არეში, რომლებიც აკმაყოფილებს ასიმპტოტურ პირობას $O(|z - z_0|^{\sigma}), z \to z_0$, სადაც z_0 არის (C-V) განტოლების კოეფიციენტების პოლარული განსაკუთრებულობის წერტილი, σ-ნამდვილი რიცხვი. შესაბამისად ამ კლასში სასაზღვრო ამოცანების განხილვას აზრი არ აქვს. მეორე მხრივ, თუ z_0 განსაკუთრებული წერტილის მახლობლობაში არ მოვთხოვთ ამონახსნს არავითარ შეზღუდვას, მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთგვაროვან სასაზღვრო ამოცანას აქვს წრფივად დამოუკიდებელი ამოხსნების უსასრულო რაოდენობა.

ამ ნაშრომში კარლემან-ვეკუას განტოლებათა საკმარისად ფართო კლასისათვის მიღებულია ზემოთ აღნიშნული რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანის ნეტერისეულობის პირობები, რომლებიც $O(\exp\{\delta_0|z - z_0|^{-\sigma_0}\}), z \to z_o$ ასიმპტოტური პირობების ყაიდისაა. აქ δ_0, σ_0 რიცხვითი პარამეტრები ცალსახად განისაზღვრება განტოლების კოეფიციენტების საშუალებით, არ არიან დამოკიდებული მოცემულ სასაზღვრო ფუნქციებზე და ამასთანავე ახასიათებენ კოეფიციენტების პოლარულ განსაკუთრებულობებს. ეს ასიმპტოტური პირობები, გარკვეული აზრით, ზუსტია: თუ რიმან ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანის ამონახსნს მოვძებნით კლასში, რომელიც აკმაყოფილებს ასიმპტოტურ პირობას $O(\exp\{\delta|z - z_0|^{-\sigma}\}), z \to z_0$ და ამასთან, თუ დარღვეულია $\delta = \delta_0, \sigma = \sigma_0$ ტოლობათაგან ერთ-ერთი მაინც, მაშინ ან ერთგვაროვან სასაზღვრო ამოცანას გაუჩნდება წრფივად დამოუკიდებელი ამოხსნების უსასრულოდ დიდი რაოდენობა ან არაერთგვაროვანი ამოცანა არ იქნება ამოხსნადი არანაირი მარჯვენა მხარისათვის.

პირველ განყოფილებაში კონსტრუირებულია აღნიშნული ასიმპტოტური პირობები; აგებულია კარლემან-ვეკუას განტოლებებისათვის (პოლარული განსაკუთრებულობებით) ამონახსნთა ზოგადი წარმოდგენა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ აღნიშნულ ასიმპტოტურ პირობებს. ეს შედეგები

საშუალებას გვაძლევს კორექტულად დაისვას რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანა და მოხდეს მისი სრული გამოკვლევა, რაც შესრულებულია მეორე განყოფილებაში.

1. კარლემან-ვეკუას განტოლებები პოლარული განსაკუთრებულობებით.

1^0. ვთქვათ G არის შემოსაზღვრული კომპლექსური არე, რომლის საზღვარი Γ შედგება არათანამკვეთი ლიაპუნოვის აზრით გლუვი $\Gamma_0, \Gamma_1, \dots, \Gamma_m$ კონტურებისაგან, ამასთან Γ_0 მოიცავს ყველა დანარჩენს. ვთქვათ G^*არის G სიმრავლის რაიმე სასრული ქვესიმრავლე.

$$G^* = \{z_1, z_2, \dots, z_N\}, N \geq 1.$$

G არეში განვიხილოთ კარლემან-ვეკუას განტოლება

$$\frac{\partial w}{\partial \bar{z}} + A(z)w + B(z)\overline{w} = 0, \qquad (1.1)$$

იმ პირობით, რომ კოეფიციენტი $B(z) \in L_p(G),\ p > 2$ და კოეფიციენტი $A(z)$ უშვებს შემდეგ წარმოდგენას

$$A(z) = \overline{g(z)} + \sum_{k=1}^{N} \frac{A_k(z)}{|z - z_k|^{\nu_k}}, \qquad (1.2)$$

სადაც $g(z)$ ფუნქცია არის ჰოლომორფული $G \backslash G^*$ არეში და აქვს უწყვეტი სასაზღვრო მნიშვნელობა Γ-ზე; ხოლო $A_k(z)$ ფუნქცია წარმოიდგინება შემდეგი სახით

$$A_k(z) = a_k(z) exp\{in_k \arg(z - z_k)\}, \qquad (1.3)$$

სადაც

$$\frac{a_k(z) - \lambda_k}{|z - z_k|^{\nu_k}} \in L_p(G), p > 2;$$

λ_k, ν_k, n_k არიან შესაბამისად კომპლექსური დადებითი და მთელი რიცხვები ყოველი $k = 1,2,..,N$.
(1.1) განტოლების ამონახსნის ქვეშ გვესმის $G \backslash G^*$ არეში უწყვეტი განზოგადოებული ამონახსნი; ყველა შესაძლო ასეთ ამოხსნათა სიმრავლე აღინიშნება შემდეგნაირად $\mathfrak{R}(A, B, G \backslash G^*)$. ([3]).

2^0. ყველგან ქვემოთ იგულისხმება, რომ

$$\lambda_k \neq 0;\ |n_k - 1| > 2(\nu_k - 1) > 0, k = 1,2, \dots, N. \qquad (1.4)$$

(1.2) წარმოდგენის ძალით $A(z)$ კოეფიციენტს აქვს $|z - z_k|^{-\nu_k}$ სახის პოლარული და $\overline{g(z)}$ ფუნქციის განსაკუთრებულობები z_k წერტილებში. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ კარლემან-ვეკუას განტოლების ამოხსნების სტრუქტურა დამოკიდებულია თუ რა მიმართებაა λ_k, ν_k, n_k პარამეტრებს შორის ამასთან თუ დარღვეულია (1.4) პირობები, მაშინ ქვემოთ დამტკიცებულ დებულებებს არ აქვთ ადგილი.

3^0. შემდგომში დაგვჭირდება აღნიშვნები

$$q_k = Res_{z=z_k}^{g(z)}, k = 1, 2, \dots, N;\ Q_k = \frac{1}{2\pi i} \int_{\Gamma_k} g(t)dt, k = 1, 2, \dots, m.$$

შემოვიტანოთ ახალი დამატებითი ფუნქცია, შემდეგი ფორმულის საშუალებით

$$f(z)=\int_{\Gamma_{\varsigma_0,z}}\overline{g(t)}\,\overline{dt}-\sum_{k=1}^{m}\overline{Q_k}\log(\bar{z}-\overline{\tau_k})-\sum_{k=1}^{N}\overline{q_k}\log(\bar{z}-\overline{z_k}),$$

$G\backslash G^*$არეზე; ς_0 არის რაიმე ფიქსირებული წერტილი $G\backslash G^*$-ში; $\Gamma_{\varsigma_0,z}$ არის გლუვი კონტური, რომელიც აერთებს წერტილებს ς_0, z და ძევს $G\backslash G^*$-ში; τ_k ნებისმიერი ფიქსირებული წერტილია $\Gamma_k, k=1,2,\dots,m$ კონტურის შიგნით. განვიხილოთ აგრეთვე ფუნქცია

$$F(z)=\Lambda(z)\exp\{2iImf(z)\}\chi(z), z\in G\backslash G^*, \tag{1.5}$$

სადაც

$$\Lambda(z)=\prod_{k=1}^{N}(z-z_k)^{-[2Req_k]}, \tag{1.6}$$

$$\chi(z)=\exp\left\{2\sum_{k=1}^{m}Q_k\log|z-\tau_k|+2\sum_{k=1}^{N}q_k\log|z-z_k|\right\}. \tag{1.7}$$

(1.4) პირობებიდან გამომდინარეობს, რომ $2-\nu_k-n_k\neq 0, k=1,2,\dots,N$ და ამიტომ

$$\delta_k^*=\frac{2\lambda_k}{2-\nu_k-n_k}, k=1,2,\dots,N \tag{1.8}$$

ფორმულებით განსაზღვრული არანულოვანი რიცხვებია მოცემული. დავუშვათ, რომ

$$R(z)\equiv\sum_{k=1}^{N}\frac{\delta_k^*}{|z-z_k|^{\nu_k-1}}\cdot\exp\{i(n_k-1)\cdot\arg(z-z_k)\}, \tag{1.9}$$

$$\Psi(z)\equiv F(z)\exp\{R(z)\}. \tag{1.10}$$

განვიხილოთ კარლემან-ვეკუას შემდეგი განტოლება

$$\frac{\partial w_*}{\partial\bar{z}}+A_*(z)w_*+B_*(z)\overline{w_*}=0, \tag{1.11}$$

სადაც,

$$A_*(z)=\sum_{k=1}^{N}\frac{a_k(z)-\lambda_k}{|z-z_k|^{\nu_k}}e^{in_k\arg(z-z_k)},\qquad B_*(z)=\frac{B(z)\Psi(z)}{\overline{\Psi(z)}}.$$

ცხადია, რომ $A_*(z), B_*(z)\in L_p(G), p>2$ და ამიტომ (1.11) არის რეგულარული კარლემან-ვეკუას განტოლება.

სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 1.1. $\Re(A,B,G\backslash G^*)$ da $\Re(A_*,B_*,\ G\backslash G^*)$ კლასებს შორის დამოკიდებულებით

$$w_*(z)=\Psi(z)w(z), z\in G\backslash G^* \tag{1.12}$$

$$\left(w_*\in\Re(A_*,B_*,\ G\backslash G^*), w\in\Re(A,B,G\backslash G^*)\right),$$

მყარდება ბიექციური შესაბამისობა.

დამტკიცება: დასამტკიცებლად საკმარისია უშუალოდ შევამოწმოთ შემდეგი ტოლობები

$$\frac{\partial F(z)}{\partial \bar{z}} = F(z) \cdot \overline{g(z)}, \qquad \frac{\partial \exp\{R(z)\}}{\partial \bar{z}} = \exp\{R(z)\} \sum_{k=1}^{N} \frac{\lambda_k}{|z - z_k|^{\nu_k}} \cdot \exp\{in_k \cdot \arg(z - z_k)\},$$

$$\frac{\partial \Psi(\mathrm{z})}{\partial \bar{z}} = \Psi(z) \left[\sum_{k=1}^{N} \frac{\lambda_k}{|z - z_k|^{\nu_k}} \cdot \exp\{in_k \cdot \arg(z - z_k)\} + \overline{g(z)} \right].$$

ცხადია, რომ (1.12) დამოკიდებულებით

$$\Re(A_*, B_*, G \backslash G^*) \cap C(\bar{G} \backslash G^*), \quad \Re(A, B, G \backslash G^*) \cap C(\bar{G} \backslash G^*)$$

კლასებს შორის მყარდება ბიექციური შესაბამისობა.

4^0. ვთქვათ $\delta = (\delta_1, \delta_2, \dots, \delta_N)$ და $\sigma = (\sigma_1, \sigma_2, \dots, \sigma_N)$ არიან მოცემული N -განზომილებიანი ვექტორები არაუარყოფითი კომპონენტებით. აღვნიშნოთ $\Omega_0[\delta, \sigma]$ ყველა შესაძლო ფუნქციათა კლასი $\Re(A, B, G \backslash G^*)$ სიმრავლიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას

$$w(z) = O(\exp\{\delta_k |z - z_k|^{-\sigma_k}\}), z \to z_k, k = 1, 2, \dots, N. \qquad (1.13)$$

აღვნიშნოთ $\overline{\Omega_0}[\delta, \sigma]$ ყველა შესაძლო ფუნქციათა კლასი სიმრავლიდან $\Omega_0[\delta, \sigma]$, რომლებიც უშვებენ უწყვეტ გაგრძელებას $(\bar{G} \backslash G^*)$-ში. δ^* და ν^* და აღნიშნულია შემდეგი ვექტორებიბი

$$\delta^* \equiv (|\delta_1^*|, |\delta_2^*|, \dots, |\delta_N^*|), \nu^* \equiv (\nu_1 - 1, \nu_2 - 1, \dots, \nu_N - 1).$$

კლასს $\Omega_0[\delta^*, \nu^*]$ შემდგომში ექნება არსებითი მნიშვნელობა.

ადგილი აქვს შემდეგ თეორემას.

თეორემა 1.2. თუ ინდექსის რაიმე k მნიშვნელობისათვის შესრულებულია უტოლობა $\delta_k < |\delta_k^*|$, მაშინ $\Omega_0[\delta, \nu^*]$ კლასი არის ტრივიალური (ე.ი. შეიცავს მხოლოდ ნულოვან ფუნქციას).

თეორემის დამტკიცება ადვილად გამომდინარეობს [3] და [4] ნაშრომების შედეგების გამოყენებით.

თეორემა 1.2-დან გამომდინარეობს, რომ თუ ინდექსის რაიმე k მნიშვნელობისათვის შესრულებულია უტოლობა $\sigma_k < \nu_k - 1$, მაშინ ყოველი δ ვექტორისათვის $\Omega_0[\delta, \sigma]$ კლასი ტრივიალურია.

აქედან გამომდინარე,თუ $\sigma_k = \nu_k - 1, k = 1,2, \dots, N$ და რაიმე k_0-სათვის შესრულებულია უტოლობა $\delta_{k_0} < |\delta_{k_0}^*|$ ან თუ რაიმე k_0-სათვის შესრულებულია უტოლობა $\sigma_{k_0} < \nu_{k_0} - 1$, მაშინ კლასი $\Omega_0[\delta, \sigma]$ ტრივიალურია.

ბუნებრივია შევისწავლოთ კლასი $\Omega_0[\delta, \sigma]$. შემდეგი თეორემა გვაძლევს ამ კლასის ამოხსნათა ზოგად წარმოდგენას.

თეორემა 1.3. (1.3) დამოკიდებულებით დამყარებულია ბიექციური

შესაბამისობა $\Omega_0[\delta^*, \nu^*](\overline{\Omega_0}[\delta^*, \nu^*]), \Re(A_*, B_*, G)\big(\Re(A_*, B_*, G) \cap C(\bar{G})\big)$ კლასებს შორის.

2. რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანის გამოკვლევა.

რიმან-ჰილბერტის ამოცანის კორექტულად დასმისათვის ზემოთაღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე ცხადია საკმარისია, რომ მოვითხოვოთ (1.1) განტოლების ამონახსნი აკმაყოფილებდეს შემდეგი სახის ასიმპტოტურ პირობას

$$w(z) = O(\exp\{|\delta_k^*| \cdot |z - z_k|^{-\nu_k+1}\}), z \to z_k, k = 1, 2 \dots, N. \qquad (*)$$

ამ განყოფილებაში მოცემულია (*) ასიმპტოტური პირობის აუცილებლობის დამტკიცება და სასაზღვრო ამოცანების ანალიზი.

1^0. განვიხილოთ შემდეგი სასაზღვრო ამოცანა: Γ საზღვარზე მოცემულია ჰოლდერის აზრით უწყვეტი ფუნქციები $\lambda(t)$ და $\gamma(t)$, $\gamma(t)$ არის ნამდვილი ფუნქცია და $|\lambda(t)| = 1$; უნდა ვიპოვოთ ფუნქცია $w(z) \in \overline{\Omega_0}[\delta, \sigma]$, რომელიც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$Re\{\overline{\lambda(t)}w(t)\} = \gamma(t), \quad t \in \Gamma. \qquad (2.1)$$

თეორემა 1.2 გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში თუ $\gamma(t) \neq 0$, მაშინ ამოცანა (2.1) არ არის ამოხსნადი $\overline{\Omega_0}[\delta, \sigma]$ კლასში, თუ $\sigma_k < \nu_k - 1$ რაიმე k-სათვის ან თუ $\sigma_k = \nu_k - 1$, $k = 1, 2, \dots, N$, მაგრამ $\delta_k < |\delta_k^*|$ რომელიმე k-სათვის.

ვთქვათ $\delta_k \neq 0, \sigma_k \geq \nu_k - 1, k = 1, 2, \dots, N$. აღვნიშნოთ $\mathcal{H}$ სიმრავლე k ინდექსის ყველა შესაძლო მნიშვნელობათა სიმრავლე, რომელთათვისაც $\delta_k < |\delta_k^*|$.

სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 2.1. ერთგვაროვანი სასაზღვრო ამოცანას (2.1) $(\gamma(t) = 0)$ კლასში $\overline{\Omega_0}[\delta, \sigma]$ აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა უსასრულო რაოდენობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულებულია შემდეგ პირობათაგან ერთ-ერთი:

1) $\mathcal{H} = \emptyset; \sum_{k=1}^{N}(\delta_k + \sigma_k) > \sum_{k=1}^{N}(|\delta_k^*| + \nu_k - 1)$;

2) $\mathcal{H} \neq \emptyset; \sigma_k > \nu_k - 1, k \in \mathcal{H}$.

დამტკიცება. ვთქვათ შესრულებულია 1) პირობა, მაშინ ადგილი აქვს შემდეგ უტოლობას

$$\delta_k \geq |\delta_k^*| + \nu_k - 1,$$

ყველა $k = 1, 2, \dots, N$–სათვის და არსებობს ერთი $k = k_0$ მაინც, რომლისთვისაც შესრულებულია მკაცრი უტოლობა

$$\delta_{k_0} + \sigma_{k_0} > |\delta_{k_0}^*| + \nu_{k_0} - 1, \qquad (2.2)$$

აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი უტოლობა $\delta_{k_0} \geq |\delta_{k_0}^*|, \sigma_{k_0} \geq \nu_{k_0} - 1$ არის ასევე მკაცრი. ვთქვათ $\delta_{k_0} > |\delta_{k_0}^*|$ და დავაფიქსიროთ ნებისმიერი რიცხვი $S \geq 0$. განვიხილოთ ამოხსნები $w_*(z)$ კლასიდან $\mathfrak{R}(A_*, B_*, G \backslash G^*)$, რომელთა წარმოდგენა შეიძლება შემდეგი სახით

$$w_*(z) = \frac{\Phi(z)}{(z - z_{k_0})^s} \exp(\omega(z)), \qquad (2.3)$$

სადაც $\Phi(z)$ ჰოლომორფული ფუნქციაა $G-$ში და უწყვეტია $\bar{G}$-ში. ადვილია იმის დამტკიცება, რომ ყოველი (2.3) სახის ფუნქცია განსაზღვრავს (1.1) განტოლების $w(z)$ ამოხსნას კლასში $\overline{\Omega_0}[\delta,\sigma]$ (1.12) დამოკიდებულების საშუალებით. შემდეგ, უშუალო შემოწმებით შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ დამოკიდებულება

$$w_*(z) = \frac{\omega_0(z)}{(z-z_{k_0})^s} \tag{2.4}$$

ამყარებს ბიექციურ შესაბამისობას

$$\Re\left(A_*, B_*, \left(\frac{z-z_{k_0}}{\bar{z}-\overline{z_{k_0}}}\right)^s, G\right) \cap C(\bar{G})$$

კლასის (2.3) სახის ყველა ფუნქციასა და

$$\frac{\partial\omega_0}{\partial\bar{z}} + A_*(z)\omega_0 + B_*\left(\frac{z-z_{k_0}}{\bar{z}-\overline{z_{k_0}}}\right)^s \overline{\omega_0} = 0 \tag{2.5}$$

განტოლების ამოხსნათა შორის.

(2.1) ამოცანასთან ერთად განვიხილოთ შემდეგი სასაზღვრო ამოცანა: ვიპოვოთ (2.5) ამოცანის განზოგადოებული ამოხსნა, რომელიც უწყვეტია G არეში და აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$Re\left\{\frac{\overline{\lambda(t)}}{(t-z_{k_0})^s\Psi(t)}\omega_0(t)\right\} = 0, \;\; t \in \Gamma. \tag{2.6}$$

ცხადია, რომ (2.4), (1.12) ფორმულებით (2.6) ამოცანის წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა ყოველი სისტემა განსაზღვრავს ერთგვაროვანი (2.6) ამოცანის წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა სისტემას. მეორეს მხრივ (2.6) ამოცანის წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა რაოდენობა l აკმაყოფილებს უტოლობას

$$l \geq 2\mathrm{ind}\left(\frac{\lambda(t)}{(\bar{t}-\overline{z_{k_0}})^s\overline{\Psi(t)}}\right) - m + 1, \tag{2.7}$$

რომლის საშუალებითაც მივიღებთ

$$l \geq 2\left(\mathrm{ind}\lambda(t) + S + \sum_{k=1}^{N}[2Req_k]\right) - m + 1.$$

აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს, რომ თუ S-ს შესაბამისად შევარჩევთ, მაშინ l რიცხვი გახდება რაგინდ დიდი და ამიტომ (2.1) ერთგვაროვანი ამოცანას აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა უსასრულო რაოდენობა.

ანალოგიურად შესაძლებელია დავამტკიცოთ, რომ (2.1) ერთგვაროვანი ამოცანის წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა სიმრავლე არის უსასრულო, როდესაც $\sigma_{k_0} > \nu_{k_0} - 1, \delta_{k_0} = |\delta^*_{k_0}|$. შესაბამისად ჩვენ მივიღეთ, რომ თუ 1) პირობა შესრულებულია, მაშინ ერთგვაროვანი (2.1) ამოცანას აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა უსასრულო რაოდენობა.

ახლა ვთქვათ შესრულებულია 2) პირობა. მაშინ

$$\overline{\Omega_0}\left[\delta^{(1)},\sigma^{(1)}\right] \subset \overline{\Omega_0}\left[\delta^{(2)},\sigma^{(2)}\right]$$

დამოკიდებულების ძალით, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს პირობებიდან

$$\delta_k^{(2)} \neq 0, k = 1,2,\dots,N;\ \sigma_k^{(2)} > \sigma_k^{(1)}, k \in \mathcal{H}.$$

ჩვენ მივიღებთ, რომ ერთგვაროვან (2.1) ამოცანას აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა უსასრულო რაოდენობა. 1), 2) პირობებიდან ერთ-ერთის საკმარისობა უკვე დამტკიცებულია. დავამტკიცოთ აუცილებლობა.

ვთქვათ ერთგვაროვან (2.1) ამოცანას აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა უსასრულო რაოდენობა და სიმრავლე $\mathcal{H} \neq \emptyset$, მაშინ ყოველი $k \in \mathcal{H}$ -სათვის გვაქვს $\sigma_k > \nu_k - 1$. მართლაც, თუ ერთი $k_0 \in \mathcal{H}$-სათვის მაინც გვაქვს $\sigma_{k_0} \leq \nu_{k_0} - 1$, მაშინ თეორემა 2.1-ის ძალით კლასი $\overline{\Omega_0}[\delta,\sigma]$ შეიცავს მხოლოდ ნულოვან ელემენტებს; მივიღეთ წინააღმდეგობა და ამრიგად, როცა $\mathcal{H} \neq \emptyset$ 2) პირობა შესრულებულია.

ვთქვათ ახლა $\mathcal{H} = \emptyset$, მაშინ დავამტკიცოთ, რომ

$$\sum_{k=1}^{N}(\delta_k - \sigma_k) > \sum_{k=1}^{N}(|\delta_k^*| + \nu_k - 1) \qquad (2.8)$$

მართლაც, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება

$$\sum_{k=1}^{N}(\delta_k + \sigma_k) = \sum_{k=1}^{N}(|\delta_k^*| + \nu_k - 1) \qquad (2.9)$$

და ამრიგად $\delta_k = |\delta_k^*|, \sigma_k = \nu_k - 1, k = 1,2,\dots,N$. შესაბამისად მივიღებთ, რომ ერთგვაროვან (2.1) ამოცანას აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა უსასრულო რაოდენობა კლასში $\overline{\Omega_0}[\delta^*,\nu^*]$, მაგრამ ამ ამოცანას აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა სასრული რაოდენობა. მართლაც, თეორემა 1.3 ძალით (1.12) დამოკიდებულების გამოყენებით მყარდება ბიექციური დამოკიდებულება (2.1) ამოცანის ამოხსნებსა და შემდეგი სასაზღვრო ამოცანის: ვიპოვოთ

$$\frac{\partial w_*}{\partial \bar{z}} + A_*(z)w_*(t) + B_*\overline{w_*} = 0 \qquad (2.10)$$

განტოლების განზოგადებული ამოხსნა, რომელიც უწყვეტია $\bar{G}$ არეში, რომელიც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$Re\left\{\frac{\overline{\lambda(t)}}{\Psi(t)}w_*(t)\right\} = \gamma(t),\ t \in \Gamma \qquad (2.11)$$

ამოხსნათა შორის. ერთგვაროვანი ამოცანას (2.10)-(2.11) $(\gamma(t) = 0)$ აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა სასრული რაოდენობა [იხ.5]. ამის გამო, ერთგვაროვან (2.1) ამოცანას აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა სასრული რაოდენობა კლასში $\overline{\Omega_0}[\delta^*,\nu^*]$. ამიტომ, (2.9) პირობა არ სრულდება და (2.8) შესრულებულია. თეორემა 2.1 დამტკიცებულია .

განვიხილოთ სასაზღვრო ამოცანა: ვიპოვოთ

$$\frac{\partial w_*'}{\partial \bar{z}} - A_*(z)w_*'(t) - \overline{B_*(z)}\overline{w_*'} = 0, \qquad (2.12)$$

განტოლების განზოგადოებული ამონახსნი, რომელიც უწყვეტია $\bar{G}$ არეში და აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$Re\left\{\frac{\lambda(t)}{\overline{\Psi(t)}}t'(s)w_*'(t)\right\} = 0, t \in \Gamma. \qquad (2.13)$$

ცხადია, რომ (2.13) ამოცანის წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა რაოდენობა l_* არის სასრული და (2.10) ამოცანის ამოხსნისათვის აუცილებელი და საკმარისია შემდეგი ტოლობის შესრულება

$$\int_\Gamma \frac{\lambda(t)}{\overline{\Psi(t)}}\gamma(t)w_*'(t)dt = 0 \qquad (2.14)$$

(2.13) ამოცანის ყოველი ამოხსნისათვის.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ცხადია შემდეგი თეორემის ჭეშმარიტება.

თეორემა 2.2. ერთგვაროვან (2.1) ამოცანას $\overline{\Omega_0}[\delta^*, \nu^*]$ კლასში აქვს წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა სასრული რაოდენობა და არაერთგვაროვანი ამოცანა ამოხსნადია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა (2.14) პირობა არის შესრულებული.

ვთქვათ l არის (2.1) ამოცანის წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა რაოდენობა. შემდეგი ცხადი ტოლობის

$$\operatorname{ind}\left(\frac{1}{\overline{\Psi(t)}}\right) = \sum_{k=1}^{N}[2\mathrm{Re}q_k]$$

საფუძველზე გამომდინარეობს შემდეგი თეორემის სამართლიანობა.

თეორემა 2.3. ადგილი აქვს შემდეგ ტოლობას

$$l - l_* = 2n + 2\sum_{k=1}^{N}[2\mathrm{Re}q_k] - m + 1,$$

სადაც q_k არის $q(z)$ ფუნქციის ნაშთი წერტილში z_k .

მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს შემდეგი თეორემა.

თეორემა 2.4. (2.1) ამოცანის ნეტერისეულობისათვის $\overline{\Omega_0}[\delta, \sigma]$ კლასში აუცილებელი და საკმარისია შემდეგი პირობის

$$\delta = \delta^*, \sigma = \nu^*$$

შესრულება.

Giorgi Makatsaria, Nino Mandjavidze

Riemann-Hilbert Boundary Value Problem for Carleman-Vekua Equation with Polar Singularities

Summary

The paper deals with the Riemann-Hilbert boundary value problem for the Carleman-Vekua equation with polar singularities. Index formula and criteria of solvability are obtained.

ლიტერატურა

1. **Begher H., Dao-Qing Dai.** On the theory of a singular Vekua system. Operator theory: Advances and Applications, vol.121, 2001, pp. 27-35
2. **Begher H., Dao-Qing Dai.** On continuous solutions of a generalized Cauchy-Riemann system with more than one singularity. Journal of differential equations. 196, 2004, pp. 67-90
3. **Vekua I.** Generalized analytic functions. Pergamon, Oxford, 1962
4. **Makatsaria G.** Singular points of solutions of some elliptic systems on the plane. Journal of Math.Sci.Vol.160, 6, 2009,737-744
5. **Makatsaria G, Akhalaia. G. Giorgadze G., Jikia V., Manjavidze N.** Elliptic systems on Riemann surfaces. Tbilisi International Center of Mathematics and Informatics. vol.13, 2012, pp. 1-154.

Тамаз Тевзадзе

Некоторые свойства кратных рядов Фурье с квазивыпуклыми коэффициентами

1. Пусть $R_k (k \geq 1)$, K-мерное евклидово пространство точек $\underline{x} = (x_1, \cdots, x_k)$ с обыкновенными линейными операциями и евклидовой нормой $\|x\|$; произведение двух векторов $\underline{x}$ и $\underline{y} \in R_K$ понимается покомпонентно, ровно как и неравенство $\underline{x} \leq \underline{y}$. Допустим, что $n = (n_1, \cdots, n_k)$ мультииндекс с неотрицательными целыми компонентами $\underline{0} = (0_1, \cdots, 0_k)$, $\underline{1} = (1_1, \cdots, 1_k)$. Следуя Л. В. Жижиашвили (1) если $M = (1,2, \cdots, K)$, B- произвольное подмножество из M, $B' = C_M B$, $I_i = (0, \cdots, 1, \cdots, 0)$ и

$$\Delta_i a_{\underline{n}} = a_{\underline{n}} - a_{\underline{n}+I_i},$$

где $(a_{\underline{n}})_{\underline{n}\geq 0}$ $-$ K кратная числовая последовательность, то $\Delta(a_{\underline{n}}, B)$ обозначает выражение, которое получается последовательным применением операции Δ по тем переменным, индексы которых составляют множество B.

Пусть $\lambda(\underline{n})$ число тех координат вектора $\underline{n}$, которые ровняются нулю.

Предположим также, что 2π-периодическая относительно каждой из переменных, функция $f = L(\underline{T}^K)$, $T^K = [-\pi, \pi]^k$, $(T' = T = [-\pi, \pi])$ является четной относительно переменных $x_i, i \in B$, и нечетной относительно переменных $x_j, j \in B'$ а ряд

$$\sigma_k(f) = \sum_{n\geq 0} 2^{-\lambda(\underline{n})} a_{\underline{n}}(f) \prod_{i\in B} \cos n_i x_i \prod_{j\in B'} \cos n_j x_j \tag{1}$$

является рядом Фурье функции f, где

$$a_{\underline{n}}(f) = \frac{1}{\pi^k} \int_{T^K} f(\underline{x}) \prod_{i\in B} \cos n_i x_i \prod_{j\in B'} \sin n_j x_j \ \mathrm{d}\underline{x}$$

коэффициенты Фурье функции f.

Следуя М. Г. Бицадзе [2], введем

<u>Определение 1.</u> Последовотельность $(a_{\underline{n}})_{\underline{n}\geq 0}$ будем называть выпуклой, если для любого $B \subset M$ и произвольного $B_1 \subset B$ выполняется неравенство

$$\Delta\big(\Delta\big(a_{\underline{n}}, B\big), B_1\big) \geq 0.$$

<u>Определение 2.</u> Последовотельность $(a_{\underline{n}})_{\underline{n}\geq 0}$ называют квазивыпуклой, если сходится ряд

$$\sum_{\substack{\underline{n}\geq 0 \\ B\subset M}} \prod_{i\in B_1} n_i \big|\Delta\big(\Delta\big(a_{\underline{n}}, B\big), B_1\big)\big|,$$

где B любое подмножество из M а B_1 - произвольное подмножество множества B.

Для простоты будем рассматривать случай $K = 2$ (т.е. R^2). В дальнейшем для двумерной числовой последовательности $\left(a_{p,q}\right)_{p,q\geq 0}$ будем пользоваться следующими обозначениями

$$\Delta_1 a_{p,q} = a_{p,q} - a_{p+1,q},\ \Delta_2 a_{p,q} = a_{p,q} - a_{p,q+1},$$

$$\Delta_{12} a_{p,q} = \Delta_1(\Delta_2 a_{p,q}) = a_{p,q} - a_{p+1,q} - a_{p,q+1} + a_{p+1,q+1},$$

$$\Delta^2 a_{p,q} = \Delta_{12}(\Delta_{12} a_{p,q}),\ \Delta_1^2 a_{p,q} = \Delta_1(\Delta_{12} a_{p,q}),$$

$$\Delta_2^2 a_{p,q} = \Delta_2(\Delta_{12} a_{p,q}),\ \Delta_{11} a_{p,q} = \Delta_1(\Delta_1 a_{p,q}),$$

$$\Delta_{22} a_{p,q} = \Delta_2(\Delta_2 a_{p,q})$$

2. В этом пункте будем доказывать несколько свойств квазивыпуклой последовотельности.

<u>Лемма 1.</u> Пусть, двумерная числовая последовательность $\left(a_{p,q}\right)_{p,q\geq 0}$ является квазивыпуклой. Тогда

$$\lim_{j\to\infty} \sum_{i=1}^{\infty} i\left|\Delta_1^2 a_{i,j}\right| = 0.$$

<u>Доказательство.</u> Так как

$$\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=1}^{\infty} ij\left|\Delta^2 a_{i-1,j-1}\right| < \infty,$$

то

$$\lim_{s\to\infty} \sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=s}^{\infty} ij\left|\Delta^2 a_{i-1,j-1}\right| = 0.$$

Но

$$\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=s}^{\infty} ij\left|\Delta^2 a_{i-1,j-1}\right| < \infty \geq \sum_{i=1}^{\infty} is\left|\sum_{j=s}^{\infty} \Delta^2 a_{i-1,j-1}\right| =$$

$$\sum_{i=1}^{\infty} is\left|\lim_{n\to\infty}\sum_{j=s}^{n} \Delta_2\left(\Delta_1\left(\Delta_{12} a_{i-1,j-1}\right)\right)\right| =$$

$$\sum_{i=1}^{\infty} is\left|\lim_{n\to\infty}\sum_{j=s}^{n} \left(\Delta_1\left(\Delta_{12} a_{i-1,s-1}\right) - \Delta_1\left(\Delta_{12} a_{i-1,n-1}\right)\right)\right| =$$

$$\sum_{i=1}^{\infty} is\left|\Delta_1\left(\Delta_{12}a_{i-1,s-1}\right)\right| \geq \sum_{i=1}^{\infty} i\left|\Delta_1\left(\Delta_{12}a_{i-1,s-1}\right)\right|,$$

Для произвольного s.

Лемма 2. Если

$$\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=1}^{\infty} i\left|\Delta^2 a_{i-1,j-1}\right| < \infty,$$

то

$$\lim_{j\to\infty}\sum_{i=1}^{\infty} i\left|\Delta_{11}a_{i-1,j-1}\right| = 0.$$

Доказательство. Очевидно, что

$$\lim_{s\to\infty}\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=s}^{\infty} i\left|\Delta_2(a_{i-1,j-1})\right| = 0.$$

Следовательно

$$\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=s}^{\infty} i\left|\Delta_2(\Delta_{11}a_{i-1,j-1})\right| \geq \sum_{i=1}^{\infty} i\left|\sum\nolimits_{j=s}^{\infty}\Delta_2\left(\Delta_{11}a_{i-1,j-1}\right)\right| =$$

$$\sum_{i=1}^{\infty} i\left|\sum\nolimits_{j=s}^{\infty}\left(\Delta_{11}a_{i-1,j-1} - \Delta_{11}a_{i-1,j}\right)\right| =$$

$$= \sum_{i=1}^{\infty} i\left|\Delta_{11}a_{i-1,s-1}\right|.$$

Лемма 3. Допустим, что последовательность $\left(a_{p,q}\right)_{p,q\geq 0}$ квайзвыпукла и

$$\lim_{i+j\to 0} a_{i,j} = 0.$$

Тогда ряд

$$\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=1}^{\infty} a_{i,j}\frac{\sin ix}{i}\frac{\sin iy}{y}$$

равномерно сходится на $T^2([0,2\pi]^2)$.

Доказательство. Пусть

$$S_{m,n} = \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n} a_{i,j}\frac{\sin ix}{i}\frac{\sin iy}{y}.$$

Мы должны показать, что $\forall\varepsilon > 0, \exists n_0(\varepsilon)$, что при $m, n > n_0(\varepsilon)$ имеет место неравенство

$$\left|S_{m+q,n+q}(x,y) - S_{m,n}(x,y)\right| < \varepsilon, \quad \forall\, p, q \in \mathbb{N}.$$

Очевидно достаточно показать, что

$$\left|\sum_{i=m+1}^{m+p}\sum_{j=1}^{n} a_{i,j}\frac{\sin ix}{i}\frac{\sin iy}{j}\right| < \varepsilon \tag{2}$$

и

$$\left|\sum_{i=1}^{m}\sum_{j=n+1}^{n+q} a_{i,j}\frac{\sin ix}{i}\frac{\sin iy}{j}\right| < \varepsilon \tag{3}$$

при поизвольном $\varepsilon > 0$ и $\forall\, p, q \in \mathbb{N}$.

Пусть

$$S_i(x) = \sum_{\mu=1}^{i}\frac{\sin \mu x}{\mu}, \qquad i = 1,2,\dots\ ,$$

$$S_j(y) = \sum_{\nu=1}^{j}\frac{\sin \nu y}{\nu}, \qquad j = 1,2,\dots\ .$$

Так как

$$\left|\sum_{j=1}^{N}\frac{\sin jx}{j}\right| < c,$$

для произвольного N и x, где c абсолютная константа, то

$$\left|\sum_{\mu=1}^{i} S_\mu(x)\right| \le i, \qquad \left|\sum_{\nu=1}^{j} S_\nu(y)\right| \le j. \tag{4}$$

По условию леммы 3, для $\forall\varepsilon > 0, \exists n_0(\varepsilon)$, имеет место неравенство

$$\left|a_{i,j}\right| < \varepsilon,$$

когда $i + j \ge n_0$. В виду того, что последовательность $\left(a_{p,q}\right)_{p,q\ge 0}$ квазивыпукла, в силу леммы 1 и леммы 2 находим

$$\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=n}^{\infty} ij\left|\Delta^2 a_{i-1,j-1}\right| < \varepsilon, \quad n \ge n_0;$$

$$\sum_{i=m}^{\infty}\sum_{j=1}^{\infty} ij\left|\Delta^2 a_{i-1,j-1}\right| < \varepsilon, \quad m \geq n_0; \tag{5}$$

$$\sum_{i=1}^{\infty} in\left|\Delta_1^2 a_{i-1,n}\right| < \varepsilon, \ \ n \geq n_0; \quad \sum_{j=1}^{\infty} mj\left|\Delta_2^2 a_{m,j-1}\right| < \varepsilon, m \geq n_0;$$

$$\sum_{i=1}^{\infty} i\left|\Delta_{11} a_{i-1,n}\right| < \varepsilon, \ \ n \geq n_0; \quad \sum_{j=1}^{\infty} j\left|\Delta_{22} a_{m,j-1}\right| < \varepsilon, m \geq n_0;$$

$$mn\left|\Delta_{12} a_{m,n}\right| < \varepsilon, \quad m,n \geq n_0; \quad m\left|\Delta_1 a_{m,n}\right| < \varepsilon \quad \text{и}$$

$$n\left|\Delta_2 a_{m,n}\right| < \varepsilon, \quad m,n \geq n_0.$$

Используя преобразование Харди, получаем

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=n+1}^{n+q} a_{i,j}\frac{\sin ix}{i}\frac{\sin iy}{j} =$$

$$\sum_{i=1}^{2}\sum_{j=n+1}^{n+q} a_{i,j}\frac{\sin ix}{i}\frac{\sin iy}{j} + \sum_{i=3}^{m}\sum_{j=n+1}^{n+q} a_{i,j}\frac{\sin ix}{i}\frac{\sin iy}{j} =$$

$$= I_1(n,q,x,y) + \sum_{i=3}^{m-1}\sum_{j=n+1}^{n+q-1} S_i(x)S_j(y)\Delta_{12}a_{i,j} +$$

$$+\sum_{i=3}^{m-1}\Delta_1 a_{i,n+q}S_i(x)S_{n+q}(y) + \sum_{i=n+1}^{n+q-1}\Delta_2 a_{m,j}S_m(x)S_j(y) +$$

$$+a_{m,n+q}S_m(x)S_{n+q}(y) - \sum_{i=3}^{m-1}\Delta_1 a_{i,n+1}S_i(x)S_n(y) -$$

$$-\sum_{i=n+1}^{n+q-1}\Delta_2 a_{3,j}S_2(x)S_j(y) - a_{m,n+1}S_m(x)S_{n+1}(y) -$$

$$-S_2(x)S_{n+q}(y)a_{3,n+1} + S_2(x)S_n(y)a_{3,n+1}.$$

Принимая во внимание (4) и (5) при $m,n \geq n_0$ будем иметь

$$\left|a_{m,n+q}S_m(x)S_{n+q}(y)\right| < \varepsilon, \quad \left|a_{m,n+1}S_m(x)S_{n+1}(y)\right| < \varepsilon,$$
$$\left|a_{3,n+1}S_2(x)S_{n+q}(y)\right| < \varepsilon, \quad \left|S_2(x)S_n(y)a_{3,n+1}\right| < \varepsilon. \tag{6}$$

Опять применяя преобразование Харди, находим

$$A \equiv \sum_{i=3}^{m-1} \sum_{j=n+1}^{n+q-1} \Delta_{12} a_{i,j} S_i(x) S_j(y) =$$

$$+ \sum_{i=3}^{m-2} \sum_{j=n+1}^{n+q-2} \Delta^2 a_{i,j} \sum_{\mu=1}^{i} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{j} S_\nu(y) + \sum_{i=3}^{m-2} \Delta_1^2 a_{i,n+q-1} \sum_{\mu=1}^{i} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{n+q-1} S_\nu(y) +$$

$$+ \sum_{i=n+1}^{n+q-2} \Delta_2^2 a_{m-1,j} \sum_{\mu=1}^{m-1} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{j} S_\nu(y) + \Delta_{12} a_{m-1,n+q-1} \sum_{\mu=1}^{m-1} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{n+q-1} S_\nu(y) -$$

$$- \sum_{i=3}^{m-2} \Delta_{11} a_{i,n+1} \sum_{\mu=1}^{m-1} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{n} S_\nu(y) - \sum_{j=n+1}^{n+q-3} \Delta_{22} a_{3,j} \sum_{\mu=1}^{2} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{j} S_\nu(y) +$$

$$+ \Delta_{12} a_{3,n+1} \sum_{\mu=1}^{2} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{n} S_\nu(y) - \Delta_{12} a_{m-1,n} \sum_{\mu=1}^{m-1} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{n} S_\nu(y) -$$

$$- \Delta_{12} a_{3,n+q-1} \sum_{\mu=1}^{2} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{n+q-1} S_\nu(y) + \Delta_{12} a_{m-1,n+q-1} \sum_{\mu=1}^{m-1} S_\mu(x) \sum_{\nu=1}^{n+q-1} S_\nu(y).$$

Учитывая (6) при $m, n \geq n_0$ получаем

$$|A| < 10\varepsilon.$$

Рассмотрим теперь

$$A_1 = \sum_{i=3}^{\mathrm{m}-1} \Delta_1 a_{i,n+q} S_i(x) S_{n+q}(y).$$

В силу преоброзования Абеля

$$A_1 = S_{n+q}(y) \sum_{i=3}^{m-2} \Delta_{11} a_{i-1,n+q} \sum_{\mu=1}^{i} S_\mu(x) + \Delta_1 a_{m-1,n+q} \sum_{\mu=1}^{m-2} S_\mu(x) S_{n+q}(y) - \Delta_1 a_{3,n+2} \sum_{\mu=1}^{2} S_\mu(x).$$

Так как

$$m\left|\Delta_1 a_{m-1,n+q}\right| \leq \sum_{i=m}^{\infty} i\left|\Delta_{11} a_{i-1,n+q}\right| \leq \sum_{i=m}^{\infty} \sum_{j=n+q-1}^{\infty} ij\left|\Delta^2 a_{i-1,j-1}\right|,$$

то в силу леммы 1 при $n \geq n_0$ будем иметь $|A_1| < \varepsilon$.

Имея в виду

$$A_2 \equiv \sum_{i=1}^{2} \sum_{j=n+1}^{n+q} a_{i,j} \frac{\sin ix}{i} \frac{\sin iy}{j} =$$

$$= \sum_{i=1}^{2} \frac{\sin ix}{i} \left\{ \sum_{j=n+1}^{n+q-2} \Delta_{22} a_{i-1,j-1} \sum_{\nu}^{j} S_\nu(y) + \Delta_2 a_{i,n+q-1} \sum_{\nu=1}^{n+q-1} S_\nu(y) - \Delta_2 a_{i,n} \sum_{\nu=1}^{n} S_\nu(y) + \right.$$

$$\left. + a_{i,n+q-1} S_{n+q-1}(y) - a_{i,n+1} S_{n+1}(y) \right\},$$

то находим, что $|A_2| < \varepsilon$ при $n \geq n_0$.

Совершенно аналогично оцениваются выражения

$$\sum_{i=3}^{m-1} \Delta_1 a_{i,n+1} S_i(x) S_{n+1}(y),$$

$$\sum_{j=n+1}^{n+q-1} \Delta_2 a_{m,j} S_m(x) S_j(y),$$

$$\sum_{j=n+1}^{n+q-1} \Delta_2 a_{3,j} S_2(x) S_j(y).$$

Следовательно можно заключить, что при $m, n \geq n_0, \forall p, q \in \mathbb{N}$ имеем

$$\left| S_{m+p,n+q}(x,y) - S_{m,n}(x,y) \right| < \varepsilon.$$

Лемма 3 доказана.

3. Известно, что если последовательность чисел $a_n \to 0$ при $n \to \infty$ и сходится ряд

$$\sum_{n=1}^{\infty} n |\Delta^2 a_{n-1}|$$

то ряд

$$\frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty} a_n \cos nm$$

сходится при $0 < x < 2\pi$ к некоторой функции f и является ее рядом Фурье [3]. В этом пункте докажем теорему, которая обобщает вышеупомянутый результат.

<u>Теорема.</u> Если последовательность $(a_{\underline{n}})_{\underline{n} \geq 0}$ является квазивыпуклой и

$$\lim_{\|\underline{n}\| \to \infty} a_{\underline{n}} = 0,$$

то ряд (1) при $B' = \emptyset$ сходитса везде, кроме $x_i = 0 (mod\ 2\pi), i = 1,2, \dots, k$ к некоторой фунцкии и является её рядом Фурье.

Доказательство. Доказательство будем вести въ двумерном случае.

Пусть

$$S_{m,n}(x,y)=\sum_{i=0}^{m}\sum_{j=0}^{n}\lambda_{i,j}\cos ix\cos jy.$$

Применяя дважды преобразованные Харди, получаем

$$S_{m,n}(x,y)=\sum_{i=0}^{m-2}\sum_{j=0}^{n-2}(i+1)(j+1)K_i(x)K_j(y)\Delta^2 a_{i,j}+(m+1)K_m(x)\sum_{j=0}^{n-2}(j+1)K_j(y)\Delta_2^2 a_{m-1,j}+$$

$$+(n+1)K_n(y)\sum_{i=0}^{m-2}(i+1)K_i(x)\Delta_1^2 a_{i,n-1}+mnK_{m-1}(x)K_{n-1}(y)\Delta_{12}a_{m-1,n-1}+$$

$$+D_m(x)\left\{\sum_{j=0}^{n-2}(j+1)K_j(y)\Delta_{22}a_{m-1,j}+nK_{n-1}(y)\Delta_2 a_{m,n-1}\right\}+$$

$$+D_n(y)\left\{\sum_{i=0}^{m-2}(i+1)K_i(x)\Delta_{11}a_{i,n+1}+mK_{m-1}(x)\Delta_1 a_{m-1,n}\right\}+$$

$$+D_m(x)D_n(y)a_{m,n}=\sum_{s=1}^{7}I_s. \qquad (7)$$

В силу леммы 1 $I_2\to 0$ при $m\to\infty$

Аналогично, $I_3\to 0$, когда $n\to\infty$.

Далее, так как

$$mn\left|\Delta_{12}a_{m-1,n-1}\right|\le\sum_{i=m}^{\infty}\sum_{j=n}^{\infty}ij\left|\Delta^2 a_{i-1,j-1}\right|,$$

то при $m,n\to\infty$, $\lim\quad I_4=0$. Аналогично согласно леммы 2

$$\lim_{m,n\to\infty}I_5=0, \qquad \lim_{m,n\to\infty}I_6=0.$$

Очевидно также, что $\lim_{m,n\to\infty}I_7=0$.

Следовательно

$$\lim_{m,n\to\infty}S_{m,n}(x,y)=f(x,y)=\sum_{i=0}^{\infty}\sum_{j=0}^{\infty}(i+1)(j+1)K_i(x)K_j(y)\Delta^2 a_{i,j}.$$

Остаётся доказать, что ряд

$$\sum_{i=0}^{\infty}\sum_{j=0}^{\infty}\lambda_{i,j}a_{i,j}\cos ix\cos jy$$

является рядом Фурье функции $f(x,y)$.

Имеем

$$f(x,y)=\sum_{i=0}^{\infty}\sum_{j=0}^{\infty}\lambda_{i,j}a_{i,j}\cos ix\cos jy=\frac{a_{0,0}}{2}+\frac{1}{2}\sum_{j=1}^{\infty}a_{0,j}\cos jy+\frac{1}{2}\sum_{j=1}^{\infty}a_{i,0}\cos ix+$$

$$+\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=1}^{\infty}a_{i,j}\cos ix\cos jy.$$

Далее

$$\int_0^{\pi}\int_0^{\pi}f(x,y)dx\,dy=\frac{a_{0,0}}{4}\pi^2+\lim_{\varepsilon_1\to 0}\frac{\pi}{2}\sum_{i=1}^{\infty}a_{i,0}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\cos ix\,dx+$$

$$+\lim_{\varepsilon_2\to 0}\frac{\pi}{2}\sum_{j=1}^{\infty}a_{0,j}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos iy\,dy+\lim_{\substack{\varepsilon_1\to 0\\ \varepsilon_2\to 0}}\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=1}^{\infty}a_{i,j}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos ix\cos jy\,dx\,dy=$$

$$=\frac{\pi^2}{4}a_{0,0}-\frac{\pi}{2}\lim_{\varepsilon_1\to 0}\sum_{i=1}^{\infty}a_{i,0}\frac{\sin i\varepsilon_1}{i}-\frac{\pi}{2}\lim_{\varepsilon_2\to 0}\sum_{j=1}^{\infty}a_{0,j}\frac{\sin i\varepsilon_2}{j}+\lim_{\substack{\varepsilon_1\to 0\\ \varepsilon_2\to 0}}\sum_{i=1}^{\infty}\sum_{j=1}^{\infty}a_{i,j}\frac{\sin i\varepsilon_1}{i}\frac{\sin j\varepsilon_2}{j}.$$

В силу леммы 3 ряды, стоящие в правой части последного выражения равномерно сходятся. Следовательно

$$a_{0,0}=\frac{1}{\pi^2}\int_{-\pi}^{\pi}\int_{-\pi}^{\pi}f(x,y)dxdy.$$

Очевидно, что

$$\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}f(x,y)\cos mx\cos ny\,dx\,dy=\frac{a_{0,0}}{4}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos mx\cos ny\,dx\,dy+$$

$$+\frac{1}{2}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\cos mx\,dx\sum_{j=1}^{n-1}a_{0,j}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos jy\cos nj\,dy+\frac{1}{2}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos ny\,dy\sum_{i=1}^{m-1}a_{i,0}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\cos jx\cos mx\,dx+$$

$$+\sum_{i=1}^{m-1}\sum_{j=1}^{n-1}a_{i,j}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos ix\cos mx\cos jy\cos ny\,dx\,dy+$$

$$+\frac{1}{2}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos ny\,dy\,a_{m,0}\frac{1}{2}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\cos^2 mx\,dx++\frac{1}{2}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\cos mx\,dx\,a_{0,n}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos^2 ny\,dy+$$

$$+a_{m,n}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos^2 mx\cos^2 nx\,dx\,dy+$$

$$+\frac{1}{2}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\cos mx\,dx\sum_{j=n+1}^{\infty}a_{0,j}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos iy\cos ny\,dy+\frac{1}{2}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos ny\,dy\sum_{i=m+1}^{\infty}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\cos ix\cos mx\,dx+$$

$$+\sum_{i=1}^{m-1}\sum_{j=n+1}^{\infty}a_{i,j}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos ix\cos mx\cos jy\cos ny\,dx\,dy+$$

$$+\sum_{i=m+1}^{\infty}\sum_{j=1}^{n-1}a_{i,j}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos ix\cos mx\cos jy\cos ny\,dx\,dy+$$

$$+\sum_{i=m+1}^{\infty}\sum_{j=n+1}^{\infty}a_{i,j}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos ix\cos mx\cos jy\cos ny\,dx\,dy. \qquad (8)$$

Как легко показать, первые шесть слагаемые стремятся к нулю при $\varepsilon_1,\varepsilon_2\to 0$.

Далее

$$a_{m,n}\lim_{\substack{\varepsilon_1\to 0\\ \varepsilon_2\to 0}}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos^2 mx\cos^2 ny\,dx\,dy=\frac{\pi^2}{4}a_{m,n}$$

В силу леммы 3

$$\lim_{\substack{\varepsilon_1\to 0\\ \varepsilon_2\to 0}}\frac{1}{2}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\cos mx\,dx\sum_{j=1}^{\infty}a_{0,j}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos jy\cos ny\,dy=$$

$$\lim_{\varepsilon_1\to 0}\frac{\sin m\varepsilon_1}{m}\lim_{\varepsilon_2\to 0}\sum_{j=n+1}^{\infty}a_{0,j}\left[\frac{\sin(n+j)\,\varepsilon_2}{n+j}+\frac{\sin(j-n)\,\varepsilon_2}{j-n}\right]=0.$$

Аналогично

$$\lim_{\substack{\varepsilon_1\to 0\\ \varepsilon_2\to 0}}\sum_{i=m+1}^{\infty}\sum_{j=n+1}^{\infty}a_{i,j}\int_{\varepsilon_1}^{\pi}\int_{\varepsilon_2}^{\pi}\cos ix\cos mx\cos jy\cos ny\,dx\,dy=0.$$

Также легко можно показать, что остальные слагаемые (8) стремятся к нулю при $\varepsilon_1,\varepsilon_2\to 0$. Исходя из вышесказанного заключает, что

$$a_{m,n}=\frac{4}{\pi^2}\int_0^{\pi}\int_0^{\pi}f(x,y)\cos mx\cos ny\,dx\,dy=\frac{1}{\pi^2}\int_{-\pi}^{\pi}\int_{-\pi}^{\pi}f(x,y)\cos mx\cos ny\,dx\,dy.$$

Теорема доказана.

Литература

1. **Жижиашвили Л. В.** Некоторые вопросы многомерного гармоничного анализа. Тбилиси, ТГУ, 1983.

2. **Бицадзе М. Г.** Сходимость кратных тригонометрических рядов с монотонными коэффициентами. Некоторые вопросы теории функций. Том 3, Тбилиси, ТГУ, 1986

3. **Теляковски С. А.** Оценка интегрального модуля непрерывности функции с квазивыпуклыми коэффициентами Фурье. Сибирский математикический журнал, Том 11, н 5, 1970.

თამაზ თევზაძე

კვაზიამოზნექილი კოეფიციენტებიანი ფურიეს ჯერადი მწკრივების ზოგიერთი თვისება

რეზიუმე

ნაშრომში დამტკიცებულია რამდენიმე თვისება კვაზიამოზნექილი კოეფიციენტებიანი ფურიეს ჯერადი მწკრივებისათვის. კერძოდ, მრავალი ცვლადის ფუნქციისათვის განზოგადებულია ცნობილი [3] დებულება, რომელიც ეხება კოსინუს მწკრივების კრებადობას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ნინო გოგუაძე, მამუკა ჯახუტაშვილი, მანანა კაჭახიძე, ნინო კაჭახიძე
ზოგიერთი მოსაზრება სვეტიცხოვლის ტაძრის სინესტისგან დამცავი სისტემის შესახებ

ვაჟა ნებიერიძე
Tribulus terrestris - კუროსთავის სტეროიდული და ფენოლური ნივთიერებები

მიხეილ გოგებაშვილი, ნაზი ივანიშვილი, ელენე სალუქვაძე
რადიაციისა და მაღალი ტემპერატურის მოქმედება ფიტოცენოზების მდგრადობის ცვლილებაზე

ნინო გოგუაძე, მამუკა ჯახუტაშვილი, მანანა კაჭახიძე, ნინო კაჭახიძე

ზოგიერთი მოსაზრება სვეტიცხოვლის ტაძრის სინესტისგან დამცავი სისტემის შესახებ

შესავალი: სვეტიცხოვლის ტაძრის და მიმდებარე ტერიტორიის კვლევა ძიების გეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში რამდენიმე წელია მიმდინარეობს. კვლევების მიზანია სამხრეთი კედლის და გალავნის ზოგიერთი უბნის დასველების მიზეზის დადგენა. კვლევები ჩატარდა ძიების ელექტრული და სეისმური მეთოდებით. აღმოჩნდა, რომ ტაძრის ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში, გალავნიდან ტაძრის კედლამდე, დედამიწის ზედაპირიდან 4 მეტრის სიღრმეში იწყება ორი თიხოვანი თაღისებური ფორმის სტრუქტურა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ეზოს წყალსაწრეტი სისტემის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა, დღეს კი გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, არ მუშაობს.

სტატიაში განიხილება საკუთრივ სვეტიცხოვლის ტაძრის სინესტისგან დაცვის სისტემა და მისი კავშირი ზემოთ აღნიშნულ სადრენაჟო სისტემასთან.

კვლევის მეთოდი და შედეგები: გასული საუკუნის 50-იან წლებში პროფ. დ. მშვენიერაძის მიერ ჩატარდა გარკვეული კვლევები სვეტიცხოვლის ტაძარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ჰიდრო-გეოლოგიური პირობების შესასწავლად მის მიერ გაკეთდა 10 შურფი. მათგან ორი იყო საკონტროლო, ძირითადი შურფების მონაცემთა გადასამოწმებლად.

პროფ. დ. მშვენიერაძე თავის შრომაში, რომელიც მან ამ საკითხის კვლევას მიუძღვნა, ხაზს უსვამს ტაძრის ეზოში გრუნტის წყლების არსებობას და აღნიშნავს, რომ ამ მიწისქვეშა წყლებს ზაჰესის წყალსატევიდან აქვთ ჰიდრავლიკურად ხელოვნური საყრდენები.

მის მიერ ჩატარებული კვლევების დროს, 1950 წლის აპრილში, წყალსატევი იყო დაცლილი და არაგვის და მტკვრის ჰორიზონტების 8 მეტრით დაწევის (ეს არის ერთიანი ჰორიზონტის დაწევა) დროს გრუნტის წყლის ჰორიზონტმა დღე-ღამის განმავლობაში 10 სმ-ით დაიწია.

დ. მშვენიერაძის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მდინარეებში წყლის დონის მინიმუმამდე დაწევა მნიშვნელოვნად არ ცვლის ტაძრის ეზოში გრუნტის წყლების ჰორიზონტის სიმაღლეს. ანუ, დასაშვებია, რომ წყალსატევს მინიმალური გავლენა აქვს ტაძრის ეზოში გრუნტის წყლების დონის ცვლილებაზე.

თუმცა ბოლო ხანების გაზომვებიდან ჩანს, რომ ამჟამად, შესაძლებელია, 1–2 მეტრით მეტი იყოს გრუნტის წყლების ჰორიზონტის სიმაღლე 1950 წელთან შედარებით.

ჩვენთვის არ არის ცნობილი, რა მდგომარეობაში იყო ტაძარი და გალავანი 1950 წელს, მაგრამ დღეს სრულიად თვალნათელია ტაძრის სამხრეთი კედლის და გალავნის ზოგიერთი უბნის დასველების ფაქტი. ტაძრის კედელზე და გალავანზე დღეს არსებული სისველე იმას მიგვანიშნებს, რომ ტაძრის დამაზიანებელი ფაქტორი დღეს ნამდვილად არსებობს, მაგრამ, რადგან ის არ არის დაფიქსირებული დ. მშვენიერაძის შრომაში, არ არის გამორიცხული, რომ ან არ იყო კედელი სველი, ან ეს სისველე თვალისთვის შეუმჩნეველი გახლდათ.

ამას ემატება ის სამწუხარო ფაქტიც, რომ ბოლო ხანებში დაბინძურდა ტაძარში არსებული წყლის წყალიც, რაც ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა. კერძოდ, ტაძარში არსებული ჭიდან ჩვენ მიერ აღებულ წყლის სინჯებს ჩაუტარდა ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზი, რაშიც დაგვეხმარა სამეცნიერო – კვლევითი ფირმა „გამა“. ანალიზის შედეგებით აღმოჩნდა, რომ წყალში არის კალიუმის შედარებით მაღალი შემცველობა.

სპეციალისტების აზრით, წყლის ანალიზებზე დაყრდნობით დასაშვებია, რომ მონასტრის ჭაში კალიუმის მომატება გამოწვეული იყოს წყლის მომატებული დონით მონასტრის საძირკველში და, არ არის გამორიცხული, რომ ეზოში გრუნტის წყლის დონე იმდენად მომატებულია, რომ ირეცხება საფლავები.

სრულიად დაუჯერებელია, რომ ტაძარი, რომელსაც ვახტანგ გორგასალი, როგორც ჩანს, მეფეთა საძვალედ მოიაზრებდა, და რაც მთავარია, სადაც დაფლულია კვართი, აშენებულიყო გრუნტის წყლების ჰორიზონტის ისეთი არასასურველი სიმაღლის პირობებში, როგორიც სვეტიცხოვლის ეზოა. აქ, როგორც ცნობილია, გრუნტის წყლები იკვებება არა მარტო ატმოსფერული ნალექის შედეგად ეზოში დაგროვებული, არამედ ჩრდილო და დასავლეთ ნაწილიდან მოდენილი წყლებით, რადგან ცნობილია, რომ ტაძრის ეზოს ჰორიზონტი მდინარეებისკენაა დახრილი. ამგვარად, ამ ტერიტორიის ჭარბწყლიანობის საკითხი ჩვენი წინაპრებისთვისაც, ცხადია, ცნობილი იყო.

რადგან საქართველოში მდინარის პირას არა მარტო სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარია აშენებული, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენში ოდითგანვე არსებობდა გაწყლიანებულ ადგილზე ტაძრების მშენებლობის ისეთი მეთოდი, რომელიც ტაძართა დანესტიანებისგან დაცვას საკმაოდ გრძელვადიან პერსპექტივაშიც უზრუნველყოფდა.

ამ საკითხის გარკვევა, რასაკვირველია, ერთ-ერთი საკვანძო და მნიშვნელოვანი პრობლემაა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს კულტურის ისტორიისთვის.

ჩვენი შემდგომი კვლევები ეყრდნობა იმ შრომებს, რომელიც საკუთრივ ტაძრის და მისი შემოგარენის საინჟინრო-გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ კვლევებს ეხება.

წინა წლებში პროფ. დ. მშვენიერაძისა და პროფ. ა. ბადრიძის მიერ ჩატარებულ კვლევებში ამ მხრივ სამუშაოები სრულყოფილად არ ჩატარებულა.

ეს საკითხი შედარებით დაწვრილებით 2010 წელს „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ დაკვეთით შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტს“ მიერ იქნა შესწავლილი. სამუშაო ჩატარდა სვეტიცხოვლის ტაძრის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დაზუსტების მიზნით, რისთვისაც მოხდა გრუნტის წყლების დონეებზე ერთწლიანი რეჟიმული დაკვირვება.

ეზოს ტერიტორიაზე ჩატარდა სამუშაოები, რომლის დროსაც ტაძრის ირგვლივ, შერჩეულ ადგილებში, 10–13 მ სიღრმის 4 ჭაბურღილი გაიბურღა (ნახ. 1).

შესრულებული სამუშაოების მონაცემების მიხედვით აიგო ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და უბნის გეოლოგიური ჭრილები.



ჭაბურღილების მონაცემებით აგებული გეოლოგიური ჭრილი

ნახაზი 1

ჭაბურღილებში, სხვადასხვა სიღრმიდან, აღებული იყო გრუნტების 24 ნიმუში, აქედან:

22 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – თიხოვანი გრუნტებიდან; 2 დარღვეული სტრუქტურის ნიმუში - მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან.

გრუნტის წყალი გამოვლინდა ოთხივე ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 4,2-5,6 მ სიღრმეზე, მსხვილნატეხოვანი გრუნტის ფენაში. ბურღვის პროცესში წყლის მცირე მონადენი, სისველის სახით, აღინიშნა 1 და 2 ჭაბურღილში. დღის განმავლობაში გრუნტის წყლის დონემ ამოიწია და დამყარდა მიწის ზედაპირიდან 3,8-4,4 მ სიღრმეზე. საცავი მილების ჩასმისას და ძირითად ქანებში შესვლის შემდეგ ჭაბურღილებში წყლის შემოდინება შეწყდა (ძირითადი თიხები დაბალი ფილტრაციული თვისებებით ხასიათდებიან და პრაქტიკულად წყალგაუმტარნი არიან).



ნახაზი 2

გრაფიკზე (ნახ.2) გრუნტის წყლის საშუალო დონეები მოცემულია ლურჯი წყვეტილი ხაზით, ხოლო დონეები დაკვირვების კონკრეტულ თარიღთან მიმართებაში, ლურჯი მთლიანი ხაზით.

ერთწლიანი რეჟიმული დაკვირვების საფუძველზე, გრუნტის წყლის სარკის რყევის ამპლიტუდა საშუალო წლიურთან შედარებით 0,40-0,82 მ-ის ფარგლებშია, დონის აწევისას - 0,82 მ, დაწევისას კი - 0,40 მ. დადგინდა, რომ ტაძრის მოედანზე არსებული გრუნტის წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის შედეგს და მისი დონის ცვალებადობა დამოკიდებულია მოსული ნალექების ინტენსივობაზე. გრუნტის წყალი ცირკულირებს ალუვიურ კენჭნარებში და განიტვირთება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

ეს მდგომარეობა შეიძლება აიხსნას მდინარეების არაგვის და მტკვრის ხეობების სიახლოვით, რაც ქმნის გრუნტის წყლის დრენირების ხელსაყრელ პირობებს ამ მიმართულებით. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შედგენილი იქნა ტაძრის ეზოში წყლის მოდენის

ჰიდროიზოჰიფსების რუკა (ნახ. 3). უფრო მეტი სიზუსტისთვის ჰიდროიზოჰიფსების კვეთის სიმაღლედ მიღებულია 0,1 მ.



ნახაზი 3

რუკაზე ნათლად ჩანს გრუნტის წყლის მოდინება ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან და მისი განტვირთვა სამხრეთი და აღმოსავლეთი მიმართულებით (უფრო კონკრეტულად სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ).

ეს სურათი ნათლად ადასტურებს, რომ ეზოში წყლის საწრეტი სისტემის დარღვევის შემთხვევაში, სწორედ ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შეიძლება გროვდებოდეს ეზოდან მოდენილი წყალი, რაც, რასაკვირველია შეიძლება გამხდარიყო ტაძრის სამხრეთი კედლის დასველების მიზეზი, რაც, რასაკვირველია, თავის მხრივ არ გამორიცხავს იმ ფაქტსაც, რომ საკუთრივ ტაძრის საძირკველშიც აღწევდეს ნესტი. ალბათ, ამის მიზეზია, რომ ტაძრის სამხრეთ ნაწილში არსებული ჭის წყალი სუფთა აღარ არის, მაშინ როცა, ის იმდენად მაღალი ხარისხის იყო, რომ სასმელადაც კი იყენებდნენ. ისიც აღსანიშნავია, რომ წყლის ეს დაბინძურება, შესაძლებელია, ბოლო ხანებში ხდება, რადგან 2001 წელს ჩატარებულმა წყლის ანალიზებმა უჩვენა, რომ წყალი ტაძრის ჭაში სუფთა იყო. ხაზგასასმელია, რომ ამ კვლევების ჩატარებისას ნიმუშები აღებული იყო სამი სხვადასხვა ადგილიდან (ტაძრის ჭის, მდ. მტკვრის და მდ. არაგვის) და სამივე ნიმუშის წყლის (ქიმიური) შემადგენლობა სრულიად განსხვავებული იყო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ზემოთ აღნიშნულ წყლებს სხვადასხვა მკვებავი წყარო გააჩნიათ, თუმცა ახლა ჭის და ეზოს წყლების შერევა ხდება. მონასტრის ჭაში კალიუმის მომატება გვაფიქრებინებს, რომ წყლის დონე მონასტრის საძირკველში (ძირითადად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) საკმაოდაა მომატებული.

ცხადია, ტაძრის აშენების, ან განახლების დროს ეს პრობლემა არ იარსებებდა და, რასაკვირველია, მისი საძირკვლის მახლობლობაში წყლის არსებობაც გამორიცხული უნდა

ყოფილიყო. ეს კი იმას ნიშნავს, წყლის დაგროვების საკითხი მშენებლების მიერ ცალსახად იყო გადაწყვეტილი.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ ტაძრის ეზოში მართლაც მოწყობილი იყო საწრეტი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ეზოს დაცლას წყლისგან.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტაძრის მშენებლებმა მხოლოდ ეს სისტემა არ ჩათვალეს საკმარისად და თვით ტაძარიც დაიცვას სინესტისგან.

პროფესორ დ. მშვენიერაძის შრომის თანახმად:

1) თიხნარი ბალიში ტაძრის ქვეშ არის მიწის ზედაპირიდან 1,5 მეტრიდან 3 მეტრამდე. ამასთან, მიწის ზედაპირიდან 2 მეტრზე არის ტაძრის საძირკველი, ანუ, საძირკვლის ქვევით 1 მეტრზე კიდევ უნდა იყოს თიხნარი;

2) 3-მეტრიანი თიხნარის შემდეგ არის 0,8 - 2,2 მეტრის ხრეშის ფენა. საფიქრებელია, რომ დ. მშვენიერაძის მიერ ნახსენები თხრილის ქვედა ზედაპირი (დაახლოებით 5,2 მ) სწორედ კენჭნარი ფენის ბოლო კიდეს ემთხვეოდა;

3) 5,2 მეტრის ქვემოთ არსებული გამოფიტული, ყვითელი ქვიშაქვების ფიქლები, პრაქტიკულად, წყლის შემკრებ კოლექტორს წარმოადგენს და ეს ფენა ამ თვალსაზრისით, შესაძლოა კიდევ ერთი დამცავი მექანიზმი ყოფილიყო;

4) გამოუფიტავი ქვიშაქვებიც, თავისი ფორიანობის და წყლის შეწოვის მაღალი უნარის გამო, პრაქტიკულად, ტაძრის საძირკვლის თიხოვანი ბალიშის დამცავი მექანიზმის როლს ითამაშებდა.

ზემოთ აღწერილიდან ჩანს, რომ ტაძრის ბალიში თიხნარს წარმოადგენს და წყალგაუმტარია. ცხადია, ტაძრის სიმყარის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო, რომ თიხის ბალიშის ქვემოთ არსებულ მთელს სისტემას იმაზე ემუშავა, რომ ტაძრის საძირკველი მშრალი დარჩენილიყო.

ამ მხრივ, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფ. ვ. ცინცაძის ჩანაწერი სვეტიცხოვლის ტაძრის ე.წ. „პირველი“, ვახტანგ გორგასლისეული იატაკის შემადგენლობის შესახებ. კვლევებით აღმოჩნდა, რომ „V საუკუნის იატაკი წარმოადგენს 8-10 სმ სიმაღლის დაქუცმაცებული ქვიშაქვის მასალას (კვადრების დამუშავებისას ნარჩენი) კირის ხსნარზე და 4-6 მმ დიამეტრის კენჭებს. ეს იატაკი ეფუძნებოდა 5-6 სმ სისქის თიხამიწას და რიყის ქვის საფენს“ (მ. ბედიაშვილი).

ჩვენი აზრით, იატაკის ამ მასალით მოწყობა არ იყო შემთხვევითი და არ იყო გამოწვეული იმით, რომ კვადრების დამუშავების ნარჩენების, როგორც ზედმეტი მასალის, როგორმე გამოყენების საკითხი იდგა. მთავარი იყო, რომ იმდროინდელმა მშენებლებმა იატაკისთვის, რომელიც თიხნარის ბალიშზე იჯდა, გამოიყენეს ქვიშაქვის მასალა, როგორც ერთიანი სადრენაჟო სისტემის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფდა ტაძრის სიმშრალის შენარჩუნებას. რაც შეეხება გამოფიტული ქვიშაქვის ფიქლებს და საკუთრივ გამოუფიტავ ქვიშაქვებს, ერთიც და მეორეც ცნობილია, როგორც წყლის გამფილტრავი, წვიმის წყლის ნაკადულების შემკრები (კოლექტორი) და მათი გამტარი გარემო. ცხადია, ეს სისტემა ძალიან კარგად იმუშავებდა ტაძრის ეზოში, რადგან, როგორც ცნობილია და ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, გრუნტის წყლის ჰორიზონტი მთლიანად დახრილია მდინარეების არაგვისა და მტკვრის კალაპოტებისკენ. ამგვარად, შესაძლებელია დავუშვათ, რომ ქანების ასეთი განლაგებით შექმნილი იყო საკუთრივ ტაძრის დასველების საწინააღმდეგო სისტემა.

რადგან სვეტიცხოვლის ტაძარი, წყლის მოდინების თვალსაზრისით, ასეთ აგრესიულ გარემოშია აშენებული, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მშენებლებს ეს ადგილი სპეციალურად აქვთ შერჩეული წყლის სრულყოფილი საწრეტი სისტემის მოსაწყობად, ხოლო დედამიწის

ზედაპირიდან გამოუფიტავი ქვიშაქვების წყებამდე, თიხნარი ბალიშის ჩათვლით, არის კარგად გათვლილი წყლის საწრეტი სისტემის მიწისქვეშა ნაწილი.

ზემოთ ნათქვამი მოწმობს, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის შენებისას ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს როგორც ეზოს წყლისგან საწრეტი, ასევე ტაძრის საძირკვლის სინესტისგან დაცვის სრულყოფილი ბუნებრივი სადრენაჟო სისტემა, რომლის მაღალი ქმედითუნარიანობა დროზე, პრაქტიკულად, აღარ იყო დამოკიდებული.

ცხადია, სვეტიცხოვლის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტაძრის წყალსაწრეტი სისტემის შესწავლის საკითხს. ეს მრავალმხრივ საინტერესო საკითხია მშენებლებისთვის, არქიტექტორებისთვის, გეოლოგებისთვის და ა.შ, მაგრამ ძალიან საინტერესოა არქეოლოგებისა და ისტორიკოსებისთვისაც, რადგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული გახლავთ ის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში იყენებდნენ საკმაოდ ძლიერად გაწყლიანებული ტერიტორიებისთვის დამცავ სადრენაჟო სისტემებს.

ცნობილია, რომ დღეს მსოფლიოს საოცრებად ითვლება კამბოჯაში, 1150 წელს ხმერების მიერ გაწყლიანებულ ადგილზე (ტბაზე) აგებული ცნობილი ტაძარი ანგკორ-ვატი, სადაც მოწყობილია ტაძრის ნესტისგან დაცვის სისტემა.

ჩვენ ძირეულად, რასაკვირველია, ვერ განვიხილავთ ანგკორ-ვატის და სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის თავისებურებებს, მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ თანამედროვე მეცნიერების დიდ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ანგკორ-ვატი დგას წყალზე, მშენებლობისთვის გამოყენებულია შედარებით რბილი მასალა - ქვიშაქვა, ხოლო კედლების ფილების გადასაბმელად ე.წ. "მერცხლის კუდი".

სვეტიცხოვლის მშენებლობისას, გარდა სხვა მეთოდებისა, სწორედ "მერცხლის კუდებია" ერთ-ერთი ძირითადი ხერხი კედლის ფილების გადასაბმელად, ხოლო ქვიშაქვის გამოყენების შესახებ უკვე ზევით გვქონდა საუბარი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ჩვენი აზრით, ერთი კიდევ მნიშვნელოვანი ფაქტი-ანგკორ-ვატის მშენებლობისას გამოყენებულია მხოლოდ ნაგებობის ნესტისგან დაცვის სისტემა, რადგან იქ პერიოდულად მხოლოდ წყლის დონე იცვლება. სვეტიცხოვლის მშენებლებს კი წყლის საწრეტი, სადრენაჟო სისტემა აქვთ აგებული არა მარტო ტაძრის ნესტისგან დაცვის, არამედ ეზოში მოდენილი წყლის სასურველი მიმართულებით-მდინარეებისკენ გადასაგდებად.

ამგვარად, ნათელია, რომ ჩვენი წინაპრები ტაძრების ჭალაში მშენებლობის უმაღლეს ტექნოლოგიას ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში ფლობდნენ.

ამ საკითხის სიღრმისეული და მრავალდარგოვანი კვლევა, რასაკვირველია, აუცილებელი და მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს კულტურის ისტორიისთვის.

დასკვნა:

1) სვეტიცხოვლის ტაძრის ვახტანგ გორგასლისეული იატაკი, მის ქვეშ არსებული თიხნარი ბალიში და სიღრმის მიხედვით განლაგებული ხრეშის, კენჭნარის ფენები, გამოფიტული, ყვითელი ქვიშაქვების ფიქლები და გამოუფიტავი ქვიშაქვები წარმოადგენენ ტაძრის სინესტისგან დამცავ მექანიზმს;

2) ტაძრის სინესტისგან დამცავი სისტემა სვეტიცხოვლის ეზოს წყლისგან დამცლელ სისტემასთან ერთად ქმნიდა სვეტიცხოვლის ტაძრის და მისი შემოგარენის ერთიან სადრენაჟო სისტემას.

ლიტერატურა

1) **მ. ბედიაშვილი**. სამეცნიერო ტექნიკური კვლევის შედეგები. სვეტიცხოველი. თბილისი. 2003

2) **D.M. Mshvenieradze**, Civil engineering in ancient Georgia, 1952.

3) angkor vati ka.wikipedia.org/wiki/angkor-vati

4) **Nino Goguadze**, **Mamuka Jakhutashvili**, **Manana Kachakhidze**, **Nino Kachakhidze**. Some Results Of The Investigations Around Svetitskhoveli Cathedral. GESJ: Physics, 2015, No.1(13)

5) National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia - The report, which refers to the 2010 work.

Nino Goguadze, Mamuka djakhutashvili, Nino Kachakhidze, Manana Kachakhidze

The some reasons about water drainage system of Svetitskhoveli

Summary

On the bases of the investigations we may suppose that the water drainage system has been so effective and perfect that it protected the Svetitskhoveli cathedral from destruction during centuries.

The above mentioned facts make us suppose that such drainage systems may exist under other Georgian temples built at river banks and gorges, which require to be investigated.

The investigations are quite significant in the viewpoint of determining the contribution of the Georgian architecture in the world civilization as in the fifth century Georgian builders could construct not only a system preventing temples from damping, but more complex water drainage systems for the temples and areas surrounding them.

ვაჟა ნებიერიძე

Tribulus terrestris - კუროსთავის სტეროიდული და ფენოლური ნივთიერებები

სტეროიდები, როგორც ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები უდიდეს როლს ასრულებენ ორგანიზმის ცხოველმყოფელობაში. სტეროიდების კლასის მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან მცენარეებში ძირითადად ბიოსინთეზირდებიან: ეკდიზონები, სპირო - და ფუროსტანოლური გლიკოზიდები, კარდენოლიდები, ბუფადიენოლიდები, ქოლესტანები, პრეგნანები, რომლებიც შედარებით იშვიათად არიან გავრცელებულნი და მათი შემცველი მცენარეების გამოვლენა აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში პირველად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში დადგინდა სტეროიდული საპოგენინის- დიოსგენინის და მისი წარმოებული გლიკოზიდების არსებობა მცენარე *Tribulus terrestris*-ში [1].

Tribulus terrestris L. - კუროსთავი (ოჯახი *Zygophyllaceae*) რადიალურად განლაგებული ღეროებით, მიწაზე გართხმული, ერთწლოვანი, სარეველა, ფართოდ გავრცელებული მცენარეა - გვხვდება ყველა კონტინენტზე ანტარქტიდის გარდა. მცენარე უძველესი დროიდან გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში სხვადასხვა დაავადებისათვის [2].

კუროსთავის სტეროიდული გლიკოზიდების საფუძველზე ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში პრეპარატი „Tribusponin"- „ტრიბუსპონინი" შემუშავდა ათეროსკლეროზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, არაჰორმონალური ანაბოლიტური და ადამიანის გენერაციული ფუნქციის მასტიმულირებელი საშულება [3-5]. 9 სპეციალიზირებულ სამედიცინო ინსტიტუტში წარმატებით ჩატარდა ტრიბუსპონინის კლინიკური აპრობაცია და საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ნებადართული იქნა მისი წარმოება და სამედიცინო პრაქტიკაში ფართო გამოყენება. ტრიბუსპონინის სუბსტანციას ჩიმკენტის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა აწარმოებდა, მზა სამკურნალო ფორმას - ტაბლეტებს ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზა. პროდუქცია საბჭოთა კავშირის, საქართველოს, დსთ ქვეყნების სააფთიაქო ქსელში რეალიზდებოდა და დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა.

ბოლო პერიოდში ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში კუროსთავიდან შემუშავებულია ნატურალური პრეპარატი „Atherospinin" – „ათეროსპონინის" სახელწოდებით (კაფსულები), ბიოლოგიურად აქტიური დანამატის სახით, რომელშიც შენარჩუნებულია მცენარეში არსებული ნივთიერებები ბუნებრივი სახით და ტრიბუსპონინის ანალოგიური მოქმედებით ხასიათდება [5].

90-იანი წლებიდან მთელ რიგ ქვეყნებში ინტენსიურად დაიწყო კუროსთავის ქიმიური და ფარმაკოლოგიური შესწავლა, დადგინდა მისი მრავალმხრივი თერაპევტული ეფექტურობა ორგანიზმის თითქმის ყველა ფუნქციაზე; შემუშავდა მცენარის მრავალრიცხოვანი სამკურნალო პრეპარატი და ბიოლოგიურად აქტიური დანამატი. სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში მოზარდი კუროსთავიდან გამოყოფილია: დიოსგენინი, ტიგოგენინი, გიტოგენინი, გეკოგენინი, რუსკოგენინი, იამოგენინი და მათი წარმოებული გლიკოზიდები [2].

ტრიბუსპონინი თავისი მდიდარი და საინტერესო შედგენილობით განსხვავდება ამ მცენარის სხვა პრეპარატებისაგან, რაც მის მაღალ თერაპევტულ მოქმედებას აპირობებს.

სტეროიდული გლიკოზიდები კუროსთავის ცალკეულ ორგანოებში სხვადასხვა რაოდენობით გროვდება და მთლიან მცენარეში მათი შემცველობა ვეგეტატიური ნაწილების წონით შეფარდებაზეა დამოკიდებული. სამკურნალო პრეპარატის წარმოებისათვის მცენარის მასის

გამოყენების მიზანშეწონილობის დასადგენად საჭიროება მოითხოვს ცალკეული ორგანოს წონითი შეფარდების და მათში მოქმედი ნივთიერებების განსაზღვრას, რასაც ეძღვნება წარმოდგენილი შრომის ნაწილი.

დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ თბილისის მიდამოებში სექტემბერში შეგროვილ კუროსთავში ცალკეული ორგანოს წონითი შეფარდებითი წილი მთლიანი მცენარის მიმართ ასეთია (%): ფოთოლი 39,6; ნაყოფი 26,3; ღერო 31,5; ფესვი 2,6. შირაქის ველზე მოზარდ მცენარეში ცალკეული ორგანოების წონითი შეფარდება ერთგვარად იცვლება, მაგრამ ფოთლების რაოდენობა 30-40%-ის ფარგლებში მერყეობს.

კუროსთავის ხანგრძლივი ვეგეტაციის პერიოდში ყლორტების ამონაყარი იზრდება, მცენარე ყვავილობს და ნაყოფიერობს. შესაბამისად ცვალებადობს ცალკეული ნაწილების რაოდენობა, თუმცა მათი წონითი შეფარდების აღრიცხული ტენდენცია შენარჩუნებულია.

კვლევის შემდეგ ეტაპზე განვსაზღვრეთ ცალკეული ორგანოებიდან სტეროიდების გამოსავალი და შედგენილობა.

ჰაერმშრალი დაწვრილმანებული ნედლეულის 100 გ-ს 75%-იანი ეთანოლით ვწვლილავდით 3 ჯერადად. გაერთიანებული ექსტრაქტიდან სპირტს გამოვხდიდით, წყლიან სითხეს ვასუფთავებდით ქლოროფორმით, ვასქელებდით, ვაშრობდით და ვწონიდით. ნაშთი გადაგვქონდა ადსორბენტ დიაიონის HP 20-ის სვეტზე.

სვეტს ვრეცხავდით წყლით, 35% მეთანოლით, სტეროიდულ ნივთიერებათა ელუირებას 80% მეთანოლით ვახდენდით. ელუატს ვასქელებდით, ვაშრობდით და ვწონიდით; სტეროიდული გლიკოზიდების ჯამის გამოსავალი ფოთლებიდან შეადგენდა 5,5%-ს, ნაყოფებიდან 3,2%-ს, ღეროებიდან 2,4%-ს, ფესვებიდან 4%-ს. მიღებული ჯამების ფუროსტანოლური სტეროიდების თვისობითი შედგენილობა თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული ანალიზის მიხედვით წარმოდგენილია სურათ 1-ზე.



სურათი 1. კუროსთავის ორგანოების ფუროსტანოლური გლიკოზიდების თფქ. სისტემა:ქლოროფორმი:მეთანოლი:წყალი 26:14:3; რეაქტივი-ერლიხი

ჩავატარეთ გამოყოფილი ჯამების სპექტროფოტომეტრული რაოდენობითი ანალიზი. აღმოჩნდა, რომ ფოთლების ჯამში ფუროსტანების რაოდენობა შეადგენს 71%-ს, ნაყოფებში 45%-ს, ღეროებში 14%-ს, ფესვებში 25%-ს. ამრიგად კუროსთავის ფოთლები 3,9% ფუროსტანოლური რიგის სტეროიდებს შეიცავს, ნაყოფები 1,35%, ღეროები 0,33%, ხოლო ფესვები 1%.

კვლევის შედეგები ცხრილ 1-შია შეჯამებული.

მცენარის ორგანოები	მთლიანი მცენარიდან მასური წილი, %	სტეროიდული გლიკოზიდების ჯამის გამოსავალი, %	ჯამში ფუროსტანოლური გლიკოზიდების შემცველობა, %	მცენარის ცალკეულ ორგანოში ფუროსტანოლური გლიკოზიდების შემცველობა, %
ფოთოლი	39,6	5,5	71	3,9
ღერო	31,5	2,4	14	0,33
ნაყოფი	26,3	3,2	45	1,35
ფესვი	2,6	4,0	25	1,0

ცხრილი 1

კუროსთავის ორგანოების სტეროიდული გლიკოზიდების ჯამის მაღალეფექტური სითხოვანი ქრომატოგრაფიული ანალიზი HPLC ჩავატარეთ Agilent 1100 სერიის სისტემის აპარატზე, მობილურ ფაზად ვიყენებდით: A – წყალი და B – აცეტონიტრილი. დაყოფა მიმდინარეობდა ანალიზურ სვეტზე C_{18} (4,6x250 მმ), შემდეგ გრადიენტულ პირობებში:

0 წთ	20 წთ	40 წთ	60 წთ	80 წთ	90 წთ
20% B	40% B	60% B	80% B	100% B	100% B

მობილური ფაზის დინების სიჩქარე შეადგენდა 1,00 მლ/წთ. 1 მლ მეთანოლში გახსნილი 5 მგ საანალიზო ნიმუშის 10 მკლ ავტომატურად მიეწოდებოდა სვეტს.

კუროსთავის ფოთლებში ყველაზე მეტი სტეროიდული გლიკოზიდების პიკები მჟღავნდება, მას უახლოვდება ნაყოფები და უფრო ღარიბია ღეროები. ფესვები თვისობრივად განსხვავდება სხვა ნაწილებისგან, შესაძლოა მათში ქოლესტანები და პრეგნანული გლიკოზიდები ბიოსინთეზირდება.

ფოთლების სტეროიდული გლიკოზიდების ჯამის ადსორბციული ქრომატოგრაფირებით სხვადასხვა ზომის სილიკაგელის სვეტზე, როდესაც მობილურ ფაზად გამოყენებული იყო სისტემა: ქლოროფორმი-მეთანოლი-წყალი 26:14:3 გამოვყავით ხუთი ინდივიდუალური გლიკოზიდი, HPLC/MS (Agilent 6100 და ^{1}HNMR (300 K AV-300) ანალიზის მონაცემების მიხედვით ორი მათგანი დიოსგენინის, სამი ტიგოგენინის წარმოებული გლიკოზიდებია. კვლევები ნივთიერებათა სტრუქტურის დასადგენად გრძელდება.

ამგვარად კუროსთავის მთლიან მასაში ცალკეული ორგანოების წონითი შეფარდებით ძირითადია ფოთლები, შემდეგ ნაყოფები, ღეროები, ფესვები. მოქმედი ნივთიერებების - სტეროიდული გლიკოზიდების მაღალი შემცველობით გამოირჩევა ფოთლები, მათ უახლოვდება

ნაყოფები და ღეროები. ფესვებში უმეტეს წილად უთუოდ სხვა ნივთიერებები გროვდება, რაც მომავალი კვლევის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს.

პრეპარატების ტრიბუსპონინის და ათეროსპონინის წარმოებისათვის, მცენარის ჰაბიტუსიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მიწისზედა ნაწილის მთლიანი მასის გამოყენება.

კვლევის შემდეგი ეტაპი მიეძღვნა ფენოლური ნივთიერებების შესწავლას, მცენარიდან ფენოლური ჯამის მიღებას ვახდენდით შემდეგნაირად: ჰაერმშრალი დაწვრილმანებული ნედლეულის 100 გ-ს 75%-იანი ეთანოლით ვწვლილავდით 3 ჯერადად (2 ჯერ ოთახის ტემპერატურაზე და ერთხელ 70%-ზე). გაერთიანებული ექსტრაქტიდან სპირტს გამოვხდიდით, წყლიან სითხეს ვასუფთავებდით ქლოროფორმით, ვასქელებდით, ვაშრობდით. ნაშთი გადაგვქონდა ადსორბენტ დიაიონის HP 20-ის სვეტზე.

სვეტს ვრეცხავდით წყლით, ფენოლური ნივთიერებათა ელუირებას ვახდენდით 35% მეთანოლით, ხოლო სტეროიდების - 80% მეთანოლით. ელუატს ვასქელებდით, ვაშრობდით.

ქალაქ ნანჯინგში, ჩინეთის ფარმაცევტული უნივერსიტეტის ნატურალური პრეპარატების სახელმწიფო ლაბორატორიაში, მოვახდინეთ კუროსთავის ფოთლებიდან მიღებული ფენოლების დაყოფა სილიკაგელის სვეტზე სისტემით ქლოროფორმი:მეთნოლი:წყალი (26:14:3), ჩავატარე გამდიდრებული ფრაქციების მაღალეფექტური სითხოვანი ქრომატოგრაფიული ანალიზი (HPLC) Agilent 1100 სერიის სისტემის აპარატზე, მობილურ ფაზად ვიყენებდი – წყალი და - მეთანოლი. დაყოფა მიმდინარეობდა ანალიზურ სვეტზე C_{18} (4,6x250 მმ), შემდეგ გრადიენტულ პირობებში: 0 წთ - 10% B, 20 წთ - 40% B, 30 წთ - 100% B. შედეგად მივიღე 3 ნივთიერება, მათ შორის ნივთიერება 1 და 2 აღმოჩნდა ცნობილი ფლავონოიდური გლიკოზიდები. ქვერცეტინ 3-O-α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)-O-β-D-გლუკოპირანოზიდი და ქვერცეტინ 3-O-α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი [6], ხოლო ნივთიერება 3 - ახალი ფლავონოიდური გლიკოზიდი: ქვერცეტინ 3-O-α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)-O-β-D-გლუკოპირანოზილ 7-O-β-D-გლუკოპირანოზიდი.



სურათი 1. ნივთიერება 3-ის სტრუქტურა



სურათი 2. ნივთიერება 3-ის კორელაცია (HMBC)

კუროსთავში სტეროიდულ ნივთიერებებთან ერთად ფენოლების შემცველობა უთუოდ გარკვეულ გავლენას ახდენს მათ სამკურნალო ეფექტურობაზე. სტეროიდულ და ფენოლურ ნივთიერებების შედგენილობის შესწავლის გაგრძელება ნათელს მოჰფენს ამ მცენარიდან მიღებულ პრეპარატთა მრავალმხრივ თერაპევტულ მოქმედების მექანიზმზე.

ლიტერატურა

1. Т. Н. Качухашвили – Диосгенин из Якорцев стелющиеся (*Tribulus terrestris*) произрастающих в Грузии. Медицинская промышленность СССР, 1965, N 3, 46-48
2. M. Akzam, H. M. Asit, Naveed Akhtaret all. *Tribulus terrestris* Linn.: A review articll J. of Medical Plants Research, 2011, v.5 (16), 3601-3604
3. Э. П. Кемертелидзе, Т. А. Пхеидзе, Т. Н. Качухашвили и др. Новый атеросклеротический препарат Трибуспонин. Химико-фарм. журнал, 1982, N1, 119-122
4. Э. П. Кемертелидзе, Т. А. Пхеидзе. Стероидные соединения растений произрастающих в Грузии, 1992, Тбилиси, “Мецниереба”, 183 с.
5. E. Kemertelidze, M. Benidze, A. Skhirtladze. Tribusponin and Atherosponin – Remedies of vegetable origin. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 2013, v.7, N3, 100-104
6. J.B. Harborne. The Flavonoids: Advance in Research, Chapman and Hall, New York. 1994, p. 676

Vazha Nebieridze

Steroidal and Flavonoid Glycosides of *Tribulus terrestris*

Summary

Mass portion (%) of vegetative parts of whole plant *Tribulus terrestris* is the following: leaves 36,6; fruits 26,3; stems 31,5; roots 2,6. The content of furostanol glycosides in leaves 3,9%, fruits 1,35%, stems 0,33%, roots 1,0%. Steroidal glycosides composition: of leaves, fruits and stems is similar, but significantly differs in the roots.

Three flavonoid glycosides have been isolated from the leaves of *Tribulus terrestris*, growing in Georgia. One from them new organic substances characterized as quercetin 3-O-α-L-rhamnopyranosyl-(1→6)-O-β-D-glucopyranosyl 7-O-β-D-glucopyranoside. The structure has been established by using physical-chemical methods including one- (^{1}H-^{13}C, 1D-TOCSY) and two-dimensional (COSY, HSQC, HMBC) NMR and mass- spectroscopy (HR-ESI-MS).

მიხეილ გოგებაშვილი, ნაზი ივანიშვილი, ელენე სალუქვაძე

რადიაციისა და მაღალი ტემპერატურის მოქმედება ფიტოცენოზების მდგრადობის ცვლილებაზე

საქართველოს ფიტოცენოზები სტრუქტურული თავისებურებებით გამოირჩევიან. ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია რელიეფის ვერტიკალური ზონალობით, რაც, თავის მხრივ, მცირე მანძილზეც კი, ფიტოცენოზების შემადგენლობის ბიომრავალფეროვნებას ქმნის. ნებისმიერი სისტემის და, მათ შორის, ეკოლოგიური სისტემის მდგრადობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს. მდგრადობით განისაზღვრება სისტემის უნარი, შეინარჩუნოს სტაბილურობა გარემო პირობების ცვლილებების დროს. აღნიშნული დებულების კონტექსტში მდგრადობა შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლისუნარიანობის ტერმინის სინონიმად. რთული ეკოსისტემების მდგრადობის თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასების თეორიული საფუძვლები აღწერილია მრავალ სამეცნიერო პუბლიკაციაში [1,2,3,4]. ზოგადად, ნაჩვენებია, რომ სისტემის სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება პარამეტრების სამი ჯგუფით-მოცულობით (სისტემის ნივთიერებების მასით), პროდუქტიულობით (სისტემის ნივთიერებების თვითგანახლების სიჩქარით) და სტრუქტურული ჰარმონიულობით. პირველი ორი ჯგუფის პარამეტრების რაოდენობრივი ცვლილებების გამოყენება, ეკოლოგიურ სისტემებთან მიმართებაში, კარგად არის დამუშავებული კლასიკურ ბიოგეოგრაფიაში, ხოლო ეკოსისტემების სტრუქტურული ჰარმონიულობა და, განსაკუთრებით, მასზე ანთროპოგენური ზემოქმედების თავისებურებანი შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული. ენდემური ეკოსისტემების მაღალი პოტენციალი უზრუნველყოფს საწყისი მდგომარეობის შენარჩუნებას გარემოს ექსტრემალური პირობების ზემოქმედების დროს. თავისი ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის შემთხვევაშიც კი, მდგრადი ტიპის ძირითადი ეკოსისტემები აგრძელებენ ბუნებრივი ციკლების რეჟიმის უცვლელობის უზრუნველყოფას. ეს თავისებურება დაკავშირებულია მდგრადობის იმ პარამეტრებთან, რომლებითაც დაცულია ეკოსისტემების მრავალი საწყისი თვისება ტერიტორიების ანთროპოგენური ტრანსფორმაციის შემდეგაც. ეკოსისტემების მდგრადობის პარამეტრების კვლევა მნიშვნელოვანია, ფიტოცენოზების მდგრადობაზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგების პროგნოზირების მიზნით, ადეკვატური მეთოდების დამუშავებისთვის. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტისთვის მიზანშეწონილია როგორც ცალკეული მცენარეული ორგანიზმის დონეზე მოდელური კვლევების განხორციელება, ისე მთლიან ლანდშაფტზე მონიტორინგული დაკვირვებების ჩატარება.

ჩვენს ექსპერიმენტებში მცენარის საპასუხო რეაქციების პარამეტრების განსაზღვრისთვის ექსტრემალური ფაქტორების სახით გამოყენებული იყო მაღალი ტემპერატურა და მაიონიზებელი რადიაცია. კვლევა ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, კონკრეტულ მცენარეთა რადიორეზისტენტობის დადგენას და, მეორე მხრივ, მაღალი ტემპერატურული რეჟიმის პირობებში რადიობიოლოგიური რეაქციების ფორმირების შესწავლას. ბუნებრივია, აქცენტი გაკეთდა მცენარეული ორგანიზმების იმ დაცვით ეფექტებზე, რომლებიც განაპირობებენ მცენარის მაღალი ტემპერატურის მიმართ მდგრადობას. გამოკვლეული იქნა ექსტრემალური პირობებისადმი უშუალოდ მცენარეული ქსოვილების რადიორეზისტენტობა და მათი ტრანსპირაციის უნარი, როგორც ინტაქტური ქსოვილების ზედაპირული ტემპერატურის რეგულაციის საშუალება. პირველი სურათიდან ჩანს, რომ მცენარეული ქსოვილები მაღალ ტემპერატურასთან მიმართებაში საკმაოდ დიდი სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდებიან.



სურათი 1. მაღალი ექსტრემალური ტემპერატურების გავლენა
ფოთლის ქსოვილების სიცოცხლისუნარიანობაზე
1-30^{0}C-მდე; 2-40^{0}C; 3-50^{0}C; 4-60^{0}C; 5-70^{0}C
(ქსოვილების ნეკროტიზაციის ზონა შემოხაზულია)

აღნიშნულ ექსპერიმენტებში მცენარეული ქსოვილების ტემპერატურული რეჟიმისადმი დამოკიდებულების კვლევა მიმდინარეობდა წყლის დეფიციტის გარეშე [5]; შემდგომში იგივე ცდები ჩატარდა ინტაქტურ მცენარეებზე და როგორც მე-2 სურათიდან ჩანს, დაფიქსირდა ქსოვილების ტრანსპირაციის ინტენსიურობის მაჩვენებლების ცვლილებები.



სურათი 2. გამა-რადიაციის გავლენა მცენარეული
ქსოვილების ტრანსპირაციის ინტენსიურობაზე

იმისათვის, რომ დაგვედგინა, თუ როგორ რეალიზდება ზემოაღნიშნული ეფექტები ბუნებრივ გარემოში, დაკვირვება ვაწარმოეთ კონკრეტული ლანდშაფტის პირობებში. აქ გამოიკვეთა შემდეგი კანონზომიერება-რადიაციის დოზის ზრდის (20 გრეიმდე) კვალობაზე გაიზარდა საკვლევ მცენარეთა ფოთლების ზედაპირული ტემპერატურა.

პარალელურად ხორციელდებოდა ცდები სავეგეტაციო ჭურჭლებში. მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ დასხივებული მცენარეები ხასიათდებიან ნიადაგის წყლის

რესურსების ეკონომიური მოხმარებით; თუმცა ექსტრემალური ტემპერატურული ზემოქმედებისას ტრანსპირაციის დონის შემცირება მცენარეული ორგანიზმის ზედაპირის ეფექტური დაცვის საშუალებას არ წარმოადგენს. ამ უკანასკნელი ეფექტის განსაკუთრებული საშიშროება მაშინ იჩენს თავს, როდესაც ტემპერატურული ზღურბლი 40^0C-ს აღემატება. ასეთი ექსტრემალური ტემპერატურული რეჟიმის პირობებში დასხივებულ მცენარეთა კულტივირებისას შეუქცევადი პროცესები მიმდინარეობს და, ხანგრძლივი ზემოქმედების შემთხვევაში, ლეტალური ეფექტებით მთავრდება.

ანთროპოგენური და კლიმატოგენური დატვირთვის პირობებში ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრების განსაზღვრის მიზნით ცდები ჩატარდა ლანდშაფტის დონეზე. საკვლევი ლანდშაფტის სახით შერჩეული იქნა მადნეულის (კაზრეთი, ბოლნისის რაიონი) კარიერის მიმდებარე ტერიტორია. არჩევანი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გასაგები მიზეზების გამო, იქ არსებული ფიტოცენოზები მკვეთრად განსხვავდებიან ანთროპოგენური დატვირთვით (სურათი 3).

სურათი 3. საკვლევი ფიტოცენოზების ზონების ადგილმდებარეობა
(კამერის სიმაღლე ზღვის დონიდან 14,21 კმ)

1-მინიმალური დატვირთვის ზონა; 2-საავტომობილო სავალი გზისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების აქტიური კულტივირების ზონა; 3-მადნეულის კარიერის მომიჯნავე ტერიტორია

ამ უკანასკნელი მახასიათებლის მიხედვით ფიტოცენოზები, პირობითად, დაიყო სამ ზონად: პირველ ზონად მოიაზრებოდა მინიმალური დატვირთვის ზონა (სურათი 3-1); მეორე ზონას წარმოადგენდა საავტომობილო სავალი გზისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების აქტიური კულტივირების ტერიტორიები (სურათი 3-2); ხოლო მესამე ზონად მიჩნეული იყო უშუალოდ მადნეულის კარიერის მომიჯნავე ტერიტორია (სურათი 3-3).

ზემოაღნიშნულ ზონებთან მიმართებაში განხორციელდა ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრების შედარებითი ანალიზი. კრიტერიუმს წარმოადგენდა ფიტოცენოზში გაერთიანებულ მცენარეთა ფოთლების ზედაპირული ტემპერატურების პარამეტრების დადგენა, რომელიც ისაზღვრებოდა დისტანციური ლაზერული სკანირების მეთოდით. აღმოჩნდა, რომ ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის პირობებში (30^0C-მდე), ეს პარამეტრი ერთგვაროვან ხასიათს ატარებდა სამივე საკვლევ ზონაში, ხოლო ექსტრემალური ტემპერატურული რეჟიმის დროს (40^0C-ზე ზემოთ), ზონების მიხედვით იცვლებოდა ზედაპირული ტემპერატურული მაჩვენებელი,

სახელდობრ: მეორე და მესამე ზონების ფიტოცენოზებში შემავალ მცენარეთა ფოთლების ზედაპირული ტემპერატურა 3-6^{0}C-ით აღემატებოდა პირველი ზონის ფიტოცენოზების მცენარეთა ფოთლების იგივე მაჩვენებელს, რაც აღნიშნულ ზონებში ფიტოცენოზების მდგრადობის დაქვეითებაზე მეტყველებს.

ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აისახება ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრებზე, ხანგრძლივი ან პერმანენტული ზემოქმედებისას ვლინდება სუკცესიური პროცესების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მახასიათებლების ცვლილებების სახით. ჩვენ მიერ აღწერილი ეფექტი თვალნათლივ მიგვანიშნებს, რომ ანთროპოგენური და გლობალური კლიმატური დატვირთვის დროს, ანთროპოგენურ ფაქტორს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობისთვის.

ლიტერატურა

1. **Chen Sh, Chen B, Brian D**. Ecological risks assessment on the system scale: A review of state-of-the-art models and future perspectives Ecological Modelling, Volume 250, 10,2013, Pages 25-33
2. **Perrodin Y, Boillot C, Angerville R, Donguy G, Emmanuel E**. Ecological risk assessment of urban and industrial system: A review Science of The Total Environment, Volume 409, Issue 24, 15, 2011, Pages 5162-5176.
3. **Critto A, Torresan S, Semenzin E, Giove S, Mesman M, Schouten A.J.,. Rutgers M, Marcomini A**. Development of a site-specific Ecological risk assessment for contaminated sites: Part I. A multi-criteria based system for the selection of ecotoxicological tests and Ecological observations
Science of The Total Environment, Volume 379, Issue 1, 15,2007, Pages 16-33.
4. **Bruce K**. Hope. An examination of Ecological risk assessment and management practices Environment International, Volume 32, Issue 8, 2006, Pages 983-995.
5. **Третьяков Н.И**. Практикум по физиологии растений, М.Агропромиздат, 1990, стр. 272.

Mikeil Gogebashvili, Nazi Ivanishvili, Elene Salukvadze

The Influence of radiation and high temperature on the change of phytocenoses stability

Summary

The well-known disasters at Chernobyl and Fukushima nuclear stations revealed serious problems in forecasting the consequences of technogenic impacts on various biogeocenoses. At the same time, even the existing forecasting models need constant updating in the conditions of changing radiation effects. In the last years, extreme temperature has most often been identified as a modifying factor. This is caused by global climatic changes and the need to closely examine the response of the phytocenosic habitat to temperature changes. Pursuing this goal, we studied defensive effects of an increasing number of radiated plants under high temperature conditions. The research revealed economical ground water consumption by radiated plants.However, the reduced transpiration rate at extreme temperatures does not provide effective surface protection in plant population and causes

degradation of individual phytocenotic components. The article also discusses changes in stability parameters in various types of phytocenosis and examines long-term forecast opportunities for successive processes.

ეკონომიკა

ნიკო კვარაცხელია
ექსკურსია, როგორც ტურისტული მომსახურების ფორმა და მისი ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში

მიხეილ თოქმაზიშვილი
მიწის მართვის პრობლემები საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება

მიხეილ ჯიბუტი
კუპონის ეროვნული ვალუტად გახდომისა და მისი ლარში დენომინაციის ისტორია

ლევან ქისტაური, გიორგი ცუცქირიძე
რისკის პროფილი და დიურაცია კომერციულ ბანკებში

ნიკო კვარაცხელია

ექსკურსია, როგორც ტურისტული მომსახურების ფორმა და მისი ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში

1. ექსკურსიების ისტორიის მოკლე მიმოხილვა და წარსულის გაკვეთილები

საექსკურსიო მომსახურება ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. მასზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მოგზაურობის შესახებ ტურისტის კმაყოფილების აღმოცენება. ექსკურსია სერვისის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ზემოქმედებს ტურისტის მიერ სამოგზაურო ქვეყნის შესახებ აზრის ფორმირებაზე. თუ რამდენად ზემოქმედებს ექსკურსიის დროს მიღებული ინფორმაცია ამ აზრის ჩამოყალიბებაზე, ეს დამოკიდებულია: 1. ექსკურსიის შინაარსზე; 2. ექსკურსიამძღოლის (გიდის) ოსტატობაზე და 3. საკუთრივ ტურისტის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინფორმირებულობაზე. ამდენად, საკითხი მეტად კომპლექსური და ამავე დროს სათუთია. შესაძლებელია მასზე განსხვავებული აზრი არსებობდეს და შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა მიდგომებს იყენებენ პრობლემის გადასაწყვეტად.

ტურიზმისა და ექსკურსიების ისტორია უხსოვარი დროიდან იწყება. მრავალი მეცნიერი ცდილობდა და დღემდე ცდილობს მოგზაურობების პერიოდიზაციას. მათ სხვადასხვა მიდგომები აქვთ. მოგზაურობის ადრეულ ფორმებსა და ტიპებზე უმრავლესობა მეცნიერებისა თანხმდება, რომ დასვენებისა და განათლების მიღების მიზნით მოგზაურობა უკვე არსებობდა ანტიკურ ხანაში და მას იყენებდნენ ბერძნები და რომაელები, ხოლო უფრო ადრე ეგვიპტის მდიდარი ფარაონები. ამ პერიოდის ტურები თავისი შინაარსით მსგავსია. მოგზაურობის მოტივაცია იყო ფუფუნება და კომფორტი, გართობა, მოგზაურობით შთაბეჭდილებების მიღება, გამოცდილების გაღრმავება და ჯანმრთელობის აღდგენა. პრივილეგირებული მოსახლეობა პირველ რიგში მოგზაურობდა სიამოვნების მიღების მიზნით. ისინი მოგზაურობდნენ უძველესი ეგვიპტური კულტურის, იქ შემონახული არტეფაქტების, წარწერების, გამორჩეული ძეგლების მოსანახულებლად, მათ შორის, „რამდენიმე ათასი წლის წინ აშენებული ნაგებობების“, მაგალითად, საკკარას საფეხურებიანი პირამიდის, სფინქსებისა და გიზას დიდი პირამიდების – სანახავად. ბერძნებსაც ქონდათ მსგავსი ტრადიციები. ისინი მოგზაურობდნენ დელფში, ორაკლში, მონაწილეობას იღებდნენ დელფურ, ანუ ფიტიურ თამაშებში (მუსიკისა და სპორტულ შეჯიბრებებში); ნაწილი კი მიდიოდა ოლიმპიურ თამაშებზე. ჰეროდოტე (ძვ. წ. 485-424 წწ.) აღნიშნავდა, რომ ისტორიით და ეთნოგრაფიით დაინტერესებული მწერლები მოგზაურობდნენ ეგვიპტეში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ***შავი ზღვის სანაპიროებზე***, შუამდინარეთსა და იტალიაში.[1] ფაქტია, რომ კოლხეთი თავიდანვე იყო მოქცეული ბერძენთა სამოგზაურო არეალში.

ანტიკურმა რომმა დიდი წვლილი შეიტანა ტურიზმისა და დასვენების ფორმების განვითარებაში. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით რომაელებს მგზავრთა გადაყვანისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში. ახ. წ. 300 წლისათვის რომში გზების ქსელმა 90,000 კმ. შეადგინა, ხოლო ქვეყნის შიდა სახმელეთო კავშირებმა და მცირე გზებმა 200,000 კილომეტრი. კეთილშობილი რომაელები ცდილობდნენ ზაფხულში სამხრეთის კურორტებზე დაესვენათ, საბერძნეთში პლაჟებზე, ან ეგვიპტეში. მაგრამ ანტიკური პერიოდის რომაელები ისვენებდნენ არა მხოლოდ „ზღვის პლაჟებზე“, არამედ - მათ შემოიღეს ახალი ფორმა

[1] **Ueli Gyr**. Geschichte des Tourismus: Strukturen auf dem Weg zur Moderne. 2010. S. 6

„ზაფხულის აბაზანებისა“. სამკურნალო აბაზანები და ფუფუნება იყო ის ადგილი, რომელიც მდიდარ რომაელებს ზაფხულის ცხელ თვეებში იზიდავდა. ზედაპირულად ეს ჩანდა, როგორც ჯანსაღი მოტივირებული დასვენება, სინამდვილეში კი შეიცავდა ბევრ გასართობ, სათამაშო და პროსტიტუციის ელემენტებს. რომის იმპერიის დაცემის შედეგად შემცირდა და გავერანდა გზები. მოგზაურობა კი გახდა რთული და სახიფათო.

შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ახალი ტურისტული ტიპის დასვენება, რომელშიც განივთებული იყო კორპორატიული საზოგადოების ღირებულებები, მორგებული სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს, როგორიც იყვნენ ვაჭრები, სტუდენტები, ჯარისკაცები, მომლოცველები, მათხოვრები, მაწანწალები და ყაჩაღები. მას შემდეგ, რაც მე-12 საუკუნეში მოგზაურობა დაიწყო მეცნიერების დაუფლების მიზნით ტურიზმმა შეიძინა ახალი მნიშვნელობა. სასწავლებლად წასვლამ ისეთ ცნობილ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორიცაა: საფრანგეთში (პარიზი, მონპელიე), ინგლისში (ოქსფორდი) და იტალიაში (ბოლონია), ტურიზმს შემატა ახალი საგანმანათლებლო ელემენტი. მსოფლიოს გამოცდილება ხელმისაწვდომი გახდა ინდივიდებისათვის, მათ პიროვნულად შეეძლოთ ცხოვრების უნიკალური პრინციპის გაზიარება. წარმოიშვა ახალი ტიპის მოგზაურობა: მოგზაურობის საშუალებით მიზნის მიღწევა. რაც შეეხება მგზავრობის მოტივებს, აქ მნიშვნელოვანი იყო პროცესის შედეგების განვითარება - მოგზაურობა იძლევა თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. „მოგზაურობის სუბიექტური გამოცდილება არის დამახასიათებელი ადრეული პერიოდისათვის: მოგზაურობის მეშვეობით ტურისტი განიცდის თავისუფლებას“.[2]

თანამედროვე ტურიზმის წინამორბედი ფორმები:

Grand Tour იყო ის ადრეული ფორმა და თანამედროვე ტურიზმის წინამორბედი, რომელიც გავრცელებული იყო მე-16-18 საუკუნეებში, როგორც ახალგაზრდა არისტოკრატთა სამოგზაურო გატაცება. მას ჰქონდა საკუთარი, ახლებური და მიმზიდველი სამოქალაქო სტრუქტურა: ის, პირველ რიგში, მიმართული იყო საგანმანათლებლო მიზნებით მოგზაურობის გაფართოებისკენ, განათლების მიღება და დასრულება იყო დახვეწილი სოციალური ეტიკეტით, მაგრამ ამასთანავე მას ქონდა გაძლიერებული დასასვენებელი და გასართობი ფორმაც. პირველ რიგში, აქ ჩამოყალიბდა განსხვავებული პარადიგმა „მოგზაურობა, როგორც ხელოვნება“, მეორეს მხრივ გაძლიერებული იყო გართობის და ცხოვრებისგან სიამოვნების მიღების ელემენტი. კლასიკური საგანმანათლებლო Grand Tour გრძელდებოდა სამი წლის განმავლობაში. ამისთვის მოძებნილი იყო ყველა საჭირო კონტაქტი და საგანმანათლებლო პროგრამაც ზედმიწევნით იყო დახვეწილი.

მე-18 საუკუნის პირველი ნახევრიდან არსებული ტერმინი – „შემეცნებითი მოგზაურობები“ ძირითადად გამოიყენებოდა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებით განპირობებული მოგზაურობების აღსანიშნავად. ასეთი მოგზაურობები ტერიტორიულად ეწყობოდა უცნობ და მეცნიერებისთვის საინტერესო შორეულ საკვლევ რაიონებში, ხოლო შინაარსობრივად ის იქმნებოდა სწავლებისა და ემპირიული აკადემიური კვლევის ზღვარზე. 60-იანი წლებიდან ტერმინის – საგანმანათლებლო ტურიზმის შეცვლა შემეცნებითი ტურიზმით არ იყო დაკავშირებული კომპლექსურ კვლევასთან და აკადემიურ სწავლებასთან. ტერმინების ცვლილებებს, ან ერთის მეორეთი შეცვლას და პრაქტიკაში დამკვიდრებას ევროპელი მეცნიერები ხსნიან უფრო პრაგმატული მიზეზებით, როცა ტერმინებს ირჩევენ, ამკვიდრებენ არა მეცნიერები, არამედ პრაქტიკოსი ბიზნესმენები – ტუროპერატორები. მათთვის მნიშვნელოვანი იყო ფრაზის ზემოქმედების გავლენა პოტენციურ ტურისტზე. თუ რომელი ტერმინის ტყვეობაში მოექცეოდა ის უფრო ადვილად და სიამოვნებით შეიძენდა

[2] **Opaschowski**, Tourismus 1996, p. 65

სამოგზაურო პაკეტს. XX საუკუნის 60-იანი წლების სნობიზმს უფრო შემეცნება და ცოდნა იზიდავდა, ვიდრე საგანმანათლებლო ტურიზმი, რომელიც წინასწარ მიიწერდა მოგზაურობის შედეგად მიღებული ცოდნის სიკეთეს.

თანამედროვე ტურიზმი წარმოიშვა XIX საუკუნესთან ერთად, როგორც ტურისტული ღონისძიება შექმნილი სპეციალურად ბურჟუაზიის მაღალი ფენებისათვის. შემდგომში მან მიიღო ***„ღირსეული კავალერის მოგზაურობის“*** სახელწოდება, რაც კეთილშობილ ბურჟუას განათლების სრულყოფისთვის ესაჭიროებოდა. საგანმანათლებლო ტურიზმის. შემდგომი განვითარების ახალი ეტაპი გვხვდება გოეთესთან, რომელმაც დაგროვილი გამოცდილებიდან გარკვეული ნაწილი გაითვალისწინა და მოგზაურობის დანიშნულებად უფრო გონიერების გაძლიერება ჩათვალა საჭიროდ, რათა უცხო ქვეყანაში მოგზაურმა უკეთ შეიგრძნოს ამ ქვეყნის თავისებურებები, გონის საძირკველი და ადამიანური ურთიერთობები. ძირითადი მოსაზრებები გოეთემ იტალიური მოგზაურობის დღიურებში ჩამოაყალიბა. ამ მოსაზრებებიდან ყველაზე ცნობილის პერეფრაზირება გვხვდება „Meister Wilhelm“-ში, სადაც ფიგურირებს ცნობილი ფრაზა: „მოაზროვნე ადამიანის განათლება მოგზაურობამ განაპირობა“. ასეთი შეხედულებების კვალზე აღმოცენდა საგანმანათლებლო მოგზაურობა ევროპაში.

თომას კუკი - მსოფლიოში პირველი პროფესიული ტურისტული სააგენტოს დამაარსებელი.

მედავითნე თომას კუკი გახდა მსოფლიოში პირველი პროფესიონალი აგენტი და ტურიზმის ახალი ფორმის მოგზაურობების სააგენტოს დამფუძნებელი. პირველი მოგზაურობა მან მოაწყო სიფხიზლის საზოგადოების წევრებისათვის, რითაც უკვე დიდი ხანია შევიდა ტურიზმის ქრესტომატიულ სახელმძღვანელოებში. 1841 წელს თ. კუკმა დაიქირავა მატარებელი, რომ მოეწყო 570 ადამიანის - სიფხიზლის საზოგადოების წევრთა ტრანსპორტირება ლეისტერიდან ლაფბოროში კონგრესზე.

ამ ღონისძიებას წინ უძღოდა ვრცელი მოსამზადებელი სამუშაოები. ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი ორგანიზაცია: აუცილებელი იყო კულტურული პროგრამის შეთანხმება და ლაფბოროში კვების ორგანიზება, სარეკლამო პლაკატების იაფად და სწრაფად ბეჭდვა და გავრცელება, რამდენიმე ქალაქში სპეციალური მოსაწვევების დაგზავნა. 1841 წლის 5 ივლისს 570 „სიფხიზლის მეგობარი“ ცხრა ღია ვაგონით გაემგზავრა ლაფბოროში. კონგრესს ქონდა ვრცელი პროგრამა. გარდა ოფიციალური ნაწილისა ასევე დაგეგმილი იყო ზეიმი, ცეკვა ორკესტრის თანხლებით, ლანჩი ჩაით და ფუნთუშით. შეხვედრის ორგანიზებით ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას მოგზაურობის ორგანიზაციისთვის არ მიუღია არავითარი მოგება. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თ. კუკი მიხვდა, თუ რამდენად პოტენციურად მომგებიან ბიზნესთან ქონდა საქმე. 1843 წელს მოეწყო თექვსმეტი ექსკურსია ნავით ტემზაზე. 1845 წლიდან მან დაიწყო ტურების ორგანიზება ინგლისის მასშტაბით და შემდეგ ევროპის კონტინენტზე. მან გამოსცა „მოგზაურთა ცნობარი“ ლეისტერიდან ლაფბოროში მოგზაურობის შესახებ. მალე შექმნა კუპონები, რომლითაც შეიძლებოდა სასტუმროს მომსახურების გადახდა. 1847 წელს დაარსებული „თომას კუკის საზოგადოება“ იწყებს აყვავებას და ეს ორგანიზაცია დღემდე მოწინავე ტუროპერატორთა რიგებშია.

ამრიგად, შეიკრა წრე პერიოდიზაციისათვის, რომელიც შესაბამისად შემდეგ პერიოდებს მოიცავს:

ექსკურსიის ჩატარების დრო	მოგზაურობის მიზანი/სახე	საქმიანობის შინაარსი	საქმიანობის აღწერა	დამატებითი ფუნქციები
ანტიკური ხანა	გასართობი	დიდებულებისა და	ახსნა, გაძღოლა,	მწერლობა

		მოქალაქეების მონებითურთ მოგზაურობა	ორგანიზაცია	
შუა საუკუნეები	მომლოცველობა	მორწმუნეთა გაძღოლა	გიდობა	მწერლობა, დღიურების შედგენა
17/18 საუკუნეები	სასწავლო ტურები, გრანდ ტურები კავალერისტებისათვის ევროპაში	განათლება, მენტორობა, რეპეტიტორობა	მენტორის მოვალეობას ასრულებენ სტუდენტები, ან მცოდნე პირები	მხარეთმცოდნეობა, ქალაქების გაცნობა
18/19 საუკუნეები	მთამსვლელობის დაწყება. მწვერვალის დამპყრობი - ჯენტლემენი	მთის გამყოლი, თხილამურებით გამყოლი	ქვეყნისა და მთის მცოდნე ორგანიზატორი	
05.06.1841 წელი	პირველი საზოგადოებრივი მოგზაურობა – თომას კუკი	ექსკურსიამძღოლი და ორგანიზატორი	ყოვლისმცოდნე, პროფესიონალი	მწერალი, მოგზაურობის აღმწერი

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო დაპყრობილი კავკასიის რეგიონის ტურისტული მიზნებით ათვისება. ტურიზმი აქტიურად ვითარდება რეგიონში და მითუმეტეს საქართველოში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის სამხრეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზების მშენებლობა. გზებს შორის ძირითად როლს კავკასიის ოკუპაციაში ასრულებდა საქართველოს სამხედრო გზა. ამ გზით გადიოდა ძირითადი ტვირთები და მთავარი ტურისტული მარშრუტები. საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობისთვის მეფის რუსეთმა გამოყო მნიშვნელოვანი რესურსები: გზის მშენებლობისათვის მხოლოდ დარიალის ხეობაში საჭირო 41 ათასი რუბლი, ხოლო ხიდების მშენებლობისთვის იმავე ხეობაში - 30 ათასი რუბლი. ქანები, რომლებიც აფერხებდნენ მოძრაობას ააფეთქეს. მას შემდეგ, რაც 1811 წლიდან გზა გადავიდა სამხედრო უწყებიდან გზების სამმართველოს მართვაში, კიდევ უფრო გაუმჯობესდა კომუნიკაციები. 1814 წლისთვის გზა იმდენად შეიცვალა, რომ მასზე მოძრაობა დაიწყეს ეკიპაჟებმა. 1827 წელს მოსკოვსა და თბილისს შორის გაიხსნა ე.წ. „ექსპრესფოსტა“, ხოლო 1834 წლიდან დაინერგა სადგურები. ცოტა მოგვიანებით გზაზე გამოჩნდა ურესორო ეკიპაჟები, ე.წ. „პერეკლადნიე“, რომელიც ფუნქციონირებდა თითქმის მე-19 საუკუნის ბოლომდე.

1877 წელს თბილისში გაიხსნა „ნატურალისტთა საზოგადოება და კავკასიის ალპური კლუბი“. საზოგადოების საქმიანობა იყო ხანმოკლე. კლუბი მუშაობდა 1884 წლამდე, რომლის შემდეგ, იგი მიუერთეს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის ფილიალს, რომელიც სისტემატურად სწავლობდა კავკასიონის ქედს, პერიოდულად აფინანსებდა კვლევებს.[3] XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო ხდება ტურისტების სამოგზაურო ობიექტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობდა იგი დიდ ბრიტანელ, გერმანელ, ავსტრიელ და ფრანგ ტურისტებს შორის. ახალი გზებისა და რკინიგზის გაყვანამ, სასტუმროების გახსნამ ხელფეხი გაუხსნა ტურიზმს. თბილისის კლუბის მუშაობა იყო იმპულსი ფართომასშტაბიანი სამთო კომპანიების საქმიანობისათვის რუსეთის სხვა რეგიონებში.

[3] **Буданова В. П**. Древние цивилизации. Москва, : ЭКСМО, 2005, стр. 512.

ტურისტული მოძრაობის ზრდა საქართველოში განაპირობა 1912 წელს თბილისში ტურიზმის ხელშემწყობი მთავარი კომიტეტის შექმნამ. კომიტეტის თავმჯდომარე იყო კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის თანაშემწე. მისი ოფისი შედგებოდა დირექტორისა და საბჭოს წევრებისაგან, წევრები იყვნენ ცალკეული დეპარტამენტების ხელმძღვანელები. ასეთი მაღალი წარმომადგენლობა დაეხმარა ოფისს ადვილად დაემყარებინა კონტაქტები არა მარტო ყველა ალპურ საზოგადოებასთან, არამედ, ტურისტული ბიზნესით დაკავებულ ორგანიზაციებთან სამხრეთ რუსეთში. გატარებულ იქნა ღონისძიებები ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. მოწესრიგდა საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც იყო ამიერკავკასიის მთავარი მაგისტრალი და არეგულირებდა ტურისტულ ნაკადებს.

თბილისი, ვლადიკავკაზი, პიატიგორსკი, კისლოვოდსკი იყო ტურისტული საქმიანობის აღიარებული ცენტრები კავკასიაში. აქ ამუშავდა ათეულობით საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულება.

ტურიზმის ასეთმა სრულფასოვანმა ტრანსფორმაციამ გააკეთა თავისი საქმე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის 10-იან წლებში ხდება გარღვევა მოწინავე საგანმანათლებლო აზრის განვითარებაში. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინოვაციურმა პედაგოგიკამ ფართოდ გაუღო კარი ექსკურსიების მეშვეობით პრაქტიკაში მხარეთმცოდნეობის სწავლებას. გამოიცა ათობით დასახელების ტურისტული ჟურნალი და სხვა პუბლიკაციები ტურისტულ თემატიკაზე. მათ შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საექსკურსიო საქმიანობა. მან გაცილებით უკეთესი გახადა მოსწავლეთა მომზადება და განათლება.

დიდი ხნის განმავლობაში ამ სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ ძირითადად ენთუზიასტები. თბილისის ალექსანდრეს პედაგოგიური სკოლა, რომელიც დაარსდა 1866 წელს, იყო ერთ-ერთი პირველი, სადაც საექსკურსიო საქმიანობა გაუთანაბრდა განათლებას, გახდა მისი ორგანული ნაწილი. მას ხელმძღვანელობდა ნ. პ. ზახაროვი, რომელიც თვლიდა ექსკურსიას ყველაზე ღირებულ მასალად მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემის საქმეში, არა მხოლოდ შესასწავლ დისციპლინებში, არამედ რეგიონულ კვლევებსა და მხარეთმცოდნეობაში.[4] სასკოლო ექსკურსიები წარმატებით ტარდებოდა თითქმის ყველა სასწავლო დაწესებულებაში. სათავადაზნაურო გიმნაზიის ყოველწლიურ ანგარიშებში აღნიშნულია ასეთი ექსკურსიის შედეგები და მოსწავლეთა შეფასებები, რომლებიც მათ ექსკურსიის დროს დაიმსახურეს. ძნელი მისახვედრი არაა, თუ როდის თქვა უარი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ თავისუფალი დროის პედაგოგიკაზე. ამჟამად, მთლიანად დაკარგულია კავშირი სკოლის სასწავლო პროგრამებსა და საექსკურსიო თემატიკას შორის. არავინ ცდილობს იმას, რომ ექსკურსია კვლავ ჩადგეს სკოლისა და განათლების სამსახურში.

XX საუკუნეში, მაშინაც, როცა ევროპაში განხორციელდა საგანმანათლებლო რეფორმა და სასწავლო პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა პრაქტიკულმა სწავლებამ, საგანმანათლებლო მოგზაურობები მაინც არ იყო ყველასთვის ხელმისაწვდომი და იგი ელიტარული მოგზაურობების რიგს განეკუთვნებოდა. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ XX საუკუნეში მიმდინარეობს სოციალური ნიველირების პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის ქვეყნები ცდილობენ მოსპონ სიღარიბე და გააძლიერონ საზოგადოების საშუალო ფენა. ამ პროცესთან ერთად 60-იან წლებში ევროპაში მოხდა ტუროპერატორების მიერ საგანმანათლებლო ტურიზმის მეორე ტერმინით – კულტურული ტურიზმით ჩანაცვლება.

ექსკურსიებისა და მოგზაურობების მეშვეობით ხდება პიროვნების მიერ კულტურასთან და მის ნამდვილობასთან ზიარება. რამდენადაც თავისებური და უნიკალურია კულტურა, იმდენად

[4] **Путрик. Ю. С**. История туризма. Москва, 2014, стр. 138-155.
www.russiatourism.ru/data/File/news_file/**2014**/PUTRIK_Hi**story.pdf**

უნიკალური და თავისებურია გზა ტურიზმის საშუალებით მისი შემეცნებისა. ამ პროცესს შემცვლელი სხვა ანალოგი არ გააჩნია. არაპირდაპირი აღქმისაგან განსხვავებით (მაგალითად, კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებები) კულტურულ ტურიზმს პიროვნების უშუალო კონტაქტით კულტურულ ღირებულებებთან შემეცნების შეუცვლელი ეფექტი გააჩნია. ადამიანები კულტურასთან ზიარებისთვის სწორედ უშუალო კონტაქტს ანიჭებენ უპირატესობას. კულტურული ღირებულებების გეოგრაფიულად დიდ სივრცეზე განფენილობის გამო შეუძლებელია მათთან კონტაქტი ზიარება ტურიზმისა და მოგზაურობების გარეშე.[5]

საბჭოთა სივრცეში, რომელიც გახდა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამგრძელებელი, საექსკურსიო მომსახურება თხუთმეტივე რესპუბლიკაში იყო აბსოლუტურად ერთნაირი და ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ ხელდასმული სამი უწყების მეშვეობით: 1. სააქციო საზოგადოება „ინტურისტი“; 2. ახალგაზრდული ტურიზმის ორგანიზაცია - „სპუტნიკი“ და 3. პროფკავშირებს დაქვემდებარებული „ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო“. განსხვავებული იყო მათი მიდგომები და მენეჯმენტი. შედარებით მოკრძალებული იყო „სპუტნიკის“ ინფრასტრუქტურა და საექსკურსიო მომსახურებაც აქ იყო მინიმიზირებული და მწირი ინფორმაციის მიწოდებით და კომენტარებით შემოიფარგლებოდა.[6] „ინტურისტი“ საკუთარი მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, რომელიც საუკეთესო იყო მთელს საბჭოთა კავშირში და მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიით გამოირჩეოდა. ამ მიზნების მისაღწევად საჭირო იყო შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: 1. საბჭოთა ცხოვრების წესის (ზოგადად სოციალიზმის) უპირატესობის მტკიცება კაპიტალისტურზე; 2. გიდების მიერ ყოველგვარი ინდივიდუალიზმის გამოჩენის შესაძლებლობების შეზღუდვა, რისთვისაც მათ ურიგდებოდათ სხვადასხვა უწყებების მიერ უკვე შემოწმებული რეფერატები, რომელთა დაზეპირებაც აუცილებელი იყო და მათ აკონტროლებდნენ აღნიშნული მითითებების შესრულებაზე. 3. უცხო ენის კარგად ცოდნა და ექსკურსიის ჩატარების უნარი. ყველაზე დიდი ორგანიზაცია იყო - პროფკავშირული ტურიზმი, რომლის სახელწოდებაშიც ასახული იყო ექსკურსიები და მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ „ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო“ ერქვა. ეს უწყება ემსახურებოდა მილიონობით საბჭოთა და აგრეთვე უცხოელ ტურისტს. თუ ამ ორგანიზაციის საქმიანობას „ინტურისტისადმი“ წაყენებული ამოცანების მიხედვით განვიხილავთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ პირველი ამოცანა - „საბჭოთა ცხოვრების წესის (ზოგადად სოციალიზმის) უპირატესობის მტკიცება კაპიტალისტურზე“, ასევე იყო მთავარი პროფკავშირებისთვისაც; რაც შეეხება მეორე ამოცანას: „გიდების მიერ ყოველგვარი ინდივიდუალიზმის გამოჩენის შესაძლებლობების შეზღუდვა“, საბედნიეროდ, აქ უკეთესი მდგომარეობა იყო და თითოეული ექსკურსიამძღოლი ვალდებული იყო საექსკურსიო ბიუროს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით შეედგინა ინდივიდუალური საექსკურსიო ტექსტი, რომელიც იძლეოდა საკუთარი გემოვნების და ინტელექტის დემონსტრირების საშუალებას. მესამე ამოცანა - „ენის კარგად ცოდნა და ექსკურსიის ჩატარების უნარი“, აქ გაცილებით მაღალ დონეზე იყო და მიმდინარეობდა საშური შემოქმედებითი საქმიანობა ექსკურსიის სრულყოფისათვის.[7]

საჭიროდ მიმაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ საბჭოთა საექსკურსიო ხელოვნების სათავეში იდგა დიდი ირაკლი ანდრონიკოვი (ირაკლი ლუარსაბის-ძე ანდრონიკაშვილი) – რუსული ლიტერატურის უბადლო მცოდნე, მ. ლერმონტოვის მკვლევარი, რომლის ოსტატობის წყალობით და ძალისხმევით შეიქმნა პირველი თემატური ექსკურსიები ლენინგრადში: პუშკინი პიტერში,

[5] **Максаковский В.П**. Всемирное культурное наследие как объект географического изучения. В сборнике: Международный форум «Молодежь-спорт-туризм», М. 2004. Стр. 7

[6] **Соловьев А.А**. Зарождение Международного Молодежного Туризма В Ссср, - http://umc.gu-unpk.ru/umc/arhiv/2006/2/Soloviev.pdf

[7] **Орлов И. Б**. Становление Института Гидов-Переводчиков В Ссср (1929-1939 гг.) - http://www.hse.ru/data/2012/10/19/1247398334/2.pdf

ლერმონტოვი პეტერბურგში და სხვ. თემატიკის გამო ეს სანიმუშო ექსკურსიები თავისუფალი იყო პირველი ამოცანის შესრულებისაგან და შესაბამისად, ინტელექტს და გემოვნებას ქონდა გამომჟღავნების სრული თავისუფლება.

რაც შეეხება მესამე ამოცანას - „ენის კარგად ცოდნა და ექსკურსიის ჩატარების უნარი", ამ მიმართებით საბჭოთა მეთოდოლოგიას გააჩნდა რიგი უპირატესობებისა, რომლის წყალობით მთელს ევროპაში დღეს წარმატებით საქმიანობენ გიდებად მოსკოველი, პეტერბურგელი, ოდესელი, თუ თბილისელი გიდები.

ამდენად, დასკვნის გაკეთება შედარებით ადვილია კითხვაზე, თუ რა უნდა მოგვეშორებინა წინა წლების გამოცდილებიდან, რომ შეგვექმნა საექსკურსიო მენეჯმენტის თანამედროვე სკოლა. უნდა უპირობოდ უარი გვეთქვა ნომერ პირველ ამოცანაზე - „საბჭოთა ცხოვრების წესის (ზოგადად სოციალიზმის) უპირატესობის მტკიცებაზე კაპიტალისტურთან შედარებით". დანარჩენი მეთოდოლოგია კი უნდა შეგვენარჩუნებინა. რაც დამოუკიდებლობის წლებში არ მოხდა.

2.საექსკურსიო მენეჯმენტის მდგომარეობა დამოუკიდებლობის წლებში. მოთხოვნები ექსკურსიისადმი და ქართული სინამდვილე.

დამოუკიდებლობის მიღებისთანავე დღის წესრიგში დადგა უმნიშვნელოვანესი საკითხი ექსკურსიების ორგანიზებაზე და მის შინაარსზე პასუხისმგებლობის აღების შესახებ. ყოველგვარი რეგულაციებისა და კანონქვემდებარე აქტების არსებობის გარეშე, სრულიად თავისუფალი ბაზრის პირობებში, ეს ფუნქცია ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე თავის თავზე აიღეს ტურისტულმა ფირმების ერთმა ნაწილმა, ცალკეულმა კერძო პირებმა, შემდეგ საკმაოდ მოგვიანებით ამ სეგმენტზე გამოჩნდნენ ორგანიზაციები, რომლებმაც განიზრახეს გიდების მომზადებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით მეტნაკლებად პროფესიულ დონეზე ექსკურსიების მომზადების მოკლევადიანი კურსების ორგანიზება. სამწუხაროდ, მათ მიერ მიღწეული შედეგის შეფასების მონიტორინგი არ არსებობს. ასევე არ არსებობს შიდა და გარე აუდიტის, ან ექსპერტთა შეფასების მეთოდოლოგია, მისი განხორციელების სურვილი და მცდელობაც კი. ბოლო ეტაპი ამ მიმართულებით იყო პროფესიულ კოლეჯებში გიდის სპეციალობის შემოღება და სწავლების დაწყება. აქაც არის სერიოზული პრობლემები. თუ როგორ შეძლებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ბაზაზე მომზადებული ახალგაზრდები ამ პროფესიის დაუფლებას. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება კულტურული მემკვიდრეობის ღირსებების უცხოელ ტურისტამდე მიტანას, რისთვისაც აუცილებელია ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე ტურისტებისათვის ძეგლის ღირსებების მიტანა და სხვა. აქაც უნდა ჩატარდეს მონიტორინგი და კვლევა იმისა, თუ რამდენად დაეუფლნენ ახალგაზრდები პროფესიას და რა შეხედულება აქვთ მათზე ტურისტებს.

რა როლი უნდა შეასრულოს ამ საკითხში სახელმწიფომ? უნდა იდგეს ის განზე? ან მიუშვას ყველა აქტორი თავის ნებაზე, შეაგულიანოს ისინი: აკეთეთ რაც გინდათ! ილაპარაკეთ რაც გინდათ! თუ მომჩივანი არა გყავთ, ე.ი. ყველაფერი წესრიგშია. უპრიანია ვიკითხოთ რა ხდება ამ მიმართებით სხვა ქვეყნებში?

ჩვენი ქვეყანა სრულიად სამართლიანად იბრძვის ევროპის სივრცეში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად. ამ მიმართულებით ჩვენი მიზანია ევროპულ საკანონმდებლო სივრცესთან ინტეგრაცია და ჩვენი კანონების ჰარმონიზაცია ევროპულთან. 2008 წლის მარტში ევროკავშირმა მიიღო გიდის ევროპული სტანდარტი № 15565, რომელიც დეტალურად აღწერს პროფესიის მიღების შესაძლებლობებს. ამ სტანდარტამდე ისინი მივიდნენ გარკვეული კომპრომისების შედეგად, რადგან არც ევროპის ქვეყნებს ქონდათ ერთნაირი კანონმდებლობა მითუმეტეს, ტურიზმში. მაგ.

ევროკავშირმა აიძულა საბერძნეთი შეეცვალა ფორმულირება ეროვნულ კანონში №710/77 საერთაშორისო ტურიზმში საქმიანობის შესახებ. მასში იყო ფრაზა: „საბერძნეთში ექსკურსიამძღოლი შეიძლება გახდეს მხოლოდ ბერძენი ეროვნების მოქალაქე“ - ამჟამად იგი შეცვლილია. სამაგიეროდ ბერძნებს აქვთ ევროპაში ყველაზე სრულყოფილი და დახვეწილი კანონი საერთაშორისო ტურიზმში მომუშავე გიდებისათვის. პირები, რომლებმაც განიზრახეს ადგილობრივ მოსახლეობასთან, ან უცხოელებთან მომუშავე ექსკურსიამძღოლი გახდეს, უნდა დაამთავრონ გიდების სკოლა, ასეთი სკოლები არსებობს უცხოელ ტურისტებთან მომუშავე გიდების გაერთიანებასთან და ისინი მისი ეგიდით ფუნქციონირებენ. ახალი წესით მისი დამთავრება და საბერძნეთში მუშაობა უკვე შეუძლიათ უცხოელებსაც, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

1. უცხოელმა გიდებმა უნდა მოიპოვონ საბერძნეთში ექსკურსიამძღოლად მუშაობის უფლება, რომელიც შეიძლება მიიღოს უცხოელმა 1 წლამდე ვადით.

2. გიდი-ექსკურსიამძღოლები ვალდებულები არიან თან ახლდნენ ტურისტებს ქვეყანაში, ან ქვეყნის გარეთ, მოგზაურობისას დაუშვებელია ტურისტების გიდის თანხლების გარეშე მოგზაურობა.

3. მუზეუმების, თეატრების, არქეოლოგიური გათხრების დათვალიერებისას თანმხლებ გიდ-ექსკურსიამძღოლს არა აქვს უფლება:

ა) ჩაატაროს ექსკურსია გათხრებზე და მუზეუმებში,

ბ) შეცვალოს ბერძენი ექსკურსიამძღოლი

გ) გამოიყენოს მიკროფონი (ხმის გამაძლიერებელი)

4. თუ ბერძენი გიდი-ექსკურსიამძღოლი არ ფლობს ტურისტების ენას, მაშინ უნდა მოწვეული იქნას გიდი-თარჯიმანი, რომელიც მის საუბარს სრულად გადათარგმნის.

5. გიდი-ექსკურსიამძღოლი, რომელმაც საბერძნეთის კანონმდებლობა დაარღვია, ან ვადა გაუვიდა მის უფლებამოსილებას ხელმძღვანელობასთან, კარგავს ექსკურსიის ჩატარების უფლებას. მან ეს უფლება თავიდან უნდა მოიპოვოს.

6. გიდი-ექსკურსიამძღოლები არ ატარებენ ექსკურსიას მაშინაც, თუ ჯგუფს თან ახლავს „დამუნჯებული“ ბერძენი გიდი. თანახმად ბერძნული კანონებისა №710/77 და № 393/76 ბერძნული ბიურო და მისი გიდი შემდეგ ამ კანონების საფუძველზე დაისჯებიან.

7. პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების არქონის შემთხვევაში ექსკურსიის ჩატარების გამო შესაძლებელია დაწესდეს მასზე თავისუფლების აღკვეთა 3-თვემდე ვადით, ან ფულადი ჯარიმა 20.000 ევროს ოდენობით. ჯარიმას გადაიხდის აგრეთვე ტურისტული ბიურო, სადაც უფლების არ მქონე პირი მუშაობდა.

8. უცხოელ ტურისტებთან მომუშავე გიდ-ექსკურსიამძღოლს ეკრძალება ტურების გაყიდვა, რაზეც აკრძალვა გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ნება დართული არ არის აგრეთვე:

- ექსკურსიების, ან სამოგზაურო პროგრამების ნაწილის მოწყობა და ამ მიზნით ქვეყნის ფარგლებში, ან გარეთ სატრანსპორტო საშუალებების დაგირავება და ღონისძიებების გამართვა ხმელეთზე, წყალზე, ან ჰაერში. შუამავლობის, საცხოვრებელი ფართის გაქირავების, დასვენების, მოვლის, სატრანსპორტო საშუალებების გაქირავების მიზნით.
- შუამავლობა ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებზე ბილეთების შეძენის მიზნით;
- შუამავლობა კონგრესების ორგანიზების მიზნით;
- ბარგის მიღება და გაგზავნა;
- შუამავლობა სამოგზაურო პასპორტის მიღებაში;

- ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, ტურიზმის, სასტუმროს, რეკლამის, ბილეთების რეალიზაციასთან ან საბერძნეთის ტურიზმის ეროვნული ორგანიზაციის (EOT) საქმიანობით არის გათვალისწინებული.

9. ზემოაღნიშნული კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში საქმე სასამართლოში უნდა იქნას განხილული სასწრაფო წესით.

10. ექსკურსიამძღოლის ისეთი ქმედებები, რომლებიც საბერძნეთის სახელმწიფოს ინტერესებს, ან უსაფრთხოებას დაარღვევენ, კანონით უნდა აღიკვეთოს.

11. მხოლოდ კუნძულ კორფუს ექსკურსიამძღოლებს ეკრძალებათ სპეციალური კანონით- საბერძნეთის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბრძანება №5 14769 რეგისტრირებული 30.3.78 წელს გაყვნენ ავტობუსით ტურისტებს სასტარტო პუნქტიდან 5-კმ-ზე მეტ მანძილზე.

12. ექსკურსიამძღოლებს ეკრძალებათ მიიღონ საკომისიო, ფინანსური სამსახურის მიერ დამოწმებული ქვითრის გარეშე

13. ყოველგვარი ექსპორტი უცხოური ვალუტისა უნდა იყოს შეთანხმებული სპეციალური გადაწყვეტილებებით ეროვნული ვალუტის დაცვის მიზნით. საბერძნეთის გაწევრიანებასთან ერთად ევროკავშირში და ამ უკანასკნელის მოთხოვნით რიგი პირობები ზემოაღნიშნული კანონისა გაუქმდა, მაგ. მე-13 პუნქტი, რომელშიც დარჩა მხოლოდ ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა გიდების სკოლების მოთხოვნები, რომელიც ევროკავშირის ყველა წევრისათვის სავალდებულოდ დარჩა. გამონაკლისი მიღებულ იქნა მხოლოდ საზღვარგარეთის უნივერსიტეტების არქეოლოგიის პროფესორების მიმართ.

ადგილობრივი (ლოკალური) ბერძენი გიდი:

საბერძნეთში სრულიად განსხვავებულია მოთხოვნები ადგილობრივი (ლოკალური) ექსკურსიამძღოლისა და იმ გიდის მიმართ, რომელიც ატარებს ექსკურსიებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ლოკალურმა ექსკურსიამძღოლმა უნდა დაამთავროს ერთწლიანი კურსები, რომელსაც საბერძნეთის უცხოეთის ტურიზმის გაერთიანება აწყობს. ვინც კორფუში ერთწლიან კურსებს დაამთავრებს, მას ეძლევა უფლება იონიის კუნძულზე და ეპიროტის სანაპიროზე მეტეორას მონასტრის ჩათვლით ლიცენზიის საფუძველზე ჩაატაროს ექსკურსიები. შემდგომში სწავლება გრძელდება კუნძულ როდოსზე, სადაც ერთწლიანი სწავლების შემდეგ გაიცემა ლიცენზია დოდეკანესის ყველა კუნძულზე და აგრეთვე კუნძულ კრეტაზე ექსკურსიის ჩასატარებლად.

ქვეყნის მასშტაბის ბერძენი გიდი-ექსკურსიამძღოლი:

ზემოაღნიშნულ სკოლებში სწავლების დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელება შესაძლებელია ათენში სპეციალურ სასწავლებელში სადაც ორწლიანი სწავლების შედეგად ქვეყნის მასშტაბის გიდი-ექსკურსიამძღოლის დიპლომის მიღებაა შესაძლებელი. მეორე ასეთი სკოლა არსებობს თესალონიკში. ე.ი. საბერძნეთში არსებობს ორი სახის სრულიად განსხვავებული ლოკალური და ქვეყნის მასშტაბის ექსკურსიამძღოლის ლიცენზია. მხოლოდ ასეთი ლიცენზიის მქონე გიდები არიან უფლებამოსილნი საბერძნეთში ქვეყნის მასშტაბით გაუძღვნენ ტურისტებს. ლოკალურ ექსკურსიამძღოლებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ დაამთავრონ ორწლიანი სკოლები ათენსა და თესალონიკში და მიიღონ ლიცენზია.

ორწლიან სკოლაში შემსვლელები გადიან ტესტირებას და აბარებენ მისაღებ გამოცდებს იგივე პროცედურას გადიან ლოკალური ექსკურსიამძღოლები. განსხვავება ისაა, რომ ლოკალური გიდები კორფუსა და კრეტაზე ექსკურსიებისაგან თავისუფლდებიან. მისაღები გამოცდებისაგან თავისუფლდებიან არქეოლოგები, რომლებიც უგამოცდოთ ირიცხებიან და ორწლიანი სწავლის შემდეგ იღებენ ლიცენზიას.

მისაღები გამოცდები და მიღების პირობები გიდ-ექსკურსიამძღოლთა ათენის სკოლაში:

ათენის გიდ-ექსკურსიამძღოლთა სკოლაში მოსახვედრად საჭიროა ურთულესი მისაღები გამოცდების ჩაბარება. პირველი პირობაა აბიტურიენტთა ასაკი, ის არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს. ევროკავშირის წევრობის გამო მიღებისათვის გათვალისწინებულია ევროპული კავშირის ქვეყნების გამოცდილება. შემდეგი მოთხოვნა ბერძნულის სრულყოფილად ცოდნა და ბერძნულ ენაზე:

ა) განსაზღვრულ თემაზე თხზულების დაწერა;

ბ) თხზულება საბერძნეთის გეოგრაფიაში

გ) თხზულება საბერძნეთის ისტორიაში

გასაუბრება კომისიის წევრებთან, რომელშიც საბერძნეთის ტურიზმის ეროვნული გაერთიანების წევრები და მისი გენერალური მდივანი შედიან.

აღნიშნულ გამოცდებამდე კანდიდატი აბარებს გამოცდებს უცხო ენაში, მიუხედავად ეროვნებისა ათენში არსებულ რომელიმე უცხოეთის კულტურის ინსტიტუტში. მაგალითად, გერმანელებისათვის გოეთეს ინსტიტუტში, ინგლისურენოვანთათვის ბრიტანულ საბჭოში და ა.შ. ცოდნა უნდა შეესაბამებოდეს ტოეფელის გერმანულ ენის დიდი დიპლომის დონეს, ეს გამოცდების პირველი საფეხურია. მეორე საფეხური ბევრად რთული და საპასუხისმგებლოა, რადგან კანდიდატი სამ წესით გამოცდას აბარებს და ერთ ზეპირ გამოცდას გასაუბრებას როგორც წესი ათენის სკოლაში მიღების სურვილს ყოველწლიურად 500-ზე მეტი აბიტურიენტი გამოთქვამს, მაშინ, როცა მისაღებია 50 სტუდენტი.

სასწავლო გეგმა

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბის ექსკურსიამძღოლებისათვის სასწავლო გეგმა ერთნაირია. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ საგნის მოცულობაში. ლოკალური გიდები მხოლოდ რეგიონის მასშტაბის საგნებს გადიან. ორწლიანი სწავლება შედგება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილისაგან.

ა) თეორიული ნაწილი:

90 სთ კლასიკური არქეოლოგია და მშენებლობის ტოპოგრაფია;

90 სთ ბიზანტიური და გვიან ბიზანტიური ხელოვნების ისტორია და შენობის ტოპოგრაფია;

60 სთ წინა და ადრეისტორიული არქეოლოგია, შენობის ტოპოგრაფია;

50 სთ ევროპული ხელოვნების ისტორია, X-XX საუკუნეები

45 სთ ბიზანტიის ისტორია

30 სთ ახალი საბერძნეთის ისტორია XIX-იდან დღემდე

30 სთ ბერძნული რომაული და ახალბერძნული თეატრი;

30 სთ საბერძნეთის მხართმცოდნეობა;

30 სთ ბერძნული და ახალბერძნული სახელმწიფოები;

25 სთ ახალბერძნული ლიტერატურა;

25 სთ საბერძნეთის ტურისტული გეოგრაფია;

25 სთ რეფერატების მომზადება საექსკურსიო თემებიდან;

20 სთ საბერძნეთის ხალხური ხელოვნება;

20 სთ ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა და ხელოვნება;

15 სთ საბერძნეთის ტურიზმის კანონმდებლობა;

ბ) პრაქტიკული ნაწილი:

100 სთ ლექციები ათენის რეგიონის მუზეუმებში.

70 დღიანი სასწავლო ექსკურსიები საბერძნეთში[8]

[8] **Martin Schmidt**, **Wolfgang Nahrstedt**. Der Reiseleiter in Europa´93. Bielefeld, 1993. pp.166-171

როგორც სასწავლო გეგმიდან ჩანს სწავლება ძალიან მრავალმხრივია. პედაგოგებად მოწვეულნი არიან საბერძნეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლების მეცნიერები, რომლებიც ცნობილნი არიან თავიანთი პუბლიკაციებით, როგორც საბერძნეთში, ასევე საზღვარგარეთ. სასწავლო პროცესში ჩართულები არიან გამოცდილი ან ყოფილი ექსკურსიამძღოლები, რომლებსაც მეთოდური კურსი მიჰყავთ. ასეთი მოკლე მიმოხილვაც კი საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ჩვენ არ მივდივართ სწორი გზით. გაცილებით სწორი იქნებოდა უმაღლესი ჰუმანიტარული განათლების ბაზაზე ენის მცოდნე პირების ხანგრძლივვადიან (მაგ. ერთწლიან) კურსებზე მომზადება. დაუშვებელია დიპლომში, სერთიფიკატში, ან მოწმობაში მხოლოდ სიტყვა - გიდის ჩაწერა. გიდი უნდა მიბმული იყოს გარკვეულ ლოკაციაზე, მუზეუმზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე და ა.შ., რომელსაც პირი სწავლების დროს საფუძვლიანად შეისწავლის და კომისიური წესით ჩააბარებს საფინალო გამოცდაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მის დიპლომშიც სათანადოდ აისახება.

3. საექსკურსიო მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევები და საფრთხეები

3.1. ელექტრონული ექსკურსიები. ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ტექნიკური პროგრესი. ტურიზმი ღრუბელივით ისრუტავს სიახლეებს და საზოგადოებაც მოითხოვს ტურისტული სერვისისგან მომსახურების თანამედროვე ფორმებს. ელექტრონული ტექნიკის არნახული წარმატებების შედეგად დაინერგა ტურიზმში მომსახურების ახალი ფორმა – ელექტრონული ექსკურსიები. დასავლეთში უკვე დიდი წარმატებით ატარებენ ელექტრონულ ექსკურსიებს მუზეუმებსა და ისტორიულ ქალაქებში. საყოველთაოდ გავრცელებულია საქალაქო ელექტრონული ექსკურსიის შემდეგი ფორმები:

1. აუდიო საქალაქო ექსკურსიები;
2. აუდიო-ვიზუალური საქალაქო ექსკურსიები;
3. ვირტუალური საქალაქო ექსკურსიები ინტერნეტის გამოყენებით.[9]

ჩვენთან არ დანერგილა არცერთი ეს სიახლე. სამაგიეროდ ჩვენ უკვე დიდი რაოდენობით ვიღებთ ტურისტებს, რომლებიც შეიარაღებულნი არიან სმარტფონებში ჩაწერილი აპლიკაციებით. ეს აპლიკაციები შემუშავებულია იმ ტურისტული ფირმების მიერ, რომლებიც საქართველოში აგზავნიან ტურისტებს წინაწარ შედგენილი მარშრუტით. ამ მარშრუტზე არსებული ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციას ამზადებს უცხო ქვეყნის ტუროპერატორი. სწორედ ეს არის გამოწვევაც და საფრთხეც. ვინ იცის რამდენად კომპეტენტურია უცხო ქვეყნის ტუროპერატორი? რამდენად სანდოა მის მიერ მომზადებული ინფორმაცია? ხომ არ ხდება ფაქტების შეგნებულად ან უნებლიედ დამახინჯება? რა უნდა იღონოს სახელმწიფომ ფაქტის დასადგენად და გაანალიზებისათვის?

გარდა აღნიშნული სირთულისა არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, როცა მეზობელი სახელმწიფოებიდან ტურისტული ჯგუფები შემოდიან საკუთარი გიდებით, რომელთა კომპეტენცია და მიზნები დაუდგენელია. ზემოთ უკვე განვიხილეთ საბერძნეთის მაგალითი. თუმცა, ძნელად სარწმუნოა საქართველომ შეძლოს გიდების მომზადება საბერძნეთის სტანდარტით, ან უცხოელი გიდებისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესება!

3.2. ექსკურსიები და სავაჭრო ბიზნესი. ნებისმიერი ექსკურსია დაკავშირებულია სუვენირების შეძენასთან, სავაჭრო ობიექტების დათვალიერებასთან, უფრო ზუსტად, მათ

[9] **ნ. კვარაცხელია, ე. არჩვაძე**. გიდის ხელოვნება. გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2012, გვ. 161-162.

სიახლოვესთან ყოფნასთან, როგორც წესი, საექსკურსიო მეთოდიკით გათვალისწინებულია ტურისტებისთვის ამ მიზნებით გარკვეული დროის დათმობა. ძნელია იპოვო მსოფლიოში მუზეუმი, რომელიც არ ვაჭრობს სუვენირებით და არ სთავაზობს ტურისტებს სარესტორნო მომსახურებას. როგორც წესი, ყველა ეს ობიექტი განთავსებულია მუზეუმის გასასვლელში. ტურისტი მუზეუმიდან გამოდის მხოლოდ მათი გავლის შემდეგ. მაგრამ ეს არის ცივილებული მიდგომა ვაჭრობისადმი. არის საპირისპირო მაგალითებიც. მაგ., აღმოსავლეთის ტურისტულ ქვეყნებში: თურქეთი, ეგვიპტე, ისრაელი და სხვ. ჩამოყალიბებულია ტრადიციებზე დაფუძნებული ცნობილი კორუფციული სქემა, რომელიც ითვალისწინებს საქალაქო ექსკურსიების განმავლობაში არაერთი სავაჭრო ობიექტის, სპეციალიზირებული მაღაზიების (ტექსტილი; ტყავის ნაწარმი; იუველირული – თურქეთში; სუვენირები; პაპირუსი; აღმოსავლური ხელოვნება – ეგვიპტეში; სანთლები; ქრისტიანული რელიგიისთვის დამახასიათებელი ნაწარმი; მკვდარი ზღვის პროდუქტების ვაჭრობით დაკავებული ობიექტების ჩართვა ექსკურსიები – ისრაელში) დათვალიერებას. ადგილობრივი გიდები და ტურიზმის მესვეურები აშკარად სარგებლობენ ტურისტების გაუთვითცნობიერებლობით და სთავაზობენ ნივთებს, რომელიც, როგორც ძალიან მალე ირკვევა გაცილებით ძვირად იქნა გაყიდული მათი ხელშეწყობით, ვიდრე ქალაქის სხვა მაღაზიებში, სადაც ტურისტები დამოუკიდებლად, მაგრამ მოგვიანებით ხვდებიან. საბედნიეროდ, ეს ცუდი მაგალითი ჯერ საქართველოში მთლიანად არ გადმოუღიათ, თუმცა ტაქსის მძღოლები (საქართველო იმ გამონაკლისი ქვეყნების რიგშია, სადაც ტაქსის მძღოლების უმრავლესობა აღებული თანხის შესახებ ქვითარს არ იძლევა და არც მრიცხველი მუშაობს, რომ სტუმარმა გადაამოწმოს კილომეტრაჟი და მასთან დაკავშირებული გადასახდელი თანხა. ასეთივე მდგომარეობაა ბაზრებზე და ბაზრობებზე). რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის გაყვანას საზღვარგარეთ, ჩვენმა ტუროპერატორებმა, რომლებიც აწყობენ უცხოეთში ასეთ მოგზაურობებს უნდა აუცილებლად გააფრთხილონ ტურისტები, ან უმჯობესია ასეთი ტრადიციის შესახებ ინფორმაცია გაავრცელონ ელექტრონული მედიის, ან ისეთი ბეჭდური პროდუქციის, როგორიცაა ბუკლეტები, ლიფლეტები, ფლაიერები და სხვა მსგავსი საინფორმაციო მასალების საშუალებით.

ამრიგად, სახეზეა საქართველოში საექსკურსიო მენეჯმენტის საყოველთაო ხარვეზები. რაც იმას არ ნიშნავს, რომ დარგში არ არიან კომპეტენტური ტურისტული ფირმები და საუკეთესო გიდი-პროფესიონალები. საჭიროა, რომ სახელმწიფო არ იყოს ტურფირმების კეთილი ნების იმედზე, არამედ შემოიღოს რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს გიდის მომზადების სახელმწიფო სტანდარტის შემუშავებასა და დანერგვას, პასუხისმგებლობას ექსკურსიის შინაარსზე, ამასთანავე დააკისრებს უცხო ქვეყნების სუბიექტებს პასუხისმგებლობას ტექნიკური პროგრესის შესაბამისად, აპლიკაციების შედგენასა და გავრცელებაზე, ხოლო უცხო ქვეყნის გიდებს განუსაზღვრავს სამოქმედო არეალს.

4. ტურისტული მომსახურების სამართლებრივი რეგულირება, როგორც გამოსავალი.

ძნელია მოიძებნოს სხვა რომელიმე ქვეყანა ჩვენს კონტინენტზე, რომელსაც ასეთი მწირი დარგობრივი კანონმდებლობა აქვს ტურიზმის სფეროში, როგორც საქართველოს. ამისთვის მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი არსებობს. ჯერ ერთი, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ აუცილებელი გახდა საკუთარი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღება. ერთადერთი რაც მოხერხდა იყო საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ.[10] ამ კანონმა განიცადა ძირეული ცვლილებები და არაერთი შესწორება. მაგრამ ტურისტულ მომსახურებას არეგულირებს არა ზოგადი კანონი, არამედ ის ასობით კანონქვემდებარე აქტები,

[10] https://matsne.gov.ge/ka/document/download/2032198/0/ge/pdf

რომლებიც ადგენენ თამაშის წესებს და რომელთა არქონა დღემდე აფერხებს ტურიზმის განვითარებას საქართველოში. 1990 წლიდან იწყება ევროკავშირის რეკომენდაციებისა და საერთოევროპული წესების დამკვიდრება ტურიზმის სფეროში.

ევროკავშირის ტურისტული სამართალი ძირითადად მიმართულია მომხმარებლის დაცვისაკენ. ევროკავშირის ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს ერთიანი კანონმდებლობა ტურიზმის სფეროში, სამაგიეროდ, ეროვნული კანონები არ შეიცავენ საერთო ევროპული რეკომენდაციების და ხელშეკრულებების საწინააღმდეგო ჩანაწერებს. ასევე არ აქვს შექმნილი ევროკავშირს სპეციალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ევროპული კანონმდებლობის დაცვაზე, ვინაიდან ევროპული დირექტივები არ ითვალისწინებს მათ განუხრელად შესრულებას და მას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. ევროკავშირის საკანონდებლო სისტემის სტრუქტურა ტურიზმის სფეროში შეიცავს ოთხ ძირითად ელემენტს:



განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის ქვეყნებისათვის 1990 წელს მიღებული დირექტივა პაკეტური ტურების რეგულირების შესახებ. აგრეთვე 2004 წელს მიღებული დირექტივა მგზავრების ტურისტული მიზნებით გადაზიდვის შესახებ. ევროპის ქვეყნები გამუდმებით მუშაობენ საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციაზე.

სამწუხაროდ, არც ეს იქნა გაზიარებული საქართველოში. არაფერი გაკეთებულა ევროპის საკანონმდებლო სივრცესთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციისათვის. ამ მიმართებით პრობლემა იყო დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში გამეფებული კორუფცია, რის გამოც მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეწინააღმდეგებოდნენ სახელმწიფოს მიერ ტურისტული საწარმოების ლიცენზირებას და სერტიფიცირებას. ნეოლიბერალების მოსვლამ ხელისუფლებაში და მათმა მთავარმა ლოზუნგმა – „ბაზარი დაარეგულირებს“, აზრი დაუკარგა სერტიფიცირებას. არავინ ფიქრობდა და დღემდე არავინ ფიქრობს, თუ რა დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე გატანილ სტანდარტთან შეუთავსებელ პროდუქტს. მათ შორის უნდა დავასახელოთ ჩვენი საკვლევი თემა – საექსკურსიო მომსახურება. ტურისტული მომსახურების სერტიფიცირება მიღებულია ევროკავშირის ყველა ქვეყანაში. რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მომსახურების სერტიფიცირებას? უპირველეს ყოვლისა ეს არის:

- ტურიზმის ინდუსტრიის ერთიან ტურისტულ ბაზარზე ტურისტული ორგანიზაციების საქმიანობისთვის თანაბარი პირობების შექმნა;
- დაეხმაროს ტურისტებს ტურისტული მომსახურების მისაღებად გააკეთონ კომპეტენტური არჩევანი;
- დაიცვას მომხმარებელი ტურისტული მომსახურების არაკეთილსინდისიერი შემსრულებლებისაგან;
- დაეხმაროს ტურისტებს მიიღოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქტები და მომსახურება, დაიცვას გარემო და ტურისტის ქონება;
- იგი ადასტურებს მომსახურების ხარისხს, რომლის გარანტიც არის ტურისტული ორგანიზაცია.

აღნიშნული ხუთპუნქტიანი ჩამონათვალი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სერტიფიცირება მოწოდებულია ერთდროულად დაიცვას: ტურისტული ბაზარი, მომხმარებელიც და ტურისტული ორგანიზაციაც.

ამ კონტექსტში უნდა დაზუსტდეს საექსკურსიო მომსახურების ჩარჩო და მოქმედების არეალი. რომელიც არის - ტურისტული მომსახურების ერთ-ერთი ფორმა და მოწოდებულია იმისთვის, რომ მან დააკმაყოფილოს ტურისტების/ექსკურსანტების შემეცნებითი ინტერესები, მათ შორის ტურისტული პროგრამების განხორციელება, ჯგუფური, ან ინდივიდუალური ექსკურსიების ორგანიზება და ჩატარება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ საექსკურსიო მომსახურება განეკუთვნება საექსკურსიო ორგანიზაციების, ან ინდივიდუალური მეწარმეების საქმიანობას, ტურისტების/ექსკურსანტების შემეცნებითი, სულიერი, ინფორმაციული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საექსკურსიო საქმიანობა (საექსკურსიო მომსახურება) მოიცავს გიდების, გიდი-თარჯიმნების, ექსკურსიამძღოლების, მთის გამყოლებისა და ტურიზმის ინსტრუქტორების საქმიანობას. შესაბამისად ამ მიმართებით სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებად გვევლინებიან: გიდები, გიდი-თარჯიმნები, ექსკურსიამძღოლები, მთის გამყოლები და ტურიზმის ინსტრუქტორები. შესაძლებელია ზოგადი მოთხოვნები ექსკურსიებისადმი და საექსკურსიო მომსახურებისადმი ჩამოყალიბდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- საექსკურსიო მომსახურებას ეწევიან როგორც ინდივიდუალური მეწარმეები, ისე იურიდიული პირები;
- საექსკურსიო მომსახურებისთვის ძირითადი მოთხოვნებია: სრულყოფილი ინფორმაციის მომზადება, ანუ შესაბამისობა ფუნქციურ დანიშნულებასთან; სამუშაოს დროულად და სიზუსტით შესრულება; უსაფრთხოების ნორმების დაცვა; მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა;
- შესაბამისობა ფუნქციურ დანიშნულებასთან ნიშნავს – საექსკურსიო პროგრამის თანხვედრას საექსკურსიო თემასთან, რაც გულისხმობს ექსკურსანტებისთვის მიწოდებული მასალის მისაწვდომობას და სრულყოფილებას;
- საექსკურსიო მომსახურების მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების სრული დაცვით, დროულად და სიზუსტით;
- საექსკურსიო მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს. უსაფრთხოების მოთხოვნები უნდა იყოს დადგენილი სტანდარტით;
- გიდები, გიდი-თარჯიმნები და ჯგუფგამყოლები მაღალ პროფესიულ დონეზე უნდა ატარებდნენ ექსკურსიებს სამეცნიერო-მეთოდური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით;

- გიდები სრულყოფილად უნდა ფლობდნენ საექსკურსიო მეთოდიკას, იყენებდეს თანამედროვე საექსკურსიო ხერხებს, ზრუნავდნენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ექსკურსიის სრულყოფაზე;
- ექსკურსიისადმი ძირითადი მოთხოვნები გულისხმობს: ექსკურსიის შემეცნებით ღირებულებებს, შინაარსის მეცნიერულ დონეს, ექსკურსანტებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას;
- საექსკურსიო ტექსტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: გასაგებად და ადვილად აღქმად თხრობას, ზუსტ და გასაგებ ფორმულირებებს, მდიდარი ფაქტიური მასალის ფლობას, ლიტერატურულ ენაზე მეტყველებას;
- მასალის გადმოსაცემად საექსკურსიო მარშრუტი უნდა შედგეს ლოგიკური თანმიმდევრობით. ტექსტი უნდა უზრუნველყოფდეს ობიექტის სრულყოფილად ჩვენებას, ყოველგვარი ზედმეტი პაუზებისა და ჩვენების უწყვეტობის პრინციპის დაცვით;
- სასურველია ყველა ექსკურსიას ქონდეს სათადარიგო მარშრუტი, რომ ფორს-მაჟორის შემთხვევაში ადვილად შეიცვალოს საექსკურსიო მარშრუტი;
- გიდებს, გიდ-თარჯიმნებს და გამყოლებს უნდა გააჩნდეთ განსაკუთრებული უნარ-ჩვევები, კერძოდ,
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა იყოს პროფესიული მომზადების შესაბამისი;
- უცხო ენების სათანადოდ ცოდნა;
- საექსკურსიო მასალის ცოდნა და გადაცემის უნარი;
- მომსახურე პერსონალმა განუხრელად უნდა დაიცვას პროფესიული ეთიკა;
- პროფესიული დონის განსაზღვრა უნდა მოხდეს ატესტაციის შედეგად;
- უნდა იყოს განსაზღვრული მომსახურე პერსონალის სტანდარტი და მოთხოვნები პროფესიისადმი;
- საექსკურსიო მომსახურების ხარისხის შეფასება უნდა ხდებოდეს შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის მიერ;
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასება უნდა ხდებოდეს შესაბამისი საექსპერტო და სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით;
- საექსპერტო მეთოდი გულისხმობს საქმიანობის შეფასებას ექსპერტების მიერ ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩატარებისა და გამოკითხვის საფუძველზე;
- სოციოლოგიური მეთოდი გულისხმობს საქმიანობის შეფასებას სოციოლოგიური გამოკითხვების საფუძველზე (ანკეტირება, გამოკითხვა, ტურისტების გამოხმაურება, ინტერნეტით გავრცელებული შეფასებები);

მაგრამ დღემდე საქართველოში არ არის დადგენილი მომსახურე პერსონალის უფლება-მოვალეობანი. არავინ იცის სად იწყება მათი უფლება და რა შედის მათ მოვალეობებში. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ეს პრობლემა წარმატებით გადაჭრეს რიგმა ქვეყნებმა. ერთ-ერთ წარმატებულ ნიმუშს წარმოადგენს ყაზახეთის კანონი ‘‘ტურისტული საქმიანობის შესახებ ყაზახეთის რესპუბლიკაში’’, რომელშიც დეტალურადაა გადმოცემული ტურისტული მომსახურების ნიუანსები და მონაწილე სუბიექტთა უფლება-მოვალეობანი.[11]

ევროკავშირმა ჯერ კიდევ 2008 წლის მარტში მიიღო საერთოევროპული სტანდარტი – „ტურისტული მომსახურება - მოთხოვნები პროფესიული ტურისტული გიდების ტრეინინგებისა და გადამზადების საკვალიფიკაციო პროგრამების უზრუნველყოფისათვის“ [EUROPEAN STANDARD

[11] Закон Республики Казахстан от 13.06.2001 № 211-II «О туристской деятельности в Республике Казахстан». — ვებ-გვერდი: http://online.zakon.kz/Document/?doc_id=1023618

EN 15565 - Tourism services - Requirements for the provision of professional tourist guide training and qualification programmes]. მაგრამ არც ეს კანონი მოქმედებს საქართველოში. უფრო მეტიც კანონი არც გადაუთარგმნიათ, ან მის შესახებ არ გაკეთებულა რაიმე პროფესიული კომენტარი.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მხოლოდ გავაანალიზოთ სხვა სახელმწიფოების მიერ გატარებული ღონისძიებები. ძალიან დიდი ყურადღება ექცევა მთელს მსოფლიოში მოზარდებისა და მოსწავლეთათვის ექსკურსიების ორგანიზების საკითხს. სკოლის მოსწავლეებისთვის ექსკურსიების ორგანიზებას დიდი სიფრთხილით ეკიდებიან მთელს მსოფლიოში. ზუსტად დადგენილი რეგულაციების მეოხებით რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი. რეგულაციების მომზადება ხდება სხვადასხვა უწყებების მონაწილეობით, რაც საბოლოო ჯამში გამორიცხავს საკანონმდებლო ხარვეზს და მასში გათვალისწინებული ხდება ღონისძიების ჩატარებისთვის საჭირო ყველა ნიუანსი. მოვიყვანოთ ორი მაგალითი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობით, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის მოთხოვნები სკოლის ექსკურსიების შესახებ, პასუხისმგებლობა გადანაწილებულია ოთხ აქტორზე:

1. **სკოლის დირექცია**, რომელიც ამტკიცებს სასკოლო ექსკურსიების და მოგზაურობების ხანგრძლივობას გამომდინარე საგანმანათლებლო მიზნებიდან და ზრუნავს მათ ორგანიზებასა და გარანტირებულ დაფინანსებაზე.
2. **ექსკურსიის კოორდინატორი** (ტურისტული ფირმა), რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ღონისძიების მომზადებას და არის პასუხისმგებელი მოგზაურობის განხორციელებაზე.
3. **სკოლის პედაგოგები** ახორციელებენ პროექტის საგანმანათლებლო ასპექტს, უწევენ ზედამხედველობას და პასუხისმგებელი არიან დადგენილი პროცედურების დაცვაზე.
4. **მშობლები** ექსკურსიაზე გამგზავრებამდე ვალდებულნი არიან აცნობონ მათი შვილების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მისცენ წერილობითი თანხმობა შვილების მონაწილეობაზე საექსკურსიო ღონისძიებაში და გადაიხადონ ექსკურსიის ხარჯები.[12]

ალბათ ძნელი არ იქნება ასეთი მარტივი, მაგრამ ყოველმხრივ გააზრებული წესების შემოღება საქართველოშიც. თუ გაცილებით მოწესრიგებულ და კანონმოშიშ გერმანელებს წესად აქვთ პასუხისმგებლობის გადანაწილება და ფუნქციების განსაზღვრა ექსკურსიაში მონაწილეებისა და მათი ორგანიზატორებისათვის, მაშინ ჩვენ უფრო დიდი დოზით გვჭირდება ექსკურსიის წინ საკუთარი ფუნქციების შეხსენება.

ანალოგიურია ავსტრალიაში სკოლის ექსკურსიების ჩატარების მოთხოვნები, რომლის შესაბამისად სამხრეთ ავსტრალიის სასწავლო გეგმები სტანდარტები და ანგარიშგების სისტემა ითვალისწინებს სამხრეთ ავსტრალიის განათლების სერტიფიკატის (საჩეს) გაცემას. მის მფლობელებს უფლება აქვთ:

აწარმოონ ისეთი საქმიანობა, როგორიცაა ბანაკებში და სკოლებში ექსკურსიების ორგანიზაცია; აქვთ სწავლის, მოგზაურობის მრავალფეროვანი, რთული და პრაქტიკული გამოცდილება სასწავლო სფეროს მასშტაბით. ხშირ შემთხვევაში ეს შეიძლება გახდეს ზოგიერთი სტუდენტის / ბავშვის ყველაზე მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო გამოცდილება. ამიტომ ყველა მასწავლებელი უნდა ცდილობდეს გამოიყენოს ეს გამოცდილება საგანმანათლებლო პროგრამებში. რა თქმა უნდა, სწავლა და მოგზაურობა უნდა მოხდეს უსაფრთხო გარემოში, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას სათანადო აზრის, დაგეგმვისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.[13]

[12] Leitlinien für die im Kindergarten und Primarbereich der Europäischen Schulen organisierten Schulreisen und –ausflüge. S.3. http://www.eursc.eu/getfile/253/1

[13] CAMPS & EXCURSIONS. GUIDELINES FOR SCHOOLS AND PRESCHOOLS. Dept. of Education, Training and Employment , 2000. S.15. From: https://www.sa.gov.au/__data/assets/pdf_file/0004/16573/CampsandExcursionsGuide.pdf

ამრიგად, ექსკურსია, როგორც ტურისტული მომსახურების ფორმა არსებობს უძველესი დროიდან და თავდაპირველად ის გახდა თვით ტურიზმის მოტივატორი. სხვადასხვა დროსა და ეპოქაში ექსკურსია იცვლებოდა და იღებდა განსხვავებულ ფორმებს და შინაარს, მაგრამ ყოველთვის ზუსტად გამოხატავდა იგი საზოგადოების ინტერესს და დამოკიდებულებას თავისუფალი დროის მიმართ. თავისუფალი დრო კი საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად ღირებული ხდება. XXI საუკუნეში ელექტრონული ტექნიკის არნახული წარმატებების შედეგად დაინერგა ტურიზმში მომსახურების ახალი ფორმა – ელექტრონული ექსკურსიები. ეს არის გამოწვევა თანამედროვე საქართველოსთვის და მან საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების გზით უნდა გადაჭრას ეს პრობლემა. ზოგადად კი საჭიროა, რომ სახელმწიფომ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ექსკურსიას, როგორც ტურისტული მომსახურების ფორმას და რეგულაციების გააქტიურებით დაეხმაროს ექსკურსიის ორგანიზატორებს, რომ მხოლოდ ერთეული ადამიანების და ტურისტული ფირმების გადასაწყვეტი არ იყოს ექსკურსიის ფორმა და განსაკუთრებით კი მისი შინაარსი.

Niko Kvaratskhelia

Excursion, as a form of travel services and its transformation in time and space

Summary

Tour guide service is one of the most important segment of tourism that has an effect on tourist's opinion about the target country. This paper deals with: 1. The lessons of Soviet heritage and history of Tourism; 2. Travel management in the years of independence. Tour guide requirements and Georgian reality; 3. Missed modern challenges and threats of tourism; 4. Legal regulation of tourist services as a solution of the current situation.

development industry, as a result of technical progress. Tourism absorbs innovations and society also requires modern forms of tourism service. As a result of unprecedented success of electronic equipments, a new form of tourism service- electronic tours-were implemented.

We have been receiving a large number of tourist, who are armed with smart phone recorded applications. These applications have been developed by the tourism firms, which send tourists to Georgia with prior drawn tourists route.

The information about sightseeing on this route is prepared by foreign tour operators and this is the right challenge and the threat. It is necessary for the state not to be dependent on goodwill of tour firms, but to introduce regulations that will provide development and implementation of the state standards for tour guide preparation and the responsibility of the tour content, at the same time, impose foreign entities responsibility for application development and dissemination in accordance with technical progress, and define action area for foreign guides.

Excursion, as a travel services form, exists since ancient times and at first it has become tourism motivator. In different time and era excursion was changing and taking the various forms and the content, but it always accurately reflected the public interests and attitudes toward leisure. Free time is becoming more and more valuable with the development of society. In the XXI century as a result of the unprecedented success of the electronic equipment there has been implemented a new form of service in tourism – an electronic excursion. This is the challenge for the modern Georgia and it has to solve the problem by introducing legal regulations. In general, government should pay more attention

to tours, as a form of tourism services and by activating regulations help tour organizers. Excursion forms and especially its content should not be left for individual persons and tourist firms to be decided.

მიხეილ თოქმაზიშვილი

მიწის მართვის პრობლემები საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება

სოფლის მეურნეობა არის საკვანძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს სოფლად და ფერმერები შეადგენენ მთლიანი სამუშაო ძალის თითქმის ნახევარს. კლიმატური პირობები ქმნის სასურველ გარემოს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისათვის. თუმცა ეს სექტორი განიცდის მრავალ სტრუქტურულ სირთულეებს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოში მიწის მართვაში არსებული პრობლემები გამოვლენა და ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.[1]

სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისების შეზღუდვა შემდეგი მიზნებით არის განპირობებული: სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უცხოური ეკონომიკური დომინირების (კონტროლის) პრევენცია, უცხოელების მიერ მიწით სპეკულაციის პრევენცია, სახელმწიფო სოციალური სტრუქტურის შენარჩუნება, იმიგრაციის არაპირდაპირი კონტროლი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობის კონტროლი.

მიწის ბაზრისადმი ლიბერალური დამოკიდებულებაა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების სწორი სამართლებრივი რეგულირება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად აღსანიშნავია რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების სამართლებრივ რეგულირებას: თავიდან იქნეს აცილებული მიწის ნაკვეთების გადაჭარბებული ფრაგმენტიზაცია, არარაციონალური დანაწევრება და მიწებით სპეკულაცია; უზრუნველყოფილი იყოს იმ ადგილობრივი მეურნეების ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, რომელთაც ესაჭიროებათ უფრო მეტი მიწა, ვიდრე გააჩნიათ.[2] აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით რიგ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების დროს მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება, რომლითაც სარგებლობენ მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრე ან მიწის მოიჯარე პირები (მაგ., ბელგია, გერმანია, იტალია, საფრანგეთი).

სოფლის მეურნეობის განვითარების მიმოხილვა.

წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორი შრომის უცვლელი მწარმოებლურობის შედეგად ძალიან ნელა ვითარდებოდა. 1990-2012 წლებში საშუალო წლიური მოსავალი ცვალებადი იყო და დაღმასვლის ტენდენცია ჰქონდა. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში თანდათანობით მცირდებოდა და 2012 წელს შეადგინა მშპ-ს მხოლოდ 9.5 პროცენტი. შემდგომ პერიოდში ეს მაჩვენებელი მცირედით გაიზარდა, მაგრამ 2014 წელს კვლავ 9.9 პროცენტი შეადგინა, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის წილი 1996 წელს შეადგენდა 34.1 პროცენტს. 2004-2014 წლებში მშპ საშუალოდ გაიზარდა 5,8 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობაში ზრდა შეადგენდა 0.2 პროცენტს. შემცირდა დამუშავებული ფართობების მოცულობაც. თუ 1990 წელს მუშავდებოდა 700 ათასი ჰა მიწა, 2006-2012 წლებში საშუალოდ 300 ჰა-ზე ნაკლები მიწა იქნა დამუშავებული. ამან კი მკვეთრი გავლენა მოახდინა კვების პროდუქტების წარმოებაზე საოჯახო მეურნეობებში. მართალია პერიოდულად ქვეყნის

[1] ამ სტატიაში აღწერილი ზოგიერთი ასპექტი გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ ნაშრომებში: იმიგრაციის გავლენა მიწის გასხვისებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე საქართველოში. ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისი, აშშ განვითარების სააგენტო, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, 2013, (ავტორთა კოლექტივი). http://ici.ge/news/evropuli-iniciativa---liberaluri-akademia-tbilisi-angarisis-prezentacias-gamartavs.html; სასოფლო-სამეურნეო კრედიტები საქართველოში. რისკები და პერსპექტივები. „ბიომეურნე“, ელკანა, # 1(16), 2011; 20 Years of Independence: Transformation of Georgian Agricultural System. European Initiative, Liberal Academy, East-West Management Institute, G-Pac, USAID 2012. (co-author).

[2] Deininger, K. and G. Feder (2001), „Land Institutions and Land Markets“, in B.L. Gardner, and G.C. Rausser (eds), Handbook of Agricultural Economics, Amsterdam: Elsevier.

ხელისუფლება ანხორციელებდა მიწის რეფორმებს, მაგრამ იგი მხოლოდ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა.

მიწის რეფორმები 90-იანი წლებიდან დაიწყო. მიწის პრივატიზების კვალდაკვალ საქართველოში ხორციელდებოდა ტრადიციული ძველი ტიპის მსხვილი მეურნეობების დანაწევრება და პარალიზება. არსებული მსხვილი მეურნეობები, რომლებიც მიწის მთლიანი მოცულობის 90 პროცენტამდე ფლობდა, დაიშალა. ორიენტაცია გაკეთდა მცირე ფერმერული მეურნეობის განვითარებაზე. საკმაოდ მაღალი სიღარიბისა და უმუშევრობის პირობებში მიწების განაწილება ემსახურებოდა მხოლოდ შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზანს.

ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი შეადგენს მთელი ფართობის 87%-ს, კერძო საკუთრებაში გადაცემულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მეოთხედი, სახნავი ფართობების 54,6%, მრავალწლიანი ნარგავების 68,5%, სათიბის 30% და საძოვრების 4,7%.[3]

სოფლის მეურნეობა დამყარებულია მცირე ფერმერებზე, რომელთათვისაც დამახასიათებელია წარმოების დაბალი ეფექტიანობა. ერთ ფერმერს საშუალოდ 0.8 ჰა სახნავი მიწა აქვს. მცირე ფერმერები აწარმოებენ მთლიანი პროდუქციის 80 პროცენტზე მეტს და ბაზარზე გააქვთ ამ პროდუქციის მხოლოდ 10 პროცენტი. სასოფლო-სამურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის დაცემას განაპირობებდა ინვესტიციების დაბალი წილი. 2007-2012 წლებში სოფლის მეურნეობის წილი მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში შეადგენდა 0.8 პროცენტს. 2013-14 წლებში იგი მცირედით გაიზარდა და 1.2-1.5 პროცენტს მიაღწია. მისი წილი საბანკო სესხებში 1-დან 2 პროცენტამდე შეადგენდა. ადგილობრივი საბანკო სისტემა არ იყო მოწადინებული გაეცა გრძელვადიანი კრედიტები. ბანკები კვლავ ფოკუსირებულნი იყვნენ მოკლევადიან სავაჭრო დაფინანსებაზე. ასეთი დაბალი მაჩვენებელი მეტყველებდა ამ სექტორის მაღალ რისკზე და დაბალ მომგებიანობაზე.

აგრარულ სექტორში კრედიტების გაცემას სხვადასხვა ფაქტორები აფერხებდა:

ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარი და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მიწები ძალიან დაბალლიკვიდურია; სასოფლო-სამეურნეო მიწების მაღალი ფრაგმენტაცია იყო ის მიზეზი, რის გამოც მცირე მეწარმეობა მაღალრისკიანი ხდებოდა, კომერციული საკრედიტო ორგანიზაციები კი, ჩვეულებრივ, მსხვილ ფერმერებზე ახდენდნენ ფოკუსირებას.

განუვითარებელია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, როგორიცაა სასაწყობო და სამაცივრე ნაგებობები, გადამამუშავებელი ქარხნები, სარწყავი და სადრენაჟო სისტემები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პარკები და სხვ. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა საქონლის არამდგრადი საკვები ბაზა, საძოვრების არასწორი მენეჯმენტი, მიწის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის დეფიციტი, სასუქებისა და თესლების სიძვირე და ა.შ. ამავე დროს, ფერმების ტექნიკა და ტექნოლოგიები საჭიროებდა მოდერნიზაციას. მიწების მცირე ნაკვეთებად დაყოფა ართულებდა მანქანა-მოწყობილობების ეფექტურ გამოყენებას, განსაკუთრებით ხორბლისა და სხვა ერთწლიანი კულტურების წარმოებაში; გაყიდვის სუსტი მეთოდები (ფერმერებს არ ჰყავდათ მუდმივი მომწოდებლები და კლიენტები) და სასაწყობო ინფრასტრუქტურის არარსებობა ზრდიდა მათ ხარჯებს. საინვესტიციო თანხების სიმცირის გამო ფერმერები ყიდულობდნენ დაბალი ღირებულებისა და უხარისხო თესლსა და სხვა ნედლეულს, რაც აისახებოდა კიდეც მათი საბოლოო პროდუქტის ხარისხსა და რაოდენობაზე. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა ზრდიდა წარმოების რისკებს, არამდგრადი ლოგისტიკა, ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და ვაჭრობის არასაკმარისი ხელშეწყობა ართულებდა პროდუქციის რეალიზაციას. ეს ფაქტორები კი, თავისთავად, იწვევდა სასესხო პირობების გაუარესებას.

ფერმერების დაბალ მწარმოებლურობას განაპირობებდა მათი პროდუქციის ღირებულების მოკლე ჯაჭვი, რაც აფერხებდა ინვესტიციების მიღების შესაძლებლობებს. მცირე ფერმერები არ

[3] ეს მონაცემები 2003 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად განისაზღვრა. შემდგომ პერიოდში ხელისუფლებას, ფაქტობრივად, მიწის ბალანსი არ უწარმოებია.

იყვნენ ვერტიკალურად ძლიერად ინტეგრირებული, ფერმერებსა და კლიენტებს შორის არ იყო მტკიცე კავშირი; მათ არ ჰყავდათ მუდმივი კლიენტები, შესყიდვებიც შედარებით ძვირი იყო.

ზემოაღნიშნული ფაქტორები განაპირობებდა სასოფლო-სამეურნეო სფეროში სესხების გაცემის უკიდურეს შეზღუდვას, ბანკების მიერ მიკროსესხების გაცემისაგან თავის შეკავებას, გრძელვადიანი კრედიტების არარსებობას, მაღალ საპროცენტო განაკვეთებსა და სხვ. მცირე ინვესტიციები და საბანკო კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად ამცირებს ტექნოლოგიების გამოყენებისა და წარმოების შესაძლებლობების გაფართოების შესაძლებლობებს.

მაღალი საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე და გრძელვადიანი კრედიტების არარსებობა განპირობებული იყო სოფლად უძრავი ქონების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწის) დაბალი ლიკვიდურობით. ბანკებს არ სურს, რომ სესხები გასცენ მოძრავი ან არამატერიალური ქონების უზრუნველყოფით, რადგან ასეთი სესხების გაცემა დაკავშირებულია ქონებაზე უფლებამოსილების დელეგირების მაღალ ხარჯებთან და მისი რეალიზაციის გაჭიანურებულ და ძვირადღირებულ პროცედურებთან. მიწის ბაზრების არარსებობა მსესხებლებს ურთულებს შესაძლებლობას, გამოიყენონ მიწა სასოფლო-სამეურნეო სესხის გარანტად.

რაც შეეხება მიკრო და სპეციალიზებულ საკრედიტო ორგანიზაციებს, მათ უმეტესწილად სუსტი ორგანიზაციული გარემო აქვთ და ფუნქციონირებენ ინსტიტუციური მხარდაჭერის გარეშე, ამიტომ უძლურნი არიან სერიოზული ზემოქმედება მოახდინონ სოფლის მეურნეობის სფეროში კრედიტების გაცემის პროცესზე. თავის მხრივ, კომერციული ბანკების მოხელეთა გაუთვითცნობიერებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრობლემებში იწვევს უნდობლობას ამ სექტორის მიმართ. ისინი თავს იკავებენ, მხარი დაუჭირონ ფერმერებს და კრედიტები გასცენ ამ დარგში.

ამ გარემოებას ემატება ისიც, რომ ფერმერები ამინდის პირობების, მავნებელ-დაავადებების, ბაზარზე ვითარების ცვლილებისა და მრავალი სხვა საწარმოო რისკის წინაშე დგანან. ეს ფაქტორები რისკის ქვეშ აყენებს მათი შემოსავლების სტაბილურობას. საქართველოში 16 სადაზღვევო კომპანიაა, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი ახორციელებს სოფლის მეურნეობის დაზღვევას. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საწარმოო რისკების მესამე პირებისთვის გადაცემის საუკეთესო ფინანსური ინსტრუმენტია, მაგრამ ამჟამად საქართველოში ფერმერები ამ ინსტრუმენტს სასოფლო-სამეურნეო რისკების შესამცირებლად ვერ იყენებენ.

ყოველივე ამის შედეგად, სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის გამო სასურსათო უზრუნველყოფა ხდებოდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი რისკი, რომლიც თავის ზეგავლენას ახდენდა სიღარიბის დონეზე.

საქართველო დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტზე. სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული კვების პროდუქტი ორ-მესამედზე მეტია, რის შედეგადაც ქვეყანაში კვების პროდუქტებით თვითდაკმაყოფილების მაჩვენებელი ძალიან დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის (კვების) პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში უფრო სწრაფად შემცირდა, ვიდრე მისი წილი ექსპორტში, საქართველოს სასურსათო დამოკიდებულება იმდენად დიდია, რომ იგი ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი კრიტიკული წერტილი გახდა.

დღეს ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო პროდუქციით შიდა ბაზრის მხოლოდ 15-20 პროცენტი კმაყოფილდება და ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2014 წელს შეადგენდა 8 პროცენტს, ბოსტნეულით – 70 პროცენტს, ხოლო ხორცით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი კი შეადგენს მხოლოდ 41 პროცენტს. ადგილობრივი ფრინველის ხორცით კი უზრუნველყოფილია მოთხოვნის მხოლოდ 25 პროცენტი.[4]

საქართველოში მოსახლეობის 60-70 პროცენტის საარსებო პირობები სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული. სოფლად არსებული დაბალი მწარმოებლურობა, გაძვირებული საწვავი, ფიზიკური და რუტინული შრომა განაპირობებს საოჯახო მეურნეობების დაბალ შემოსავლებს და წარმოშობს მასობრივ სიღარიბეს.

[4] 1974 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად კი, კვების უსაფრთხოების მინიმალური დონე 80-85 პროცენტს უნდა შეადგენდეს.

ყოველივე ამის შემდეგ, არ არის გასაკვირი ის, რომ სოფლის მეურნეობაში გამომუშავება სხვა სექტორებთან შედარებით მუდმივად რეცესიულ მდგომარეობაში იყო.

სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვის წინააღმდეგობები

სოფლის მეურნეობაში არსებული ჩავარდნის გამოსწორებას ხელისუფლება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით შეეცადა. 2010 წლის შემდგომ პერიოდში მწვავედ დადგა საკითხი მიწების რეგულირების შესახებ და მათი საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქისათვის მიყიდვის შესახებ.

შესაბამისად დადგა საკითხი, თუ რა სტიმულებია საჭირო იმისათვის, რომ მოზიდული იქნეს ინვესტიციები და გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება; არის თუ არა მიწების გაყიდვა, მათ შორის უცხო ქვეყნის რეზიდენტებზე ამ პრობლემის გადაწყვეტა. შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში და 2010-2012 წლებში განსაკუთებით გაიზარდა უცხოელი ინვესტორების რაოდენობა, რომლებმაც შეისყიდეს მიწები საქართველოში.

საქართველოში უცხოელებზე მიწის გაყიდვის პროცესის შედეგად კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა გარდაბნის რაონის სოფლებში ლემშვენიერაში, ახალსოფელში, ქესალოში სოფელ დიცში, თეთრიწყაროს რაიონის სოფლებში ხაიშსა და წინწყაროში, ჩხოროწყუს რაონის სოფელ კირცხში და სხვ. ერთმანეთს გადაეჯაჭვა რთული და წინააღმდეგობრივი ეკონომიკური, პოლიტიკური, ინსტიტუციური, საკანონმდებლო და კულტურულ-ეთნიკური საკითხები. უცხოურ ინვესტიციებზე აქცენტირებას უნდა დაეძლია სიღარიბე სოფლად, თუმცა დაპირისპირებამ უცხოელ ინვესტორსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მნიშვნელოვნად შეაფერხა მიწების დამუშავება.

წარმოქმნილი გამოწვევების შემდეგ, საკითხი დადგა არა მხოლოდ იმის შესახებ, შეუძლია თუ არა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, განავითაროს აგრარული სექტორი, არამედ იმაზეც, თუ რამდენად შესაძლებელია ამ ინვესტიციების ეფექტური მართვა ისე, რომ მისცეს ქვეყანას მაქსიმალური სარგებელი და შეამციროს ის რისკები, რომლებიც მიწის საკუთრების უფლების გადაცემას უკავშირდება.

ამ პრობლემების გამო, პარლამენტმა 2012 წლის საგაზაფხულო სესიაზე მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში დაფუძნებულ იურიდიულ პირებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების მოპოვების უფლება შეუჩერდათ.

თუმცა, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 24 ივნისს გააუქმა სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენაზე პარლამენტის მიერ დაწესებული მორატორიუმი, კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახდა მიწის პოლიტიკის რეგულირების საკითხი.

თეორიული კონტექსტი. ქართველ მეცნიერებში და ექსპერტებში გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობა ის დარგია, რომელსაც არსებითი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში. პოზიციები ასევე იდენტურია, როდესაც საკითხი ეხება იმას, თუ რამდენად უნდა შეეწყოს ხელი დარგის კომერციალიზაციას, უნდა ჰქონდეს თუ არა მას უპირატესად სოციალური მნიშვნელობა და ორიენტირებული იყოს ძირითადად შინამეურნეობების საარსებო მოთხოვნილებებზე. ცხადია, რომ სოფლის მეურნეობასა და სურსათის წარმოებას არ შეიძლება მეორეხარისხოვანი როლი დაეკისროს, რამდენადაც საქართველოში სიღარიბის დაძლევა ამ დარგის განვითარების გარეშე შეუძლებელია. სკეპტიციზმი იბადება, როდესაც დგება საკითხი, თუ რა არის საჭირო დარგის კრიზისიდან გამოსაყვანად, რამდენად რეალურია დღევანდელი თავისუფალი გლობალური კონკურენციის პირობებში ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რამდენად შესაძლებელია მრავალრიცხოვანი შინამეურნეობების ეფექტიანობის გაზრდა.[5] ეს საკითხები ლიტერატურაში ფართოდ შუქდება, თუმცა როდესაც საკითხი ეხება უცხოურ ინვესტიციებს, როგორც წესი, წინა პლანზე გამოდის საზოგადოების პატრიოტული გრძნობები.

სოფლის მეურნეობის სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც დომინირებს მცირე ფერმები, აქვთ მცირე დივერსიფიკაციის და საექსპორტო შესაძლებლობები. როდესაც ქვეყნის სტრატეგიული პოლიტიკა მიმართულია საბაზრო განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს ფორმირებისაკენ, აგრარული პოტენციალის მქონე მცირე ფერმების მიერ წარმოებული

[5] საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია. 2012. გვ. 6.

პროდუქცია თანდათანობით იძენს კომერციულ მნიშვნელობას. სოფლის მეურნეობის განვითარებით მიღებული სარგებელი, სოციალური თვალსაზრისით, სიღარიბის წინააღმდეგ პოლიტიკის განხორციელების შედეგია. ასეთი მიდგომა სოფლის მეურნეობის მხოლოდ პასიური როლის აღიარებას ნიშნავს, ხოლო თუ ქვეყანა ორიენტირებულია სახელმწიფოსთან ერთად კერძო კაპიტალდაბანდებებისა და ინფრასტრუქტურის ზრდაზე, სოფლის მეურნეობა სოციალურ დატვირთვასთან ერთად, კომერციულ მნიშვნელობასაც იძენს. ამ ასპექტით, ფერმერთა კონკურენტუნარიანობა გაიზრდება და აგრარული ბიზნესგარემო განვითარდება. ეს დარგი იქცევა ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად. სწორედ ამ მიმართულებით ხდება სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევების წარმართვა. მკვლევარებს შორის ფაქტობრივად, გაზიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში მცირე ზომის ფერმები ვერ უზრუნველყოფს მაღალეფექტიანობას. ქართველი ფერმერები წააწყდნენ სრულიად განსხვავებულ წინააღმდეგობებს, დაწყებული ბაზარზე იმპორტიორების მიერ დაბალფასიანი პროდუქციის შემოტანით, დამთავრებული სოფლის მეურნეობის განუვითარებელი ინფრასტრუქტურით, დაბალი კვალიფიკაციით, ტექნოლოგიებისა და სხვადასხვა რესურსების ნაკლებობით, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მოუწყობლობით და იმ გაურკვევლობით, რაც საქართველოს სტრატეგიულ განვითარებაში სოფლის მეურნეობის როლს უკავშირდება. მიწების ფრაგმენტაცია არარენტაბელურ მცირე ფერმებად, ბაზრის ზრდადი უსაფრთხოების სტანდარტების უქონლობა და ბაზრებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა სერიოზულ ბარიერებს უქმნის მცირე მეწარმეებს. შესაბამისად, მიწის მართვის სფეროში განხორციელებული რეფორმები, მიწების ფრაგმენტაციის საპირისპიროდ მათი კონცენტრაცია და მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საქართველოს ერთ-ერთ დიდ გამოწვევად იქცა, რამაც, ფაქტობრივად, სრულიად ახლებურად დააყენა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების გასხვისების საკითხი.

საქართველოში გარკვეული პრობლემები არსებობს საკუთრების უფლებებისა და მიწების რეგისტრაციის სფეროში, ხოლო მიწის არასრულყოფილი კადასტრი კი მნიშვნელოვნად ამცირებს მიწების ბაზრის შესაძლებლობებს.[6] მიწების გამოყენება ეფექტიანი გახდება მისი კონსოლიდაციის შემთხვევაში, მაგრამ ცხადია, რომ ეს სწრაფად ვერ მოხდება და გარკვეულ სოციალურ წინააღმდეგობებთანაც იქნება დაკავშირებული, ამიტომ მიწის შემდგომი განვითარება კოოპერატივების მშენებლობას დაუკავშირდა.[7]

ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობის სფეროში ორი მნიშვნელოვანი საკითხი დგება: მიწის მართვის სტრატეგიის სრულყოფის აუცილებლობა და მიწების ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებები, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა მიწების გასხვისების პრობლემა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

მიწის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა

მსოფლიო გამოცდილებაში არ მოიპოვება მიწების დენაციონალიზაციის, განსახელმწიფოებრიობის ეფექტური მოდელის შერჩევის მზა რეცეპტები. ყველა ქვეყანა ინდივიდუალურად უდგება ამ პრობლემის გადაჭრას, გამომდინარე იმ მიზნებიდან და მისიიდან, რომელსაც ისინი აკისრებენ სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა, ძირითადად, ლიბერალურად, მაგრამ სიფრთხილით ეკიდება იურიდიული პირებისთვის მიწის მიყიდვის საკითხს. ქვეყნების უმრავლესობაში მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები. სახელმწიფო იტოვებს ჩარევის უფლებას განსაკუთრებულ პირობებში, მაგალითად, ეკოლოგიური პრობლემის წარმოქმნისას. მიწის ბაზრისადმი ლიბერალური დამოკიდებულებაა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამასთან, განსაზღვრულია გასაყიდი მიწების ქვედა და ზედა მაქსიმალური ზღვრებიც, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნაკვეთების გადაჭარბებული ფრაგმენტიზაცია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი პრობლემური რჩება მიწების უცხოელებისადმი მიყიდვის საკითხი.

[6] Comparative Analysis of Agriculture in the South Caucasus (Lead author, George Welton). 2013. UNDP. p. 16, 36.
[7] Comparative Analysis of Agriculture in the South Caucasus (Lead author, George Welton). 2013. UNDP. p. 31.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიწების რეგულირების მიმოხილვა

საფრანგეთში უცხოელი ინვესტორებისთვის არ არსებობს არავითარი შეზღუდვა. კანონმდებლობა მოითხოვს მიწის ყოველი ყიდვა-გაყიდვისას ან იჯარით გაცემისას განსაკუთრებულ სამთავრობო ნებართვას. მეურნეობა უნდა უზრუნველყოფდეს მინიმუმ ორი ადამიანის დასაქმებას. ამგვარ მინიმალურ ზომად მიჩნეულია 25 ჰა.[8]

გერმანიაში მიწების გაყიდვისას შეზღუდვები ფაქტობრივად არ არსებობს. მიწის ფრაგმენტაციის აღკვეთის მიზნით, გასაყიდი ან იჯარით გასაცემი ნაკვეთი არ უნდა იყოს 1 ჰა-ზე ნაკლები. მაქსიმალურ ზომად მიჩნეულია 400-500 ჰა.[9]

დიდ ბრიტანეთში უცხოელებისთვის მიწების მიყიდვაზე არავითარი შეზღუდვა არ არის. მიწის შეძენის პროცესი ბრიტანეთში სამ საფეხურს მოიცავს. პირველი ეს არის სასურველი მიწის ნაკვეთის მოძებნა და მფლობელთან დაკავშირება დაქირავებული აგენტის საშუალებით. მეორე ეტაპი მოიცავს უშუალოდ მიწის ნაკვეთის შეფასებას, რომელიც გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და დაახლოებით 300-დან 1000 ფუნტამდე მერყეობს. საკუთრების კანონიერად გადაცმა მფლობელობაში არის ბოლო სტადია და ამისთვის საჭიროა შუამავალი (ადვოკატი). საკუთრებაში გადაცემა ხდება გამყიდველისა და მყიდველის ადვოკატების თანდასწრებით. კონკრეტული კანონი უცხოელებზე მიწის მიყიდვის შესახებ არ არსებობს. მათ შეუძლიათ მიწის ყიდვა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. ჩვეულებრივ ხდება ასევე ამ მიწის დაბეგვრა. ასევე არ არის განსაზღვრული, თუ მაქსიმალურად რამდენი ჰექტარის ყიდვა შეუძლია უცხოელს.

იტალიაში მიწის ყიდვა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის, თუმცა არანაირი კანონი არ არსებობს, რომელიც ზღუდავს უცხოელებისთვის მიწის/ქონების ყიდვას იტალიაში. ყველა უცხოელმა, რომელსაც სურს მიწის ყიდვა იტალიაში და ამავდროულად არ აპირებს იტალიის ცხოვრების უფლების მიღებას, უნდა დაინიშნოს „ფისკალური წარმომდგენელი“ (“fiscal representative”). ფისკალური წარმომადგენელი უნდა იყოს იტალიელი (მეგობარი, ან ნებისმიერი პროფესიონალი მრჩეველი, მაგალითად, ადვოკატი), რომელიც უცხოელი გადამხდელის სახელით, აწარმოებს ყველანაირ გარიგებას იტალიურ საგადასახადო სააგენტოებთან. ფისკალური წარმომადგენლის დანიშვნა არის ერთადერთი გზა, რათა ხელშეუხებელი გახდეს უცხოელი გადამხდელის ქონება იტალიური საგადასახადო სააგენტოების მიერ.

გარდა ამისა, ადგილობრივი საგადასახადო ოფისიდან ყველა უცხოელმა მყიდველმა/ინვესტორმა უნდა მიიღოს იტალიური „ფისკალური კოდი“ (fiscal code). ინვესტორებმა უნდა გადაიხადონ 12.5% ბეგარა, მაგრამ მისი გადახდა არ ეხებათ იმ უცხოელ პირებს ან კორპორაციულ ინვესტორებს, რომლებიც არ არიან იტალიელები, მაგრამ არიან იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებთანაც იტალიასთან ინფორმაციის ეფექტური გაცვლის ვალდებულება აკისრია (ერთ-ერთი ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები).[10] ფისკალური კოდის მისაღებად კი ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროში, რომელიც განაგებს უძრავი ქონების საკითხს, მხოლოდ პასპორტის ან იტალიაში ცხოვრების უფლების წარდგენა არის საჭირო.[11]

ესპანეთში უცხოელებისთვის არანაირი შეზღუდვა არ არსებობს მიწის ყიდვასთან დაკავშირებით. ეს განპირობებულია იმით, რომ ესპანეთის მთავრობა ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში. იმისთვის, რომ ნებისმიერმა პირმა შეიძინოს მიწა/საკუთრება ესპანეთში, საჭიროა მხოლოდ ფინანსური ნომერი (financial number), კოდი, რომლის მიღებაც შესაძლებელია პოლიციის განყოფილებაში მხოლოდ პასპორტის წარდგენის საფუძველზე. ერთადერთი შეზღუდვა, რაც ამ კოდის მიღებას ეხება არის ის, რომ

[8] Notaries de France: http://www.notaires.fr/notaires/en/notaires-as-property-specialists

[9] გერმანიაში საკუთრების ყიდვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს იუსტიციის სამინისტრო აწესებს და განაგებს. http://www.bmjv.de/DE/Ministerium/Rechtspflege/_node.html საკუთრების რეგისტრაციისათის ყველა ქალაქში ცალკე ორგანო (Grundbuchamt) არსებობს.

[10] http://www.consnewyork.esteri.it/NR/rdonlyres/90DC112D-2FCC-45EC-921F-6814743CFC4B/0/Guida_immobiliare_Boschini.pdf

[11] http://www.tesoro.it/en/ministero/agenzie-fiscali-demanio.html; http://rome.angloinfo.com/information/money/general-taxes/tax-codes

მისი აღება ხდება ერთ დღეში ესპანელი და სხვა ევროკავშირი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ხოლო სხვა დანარჩენი მოქალაქეებისთვის კი - შეიძლება რამდენიმე კვირა დაჭირდეს.

ესპანეთი ამჟამად სთავაზობს ე.წ. „ოქროს ვიზას“, მათ ვისაც აქვთ საკუთრება ესპანეთში. იგი ინვესტორების ვიზის ერთ-ერთი სახეობაა. თუ უცხოელი შეიძენს 500 ათას ევროზე მეტი ღირებულების ქონებას ესპანეთში, იგი ავტომატურად იღებს ცხოვრების უფლებას.[12]

საბერძნეთში ევროკავშირის მოქალაქეებისთვის არანაირი შეზღუდვა არ არის მიწის ყიდვასთან დაკავშირებით. თუმცა, სხვა დანარჩენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის არსებობს ერთადერთი შეზღუდვა: არის რამდენიმე ადგილი საბერძნეთში, სადაც უცხო ქვეყნის (არა ევროკავშირის) მოქალაქეებს არ შეუძლიათ მიწის ყიდვა, მიზეზი კი ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკაა. იმისთვის, რომ უცხოელმა შეიძინოს მიწა საბერძნეთში, უნდა აიღოს ბერძნული საგადასახადო კოდი (AFM), რომლის მიღებაც ადგილობრივ საგადასახადო ოფისში არის შესაძლებელი განცხადების დაწერის საფუძველზე. ამ კოდის წარდგენა აუცილებელია კონტრაქტის გაფორმების დროს.[13] ისევე როგორც დასავლეთის ევროკავშირის ქვეყნებში, საბერძნეთშიც მიწის შესასყიდად კოდის მისაღებად საჭიროა მხოლოდ პასპორტის წარდგენა.

დანიაში მიწის კანონმდებლობით საკუთარი და ოჯარით აღებული მიწის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 150 ჰა-ს. კანონმდებლობა არ უშვებს არც ლატიფუნდიების შექმნას ან მიწებით სპეკულაციას და არც მათ არარაციონალურ დანაწევრებას. ამგვარი პოლიტიკა მნიშვნელოვნად განაპირობებს დანიის სოფლის მეურნეობის ეფექტურ ფუნქციონირებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურადაა მიჩნეული, უცხოელი რეზიდენტისათვის ძნელია იყიდოს მიწა. ქვეყნის არარეზიდენტ პირს არ შეუძლია იყიდოს უძრავი ქონება, თუ იგი, სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში არ იყო დანიის მოქალაქე ან არ არის ევროკავშირის მოქალაქე, რომელიც დასაქმებულია დანიაში. მიწის ყიდვის უფლება აქვს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეს, თუ მას მინიჭებული აქვს იუსტიციის სამინისტროდან ბიზნესის წარმოების უფლება.[14]

შვეიცარიაში უძრავი ქონების გაყიდვა უცხოელ რეზიდენტებზე ნებადართულია მხოლოდ რამდენიმე კანტონში. კანტონების მიხედვით დაწესებულია სხვადასხვა კვოტები უცხოელი ინვესტორებისთვის. უცხოელებს შეუძლიათ მხოლოდ ერთი ერთეული მიწის ყიდვა. ამასთან, მიწების შესყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებს ან მათ, ვისაც აქვს ქვეყანაში ბიზნესის წარმოების ნებართვა.[15] ამასთან, შვეიცარიაში "კანონი მიწის საკუთრების შესახებ" (1994 წ.) ადგენს ერთი მეურნეობის მინიმალურ და მაქსიმალურ საზღვრებს. მინიმალურმა ზომამ უნდა უზრუნველყოს ერთი ადამიანის დასაქმება, მაქსიმალურად კი ითვლება ნაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალური შემოსავლების დონეს 2,5-3 დასაქმებულისთვის. დაბლობ, ვაკე ადგილებში მინიმალური ფართობის ზომაა 5-7,5 ჰა. ოჯარით აღებისას მიწის მინიმალური ზომა უნდა უზრუნველყოფდეს 1,5 მუშაკის დასაქმებას.[16]

ნორვეგიაში აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანია რეგიონების მოსახლეობისგან დაცლის შეფერხება და ტერიტორიების გაუკაცრიელებისაგან დაზღვევა. ორიენტაცია აღებულია მესაკუთრე ფერმერების შენარჩუნებისაკენ. კანონმდებლობა ზღუდავს ნაკვეთების დანაწევრებას, ხოლო ოჯარა რეგლამენტირებულია. უცხოელებს შეუძლიათ იყიდონ მიწები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონცესიურ შეთანხმებას გააფორმებენ ხელისუფლებასთან. კონცესიური შეთანხმება არის ხელისუფლების ერთგვარი თანხმობა უცხოელმა მიიღოს სხვადასხვა სახის ქონების (ტყე, მიწა, ბუნებრივი რესურსები და ა.შ.) გამოყენების უფლება. ამ უფლების მიღება და კონცესიური

---

[12] http://www.expatica.com/es/housing/buying/Buying-a-house-in-Spain_15495.html; https://www.fomento.gob.es/mfom/lang_castellano/

[13] http://www.accom-consulting-spain.com/Greece_Property.htm

[14] დანიაში ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს იუსტიციის სამინისტრო განაგებს. http://www.civilstyrelsen.dk/GlobalMenu/cst_english.aspx ; http://www.globalpropertyguide.com/Europe/Denmark/Buying-

[15] http://www.expatica.com/ch/housing/buying/How-to-rent-and-buy-a-house-in-Switzerland_3570.html

[16] http://www.ejpd.admin.ch/content/ejpd/en/home/themen/wirtschaft/ref_grundstueckerwerb.html http://www.ejpd.admin.ch/content/dam/data/wirtschaft/grundstueckerwerb/lex-e.pdf.

შეთანხმების გაფორმება საჭიროა ასევე უძრავი ქონების დაქირავების შემთხვევაშიც, თუმცა ქირავნობის ხელშეკრულება არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

ირლანდიაში, გამომდინარე ისტორიული დაპირისპირებით ინგლისელ "ლენდლორდებსა" და მეიჯარე ირლანდიელებს შორის, მიწის იჯარა ეროვნული სულის დამაკნინებელ მოვლენადაა მიჩნეული. აგრარული პოლიტიკა აქ ორიენტირებულია მესაკუთრე ფერმერზე. იჯარის მიღების უფლებას ესაჭიროება მთავრობის განსაკუთრებული უფლება. უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები თანაბარ პირობებში არიან.[17]

ჰოლანდიაში დაშრობილი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოს და გაიცემა ხანგრძლივი იჯარის საფუძველზე. ამავე დროს, იზღუდება მიწის გადაჭარბებული კონცენტრაცია და ცალკეული პირების ხელში დიდი ფართობების მოქცევა. ისევე, როგორც ირლანდიაში, ნიდერლანდებშიც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები თანაბარ პირობებში არიან.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიწის რეგულირების მიმოხილვა

ევროკავშირთან მიერთების 2003 წლის აქტის საფუძველზე ევროკავშირის ახალ წევრებს (ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკია) მიეცათ 7-დან 12 წლამდე სატრანზიტო პერიოდი (the Restrictions on Acquisition of Immovable's Act), რომლის განმავლობაში მათ შეეძლოთ, შეენარჩუნებინათ სასოფლო-სამეურნეო მიწების და ტყეების გაყიდვის აკრძალვა უცხოელებზე, შეეზღუდათ უცხოური კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა და არ შეეცვალათ არსებული კანონმდებლობა 2011 წლის 1 მაისამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი წევრი ქვეყნების მიერ აღიარებულია ევროკავშირის ხელშეკრულების 54-ე პუნქტი კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შესახებ და ევროკავშირის დირექტივის 56-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს, რომ ყველა წევრს ჰქონდეს ერთნაირი კანონმდებლობა და არ იყოს შეზღუდვები საკუთრების ყიდვაზე,[18] მათ გააგრძელეს გარდამავალი პერიოდი და შეზღუდვები სასოფლო-სამეურნეო მიწის ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოების არარეზიდენტი პირების მიერ შესყიდვის თაობაზე. პოლონეთმა 2016 წლის 30 აპრილამდე, რუმინეთმა და ბულგარეთმა 2014 წლამდე. ევროკავშირის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შეენარჩუნებინა შეზღუდვები უნგრეთის, ლატვიის, ლიტვის, სლოვაკეთის არსებულ კანონმდებლობაშიც შემდგომი სამი წლის განმავლობაში 2014 წლის 30 აპრილამდე.

ტრანზიტული პერიოდის გაგრძელების ძირითადი მიზეზია სახელმწიფოების კონკრეტული მოთხოვნები და იმის საჭიროება, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ქვეყნებმა თვითონ უზრუნველყონ სამეურნეო საქმიანობის განვითარების ეკონომიკური პირობები, შეარბილონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვის ლიბერალური წესების შესაძლო ნეგატიური ზემოქმედება სოფლის მეურნეობის სექტორზე, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეული იყო ევროპის ძველ, 15 წევრ ქვეყნებთან შედარებით ფასებისა და შემოსავლების დიდი სხვაობით. მათ სჭირდებათ დრო, რომ თანდათანობით გადავიდნენ ევროპის საერთო აგრარულ პოლიტიკაზე.

მიწების ლიბერალიზაციის პროცესის შეყოვნება გამოწვეულია არა იმით, რომ ახალ წევრ ქვეყნებს არ სურდეთ ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილება, არამედ იმით, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ მათ ბაზრებზე სხვა ქვეყნების კაპიტალის ნეგატიური ზემოქმედება.

პოლონეთმა მიიღო 18 წლიანი გარდამავალი პერიოდი, სანამ მიწების უცხოელებზე თავისუფალ გაყიდვას დაიწყებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო იძლევა უცხოელ რეზიდენტებზე მიწების შესყიდვის ან უძრავი ქონების წილის ყიდვის უფლებას ეროვნული და სამოქალაქო უსაფრთხოებიდან გამომდინარე და იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის რეზიდენტი მოიყვანს ისეთ გარემოებებს, რომელიც დამტკიცებს მის კავშირს პოლონეთთან.[19] ამასთან პოლონეთში

[17] ირლანდიის იუსტიციის სამინისტრო. http://www.npsra.ie/website/npsra/npsraweb.nsf/page/whatwedo-en
[18] The Freedom of Capital Under Article 56 EC and its Application to Jurisdictions Outside the EU. http://www.whitecase.com/files/Publication/8ab41a8d-b4bc-41f3-a2ec-f2d465259533/Presentation/PublicationAttachment/b8bde829-9409-41e2-914b-f9518f70e82e/memo_freedom_sutton.pdf
[19] Invest in Poland. http://www.paiz.gov.pl/polish_law/purchase_of_real_estate_in_poland#3

ევროკავშირის წევრი ქვეყნების რეზიდენტებისათვის ნებადართულია შეიძინონ მხოლოდ 1 ჰა-მდე მიწა.[20]

ჩეხეთში 2009 წელს მაისში გაუქმდა შეზღუდვები უძრავი ქონების გაყიდვაზე უცხოელ პირებზე. მანამდე უცხოელებს შეეძლოთ ეყიდათ მიწა მხოლოდ ჩეხური კომპანიისაგან – SRO, ან იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიიღებდნენ ჩეხეთის მოქალაქეობას. ეს ნორმები დაფუძნდა კრიზისის პერიოდში, როდესაც ჩეხეთის ბანკებმა შეამცირეს კრედიტების გაცემა და ქვეყნის ინვესტიციები მნიშვნელოვნად შემცირდა. 2009 წლიდან უცხოეთის ქვეყნის რეზიდენტებსაც შეუძლიათ იყიდონ მიწა და დარეგისტრირდნენ SRO-ს ნებართვის გარეშე. ჩეხეთს ჰქონდა 5 წლიანი პერიოდი იმისათვის, რომ კანონმდებლობა მოეყვანათ ჰარმონიზაციაში. დღეს მიწების ყიდვა შეუძლიათ არა მარტო ევროკავშირის წევრ ქვეყნების პირებს, არამედ მესამე ქვეყნების პირებსაც, თუმცა, კომერციული ბანკები ზღუდავენ კრედიტების გაცემას, თუ მისი კლიენტი არ არის ჩეხეთის მოქალაქე. მხოლოდ ერთი კომერციული ბანკი იძლევა კრედიტს ისე, რომ არ თხოულობს ჩეხეთის მოქალაქეობას, მაგრამ მასაც დაწესებული აქვს შეზღუდვები და კრედიტს გამოყოფს მხოლოდ იმ უცხოელებზე, რომლებიც სულ ცოტა ორი წელი მაინც ცხოვრობს ჩეხეთში.[21]

ესტონეთში გარდამავალ პერიოდს ჰქონდა სამი მიზანი: 1. საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მიწების გაყიდვისას მიწები არ უნდა მომხდარიყო იმ ადამიანების ხელში, რომლებსაც არ შეეძლოთ მისი გამოყენება და სხვა მიზნებისათვის წარმართავდნენ მას. 2. ევროკავშირის მოთხოვნებთან რეგულაციის წესრიგში მოყვანა. 3. უსაფრთხოების მიზნით რუსეთთან მიმდებარე საზღვრისპირა მიწების იმ ადამიანების ხელში გადაცემის დაუშვებლობა, რომლებიც არ იყვნენ ესტონეთის ან ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები.[22] დღეს ესტონეთში მხოლოდ ესტონელებს, ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების რეზიდენტებს შეუძლიათ იყიდონ მიწები, რომლებიც ესტონეთის საზღვრისპირა რეგიონს მიეკუთვნება (გარდა 4 დიდი კუნძულისა). სხვა ქვეყნების წარმომადგენლებზე ამ მიწების გაყიდვისას საჭირო იქნება მთავრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა ეროვნული მნიშვნელობის გათვალისწინებით.

2011 წლიდან ესტონეთმა გაამარტივა მიწების გაყიდვა, თუმცა დატოვა გარკვეული შეზღუდვები: ფიზიკურ პირებს შეუძლიათ იყიდონ მიწები, თუ მათი ოდენობა არ აღემატება 10 ჰა-ს, ხოლო იურიდიულ პირებს კი უფრო მეტის ყიდვა შეუძლიათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ მოთხოვნებს.[23] კერძოდ, დაშვებულია 10 ჰა და მეტი მიწის შეძენა ევროკავშირის წევრი ქვეყნების იურიდიულ პირების მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ სულ ცოტა 3 წლის განმავლობაში მიწების დამუშავების ან ტყის მართვის გამოცდილება. მიწების გაყიდვის ნებართვას იძლევა ადგილობრივი ხელისუფლება. ფიზიკურ პირებს, რომლებიც არიან ევროკავშირის ან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრები, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიეცათ უფლება იყიდონ მიწები. სხვა დანარჩენი ქვეყნის წარმომადგენლებს კი მიწების შესყიდვა შეუძლიათ ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის შემდეგ.[24] 2010 წელს ესტონეთის მთელი მიწების 2.4 პროცენტი იყო უცხოელების ხელში.[25]

ლიტვას 2004 წლიდან ჰქონდა 7 წლიანი გარდამავალი პერიოდი, რომელიც აძლევდა ნებას აეკრძალათ უცხოელებზე მიწების გაყიდვა, მაგრამ, 2011 წელს ევროკომისიის თანხმობით, ისევე

---

[20] საკუთრების შეძენასთან დაკავშირებული სამართლებრივ აქტს პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგებს. https://msw.gov.pl/en/document/acquisition-of-real-es/60,Acquisition-of-real-estate.html

[21] Restrictions on Foreigners Purchasing Property in Czech Republic – Lifted May 1st, 2009 Submitted by Nathan Brown on –15 Comments. http://www.czechpoint101.com/newsletter/czech_property/restrictions-on-foreigners-purchasing-property-in-czech-republic-lifted-may-1st-2009/#ixzz2rQjpOWHw

[22] Veronika Aunp. European Union: Estonia Simplifies The Regulation For Requirements Of Agricultural And Forest Land By Foreign State Citizens And Companies. Last Updated: 1 September 2011. http://www.mondaq.com/x/141518/Environmental+Law/Estonia+Simplifies+The+Regulation+For+Requirements+Of+Agricultural+And+Forest+Land+By+Foreign+State+Citizens+And+Companie

[23] Real estate guide: Purchase of the real estate in Estonia; buying and selling real estate in Estonia, 6 March, 2013. http://www.gencs.eu/news/view/975

[24] ესტონთის სახელმწიფო საინვესტიციო სააგენტო. http://www.investinestonia.com/en/investment-guide/premises-and-infrastructure#section-premises

[25] Veronika Aunp. European Union: Estonia Simplifies The Regulation For Requirements Of Agricultural And Forest Land By Foreign State Citizens And Companies. Last Updated: 1 September 2011. http://www.mondaq.com/x/141518/Environmental+Law/Estonia+Simplifies+The+Regulation+For+Requirements+Of+Agricultural+And+Forest+Land+By+Foreign+State+Citizens+And+Companie

როგორც პოლონეთმა და ლატვიამ, ლიტვამაც ეს პერიოდი კიდევ სამი წლით გააგრძელა.[26] ევროკომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ლიტვის აგრარულ სექტორს ევროკავშირი-15-ის ქვეყნების აგრარულ სექტორთან შედარებით აქვს სირთულეები ფინანსურ რესურსების და მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, რომელიც უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესყიდვისათვის კრედიტებისადმი ხელმისაწვდომობაზე“.[27] ამ თვალსაზრისით, ეს გარემოები ნეგატიურად მოქმედებს ლიტვის კონკურენტუნარიანობაზე, რაც გახდა ევროკომისიის მიერ გარდამავალი პერიოდის გაგრძელების გადაწყვეტილების მიღების მიზეზი. როგორც ლიტვის პრემიერ-მინისტრი, ალგირდას ბუტკევიჩიუსი აცხადებს, მიზანშეწონილია მიწების გაყიდვის პროცედურები შეზღუდონ და ადგილობრივ ფერმერებს მისცენ უპირატესობა შეისყიდონ სახელმწიფო მიწები ისე, რომ ლიტვამ შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებებიც.[28]

ამასთან უცხოელებს ტრანსფორმაციულ პერიოდში ეკრძალებათ მიწის შესყიდვა გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც 3 წელი ცხოვრობენ და ამუშავებენ მიწას ლიტვაში. მიწების შესყიდვა ნებადართულია იმ უცხოური კომპანიებისათვის, რომლებსაც აქვთ გახსნილი ფირმა ლიტვაში, მაგრამ მათ შეუძლიათ იყიდონ მიწები, თუ ბოლო ორი წლის განმავლობაში მათი შემოსავლები აგრარული სფეროდან მთლიანი შემოსავლების არანაკლებ 50 პროცენტს შეადგენდა. ამდენად, ამ მეთოდით, ლიტვის ხელისუფლება უზრუნველყოფს მიწების ეფექტურ გამოყენებას. ამასთან, ლიტვაში ბიზნესის რეგისტრაციისას არ ახდენენ იმის იდენტიფიკაციას, არის თუ არა იგი უცხოური კაპიტალით შექმნილი.[29] შეზღუდვები უცხოური კომპანიებისთვის არ არსებობს.[30] ეს კი აძლევს უცხოელებს მიწების შესყიდვისას მანევრირების საშუალებას. ლიტვაში ტრანსფორმაციულ პერიოდში არალეგალურად ხდებოდა მიწების შესყიდვა, რადგან ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები აფორმებდნენ მიწას ადგილობრივ მოსახლეობაზე, მაგრამ დე-ფაქტოდ თვითონ იყვნენ მისი მფლობელები.[31]

ლატვიაში ევროკავშირის მოქალაქეებისთვის ქონების ყიდვისასა არანაირი შეზღუდვა არ აქვთ დაწესებული. გამონაკლისია სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მიწის ყიდვა. მისი ყიდვა შეუძლია მხოლოდ ლატვიის მოქალაქეს ან ნებისმიერ კომპანიას, რომლის კაპიტალის მინიმუმ 51 პროცენტს ფლობს ლატვიის მოქალაქე. უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ შეუძლია იმ მიწის ყიდვა, რომელიც სასაზღვრო ტერიტორიაზე მდებარეობს. ევროკავშირის მოქალაქეებს, ან კომპანიებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში, მიწის ყიდვისას არ სჭირდებათ ლატვიის თვითმართველობის ნებართვა. სხვა დანარჩენი მოქალაქეებისთვის კი ეს ნებართვა აუცილებელია.[32]

მიწის ყიდვის ნებართვის მისაღებად უცხოელმა ინვესტორმა უნდა შეავსონ აპლიკაციის ფორმა თვითმართველობაში და ზედმიწევნით ახსნან, თუ რა მიზნებისთვის იქნება ეს მიწა გამოყენებული. თუ ამ მიწის გამოყენების გეგმა შეესაბამება ადგილობრივი თვითმართველობის ტერიტორიულ გეგმებს და მიწა არ მდებარეობს რომელიმე აკრძალულ ტერიტორიაზე, თვითმართველობა 20 დღის ვადაში გასცემს მიწის ყიდვის უფლებას. ამასთან, ლატვიაში მიწა

[26] Lithuania seeks to extend ban on selling land to foreigners for 3 years. 15.02.2011, 10:06. http://balticbusinessnews.com/article/2011/2/15/lithuania-seeks-to-extend-ban-on-selling-land-to-foreigners-for-3-years

[27] Jone Raugalaite. The Acquisition of Agricultural Land in Lithuania by Foreigners. Case study of Lithuania. European Studies, September, 2012. Aalborg University. P.43. http://projekter.aau.dk/projekter/files/68733681/Thesis311.pdf

[28] PM: Lithuania cannot change international treaties to ban sale of land to foreigners.Tuesday, December 3, 2013. http://www.lithuaniatribune.com/58613/pm-lithuania-cannot-change-international-treaties-to-ban-sale-of-land-to-foreigners-201358613/

[29] Jone Raugalaite. The Acquisition of Agricultural Land in Lithuania by Foreigners Case study of Lithuania. European Studies. 10th Semester, 2012. Aalborg Univeristet. *P.*48. http://projekter.aau.dk/projekter/files/68733681/Thesis311.pdf

[30] Review of the Transitional Restrictions Maintained by New Member States on the Acquisition of Agricultural Real Estate, Final Report. Johan F.M. Swinnen and Liesbet Vranken. Centre for European Policy Studies (CEPS) & Centre for Institutions and Economic Performance (LICOS) University of Leuven (KUL) http://ec.europa.eu/internal_market/capital/docs/study_en.pdf

[31] Jone Raugalaite. The Acquisition of Agricultural Land in Lithuania by Foreigners Case study of Lithuania. European Studies. 10th Semester, 2012. Aalborg Univeristet. *P.*47. http://projekter.aau.dk/projekter/files/68733681/Thesis311.pdf

[32] http://www.lexmundi.com/Document.asp?DocID=1673

მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყიდება, თუ უცხოელი რეზიდენტი ქვეყანაში ცხოვრობს არანაკლებ 3 წელი. [33]

უნგრეთში პარლამენტმა, ევროკავშირის მოთხოვნების საპირისპიროდ, შეიტანა 2011 წლის კონსტიტუციაში ცვლილება, რომლის თანახმად, მომავალში მხოლოდ უნგრელ ფერმერებს შეეძლებათ მიწების შესყიდვა. ამით კონსტიტუციამ დაიცვა ადგილობრივი ფერმერების მემკვიდრეობა, სტაბილურობა და ეროვნული უსაფრთხოება.[34] ლიტვის მსგავსად, უნგრეთში მიწის შესყიდვა შეუძლიათ მხოლოდ მათ, რომლებიც ქვეყანაში ცხოვრობენ, სულ მცირე 3 წელი. უნგრეთში შესაძლებელია მხოლოდ 300 ჰა-მდე მიწის იჯარით აღება.[35]

ბულგარეთმა, ევროკავშირის წევრების ხელშეკრულების (accession agreement) და ევროკავშირის დირექტივების საწინააღმდეგოდ, 2013 წლის ოქტომბერში გააგრძელა მიწების უცხოელებზე გასხვისების აკრძალვა 2020 წლამდე. მათ ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრიდან უნდა გაეხსნათ ბაზარი, მაგრამ გააგრძელეს მორატორიუმი 2020 წლამდე.[36] მიწების უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვის ერთ-ერთი მიზეზი იყო იმის შიში, რომ მიწების დაბალი ფასის გამო უცხოელები სწრაფად შეისყიდიდნენ მათ ეროვნული ინტერესების საზიანოდ. ასეთი აკრძალვით ბულგარეთი დადგა ევროპის მიერ სანქციების დაწესების საშიშროების წინაშე, ამასთან, წარმოიშვა იმის რისკი, რომ 7.3 მილიონი ბულგარელი დაკარგავდა დასაქმების უფლებას ევროპის ქვეყნებში.[37]

ბულგარეთში მიწების შესყიდვის აკრძალვა შეეხება უცხოეთის რეზიდენტ ფიზიკურ პირებს, მაგრამ არა კომპანიებს. ფიზიკური პირებს შეუძლიათ იყიდონ მიწა იმ შემთხვევაში, თუ ისინი დააფუძნებენ ადგილობრივ კომპანიას. ამასთან არსებობს გამონაკლისიც ევროკავშირის ქვეყენების წარმომადგენლებისათვის: მათ შეუძლიათ იყიდონ მიწა, თუ განაცხადებენ ბულგარეთში პერმანენტულად ცხოვრების სურვილს და დარეგისტრირდებიან როგორც აგრომწარმოებლები.[38]

რუმინეთი, ისევე როგორც აღმოსავლეთის ევროპის სხვა ქვეყანაში, დაბალია მიწის ფასი და მიწის ბაზარზე ადგილობრივი მოსახლეობა ვერ უწევს კონკურენციას უცხოელებს. ქვეყნის წინაშე დგას მიწების ლიბერალიზაციის და უცხოელი და ადგილობრივი პირების თანაბარი უფლებების შემოღების საკითხი. რუმინეთი ცდილობს დაიცვას ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულება (Romania's Treaty of Accession to the EU).[39] დღეს მრავალი უცხოეთის რეზიდენტი ფიზიკური პირი ცდილობს შეიძინოს მიწა ადგილობრივი კომპანიის დარეგისტრირების გზით, რადგან კონსტიტუციით კომპანიებს აქვთ უფლება ფლობდნენ მიწას მიუხედავად იმისა, თუ ვისი კაპიტალითაა იგი შექმნილი და ვინ არიან მისი მფლობელები. ამასთან, რუმინეთში უცხოელებზე შეიძლება გაიყიდოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 6%.[40]

თურქეთში ნებადართულია გაიყიდოს უცხოელებზე მხოლოდ 2.5 ჰა-დან 30 ჰა-მდე მიწა, ხოლო მის ზემოთ მიწების გაყიდვისას არსებობს ბიზნეს-გეგმაზე მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც ხელისუფლებისაგან (მინისტრთა კაბინეტიდან) გაიცემა ნებართვა. ასეთი ნებართვის მიღება თითქმის შეუძლებელია, რადგან მიწების გაყიდვა ეროვნული საკუთრების გაყიდვის ტოლფასად არის აღქმული. ამასთან, თურქეთი კრძალავს მიწების გაყიდვას იმ ქვეყნის

[33] Sales Market Regulations for Agricultural Land in EU Member States and Candidate Countries. by Pavel Ciaian, d'Artis Kancs, Jo Swinnen, Kristine Van Herck and Liesbet Vranken. No. 14, February 2012, www.ceps.eu/ceps/dld/6621/pdf

[34] Hungary bans foreign farmland ownership. Dec. 21, 2012. http://www.upi.com/Business_News/Energy-Resources/2012/12/21/Hungary-bans-foreign-farmland-ownership/UPI-42121356066240/

[35] Land ceilings: reining in land grabbers or dumbing down the debate? http://www.grain.org/article/entries/4655-land-ceilings-reining-in-land-grabbers-or-dumbing-down-the-debate

[36] Jeff Taylor, Those in the EU Club Should Play by the Rules, News, Politics, December 12th, 2013 http://www.economicvoice.com/those-in-the-eu-club-should-play-by-the-rules/

[37] Bulgaria land law breaks EU agreement: Lawmakers. File photo of the city of Varna in Bulgaria
Mon Jan 6, 2014 6:9PM; http://www.presstv.ir/detail/2014/01/06/344094/bulgaria-land-law-breaks-eu-agreement/. Bulgarian land sale ban risks EU sanction, 24.10.13 @ 09:25
http://euobserver.com/political/121886

[38] No Restrictions for Purchase of Bulgarian Land by Foreigners after January 1st, 2014. July 23, 2013. http://boyanov.com/en/news/4482/

[39] Simona Bazavan. Farmland market liberalization kicks in with no restrictions for foreigners
By Newsroom Land, January 20, 2014. http://business-review.eu/featured/farmland-market-liberalization-kicks-in-with-no-restrictions-for-foreigners/

[40] Land ceilings: reining in land grabbers or dumbing down the debate? http://www.grain.org/article/entries/4655-land-ceilings-reining-in-land-grabbers-or-dumbing-down-the-debate

მოქალაქეებზე, სადაც თურქ მოქალაქეებს არ აქვთ უფლება იყიდონ მიწები (ასეთი 89 ქვეყანაა). სტრატეგიულად მნიშვნელოვან და მილიტარულ ზონებში მიწების გაყიდვა საერთოდ აკრძალულია.[41]

დასკვნა

ქვეყნების სხვადასხვა გამოცდილება მეტყველებს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მიწების ლიბერალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას გრადუალურად და დროში გაწელილად ცდილობენ, ამოდიან ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი კონკურენტუნარიანობიდან მიწების შესყიდვის პროცესში და ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნებიდან. ამასთან აშკარაა, რომ ლიბერალიზაციის პროცესით განსხვავებული სარგებელს ღებულობენ ადგილობრივ მოსახლეობა და უცხოეთის ქვეყენების წარმომადგენლები. ამ მდგომარეობის დასაბალანსებლად ქვეყნები აგრძელებენ მოლაპარაკებებს ევროკავშირთან მიწების გაყიდვის საკითხებზე და კაპიტალის თავისუფალი გადადენის შეზღუდვებზე. ხელისუფლების პოლიტიკური ნება მიწების ლიბერალიზაციის თაობაზე აწყდება ადგილობრივი ფერმერების და „სოფლის ნაციონალიზმის“ მომხრეთა წინააღმდეგობას, რომლებიც თვლიან, რომ მიწის ლიბერალიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაზე.

ამასთან, აქტუალურია მიწების ეფექტიანი დამუშავების ხელისშეწყობის საკითხებიც. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის თავისუფალი გადადენით არის შესაძლებელი სოფლად შრომის მწარმებლურობის ამაღლება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ეკონომიკის სტიმულირება, რაც ერთიანი სასოფლო-სამეურნე მიწის ბაზრის ჩამოყალიბების პირობაა, მიწებისადმი ნაციონალური განწყობა ეფუძნება ლიბერალიზაციის შეზღუდვას და აგრარული სექტორის სტრუქტურის დაცვას ისეთი შოკებისაგან, რომელიც განპირობებულია ქვეყნებს შორის ფასებისა და შემოსავლების განსხვავებით, საკრედიტო რესურსებისადმი ხელმისაწვდომობით და იმით, რომ მრავალ ქვეყანაში არ არის დამთავრებული მიწების პრივატიზაციის პროცესი. მაგალითისთვის, დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ფასები 5-ჯერ და მეტად აღემატება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიწის ფასებს, რაც ამ უკანასკნელებს უქმნის ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს.[42] საქართველოში მიწის გასაყიდი ფასები კიდევ უფრო დაბალია, რაც უცხოურ ინვესტიციების მოზიდვის პირობა, თუმცა ეს გარემოება, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ეროვნული და ადგილობრივი მოსახლეობს ინტერესების საწინააღმდეგოდ ხორციელდება.

ევროპის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ახორციელებს მიწის ბაზრის მკაცრ კონტროლს და რეგულირებას, რაც ორიენტირებულია მეურნეობის ეფექტიანობაზე, დასაქმებაზე, სოციალურ, დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ მიზნებზე.

მიწების ეფექტიანი გამოყენების მიზნით მრავალ ქვეყანაში მიწების გაყიდვისას არსებობს იმის მოთხოვნა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქემ წარმოადგინოს დაფინანსების წყარო, რაც არის იმის გარანტია, რომ ისინი დაამუშავებენ მიწას და არ გასცემენ მას არენდით ან არ დატოვებენ დაუმუშავებელს. ამ მიზნით საფრანგეთში, გერმანიასა და შვედეთში მიწების გაყიდვა და გადაცემა ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით. ისლანდიაში უცხოელებს აქვთ უფლება იყიდონ მიწა, მაგრამ მიწების გაყიდვაზე ლიმიტს აწესებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

გარდა ამისა, ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ადგილი აქვს მეურნეობების საშუალო ზომების გადიდების ტენდენციას და მიწების კონსოლიდაციას. ევროკავშირის ქვეყნებში სტიმული ეძლევა მცირე მეურნეობების უფრო მსხვილი მეურნეობებისთვის მიყიდვის პროცესს და იგი ორიენტირებულია ფერმერული მეურნეობების კომერციული განვითარებისაკენ. საშუალოდ ევროკავშირში საშუალო ზომის ფერმერული მეურნეობა 2010 წელს შეადგენდა 14.1 ჰა-ს.[43]

---

[41] http://www.mfa.gov.tr/guidance-for-foreigners.en.mfa; New legislation to facilitate property sales to foreigners. 23 January 2012 /ALİ ASLAN KILIÇ. http://www.todayszaman.com/news-269395-new-legislation-to-facilitate-property-sales-to-foreigners.html

[42] Simona Bazavan. Farmland market liberalization kicks in with no restrictions for foreigners. By Newsroom Land, January 20, 2014. http://business-review.eu/featured/farmland-market-liberalization-kicks-in-with-no-restrictions-for-foreigners/; The map of agricultural land prices 2013 in Romania.
http://phgconsulting.wordpress.com/2013/07/31/the-map-of-agricultural-land-prices-2013-in-romania/

[43] www.epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/statistics

დღეს მიმდინარეობს ევროპის ინტეგრაცია როგორ ფუნქციონალურად, რომელიც ემყარება კაპიტალის გადადენის ეფექტს და გულისხმობს ეკონომიკური მეთოდებით სასოფლო- სამეურნეო წარმოების გაზრდას ერთიანი აგარარული ბაზრის ფორმირებით, ასევე პოლიტიკური მეთოდებით გაფართოებას და ხელშეკრულებებით და პოლიტიკური ზეწოლით ინტეგრაციის გაღრმავებას. ამ პროცესში ეროვნული ინტერესების გათვალისწინება ხდება. ამის მაგალითია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ევროკავშირის მიერ გარდამავალი პერიოდისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება.

არც ევროკავშირის ქვეყნებში და არც დანარჩენ მსოფლიოში არ მოიპოვება სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე გასხვისების ერთიანი, უნიფიცირებული მოდელი. ყველა ქვეყანა ინდივიდუალურად უდგება ამ პრობლემის გადაჭრას, გამომდინარე იმ მიზნებიდან და მისიიდან, რომელსაც ისინი აკისრებენ სოფლის მეურნეობის განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება მჭიდრო კავშირშია როგორც სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის განვითარებასთან, ისე ქვეყნის უსაფრთხოების – საზღვრის დაცვის ინტერესებთან. შესაბამისად, ყოველი ქვეყანა, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა თუ სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, შიდა ეროვნული აქტებით განსხვავებულად არეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისების შეზღუდვა შემდეგი მიზნებით არის განპირობებული: სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უცხოური ეკონომიკური დომინირების (კონტროლის) პრევენცია, უცხოელების მიერ მიწით სპეკულაციის პრევენცია, სახელმწიფო სოციალური სტრუქტურის შენარჩუნება, იმიგრაციის არაპირდაპირი კონტროლი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობის კონტროლი.

მიწის ბაზრისადმი ლიბერალური დამოკიდებულებაა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების სწორი სამართლებრივი რეგულირება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად აღსანიშნავია რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების სამართლებრივ რეგულირებას: თავიდან იქნეს აცილებული მიწის ნაკვეთების გადაჭარბებული ფრაგმენტიზაცია, არარაციონალური დანაწევრება და მიწებით სპეკულაცია; უზრუნველყოფილი იყოს იმ ადგილობრივი მეურნეების ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, რომელთაც ესაჭიროებათ უფრო მეტი მიწა, ვიდრე გააჩნიათ.[44] აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით რიგ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების დროს მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება, რომლითაც სარგებლობენ მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრე ან მიწის მოიჯარე პირები (მაგ., ბელგია, გერმანია, იტალია, საფრანგეთი).[45]

ამასთან, განსაზღვრულია გასაყიდი მიწების ქვედა და ზედა მაქსიმალური ზღვრებიც, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნაკვეთების გადაჭარბებული ფრაგმენტიზაცია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი პრობლემური რჩება მიწების უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხი.

საქართველოში მიწის რეფორმების საკითხში გამოიკვეთა ორი მიმართულება: რეფორმების საწყის ეტაპზე "ეროვნული მიდგომა" კრძალავდა მიწის გაყიდვას უცხოელ მოქალაქეებზე. შემდგომ, მართალია კანონმდებლობაში შეტანილი იქნა ცვლილებები, თუმცა ბუნდოვნად იქნა განსაზღვრული მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვის პირობები. ამ ეტაპზეც გაზიარებული იქნა ზომიერი პროტექციონისტული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მიწები არ შეიძლება გაიყიდოს უპირობოდ.

2012 წლიდან "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონში ცვლილებების შემდეგ ეროვნული მიდგომა მთლიანად ლიბერალური მიდგომით შეიცვალა და მიწების გაყიდვა უცხო ქვეყნის რეზიდენტებზე დაშვებული იქნა მიწების ეფექტიანობის ზრდისა და ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამ ეტაპზე დაიწყო კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა მიწის ბაზარზე, მაგრამ ეს პროცესი დიდხანს ვერ გაგრძელდა და 2013 წლის ზაფხულში დაწესდა მორატორიუმი მიწის გაყიდვაზე, რადგან კვლავ წარმოიშვა

[44] Deininger, K. and G. Feder (2001), "Land Institutions and Land Markets", in B.L. Gardner, and G.C. Rausser (eds), Handbook of Agricultural Economics, Amsterdam: Elsevier.

[45] Pavel Ciaian, d'Artis Kancs, Jo Swinnen, Kristine Van Herck, Liesbet. Sales Market Regulations for Agricultural Land in EU Member States and Candidate Countries. 06 February 2012. 8.

შიში ქვეყნის უსაფრთხოებისა და უცხოური კაპიტალის თაობაზე. მიწების გაყიდვის პროცესში საქართველოს ფერმერები აღმოჩნდნენ არაკონკურენტუნარიანნი უცხოელ ინვესტორებთან შედარებით. ადგილობრივი მცირე ფერმერების შრომის ნაყოფიერებაც არასაკმარისი აღმოჩნდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მსხვილი ფერმერების ჩამოყალიბებისა და მიწების კონცენტრაციის პროცესი კი შეზღუდული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მიწების გასაყიდი ფასი მეორად ბაზართან შედარებით დაბალი იყო, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, დაბალი შემოსავლები და, საერთოდ, ფინანსური რესურსების უკმარისობა ქართველ მეწარმეებს და ფერმერებს არ აძლევდა შესაძლებლობას, კონკურენციაში ჩაბმულიყვნენ და ეზრუნათ მიწების გამსხვილებაზე, მეურნეობის გაფართოებასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებაზე. ადგილობრივი გლეხები ცდილობდნენ სახელმწიფო მიწების ნაწილის გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყიდებოდა აუქციონზე, ეს კი შემდგომ ხდებოდა კიდეც მიწების ახალ მეპატრონესთან კონფლიქტის მიზეზი.

დღეს საქართველოში მიწების გაყიდვის ორი მიზეზი არსებობს: 1. შრომის ნაყოფიერების ზრდა; 2. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვა. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მაღალმექანიზებული წარმოების დანერგვის მიზნით მეურნეობების საშუალო ზომები უნდა გაიზარდოს და ხელი უნდა შეეწყოს მისი გადიდების ტენდენციას და მიწების კონსოლიდაციას. ეს პროცესი ორინეტირებული უნდა გახდეს ფერმერული მეურნეობის კომერციული განვითარებისაკენ. ეს ამოცანა ორ პილარზე დგას: 1. კოოპერატივების ფორმირებით მსხვილი მეურნეობების განვითარებისათვის ხელშეწყობა და 2, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით პროდუქციის მწარმოებლურობის გაზრდა.

Michael Tokmazishvili

Land Management in Georgia and International Experience

Summary

The paper examines reasons and risks of falling of agriculture sector in Georgia. It places emphasis on the institutional and infrastructural factors of farms development, reveals contradictions, which hamper farmers development on the different stage of value chain process.

Accent is made on the promotion of the development of land efficiency. It is noted that capital-free flows are precondition for the establishing of the land market, have positive effect on increasing of the rural labor productivity, introduction of new technologies and stimulation the economy, but national interests bases on the restrictions of liberalization of land privatization and the protection of agricultural sector in order to avoid the conflict between the foreign investors and local community interests. The competitive power of local businessmen's is very meager, which is resulted from poor access to credit resources and low incomes of local farmers. It confines farmers to take part in privatization and purchase the lands.

The paper describes difficulties of access to agricultural credit, characterises the reasons of stagnation of agricultural markets, low profitability of farmings, lack of collateral etc., and demonstrates that value chain development in agriculture remained under-developped, caused high risks for the attraction of financing sources.

It is noted, that land privatization in Georgia needs consideration of two factors: labor productivity and local community interests. Land consolidation is the main agenda of agricultural policy. This process should oriente farms to commercial development. The task stands on the two pillars: formation and promotion of large-scale farming cooperatives and improvement of

technological facilities of production by attracting foreign investments. In this matter dominant role of local community interests in the procees of privataization have to be protected.

The paper analyzes EU countries experience. All countries have individual approach to attract foreign investment. They are coming up from the specific agriculture objectives. Public management of agricultural lands closely relates to economic development and national security issues - border security interests. Accordingly, each country, due to its political and economic interests of the development of agriculture, differently regulates this issue by internal national acts.

მიხეილ ჯიბუტი

კუპონის ეროვნული ვალუტად გახდომისა და მისი ლარში დენომინაციის ისტორია

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პოლიტიკურ აღდგენას ავტომატურად და მყისიერად არ მოჰყოლია სუვერენული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სისტემების, მექანიზმებისა და ინსტრუმენტარიების დამკვიდრება.

რთულად წარიმართა საქართველოს სახელმწიფოებრიობის იდენტობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშნის - ეროვნული ვალუტის დამკვიდრების თავგადასავალი. მიუხედავად მოვლენების უახლოეს პერიოდში განვითარებისა, ეს ისტორია ხშირად არაკომპეტენტურობის, თუ პიროვნული მიკერძოებულობის გამო მახინჯდება. ვფიქრობ, რომ ეს არ უნდა დავუშვათ. ყველა კითხვას უნდა ჰქონდეს სწორი პასუხი.

კითხვა პირველი: როდის იქნა შემოღებული პოსტსაბჭოთა საქართველოს პირველი ეროვნული ვალუტა?

1. პოსტკომუნისტური საქართველო 1993 წლის 3 აგვისტომდე საბჭოთა და რუსეთის რუბლით სარგებლობდა.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში (1990 წლის 28 ოქტომბერი - 1990 წლის 22 დეკემბერი - 1991 წლის 6 იანვარი), "საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს" (1992 წლის 2 იანვარი - 1992 წლის 10 მარტი), „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს" (1992 წლის 10 მარტი - 1992 წლის 11 ოქტომბერი), ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს 1993 წლის 3 აგვისტომდე საქართველოში მიმოქცევაში იყო საბჭოთა რუბლი და რუსეთის ფედერაციის რუბლი, ისინი ქმნიდნენ საქართველოს ფულად სისტემას.

1993 წლის 5 აპრილს მიმოქცევაში გაშვებულ იქნა კუპონი, როგორც რუბლის სუროგატი. ეს იყო საქართველოს მიერ სამანეთო ზონიდან გასვლის განაცხადი, რამდენადაც ქვეყანამ ავტონომიურად ფულის ემისია დაიწყო, რაც ზონის ქვეყნების უფლებამოსილებაში არ შედიოდა და მისი განხორციელება მხოლოდ მოსკოვს შეეძლო. გასათვალისწინებელია, რომ კუპონი ეკონომიკურად იყო იგივე რუბლი, რომელიც ფაქტობრივად იყო იძულებითი ნაბიჯი შექმნილი პრობლემის გადასაჭრელად, როდესაც საქართველოში დაგროვდა 5-6 თვის მანძილზე გაუცემელი ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები და ა.შ. ფულადი ნიშნების არ არსებობის გამო და მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაცია, როგორც რუბლის ემიტენტი, უარს აცხადებდა ფულის ნიშნების მოცემაზე (ამ ნიშნებს შეუფერხებლად იღებდა ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა).

1991 წლის დეკემბრიდან (საბჭოთა კავშირის დაშლის გამოცხადებიდან) საბჭოთა კავშირის რუბლის პარალელურად შემოღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის რუბლი და რუბლის ორივე ეს სახეობა ამოღებულ იქნა მიმოქცევიდან რუსეთის ფედერაციის მიერ 1993 წლის ივლისში.

1993 წლის 17 ივლისს რუსეთის ფედერაციამ გამოაცხადა საბჭოთა მანეთის ზონიდან გამოსვლა (ამით დასრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მცდელობა ერთიანი სამანეთო ზონის შენარჩუნების თაობაზე) და 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე ჩაატარა ფულის რეფორმა, რის შედეგადაც გადავიდა ეროვნულ ფულად სისტემაზე, რომელიც დღემდე არსებობს. რუსეთის ამ ნაბიჯმა დიდი პრობლემები შეუქმნა მის „ერთგულ" სახელმწიფოებს, რომლებიც დარჩნენ ფულის

გარეშე. ვისაც ჰქონდა გამოშვებული რუბლის სუროგატები სასწრაფოდ გამოაცხადეს ის ეროვნულ ვალუტად (უკრაინა, მოლდოვეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, საქართველო), ხოლო ქვეყნებს, რომელთაც არ ჰქონდათ დაბეჭდილი რუბლის სუროგატები, რუბლის ზონაში დარჩენა მოუწიათ, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ამ ზონიდან რუსეთის გასვლის შემდეგ. რუბლის ზონაში 1994 წლამდე იყვნენ: აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყველაზე ბოლო 1995 წლამდე რუბლის ზონაში იყო ტაჯიკეთი. ეს პროცესი არ შეხებია ბალტიისპირეთის ქვეყნებს (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) რომლებმაც რუბლის ზონა დატოვეს 1992 წელს და რუბლის სუროგატების ეტაპის გამოტოვებით, პირდაპირ ეროვნულ ფულად სისტემაზე გადავიდნენ.

2. 1993 წლის 3 აგვისტოს შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა - კუპონი

რუსეთის მიერ განხორციელებულმა აღნიშნულმა ქმედებებმა რუბლის ზონასთან დაკავშირებით ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი ძალებიც კი დაარწმუნა მის უპერსპექტივობაში. 1993 წლის 3 აგვისტოს საქართველო გამოვიდა რუბლის ზონიდან და ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოაცხადა კუპონი. ამრიგად, სამართლებრივად, დე ფაქტო და დე იურე კუპონი გახდა პოსტსაბჭოთა საქართველოს პირველი ეროვნული ვალუტა.

ამრიგად, 1990 წლიდან 1993 წლის აგვისტომდე საქართველოში მიმოქცევაში იყო საბჭოთა რუბლი და რუსეთის ფედერაციის რუბლი (1991 წლის დეკემბრიდან). 1993 წლის აპრილში მიმოქცევაში გამოშვებული კუპონი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ნაღდი რუბლის ნიშნის შემცვლელს. ბუღალტერია რუბლებში იწარმოებოდა.

1993 წლის 3 აგვისტოს განხორციელდა ფულადი რეფორმა, რომლის შედეგადაც რუბლი, როგორც ერთადერთი საგადამხდელო საშუალება ჩანაცვლებულ იქნა. ეს ფუნქცია დაეკისრა კუპონს და განხორციელდა მისი სუროგატიდან ეროვნულ ვალუტად ტრანსფორმაცია.[1]

კითხვა მეორე: ეროვნულ ვალუტას რატომ არ ეწოდა 1993 წლის 3 აგვისტოს ლარი? თუ ამ დროისათვის არ იყო დადგენილი ეს სახელი?

1992 წლის მარტიდან საქართველოს მინისტრთა კაბინეტში განახლდა ქართული ფულის შესაქმნელად მუშაობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს იყო დაწყებული. საქართველოს უზენაეს საბჭოში ამ კომისიას ხელმძღვანელობდა ტარიელ გელანტია. კომისიის მდივანი იყო ლევან ქისტაური. აღნიშნულმა კომისიამ მნიშვნელოვანი , უფრო ინტელექტუალური მუშაობა ჩაატარა, თუმცა კონკრეტულ გადაწყვეტილებებამდე ცნობილი მიზეზების გამო, არ მისულა. განსაკუთრებით გააქტიურდა ეს მუშაობა 1992 წლის ზაფხულში ისეთი მოვლენების ფონზე, როგორიც იყო 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის რესპუბლიკის თვითგამოცხადებისა და აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული სამხედრო მოქმედებების შემდეგ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას საერთო ხელმძღვანელობით მუშაობდა ორი ჯგუფი: ერთს კურირებდა რომან გოცირიძე და მეორეს ირაკლი სურგულაძე. პირველს ევალებოდა ფულის შექმნის საკითხების გადაწყვეტა, ფულის დამზადებისა და შემოღების ნორმატიული და ტექნიკური უზრუნველყოფა. ამ სამუშაოს უშუალოდ მე, როგორც მინისტრთა კაბინეტის მთავარი ეკონომიკური მრჩეველი, ხოლო 1992 წლის ოქტომბრიდან, როგორც ეკონომიკის მინისტრი წარვმართავდი. ირაკლი სურგულაძის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ ჰუმანიტარები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, კულტურის მუშაკები და სხვ. მათი ამოცანა იყო ფულის სახელწოდების, ფულის დიზაინის, ფულის კონცეფციის და ა.შ. დადგენა.

[1] **მიხეილ ჯიბუტი**. ფერისცვალება, ანუ კუპონის გაკვეთილები ლარისათვის. „პრეს. კურიერი“, 1997, № 3-4.

1992 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის ირაკლი სურგუაძის მიერ ჩატარებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: მზექალა შანიძე, ლალი ჯავახიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ნოდარ მალაზონია, კოტე ჩოლოყაშვილი, ლევან ღვინჯილია... გადაწყდა, რომ ქართულ ფულს დარქმეოდა „ლარი" და „თეთრა" (შეცდომა არაა!). რომან გოცირიძემ და მიხეილ ჯიბუტმა ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს. ისტორიის მისტიურობაც ისაა, რომ ეს გადაწყვეტილება ისეთი ვნებათაღელვის ფონზე იქნა მიღებული, რომ ვერც ერთი მისი მონაწილე ვერ იტყვის, რომ ის არის ფულის სახელწოდების ავტორი. სიტუაცია დაწყნარდა, როდესაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეებმა დაიწყეს „ლარის" უპირატესობების მტკიცება - კარგი ჟღერადობა, ისტორიულად გამოხატავს სიმდიდრეს, სისწორეს, თარგმანი ყველა ენაზე ადექვატური იქნება და ა.შ. **„ლარს" არ ჰყავს ერთი ნათლია - მისი სახელწოდება მთლიანად ქართული საზოგადოებრიობის აზრის შედეგია.**[2] ჩემთვის დღესაც უცნობია, როგორ და რა ეტაპზე შეიცვალა „თეთრა" „თეთრით". შეიძლება აქ იმ ხალხის „ხელი ურევია" ვინც ყურმოკვრით გაიგო და ეგონა/დღესაც ჰგონია, რომ ოდესმე არსებობდა მონეტა „კოლხური თეთრი".[3]

ამრიგად, 1992 წლის 7 აგვისტო არის „ლარის" ნათლობის დღე. თუმცა მისი ოფიციალურად შემოტანა დაკავშირებული იყო ლარისათვის კუპონის ბედის თავიდან აშორების მოტივით. ეს იყო მთავარი მოტივი, თორემ სახელწოდების საკითხის დაჩქარება შეიძლებოდა, არც 3 აგვისტოს გადაწევა წარმოადგენდა პრობლემას.

კითხვა მესამე: თუ დადგენილი იყო ფულის სახელწოდება და ყველაფერი მზად იყო ფულის რეფორმისათვის რატომ არ იქნა შემოღებული „ლარი" ჯერ 1993 წლის გაზაფხულზე და შემდგომ არც ზაფხულში?

1992 წელს ფულის სახელის დადგენის პერიოდში უკვე მიმდინარეობდა აქტიური ძიება ფულის დასაბეჭდად. ამ ძიების ინტენსივობაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ ურთულეს დღესაც კი - 14 აგვისტოს ამის შესახებ კეთდება პუბლიკაცია.[4] ფულის დაბეჭდვას ართულებდა საქართველოს მთავრობის ფაქტობრივად ცარიელი „ქისა".

1992 წლის ბოლოსათვის ფულის რეფორმის სრულფასოვანი პაკეტი მომზადდა. ამ საქმეს ჰყავს უამრავი „გმირი": თენგიზ სიგუა, ოთარ ქვილითაია, ვაჟა ჯინჯიხაძე, ნოდარ კაკულია, ნუგზარ ფიფია, მერაბ კაკულია, ელგუჯა მექვაბიშვილი და სხვა მრავალი, რომელთაც აუცილებლად უნდა დაუფასდეს ისტორიის მიერ. თუმცა, როგორც ნებისმიერი პროცესი, არც ფულის ბეჭდვის საკითხი გადაწყვეტილა აზრთა სხვადასხვაობის გარეშე. საბოლოოდ **1993 წლის 9 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის ქართული ფულის საპარლამენტო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებას ფული შეექმნა ფირმა „ბენეფს" ნოდარ მალაზონიას ხელმძღვანელობით. ამ მოსაზრებასა და იმას, რომ ფული დაებეჭდა ფრანგულ ფირმა „ობერტურს" მხარს უჭერდნენ: ვაჟა ჯინჯიხაძე, კახი პოპიაშვილი, თენგიზ სიგუა. ეს გადაწყვეტილება გაფორმდა პრემიერ-

---

[2] **მიხეილ ჯიბუტი**. ლარის ისტორიის ნაკლებად ცნობილი ფურცლები. „ბანკი".2000. №1, გვ. 34-35

[3] „სიტყვა „ლარი", რომელიც შეირჩა ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ზოგადად განძს, ქონებას, ხოლო, „თეთრი", რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდა, ასევე ძველი, XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია." (ხაზგასმა ჩემია-მ.ჯ.) ბანკნოტები. საქართველოს ეროვნული banki.https://www.nbg.gov.ge/index.php?m=193; როგორც ჩანს პოზიცია „თეთრი" მონეტის შესახებ ოფიციალურად აღიარებული უზუსტობაა. „კოლხური თეთრი" მეცნიერებაში დამკვიდრებული „სამონეტო ჯგუფის სახელია" (http://geonumismatics.tsu.ge/ge/catalogue/types/?type=2) და მატერიალურად მას არასოდეს არ უარსებია - არსებობდა „ტეტრადრახმები", რომელიც საქართველოში იყო მოჭრილი. (თავისი დროისათვის ისინიც წარმოადგენდნენ „სუროგატებს")

[4] **მიხეილ ჯიბუტი**. დოლარი, დინარი, მარკა, რუბლი... და ქართული მანეთიც (ანუ ინფორმაცია ქართული ფულის დაბეჭდვაში სავარაუდო პარტნიორების შესახებ). „დრონი", 1992, 14 აგვისტო

მინისტრის თენგიზ სიგუას **1993 წლის 15 თებერვლის №6** განკარგულებით. მეორე ჯგუფი (პაატა კოღუაშვილი, ამირან ქადაგიშვილი, დემურ დვალიშვილი) მხარს უჭერდა ინგლისურ ფირმა „თომას დე ლა რიუს“ და ელგუჯა ამაშუკელის კონცეფციას. იყო მესამე ჯგუფი (რომან გოცირიძე, მიხეილ ჯიბუტი), რომელსაც კონკრეტული ფავორიტი არ ჰყავდა, მაგრამ ითხოვდა, რომ ფულის მბეჭდავი ფირმა შერჩეულიყო არა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით, არამედ - კონკურსით.

მიუხედავად სრული მზადყოფნისა, როდესაც კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ფულის ნაღდი მასის არქონის გამო შექმნილმა პრობლემებმა გადაწყდა რუბლის სუროგატის-კუპონის შემოღება. **საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 მარტის № 246 დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონების გამოშვების შესახებ“- 5 აპრილს კუპონი ფულად სისტემაში იქნა გაშვებული.**

მსჯელობა იმის შესახებ, ხომ არ ავჯობებდა, ან რა იქნებოდა პირდაპირ სრულფასოვანი ფულადი რეფორმის გატარება დღეისათვის ინტელექტუალურად საინტერესოა და იმ სფეროს ეკუთვნის, რაც ისტორიას არ უყვარს. ფაქტი ერთია, რომ იმ პერიოდისათვის საქართველოს სახელმწიფოს სავალუტო რეზერვები შეადგენდა ნოლს. ეროვნული ბანკის საცავებში იყო მხოლოდ მორალურად გაცვეთილი რუბლის კუპიურები და ხუთკაპიკიანები.

კუპონის შემოღების შემდეგ გაგრძელდა ლარის გამოშვებაზე მუშაობა. 1993 წელს მომზადდა ლარისა და თეთრის მატრიცები. მატრიცებზე პირველი ფაქსიმილე იყო დემურ დვალიშვილის და კახი პოპიაშვილის. 1993 წელს შეიქმნა ლარი და მომზადდა ყველა დოკუმენტი მის შემოსაღებად. ქაღალდის პირველ მონეტებს (ეს უკანასკნელი დღესაცაა მიმოქცევაში გამოცემის თარიღი „1993“ აწერია.[5] ამასთან, ეს ის პერიოდია, როდესაც ჯერ არაა საქართველოს ახალი კონსტიტუცია მიღებული, არაა ცნობილი მომავალი გერბის საკითხი, ამიტომ ავერსი „ბორჯღალითაა“ წარმოდგენილი. არც რევერსზეა სახელმწიფო ნიშნები. რევერსზე არსებული წარწერა „საქართველოს რესპუბლიკა“ უკვე შემოღებისათვის არსებული კონსტიტუციით დადგენილ სახელს - „საქართველო“ არ შეესაბამებოდა (ავერსის-შუბლის ავტორია ელგუჯა ამაშუკელი, რევერსის-ზურგის ნოდარ და ბაჩანა მალაზონიები). „საქართველოს რესპუბლიკა“ ეწერა 1995 წელს მიმოქცევაში გაშვებულ ქაღალდის ფულსაც.[6]

1993 წელს ლარის შემოღება არ განხორციელდა იმ მოსაზრებით, რომ საჭირო იყო ლარის უკან ყოფილიყო საკმარისი სავალუტო რეზერვი, რაც უზრუნველყოფდა მის სტაბილურობასა და აამაღლებდა ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის სიმყარესა და ხალხის ნდობას ეროვნული ფულადი სისტემისადმი. ამ საკითხზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სავალუტო ფონდთან, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. 1993 წლის დასაწყისში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დატოვა საქართველო. ამასთან, უნდა მომხდარიყო საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების მომსახურება საქართველოს საბანკო და ფულადი სისტემით, ნაცვლად მათ მიერ რუსული რუბლის გამოყენებისა. ფაქტობრივად რუსული რუბლის ქართული ვალუტის პარალელურად არსებობდა. საქართველოსი ცალკე ყალიბდებოდა კურსი კუპონზე და ცალკე რუბლზე. საჭირო ამ კონტექსტის შეცვლა და ოპტიმალური დროს შერჩევა.

[5] მონეტები. საქართველოს ეროვნული ბანკი. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=194

[6] ქართული ლარის ყველა სერია. http://www.bonistica.ru/cat/asia/georgia

კითხვა მეოთხე: 1995 წლის 2 ოქტომბერს ლარის შემოღების დროს მოხსნილი იყო ის ფაქტორები, რისთვისაც მისი შემოღება გადაიდო?

საკითხს აქვს პერსონალური ასპექტი. ფულადი სისტემის რეფორმა, დაწყებული ლარის სახელწოდებითა და შემოღების კონცეფციით მომზადდა **თენგიზ სიგუა**[7]**-რომან გოცირიძე**[8]**-დემურ დვალიშვილი**[9]**-კახი პოპიაშვილი**[10]**-მიხეილ ჯიბუტი**[11] პიროვნულ ვექტორზე, რომელთა შორის იყო წინააღმდეგობა. განსაკუთრებით მიუღებელი იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის ე.წ. „ლიბერალური მონეტარული პოლიტიკა", რომელსაც მხარს უჭერდა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მისი ფავორიტი პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ახალგაზრდები ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით. პრეზიდენტი შევარდნაძე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკების პროცესის დაჩქარებისაგან თავს იკავებდა. მხოლოდ სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის ავტორიტეტზე დამყარებულმა კუპონის კურსმა კუპონის ეროვნულ ვალუტად გამოცხადების დროისათვის - 1993 წლის 7 აგვისტოს შეადგინა: 1 აშშ დოლარი უდრიდა 5690 კუპონს.[12] მომდევნო პერიოდში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ტოტალური კრიტიკისა (მათ შორის პრეზიდენტ შევარდნაძის მხრიდანაც) და სოხუმის დაცემის ფონზე (1993 წლის 27 სექტემბერი) **1993 წლის 7 ოქტომბერს კურსი იყო 1 აშშ დოლარი - 17 068 კუპონი.**[13]

ამ პერიოდისათვის ეკონომიკის მართვის ზემოთმითითებული პიროვნული ვექტორი შეიცვალა ახალი ვექტორით: **ოთარ ფაცაცია**[14]**-ამირან ქადაგიშვილი-ნოდარ ჯავახიშვილი-დავით იაკობიძე-ვლადიმერ პაპავა**[15]**. ეს ის პერიოდია, როდესაც ხელისუფლება ახდენდა კუპონის დისკრეტიზაციას იმით, რომ ყველა უბედურებას აბრალებდა კუპონს. შევარდნაძემ 1993 წლის შეჯამებისას სოხუმის დაცემის გვერდით და ტოლფას ტრაგედიად კუპონის შემოღება დაასახელა. კუპონს ამით ერთადერთი დასაყრდენი -ხელისუფლების წარმომადგენლობის ფუნქციის გამო არსებული ნდობა გამოეცალა: კუპონის კურსის დაცემამ მიიღო კიდევ უფრო დრამატული ხასიათი. კუპონის კურსის დინამიკა შემდეგნაირად ვითარდებოდა:**

1993 წელი

თარიღი	დოლარი	კუპონი
7 ოქტომბერი	1	17 068
25 ნოემბერი	1	44 550[16]
30 დეკემბერი	1	102 300[17]
26 თებერვალი	1	233 500
31 მარტი	1	384 000
21 აპრილი	1	1 025 000

1994 წელი

თარიღი	დოლარი	კუპონი
26 მაისი	1	805 000
25 ივნისი	1	814 000
28 ივლისი	1	915 000
20 სექტემბერი	1	**2 400 000**
23 სექტემბერი	1	**2 400 000**
29 სექტემბერი	1	**2 350 000**

[7] გადადგა 1993 წლის 5 აგვისტოს
[8] პრემიერ მინისტრი იყო 1993 წლის მაისამდე
[9] საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელები იყვნენ: გარდამავალ პერიოდში გიზო პატეიშვილი 1991 წლის ოქტომბრამდე, გია თოფურია 1992 წლის იანვრამდე, ვაჟა ჯინჯიხაძე 1992 წლის მარტამდე, ნოდარ კაკულია 1992 წლის ნოემბრამდე, დემურ დვალიშვილი 1993 წლის ოქტომბრამდე, ნოდარ ჯავახიშვილი 1993 წლის 11 ოქტომბრიდან 1998 წლის 21 მარტამდე.
[10] ფინანსთა მინისტრი 1993 ნოემბრამდე
[11] გადადგა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების პროტესტის გამო 1993 ოქტომბერი
[12] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306
[13] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306
[14] პრემიერ მინისტრად დაინიშნა 1993 წლის 21 აგვისტოს
[15] ეკონომიკის მინისტრი 1994 ივნისი - 2000.
[16] ეკონომიკის მინისტრი 1994 ივნისი - 2000.
[17] ეკონომიკის მინისტრი 1994 ივნისი - 2000.

ახალმა გუნდმა ჩაიბარა კურსი 1 აშშ დოლარი = 17 068 კუპონი და ერთი წლის თავზე „გაექცა“ კურსი 1 აშშ დოლარი = 2 400 000 კუპონამდე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 1995 წლის 23 იანვრიდან „დაჭერილ“ იქნა სტაბილურად კურსი 1 აშშ დოლარი = 1 300 000კუპონი. ჩამოყალიბების მანკიერი პრაქტიკა (ხაზს ვუსვამთ, რომ ეს არ იყო კროსკურსი, არამედ ეს იყო მახინჯი წარმონაქმნი, რომელიც ასაზრდოებდა ჩრდილოვან ეკონომიკას). თვალსაჩინოებისათვის აღვნიშნოთ, რომ 1994 წლის 20 და 23 დეკემბერს იყო ერთნაირი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (2 400 000 კუპონი), ხოლო რუბლთან მიმართებაში იყო პირველ შემთხვევაში 1030, ხოლო მეორე შემთხვევაში 990 კუპონი. რუსეთში იმავე პერიოდში 1 აშშ დოლარი უდრიდა შესაბამისად 1043 და 975 რუბლს, ანუ ხან ძვირი და ხან იაფი, ვიდრე საქართველოში. 1995 წლისათვის აშშ დოლართან უცვლელი კურსის შემთხვევაში იცვლებოდა რუბლთან მიმართების კურსი.[18] ასეთი პოლიტიკა დიდ გასაქანს ქმნიდა სავალუტო სპეკულაციებისათვის.

1995 წლის 2 ოქტომბრის წინ არ გადაჭრილა რუსეთის სამხედრო პერსონალის რუბლით სარგებლობის პრობლემა, ანუ არ დასრულებულა ეროვნული ვალუტის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად დამკვიდრების პროცესი.

არ მომხდარა ბანკნოტებისა და მონეტების მატრიცების მოდიფიცირება ქვეყნის პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად, როგორც ეს განხორციელდა შემდგომში - 1999 წელს.[19] შედეგად მიმოქცევაში გამოვიდა ფული, რომელსაც არ ეწერა სწორად ქვეყნის კონსტიტუციით განსაზღვრული დასახელება („საქართველოს რესპუბლიკის“ ნაცვლად უნდა ყოფილიყო „საქართველო“), ფულზე არ არის საქართველოს გერბი და პირველ გამოშვების მონეტებს, რომელიც მიმოქცევაში გამოვიდა 1995 წლის ოქტომბერში აწერია „1993“. პირველი გამოშვების ქაღალდის კუპიურები მიმოქცევაში უკვე აღარ არის,[20] თუმცა, ხურდა ფული აღნიშნული ნაკლოვანებებით დღესაც მიმოქცევაშია.

რა იყო იმ სისწრაფის მიზეზი, რომ მხოლოდ პოპიაშვილ-დვალიშვილის ფაქსიმილეები შეცვალეს იაკობიძე-ჯავახიშვილის ფაქსიმილეებით და შემოღებისათვის არც საუკეთესო პირობების შექმნას დალოდებიან და არც ფულზე წარწერების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა უცდიათ? რა იყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 7 სექტემბრის №344 ბრძანებულების მთავარი მოტივი 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ლარის შემოღების გადაწყვეტილების მიღების დროს?

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრა 5 ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთად ჩატარება. „მოქალაქეთა კავშირმა“ და ედუარდ შევარდნაძემ საარჩევნო კამპანია დააფუძნეს ლარის შემოღებაზე. ამიტომაც იქნა დაჩქარებული ეს პროცესი და ტექნიკური საკითხი - კუპონის დენომინაცია – აყვანილ იქნა „წარმატებული ფულადი რეფორმის რანგში“. ის ფაქტი, რომ 1995 წლის 2 ოქტომბერს მოხდა კუპონის დენომინაცია, შემცირდა მისი მასშტაბი მილიონჯერ და დადგინდა გადაცვლის კურსი 1 აშშ დოლარი = 1,3 ლარი, არ იყო საკმარისი საარჩევნო პროპაგანდისათვის. მოხდა ლარის, როგორც წარმატებული პოლიტიკის მაჩვენებლად წარმოჩენა. წარმოდგენილ იქნა ლარით კუპონის დამარცხების ლეგენდა, რომელშიც მოიძებნა ადგილი იმ ადამიანთა ჰეროიკისადმი ვინც ამ პერიოდში ხელმძღვანელობდა ეკონომიკის ვექტორს (ოთარ ფაცაცია - ამირან ქადაგიშვილი - ნოდარ ჯავახიშვილი - თემურ ბასილია - დავით იაკობიძე - ვლადიმერ პაპავა) და რომელთაც

[18] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

[19] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=193

[20] იმავე პერიოდში დაიბეჭდა 500 ლარიანი კუპიურები, შოთა რუსთაველის გამოსახულებით,რომელიც მიმოქცევაში არ გასულა და რომელსაც იგივე წარწერები აქვს, რაც სხვა 1993 წლის კუპიურებს.

ლართან დაკავშირებით ყველა საკითხი მომზადებული დახვდათ.[21] მოქალაქეთა კავშირმა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნები მოიგო, შევარდნაძეც გახდა პრეზიდენტი.[22] დღეს არც მოქალაქეთა კავშირია და არც შევარდნაძე, მაგრამ მათ მიერ **დამახინჯებული ისტორია ჯერ კიდევ ცოცხლობს, მათ მიერ ლარის პოლიტიზება მისი შემოღებისთანავე, შემოღებიდან 20 წლის შემდეგაც ვერ გათავისუფლდა ამ სენისგან**.

რეალური ისტორია კი ასეთია: პოსტსაბჭოთა პერიოდში პირველი ქართული ვალუტა იყო კუპონი 1993 წლის 3 აგვისტოს მისი ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების შემდეგ. 1993 წელს მომზადდა კუპონის შესაცვლელად ფულის სისტემის ცვლილების პაკეტი, განისაზღვრა ფულის ერთეულის სახელად „ლარი“ და „თეთრი“, დამზადებულ იქნა ფულის მატრიცა. **1995 წლის 2 ოქტომბერს დენომინირებული მასშტაბითა და ახალი სახელწოდებით - ლარი იქნა ბრუნვაში შემოტანილი**. თუ ვიმსჯელებთ საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, როდესაც ბავშვს (განსაკუთრებით ვაჟებს) სხვადასხვა მოსაზრებით (ჯარში წაყვანა) დაბადებიდან დაგვიანებით ატარებდნენ რეგისტრაციაში, ლარის საქმეც ასეა: ლარი დაიბადა 1993 წელს, ხოლო მეტრიკაში მას დაბადების წლად უწერია 1995 წელი.

კითხვა მეხუთე: ლარის შემოღება იყო კუპონის დენომინაცია, თუ კიდევ „სხვა“ რაიმე?

პროფესიული თვალსაზრისით ეს იყო ისტორიული მოვლენების გამო ეროვნულ ვალუტად გამხდარი კუპონის დენომინაცია თანაფარდობით 1 ლარი = 1 000 000 კუპონი. ეს მარტივი თეზისი ეკონომისტთა ერთი ნაწილის, განსაკუთრებით ლარის შემოღებაში მონაწილე პირთა, განსაკუთრებულ წინააღმდეგობას იწვევს. **ისინი უარყოფენ ლარის შემოღებას, როგორც კუპონის დენომინაციის პროცესს**. არგუმენტებად მოჰყავთ ემპირიულად სწორი ფაქტები, რომელსაც არსთან კავშირი არ აქვს. არგუმენტების არასრული მწკრივი ასეთია: „კუპონი კი გამოცხადდა ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად, მაგრამ ის არ იყო ფული“, „იყო ფული დე იურე, მაგრამ ხალხმა არ მიიღო ასეთად“, „კუპონზე თითქმის არფერი არ იყიდებოდა, პურის გარდა, ისიც იმიტომ, რომ ტალონზე იყო“, “კუპონი კი არ იყო ფული, არამედ რუბლი და დოლარი“ და ა.შ. ეს მსჯელობა წლების განმავლობაში მეორდებოდა ცნობილი პირების მიერ სხვადასხვა ფორმატში (ინტერვიუ, სტატია და სხვა). მიგვაჩნდა, რომ ეს იყო lapsus lingues, ან lapsus calami. ასე გაგრძელდა 5, 10, 15 წელი. ლარის ოფიციალურად შემოღებიდან 20 წლისთავზე მსგავსი პოზიციის კვლავ გამეორებისას უკვე, მათი უმართებულობის აღუნიშნაობა არის ისტორიული შეცდომა. კიდევ 20 ან 50 წლის შემდეგ ხომ არ უნდა დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ჩვენს დროში ეკონომისტები მხოლოდ ასე მსჯელობდნენ? ის, რომ კანონით აღიარებული იყო კუპონი, როგორც საქართველოს ფულადი ერთეული (National currency), როგორც ერთადერთი საგადამხდელო საშუალება (Legal tender), რომ კუპონში იწარმოებოდა ბუღალტერია, ხდებოდა გადასახადების გადახდა, დგებოდა ბიუჯეტი, გაიცემოდა ხელფასები და სხვ, რომ 1995 წელს განხორციელდა მისი ჩანაცვლება ამ ფუნქციებში ლარით, თანაც განსაზღვრული თანაფარდობით, თუ იწვევს კითხვებს, მაშინ არგუმენტაციის მეთოდია შესარჩევი. Denominatio-ლათინური სიტყვაა და ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა იმ პროცესის აღსანიშნავად, როდესაც ძველი ფულის ნიშნები იცვლება ახლით, რომელსაც როგორც წესი აქვს ნაკლები ნომინალი და როდესაც ძველი ნიშნები შეიძლება ამოღებულ იქნას მიმოქცევიდან. **იქნებ გაუგებრობას იწვევს კუპონის დენომინაცია ლარში მასშტაბის შეცვლასთან ერთად ფულის დასახელების შეცვლის გამო?** მაგრამ ასეთი რამ არ არის უცნობი. მრავალი მაგალითია პოსტსაბჭოთა სივრცეში. მაგალითად,

[21] პოლიტიკური ბედის მაგალითი, თუ პროფესიული კომპრომისი, როდესაც ზემოთ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის გარეშე, გზა მისცეს ლარის შემოღებას?

[22] http://www.cesko.ge/files/TEA/archevnebisistoria/geohistory.pdf

ლატვიაში: ლატვიის რუბლი-ლატ; ლიტვაში: ლიტვის ტალონი - ლიტ, მოლდავეთში: მოლდავური კუპონი - მოლდავური ლეი; უკრაინაში: კარბოვანეც - გრივნა; დენომინაციის ზომა შეადგენდა შესაბამისად: 200:1; 100:1; 1000:1; 100 000:1. საქართველოსათვის შესაბამისად კუპონი შეიცვალა ლარით და დენომინაციის კოეფიციენტი იყო 10^6:1.[23] თუ ეს ასე მარტივადაა გაგებული სახალხო საცნობარო ლიტერატურის დონეზე, რაში მდგომარეობს ქართველ ეკონომისტთა მიერ ამ საკითხის სხვაგვარი გაგება? კითხვაზე პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ ლარის მიმოქცევაში შემოღება წარმოდგენილი იყო თავიდან, როგორც მაშტაბური, ყოვლისმომცველი, სტერილური ფულადი რეფორმა და ამ რეფორმაში ლარის კუპონისგან წარმომავლობა ლარის კეთილშობილურ წარმომავლობის შესახებ მითს უარყოფს. თითქოს ესეც არ უნდა იყოს ისტორიის გადასახედიდან დიდი უბედურება. მით უმეტეს, რომ არავინ არ უარყოფს ლარის მიმოქცევაში შემოტანის დადებით მნიშვნელობას, რომ მან ჩამოაყალიბა ნდობა ეროვნული ვალუტისადმი და ა.შ. ჩვენი აზრით, ამ პოზიციათა საწყისი არც იმდენად იმაშია, რომ კუპონი ლარის „მშობლად“ აკნინებს პიროვნულ დამსახურებებს, არამედ ლარის შემოღების გადაწყვეტილებაშია. ლარის შემოღებისათვის სრული პაკეტის მომზადებიდან (რომელიც 1993 წელს დასრულდა- საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილეობის გარეშე) იყო ფიქრი მისი შემოღებისათვის საუკეთესო დროის შერჩევაზე. ლარის არჩევნებამდე (არა ლარის ზოგადად, არამედ კონკრეტულად არჩევნების წინ) შემოღებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მისი შემოღების წინააღმდეგი იყო ყველა, ვინც ხედავდა ამ პერიოდში ლარის შემოღების პოლიტიკურ მოტივაციას - გამხდარიყო ეს მომენტი მოქალაქეთა კავშირის არგუმენტად არჩევნებში. თემურ ბასილიას თქმით, ლარის შემოღების წინააღმდეგი იყო მოსახლეობის 80 % და შევარდნაძის გარემოცვა (აქ ჩამონათვალში აშკარად შეეშალა, მაგრამ მთავარი ეს არ არის) და მან და რამოდენიმე კაცმა გადაწყვიტეს ეს საქმე.[24] რისკმა გაამართლა. მოქალაქეთა კავშირმა და შევარდნაძემ დაუფასა ლარის „სარისკო“ შემოღების ავტორებს და თანამდებობებზეც დიდხანს ჰყავდა ისინი. მაგრამ, ლოგიკა მაინც ითხოვს პასუხს, „დენომინაცია“ რატომაა მიუღებელი? მერაბ კაკულია დენომინაციას უარყოფის იმ არგუმენტით, რომ ასეთ შემთხვევაში „მხოლოდ კუპონი გადაიცვლებოდა ლარზე“, სინამდვილეში კი „ლარი, რომელიც გამოშვებულ იქნა 25 ოქტომბერს 2 ოქტომბრამდე გადაიცვლებოდა არა მარტო კუპონზე, არამედ რუსულ რუბლზეც“.[25] გადაცვლის მასა იყო: კუპონისათვის - 17 ტრილიონი, რუსული რუბლისათვის - 71 მილიარდი.[26] რუბლის გადაცვლა ამ ეპიზოდში არის ის, რაც ბევრ კითხვებს სვამს და რაც იქნა გადაფარული რეფორმის „წარმატებით“. სინამდვილეში საქართველომ არაკონვერტირებადი ვალუტა- რუსული რუბლი (რუბლი, რომელიც რუსეთმა მხოლოდ მის ტერიტორიაზე მიმოქცევის საშუალებად გამოაცხადა) შეისყიდა ახლად გამოშვებული ლარით. 2 ოქტომბრისათვის 17 მლნ ლარის კუპონის დენომინაცია მოხდა და „შესყიდულ“ იქნა (და არა „გადაცვლილ“, როგორც რეფორმატორები ამტკიცებენ) 17,75 მლნ ლარის რუბლი. ამ ამოღებული რუბლების ისტორია ცალკე თემაა. მთავარია, რომ ლარის შემოღებით არ დამთავრდა ქვეყანაში ერდადერთი საგადამხდელო საშუალების პარალელურად რუსული რუბლის მიმოქცევა. ანუ, ის გარემოება, რაც კუპონს ხელს უშლიდა, ლარის რეფორმის ავტორების აზრით, კუპონი ყოფილიყო ეროვნული ვალუტა, ძალაში დარჩა ლარის შემოღებიშ შემდეგაც და თანაც ხელისუფლების ხელშეწყობით.

---

[23] ეს საკითხი ასე გაიგება ვიკიპედიის დონეზეც კი: https://ru.wikipedia.org/wiki/Деноминация_(экономика)

[24] “მხოლოდ ჩვენ, ოთხი კაცი - თემურ ბასილია, დავით იაკობიძე, ვლადიმერ პაპავა და ნოდარ ჯავახიშვილი ვიყავით დარწმუნებულნი რეფორმის წარმატებაში. რა თქმა უნდა, დიდია ამ პროცესში ედუარდ შევარდნაძის როლი, რომელმაც ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება - დაგვიჯერა და წამოგვყვა ამ მართლაც ურთულეს და სარისკო საქმეში.“ თემურ ბასილია. ქართული ლარი 20 წლისაა. http://reportiori.ge/?menuid=48&id=76829

[25] https://www.facebook.com/businesscontact ბიზნეს კონტრაქტი. 2.10.2015

[26] https://www.facebook.com/businesscontact ბიზნეს კონტრაქტი. 2.10.2015

1995 წლის 25 ოქტომბრისათვის რუსეთის ცენტრალური ბანკის კურსი იყო 1 აშშ დოლარი 4467 რუბლი.[27] იმავე 25 ოქტომბრისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 1.3 ლარი და 1000 რუსული რუბლი = 0.25 ლარი[28] ე.ი. 25 ოქტომბერს დოლარზე გადაყვანით 1000 რუბლი მოსკოვში ღირდა 0.29 ლარი. ანუ თბილისში რუბლი ღირდა 14%-ით ნაკლები. შემდეგ დღეებში მოსკოვში აშშ დოლარი ღირდა 26, 27, 28, 29, 30 აგვისტოს შესაბამისად 4467, 4467, 4491, 4491, 4508, 4508 რუბლი[29] და დოლარით გადაყვანით შესაბამისად, 1000 რუბლი ღირდა 0.29; 0.29; 0.2895; 0.2895; 0.2884; 0.2884 ლარი, ანუ 14%-ით ნაკლები, ვიდრე მოსკოვში.

1994 წლის 7 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ლარის კურსი განისაზღვრა 1 ლარი = 3456.15 რუბლი.[30] 1 აშშ დოლარი 4493[31]. ანუ მოსკოვში 1 აშშ დოლარი ღირდა 1.2997 ლარი. 1000 რუბლი ღირდა 0.2893 ლარი. თბილისში კი - 1 აშშ დოლარი 1.28 ლარი და 1000 რუსული რუბლი 0.25 ლარი.[32]

საქართველოში ლარის შემოღების შემდეგაც გაგრძელდა რუსული რუბლის ლარის პარარელურად სრულფასოვანი მიმოქცევა და რუბლზე ავტონომიურად კურსის ჩამოყალიბება. საქართველო ბანკის გვერდით არსებობდა „მეორე ბანკი“ ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზის სახით, რომელიც მიმოქცევაში უშვებდა რუსულ რუბლს. კურსთა სხვაობა რუსულ რუბლზე საქართველოსა და რუსეთისი წარმოადგენდა სპეკულაციის საფუძველს. ლარის კურსის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად მიღებული დახმარებები და სავალუტო რეზერვების დიდი ნაწილი იხარჯებოდა რუსული რუბლის გასამყარებლად საქართველოს ეკონომიკის საზიანოდ.

კითხვა მეექვსე: რა დრო დასჭირდა ლარის პოლიტიზირებული შემოღების გამო დაშვებული კომპრომისების გამოსწორებას?

როგორც აღინიშნა, დღემდე არ არის აღმოფხვრილი ის შეხედულება თითქოს ლარი იყოს პოსტკომუნისტური საქართველოს პირველი ეროვნული ვალუტა და მისი შემოღება წარმოადგენდა საქართველოს ავტონომიური ფულადი სისტემის შემქმნელ რეფორმას.

დღემდე არ არის აღმოფხვრილი ის ფაქტი, რომ საქართველოსი მიმოქცევაშია ფული, რომელზეც ქვეყნის დასახელება არ შეესაბამება მის კონსტიტუციურ სახელწოდებას, გამოშვების თარიღი არ ემთხვევა მიმოქცევაში გასვების თარიღს, მონეტის ავერსზე არ არის ქვეყნის ღერბი.

2001 წლამდე, ანუ მთელი 6 წლის მანძილზე გრძელდებოდა რუსული რუბლის მიმართ კურსის ავტონომიურ რეჟიმში დადგენა. ამ ისტორიით ლარი არ განსხვავდებოდა კუპონისაგან. განსხვავება აქ ის იყო, რომ ამ პერიოდში რუბლის მიმოქცევით მიყენებული ზიანი ლარის გასამყარებლად ნასესხები სავალუტო რეზერვებით იფარებოდა.

მხოლოდ მეექვსე წელიწადს ,2001 წლის 23 მაისს[33] მიიღო საქართველოს პარლამენტმა დადგენილება „საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის – ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოყენების შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამია, რომ „საქართველოს პარლამენტი ქვეყნის ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის – **ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოყენების უზრუნველყოფას საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას**

[27] http://www.cbr.ru/currency_base/daily.aspx?date_req=25.06.1995
[28] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304
[29] http://www.cbr.ru/currency_base/daily.aspx?date_req=07.10.1995
[30] http://www.cbr.ru/currency_base/daily.aspx?date_req=04.10.1995
[31] http://www.cbr.ru/currency_base/daily.aspx?date_req=04.10.1995
[32] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304
[33] https://matsne.gov.ge/ka/document/view/40924

ანიჭებს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად ხელისუფლების არაერთი მცდელობისა, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები არ იცავენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნას საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის – ლარის, როგორც ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალების, გამოყენების შესახებ. (ხაზგასმა ჩვენია - მ.ჯ.)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართვლოს პარლამენტი ადგენს: 1. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულმა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზებმა (ქვეყნის ტერიტორიაზე დისლოცირებული მათი ცალკეული ნაწილებისა და ქვედანაყოფების სახით) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საგადამხდელო საშუალებად გამოიყენონ მხოლოდ საქართველოს ეროვნული ვალუტა".

თუ რა ზიანი მოუტანა მოვლენების ზემოთ მითითებულმა ფაქტებმა ქვეყანას ამჟამად აქ არ შევეხებით, რადგანაც ის არ წარმოადგენს მოცემული სტატიის მიზანს და ის ცალკე შესწავლის საგანი უნდა გახდეს. თუმცა ფაქტია, რომ ლარმა ვერ მოიშორა დაბადებიდან არსებული პოლიტიკური ნიშანი და მასთან დაკავშირებული საკითხები დღესაც - 2015 წლის შემოდგომაზე, საქართველოსი პოლიტიკური დებატების უცვლელი თემაა.

კითხვა მეშვიდე: შეეძლო კუპონს ყოფილიყო უფრო მყარი 1993 წლის აპრილიდან აგვისტომდე და აგვისტოს შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების გარეშე?

1993 წლის გაზაფხულზე კუპონის სუროგატის გამოსვების დროს, ისევე როგორც მის ერთადერთ საგასახადო საშუალებად გამოცხადების შემდეგ, მის უკან მდგომი სავალუტო რეზერვების რაოდენობა უდრიდა 0 (ნულს!). შესაძლებელი იყო უკეთესი მდგომარეობის მიღწევა ,რომ არა საომარი მოქმედებები, ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ავტონომიური, შეუთანხმებელი მოქმედებები და ვოლუნტარისტული საკრედიტო გადაწყვეტლებები და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის - ე.შევარდნაძის ყოყმანი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის შესახებ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი მისია საქართველოში 1991 წლის ნოემბერში ჩამოვიდა. საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია 1992 წლის 5 მაისიდან. თუმცა 1992 და 1993 წლები ისე ჩამრთავდა, რომ სსფ პროგრამა საქართველოში ვერ გაიხსნა. 1992 წელს სახელმწიფოს მეთაურის ფრთხილი პოზიცია გადამწყვეტ როლს ასრულებდა. **1993 წლის დასაწყისში სავალუტო ფონდმა საქართველო დატოვა. ეკონომიკის ისეთ კოლაპსურ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო და ისეთი სამომხმარებლო სუბსიდირების სისტემის დროს, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული საქართველოს საბჭოთა სისტემიდან, მხოლოდ საკუთარი ძალებით შეიძლებოდა ოდნავ უკეთესი მდგომარეობის მიღწევა, მაგრამ რადიკალურად განსხვავებულის-არა. შეუძლებელი იყო ამის გადაწყვეტა იმ პირობებში და მოკლე დროში გარედან დახმარების გარეშე. ეს ისტორიულადაც გამოჩნდა.** თენგიზ სიგუას კოალიციური მთავრობის შეცვლამ (ეკონომიკის სფეროში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჯაჭვი: სიგუა-დვალიშვილი-გოცირიძე-პოპიაშვილი-ჯიბუტი) ოთარ ფაცაციას მთავრობით (ეკონომიკის სფეროში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჯაჭვი: ფაცაცია-ჯავახიშვილი-ქადაგიშვილი-ბასილია-იაკობიძე-პაპავა) ვერ გამოიწვია სიტუაციის გაუმჯობესება 1993 წლის ოქტომბრიდან 1994 წლის დეკემბრამდე. პირიქით, კუპონის კურსი, როგორც ითქვა ახალმა გუნდმა ჩაიბარა კურსი 1 აშშ დოლარი = 17 068 კუპონი და ერთი წლის თავზე „გაექცა" კურსი 1 აშშ დოლარი = 2 400 000 კუპონამდე. ეს ოფიციალუტად, თორემ „კავკასიის ბირჟაზე" 1 აშშ დოლარის კურსი უდრიდა 5 400 000 კუპონს. **ჰიპერინფლაციამ ნოდარ ჯავახიშვილის ეროვნული ბანკის**

პრეზიდენტობის დროს მიაღწია პიკს.[34] ეს იმ გარემოში როდესაც, 1993 წლის ოქტომბრიდან საომარი მოქმედებები შეწყვეტილი იყო. მაშინ, **რა მოხდა 1994 წლის დეკემბერში ისეთი, რამაც შეცვალა სიტუაცია?** 1993 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან იყო ზუსტი გზავნილები ფინანსური დახმარების შესახებ.[35] ეს ის პერიოდია, როდესაც სოხუმი დაცემულია, რუბლის ზონის შენარჩუნების საკითხი დღის წესრიგიდან საბოლოოდ მოიხსნა და ჩნდება აქტივობის შანსი „ჩიხურ“ მდგომარეობაში. **ედუარდ შევარდნაძე ცვლის თავის დამოკიდებულებას სავალუტო ფონდთან და ცდილობს კუპონისაგან განთავისუფლებას**. ედუარდ შევარდნაძე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობას ავითარებს დასავლეთთან ურთიერთობის ვექტორის ზოგადი გაძლიერების ფარგლებში და 1994 წლის მარტში ახორციელებს ვიზიტს სსფ-ში. 1994 წლის 15 დეკემბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოუყო საქართველოს STF (the systemic transformation facility -სისტემური ტრანსფორმაციის-გარდაქმნის ხელშეწყობის) კრედიტი 27.7 მლნ. SDR (დაახლოებით 44 მლნ. აშშ დოლარი) ოდენობით.[36] ამას მოჰყვა, თვით სავალუტო ფონდის შეფასებით, - ჰიპერინფლაციის მოთოკვა და გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია.[37]

ამას დაეფუძნა კუპონის, როგორც პირველი ეროვნული ვალუტის გაჯანსაღების პროცესი და მისი სტაბილურობა 1995 წელს. აღნიშნული გამნტკიცდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის 1995 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით გამოყოფილი stand-by credit -“მხარდაჭერის კრედიტი“ 72.15 მლნ. SDR (დაახლოებით 113 მლნ. აშშ დოლარი) და STF (the systemic

---

[34] ნოდარ ჯავახიშვილი ჟურნალისტის- დალი ჩიკვაიძის კითხვაზე „თქვენ რომ ეროვნულ ბანკში მიხვედით, ქვეყანაში ჰიპერინფლაცია იყო...„ პასუხობს: „ჰიპერინფლაცია მზად იყო, მაგრამ ჯერ არ იყო რეალურ მოქმედებაში“.კითხვაზე:“ჰიპერინფლაციას რით მოუარეთ?„ პასუხი: „მიმოქცევაში ფულადი მასის კონტროლით. საერთოდ, ჰიპერინფლაცია ნიშნავს მიმოქცევაში უკონტროლოდ ფულის გაშვებას. ამ პერიოდში ფულის მართვასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი რადიკალური და მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა. თუ მანამდე სხვადასხვა არხიდან უკონტროლოდ შემოდიოდა ემისიური ფული, ამ წყაროებს თანდათან ვკეტავდით და 1994 წლის 21 ოქტომბერს ყველა მათგანი დავგმანეთ.“ აუდიტი აღრიცხვა ფინანსები, 2010, № 8(128). აქ თარიღებია მთავარი: გამოდის ჯავახიშვილი 1993 წლის 11 ოქტომბრიდან 1994 წლის 21 ოქტომბრამდე ჰიპერინფლაციის „წყაროებს გმანავდა“ რომელიც მისი მოსვლის შემდეგ შევიდა მოქმედებაში და მისი „დაგმანვა“ სავალუტო ფონდის დახმარების შემდეგ შეძლო. ჯავახიშვილისათვის მთავარია ჰიპერინფლაციის ავტორობა აიშოროს და იმავე ინტერვიუში ამბობს: „შევარდნაძის იდეაში იყო ქართველი ხალხის გაღატაკება, თუმცა არა იმ დონეზე, ხალხს შიმშილი დაეწყო და აქედან გამომდინარე, მასში რევოლუციური მუხტი შეეტანა. ჰიპერინფლაცია შევარდნაძის გამიზნული ქმედება იყო, რომელსაც ასრულებდა საწყალი დემურ დვალიშვილისა და ამირან ქადაგიშვილის ხელით.“ ამ დროისათვის არც ერთია თანამდებობაზე და არც მეორე.“ ჰიპერინფლაცია შევარდნაძის ზრახვებით მოხდა , ჯავახიშვილმა კი მისი სიტყვებით: „ჩემს დროს მოხდა მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჰიპერინფლაციის დაძლევა. სხვადასხვანაირად ითვლიან და ამიტომ ძნელია შეადარო ერთმანეთს, ვთქვათ ჩვენი და იუგოსლავიის ჰიპერინფლაცია, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკის მამების აღიარებით, ეს იყო მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჰიპერინფლაცია, ჩვენ ის ყველაზე მოკლე ვადაში დავამარცხეთ და ჩავატარეთ მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში ყველაზე წარმატებული ფულადი რეფორმა“. ისტორიისათვის: ჯავახიშვილის დროს მოხდა ყველაზე დიდი ჰიპერინფლაცია -ეს იყო იმდროინდელი მთავრობის შედეგი და მოთოკილ იქნა ეს ინფლაცია სავალუტო ფონდის დახმარებით იმავე მთავრობის პარტნიორობით. ამ უკანასკნელისათვის მასინდელი მთავრობა იმსახურებს შექებას. თუმცა რეალობა არ უნდა დაიკარგოს: კუპონთან დაკავშირებული კოცონი ამ მთავრობამ აქცია ხანძრად, რომელიც სავალუტო ფონდმა და საქართველოს მიერ აღებულმა სესხმა ჩააქრო მოცემული მთავრობის მონაწილეობითა და ხელშეწყობით.

„1994 წლიდან საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პირველი პროგრამა დაიწყო, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევა და ეროვნული ვალუტის შექმნა. ამისათვის უნდა გაკეთებულიყო სამი რამ - 1. ბანკებს აკრძალვოდათ ოვერდრაფტის რეჟიმში მუშაობა; 2. ქვეყანას ჰქონოდა პარლამენტის მიერ მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტის არაინფლაციური წყაროთი; 3. პურზე ფასები უნდა გათავისუფლებულიყო“. ლ. პაპავა - ინტერვიუ: „ლარს 15 წელი შეუსრულდა“ - http://www.ambebi.ge/sazogadoeba/26485-lars-15-tseli-sheusrulda.html

[35] ეს გზავნილები (პერსონოფიცირებული) მას მე გადავეცი ვაშინგტონიდან დაბრუნებისას, 1992 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიურ შეხვედრის პერიოდში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის რანგში მიღებების დროს მისთვის გადასაცემად მიღებული გზავნილებიდან გამომდინარე

[36] IMF, December 15, 1994 ,Press Release No. 94/88.

[37] „An STF-supported program launched by the Georgian authorities in the second half of 1994 has had remarkable success in halting hyperinflation and stabilizing the exchange rate“(IMF, June 28, 1995, Press Release No. 95/37)

transformation facility - სისტემური ტრანსფორმაციის ხელშეწყობის) კრედიტის მეორე ტრანში 27.7 მლნ. SDR (დაახლოებით 44 მლნ. აშშ დოლარი) ოდენობით.[38] სავალუტო ფონდი განმარტავს კრედიტების დანიშნულებას. რომ ისინი მიმართული იქნება ფასების სტაბილურობასა და **ეროვნული ვალუტის (ამ დროისათვის მხოლოდ კუპონი არსებობს) ღირებულების შესანარჩუნებლად და ამით ახალი ვალუტის - ლარის წარმატებული დანერგვისათვის პირობების შექმნა უახლოეს რამოდენიმე თვეში.**[39]

Mikheil Jibuti

The history of „coupon“, how it became national currency and denominated in „lari“

Summary

The article presents the history of national currency which hasn't been adequately studied and evaluated by scientists.

Both soviet rubli and Russian Federation rubli (sauce December, 1991) dominated in Georgia from 1990 to 1993. Georgian government was working on creating national currency during this period.

New terms (names) „lari“ (bills) and „tetra“ (coins) – later „tetri“ were adopted for national currency.

The complete packet was ready for 1993. Logically „lari“ should have been the first national currency though, in reality process was developed in different way.

Coupon was adopted in April, 1993 as banknotes of rubli had't been received on time from Russian federation. Coupon became the substitute for cash (roubles).

Russian federation abandoned Rubli zone, hater currency reform was implemented in august 1993 and the only legal payment instead of Russian rubli, was adopted in the form of coupon. Therefore, the coupon – surrogate transformed as national currency.

In October 2, 1995 the denomination range was 1 mln coupon = 1 lari and new currency was adopted named „lari“ and „tetri“.

[38] IMF, June 28, 1995 ,Press Release No. 95/37

[39] IMF, June 28, 1995 ,Press Release No. 95/37 („Monetary policy will be designed to maintain price stability and safeguard the value of the national currency, thus improving conditions for the successful introduction of a new currency, the lari, in the next few months“)

ლევან ქისტაური, გიორგი ცუცქირიძე

რისკის პროფილი და დიურაცია კომერციულ ბანკებში

ბანკის აქტივ-პასივების მართვა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილება უშუალოდ ზემოქმედებს ბანკის საბალანსო ღირებულებებზე. აღნიშნულის უკეთ გააზრებისათვის დაგვეხმარება ტერმინი - რისკის პროფილი. განვიხილოთ ბანკი რომელსაც აქვს მოკლევადიანი პოზიცია რესურსების მოზიდვის კუთხით და გრძელვადიანი პოზიცია დაკრედიტების თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში ბანკის ვალდებულებები უფრო ადრე გადაფასდება ვიდრე აქტივები (LRBA), რაც იწვევს მაღალ დამოკიდებულებას ანუ რისკს საპროცენტო განაკვეთების მოულოდნელ ცვლილებებთან მიმართებაში. შესაბამისად ბანკები რომლებსაც აქვთ LRBA-ს პოზიცია შეიძლება შეფასდეს როგორც ვადების აცდენის უარყოფითი მაჩვენებლით და პირიქით, ბანკები დადებით დურაციით, როდესაც აქტივების დაფინანსების წყაროა შედარებით მოკლევადიანი პასივები. ასეთ შემთხვევაში ბანკს მოუწევს ვალდებულებების გასტუმრება სხვა შემოსავლებით და არა აქტივების ფულად (უპირველესად სესხის) დაბრუნების შედეგად.

აქტივების მართვისას მხედველობაში მიიღება საპროცენტო განაკვეთები, სხვადასხვა კატეგორიების აქტივების მოცულობები და ვადები, ასევე რეზერვები, ლიკვიდობა, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები და გაცემული სესხები. ამასთანავე ბანკის აქტივები უნდა შეფასდეს როგორც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისადმი არამგრძნობიარე აქტივებად და მგრძნობიარე აქტივებად. ამ უკანასკლენს მიეკუთვნება რეზერვები და სხვა ლიკვიდური აქტივები, რომლებიც გაცილებით სწრაფად გადაფასდება საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისას ვიდრე მაგალითად გრძელვადიანი ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდები ან სესხები. საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისადმი მგრძნობელობა შეიძლება დახასიათდეს როგორც გადაფასების ეფექტური დრო ანუ დურაცია, დრო რომლის განმავლობაშიც ხდება გადაფასება.[1]

პასივების მართვა (LM) ხორციელდება ორი მეთოდით: სარეზერვო პოზიციების მართვის მეთოდი და საკრედიტო პოზიციის მართვის მეთოდი.

სარეზერვო პოზიციების მართვის მეთოდი - მართვა მოკლევადიანი ინსტრუმენტების გამოყენებით, იმისათვის რათა დეპოზიტების მოსალოდნელი გადადინების შემთხვევაში კრედიტზე მოთხოვნისას ბანკს ჰქონდეს საკმარისი ფულადი რეზერვები, წვდომა ბანკთაშორისი რესურსების ბაზარზე და შეთანხმებები უკუ რეპოზე, რაც ბანკს აძლევს საშუალებას მართოს პასივები. მოცემულ შემთხვევაში იგულისმხება არა რეფინანსირების სესხები, რომლებიც არიან მოკლევადიანი (1 ან 7 დღის ვადით), არამედ NOSTRO ანგარიშზე რიცხული ჭარბი თანხები ერთდღიანი დეპოზიტების და ოვერნაითის ჩათვლით. შესაბამისად, პასივების მართვის ეს მეთოდი ახდენს მოკლევადიანი საფინანსო რესურსების გენერირებას ბანკის ლიკვიდობის სამართავად. თუმცა აღსანიშნავია რომ ბანკი რომელიც მუდმივად იყენებს სახელმწიფო რესურსებს აქტივების დასაფინანსებლად ლიკვიდობის მაღალ რისკის მატარებელია.

ბანკთაშორისი რესურსების (ფონდების) ბაზარი წარმოდგენილია კომერციული ბანკებით, ოღონდ ჩვეულებრივი სესხისგან განსხვავებით, ამ სახის ფონდირება არ ნიშნავს საბუღალტრო ბალანსის ზრდას, არამედ ბანკები სარეზერვო ანგარიშებიდან, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი თანხებს გადარიცხავენ საპროცენტო ანგარიშებზე და შესაბამისად კონტრაგენტი იღებს რესურსს, ხოლო ბანკი პროცენტს ანუ შემოსავალს. როგორც წესი ეს კონტრაქტები ატარებენ მოკლევადიან ხასიათს და ცნობილია ერთდღიანი კრედიტების და ოვერნაითის სახით.

[1] Risk Management in Banking, **Joel Bessis,** 2015

საკრედიტო პოზიციის მართვის მეთოდი - მართვა საბუღალტრო ბალანსის მუდმივი გაფართოების გზით საკრედიტო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში წამყვანი ინსტრუმენტი არის სავალო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სადეპოზიტო სერთიფიკატები - CD). მსხვილი ბანკები ამ ინსტრუმენტის გამოყენებით რესურსებს იზიდავენ, როგორც შიდა, მთავარი განსხვავება ნოსტრო ანგარიშზე განთავსებულ მოკლევადიან დეპოზიტებსა და ძირითად ვადიან ანაბრებს შორის არის ამ რესურსების შედარებით მაღალი ღირებულება და ვოლანტილობა.

მაგალითისთვის განვიხილოთ ბანკი, რომელიც მოკლევადიან აქტივს (მაგ. დაკრედიტებას) აფინანსებს გრძელვადიანი ვალდებულებით. აქედან გამომდინარე მისი აქტივები გადაფასდებიან უფრო ადრე ვიდრე ვალდებულებები (ARBL) და ბანკი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთების ვარდნის რისკზე. ამდენად, ARBL ბანკი ხასიათდება ვადიანობის დარღვევის დადებითი მაჩვენებლით ანუ უარყოფითი დურაციით და თუ საპროცენტო განაკვეთები შემცირდება, მაშინ ARBL ბანკი დანაკარგები გაიზრდება და ღირებულებაც შემცირდება, ხოლო თუ საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება, ბანკის შემოსავლები და ღირებულებაც გაიზრდება.

მსესხებელს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა ვადაზე ადრე დაფარონ კრედიტი, ხოლო დეპოზიტარებს გაიტანონ თანხები ანგარიშებიდან. აქედან გამომდინარე საკრედიტო დაწესებულებები არიან დამატებითი რისკის ქვეშ საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

საპროცენტო განაკვეთების ზრდა. ასეთი სცენარისას მსესხებელი ბუნებრივია არ მოინდომებს აღებული სესხის რეფინანსირებას, მაგრამ სამაგიეროდ რეფინანსირება მომგებიანია დეპოზიტარებისათვის, თანხის ვადაზე ადრე გატანის შედეგად გადასახდელი ჯარიმის მიუხედავად. რადგან დეპოზიტარი ეძლევა შესაძლებლობა გატანილ თანხა განათავსოს უფრო მაღალშემოსავლიან აქტივში.

დეპოზიტარების მხრიდან თანხების ვადაზე ადრე გატანა, ბანკს უზრდის ლიკვიდობის რისკს, რაც პირდაპირ ზემოქმედებს ბანკის აქტივებზე და საბალანსო ღირებულებებზე მისი შემცირებას მიმართულებით. ბანკს მოუწევს ან გადაფაროს დანაკლისი ახალი ვალდებულების აღებით ან მოუწევს საბუღალტრო ბალანსის შემცირება. თუ ბანკი წავა ახალი ვალდებულებების აღების გზით, მაშინ იგი არ შეამცირებს ბალანსს, მაგრამ სამაგიეროდ გაზრდის პასივების ღირებულებას საპროცენტო განაკვეთების ზრდის გამო. სხვა შემთხვევაში ბანკს მოუწევს საბალანსო ღირებულების შემცირება, რაც კვლავ ლიკვიდობის პრობლემებს წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთების შემცირება. ამ შემთხვევაში დეპოზიტარებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით აღარ სჭირდებათ თანხების გატანა, პირიქით ისინი მოგებული კი რჩებიან და სხვა აქტივებში ინვესტირება აზრს კარგავს. სამაგიეროდ მსესხებლები, მოსალოდნელი პირგასამტეხლოს მიუხედავად. მოინდომებენ კრედიტის რეფინანსირებას უფრო დაბალი პროცენტით. რეფინანსირების მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ექცევა ვადაზე ადრე დაფარვის რისკის ქვეშ, რაც მოქმედებს აქტივების სიდიდეზე და ფასზე. ბანკს მოუწევს გასცეს ახალი კრედიტები ან შეამციროს საბუღალტრო ბალანსი. უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის რეფინანსირება ბანკისათვის ნიშნავს ერთის მხრივ რისკის გაზრდას და მეორეს მხრივ საპროცენტო შემოსავალის შემცირებას. იმ შემთხვევაში თუ კრედიტებზე მოთხოვნა იქნება შემცირებული, მაშინ ჭარბი ლიკვიდობის რისკის შესამცირებლად ბანკი იძულებული იქნება ჩადოს თანხები სხვა აქტივებში, მაგ. სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ან ობლიგაციებში, რათა არ შეუმცირდეს ბალანსი, მაგრამ ამ ფასიან ქაღალდების შემოსავლიანობა იქნება კიდევ უფრო დაბალია.[2] ალტერნატივა შეიძლება იყოს უარის თქმა ახალი დეპოზიტების მიღებაზე ან სხვა არასადეპოზიტო რესურსების წყაროს მოძიება.

[2] დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“. http://www.nbg.gov.ge

აქტივებისა და პასივების მართვის ეკონომიკური განზომილებები.

ბანკის, როგორც კორპორაციის მოგება განისაზღვრება წმინდა საპროცენტო შემოსავლისა (NII) და წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) მიხედვით შესაბამისად მენეჯმენტის ამოცანაა წმინდა საპროცენტო მარჟისა და წმინდა საპროცენტო შემოსავლის შემცირებისას მოახდინოს რისკების მინიმიზაცია. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის არა ზოგადად ბანკის აქტივების ან პასივების ცვლილებების მაჩვენებელი, არამედ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან მგრძნობიარე აქტივები, მაგალითად სესხები და დეპოზიტები პასივში. აქედან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების დაკავშირება წმინდა საპროცენტო შემოსავლის ცვლილებასთან შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta NII = \Delta r \cdot (GAP) = \Delta r \cdot (RSA - RSL),$$

სადაც Δr არის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მაჩვენებელი, GAP-სხვაობა მგრძნობიარე აქტივებს (RSA) და პასივებს (RSL) შორის, დროის გარკვეული მონაკვეთის მანძილზე (მაგ: 90 დღის განმავლობაში).

შესაბამისად, როდესაც $RSA - RSL > 0$ ბანკის ვადიანობის გეპი დადებითია მოზიდული და განთავსებული რესურსების ვადიანობის თვალსაზრისით და პირიქით როდესაც $RSA - RSL < 0$ ვადიანობის გეპი უარყოფითია. მაგალითად: თუ ბანკს 1 წლამდე აქვს აქტივები 1 მლრდ ლარის, ხოლო 1 წლამდე საპროცენტო დეპოზიტები 800 მლნ. ლარის, ბანკს ექმნება გეპის დადებითი მაჩვენებელი 200 მლნ. ლარის საპროცენტო განაკვეთების მგრძნობიარე აქტივების და პასივების თვალსაზრისით.

თუ დავუშვებთ, რომ საპროცენტო განაკვეთები დადებითი ვადიანობის გეპისას გაიზრდება 200 ბაზისური პუნქტით (2%), მაშინ წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაიზრდება 200 * 0.02 = 4 მლნ ლარით და პირიქით, თუ საპროცენტო განაკვეთები შემცირდება ანალოგიური პროცენტით, მაშინ წმინდა საპროცენტო მარჟა შემცირდება 4 მლნ ლარით ანუ ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალი დადებითი ვადიანობის გეპისას, საპროცენტო განაკვეთების ზრდისას იზრდება და პირიქით.

ჩვენს განხილულ ფორმატში დაშვებული იყო საპროცენტო განაკვეთების თანაბარი ცვლილება ორივე მხარეს, მაგრამ თუ აქტივ-პასივებში საპროცენტო განაკვეთების ცვლილება არათანაბარია, მაშინ ფორმულა იღებს შემდეგ სახეს:

$$\Delta NII = \Delta r_a(RSA) - \Delta r_l(RSL),$$

რისკი დაკავშირებულია აქტივებისა და პასივების საპროცენტო საპროცენტო განაკვეთების არათანაბარ ცვლილებასთან, იზრდება საბაზისო რისკი.

საფინანსო მენეჯმენტში ხშირად გამოიყენება წმინდა საპროცენტო მარჟის ცვლილების მაჩვენებელი საპროცენტო მარჟასთან.

$$\frac{\Delta NIM}{NIM} = \left(\frac{GAP}{EA}\right) - \left(\frac{\Delta P}{NIM}\right),$$

სადაც EA- არის შემოსავლიანი აქტივები.

წარმოდგენილი ფორმულები საშუალებას იძლევა განისაზღვროს წმინდა საპროცენტო შემოსავლის ცვლილება საპროცენტო ცვლილება საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელი ან გაუთვალისწინებელი ცვლილებებისას[3]

მაგალითი:

საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებაში მგრძნობიარე აქტივ-პასივების ცხრილი.

1	მუშა აქტივები 1 წლამდე განთავსებით	400 000
2	საპროცენტო დეპოზიტები 1 წლამდე	-250 000
3	გრძელვადიანი სესხი 1 წლამდე გადაფას.	15 000
4	პრივილიგირებული აქციები, მცურავი კურსით	500
5	*RSA – RSL*	165 500
6	ბანკთაშორისი სესხები და უკურეპო	-80 000
7	მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშები (მიმდ. ანგ)	-120 000
8	სხვა 1 წლამდე ვალდებულებები	-110 500
9	დაზუსტებული *RSA- RSL*	-145 500
10	წმინდა საპროცენტო მარჟა	7,5%
11	შემოსავლიანი აქტივები	450 5 00

საილუსტრაციოდ განვიხილოთ ვადიანობის ჰორიზონტები:

დაფარვის ვადები	აქტივი	პასივი	ვადიანობის დარღვევა	კუმულატიური პოზიცია/+ მოკლე/-გრძელი
1 დღე	5	40	-35	-35
30 დღე	10	30	-20	-55
60 დღე	15	20	- 5	-60
91 დღე	20	10	+10	- 50
182 დღე	25	10	+ 15	-35
365 დღე	30	5	+ 25	- 10

[3] Investment Valuation, talks and techniques for determining the value of any assets, **Aswath Damodaran,** 2006**.**

მოკლევადიანი პოზიცია სულ	105	115	- 10	- 10
1 წელზე მეტი	05	70	+25	+ 15
კაპიტალი		15	- 15	0
ჯამური სულ	200	200	0	0

როგორც ვხედავთ, ბანკს აქვს სერიოზული პრობლემები ლიკვიდობასთან დაკავშირებით და ეს უპირველესად ეხება მოკლევადიან, ერთ თვემდე პერიოდს. მოცემულ შემთხვევაში გვაქვს 55 მლნ დოლარამდე რეზერვების პრობლემა.

ვადიანობის გეპის განსაზღვრა

ბანკის აქტივ-პასივების მართვისას საპროცენტო გეპთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ვადიანობის გეპ-ის მართვა. ნულოვანი გეპ-ი ნიშნავს აქტივების დაფინანსებას იგივე ვადის პასივებით. მაგალითად, თუ ბანკი იზიდავს 1 წლიან დეპოზიტებს და აღნიშნული რესურსით აფინანსებს 1 წლიან სესხებს ანუ *RSA* = *RSL*. შესაბამისად, დურაციის მაჩვენებელიც არის ნული და არც აქტივები და არც პასივები არ არიან მგრძნობიარენი საპროცენტო რისკებთან მიმართებაში. მაგრამ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება იმოქმედებს ბანკის საბალანსო ღირებულებაზე თუ დაფარვის ვადები იქნება არათანხვედრი.

განვიხილოთ ორი ვარიანტი:

1. აქტივები ფინანსდებიან გრძელვადიანი პასივებით. თუ ბანკი 1 წლიან სესხებს აფინანსებს 5 წლიანი დეპოზიტებით, მაშინ სესხები გაცილებით ადრე გადაფასდება (შეეხება საპროცენტო ცვლილება) ვიდრე დეპოზიტები და დაფარვის ვადების მიხედვით იქნება დადებითი გეპი, ანუ *RSA* > *RSL*, თუმცა დურაცია ანუ ვალის გასტუმრების დრო იქნება უარყოფითი *DA* < *DL*. ასეთ შემთხვევაში აქტივები არიან გაცილებით მგრძნობიარე საპროცენტო ცვლილებებისადმი, ვიდრე პასივები და რისკების დაზღვევაც ხდება გრძელვადიანი ინსტრუმენტებით. ასეთი სტრატეგიის ბანკს შეიძლება ვუწოდოთ *ARBL* (Assets Refinancing Before Liabilities) ბანკი. მოცემული ბანკის სტრატეგია აგებულია მომავალში საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელ ზრდაზე, ანუ ბანკი იღებს გრძელვადიან ვალდებულებებს და ამით ამცირებს მომავალში საპროცენტო ხარჯებს პასიურ ოპერაციებზე, სამაგიეროდ მოკლევადიანი სესხების გაცემით სამომავლოდ ზრდის საპროცენტო მარჟას და შესაბამისად წმინდა საპროცენტო შემოსავალს. მაგალითად, ბანკი თუ დღეს მოზიდავს 5 წლიან დეპოზიტებს წლიური 9%-იანი განაკვეთით და გასცემს 1 წლიან სესხს წლიური 12%-იანი განაკვეთით, ერთი წლის შემდეგ საპროცენტო განაკვეთების თუნდაც 1 პროცენტით ზრდისას, იგი მიიღებს პრემიალურ მოგებას.

2. აქტივები ფინანსდებიან მოკლევადიანი პასივებით. თუ ბანკის გრძელვადიანი სესხები ფინანსდება მოკლევადიანი ვალდებულებებით, შესაბამისად ვალდებულებები გაცილებით ადრე გადაფასდება ვიდრე აქტივები. ასეთ დროს *RSA* < *RSL* რაც ნიშნავს სესხის ვადების დაფარვის უარყოფით მაჩვენებელს, ასეთ შემთხვევაში *DA* > *DL* და დურაციას აქვს დადებითი მაჩვენებელი. ასეთ ბანკს შეიძლება ვუწოდოთ *LRBA* (Liabilities Refinancing Before Assets) ბანკი. ასეთ დროს ბანკის სტრატეგია აგებულია მომავალში საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელ შემცირებაზე ანუ ბანკი იღებს მოკლევადიან ვალდებულებებს და ამით ამცირებს სამომავლო საპროცენტო ხარჯებს პასიურ ოპერაციებზე, სამაგიეროდ გრძელვადიანი სესხების გაცემით მომავალში ზრდის საპროცენტო მარჟას და შესაბამისად წმინდა საპროცენტო შემოსავალს. ასე მაგალითად ბანკი თუ

დღეს მოზიდავს 1 წლიან დეპოზიტებს წლიური 9%-იანი განაკვეთით, და გასცემს 3 წლიან სესხს წლიური 12%-იანი განაკვეთით, ერთი წლის შემდეგ საპროცენტო განაკვეთების თუნდაც 1 პროცენტით შემცირებისას, იგი მიიღებს პრემიალურ მოგებას.

წმინდა საპროცენტო მოგება

ბანკი	ტაქტიკური ბანკი (*LRBA*)	სტრატეგიული ბანკი (*ARBL*)
$A =$ 100	$A =$ 40/8%/ 1 წელი	$A =$ 60/10%/ 2 წელი
$D =$ 90	$D =$ 36/6%/ 3 თვე	$D =$ 54/9%/ 20 წელი
$E =$ 10	$E =$ 4	$E =$ 6

წმინდა საპროცენტო შემოსავალი $NII = 40 \cdot 0.08 + 60 \cdot 0.10 - 36 \cdot 0.06 - 54 \cdot 0.09 = 2.18$

$$MVE = BVE = 10 = 100 - 90$$

ახლა დავუშვათ სიტუაცია, როდესაც საპროცენტო განაკვეთი იზრდება 100 პ.პ ანუ 1%-ით. მაშინ ბანკი საბაზრო საბალანსო ღირებულება იქნება:

$$MVE = PVA - PVL$$

შესაბამისად ტაქტიკური და სტრატეგიული ბანკი ბალანსური მაჩვენებლების მიხედვით ჩვენ მივიღებთ:

$$MVE = PVA(LRBA) + PVA(ARBL) - PVL(LRBA) - PVL(ARBL)$$

$$PVA(LRBA) + PVA(ARBL) = \frac{40 \cdot (1 + 0.08)}{1 + 0.09} + \frac{60 \cdot 0.1}{1.11} + \frac{60 \cdot (1 + 0.1)^2}{1.11} = 39.63 + 58.97 = 98.6$$

$$PVL(LRBA) + PVL(ARBL) = \frac{36 \cdot (1.06)^{0.25}}{1.07} + \frac{54^{0.25} \cdot 0.09}{1.10} \cdot 19 + \frac{54 \cdot 0.09 + 54^{0.2}}{1.1} = 85.3$$

$$MVE = 13.29 > 10$$

წმინდა საპროცენტო შემოსავლის ცვლილება 100 პროცენტული პუნქტით კი იქნება:

$$\Delta NII = \Delta r(RSA - RSL)$$

ტაქტიკური ბანკის შემთხვევაში:

$0 < GAP < 91$	$(0 - 36) \cdot 0.1 = -0.36$
$91 < GAP < 1$ წელი	$(40 - 0) \cdot 0.1 = 0.40$
სუფთა	0.04

საილუსტრაციო მაგალითი:



საპროცენტო განაკვეთების ზრდისას ბანკი იღებს მოგებას როდესაც გრძელვადიანი სესხები დაფინანსებულია მოკლევადიანი პასივებით, რაც გრაფიკზე ჩანს არსებული ქვედა და მოსალოდნელი ზედა მრუდების სახით და პირიქით.

დიურაცია

ჩვენ მიერ განხილული აქტივ-პასივების საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ფორმულა შეიძლება ტრანსფორმირდეს ბანკის საკუთარი კაპიტალის ღირებულების ცვლილების მატრიცაში:

$$\Delta V \approx \{[PV(A) \cdot (-D_A)] - [PV(L) \cdot (-D_L)]\} \cdot \Delta r$$

სადაც D – არის აქტივებისა და პასივების დიურაცია.[4]

დიურაცია განსაზღვრავს აქტივების საპროცენტო რისკს, მომგებიანობის შესაბამის მაჩვენებლის, საპროცენტო გადასახადებისა და განაღდების ვადების მიხედვით[5]

$$D = \frac{\frac{\Delta P}{P}}{\left[\frac{\Delta r}{1+r}\right]}$$

სადაც

P - არის აქტივის ფასი,

r - არის საპროცენტო განაკვეთი,

Δ- ცვლილების მაჩვენებელი,

ამ ფორმულით შეიძლება მივიღოთ ფასის ცვლილება როგორც დიურაციის ცვლილება.

[4] Commercial Bank Valuation, **W.D. Miller**. 2009

[5] Commercial Bank Valuation, **W.D. Miller**. 2009

$$\Delta P \approx -D[P/(1+i)] \cdot \Delta i$$

სხვანაირად დიურაცია განსაზღვრავს თუ რა დრო სჭირდება ინვესტორს შეძენილი აქტივის საბაზრო ღირებულების ამოსაღებად, მიმდინარე ღირებულების მიხედვით. ანალოგიურად შეიძლება გამოითვალოს ბანკის საკუთარი კაპიტალის დიურაციაც.

$$D \approx -\frac{\left(\frac{\Delta V}{V}\right)}{\frac{\Delta r}{1+r}}, \text{ საიდანაც } \Delta V \approx -D\left(\frac{V}{1+r}\right) - \Delta r$$

ბანკის საკუთარი კაპიტალის დიურაციის ფორმულის ტრანსფორმაცია შესაძლებელია ლევერიჯის მიხედვითაც. თუ ჩავთვლით რომ $PV(A) = A/(l+r)$, სადაც $PV(L) = L/(1+r)$ მაშინ $\Delta V = -[D_a A - D_L L] \cdot [\Delta r/(1+r)]$

თუ ამ ფორმულის ორივე ნაწილში შემოვიტანთ *A/A* ნამრავლს, მაშინ

$$\Delta V \approx -[D_A - \lambda D_L][\Delta \mathrm{r}/(1+r)],$$

სადაც λ არის *L/A* ანუ ლევერიჯის მაჩვენებელი. წარმოდგენილ ფორმულაში ყველგან იგულისხმება, რომ საპროცენტო განაკვეთები ერთნაირად ანუ თანაბრად იცვლება აქტივებისა და პასივებისათვის ანუ საბაზისო რისკის გარეშეა იმ შემთხვევაში თუ წარმოიქმნება საბაზრო რისკი, მაშინ

$$\Delta V \approx [PV(A) \cdot x \cdot (-D_A)] \cdot \Delta r_{\mathrm{A}} - [PV(L) \cdot x \cdot (-D_L)] \cdot \Delta r_L$$

მაგალითი:

გამოვთვალოთ ხუთწლიანი საკუპონო წლიური 10%-იანი ობლიგაციის დიურაცია. ნომინალური 100 დოლარი.

პერიოდი (*N*)	ფულადი ნაკადი (*CF*)	მიმდინარე ღირებულება (*PV*)	*NxPV*
1	10	9,091	9,091
2	10	8,264	16,528
3	10	7,513	22,539
4	10	6,830	27,320
5	110	68,301	341,505
		100,000	416,98
	$D = \frac{416.98}{100} = 4.17 < 5$		

დიურაცია კონკრეტული მაგალითების განხილვით

განვიხილოთ ხუთწლიანი აქტივები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით წლიური 10%-იანი 5 წლიან ობლიგაციის შემთხვევაში, რომელიც ფინანსირდება 1 წლამდე ვადის პასივებით წლიური 9%, ანუ ვიხილავთ შემთხვევას, როდესაც სპრედი 1% (10-9)-ია. ბანკის აქტივებია - 100, პასივები - 90, საკუთარი კაპიტალი-10, კაპიტალის მულტიპლიკატორია *A/c* = 10 ბანკის საპროცენტო შემოსავალი იქნება წლიურად 10, ხოლო საპროცენტო ხარჯი 90*0.09=8.1 წმინდა საპროცენტო შემოსავალი იქნება 10 - 8.1 = 1.9

	საბაზრო	საბალანსო	*CF*

			ჩ 1	*ჩ 2*	*ჩ 3*	*ჩ 4*	*ჩ 5*
აქტივები	100	100	10,0	10,0	10,0	10,0	10,0
პასივები	90	90	-8,1	-8,1	-8,1	-8,1	-8,1
კაპიტალი	10	10	1,9	1,9	1,9	1,9	1,9
ახალი შემთხვევა /300 საბაზისო პუნქტის (3 %) ცვლილებით							
აქტივები	89,4	100	10	10	10	10	10
პასივები	87,6	90	-8,1	-10,8	-10,8	-10,8	-10,8
კაპიტალი	1,8	10	1,9	-0,8	-0,8	-0,8	-0,8

სიტუაციის ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში აქტივების საპროცენტო შემოსავლის საბაზრო ანუ მიმდინარე ღირებულება 10%-იანი დისკონტირებისას პირველი ოთხწლიანი (10), ხოლო მეხუთე წლის ძირითადი თანხისა და გადახდის ქეშ ფლოს (110) მიხედვით იქნება (8.84+7.83+6.93+6.1+59.7)=89.4 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი გახდება რა 12% (9%+3%) პასივების საბაზრო ღირებულება 12%-იანი დისკონტისას კი იქნება 90-2.7/1.12=87.6 მლნ. ლარი რადგან თუ პირველ წელს ვალდებულებებს *CF1* = -8.1, მეორე – მეხუთე წელს იქნება – (90x12%) = - 10.8 შესაბამისად ფულადი ნაკადების წლიური ნაზარდი ღირებულება იქნება -10.8 – 8.1 = 2,7

წინა მაგალითზე განხილული დურაციის მიხედვით კი, როცა PV(A)=89.4 მლნ. ლარს, PV(l)= 87.6 მლნ. ლარს, ხოლო აქტივების და ვალდებულებების დურაცია Da=4.17 და Dl=1, მაშინ კაპიტალის საბაზრო ცვლილება იქნება:

$$\Delta V = \{89.4(-4.17) - 87.6(-1)\} \cdot 0.03 = -8.5$$

რაც ნიშნავს, რომ საპროცენტო განაკვეთების ზრდა ამცირებს ბანკის საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულებას 8, 2 მლნ ლარით, ხოლო წმინდა საპროცენტო შემოსავალს 2, 7 მლნ. ლარით.

ჰეჯირების მაგალითები

ბანკის კაპიტალის საბაზრო ღირებულება ლევერიჯის გამოყენებით, როგორც აღვნიშნეთ, არის

$$\Delta V \approx [D_A - \lambda D_L] \cdot [\Delta r/(1+r)]$$

სადაც λ არის ლევერიჯი (L/A) - ვალდებულებების აქტივებთან შეფარდების მაჩვენებელი.

ახლა განვიხილოთ მაგალითი, როდესაც ბანკი გრძელვადიან (5 წლიან) აქტივებს (სესხებს) აფინანსებს მოკლევადიანი ვალდებულებებით (1 წლიანი), ანუ D_A = 5, D_L = 1, ბანკის λ=0.9 ასევე დავუშვათ, რომ R = 10%, ხოლო Δr = 1%. ბანკის აქტივების სიდიდე იყოს 100 მლნ კაპიტალი 10 მლნ. მაშინ

$$\Delta V = -[5 - 0.9(1)]100\left[\frac{0.01}{1.10}\right] = -3.727$$

აქედან ჩანს, რომ კაპიტალის ცვლილება 37%-ით ანუ მის შემცირება 3.7 მლნ დოლარით არ უნდა იქნას დაშვებული, ხოლო ჰეჯირებისთვის ბანკის გამოიყენებს დერივატებს (*IRD*). ზოგადად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ იმ ქვეყნებში სადაც არის კარგად განვითარებული სახაზინო ვალდებულებების და დერივატების კერძოდ, ფიუჩერსების ბაზრები, შესაძლებელია სრულყოფილი ჰეჯირების განხორციელება საპროცენტო რისკების დასაზღვევად. თუ გავიხსენებთ, რომ საპროცენტო განაკვეთების ზრდისას ეცემა ობლიგაციების ფასი, ბანკმა უნდა უზრუნველყოს საპროცენტო განაკვეთების ზრდისას მიიღოს მოგება ფიუჩერსული კონტრაქტებისაგან, რაც მიიღწევა მხოლოდ მოკლე პოზიციის გახსნით ანუ სახაზინო ობლიგაციებზე ფიუჩერსული კონტრაქტების გაყიდვით. თუ საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება და ბანკი მათ გაყიდის უფრო მაღალი ფასით შესაბამისად მიიღებს მოგებას აღნიშნულ ტრანზაქციიდან.

დიურაციის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ თავად ფიუჩერსული კონტრაქტის ცვლილება:

$$\Delta F = -D_F F[\Delta r/(1+r)]$$

როგორც ვხედავთ ეს ფორმულა არის ზემოთ შემოთავაზებული ფორმულის ვარიაცია, სადაც F არის ფიუჩერსული კონტრაქტის Δ საწყისი ღირებულება, DF - ფიუჩერსული კონტრაქტის დიურაცია, ΔF -ცვლილება. მაგალითისათვის დავუშვათ, რომ DF პირობითად იყოს 8.66.

F-იქნება გაყიდული ფიუჩერსული კონტრაქტების რაოდენობა (პირობითად 473) გამრავლებული ობლიგაციის ნომინალზე (100 000 დოლარი). ხოლო საპროცენტო განაკვეთების 1%-ით ზრდისას (100 ს.პ) კი მივიღებთ $\Delta F = -8.66 \cdot [473 \cdot 100000] \cdot 0.01/1.1 = -3.724$

როგორც ვხედავთ, ჰეჯირება ბანკის ზარალს მთლიანად ვერ დაფარავს, ხოლო 3.7 მლნ დოლარის ზარალს შეამცირებს 3.727 - 3.724 = 3 ათას დოლარამდე.



სურათი 1. *LRBA* - ლიკვიდობის რისკი და ვადაზე ადრე დაფარვის რისკი



სურათი 2. *ARBL* - ლიკვიდობის რისკი და ვადაზე ადრე დაფარვის რისკი

ΔV - ბანკის საბაზრო ღირებულების ცვლილება
ΔR - საპროცენტო განაკვეთების გაუთვალისწინებელი ცვლილება

Levan Kistauri, George Tsutskiridze

Risk Profile And Duration In A Commercial Banks

Summary

The article is discussed the risks of the commercial banks, which is related to the forms of financing, terms, and conditions, also the impact of the interest rate over the banks, hedging methods, ways and effectiveness in different senarios. In the article is discussed prinicples and forms of asset-liability management, methods of liquidity and profitability analysis, management and estimation, what have to provide the stability of the banks while the economic fluctuations in a different markets. Bank credits and deposits, “Gap”, through the commercial bank provides the operation in real, represents the most important factor for the the scope of operation and ists volume. It is the most important to be defined and determined the sentiveness of the asset and liabilities relative to the interest rate change, since even the slightest changes cause big enough quantitative and monetary changes regarding the capability of the commercial banks balance. In order to maintain the maximum of stability of the bank it is necessary to be made the estimation all of the expected risk, what is mostly related to the credit part. To reduce the risks it is needed prediction of the potential future flustrations and possible changes. For that exist various of methods and ways to be maintained the sustainability of the bank, quality of reliability and profitability. On of the clearest example represents the recommendations of The Basel Committee on Banking Supervision, which provides to develop and implement the various levers of banking stability, and issue them in the form of recommendations. Ensuring of those levers are holding by the central banks, which implement in the system, which central area they locate at. And then the sesponsibility for the execution of the recommendations are imposed on the commercial banks.

სამართალი

პაპუნა გურული

ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, როგორც სისხლის სამართლებრივი ხელყოფის ობიექტი

პაპუნა გურული

ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, როგორც სისხლის სამართლებრივი ხელყოფის ობიექტი

სისხლისსამართლებრივი ხელყოფის ობიექტის საკითხს მეცნიერებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ობიექტად იწოდება ის კონკრეტული ღირებულება, რომლის დაცვაც სისხლის სამართლის ნორმას აკისრია. სხვადასხვა დანაშაულთა ობიექტები მოწესრიგებულ მდგომარეობაში ქმნიან ღირებულებათა სისტემას. ხოლო ამ სისტემის დაცვის იდეა არის მთავარი არგუმენტი, რომელიც ამართლებს სისხლის სამართლის არსებობას. წინამდებარე სტატიის ავტორს არ გააჩნია თემის ამომწურავად ანალიზის პრეტენზია. ჩემი მიზანია, მხოლოდ მკითხველს შევთავაზო საკითხის ჩემებური ხედვა, ჩემი მოსაზრებები.

დანაშაულის პროვოკაციის საკითხებზე მუშაობისას, ჩემი ყურადღება მიიქცია „ბრალეული თანამონაწილეობის“ მოძღვრებამ, რომელიც უპირატესად წამქეზებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ეხება. თუმცა, ამჯერად, მე მას ვიხილავ არა თანამონაწილეობის დასჯადობის, არამედ – სისხლისსამართლებრივი ხელყოფის ობიექტის კუთხით.

„ბრალეული თანამონაწილეობის“ თეორია ე.წ. კორუფციის იდეას ეფუძნება და ამბობს, რომ წამქეზებელი ისჯება ამსრულებლის შეცდენისათვის, ვინაიდან იგი ბრალეულად აქცევს და სასჯელს დაამსახურებინებს მას; ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, ახდენს მის ფსიქიკურ დეგრადაციას. ეს მიდგომა საკმაოდ დიდი ხნისაა. ჯერ კიდევ პროფესორ შუტცეს მოჰყავდა მაგალითები Corpus Juris Civilis-დან, რაც ამ თვალსაზრისის რომაულ წარმოშობას ადასტურებს.[1] იმდროინდელი მიდგომის თანახმად, დანაშაულის ჩასადენად ადამიანის დაყოლიება მის სულიერ სიკვდილს იწვევდა. ამ მიდგომამ განსაკუთრებით იმძლავრა კანონიკურ სამართალში.[2] თეოლოგიური მორალის თანახმად, წამქეზებელი ხელყოფს დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს – პირის **„სულიერ ურღვევობას“**. შესაბამისად, დანაშაულზე დაყოლიებით ამსრულებლის პიროვნებას ადგება ზიანი.[3] თუმცა, აგრეთვე მიუთითებენ, რომ მართალია, დანაშაულის ჩასადენად დაყოლიება იწვევს ადამიანის **ხასიათის მოშლას,** მის **გახრწნას**, მაგრამ შესაძლებელია ამსრულებელს ხასიათი დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებამდე უკვე მოშლილი ჰქონდეს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ვისაუბროთ ე.წ. უვარგის ობიექტზე.[4] გარდა ამისა, მიუთითებენ იმაზეც, რომ გამხრწნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებაში, არამედ – სხვა ქმედებებშიც.[5]

ხშირად აღნიშნავენ, რომ დანაშაულის ჩასადენად დაყოლიების ობიექტია **დაყოლიებული პირის განწყობილება, იყოს კანონმორჩილი.** თუმცა, დანაშაულის ობიექტია არა თავად კანონისადმი ერთგულების განწყობილება, არამედ პიროვნებაში ამ ფუნქციის მოშლა საფრთხეს უქმნის მთელ საზოგადოებას და ეს წამქეზებლის გაკიცხვის საფუძველია. ამ მოსაზრებას პროფ. **ტრეხსელი** არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ შესაძლოა ამსრულებელს კანონმორჩილების გრძნობა

---

[1] **St.Trechsel.** Der Strafgrund der Teilnahme. Bern, 1967, S. 3.
[2] *Ibid.,* S. 3-5.
[3] *Ibid.,*S. 7-8.
[4] **ო. გამყრელიძე** სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბილისი, 1989, გვ. 10.
[5] **St.Trechsel** *Op. cit.,* S.8-10.

დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებამდეც ჰქონოდა მოშლილი.[6] პროფ. ტრეხსელი სულიერი დეზინტეგრაციის არგუმენტს იშველიებს და ამბობს, რომ დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებით ხდება პიროვნების **განცალკევება საყოველთაოდ მოწესრიგებული საზოგადოებისაგან.** ადამიანი საზოგადოების სტრუქტურიდან ამოვარდება და უპირისპირდება მას. ტრეხსელის აზრით, სწორედ ეს არის **„სოციალური დეზინტეგრაციის მდგომარეობა“.** ამ თვალსაზრისით, წარმოიშობა კითხვები, რომელთა არსებობასაც თავად ტრეხსელიც აღიარებს. კერძოდ, ხომ შეიძლება პიროვნება დანაშაულზე დაყოლიებამდე უკვე სოციალურად დეზინტეგრირებული იყოს და ხომ შეიძლება დანაშაულის ჩადენით გარკვეულ წრეებში მან სახელიც კი მოიხვეჭოს. ამით, ტრეხსელი პასუხობს, რომ ამ დროს დანაშაულზე დაყოლიებული პირი კონფლიქტშია ოფიციალურ საზოგადოებასთან და არა მის რომელიმე მცირე ჯგუფთან.[7]

პროფ. **ოთარ გამყრელიძე** მიუთითებს, რომ „ხასიათის დეგრადაცია,” „კანონის წინაშე ერთგულების განწყობის მოშლა” ან თუნდაც „სულიერი სიკვდილი” დანაშაულის ჩასადენად დაყოლიების გარეშეც არის შესაძლებელი, მაგრამ „სოციალური დეზინტეგრაცია” ამ შემთხვევაში გულისხმობს წამქეზებლის მიერ კონკრეტულ ვითარებაში კონფლიქტის წარმოქმნას ადამიანსა და საზოგადოებას შორის და ეს ჯეროვნად უნდა იყოს გაგებული.[8] პროფ. **გამყრელიძე** სადავოს ხდის, თუ რამდენად არის პიროვნების „სოციალური ინტეგრაცია“ დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთე. ვინაიდან, თუკი წამქეზებლობას დამოუკიდებელი ობიექტი გააჩნია, გამოდის, რომ წამქეზებლობა თანამონაწილეობის სახე კი არ ყოფილა, არამედ – დამოუკიდებელი დელიქტი. პროფ. **გამყრელიძე** ამ თვალსაზრისით პარალელს ავლებს დანაშაულის პროვოკაციასთან.[9] მსგავსი პოზიცია აქვს პროფ. **გელა აბესაძეს**.[10]

* * *

აღნიშნულის გაანალიზების შედეგად, დამებადა კითხვები, რომელზე პასუხის გაცემამ შესაძლოა საინტერესო დასკვნებამდეც მიგვიყვანოს. კერძოდ:

- შეიძლება თუ არა განვიხილოთ ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ღირებულება? და, შესაბამისად, არის თუ არა ადამიანის პიროვნული ან/და სოციალური რღვევა (დეზინტეგრაცია) საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი?
- შესაძლოა თუ არა განვიხილოთ ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა როგორც სისხლისსამართლებრივი ხელყოფის ობიექტი? და, თუ შესაძლოა – რა შემთხვევაში?

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიმარჯვე კრიმინოლოგიაში არსებული თეორიები, რომლებიც დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს იკვლევენ. ადამიანის **პიროვნული რღვევის (დეზინტეგრაციის)** საკითხს ეხმიანება დანაშაულის გამომწვევი მიზეზების **ფსიქოლოგიური თეორიები.** მათი ანალიზის საფუძველზე, ნათელი ხდება, რომ ადამიანის პიროვნულ ურღვევობას დიდი მნიშვნელობა აქვს და, შესაბამისად, ადამიანის ფსიქიკური დეგრადაცია მეტად საშიში მოვლენაა. ადამიანს მეტად მტკივნეული დარტყმა ადგება მისი **პიროვნული დეზინტეგრაციის,** ხასიათის რღვევის, ღირებულებათა სისტემის მოშლის შედეგად.[11]

---

[6] *Ibid.*,S. 11.
[7] *Ibid.*, S. 12-13.
[8] **ო. გამყრელიძე** *Op. cit.,* გვ. 12.
[9] *Ibid.*, გვ. 13-14.
[10] **გ. აბესაძე** დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია. თბილისი, 2010, გვ. 30-33; 69-72.
გ. აბესაძე დანაშაულის პროვოკაცია. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, გვ. 36.
[11] **მ.შალიკაშვილი.** კრიმინოლოგია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი.“ თბილისი, 2011, გვ. 39.

ყოველივე ეს კი ზიანს აყენებს არა მხოლოდ თავად პიროვნებას, არამედ მნიშვნელოვნად განაპირობებს მის დამნაშავედ ქცევასაც. აქ კი უკვე უნდა მოვიხმოთ დანაშაულის გამომწვევი მიზეზების **სოციოლოგიური თეორიები,** რომლებიც სოციალური დეზინტეგრაციის საკითხს ეხმიანება. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენას საზოგადოებრივი ურთიერთობების არასწორი მოწყობა, ადამიანისა და საზოგადოების არასწორი ურთიერთობა განაპირობებს;[12] აგრეთვე ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის გამოყოფა სამართლებრივად მოწესრიგებული საზოგადოებისგან და მასთან დაპირისპირება უდიდეს როლს თამაშობს კრიმინალური სუბკულტურის ჩამოყალიბებაში.[13] აღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ღირებულებას, როგორც ცალკე აღებული ადამიანისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის. ხოლო პიროვნული ან/და სოციალური რღვევის (დეზინტეგრაციის) შედეგად უდანაშაულო ადამიანი შესაძლოა გადაიქცეს დამნაშავედ და მას დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი; მოხდეს მისი ფსიქიკური დეგრადაცია; მას განუვითარდეს კრიმინალური ბუნება; დაერღვეს სამართლებრივი და დემოკრატიული საზოგადოების წევრისათვის დამახასიათებელი ღირებულებათა სისტემა; იგი გაეთიშოს და დაუპირისპირდეს სამართლებრივად მოწესრიგებულ საზოგადოებას; ყოველივე ეს კი ქმნის საზოგადოებრივ საშიშროებას.[14]

ამასთან ერთად, ვეთანხმები მოსაზრებას, რომ როგორც პიროვნული, ასევე სოციალური დეზინტეგრაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთდროულად, ისე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით. აგრეთვე ვიზიარებთ შეხედულებას, რომ შესაძლოა დანაშაულის ჩადენამდე ადამიანის პიროვნული ან/და სოციალური დეზინტეგრაცია გარკვეული სახითა და ხარისხით უკვე მომხდარი იყოს. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ადამიანის პიროვნულ ან/და სოციალურ რღვევას განაპირობებს უამრავი ფაქტორი. მაგალითად, დეზინტეგრირებულია ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებელი ადამიანიც, მაგრამ სულ სხვა შემთხვევაა, თუ მისი პიროვნული ან/და სოციალური რღვევა კრიმინალის გამო ხდება.

ახლა გადავიდეთ უშუალოდ დანაშაულის ობიექტის საკითხზე. ამისათვის, პირველ რიგში საჭირო დავადგინოთ, ქმნის თუ არა ადამიანის პიროვნული ან/და სოციალური დეზინტეგრაცია საზოგადოებრივი საშიშროების ისეთ ხარისხს, რომელიც სისხლის სამართლის ჩარევას მოითხოვს. ცოტა ხნით ადრე მე უკვე დავწერე, რომ ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა არის, დანაშაულის პროვოკაციის, როგორც დამოუკიდებელი დელიქტის, სისხლისსამართლებრივი ხელყოფის ობიექტი.[15] მაგრამ შეიძლება არსებობდეს ჩვენთვის საინტერესო სხვა შემთხვევებიც.

ადამიანის პიროვნული და სოციალური რღვევა შეიძლება მოჰყვეს დანაშაულზე (ან სავარაუდო დანაშაულზე) სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების დროს არამართლზომიერი მეთოდების გამოყენებას. კერძოდ: მუქარას, დაშინებას, ძალადობას, იძულებას, გამამართლებელ მტკიცებულებათა განადგურებას, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ან გადამეტებას, უდანაშაულო პირის განზრახ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას, განზრახ უკანონო დაკავებას ან დაპატიმრებას, მოწმეზე ზემოქმედებას, ცრუ ჩვენების მიცემას, ცრუ დასმენას და სხვა. ბუნებრივია, ჩამონათვალი მხოლოდ სანიმუშოა და პრაქტიკაში მსგავსი მეთოდების გამოყენებამ სხვადასხვა დროს, შესაძლოა, სხვადასხვა დანაშაულის

[12] *Ibid.*, გვ. 42.
[13] *Ibid.*, გვ. 52.
[14] საზოგადოებრივ საშიშროებასთან დაკავშირებით იხ: **თ.წერეთელი** სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი. თბილისი, 2007, გვ. 11-32.
[15] **პ.გურული** დანაშაულის პროვოკაციის ობიექტი. სიცხადე ძირეულ საკითხში. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, №7, თბილისი, 2014, გვ. 60-66.

შემადგენლობები მოგვცეს. აღნიშნული მეთოდების გამოყენება საშიშია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი გამოიყენება უდანაშაულო ადამიანის მიმართ, არამედ დამნაშავის მიმართაც. როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულის ჩადენით ადამიანი ეთიშება და უპირისპირდება სამართლებრივად მოწესრიგებულ საზოგადოებას. მაგრამ ერთია, როდესაც ასეთ დეზინტეგრაციას ცალმხრივი ხასიათი აქვს, ხოლო მეორე, როდასაც დეზინტეგრაცია ორმხრივად ხდება. ანუ, როდესაც თავად სახელმწიფო ჩადის არამართლზომიერ ქმედებას, და, შესაბამისად, აღარ კისრულობს პასუხისმგებლობას, მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობა სამართლებრივ ჩარჩოში. კანონიერება არის ის საძირკველი, რომელზეც დგას თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თავისივე მიღებული ნორმების დარღვევა, პიროვნებაში კიდევ უფრო აზიანებს კანონიერების შეგრძნებასა და პატივისცემას. იკარგება ნდობის ფაქტორი სახელმწიფოსა და ადამიანს შორის. ამის შედეგად ადამიანი სახელმწიფოს აღიქვამს არა როგორც **დამცველ,** არამედ როგორც **დამსჯელ,** და თანაც უსამართლოდ დამსჯელ, მექანიზმს. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს სამართლებრივი წყობილებისთვის ფუნდამენტის მორყევას.[16]

კიდევ უფრო დაზუსტებით, ვითარება გვესახება შემდეგნაირად: ერთი მხრივ, არსებობს საზოგადოება და, მეორე მხრივ, მისი წევრი – ადამიანი. მათ შორის მაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებშიც ადამიანი მონაწილეობს. ბუნებრივია, ადამიანიც და სახელმწიფოც გარკვეულ პასუხისმგებლობას კისრულობენ ამ ურთიერთობებზე. დანაშაულის ჩადენისას ადამიანი ერთგვარად მართლაც ეთიშება საზოგადოებას და ვეღარ არის პასუხისმგებელი იმ ურთიერთობების გამო, რომლებიც მანამდე მაკავშირებელი რგოლის როლს ასრულებდნენ მასსა და საზოგადოებას შორის. დანაშაულზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას, წესით, უნდა მოჰყვეს ამ რგოლის აღდგენა – დამნაშავის რესოციალიზაცია. მაგრამ როდესაც სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომა არის არამართლზომიერი, ადამიანის **პიროვნული და სოციალური დეზინტეგრაციის ხარისხი შესაძლოა გაიზარდოს კიდევაც.**

ბუნებრივია, როდესაც ვსაუბრობთ დანაშაულის პროვოკაციაზე, საქმე გვაქვს დანაშაულის ძირითად ობიექტთან. ხოლო როდესაც ვსაუბრობთ, მართლსაწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებაზე, ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, დანაშაულის ძირითადი ობიექტის გვერდით, გვევლინება **დამატებითი ობიექტის სახით.**

ადამიანის პიროვნული და სოციალური დეზინტეგრაციის ხარისხის გაზრდა შეიძლება მოჰყვეს არა მხოლოდ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, არამედ სისხლისსამართლებრივი პრინციპების უგულებელყოფასაც. კერძოდ, სამართლებრივ პრაქტიკაში ხშირად დგება **პასუხისმგებლობისა და სასჯელის თანაზომიერების პრინციპის** დარღვევის საშიშროება. ძირითადად, ეს განპირობებულია ზედმეტად მკაცრი სასჯელის დანიშვნით. ზედმეტი სიმკაცრე, შესაძლოა, გამოწვეული იყოს მოსამართლის უსწორო მოქმედებით. თუმცა, ხშირად, თავად კანონში გვხვდება ნორმები, რომლებიც სასამართლოს თანაზომიერების პრინციპის დაცვის საშუალებას არ აძლევს. მაგალითად, დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში სასჯელთა სრული შეკრების წესი, რომელიც წლების განმავლობაში მოქმედებდა; კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის წესი, რომლის გამოყენების აუცილებელ პირობად, დღემდე, საპროცესო შეთანხმებაა გათვალისწინებული; პირობითი მსჯავრი, რომელიც თითქმის ანალოგიურ რეგულაციას ექვემდებარება და სხვ. ძირითადად, ასეთი რეგულაციები ე.წ. „მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის“ ან/და „ნულოვანი

[16] **პ. გურული.** დანაშაულის პროვოკაცია და მისი კრიმინალიზაციის დილემა. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე,“ №6 თბილისი, 2013, გვ. 82.
მსგავს მოსაზრებას ავითარებს პროფ. ხეიფეცი: **И. Я.Хейфецъ.** Подстрекательство къ преступлению. Москва, 1914, стр. 127-128.

ტოლერანტობის“ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც უმთავრეს იდეად მეტისმეტი სიმკაცრე გასდევს.

სიმკაცრე დიდი ხნის განმავლობაში იყო სასჯელთან დაკავშირებით არსებული მიდგომების ფუძემდებლური იდეა. ამ იდეაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა **სასჯელის აბსოლუტური თეორიები,** რომელთა თანახმადაც, სასჯელის მთავარი მიზანია დამნაშავისთვის სამაგიეროს მიზღვა, მისთვის „ჭკუის სწავლება.“[17] ასეთი მიდგომა დიდი ხნის მანძილზე წამყვან პოზიციებს ინარჩუნებდა. თუმცა, სამართლის მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ წარმოიშვა ახალი მოსაზრებები, რომლებმაც აქცენტი სასჯელის პრაქტიკულ დანიშნულებაზე გააკეთა და, საბოლოოდ, **შეფარდებითი თეორიების** სახით ჩამოყალიბდა. ამ თეორიებმა წინა პლანზე ახალი დანაშაულის პრევენცია წამოწია. პრევენციისათვის აუცილებელ პირობებს კი დამნაშავის რესოციალიზაცია და მართლზომიერი ცხოვრების პირობებთან ადაპტაცია წარმოადგენს.[18] ამ თეორიებმა უკვე ცხადი გახადა, რომ სიმკაცრე არ შეიძლება იყოს გადამწყვეტი ფაქტორი, რადგან დამნაშავის რესოციალიზაციისათვის ზოგჯერ ლმობიერებაც საჭიროა. აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების შერწყმისა და დამუშავების საფუძველზე უკვე ჩამოყალიბდა სასჯელის **შემაერთებელი თეორიები,**[19] რომლებიც აქცენტს პასუხისმგებლობისა და სასჯელის პროპორციულობაზე აკეთებენ და ამბობენ, რომ სასჯელის მიზნების განსახორციელებლად საჭიროა არა მკაცრი ან ლმობიერი, არამედ მაქსიმალურად ადეკვატური მიდგომა.[20]

ბუნებრივია, ადეკვატურობის იდეა ეხმიანება **პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.** თანაზომიერების დაცვა შეუძლებელია, თუ არ მოხდა საქმის და პიროვნების, ინდივიდუალური მახასიათებლების, მათ შორის ბრალის ხარისხის,[21] გათვალისწინება.[22] სამწუხაროდ, ხშირად, პროკურორი ან/და მოსამართლე ყურადღების მიღმა ტოვებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა არის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ღირებულება;
- ადამიანის პიროვნული და სოციალური რღვევა (დეზინტეგრაცია) არის საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი მოვლენა.
- ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა ზოგიერთ შემთხვევაში არის სისხლისსამართლებრივი ხელყოფის დამოუკიდებელი, ზოგიერთ შემთხვევაში კი – დამატებითი ობიექტი.
- ადამიანის პიროვნული და სოციალური რღვევის (დეზინტეგრაციის) ხარისხი შესაძლოა გაიზარდოს გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს როგორც კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო მეთოდების გამოყენების, ასევე სისხლისსამართლებრივი პრინციპების უგულებელყოფის შედეგად.

---

[17] **ი.დვალიძე.** სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. სასჯელი და დანაშაულის სისხლისსამართლებრივი შედეგები. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2013 გვ. 16-18.
მ.ტურავა. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. წიგნი პირველი. დანაშაულის მოძღვრება. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011. გვ. 42-43.
[18] **ი. დვალიძე.** *Op. cit.,* გვ. 19-22. **მ. ტურავა.** *Op. cit.,* გვ. 44-45.
[19] **ი. დვალიძე.** *Op. cit.,* გვ. 22-30. **მ. ტურავა.** *Op. cit.,* გვ. 45-46.
[20] **ი. დვალიძე.** *Op. cit.,* გვ. 23-25.
[21] **M. Ugrekhelidze.** Die Bedeutung des Schuldgehalts der Tat im Strafrecht. Zweites Deutsch-Sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminologie (B 2). Nomos Verlags-Gesellschaft, Baden-Baden, 1984;
[22] **ი. დვალიძე.** *Op. cit.,* გვ. 73. **მ. ტურავა.** *Op. cit.,*გვ. 46.

Papuna Guruli

Personal and Social Integrity as an Object of Infringement in Criminal Law

Summary

The issue of personal and social integration became topical among scholars thanks to the concept of „culpable complicity“. According to this theory the instigator psychologically degrades and morally corrupts the actor, turning him into a criminal. This phenomenon is regarded as „personal disintegration“. Eventually the person finds himself separated from the legally regulated society. This is what scholars refer as „social disintegration“.

Indeed, a person committing a crime at some extent becomes separated from the society and feels himself no longer responsible for the relations that earlier performed as a connecting link between him and the society. The reaction of the state to the crime should re-establish that link and reintegrate the person into the society. But when the reaction is inadequately strict or unlawful, the degree of personal and social disintegration may increase. This can happen as a result of the use of specific unlawful methods (entrapment, tampering with evidence, etc.) as well as violation of the fundamental principles of criminal law (such as the principle of proportionality or the principle of individualization of criminal liability and punishment).

ლიტერატურა

1. **აბესაძე გ.** დანაშაულის პროვოკაცია. დისერტაცია. თბილისი, 2010;
2. **აბესაძე გ.** დანაშაულის პროვოკაცია. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013;
3. **გამყრელიძე ო.** სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბილისი, 1989;
4. **გურული პ.** დანაშაულის პროვოკაცია და მისი კრიმინალიზაციის დილემა. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე,“ №6 თბილისი, 2013;
5. **გურული პ.** დანაშაულის პროვოკაციის ობიექტი. სიცხადე ძირეულ საკითხში. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე,“ №7 თბილისი, 2014;
6. **დვალიძე ი.** სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. სასჯელი და დანაშაულის სისხლისსამართლებრივი შედეგები. „მერიდიანი“, თბილისი, 2013;
7. **ტურავა მ.** სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. წიგნი პირველი. დანაშაულის მოძღვრება. „მერიდიანი“, თბილისი, 2011;
8. **შალიკაშვილი მ.** კრიმინოლოგია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. „მერიდიანი.“ თბილისი, 2011;
9. **წერეთელი თ.** სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი, თბილისი, 2007;
10. **Trechsel St.** Der Strafgrund der Teilnahme. Bern, 1967;
11. **Ugrekhelidze M.** Die Bedeutung des Schuldgehalts der Tat im Strafrecht. Zweites Deutsch-Sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminologie (B 2). Nomos Verlags-Gesellschaft, Baden-Baden, 1984;
12. **Хейфецъ И. Я.** Подстрекательство къ преступлению. Москва, 1914.

დემოგრაფია

ვაჟა ლორთქიფანიძე

კავკასიის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში

ვაჟა ლორთქიფანიძე

კავკასიის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში

ტერმინი „მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოიღეს ხმარებაში გერმანულ სტატისტიკაში. ამ ტერმინით ასხვავებდნენ მოსახლეობის მდგომარეობასა და მოსახლეობის მოძრაობას. ეს უკანასკნელი იყოფოდა ბუნებრივ მოძრაობად (დაბადება, გარდაცვალება) და მექანიკურ მოძრაობად. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში „მოსახ-ლეობის მექანიკური მოძრაობის ნაცვლად, როგორც წესი, გამოიყენება ტერმინი „მოსახლეობის მიგრაცია“. ტერმინის – „მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა“ – შინაარსში გულისხმობენ აგრეთვე ქორწინებებსა და განქორწინებებს, თუმცა ისინი უშუალოდ არ იწვევენ მოსახლეობის რაოდენობის პირდაპირ ცვლილებას, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ უმეტესად შობადობაზე. ამჟამად ტერმინი ძირითადად გამოიყენება შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლების მიმართ.

საინტერესო და დინამიურია ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციები ისეთ რთულ და მრავალ-ფეროვან რეგიონში, როგორიც არის კავკასია. ცალკ-ცალკე განხილვას საჭიროებს როგორც სამხ-რეთი, ასევე ჩრდილოეთ კავკასია.

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცე ყალიბდება რთული და მრავალმხრივი გარეგანი და შინაგანი ფაქტორების გავლენით. აქ ერთმანეთს კვეთს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ინტერესები, რაც უპირატესად სტრატეგიულად ამ მეტად მნიშვნელოვან რეგიონში პოზიციების მოპოვებითა და შენარჩუნებით გამოიხატება. შინაგანი ანუ ადგილობრივი ფაქტორები გულისხმობს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, თითოეული ქვეყნის მიერ თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, სახელმწიფოებრიობის უზრუნველყოფას.

ბუნებრივია, ასეთი გლობალური ცვლილებები უმტკივნეულოდ არ ხდება და ამან, სამწუხაროდ, ხალხის ცხოვრების პირობების მნიშვნელოვნად გაუარესებაშიც იჩინა თავი. თავის მხრივ, ამ პროცესებმა მნიშვნელოვნად გააუარესა სამხრეთ კავკასიაში დემოგრაფიული ვითარება. გაიზარდა მოკვდაობა, შემცირდა შობადობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება, განსაკუთრებით, საქართველოში, სადაც შობადობის დონე სომხეთსა და განსაკუთრებით აზერბაიჯანთან შედარებით, ადრეც დაბალი იყო. მოკლე ხანში მიგრაციულმა პროცესებმა დიდ მასშტაბებს მიაღწია.

აბსოლუტურ მონაცემთა შედარება საშუალებას გვაძლევს გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობის შესახებ. მაგალითად, დაბადებულთა რიცხვი კავკა-სიაში 1960-2015 წლებში მცირდება და 2000 წელს, ე.ი. XX საუკუნის დასაწყისში, 1960 წელთან შედარებით, 158 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა. განსაკუთრებით შემცირდა დაბადებულთა რიცხვი სამხრეთ კავკასიაში – 144 ათასით (იხილეთ ცხრილი №1).

ცხრილი №1 მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა კავკასიაში 1960-2005 წლებში

	დაბადებულთა რიცხვი (ათასი)	გარდაცვლილთა რიცხვი (ათასი)	ბუნებრივი მატება

წელი	**ჩრდილოეთ კავკასია**		
1960	112	23	98
1980	106	38	68
2000	98	55	43
2005	103	53	50
	სამხრეთ კავკასია		
1960	344	66	278
1980	315	104	211
2000	200	118	82
2005	226	121	105
	კავკასია		
1960	456	89	367
1980	421	142	279
2000	298	173	125
2005	329	174	155

შენიშვნა: ჩეჩნეთის შესახებ 2000 წლის ნაცვლად მოტანილია 2003 წლის მონაცემი, რადგან ჩეჩნეთში შეიარაღებული კონფლიქტის გამო 1995-2002 წლების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები არ მოიპოვება.

2000 წლის შემდეგ კავკასიაში დაბადებულთა რიცხვი რამდენადმე გაიზარდა და მან 2005 წელს 329 ათასი ბავშვი შეადგინა, თუმცა, 1960 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 127 ათასი ბავშვით ნაკლებია. რაც შეეხება გარდაცვლილთა რაოდენობას, ამავე პერიოდში იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და მაქსიმალურ მნიშვნელობას 2005 წელს მიაღწია – 174 ათასი კაცი. შობადობის შემცირებისა და გარდაცვლილთა რიცხვის ზრდის შედეგად მოსახლეობის ბუნებრივი მატება მნიშვნელოვნად შემცირდა და 200 წელს მან 125 ათასი კაცი შეადგინა, ნაცვლად 367 ათასი კაცისა 1960 წელს, ანუ 242 ათასით ნაკლები. 2005 წელს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 30 ათასი კაცით მეტი იყო 2000 წელთან შედარებით.

ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტები. მათი სიდიდე დამოკიდებულია არა მარტო დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობაზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე. რაც უფრო დაბერებულია ქვეყნის მოსახლეობა, მით მეტია არამშობადი კონტინგენტის წილი მთელ მოსახლეობაში და, მაშასადამე, ზოგადი კოეფიციენტი დაბალია. პირუკუ მოვლენას აქვს ადგილი მაღალი შობადობის ქვეყნებში. ამრიგად, შობადობის კოეფიციენტის სიდიდე შეიძლება ძლიერ იცვლებოდეს და შობადობის ინტენსივობის ნამდვილი ცვლილება დაფარული აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევებში, შობადობის სიღრმისეული ანალიზის

მიზნით, იყენებენ შობადობის დონის უფრო ზუსტ და უკეთეს კოეფიციენტებს. ასევე დიდ გავლენას ახდენს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკაზე მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დაბერება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზოგადი კოეფიციენტები პოპულარობით სარგებლობენ და ისინი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკაზე კავკასიაში (იხილეთ ცხრილი №2).

შობადობის დონე კავკასიაში უკანასკნელი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ მცირდებოდა, თუმცა იგი მაინც მაღალი რჩებოდა. 1960 წელს 1000 კაცზე 34,4 ბავშვი დაიბადა, ხოლო 1980 წელს 22,0 ბავშვი, მაგრამ ეს უკანასკნელი მაჩვენებელი შესამჩნევად მაღალი იყო საბჭოთა კავშირის მაჩვენებელთან შედარებით (18,3‰). გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შობადობის დონემ, ზემოთ აღნიშნული ცნობილი მიზეზების გამო, ერთბაშად დაიწყო შემცირება და მან 2000 წელს კავკასიაში 13,5‰ შეადგინა, თუმცა ამ შემთხვევაშიც იგი მაღალი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში შემავალ დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით. უკანასკნელ წლებში შობადობის დონე ისევ გაიზარდა და მან 2005 წელს 14,6‰ შეადგინა. 1960-2000 წლებში შობადობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია – 1960-1980 წლებში სამხრეთ კავკასიაში შობადობის დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ პერიოდში კი პირუკუ მოვლენას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, 1960 წელს კავკასიაში შობადობის დონე ყველაზე მაღალი იყო აზერბაიჯანსა (42,6‰) და სომხეთში (40,1‰). სწორედ ეს ორი რესპუბლიკა განსაზღვრავდა სამხრეთ კავკასიაში შობადობის მაღალ დონეს (35,0%), რადგან საქართველოში ამ წელს 1000 კაცზე მხოლოდ 24,7 ბავშვი დაიბადა და ეს მაჩვენებელი, ადიღეს გარდა, ყველაზე დაბალი იყო მთელ კავკასიაში. უკანასკნელ წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი კავკასიის უმრავლეს რეგიონში ამაღლდა და შობადობის ყველაზე მაღალი დონე, სისხლისმღვრელი კონფლიქტის მიუხედავად, ჩეჩნეთში დაფიქსირდა – 24,9 (2005 წ.).

ცხრილი №2 შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა კავკასიაში

წელი	1000 კაცზე			წელი	1000 კაცზე		
	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება		შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება
					ჩრდილოეთ კავკასია		
1960	21,7	7,4	14,3	1960	32,7	6,7	26,0
1980	16,2	11,8	4,4	1980	21,8	7,7	14,1
2000	9,1	15,0	-5,9	2000	15,4	8,6	6,8
2005	10,3	15,2	-4,9	2005	15,4	7,9	7,5
	ყარაჩაი-ჩერქეზეთი				საქართველო		
1960	29,6	5,7	23,9	1960	24,7	6,5	18,2

1980	19,0	7,5	11,5	1980	17,7	8,6	9,1
2000	10,6	11,3	-0,7	2000	11,0	10,7	0,3
2005	12,0	11,9	0,1	2005	10,7	9,9	0,8
	ყაბარდო-ბალყარეთი				**აზერბაიჯანი**		
1960	30,8	5,9	24,9	1960	42,6	6,7	35,9
1980	20,6	8,0	12,6	1980	25,2	7,0	18,2
2000	10,4	10,0	0,4	2000	14,8	5,9	8,9
2005	10,0	10,1	-0,1	2005	17,2	6,3	10,9
	ჩრდილოეთ-ოსეთი				**სომხეთი**		
1960	21,8	6,2	15,6	1960	40,1	6,8	33,3
1980	16,9	9,7	7,2	1980	22,7	5,5	17,2
2000	10,3	12,3	-2,0	2000	10,6	7,5	3,1
2005	11,2	12,3	-1,1	2005	11,7	8,5	3,2
	ინგუშეთი[1]				**სამხრეთ კავკასია**		
1960	32,3	6,0	26,3	1960	35,0	6,7	28,3
1980	20,9	6,6	14,3	1980	22,1	7,3	14,8
2000	21,5	5,4	16,1	2000	12,7	7,5	5,2
2005	14,0	3,8	10,2	2005	14,2	7,6	6,6
	ჩეჩნეთი[2]				**კავკასია**		
1960	32,3	6,0	26,3	1960	34,4	6,7	27,7
1980	20,9	6,6	14,3	1980	22,0	7,4	14,6
2000	25,1	6,5	18,6	2000	13,5	7,8	5,7
2005	24,9	5,1	19,8	2005	14,6	7,7	6,9
	დაღესტანი						
1960	40,0	7,2	32,8				
1980	26,6	6,7	19,9				

2000	15,5	6,5	9,0				
2005	15,9	5,9	9,6				

1. 1960 და 1980 წლები – ჩეჩნეთის რესპუბლიკის მონცემების ჩათვლით.
2. 1960 და 1980 წლები – ინგუშეთის რესპუბლიკის მონცემების ჩათვლით.
3. 2003 წლის მონაცემები (ჩეჩნეთში შეიარაღებული კონფლიქტის გამო 1995-2002 წლების მონაცემები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ არ მოიპოვება.

მოკვდაობის დონე 1960-2005 წლებში მთლიანად კავკასიაში უმნიშვნელოდ გაიზარდა, თუმცა ცალკეულ რესპუბლიკებში ამ მხრივ მნიშვნელოვან ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიის ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთში მოკვდაობის დონე თითქმის ყველგან 2-ჯერ გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებში ტრადიციულად მაღალია შობადობა, ხოლო მოკვდაობა – დაბალი, ასეთ მოვლენას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ რესპუბლიკების მოსახლეობაში რუსების წილი, რომელთა შორის დიდი ხანია განუხრელად მცირდებოდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დაბერების ხარჯზე იზრდებოდა მოკვდაობა. ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებითი განსხვავება შობადობის, მოკვდაობისა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით განპირობებულია რუსების მაღალი წილით (1989 და 2002 წლებში) ადიღეს (68,0% და 64,4%), ყარაჩაი-ჩერქეზეთის (42,4% და 33,7%), ყაბარდო-ბალყარეთისა (31,9% და 25,1%) და ჩრდილოეთ ოსეთის (29,9% და 23,2%) რესპუბლიკების მთელ მოსახლეობაში, თუმცა ჩრდილოეთ ოსეთში დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესება ამ რესპუბლიკაში მოსახლეობის დიდი ნაწილის ქრისტიანული რელიგიის აღმსარებლობითაა გამოწვეული.

რუსეთში კი, მართლაც, მკვიდრი ერის – რუსების დემოგრაფიული განვითარება დიდი საშიშროების წინაშე დგას. პროფესიონალი დემოგრაფების აზრით, მსოფლიოში მოსახლეობის სტაბილიზაციის პროცესი მოხდება რუსი ეთნოსის გარეშე. თუ ასე გაგრძელდა, რუსეთის მოსახლეობა უაღრესად შემცირდება რუსი მოსახლეობის ხარჯზე და შეიძლება ყოველივე ამან მიგვიყვანოს გეოგრაფიული რუკიდან რუსი ერის გაქრობამდე.[1] ცნობილი რუსი დემოგრაფი ვ. ბორისოვი კი აღნიშნავს: „შემდეგში შობადობა რომც აღარ შემცირდეს, რაც საეჭვოა სერიოზულად რომ ვივარაუდოთ, ქვეყანაში ამჟამად არსებული დემოგრაფიული განათლების პირობებში და რუსი ერის გადაშენებისაგან გადარჩენის საზოგადოებრივი მოძრაობის არ არსებობის პირობებში, დეპოპულაცია გაგრძელდება განუსაზღვრელად დიდხანს, შეიძლება რუსეთის პოლიტიკური რუკიდან სრულ გაქრობამდეც კი. მაგრამ ქვეყნის დაღუპვა შეიძლება ადრეც მოხდეს, როცა მოსახლეობის რაოდენობა იმდენად შემცირდება, რომ იგი დასუსტდება და ვინმე დიდი მეზობელი მას თავისთან მიიერთებს“.[2]

ამ ასპექტში რუსეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ვითარება რეგიონებში. რუსეთის ფედერაციაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 2005 წელს 10.4-ს უდრიდა, მოკვდაობის – 16.0-ს, ხოლო ბუნებრივი მატებისა – მინუს 5.6-ს. თუ ამ მაჩვენებლებს კავკასიის (იხილეთ ცხრილი №2) რესპუბლიკებისა და რუსეთის ფედერაციაში შემავალ სხვა ეროვნული

[1] **Хорев Б**. Демографические итоги 2001 года. Население и кризисы. Выпуск восьмой. Москва, 2002, с. 46.
[2] **Борисов В**. Демография. Москва. 1999, с. 191.

ავტონომიების მაჩვენებლებს შევადარებთ, დიდ განსხვავებას დავინახავთ. განსაკუთრებით კატასტროფული ვითარებაა ამ მხრივ რუსებით დასახლებულ მიწებზე. კერძოდ, ფსკოვის ოლქი მოკვდაობის მხრივ რეკორდსმენია – 2004 წელს ყოველ ათას კაცზე 24.2 კაცი გარდაიცვალა, შემდეგ მოდიან ასევე რუსებით დასახლებული ოლქები – ტვერი (23.2 ‰), ნოვგოროდი (22.4 ‰), ტულა (21.7 ‰), ივანოვო (21.6 ‰), აგრეთვე კოსტრომა, სმოლენსკი, ლენინგრადი, ვლადიმირი, რიაზანი, იაროსლავი (20-21 ‰). მოკვდაობის დონე მაღალია რუსეთის მსხვილ ქალაქებშიც. დაბალი შობადობისა და მაღალი მოკვდაობის დონის გამო დიდია მოსახლეობის ბუნებრივი კლება. თუ 2004 წელს რუსეთის ფედერაციაში ყოველ 1000 კაცზე 5.6 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა, ზემოთ აღნიშნულ ოლქებში ეს მაჩვენებელი 10.6-15.1 პრომილეს ფარგლებში მერყეობდა. ამრიგად, სურათი მეტად უიმედოა. როგორც რუსი მეცნიერები აღნიშნავენ, ამოწყდომა ემუქრება არა მარტო მთელ ოლქებს, არამედ ქვეყნის მსხვილ ქალაქებსაც. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ რუსეთის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ძლიერი დაბერება დეპოპულაციის თანმხლებია და ურთიერთკავშირშია მასთან. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით ნაყოფიერების ასაკში, სქესთა თანაფარდობის ძლიერი დარღვევის დროს. ჯერ კიდევ 1959 წელს ნოვგოროდის, ფსკოვის, ივანოვოს, ვლადიმირისა და რუსეთის სხვა ცენტრალურ ოლქებში მამაკაცების წილი მთელ მოსახლეობაში 42-43%-ს არ აღემატებოდა. ეს მაჩვენებელი არც 2002 წელს შეცვლილა დიდად და აღნიშნულ ოლქებში მამაკაცების წილი 44-45%-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც მნიშვნელოვნად დაბალია კავკასიის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამის შედეგად რუსეთის ზოგიერთ რიონში მამაკაცები ჭარბობდნენ, ხოლო მეორე მხრივ, იზრდებოდა იმ რაიონების რიცხვი, სადაც ჭარბობდა ქალების რაოდენობა. ორივე შემთხვევაში სქესთა დისპროპორცია უარყოფითად მოქმედებდა დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე – ფერხდებოდა ახალი ოჯახების შექმნა, იზრდებოდა განქორწინებათა რიცხვი და სხვ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რესპუბლიკაში დაბალი შობადობის, მაღალი მოკვდაობისა და მოსახლეობის ბუნებრივი კლების მიზეზია ამ რესპუბლიკების მოსახლეობაში რუსების მაღალი წილი, განსაკუთრებით ადიღეში. ეს ნათლად გვიჩვენა რუსეთის მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებმაც. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მკვიდრი მოსახლეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ 1000 ქალს გაცილებით მეტი ბავშვი ჰყავთ, ვიდრე ამავე რესპუბლიკებში მცხოვრებ რუს ქალებს (იხ. ცხრილი №3). კერძოდ, ადიღეში ყოველ 1000 ქალს 1649 ბავშვი ჰყავს, საკუთრივ ადიღეელ ქალებს 1808 ბავშვი, ხოლო რუს ქალებს – 1560 ბავშვი. ინგუშეთში შესაბამისი მაჩვენებლები 2354, 2381 და 2077 ბავშვს უდრის. აღსანიშნავია ისიც, რომ ადიღესა და იმ რესპუბლიკებში, სადაც რუსები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ, მკვიდრი ეროვნების ქალების შობადობის დონე შედარებით დაბალია იმ რესპუბლიკების მკვიდრი ეროვნების ქალებთან შედარებით, სადაც რუსების წილი მთელ მოსახლეობაში დაბალია. მაგალითად, ადიღეში 15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ ათას ადიღეელ ქალს 1808 ბავშვი ჰყავს, მაშინ, როდესაც ინგუშეთში ინგუში ქალების შესაბამისი მაჩვენებელი 2381 ბავშვს უდრის. ასეთი ვითარება განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ რუსებში დაბალი შობადობის გამო ადიღეს დიდი ხანია დაბალი შობადობის პირობებში უხდება ცხოვრება და მრავალშვილიანი ოჯახების როლისა და მნიშვნელობის გადაფასება აქ უფრო მეტად შეიმჩნევა, ვიდრე ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში. ამ რესპუბლიკების მთელ მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესებისა და, რაც მთავარია, მაჰმადიანური რელიგიის გამო, რომელთა გავლენით მრავალშვილიანობა ქალთა მენტალიტეტში მყარადაა გამჯდარი, მრავალშვილიანობა ადამიანთა ცნობიერებაში ერთ-ერთ მთავარ ფასეულობად რჩება.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა 2003 წელს საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხებისაგან განსხვავებით, სრულიად საპირისპირო დამოკიდებულება იგრძნობა მრავალშვილიანობისადმი. თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში მრავალშვილიანობა თანდათან კარგავს პრიორიტეტულობას.

ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიის იმ რესპუბლიკებში, სადაც რუსები კომუნისტური მმართველობიდან მოყოლებული დღემდე დიდი რაოდენობით ცხოვრობენ და ამდენად ეროვნებათშორისი ქორწინებებიც ამ რესპუბლიკებში შედარებით მაღალია, თანდათან შესუსტდა ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფება მრავალშვილიანობისადმი. ამავე დროს, მკვიდრი ეროვნების ქალების შობადობის დონე, მიუხედავად შემცირებისა, მაინც მაღალი რჩება. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების მაღალი შობადობის დონის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა, განსაკუთრებით, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა არის ბავშვების ის რაოდენობა, რომელიც ადამიანს ჰყავს გარკვეული მომენტისათვის. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, მაგალითად, 15 წლისა და უფროსი ასაკის ყოველ 1000 ადიღეელ ქალს ჰყავდა 1808 ბავშვი, ხოლო ინგუშ ქალს – 2381 ბავშვი. ეს თავისთავად იმას მოწმობს, რომ შობადობის დონე ინგუშეთში უფრო მაღალია, ვიდრე ადიღეელებში, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხვის დროს ქალების დიდი ნაწილი ფერტილურ ასაკში (15-49 წლები) იმყოფებოდა და ასევე ქალების დიდი ნაწილი კიდევ აპირებს ბავშვების გაჩენას, ანუ ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება ბავშვების ფაქტობრივ რაოდენობაზე.

ამასთან ერთად, იმ რეალური თაობის (ერთდროულად დაბადებული ადამიანების ერთობლიობა ან თანატოლების ერთობლიობა) ფაქტობრივი შობადობის მაჩვენებელი, რომელმაც დაამთავრა ფერტილური ასაკი, ანუ დაასრულა ბავშვების შობა, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის შობადობის დონეზე (იხ. ცხრილი №3). კერძოდ, 55-50 წლის ყოველი 1000 ქალის მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა 2002 წელს 2562 ბავშვს უდრიდა, ხოლო 70 წლისა და უფროსი ასაკის ქალებისა – 3124 ბავშვს. ანალოგიური მაჩვენებელი ინგუში ქალებისათვის შესაბამისად 4911 და 5123 ბავშვს შეადგენდა. დაახლოებით მსგავსი მონაცემებით ხასიათდება ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი ეროვნების ქალების ფაქტობრივი შობადობის მაჩვენებელი აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფებისათვის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იმ რესპუბლიკებში, სადაც რუსები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ, ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია, ვიდრე იმ რესპუბლიკებში, სადაც რუსების რაოდენობა მთელ მოსახლეობაში დაბალი წილითაა წარმოდგენილი. საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინა პერიოდთან შედარებით, კავკასიელ ხალხთა შობადობის დონე მეტ-ნაკლებად შემცირდა, მაგრამ მთლიანობაში იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ გამრავლებას.

ცხრილი №3. 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალთა განაწილება ეროვნების, ასაკისა და დაბადებულ ბავშვთა რიცხვის მიხედვით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები	დაბადებულ ბავშვთა საშუალო რიცხვი (1000 ქალზე)		
		მათ შორის	
		55-59 წლის	70 წლისა და

	სულ	**ასაკის**	**უფროსი ასაკის**
ადიღე – სულ	1649	2094	2343
მათ შორის: ადიღეელი	1808	2562	3124
რუსი	1560	1931	2126
ყარაჩაი-ჩერქეზეთი – სულ	1793	2374	2864
მათ შორის: ყარაჩაელი	1902	2969	3920
ჩერქეზი	1867	2741	3507
რუსი	1629	1961	2175
ყაბარდო-ბალყარეთი – სულ	1712	2396	2796
მათ შორის: ყაბარდოელი	1807	2741	3440
ბალყარელი	1689	2755	3888
რუსი	1501	1896	2057
ჩრდილოეთ ოსეთი – სულ	1673	2231	2525
მათ შორის: ოსი	1683	2333	2760
რუსი	1556	1873	2034
ინგუშეთი – სულ	2354	4795	4955
მათ შორის: ინგუში	2381	4911	5123
რუსი	2069	3610	3860
დაღესტანი – სულ	2069	3610	3860
მათ შორის: ხუნძი	2103	3912	3833
დარგუელი	2184	4032	4089
ყუმუხი	1983	3449	4026
ლეზგი	2108	3842	4647
რუსი	1589	1988	2148

შობადობის დასახასიათებლად ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენ ბავშვს აჩენს საშუალოდ ქალი მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში (14-49 წლის ასაკში) და წარმოადგენს შობადობის დონის

განმსაზღვრელ საკმაოდ ზუსტ მაჩვენებელს. ჯამობრივი კოეფიციენტის მთავარი ღირსებაა ის, რომ იგი არ არის დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისა და ქალთა რეპროდუქციული კონტინგენტის თავისებურებებზე. ამავე დროს, ეს კოეფიციენტი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოსახლეობის გამრავლების უზრუნველყოფის დონე.

მოსახლეობის თანაბარი გამრავლება ყველაზე დაბალი მოკვდაობის პირობებში მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2.1-ის ტოლია, ე.ი. როდესაც საშუალოდ ერთი ქალი ქორწინებითი მდგომარეობისაგან (ქორწინებაში არ მყოფები და ქორწინებაში მყოფები) დამოუკიდებლად 2.1 ბავშვს აჩენს. კავკასიაში მოკვდაობა არ არის ყველაზე დაბალი და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის კრიტიკული მნიშვნელობა 2.2-ის ტოლია. ცხადია, თუ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფაქტიურ მნიშვნელობას მის კრიტიკულ მნიშვნელობაზე გავყოფთ, გავიგებთ, თუ რამდენი პროცენტით არის უზრუნველყოფილი მოსახლეობის გამრავლება (თაობათა განახლება).

XX საუკუნის ბოლო წლებში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კავკასიაში, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიაში, საგრძნობლად შემცირდა. კერძოდ, 1958-1959 წლებში საქართველოში ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში 2,6 ბავშვს აჩენდა, აზერბაიჯანში – 5.1 ბავშვს, ხოლო სომხეთში – 4.5-ს. 1974 წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისად 2.6, 4.0 და 2.8 ბავშვს უდრიდა. 1990 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა (საქართველოს გარდა) და ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკაში უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ გამრავლებას, განსაკუთრებით დაღესტანსა (3.2 ბავშვი) და ჩეჩნეთ-ინგუშეთში (3.0 ბავშვი). 1990 წლიდან შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ჯერ საქართველოში, შემდეგ კი ყველგან, გარდა ჩეჩნეთისა და აზერბაიჯანისა, თითქმის განახევრდა. ამის შედეგად მოსახლეობის გამრავლება ანუ თაობათა განახლება ყაბარდო-ბალყარეთში უზრუნველყოფილია 50.0%-ით, ადიღეში – 59.1%-ით, ჩრდილოეთ ოსეთში – 69.2%-ით, საქართველოში – 59.1%-ით, სომხეთში – 63.6%-ით (იხილეთ ცხრილი №4).

ცხრილი №4. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1990 და 2005 წლებში და მოსახლეობის გამრავლების (თაობათა განახლების) უზრუნველყოფის დონე 2005 წელს

რესპუბლიკები	**ჯამობრივი კოეფიციენტი**		**თაობათა განახლების) უზრუნველყოფის დონე 2005 წელს**
	1990 წელი	**2005 წელი**	
ადიღე	...	1.3	59.1
ყარაჩაი-ჩერქეზეთი	...	1.5	68.2
ყაბარდო-ბალყარეთი	2.5	1.1	50.0
ჩრდილოეთ ოსეთი	2.3	1.5	68.2
ინგუშეთი	3.0	1.6	72.7
ჩეჩნეთი	3.0	2.9	131.8

დაღესტანი	3.2	1.7	77.3
საქართველო	2.2	1.3	59.1
აზერბაიჯანი	2.8	2.3	104.5
სომხეთი	2.6[1]	1.4	63.6

[1] – 1989 წლის მონაცემები

ეს იმას ნიშნავს, რომ შობადობისა და მოკვდაობის თანამედროვე დონესთან მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესაბამისობის დროს ყოველი მომდევნო თაობა რიცხობრივად თითქმის ორჯერ ნაკლები იქნება წინა თაობაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებლები ეროვნული ნიშნის მიხედვით არ მუშავდება, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრ მოსახლეობაში, ეჭვსგარეშეა, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შედარებით მაღალია. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში შობადობის დონის სხვადასხვა მაჩვენებლები დაბალია ამ რესპუბლიკებში მცხოვრები მკვიდრი ეროვნებების შობადობის დონის მაჩვენებლებთან შედარებით. როგორც ითქვა, ეს გარემოება გამოწვეულია ამ რესპუბლიკების მთელ მოსახლეობაში რუსების მაღალი წილით, რომელთა დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლები მეტად არასახარბიელოა. ყოველივე ეს ნათლად ჩანს ჩეჩნეთის მაგალითზე. კერძოდ, ჩეჩნეთში 1990-2005 წლებში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი თითქმის არ შეცვლილა, რუსი მოსახლეობა კი 1989-2002 წლებში 252 ათასით შემცირდა და ჩეჩნეთის მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 3.7%-ს შეადგენდა. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, კავკასიაში თაობათა განახლების უზრუნველყოფის მხრივ, ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ქართველებში, რადგან საქართველოში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ იმ ერების წარმომადგენლები, რომელთა შორის მაღალია შობადობის დონე და ამდენად, საქართველოში ისედაც მცირე შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ქართველებში კიდევ უფრო დაბალია.

ანალოგიურ სურათს იძლევა მოსახლეობის კიდევ უფრო ზუსტი მაჩვენებელი – ნეტო კოეფიციენტი. საქმე ისაა, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი გვიჩვენებს დაბადებული გოგონებისა და ვაჟების საშუალო რიცხვს ერთ ქალზე გაანგარიშებით ნაყოფიერების ასაკში. მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რამდენ გოგონას ბადებს საშუალოდ ერთი ქალი, რადგან სწორედ გოგონები უზრუნველყოფენ დედათა თაობის შეცვლას. მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ყველა დაბადებული გოგონა როდი აღწევს დედის ასაკს. გოგონათა ნაწილი ერთ წლამდე ასაკში იღუპება, ხოლო ნაწილი ვერ აღწევს ნაყოფიერების ასაკს. ე.ი. მხედველობაში უნდა მივიღოთ გოგონათა სიკვდილიანობის შემთხვევები. ამრიგად, უნდა გავიანგარიშოთ არა მარტო ის, თუ რამდენ გოგონას ბადებს ერთი ქალი ნაყოფიერების ასაკში, არამედ ისიც, თუ რამდენი გოგონა მიაღწევს დედის იმ ასაკს, როდესაც თვითონ დაიბადა. ეს კოეფიციენტი ახასიათებს ქალთა თაობის შეცვლის ხარისხს მათი ქალიშვილებით. ისე როგორც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, მოსახლეობის გამრავლების ნეტო კოეფიციენტიც პირობითი თაობის (დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობა, რომელიც ადამიანთა პირობითი ერთობლიობის სიცოცხლის განმავლობაში ყოველ ასაკში შეესაბამება მოცემულ კალენდარულ პერიოდში არსებულს) მაჩვენებელია.

ჩვეულებრივ, ნეტო კოეფიციენტი საშუალოდ ერთ ქალზე გაიანგარიშება. მიღებულია, რომ თუ ნეტო კოეფიციენტი ერთზე მეტია, ე.ი. თუ ქალს საშუალოდ ერთ გოგონაზე მეტი ჰყავს, ადგილი აქვს მოსახლეობის გაფართოებულ გამრავლებას. თუ კოეფიციენტი ერთის ტოლია, მოსახლეობის თანაბარი, ხოლო თუ ერთზე ნაკლებია, მოსახლეობის შემცირებული გამრავლება

ხდება. როდესაც წლების განმავლობაში ნეტო კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია, მაშინ მოსახლეობის რაოდენობა მცირდება.

კავკასიაში ნეტო კოეფიციენტი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მიმართ გაანგარიშებული არ არის, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანში კი ნეტო კოეფიციენტი თითქმის 1990 წლამდე უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ გამრავლებას (იხ. ცხრილი №5). კერძოდ, 1969-1970 წლებში იგი საქართველოში უდრიდა 1.233-ს, აზერბაიჯანში – 2.085-ს, ხოლო სომხეთში – 1.488-ს. ამრიგად, 1000 დედის შესაცვლელად ამ წლებში საქართველოში 1233 გოგონა მოდიოდა, აზერბაიჯანში – 2085, ხოლო სომხეთში – 1488. შემდეგ პერიოდში ეს მაჩვენებელი განუწყვეტლივ მცირდებოდა და უკანასკნელ წლებში კრიტიკულ ზღვარს ჩამოცილდა. 2005 წელს საქართველოში უკვე ყოველ ათას დედას ყავდა 634 გოგონა, აზერბაიჯანში – 833 და სომხეთში – 681 გოგონა.

ცხრილი №5. მოსახლეობის გამრავლების ნეტო კოეფიციენტი 1969-2005 წლებში

ქვეყნები	წელი			
	1969-1980	1980-1981	1989	2005
საქართველო	1.233	1.048	0.993	0.634
აზერბაიჯანი	2.085	1.454	1.267	0.833
სომხეთი	1.488	1.077	1.231	0.681

კავკასიაში შობადობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის უნდა გამოვყოთ განათლების დონე, რომ-ლის მიხედვით ჯერ კიდევ საგრძნობლად მაღალია განსხვავება შობადობის დონეებს შორის. მაგა-ლითად, ინგუშეთში 2002 წელს ერთ ქალს საშუალოდ 2.4 ბავშვი ჰყავდა, უმაღლესდამთავრებულს – 2.1 ბავშვი, დაწყებითი განათლების მქონეს – 4.0 ბავშვი, ხოლო დაწყებითი საერთო განათლების არმქონე ქალებს – 5.2 ბავშვი. მსგავს ვითარებას ადგილი ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში. კერძოდ, 2001 წელს სომხეთში ერთ ქალს საშუალოდ 2.1 ბავშვი ჰყავდა. განათლების დონის მიხედვით ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: უმაღლესდამთავრებულს – 1.7 ბავშვი, ზოგადი საშუალო განათლების მქონეს – 2.0 ბავშვი, დაწყებითი განათლების მქონეს – 3.5 ბავშვი, ხოლო დაწყებითი საერთო განათლების არმქონე ქალს – 4.2 ბავშვი ჰყავდა. ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდება კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის შობადობისა და განათლების დონის ურთიერთკავშირი.

შობადობის დონეზე არსებით გავლენას ახდენს აგრეთვე ქორწინებითი მდგომარეობა. კერძოდ, ქორწინებაში მყოფი ქალების შობადობის დონე გაცილებით მაღალია ქორწინებაში არ მყოფი ქალების შობადობის დონესთან შედარებით. ისე, როგორც თანამედროვე მსოფლიოში, კავკასიაშიც სულ უფრო იზრდება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა. ამასთან, ქორწინების გარეშე ქალებს უმეტესად ერთი ბავშვი ჰყავთ. მარტოხელა ბავშვიან ქალებს გათხოვება უჭირთ, ქორწინების გარეშე კი, ერთ ბავშვზე მეტს იშვიათად აჩენენ და ამდენად, ერთი ბავშვის ამარა რჩებიან, რაც შესამჩნევად ამცირებს შობადობის დონეს. მაგალითად, მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, დაღესტანში ყოველ 1000 ქალს საშუალოდ 2069 ბავშვი ჰყავდა, ქორწინებაში მყოფმა ყოველმა 1000 ქალმა კი 2740 ბავშვი გააჩინა. ინგუშეთში ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად 2354 და 3806 ბავშვს უდრიდა, ყაბარდო-ბალყარეთში –

1712 და 2242 ბავშვს. საქართველოში ამავე წელს ყოველ 1000 დაქორწინებულ ქალზე დაბადებულ ბავშვთა რიცხვი 2257-ს უდრიდა, არასოდეს დაქორწინებულ 1000 ქალზე – 1394, ხოლო 1000 განქორწინებულ ქალზე – 1440 ბავშვს.

ჩვენ უნდა განვიხილოთ აგრეთვე კავკასიაში მიგრაციის პროცესები, რომლებსაც როგორც მე-19, ისე მე-20 საუკუნეში მეტად ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მასში შემავალმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს და საზღვრების გახსნის შედეგად შესაძლებელი გახდა თავისუფალი გადაადგილება. ამიტომ, საერთაშორისო მიგრაციამ მეტად ინტენსიური ხასიათი შეიძინა, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში.

საერთაშორისო მიგრაციული პრობლემების დინამიკაში შესწავლის დროს იკვეთება ერთი არსებითი თავისებურება. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიგრაციული ნაკადები ძირითადად რუსეთში მიემართებოდა როგორც საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1991 წ.), ისე მის შემდეგ. ამრიგად, 1991 წლამდე სამხრეთ კავკასიიდან რუსეთში მიგრაცია ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გადაადგილებას, ანუ შიდა მიგრაციას წარმოადგენდა, ხოლო ამის შემდეგ – საერთაშორისო მიგრაციას, რამდენადაც ხდებოდა უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების საზღვრების გადაკვეთა.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 1990-იან წლებში მიგრაციული პროცესები მეტად ინტენსიური გახდა, რაც მრავალმა მიზეზმა განაპირობა. მიგრაციის გამომწვევი ფაქტორები ურთიერთგადაჯაჭვულია. უპირველეს ყოვლისა, ეს ფაქტორებია: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და ეკოლოგიური. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიგრაციული პროცესები უპირატესად პირველმა სამმა ფაქტორმა განაპირობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ემიგრაციის შესახებ შეზღუდვა გააუქმეს. მიგრანტთა ძირითადი ნაკადი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან რუსეთში მიემართება. ამავე დროს, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციის დონე ქართველებსა და აზერბაიჯანელებთან შედარებით სომხებში გაცილებით უფრო მაღალია. კერძოდ, 1990 წელს საბჭოთა კავშირი დაახლოებით 450 ათასმა ადამიანმა დატოვა და მათი ძირითადი ნაწილი სამ ეთნოსს: ებრაელებს (200 ათასი), გერმანელებსა (145 ათასი) და სომხებს (50-60 ათასი) განეკუთვნებოდა.[3] ასეთი ტენდენცია შემდგომ წლებშიც შეიმჩნეოდა.

მიგრაციული ნაკადები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან რუსეთში უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი XX საუკუნის მეორე ნახევრამდე, შედარებით სუსტი იყო. პირუკუ მოვლენა კი ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. XIX საუკუნეში რუსეთს სამხრეთ კავკასიის კოლონიზაციია მიზნით ფართო პროგრამა ჰქონდა დასახული, რაც ნაწილობრივ განახორციელა კიდეც. XX საუკუნის მხოლოდ 30-იან წლებში რუსეთიდან სამხრეთ კავკასიაში ასიათასობით რუსი ჩამოსახლდა მუდმივ საცხოვრებლად, გრანდიოზულ მშენებლობებში მონაწილეობის საბაბით. 1926-1939 წლებში სამხრეთ კავკასიაში რუსები რაოდენობა 336 ათასიდან 882 ათასამდე გაიზარდა, ანუ 546 ათასი კაცით (2.6-ჯერ). რუსი მოსახლეობის ზრდა ძირითადად არა ბუნებრივი, არამედ რუსეთიდან სამხრეთ კავკასიაში ჩამოსახლების შედეგი იყო, 13 წლის განმავლობაში თითქმის 500 ათასი რუსი შემოვიდა სამხრეთ კავკასიაში მუდმივ საცხოვრებლად. სწორედ ამ მიზეზის გამო, 1926-1939 წლებში რუსი მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში 162.5%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც ქართველმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა მოსახლეობამ ამავე პერიოდში სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ 30.4%-ით მოიმატა. ძირითადად ამის შედეგად, 1926-1939 წლებში ტიტულოვანი ერების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა მთელ მოსახლეობაში, კერძოდ, ქართველებისა საქართველოში – 66.8%-დან 61.4%-მდე, აზერბაიჯანელებისა აზერბაიჯანში – 62.1%-დან 58.4%-მდე და სომხებისა სომხეთში – 84.5%-დან 82.8%-მდე.

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში რუსეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მიგრაციული პროცესები უფრო ინტენსიური გახდა, განსაკუთრებით 1991-2000 წლებში.

[3] საერთაშორისო მიგრაცია. თბილისი, 2001, გვ. 15.

1981-2004 წლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან რუსეთში საცხოვრებლად 2110 ათასი კაცი შევიდა, ხოლო ამავე პერიოდში რუსეთის ფედერაციიდან სამხრეთ კავკასიაში გავიდა 774 ათასი კაცი და მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1336 ათასი კაცი შეადგინა (იხილეთ ცხრილი №6). ცალკეული ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელი უდრიდა: საქართველო – 491 ათასი, აზერბაიჯანი – 553 ათასი, სომხეთი – 292 ათასი კაცი. 1990-იან წლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რუსეთთან ემიგრაციული პროცესები გაცილებით ინტენსიური იყო 1980-იან წლებთან შედარებით. კერძოდ, საქართველოში უარყოფითი სალდო 359 ათას კაცს უდრიდა (1980-იან წლებში – 109 ათასს), აზერბაიჯანი – 299 ათასს (1980-იან წლებში 243 ათასს), ხოლო სომხეთში – 200 ათასს (1980-იან წლებში – 75 ათასს). 2000-იანი წლების დასაწყისიდან მნიშვნელოვნად შემცირდა სამხრეთ კავკასიიდან რუსეთში ემიგრაცია და იგი გაიზარდა აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. თუ 1980-იან წლებში ყოველწლიურად უარყოფითი სალდო საშუალოდ 43 ათას კაცს უდრიდა, 1990-იან წლებში ამ მაჩვენებელმა 86 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო 2001-2004 წლებში – 13 ათასი კაცი. მთლიანად, 1981-2004 წლებში სამხრეთ კავკასიაში მიგრაციის უარყოფითი სალდო ყოველწლიურად საშუალოდ 56 ათას კაცს უდრიდა (იხილეთ ცხრილი №6).

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან რუსეთისკენ მიმართულ მიგრაციულ ნაკადებში, მკვიდრ ეროვნებებს ამ ქვეყნებში (სომხეთის გარდა) მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ჭარბობდნენ. მაგალითად, მიგრაციული ნაკადების პიკის დროს – 1994 წელს, საქართველოდან რუსეთში საცხოვრებლად შევიდა 67 ათასი კაცი. მათ შორის: 26 ათასი რუსი, 13 ათასი ქართველი, 12 ათასი სომეხი და 16 ათასი სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ამავე წელს აზერბაიჯანიდან რუსეთში საცხოვრებლად 50 ათასი კაცი შევიდა: 20 ათასი რუსი, 14 ათასი აზერბაიჯანელი, 9 ათასი სომეხი და 7 ათასი სხვა ეროვნების წარმომადგენელი. სომხეთიდან შესულთა რაოდენობამ კი 47 ათასი კაცი შეადგინა: 38 ათასი სომეხი, 5 ათასი რუსი და 4 ათასი – დანარჩენი ეროვნება. როგორც ვხედავთ, სხვა ეროვნებებთან შედარებით, მხოლოდ სომხეთიდან აქვს ადგილი მკვიდრი ერის – სომხების – დიდი რაოდენობით მიგრაციას რუსეთში. ამრიგად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან მიგრაციულ ნაკადებში დაბალია ქართველების წილი, რასაც ვერ ვიტყვით აზერბაიჯანელებსა და განსაკუთრებით – სომხებზე. ამასთან, 1990-იან წლებში პოსტსაბჭოთა სივრციდან ქართველ ემიგრანტთა რაოდენობა რუსეთში გაცილებით ნაკლები იყო სომეხ და აზერბაიჯანელ ემიგრანტებთან შედარებით. კერძოდ, მიგრაციული პროცესების ყველაზე ინტენსიურ პერიოდში – 1992-1998 წლებში – ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან რუსეთში საცხოვრებლად 59 ათასი ქართველი, 116 ათასი აზერბაიჯანელი და 276 ათასი სომეხი შევიდა.[4] ძირითადად ამ მიზეზის გამო რუსეთის მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, რუსეთში სომხებისა და აზერბაიჯანელების რაოდენობა 1989-2002 წლებში საგრძნობლად გაიზარდა. კერძოდ, 1989 წელს რუსეთში 131 ათასი ქართველი ცხოვრობდა, ხოლო 2002 წელს – 198 ათასი, ანუ რუსეთში ორი უკანასკნელი აღწერის პერიოდში იქ მუდმივად მცხოვრები ქართველების რაოდენობა მხოლოდ 67 ათასით გაიზარდა. ამავე, 2002 წელს რუსეთში ცხოვრობდა 1130 ათასი სომეხი და 621 ათასი აზერბაიჯანელი, მაშინ, როდესაც მათი რაოდენობა რუსეთში 1989 წელს, შესაბამისად, 532 ათასს და 356 ათასს უდრიდა. ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში (1989-2002 წლები) რუსეთში მუდმივად მცხოვრები სომხების რაოდენობა 698 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელებისა – 265 ათასით გაიზარდა.

[4] Демографический ежедневник России. Москва, 1999, с. 354-357.

ცხრილი №6. მიგრაცია რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის 1981-2004 წლებში

	სულ 1981-2004 წლები	მათ შორის		
		1981-1990 წლები	1991-2000 წლები	2001-2004 წლები
რუსეთის ფედერაციაში შესულთა რაოდენობა (ათასი კაცი)				
საქართველოდან	749	313	409	27
აზერბაიჯანიდან	929	522	389	18
სომხეთიდან	432	181	230	21
სამხრეთ კავკასიიდან – სულ	2110	1016	1028	66
საშუალოდ წელიწადში	88	102	103	17
რუსეთის ფედერაციიდან გასულთა რაოდენობა (ათასი კაცი)				
საქართველოში	258	303	51	4
აზერბაიჯანში	376	279	90	7
სომხეთში	140	106	30	4
სამხრეთ კავკასიაში – სულ	774	589	170	15
საშუალოდ წელიწადში	32	59	17	4
მიგრაციის სალდო (ათასი კაცი)				
საქართველო	-491	-109	-359	-23
აზერბაიჯანი	-553	-243	-299	-11
სომხეთი	-292	-75	-200	-17
სამხრეთ კავკასია – სულ	-1336	-427	-858	-51
საშუალოდ წელიწადში	-56	-43	-86	-13

Vazha Lordkipanidze

The natural movement of population of Caucasus in the 20th century and in the beginning of the 21st century

Resume

This research discusses the natural movement of population of Caucasus in the 20th century and in the beginning of the 21st century. The dynamics of above mentioned demographic processes are discussed in the context of those global changes which occurred in Caucasus during last decades. Specifically, those factors are analyzed which affected birth and death rates. Paper also discusses an influence of these demographic occurrences on migration processes.

დიდი მემკვიდრეობა

როინ მეტრეველი
ივანე ჯავახიშვილი

კობა ხარაძე
ალექსანდრე ჯავახიშვილი (1875-1973)

მინდია უგრეხელიძე
თინათინ წერეთელი - გამოჩენილი ქართველი სამართალმცოდნე

ავთანდილ არაბული
არნოლდ ჩიქობავას დრო და სივრცე (შტრიხები დიდი მეცნიერის ბიოგრაფიისათვის)

როინ მეტრეველი

ივანე ჯავახიშვილი

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაში გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც თავისი ღრმა კვალი დაამჩნია ჟამთა სვლას, ადამიანი, რომელმაც ჭეშმარიტი მამულიშვილობის მისაბაძი მაგალითი უჩვენა თანამედროვეებს, მაგალითი ღრმა მეცნიერული კვლევისა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა, მოძმეთა პატივისცემისა; მოქალაქე და მეცნიერი, რომლის დიდი მცდელობის შედეგია საქართველოში პირველი უმაღლესი განათლების კერის – უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს ისტორიის კვლევის, ქართული ისტორიოგრაფიის სრულიად ახალი ეტაპის დაწყება.



ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილი მოქალაქე და მოღვაწე... ივანე ჯავახიშვილი მეცნიერი და აღმზრდელი... აი, მრავალმხრივი დაუღალავი შრომის ძირითადი ასპექტები.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითად მიზანს შეადგენდა საქართველოს მდიდარი წარსულის, ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ღრმად შესწავლა.

ივანე ჯავახიშვილმა სწორედ მრავალჭირნახული საქართველოს ისტორია გამოიკვლია... უაღრესად რთულ და მძიმე პირობებში არგუნა მას ბედმა მოღვაწეობის დაწყება. საქართველოს ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი ფაქტობრივად არ არსებობდა – იყო მხოლოდ ბარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილისა და მოსე ჯანაშვილის ნაშრომები საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. საქართველოს ისტორიის არსებითი, სისტემატიზებული გამოკვლევა მთლიანად ერთ ადამიანს დააწვა მხრებზე; თანაც ეს რაც შეიძლება მალე უნდა გაკეთებულიყო – დროულად უნდა გატეხილიყო ყამირი. ივანე ჯავახიშვილი გზის გამკაფველი გამოდგა, მან ახალი ქართული ისტორიოგრაფიის გუთნისდედის როლი

შეასრულა. ივანე ჯავახიშვილი ცალუღელში მყოფი ეწეოდა მეცნიერული კვლევა-ძიების ჭაპანს. „ჩემდა საუბედუროდ, – წერდა მოგვიანებით მეცნიერი, – შრომისა და მძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისათვისაც კი დრო არ მქონია“.

წინამდებარე ნარკვევში გამოყენებული გვაქვს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებული ლიტერატურა. საქართველოს სხვადასხვა არქივში დაცული უხვი მასალა (ზოგიერთი ადრე უცნობი დოკუმენტი), თანამედროვეთა მოგონებები და სხვ.

მამულიშვილობა და მეცნიერება ანუ მეცნიერის კრედო

„ისტორიკოსი მოვალეა, მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული... ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებს... უეჭველია, იმავე დროს ქართულ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“ – ეს ივანე ჯავახიშვილის სიტყვებია.

1904 წელს ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელში“, შემდეგ კი ცალკე წიგნად დაიბეჭდა ფრიად საინტერესო ნაშრომი – „მამულიშვილობა და მეცნიერება“, რომელშიც საკმაოდ მკვეთრად არის ჩამოყალიბებული ივ. ჯავახიშვილის მრწამსი – შეხედულება ჭეშმარიტი მეცნიერის, კერძოდ, ისტორიკოსის მაღალი მოვალეობის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს საკითხს საისტორიო მეცნიერების, ისტორიკოსების მაღალი ზნეობრივი მოვალეობის შესახებ, იმ დიდი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც წარსულის მკვლევარს სამშობლოს წინაშე ეკისრება. მეცნიერი ისტორიკოსის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნევდა წარსულის პირუთვნელ, ღრმად მეცნიერულ ასახვას, ამა თუ იმ სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პირობების შესწავლას და ამ განვითარების მიზეზების გარკვევას. საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა მხოლოდ იმ მეცნიერს შეუძლია, რომელიც უპირველესად თვით მეცნიერების წინაშეა პირნათელიო.

ივანე ჯავახიშვილი ხმამაღლა აცხადებს, რომ „ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელად უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებს, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა, მისი მაღალი მოქალაქეობრივი შემართება ფაქტობრივად იყო ბრძოლა სიახლის დამკვიდრებისათვის არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ივ. ჯავახიშვილმა ულმობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ის მოსაზრება, თითქოს საქართველოში წინათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მყუდროება და სიმშვიდე სუფევდა, თითქოს მუდამ სიყვარული, თანხმობა, სათნოება, „მამულიშვილური“ განწყობილება არსებობდა და წოდებათა შორის ბრძოლაც არასდროს ყოფილა. ამგვარი წარმოდგენები იმის ბრალი იყო, რომ, სამწუხაროდ, მაშინდელმა საზოგადოებამ, როგორც მეცნიერი შენიშნავდა, სამშობლოს ისტორია მხოლოდ მამა-პაპათაგან გადმოცემით იცოდა.

ივ. ჯავახიშვილმა მტკიცედ დააყენა საკითხი მეცნიერი ისტორიკოსების წინაშე, რომ უპირველესად კრიტიკულად განიხილონ ყველა ის ცნობა, რომელზეც დამყარებულია წარმოდგენა ხალხის ცხოვრებაზე. თვით ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის წყაროებს ძალზე

კრიტიკულად იხილავდა. მეცნიერი მიუთითებს ისტორიის ცოდნის მეტად დიდ პრაქტიკულ დანიშნულებაზე. მისი აზრით, კრიტიკულად შესწავლილი ისტორია რომ ჰქონოდათ, „ქართველ საზოგადოებას შეეძლო, ბევრი შეცდომა აეცილებინა თავიდან და ჩვენს შემოქმედებას და პოლიტიკას გარკვეული, მტკიცე ხასიათი ექნებოდა“. ასე რომ, ისტორიის ცოდნას საზოგადოებისათვის მარტო თეორიული ხასიათი არ ჰქონდა, მისი გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელი იყო გარკვეული ზემოქმედების განხორციელება საზოგადოებრივ წეს-წყობილებაზე, საერთოდ, „ცხოვრების ჩარხის ტრიალზე“.

ივ. ჯავახიშვილმა მხარი დაუჭირა ნ. მარს, რომელსაც მიაჩნდა, რომ ისტორიის წერისას დაშვებული შეცდომები ზოგჯერ უცოდინარობის შედეგი კი არ იყო, არამედ ის, რომ სამეცნიერო გამოკვლევების წერის დროს პატრიოტული გრძნობით ხელმძღვანელობენო. ნ. მარი მოითხოვდა, რომ ისტორიკოსებმა ყური ათხოვონ იმ ჭეშმარიტებას, რომელიც Jonckbleot-ის „Étude sur le roman de Renard“-შია მოცემული: „მშვენიერი რამაა სამშობლოსადმი სიყვარული, მაგრამ მაინც კაცი გადაჭარბებას უნდა უფრთხოდეს, მეტადრე მაშინ, თუ ამნაირი გადაჭარბება ჩვენს მსჯელობას ამახინჯებს“. ივ. ჯავახიშვილიც იმავეს უსვამდა ხაზს, როცა ამბობდა, რომ სამშობლოსადმი სიყვარული მშვენიერია საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ცხოვრებაში, მეცნიერებაში კი დიდი სიფრთხილეა საჭიროა, რათა გადამეტებულმა პატრიოტიზმმა პირუთვნელობა არ დააკარგვინოს.

ივ. ჯავახიშვილმა მოიპოვა დიდძალი ფაქტობრივი ისტორიული მასალა, კრიტიკულ ფილტრში გაატარა იგი და მის მიერვე შემუშავებული კვლევის მეცნიერული მეთოდოლოგიით საქართველოს ისტორიის საფუძვლიან შესწავლას შეუდგა. ივ. ჯავახიშვილმა შექმნა კაპიტალური შრომა „ქართველი ერის ისტორია“, რომელშიც პირველად მოგვცა ერთიანად საქართველოს პოლიტიკური ისტორია, სოციალური ურთიერთობებისა და სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები, მატერიალური კულტურისა და იდეოლოგია-სარწმუნოების საკითხები. მეცნიერი შეეცადა, ყველა ეს პრობლემა ამომწურავად შეესწავლა და დაესაბუთებინა. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „ადვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიებისა და დებულებების წამოყენებას... ყოველმხრივ დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია. მეცნიერ-ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს, თავისი დაუსაბუთებული ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოიდგინოს“. ივ. ჯავახიშვილს თავის მრავალმხრივ და საოცრად მასშტაბურ შემოქმედებაში არასდროს უღალატია მეცნიერული კვლევის ერთხელ შემუშავებული პრინციპებისათვის. კრიტიკული მიმართულების გამოკვლევებს, როგორც ჩანს, „მამულიშვილი კრიტიკოსები, მტრულად შეხვდნენ, რის გამოც ივ. ჯავახიშვილი მათ ილია ჭავჭავაძისებურად განუმარტავდა, თუ მის მოქმედებაში – „ამ სიძულვილში“ სამშობლო ქვეყნის რაოდენ დიდი სიყვარული იყო ჩაქსოვილი. შემთხვევითი არ ყოფილა ილია ჭავჭავაძის მოშველიება. როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილი საერთოდ ხარბად ეწაფებოდა ილია ჭავჭავაძისა და XIX საუკუნის სხვა საზოგადო მოღვაწეთა მემკვიდრეობას, მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს.

ივ. ჯავახიშვილი ჭეშმარიტად სულიერი თანამოაზრე იყო ილია ჭავჭავაძისა, როგორც მოღვაწისა და მამულიშვილისა. ილიას მრავლისმომცველი საქმიანობა, კერძოდ კი ისტორიული კონცეფცია, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და დიდ როლს ასრულებდა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“ – ილია ჭავჭავაძის ეს მოსაზრება, აგრეთვე მისი მოთხოვნა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიკური საფუძვლების გამორკვევის შესახებ, ივ. ჯავახიშვილს იმ დროის მნიშვნელოვან მიღწევად მიაჩნდა ამა თუ იმ ხალხის ისტორიის შესწავლის საქმეში. ილია ჭავჭავაძე, XIX საუკუნის 60-იან წლებიდან მოყოლებული, თითქმის ნახევარი საუკუნის

მანძილზე საზოგადოებრივი ცხოვრების, აზროვნების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური თავკაცი იყო. ივ. ჯავახიშვილი XX საუკუნის დასაწყისიდანვე თავდაუზოგავი შრომით მტკიცე ბურჯად შეუდგა ილიას მიერ დაწყებულ საქმეს ერის კულტურული ცხოვრების წინსვლისათვის.

სახელოვანი მამულიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე (ვიდრე მისი სიცოცხლე კათედრაზე ლექციის კითხვისას არ დამთავრდა!) თავგამოდებით იღვწოდა სამამულო მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის. იღვწოდა ისე, რომ არასოდეს უღალატია თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში განსაზღვრული პრინციპებისათვის, რომელიც მეცნიერისაგან მამულიშვილურ სამსახურს პირუთვნელი ჭეშმარიტების ძიებაში ხედავდა.

დიდი ცხოვრების დასაწყისი

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გადაეცემის“
ნ. ბარათაშვილი

1876 წლის 11(23) აპრილს ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახმა ვაჟიანობა იზეიმა – დაიბადა ივანე ჯავახიშვილი.

ჯავახიშვილთა ძირძველ გვარს კიდევ ერთი ვაჟკაცი შეემატა.

ვინ არიან ჯავახიშვილები? ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს: „ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთაგან ესენი არიან: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბაღუში... ჯავახიშვილი, ბურსელი და სხუანი მრავალნი, რომელნი ერისთობით იწერვიან და გუარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად“. როგორც ისტორიული საბუთებიდან დგინდება, ჯავახიშვილთა გვარი თორელებისაგან მომდინარეობს. საგვარეულოს საფუძველი დაუდო ჯავახ თორელმა (XIV ს.), რომლის შთამომავლები იწოდებიან თორელ-ჯავახიშვილებად, ან, ჩვეულებრივ, ჯავახიშვილებლად (იხ.: 1338 წლის წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა ივანე თორელ-ჯავახიშვილისადმი. – წიგნში.: ქართული სამართლის ძეგლები. ი. დოლიძის გამოცემა, II, თბ., 1965, გვ. 97; 1345 წლის წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა გამრეკელ ჯავახიშვილისადმი, იქვე, გვ. 98 და სხვ.).

ჯავახიშვილები, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ჩანან საქართველოს ისტორიაში როგორც მნიშვნელოვანი ფეოდალური საგვარეულო. ჯავახიშვილთა ერთი შტოს სამფლობელო ჩანს ხოვლე, იმ შტოსი, რომლის შთამომავალიც ივანეს მამა ალექსანდრე ჯავახიშვილი იყო.

ალექსანდრე ჯავახიშვილს თავისი დროისათვის შესაფერისი განათლება ჰქონდა მიღებული. იგი ძირითადად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და თავისი გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდა. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივში დაცულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანება თელავის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლის ალექსანდრე ჯავახიშვილისათვის ერთგული მუშაობის გამო მადლობის გამოცხადების შესახებ:

„Объявляется благодарность учителю приготовительного класса Телавского уездного училища, губернскому секретарю князю Джавахову за отлично-усердную и ревностную службу его учебному ведомству.

Попечитель **Неверов“.**

ალ. ჯავახიშვილი მასწავლებლად მუშაობდა თელავში, გორში, სიღნაღსა და სხვა ქალაქებში. იგი თბილისში ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა; გადმოცემით, მეტად მშვიდობიანი, ამასთან, მტკიცე ნებისყოფის მქონე და გამტანი კაცი იყო.

ივ. ჯავახიშვილის დედა, სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი, ლამაზ გარეგნობასა და სიდარბაისლესთან ერთად, სათნო და ჭკვიანი ადამიანი ყოფილა.

ჯავახიშვილებს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდათ და შვილებსაც სამშობლოსა და დედაენისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდნენ. ოჯახში მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ.

9 წლის ივანე 1885 წელს თბილისის პროგიმნაზიაში შეიყვანეს, რომლის დამთავრების შემდეგ, 1888 წელს გიმნაზიის მეორე კლასში მიიღეს. გიმნაზიაში სწავლის პერიოდმა თავისი დაღი დაასვა მომავალ მეცნიერს. მაშინ გიმნაზიებში იდევნებოდა ყოველივე პროგრესული, რაიმე ეროვნულზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ბუნებრივია, ივ. ჯავახიშვილის აღზრდა ვერ ეგუებოდა ამგვარ ატმოსფეროს. მას გიმნაზია არ მოსწონდა, სწავლით კი კარგად სწავლობდა. თავის სულიერ მოთხოვნილებას ივ. ჯავახიშვილი გიმნაზიის გარეთ ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლაში იკმაყოფილებდა. ივანე ნიჟარაძე იგონებს: „ვანო ძალიან ნაკითხი იყო. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის მის ძვირფას დედ-მამას, რომლებმაც ჩაუნერგეს შვილებს ქართული კულტურის სიყვარული. ჩემის თვალით მინახავს, როგორ ცდილობდნენ ძმები (ვანო, გიორგი, მიშა და დათა) უფრო ადრე წაეკითხათ შინ მიტანილი ქართული ჟურნალ-გაზეთები, ვიდრე შეუდგებოდნენ გიმნაზიის გაკვეთილების შესწავლას“.

გიმნაზიაში სწავლის დაწყების უმალ გამომჟღავნდა ივ. ჯავახიშვილის უდიდესი მიდრეკილება ისტორიის შესწავლისადმი. იგი ამ პერიოდშივე იწყებს პატარ-პატარა, ამასთან, მეტად საინტერესო რეფერატების წერას. მის ნაშრომებს ანდრია მოციქულის საქართველოში მოგზაურობისა და ინგლისელი ისტორიკოსის ბოკლის შესახებ იმთავითვე მიუქცევია ყურადღება. ივ. ჯავახიშვილს გადაუწყვეტია, ისტორიკოსი გამოსულიყო.

ივ. ჯავახიშვილი დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. იგი სოფელ-სოფელ დადიოდა და ადგილობრივ ახალგაზრდობას გატაცებით უამბობდა საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალ პერსპექტივებზე. ამის პარალელურად, როგორც ივ. ჯავახიშვილის მეგობარი კოტე მაყაშვილი იგონებს: „იგი (ჯავახიშვილი – რ. მ.) ხშირი სტუმარია ტაძართა, სასახლეთა და ციხეთა ნანგრევებისა. მის ცნობისმოყვარე თვალს არა გამოეპარება რა“. ივ. ჯავახიშვილმა სწორედ ამ დროს მოაწყო თავის ტოლ-ამხანაგებთან ერთად ხოვლეს ეკლესიის ნანგრევების გათხრა. როცა რაიმე საინტერესოს იპოვიდნენ, „აქ უნდა გენახათ ვანოს აღტაცება. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გეგონებოდა, ვანო უძვირფასეს მეგობარს შეხვდაო“... გათხრების შემდეგ ზეიმით ბრუნდებოდნენ შინ.

ასე ისისხლხორცებდა ივ. ჯავახიშვილი თავისი მშობელი ქვეყნისა და ქართველი ხალხის კულტურის დიდ სიყვარულს.

1895 წელს ივ. ჯავახიშვილმა გიმნაზია დაამთავრა. იმავე წელს იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე შევიდა, სადაც სპეციალდება საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი დიდი, ენერგიული შრომით, სიბეჯითითა და ნიჭიერებით სწრაფად მიიქცია პროფესორთა ყურადღება. იგი ცოდნის გაღრმავების მიზნით იურიდიულ ფაკულტეტზეც ისმენს ლექციებს; აქტიურად მონაწილეობს ქართველთა სათვისტომოს საქმიანობაში. ქართულ სათვისტომოსთან რამდენიმე წრე არსებობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესასწავლად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის შემსწავლელ წრეს უდგას სათავეში. მას ძალზე დიდი გავლენა ჰქონდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველობაზე.

ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ურთიერთობა დამყარდა სომხეთისა და აზერბაიჯანის სათვისტომოებთან და დაარსდა „ამიერკავკასიის სათვისტომო“. სწორედ ივ. ჯავახიშვილის ინიციატივა იყო პეტერბურგში „ქართული საღამოების“ გამართვა, რომელთა პროგრამა ქართული

სიმღერებისა და ცეკვებისაგან შედგებოდა. საღამოებს, თურმე, მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა. ფულადი შემოსავალი ღარიბ სტუდენტებს ხმარდებოდა. ამგვარ ღონისძიებებზე, როგორც ჩანს, ზოგჯერ საგანგებოდ იწვევდნენ სტუმრებს.

ივ. ჯავახიშვილი ყოველივე კარგის, პროგრესულის თაოსანი იყო. იგი სიჭაბუკის წლებიდანვე სრულიად ჩამოყალიბებული საზოგადო მოღვაწე იყო. 1899 წელს ივ. ჯავახიშვილი ამთავრებს უნივერსიტეტს და აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დადგენილებით მას ტოვებენ უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად...

საზოგადოებრივი მოღვაწეობა

„საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში დეპუტატის საპატიო მოვალეობის ასრულების დროს უმთავრესად სწავლა-განათლებისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებით საკანონმდებლო და სხვაგვარი საკითხების განხილვაში ვფიქრობ მხურვალე მონაწილეობის მიღებას.

ეს განზრახვა იმ რწმენაზეა დამყარებული, რომ თითოეული დეპუტატი ვალდებულია, თავის დარგის ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს თავისი სოციალისტური სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის და, რაკი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, მთელი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შევსწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოშიც ყოველი ჩემი ძალ-ღონე მსურს ვიხმარო ამავე საკითხების გასაშუქებლად, როგორც საბჭოთა საქართველოს შეშვენის“ – ასე აცხადებს საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივ. ჯავახიშვილი. ხალხისა და ერის სამსახური სიჭაბუკიდან იყო დიდი მეცნიერის მოთხოვნილება, და როცა ამას მოვალეობაც ემატებოდა, მეცნიერის ენერგია ორმაგდებოდა.

ივ. ჯავახიშვილი იმთავითვე „გახდა ცენტრალური ფიგურა რესპუბლიკის განათლების და კულტურის ყველა საკითხში, თვით იქამდე, რომ ქართული ანბანის დამწერლობის დადგენა, სამედიცინო, იურიდიული და სხვა ტერმინოლოგიის შედგენა, ამ უმაღლესი მუსიკალური განათლების რეორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტა და სხვა მისი აუცილებელი მონაწილეობით მიმდინარეობდა“.

ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ არაერთგზის დაწერილა. ჩვენს ხელთ არის აკაკი შანიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, გიორგი ჩიტაიას, ივ. ჯავახიშვილის სხვა თანამედროვეთა და თანამოსაგრეთა მოგონებები და წერილები.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ჰყავდა თავისი სულიერი მეუფე, პიროვნება, რომელმაც ახალი ერა დაიწყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში; შემოიჭრა ახალი ძალით, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების იდეით, რომელმაც ხმამაღლა გამოაცხადა: „... ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“ – ეს იყო ილია ჭავჭავაძე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერის მედროშე. მეოცე საუკუნის დასაწყისში ილიას მძიმე ტვირთმა ივანე ჯავახიშვილის მხრებზე გადაინაცვლა. ამ უკანასკნელს წილად ხვდა უაღრესად საპატიო და ამასთან მეტად რთული ხვედრი – ილია ჭავჭავაძეობა გაეწია ერისთვის...

აქ საინტერესო იქნება მოვიგონოთ ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები ივ. ჯავახიშვილის შესახებ: „იშვიათია კაცი, რომელსაც რაიმე ნაკლი არ ჰქონდეს, თუნდაც სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილში, სანთლით რომ გეძებნათ, ვერავითარ ნაკლს ვერ აღმოაჩენდით. ეს სრულიად უნაკლო ადამიანი იყო: ზნეობით სპეტაკი, ზრდილი, ალერსიანი, თავმდაბალი, კაცთმოყვარე და გულშემატკივარი, ერთ უკადრის სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით, ის შვილი იყო ქართველი ინტელიგენტი ოჯახისა, რომელიც გამსჭვალული იყო ქართული პატრიოტიზმით და საქართველოს

კეთილდღეობისათვის მუშაობით...“ სწორედ ასეთ ადამიანს შეეძლო ქვეყნის ჭეშმარიტ სამსახურში ჩამდგარიყო, ერის წყლული საკუთარ ტკივილად შეეცნო, საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს საკურთხევლისათვის მიეტანა ზვარაკად და მისსავე სიყვარულში ჩაფერფლილიყო.

ივანე ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტეტი

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული უნივერსიტეტის შექმნის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა. ამ საქმის თაოსანი იყო ივ. ჯავახიშვილი, რომელიც იმჟამად პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად მუშაობდა. იგი სწორედ პეტერბურგის უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დროს აანალიზებს იმ უშედეგო ბრძოლის გამოცდილებას, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისათვის წარიმართა და თავს უყრის ამ დიდი საქმისათვის დასაყრდენ სამეცნიერო-საზოგადოებრივ ძალებს. ივ. ჯავახიშვილმა პრაქტიკულად შეიმუშავა ეროვნული უნივერსიტეტის, ასევე სამეცნიერო აკადემიის დაარსების გეგმა (ეს გეგმა სრულიად განსახვავებული იყო კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე სამეცნიერო აკადემიის დაარსების იდეისაგან). მას კარგად ესმოდა, რომ საქმე სწორედ ეროვნული უნივერსიტეტის შექმნით უნდა დაწყებულიყო. საამისოდ კი პირობები ძალზე მწირი იყო. არც მაშინდელი მთავრობისაგან იგრძნობოდა მხარდაჭერა.

1907 წლის ბოლოს ივ. ჯავახიშვილის უშუალო თაოსნობით და ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელმაც გააერთიანა, უნივერსიტეტის გარდა, სხვა ინსტიტუტების სტუდენტები და ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი ქართველი ქალები. ამ „წრემ“ უაღრესად კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა რუსეთში, კერძოდ პეტერბურგში, მყოფ ქართველ ახალგაზრდობაზე.

იმედის ნაპერწკლები გააღვივა იმ ფრიად მნიშვნელოვანმა მოვლენამ, რომ 1914 წელს მეფის მთავრობამ იძულებით შეასრულა მისთვის მეტად მძიმე აქტი – გამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ. ეს კანონი ხელ-ფეხს უხსნიდა ივ. ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობას უნივერსიტეტის დაარსებისათვის. დაბრკოლებები მაინც დიდი იყო, თანაც წინააღმდეგობას ქართველი პატრიოტები სწორედ კანონის გამომცემელთა მხრიდან წააწყდნენ... მეფის მთავრობის სიტყვა და საქმე არ ემთხვეოდა ერთმანეთს.

ჟამთა სვლა თავისას აკეთებდა... ქვეყანაში რევოლუციური გადატრიალებები ხდებოდა... 1917 წლის თებერვალი ახალი ძვრებით აღინიშნა... საზოგადოების განვითარებას ახალი მიმართულებები, ახალი გზები უჩნდება. უკვე შესაძლებელი ხდება ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე ხმამაღლა ლაპარაკი და აშკარა საქმიანობა. ივ. ჯავახიშვილმაც არ დააყოვნა და თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეებში დიდი პრაქტიკული საქმიანობა გააჩაღა. მან თავის ბინაში (პეტერბურგში, ლახტინის ქუჩაზე) შეკრიბა უნივერსიტეტის დაარსებით დაინტერესებული ქართველი მეცნიერები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვ. მოითათბირეს უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, საჭიროდ ჩათვალეს საზოგადოებრივი აზრის შექმნა უნივერსიტეტის სასარგებლოდ. საჭირო იყო პეტერბურგში მყოფი ქართველების ჩაბმა ამ საქმიანობაში. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულმა კრებამ (კინოთეატრ „ელიტაში“) იმსჯელა მის შესახებ. კრებაზე, რომელსაც ზურაბ ავალიშვილი თავმჯდომარეობდა, უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მოხსენება ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა. კრების მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა (შ. ნუცუბიძე და სხვ.) ივ. ჯავახიშვილს დაუჭირა მხარი. ერთი ჯგუფი (ნ. ნიკოლაძე და სხვ.) პოლიტექნიკუმის დაარსებას მოითხოვდა.

1917 წლის გაზაფხულზე ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდის და იწყებს პირველი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა იმავე წლის 12 მაისს. თბილისში ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელსაც იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ილია ზურაბიშვილი და სხვ.

დამფუძნებელი კრება გახსნა ივ. ჯავახიშვილმა. მანვე გააკეთა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ (ეს მოსაზრება იმთავითვე დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო საქმე“, 1917 წ., №№62, 63, 66, 68). ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით მიმოიხილავდა იმ გზებს, რომლითაც შეიძლებოდა ამ ამოცანის შესრულება, თანაც მოითხოვდა, რომ დაარსებულიყო სწორედ უნივერსიტეტი და არა სამეცნიერო აკადემია ან პოლიტექნიკუმი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ამგვარად მოხდა: ჯერ უნივერსიტეტები დაარსდა, ხოლო შემდეგ აკადემიები შეიქმნა. სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთდროულად შენახვა იმდროინდელ საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ივ. ჯავახიშვილს ნათლად ესახებოდა, რომ უნივერსიტეტთან შემდგომში შესაძლებელი გახდებოდა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ინსტიტუტების დაარსება.

კრებაზე (ივ. ჯავახიშვილის წინადადებით, კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად – ილია ზურაბიშვილი) ხანგრძლივი კამათის შემდეგ (ერთი ნაწილი კვლავ სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას უჭერდა მხარს) გადაწყდა, რომ დაარსებულიყო ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი. პირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უნდა გახსნილიყო. ივ. ჯავახიშვილის წინადადებით, შეიქმნა კომისია (ივ. ჯავახიშვილი, ექ. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. აფხაზი, ვ. ყიფიანი, ი. ლორთქიფანიძე, გ. ჟურული), რომელსაც დაევალა საჭირო სახსრების გამონახვა-შეგროვება და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. აღნიშნულ კრებაზე შეიქმნა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოება.

ფართო ხასიათის მუშაობა გაიშალა ქუთაისშიც. 1917 წლის 17 მაისს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ქუთაისში ტარდება კულტურულ, საკრედიტო დაწესებულებათა და პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლების კრება (ესწრებოდნენ: ი. ოცხელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ბაქრაძე, მ. თაქთაქიშვილი, გრ. გველესიანი, ი. პურადაშვილი, მ. ფაღავა, ს. წერეთელი, ვ. ჭილაძე, ი. ქუთათელაძე, ი. ჩიქოვანი, დ. ნიჟარაძე, გ. ურატაძე, ო. შუშანია, პ. ჯაფარიძე, ა. გორგაძე, კ. გაბარაშვილი, ვ. ბერიძე, ა. წერეთელი, ვ. იმნაძე, ვ. ყიფიანი, მ. ყაუხჩიშვილი, თ. აბაშიძისა, მ. გველესიანისა, ალ. ჯანელიძე), რომელიც ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხს იხილავს (კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ოცხელი, მდივნად – ალ. ჯანელიძე). კრებამ მხარი დაუჭირა (ორი მონაწილის გარდა) ივ. ჯავახიშვილის წინადადებებს უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა კრებას გააცნო უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. აირჩიეს კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც თბილისში არჩეულ კომიტეტთან ერთად უნდა გაეტარებინა სხვადასხვა ღონისძიება უნივერსიტეტის დაარსების მიზნით.

1917 წლის 3 ივნისს შედგა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოების კრება (დაესწრნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ვ. ყიფიანი, გ. ჟურული, გ. აბაშიძე, ფ. გოგიჩაიშვილი). ივ. ჯავახიშვილის გამოსვლაში ნათლად ჩანს დიდი ოპტიმიზმი და ღრმა რწმენა, რომ მალე უნდა გაიხსნას უნივერსიტეტი. თანაც მეცნიერს კონკრეტული წინადადებები აქვს საკითხთა მთელ რიგზე.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ფ. გოგიჩაიშვილი: „... ეჭვს-გარეშეა, ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომ ქართველი საზოგადოება უეჭველად ხელს შეუწყობს მის არსებობას, ამიტომ ყოველნაირი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ საქმე დავიწყოთ...“

შემდეგ კრებამ მოისმინა ი. ლორთქიფანიძის წერილობითი მოხსენება გადასახადის შემოღების შესახებ.

ნივთიერი სახსრის გამოძებნის თაობაზე თათბირის დროს აღიძრა საკითხი იმ თანხის გამოყენებისა, რომელიც შემდგარი იყო თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლების სავალდებულო განაღდების ზედმეტი გადასახადისაგან. გადაწყდა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების პროექტის შემუშავება. ეს პროექტი უნდა წარდგენოდა შემდგომში მთავრობას დასამტკიცებლად. მისი შედგენა-მომზადება იკისრა ივ. ჯავახიშვილმა.

ივ. ჯავახიშვილი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისას ითვალისწინებდა ამგვარ მოწოდებულ წინადადებებსა და მოსაზრებებს. 1917 წლის 15 ივნისს კომისიამ განიხილა ივ. ჯავახიშვილის მიერ მომზადებული პროექტი. გარკვეული შენიშვნების გამოთქმის შემდეგ, 22 ივნისს წესდების პროექტის საბოლოოდ მისაღებად დაინიშნა სხდომა. ამ დღეს ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა წესდების შესწორებული პროექტი, რომელიც მოიწონეს და მიიღეს.

ქართული უნივერსიტეტის ბედი გარკვეული იყო – მის გახსნას ვეღარავინ შეუშლიდა ხელს. ამასთან, იგი ქართველი პატრიოტების შენაწირი სახსრებით უნდა შენახულიყო.

1917 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება, რომელიც გახსნა ივ. ჯავახიშვილმა. მისივე წინადადებით, თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, საპატიო თავმჯდომარედ – დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. დამსწრე საზოგადოებამ დიდი აღფრთოვანებით მოისმინა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობისა და იმ მუშაობის შესახებ, რაც გაწეული იყო მისი გახსნისათვის. ამის შემდეგ მოხდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების ახალი წევრებით შევსება (საზოგადოებას შეემატნენ: შ. დადიანი, კ. გამსახურდია, ნ. ლომოური, ს. კლდიაშვილი, დ. უზნაძე, ი. გომართელი, გ. ღამბარაშვილი, პ. ვაჩნაძე, ზ. ყანჩაველი, ნ. კვეზერელი-კოპაძე, გ. მუხაძე, შ. მესხიშვილი, პ. გოთუა, გ. თარხნიშვილი, ა. სოლოღაშვილი, ი. თიკანაძე, თ. ჯავახიშვილი, ა. მერკვილაძე, ნ. ნაკაშიძე, ი. ელიაშვილი და სხვ.). კრებამ ქუთაისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრის მექი ფაღავას განცხადების საფუძველზე წევრებად მიიღო ქუთაისის წარმომადგენლებიც. 1917 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა საერთო კრება, რომელსაც 200-ზე მეტი წევრი და გარეშე პირი დაესწრო. კრების საპატიო თავმჯდომარე იყო პეტრე მელიქიშვილი, თავმჯდომარე – ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი – ილ. ზურაბიშვილი. ამ კრების ოქმი გვაუწყებს: „პრ.-დოც. ივ. ჯავახიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა სამოქმედო გეგმის შესახებ. უწინარეს ყოვლისა ივ. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტის ნივთიერ მხარეს“. ბუნებრივია, ეს არსებითი საკითხი იყო და სათანადო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. „მოხსენების მეორე ნაწილში ივ. ჯავახიშვილი შეეხო სამოსწავლო საქმის დაყენებას. მისი აზრით, ამთავითვე შეიძლება, დაარსდეს ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველებისა. ეს ფაკულტეტი შეიცავს ჰუმანურ სამეცნიერო საგნებს – როგორც, მაგალითად, ფილოსოფიას, საისტორიო, საფილოლოგო და სპეციალურ საგნებს – ბუნებისმეტყველებისას და მათემატიკისას... თუ ამთავითვე საბუნებისმეტყველო განყოფილების გახსნა შევიძელით, მაშინ რაკი სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილებისა, ორი წლის შემდეგ შესაძლებელია, მოეწყოს სამკურნალო ფაკულტეტი...“

ქართველი ხალხი დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურა ამ მოვლენას. შესაწირავის სახით დიდი რაოდენობით შემოდიოდა თანხა, თანაც თავის მორალურ მხარდაჭერას უცხადებდნენ ივანე ჯავახიშვილს. მეცნიერის არქივში დაცულია რამდენიმე ასეთი წერილი.

უნივერსიტეტის დაარსებისთვის საქმიანობას საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც გამოეხმაურნენ. ისინი, თავიანთ მორალურ მხარდაჭერასთან ერთად, მატერიალურადაც ეხმარებოდნენ ამ იდეის განხორციელებას. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გამოჩენილმა სომეხმა მწერალმა ოვანეს თუმანიანმა უნივერსიტეტს შესწირა 100 მანეთი ოქროთი, თანაც წერდა: „მხოლოდ მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას შეუძლია, ამოავსოს ის უფსკრული, რომელიც აცალკავებს ხალხებს, და მხოლოდ მათ შეუძლიათ, შექმნან მომავალი უკეთესი ცხოვრება და ნამდვილი ადამიანი...

მე აღტაცებით წარმოვიდგენ ხალისიან და კეთილშობილ ქართველს, რომელიც მშობლიურ ენაზე იღებს უმაღლეს განათლებას“...

საუნივერსიტეტო ფონდის შექმნაში, ცალკეულ პიროვნებათა გარდა, მონაწილეობდა სხვადასხვა საზოგადოება. ამგვარად თანდათან იზრდებოდა თანხა და მიზანიც რეალური ხდებოდა. დღის წესრიგში დადგა პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევის საქმე. 1917 წლის 9 ოქტომბერს შედგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული კრება, რომელმაც სწორედ ეს საკითხი განიხილა და წერილით მიმართა ივ. ჯავახიშვილს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ივანე ალექსანდრეს ძევ!

ამა წლის 9 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ და საფინანსო კომისიამ თავის პირველ შეერთებულ კრებაზედ, ხსენებულ უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებათა თანახმად, დაადგინა: ქართულ უნივერსიტეტისათვის პროფესორების მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა მოგენდოთ თქვენ, ნოვოროსიის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს ბ-ნ პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილს და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს ანდრია მიხეილის ძე რაზმაძეს.

განსაკუთრებულ სიამოვნებად მივითვლი, გაუწყოთ ეს დადგენილება და გთხოვოთ, კეთილ ინებოთ, იკისროთ ეს საქმე და შედეგი თქვენის შეთანხმებული მოქმედების ზემოხსენებულ პირებთან აცნობოთ გამგეობასო.

გამგეობის თავმჯდომარე (ხელრთვა)“.

1917 წლის 26 ნოემბერს ექვთიმე თაყაიშვილის ბინაში შედგა საზოგადოების მიერ გამოყოფილი აკადემიური კომისიის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე, ა. შანიძე. სხდომის თავმჯდომარე იყო ივ. ჯავახიშვილი, მდივანი – ა. შანიძე. მიღებულ იქნა დადგენილება, რომ დაარსებულიყო ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელსაც ექნებოდა 3 განყოფილება: 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი, პედაგოგიკა), 2. სამათემატიკო, 3. საბუნებისმეტყველო. პირველ რიგში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება უნდა გახსნილიყო. ფ. გოგიჩაიშვილს დაევალა, უნივერსიტეტისათვის ქართული გიმნაზიის შენობის მიღების საკითხის მოგვარება.

1917 წლის 8 დეკემბერს უნივერსიტეტის მომავალ პროფესორებს (ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე) ივ. ჯავახიშვილმა აუწყა, რომ უნივერსიტეტის ძირითადი დებულება დამტკიცებული იყო. ამასთან, განიხილა ფ. გოგიჩაიშვილის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის პროექტი.

დეკემბრის დამლევს პრესაში გამოქვეყნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა. სხდომას ესწრებოდნენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე. თავმჯდომარეობდა პ. მელიქიშვილი, მდივანი იყო ა. შანიძე. აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა და ივ. ჯავახიშვილს მიმართეს თხოვნით – თავს ედო უნივერსიტეტის რექტორობა. ამ წინადადებაზე

ივ. ჯავახიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და თავის მხრივ სხდომას მოუწოდა, რექტორად პეტრე მელიქიშვილი აერჩიათ, რომელიც, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „ცნობილი მეცნიერია რუსეთშიც და საზღვარგარეთაც, და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსო“... პროფესორთა კოლეგიამ მიიღო ეს წინადადება და პეტრე მელიქიშვილი აირჩია უნივერსიტეტის რექტორად. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი; პროფესორთა საბჭოს სწავლულ მდივნად – იოსებ ყიფშიძე.

გადაწყდა, უნივერსიტეტი გახსნილიყო 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

უნივერსიტეტის გახსნის მოლოდინში აღფრთოვანებული მოსე ჯანაშვილი 1918 წლის 24 იანვარს წერდა: „ივ. ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი – გუთნისდედობა თვით ქართლულ მძიმე ღრმად მხვნელი გუთნისა!.. ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ“.

1918 წლის 26 იანვარს წყნეთის ქუჩაზე №41-ში მდებარე გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული სასწავლებელი – ქართული უნივერსიტეტი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ ამ დღეს საგანგებო პარაკლისი გადაიხადა.

ზეიმის დასასრულს გათვალისწინებული იყო ივ. ჯავახიშვილის ლექცია, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ეს ვერ მოხერხდა. ქართულ უნივერსიტეტში პირველი ლექცია წაიკითხა ივ. ჯავახიშვილმა 1918 წლის 30 იანვარს. ლექციის თემა იყო: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფო მწერლობასა და ცხოვრებაში“.

ასე დაიწყო ქართული უნივერსიტეტის მაჯისცემა.

ივ. ჯავახიშვილის დიდმა, დაუღალავმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. უნივერსიტეტი აღმავლობის გზას დაადგა. თვითონ მეცნიერი გადაღლილობას უჩიოდა და 1919 წლის 11 დეკემბერს ფაკულტეტს მიმართავდა: „ორი წლისა და ნახევრის განუწყვეტელი მუშაობისაგან უნივერსიტეტის გამგეობაში და ფაკულტეტზე მეტად დავიღალე და ამიტომ დეკანობას თავს ვანებებ. გთხოვთ ახალი დეკანის არჩევნები დაუყოვნებლივ მოხდეს“. ამავე წლის 17 დეკემბერს მეცნიერი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს თავმჯდომარეს:

„ბატონო თავმჯდომარევ! თუ ვინიცობაა, პროფესორთა საბჭოს კრებაზე ჩემი კანდიდატურა წამოყენებულ იქმნა უნივერსიტეტის რექტორობის თანამდებობაზე არჩევის დროს, გთხოვთ ამ ჩემი წერილობითი განცხადებით აუწყოთ საბჭოს, რომ მე უარს ვამბობ მეტისმეტი დაღლილობის გამო კანდიდატობაზე და თანაც გთხოვთ იმ პირთა სიითგან, რომელთაც რექტორობაზე კენჭი ეყრებათ, ჩემი გვარი ამოშალოთ“.

პროფესორთა საბჭომ არ გაითვალისწინა მეცნიერის ეს თხოვნა, რადგან მიიჩნიეს, რომ თუ ივ. ჯავახიშვილი თავისი ჩვეული ენერგიულობით არ ჩაუდგებოდა სათავეში უნივერსიტეტს, შეიძლებოდა ეს დიდი წამოწყება ჩასაშლელად განწირულიყო...

1919 წლის 24 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილი აირჩიეს რექტორად. ამ თანამდებობაზე იგი 1926 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა. ეს დრო ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის შემდგომ კეთილდღეობას მოახმარა. მისი საზრუნავი და სამოქმედო არე მრავალმხრივი იყო. იგი ცდილობს, გაზარდოს და აამაღლოს უნივერსიტეტის პროფესურის დონე, იბრძვის პროფესორ-მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესებისათვის, იწვევს სპეციალისტებს სხვადასხვა ქვეყნიდან და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი თანდათან იზრდებოდა, მძლავრდებოდა, იფურჩქნებოდა და საყოველთაო აღიარებას პოულობდა. თვით პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი ხმამაღლა აცხადებდა: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი,

სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება".

1923 წელს გაზეთი „ლომისი" წერდა: „მხოლოდ ერთი ადამიანი ჩასწვდა გულის სიღრმეში საქართველოს სინამდვილეს და განაცხოველა მშვენიერი ტრადიციები ქართული ისტორიული მეცნიერებისა. ეს ადამიანია ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილი მშრალი მეცნიერი თეორეტიკოსი კი არ არის, იგი, ამასთანავე ერთად, არის პრაქტიკული მოღვაწე-ენთუზიასტი, რომელიც თავის კეთილშობილ სულში ატარებს საქართველოსა და მეცნიერებისადმი ჩაუქრობელ ცეცხლს სიყვარულისას, მხოლოდ ამ სიყვარულმა შეაძლებინა ივანე ჯავახიშვილს, ყოველგვარი დაბრკოლებანი გადაელახა და საფუძველი ჩაეყარა ქართული უნივერსიტეტისათვის. ქართული უნივერსიტეტი უდიდესი კულტურის შენაძენია, და საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის სახელი ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი".

ბევრი სირთულე შეხვდა ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტში მოღვაწეობისას. 1925 წელს მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. დიდი მეცნიერი შეებრძოლა ამგვარ ქმედებას და ძვირადაც დაუჯდა. 1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და პრაქტიკულად ჩამოაცილეს უნივერსიტეტს. 1930 წელს საერთოდ გაუქმდა უნივერსიტეტი. მისი წიაღიდან ორი უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა. საბედნიეროდ, 1933 წელს უნივერსიტეტი კვლავ აღდგა. საბჭოთა კავშირში გაჩაღებული ბრძოლა „კონდრატიევშჩინის" წინააღმდეგ საქართველოსაც გადმოსწვდა და უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა „ძველი პროფესურა". ივანე ჯავახიშვილს ბრალად ედებოდა, რომ მისი რექტორად ყოფნის დროს უნივერსიტეტში არ წაკითხულა არც ერთი მარქსისტული ლექცია. ამ წლებში ივანე ჯავახიშვილს ღიად „აკრიტიკებდნენ". მეცნიერი სულგრძელად იტანდა დაუმსახურებელ შეურაცხყოფას. 1936 წლის მიწურულიდან ვითარება შეიცვალა. ივ. ჯავახიშვილს გარკვეული ყურადღება მიაქციეს – იგი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად და ა. შ.

1938 წლის 25 მაისს უნივერსიტეტის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი სესია საგანგებოდ მიესალმა უნივერსიტეტის დამაარსებელს – ივ. ჯავახიშვილს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ივ. ჯავახიშვილი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ეს უნივერსიტეტის დამაარსებლის ღვაწლის დიდი აღიარება იყო.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ივ. ჯავახიშვილი დარჩა ერთგული გულშემატკივარი საკუთარი პირმშოსი – თბილისის უნივერსიტეტისა.

ცოდნის უკვდავი ტაძრის დაარსებისათვის იმით გამოხატა ქართველმა ხალხმა თავისი დიდი პატივისცემა ივ. ჯავახიშვილისადმი, რომ სასიქადულო მამულიშვილის ნეშტი უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალა...

* * *

ახლა მოკლედ, ფრაგმენტულად გავეცნოთ ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისეთ მხარეებს, როგორიცაა: დიდი მეცნიერის დამოკიდებულება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, აგრეთვე, მისი ზრუნვა ქართული ენციკლოპედიის შექმნისა და კონსერვატორიის სწორად ორგანიზებისათვის. ცალკე გამოვყოფთ ივ. ჯავახიშვილის სამუზეუმო საქმიანობას.

ივ. ჯავახიშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

ივ. ჯავახიშვილს მჭიდრო საქმიანი კონტაქტი ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. მეცნიერი საქართველოს ისტორიის კვლევისას ფართოდ სარგებლობდა საზოგადოების ფონდებში დაცული საბუთებით. ივ. ჯავახიშვილი სიამოვნებით გამოეხმაურა საზოგადოების საგამომცემლო რედაქციის წინადადებას სახელმძღვანელოების შედგენისა და შემდგომ მათი გამოცემის შესახებ. იგი ატყობინებს რედაქციას, რომ ამ საკითხზე თავის მოწაფეებსაც მოელაპარაკა და სასურველად ჩათვალეს, დაიწეროს ორი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებაში: აქედან ერთი – ზოგადი ენათმეცნიერების, მეორე – ქართული ენათმეცნიერებისა. ამ წიგნების დაწერა თავს უდვიათ იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეს. თავის მხრივ, ივ. ჯავახიშვილმა შესთავაზა საზოგადოებას, რომ საჭირო იყო ძველ აღმოსავლეთის ზოგადი ისტორიის შექმნა. ამ წიგნის ავტორად მან რეკომენდაცია მ. წერეთელს გაუწია. ივ. ჯავახიშვილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გზამკვლევის ტიპის საცნობარო ლიტერატურის გამოცემასაც სთავაზობდა.

თავის მხრივ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდად აფასებდა ივ. ჯავახიშვილს, მის ღრმად მეცნიერულ შრომებს და ყოველგვარად უწყობდა ხელს მეცნიერს.

ივ. ჯავახიშვილი და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით. ამ საზოგადოებამ მიზნად დაისახა, შეეგროვებინა, შეენახა და შეესწავლა ისტორიული, არქეოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალები როგორც ძველი საქართველოსი, ასევე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა. ივ. ჯავახიშვილი იმთავითვე აქტიურად ჩაება საზოგადოების საქმიანობაში. პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული მეცნიერი ქართული უნივერსიტეტის რექტორის მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობის შესრულებასთან ერთად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარედაც მუშაობდა. საზოგადოებამ ბევრი საინტერესო და სასარგებლო საქმე გააკეთა. მან შემოიკრიბა იმ დროის ყველა გამოჩენილი მოღვაწე და სალექციო საქმიანობითა თუ ექსპედიციების მოწყობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. საზოგადოებას 1925 წელს მოუწყვია ორი ექსპედიცია ზემო იმერეთში უბისის ტაძრის კედლის მხატვრობის შესწავლისა და ფიქსაციისათვის (ექსპედიციებს ხელმძღვანელობდა შ. ამირანაშვილი, ფოტოგრაფი იყო თ. კიუნე). ექსპედიციებმა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და საზოგადოების განკარგულებაში მოექცა უმდიდრესი აღწერილობითი და ფოტოგრაფიული მასალა ქართული ხელოვნების ამ პირველხარისხოვანი ძეგლის შესახებ. შ. ამირანაშვილს გადმოუღია აგრეთვე ორი ფრესკის პირი. საზოგადოების გამომცემლობა უსახსრობის გამო, როგორც წინა წლებში, 1925 წელსაც შეჩერებული ყოფილა.

დღემდე შემორჩენილი მიმოწერიდან ნათლად ჩანს, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მძიმე პირობებში უხდებოდა საქმიანობა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების გამგეობა მაინც დაუცხრომელ მოღვაწეობას ეწეოდა.

აი, ერთი ამონაწერი საზოგადოების სხდომის ოქმიდან:

„ამონაწერი

საზოგადოების სხდომის №24(3) ჟურნალიდან (6 თებერვალი 1924 წ.).

სხდომა დაიწყო დილის $11^1/_2$ საათზე.

თავმჯდომარეობდა ივ. ჯავახიშვილი.

დაესწრნენ: დ. კარიჭაშვილი, კ. კეკელიძე, ირ. სონღულაშვილი, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ამირანაშვილი, ს. გიორგაძე, გ. ჩუბინაშვილი.

მუხ. 12. მოისმინეს: გიორგი ამირეჯიბის წერილობითი განცხადება, 1924, II, 5 თარიღით, მის მიერ მუზეუმში შესაძენად წარმოდგენილის ორი ნივთის შესახებ:

ვახტანგ ბატონიშვილისეული ზარნიშიანი თოფისა, რომელსაც აფასებს ექვს ჩერვონეცად, და ორპირიანი ნაჯახისა („სეკირისა"), რომელსაც აფასებს ოთხ ჩერვონეცად.

დაადგინეს: ორივე ნივთი ერთად შეფასებულ იქნას ექვს ჩერვონეცად.

საზოგადოების მდივანი: ს. გორგაძე.

1924 წ. 18. II".

ივ. ჯავახიშვილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ედგა 1927 წლამდე, ვიდრე მეცნიერი გარკვეული საპატიო მიზეზების გამო თავისივე თხოვნით არ გადადგა ამ თანამდებობიდან. ამასთან დაკავშირებით იგი დავით კარიჭაშვილის (იმდროისათვის საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობა ეკავა) წერდა:

„ტფილისს
1927. 11. VI.

ღრმად პატივცემულო ბატონო დავით!

ამასთანავე გაახლებთ ჩემ განცხადებას საქართველოს საისტ.-საეთნ. საზოგადოების თავმჯდომარეობისაგან იქ აღნიშნული საპატიო მიზეზის გამო გადადგომის შესახებ. გთხოვთ იგი საბჭოსა და საზოგადოების მორიგ სხდომას მოახსენოთ და წესდების ძალით თავმჯდომარეობას შეუდგეთ. გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენც პირადად და საბჭოს ყველა წევრსაც სათითაოდ და საერთოდ თანხმობრივი მუშაობისათვის. გადადგომის შემდგომაც მომავალშიც მზად ვარ, რითაც კი შემიძლიან, საზოგადოებას დახმარება გავუწიო და ვემსახურო.

მარად თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი".

ივ. ჯავახიშვილი მართლაც ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში და თავისი დაუღალავი შრომით ფასდაუდებელი ამაგი დასდო, დიდი ავტორიტეტი შეუქმნა ამ საზოგადოებას.

კონსერვატორიის საკითხი

ივ. ჯავახიშვილი, როგორც ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე, ყოველთვის და ყველა მნიშვნელოვან საქმეში თავის კვალს ამჩნევდა, თანაც მის მონაწილეობას ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში მხოლოდ აზრის გამოთქმის, ან დებულების წამოყენების სახე კი არ ჰქონდა, არამედ მეცნიერისათვის ჩვეული სიღრმით შესწავლის შემდგომ, პრაქტიკულად გადაჭრას ისახავდა მიზნად. აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის დიდი დაინტერესება საქართველოს კონსერვატორიის მოღვაწეობითა და მისი საქმიანობის უფრო რაციონალურად მოწყობით. საერთოდ, მეცნიერის დიდი ღვაწლი ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლაში საყოველთაოდ ცნობილია. 1922 წლის 17 მაისს ივ. ჯავახიშვილმა საგანგებო მოხსენებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს საქართველოს კონსერვატორიის შესახებ. „ამჟამად უკვე უდავოა ყველასათვის, – აღნიშნავდა მეცნიერი, – რომ ჩვენი ეროვნული მუსიკა თანდათანობით წარმატების გზას ადგია და დიდი ღირებულების შექმნისა და კარგი მომავლის იმედს გვაძლევს,

თუ ჩვენ შესაფერისი მზრუნველობა გავუწიეთ ამ განახლების ხანაში მყოფ ნორჩსა და სათუთს საქმეს, რომელსაც სათავეში ორი თანამედროვე ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი უდგას“.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ყველაზე უფრო სახიფათო ახალი მუსიკალური კულტურისა და ტექნიკური ხელოვნების უცოდინარობა იყო. მუსიკალურ ნაწარმოებს შესაფერისად მომზადებული და გაწვრთნილი შემსრულებელი სჭირდებოდა (განსაკუთრებით საოპერო ნაწარმოებებს).

ივ. ჯავახიშვილი მკვეთრად გამოყოფდა იმ ორ მიზანს, რომელიც საქართველოს კონსერვატორიას უნდა ჰქონოდა დასახული. ერთი მხრივ, კონსერვატორია „მუსიკალური შემოქმედებისა და კვლევა-ძიების იმ კერად უნდა გახდეს, რომელიც სხვებს ახალ გზებს დაანახვებს, საუკეთესო მაგალითს მისცემს და მუსიკის ხელოვნების წარმატებას სათავეში ჩაუდგება“, მეორე მხრივ, კონსერვატორია საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიმართავდა წინადადებით, რომ კონსერვატორიის წესდების პირველი პარაგრაფის პირველი მუხლი ასე ჩამოყალიბებულიყო: „§1. ტფილისის კონსერვატორია საქართველოს უმაღლესი სამუსიკო დაწესებულება და სასწავლებელია და მის მიზანს შეადგენს, უმაღლესი მუსიკალური განათლება მისცეს იმ პირთ, რომელთაც მუსიკის ხელოვნება თავის განსაკუთრებულ სპეციალობად და სამოქმედო ასპარეზად აქვთ არჩეული, და თანაც მუსიკალურ კვლევა-ძიებასა და შემოქმედებას სათავეში უდგეს და თანაც ამ ხელოვნების კულტურის ამაღლებასა და წარმატებას საქართველოში ხელი შეუწყოს“.

ივ. ჯავახიშვილს საქართველოს კონსერვატორიის დანიშნულება შემოქმედებისა და კვლევა-ძიების სფეროში შემდეგნაირად ესახებოდა: ერთი მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს ძველი ქართული მუსიკის მეცნიერულ შესწავლას, ახლის აყვავებისათვის ზრუნვას, მეორე მხრივ – მახლობელი აღმოსავლეთის, სომხების, მთიელთა, სპარსელების, თურქების და სხვათა მუსიკის შესწავლას. კონსერვატორის პროგრამაც შესაბამისად უნდა ყოფილიყო შედგენილი. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ კონსერვატორიის სასწავლო გეგმა სამ ნაწილად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: 1. მუსიკის თეორიული საგნები, მუსიკალური შემოქმედების თეორია და ისტორია, 2. საკრავების მუსიკა, 3. სიმღერა-გალობა. მეცნიერი აყენებდა წინადადებას, რომ ეს დებულებაც ცალკე მუხლად (§2) ჩამოყალიბებულიყო კონსერვატორიის წესდებაში. შემდეგ კონსერვატორიის პედაგოგთა პირადი შემადგენლობის შერჩევის პრინციპების შემცველი მუხლები უნდა ყოფილიყო. ასე მაგალითად: „§3. კონსერვატორიის პროფესორად პირველი დარგისათვის შეიძლება ისეთი ხელოვანი იყოს, რომელსაც საქართველოს ან ევროპის ერთ-ერთი კონსერვატორია აქვს გათავებული, რომელიც თავის ხარისხით საქართველოს კონსერვატორიას უდრის, თანაც დოქტორის ხარისხი აქვს მოპოვებული დისერტაციით ან სამეცნიერო გამოკვლევის სახით, ან საკუთარი რთული სამუსიკო შემოქმედების წარდგენით, რომლითგანაც ავტორის ნიჭი და მუსიკის ტექნიკის ზედმიწევნით ცოდნა ნათლად ჩანს (ოპერის მოქმედება ამ სიმფონია, ან კვარტეტი). §4. დისერტაცია კონსერვატორიის პროფესორთა საბჭოსაგან განხილული, მოწონებული და მუსიკის დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად ღირსად უნდა იყოს ცნობილი ფარული კენჭისყრით სათანადო საბუთების განხილვის შემდგომ. ამასთანავე, პროფესორად შეიძლება არჩეულ იყოს მხოლოდ ის დოცენტი, რომელსაც უკვე სამი წლის სტაჟი აქვს განვლილი. §5. მეორე და მესამე დარგის დოცენტებს უნდა კონსერვატორია ჰქონდეთ გათავებული ან მუსიკის დოქტორის ხარისხი ჰქონდეთ ან ცნობილი იყვნენ და სახელი ჰქონდეთ მოხვეჭილი თავიანთი არტისტული ხელოვნებით და მუსიკის მასწავლებლობის ან პროფესორის ასისტენტობის 3 წლის სტაჟი მაინც მოეპოვებოდეთ, ხოლო პროფესორად შეიძლება მხოლოდ ის დოცენტი იყოს არჩეული, რომელსაც

5 წლის დოცენტობის სტაჟი აქვს, თუ უხარისხოა, და 3 სტაჟი, თუ ხარისხიანია. არჩევანი სათანადო საბუთების განხილვის შემდგომ ფარული კენჭისყრით უნდა მოხდეს".

მეცნიერი მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ პირველ ხანებში, სანამ ეროვნული კადრები შეიქმნებოდა პროფესორ-მასწავლებლებისა, საჭირო იყო უცხოელი სპეციალისტების მოწვევა. იგი იმასაც ითვალისწინებდა, რომ რაკი კონსერვატორიის წესდება ავტონომიის პრინციპზე იყო აგებული, პირველ ხანს ხმის უმრავლესობა უცხოელებს ექნებოდათ და შესაძლო იყო, მთელი რიგი ღონისძიებებისა განუხორციელებლი დარჩენილიყო (რადგან უცხოელები არ იქნებოდნენ ამით დაინტერესებული). ამიტომ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ავტონომიის განხორციელებისათვის შესაფერისი პირობების შექმნამდე, კონსერვატორიის პროფესორისა და დოცენტის საბოლოო არჩევანი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ხელში უნდა ყოფილიყო.

დღეს, როცა ვლაპარაკობთ ქართული მუსიკალური და საშემსრულებლო ხელოვნების მაღალ დონესა და განვითარებაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საქმის საწყისებთან ჩვენი საუკუნის ოციან წლებში მტკიცე ბურჯად იდგა ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილი და ქართული ენციკლოპედია

ასიოდე წლის წინ ქართველმა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებმა მოიწადინეს ენციკლოპედიის გამოცემა. ამ საქმეს სათავეში ედგნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე სწავლულები: პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი და მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი.

„საქართველოს ენციკლოპედიის" გამოსაცემად 1904 წელს შეიქმნა ამხანაგობა „ცისკარი", რომლის გამგეობაში შევიდნენ: ი. გოგებაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, პ. გოთუა, პ. თუმანიშვილი, კ. თუმანიშვილი და ი. მაჭავარიანი. მოწვეულ თანამშრომელთა შორის იყვნენ ცნობილი მოღვაწეები: ზ. ავალიშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. თამარაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, პ. მელიქიშვილი და სხვ. ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

ლექსიკოლოგიური მუშაობის აღორძინება XX საუკუნის 20-30-იან წლებში იწყება. იქმნება რამდენადმე ხელსაყრელი პირობები მოსახლეობის ფართო მასების სწავლა-განათლებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, გაიზარდა მოთხოვნილება ენციკლოპედიურ-სალექსიკონო ლიტერატურაზე.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთავრობის მიერ სათანადო გადაწყვეტილებათა მიღება ამიერკავკასიის ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ. ამას მოჰყვა საკავშირო კპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წლის 15 სექტემბრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც გადაწყდა, ცალ-ცალკე ყოფილიყო გამოცემული ენციკლოპედიები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოყო „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" სარედაქციო კოლეგია, რომელმაც ფართო საორგანიზაციო მუშაობა გაშალა. შემორჩენილი საარქივო მასალა ნათლად გვიჩვენებს ივ. ჯავახიშვილის აქტიურ მონაწილეობას საენციკლოპედიო საქმიანობაში. იგი იყო ავტორი სტატიებისა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესახებ; ხელმძღვანელობდა ისტორიის, ეკონომიკისა და სამართლის სიტყვანების შედგენას; „ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის" პირველი ტომისათვის მზად იყო ივ. ჯავახიშვილის სტატიები: „ანბანი", „ანდრია მოციქული" და სხვ. ეს სტატიები დღესაცაა შემორჩენილი (სხვადასხვა მიზეზის გამო იმხანად ქართული ენციკლოპედიის გამოცემა ვერ მოხერხდა). ისინი იმდენად მაღალმეცნიერულ დონეზეა დაწერილი, ენციკლოპედიური სტილის დაცვით, რომ დღესაც არ დაუკარგავს თავიანთი მეცნიერული

ღირებულება. არ იყო შემთხვევითი, რომ ახალ გამოცემულ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, სხვა ავტორების მასალებთან ერთად, დაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწერილი სტატიები.

სამუზეუმო მოღვაწეობა

ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა სამუზეუმო საქმიანობას. 1931 წელს იგი მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა. აქედან მოყოლებული იწყება ივ. ჯავახიშვილის ფართო მოღვაწეობა მუზეუმში. მეცნიერი აყენებს საკითხს საქართველოს მუზეუმში საისტორიო განყოფილების დაარსების შესახებ. როგორც ჩანს, ამ წინადადებას თავდაპირველად მუზეუმის ზოგიერთი თანამშრომელი თანაგრძნობით არ შეხვედრია. ივ. ჯავახიშვილი კი მთელი ძალით განაგრძობდა ამ განყოფილების დაარსების აუცილებლობის მტკიცებას. აი, საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში დაცული ივ. ჯავახიშვილის ერთი მოხსენება მუზეუმში საისტორიო განყოფილების დაარსების აუცილებლობაზე:

„საქართველოს მუზეუმის დირექტორს:

ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ საქართველოს მუზეუმის საბჭოს სხდომაზე მუზეუმში არქეოლოგიური განყოფილების ქონების გაანალიზების საკითხის განხილვის დროს აღვნიშნე, რომ აუცილებლად საჭიროა, საისტორიო განყოფილება დაარსდეს. ამ აზრს არქეოლოგიური განყოფილების გამგე გ. ნიორაძე და მისი თანაშემწე ს. მაკალათია წინ აღუდგნენ. პირველ სხდომაზე საკითხი დაუმთავრებელი დარჩა და შემდეგ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო. პირველი სხდომის შემდეგ ზემოდასახელებულ ორ პირს მუზეუმის დირექტორისათვის წერილობითი განცხადება წარედგინათ, რომელშიც ამტკიცებდნენ, თითქოს ზემოაღნიშნული წინადადება მარქსისტულ და საბჭოთა მეცნიერების მთელ გეზს ეწინააღმდეგებოდეს. ამაზე ჯეროვანი პასუხის გაცემას ვაპირებდი მეორე სხდომაზე, მაგრამ არ ვიცი რა მიზეზით, მეორე სხდომა აღარ ყოფილა მოწვეული და საკითხები სამუზეუმო ქონების განყოფილებათა შორის განაწილებისა და საისტორიო განყოფილების დაარსების შესახებაც გადაუწყვეტელი დარჩა. საკავშირო და საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო და მთავრობის ორგანოების გამოცემულ განკარგულებათა შემდგომ ისტორიის შესახებ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში იმ მოსაზრებას, რომელიც საქართველოს მუზეუმის საბჭოს სხდომაზე მქონდა გამოთქმული, უკვე ბევრი დასაბუთება აღარ სჭირდება, მით უმეტეს ზედმეტი იქნებოდა გ. ნიორაძისა და ს. მაკალათიას განცხადებათა სრული უსაფუძვლობის დამტკიცება. მთავრობის განკარგულებამ, საბედნიეროდ, ისტორიაში ასეთ ნავარდსაც ბოლო მოუღო, საისტორიო მეცნიერებისა და ცოდნის უაღრესი მნიშვნელობაც დააკანონა, კვლევა-ძიებისა და სწავლების კონკრეტულობა და ისტორიის პერიოდიზაციის საკითხიც უცილობელი და სავალდებულო გახადა...“

ივ. ჯავახიშვილის დასაბუთებული მოთხოვნით, მუზეუმში შეიქმნა ისტორიის განყოფილება. 1936 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ამ განყოფილებას განაგებდა ივ. ჯავახიშვილი. მან შეადგინა მუზეუმის მუშაობის გარდაქმნის პროექტი, რომელშიც სამუზეუმო მეცნიერ-მუშაკების მომზადებასაც დიდი ადგილი დაუთმო.

ივ. ჯავახიშვილის ღრმა მეცნიერული ცოდნა, დიდი ნიჭიერება და ფაქიზი გემოვნება თვალნათლივ გამოჩნდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენის მოწყობისას, რომელსაც იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა. მეცნიერმა მეტად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა არქეოლოგიური გამოფენის მოწყობის თაობაზე. ყურადღება გაამახვილა არა მხოლოდ გამოფენის სტრუქტურის, არამედ მუზეუმის მუშაობისა და, კერძოდ, არქეოლოგიური მასალის გამოყენების თვალსაზრისით. იგი უდიდესი სიამოვნებით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს მუზეუმის ამ განყოფილებაში დაცული მნიშვნელოვანი და საინტერესო არქეოლოგიური საგანძური, რომელიც აქამდე უსისტემოდ და უქმად იყო,

მეცნიერებისათვისაც მთელი შესაძლებლობით ჯეროვნად გამოუყენებელი რჩებოდა, ხოლო ფართო საზოგადოებისათვის სრულებით მიუწვდომელი იყო, ახლა გამოიფინებოდა და ყველა დაინტერესებულს მისი ნახვა და შესწავლა შეეძლებოდა.

ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ძველი სამარხების გათხრისას აღმოჩენილი ნივთების გამოფენას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. მოითხოვდა, ისე მოწყობილიყო გამოფენა, რომ „დამთვალიერებელს სრული საშუალება ჰქონდეს მაშინდელი ადამიანის ნივთიერი ავლადიდება და კულტურის დონე შეძლებისამებრ სრულად წარმოიდგინოს. ამისთვის სხვადასხვა დროისა და სახეობის სამარხები გამოფენილი უნდა იყოს მთელი თავისი აგებულება-მოწყობილობითურთ. სამარხების ასე უხვს გამომზეურებას და მთელი გამოფენის მოწყობასაც იმ მხრივაც მიექცეს ყურადღება, რომ მთელი ეს საქმე აღმზრდელობითი მიზნით იქნეს გამოყენებული“.

ივ. ჯავახიშვილმა სამუზეუმო მუშაობის ყველა დარგის გარდაქმნა-გაუმჯობესების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა. იგი თავის ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავდა მუზეუმის ავტორიტეტის გაზრდა-ამაღლებისათვის.

ივანე ჯავახიშვილი და ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შესწავლის საკითხი

ივ. ჯავახიშვილი თავისი დროის მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა დონეზე იდგა და, ამდენად, ისე როგორც ისტორიული მეცნიერების სხვა დარგებს, ხელოვნების შესწავლასაც მაღალმეცნიერული, პირველხარისხოვანი გამოკვლევები უძღვნა.

მაღალი მეცნიერული პრინციპებიდან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილის ინტერესები ფარვანასავით დასტრიალებდა ქართველი ერის კულტურის საკითხებს. ივ. ჯავახიშვილი კარგად იცნობდა ჩვენი ქვეყნის თუ ევროპის ხელოვნებაში არსებულ შემოქმედებით მიმდინარეობებს და თავისი დამოკიდებულება ჰქონდა როგორც ყველა მოვლენისა და მეცნიერული თეორიისადმი ზოგადად, ისე კონკრეტულად ხელოვნების საკითხებისადმი. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ივ. ჯავახიშვილმა დაგმო კონსტრუქტივიზმი არქიტექტურაში ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს მიმდინარეობა თავის არსებობას იწყებდა: დაგმო მხატვრობაში შიშველი სიუჟეტურობა და მხარი დაუჭირა სინამდვილის ნათელ და მართებულ ფერებში ასახვას. სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი, რომ „ქართული ხელოვნების საკითხებიც, ქართული ხელოვნების წარსულის შესწავლაც, ხელისშეწყობა დღევანდელი აღმავლობისათვის და მისი მომავალი ბედი ივანე ჯავახიშვილისათვის ისევე ძვირფასნი და ახლონი იყვნენ, როგორ ქართული კულტურის სხვა საკითხებიც“.

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი საქართველოს მეტად მნიშვნელოვან მხატვრულ შემოქმედებას (პლასტიკური ხელოვნების დარგებს – არქიტექტურას, სკულპტურას, ოქრომჭედლობას და სხვ.) და მას ქართველი ხალხის მაღალი კულტურის, დამოუკიდებლობისა და ძლიერების მაჩვენებლად აღიარებდა. საგულისხმოა, რომ მას ჯერ კიდევ 1913 წელს შეუმუშავებია ქართული ხელოვნების ისტორიის შედგენის სათანადო გეგმა, ხოლო 1914 წელს, როგორც ჩანს, „ქართული ხელოვნების ისტორია“ ივ. ჯავახიშვილს უკვე მზად ჰქონია. ამ გამოკვლევის ერთი ნაწილი დაიბეჭდა სათაურით „Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе“.

განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში. მეცნიერი იწონებდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოების საქმიანობას ქართული მხატვრობის ნაშთების გადარჩენისა და გადმოღების მიზნით. იგი აღტაცებული იყო ნაბახტევში მომუშავე მხატვრების (ლ. გუდიაშვილი, გ. ერისთავი, მ. თოიძე და მისი ვაჟი

ერეკლე, მ. ჭიაურელი და დ. შევარდნაძე) საქმისადმი უანგარო სიყვარულით, რაც დაწყებული დიდი აღდგენითი საქმიანობის ნაყოფიერების საწინდარი ჩანდა. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო კულტურის ძეგლების დაცვა-აღდგენის საქმის დროული ხელისშეწყობა და გარკვეული, მიზანშეწონილი სამოქმედო გეგმა.

ივ. ჯავახიშვილმა 1916 წლის აგვისტოში საგანგებო მოხსენება წარუდგინა ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას. ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ, როგორც ცნობილია, თავისი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად დაისახა ქართული ხელოვნების ძეგლების დაცვა-აღდგენა. ივ. ჯავახიშვილი, მიესალმებოდა რა ამგვარ თაოსნობას, ამასთან ერთად, მიზნის მიღწევისა და განზრახული წადილის შესასრულებლად, საზოგადოებას თავის მოსაზრებებს სთავაზობდა. ამოცანის შესასრულებლად ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით სამი გზა არსებობდა: 1. ქართული ხელოვნების ძველი ძეგლების შეგროვება, შენახვა და მეცნიერულ-მხატვრული შესწავლა; 2. თანამედროვე (მხედველობაშია XX საუკუნის 10-20-იანი წლები) ქართული ეთნოგრაფიული მასალების (შინამრეწველობის სხვადასხვა დარგის საგნები, ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა და სხვა ნიმუშები) შეგროვება და შესწავლა; 3. საქართველოს ბუნების („ყოველი ხელოვნების უპირველესისა და დაუშრეტელი წყაროს“ – ი. ჯ.) შესწავლა და „შემოქმედებითი აღბეჭდვა“.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ „სამივე ზემოაღნიშნული გზა ქართული ხელოვნების აღორძინებისა და აყვავებისათვის ერთნაირად და თანასწორად არის საჭირო, რომ მრავალტოტიან ბუმბერაზ კაკლის ხესავით ქართულ განახლებულ ხელოვნებას ფესვები ღრმად და მაგრად ჰქონდეს გამდგარი, თანაც იმ მრავაფეროვნებითა და თავისებურებით იყოს შემკული, რომელიც ყოველ ხელოვნებას დაუჭკნობელს მშვენიერებას და ფასდაუდებელ ღირებულებას ანიჭებს ხოლმე“.

ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართული შინამრეწველობის ნიმუშების შეგროვება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც ჰქონდა მიზნად დასახული და საჭირო მასალებს აგროვებდა კიდეც. ამიტომ ივ. ჯავახიშვილს საჭიროდ მიაჩნდა, რომ ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას ხსენებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან შეთანხმებულად ემოქმედა, რათა ორივე საზოგადოებას ერთი და იმავე საქმისათვის ფუჭად არ შეელია ძალა. შინამრეწველობის აღდგენას იმ დროისათვის ქართული სამეურნეო საზოგადოებაც ეწეოდა და ამიტომაც აქაც გარკვეული შეთანხმება იყო საჭირო.

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის წინადადებით, მომავალი საქმიანობა ზემოაღნიშნულ დარგებში დასახელებულ ამ საზოგადოებათა შორის უნდა განაწილებულიყო, რომ მათ საქმე, თუმცა ცალ-ცალკე, მაგრამ მაინც შეთანხმებულად, ერთიანი ძალით განეხორციელებინათ. მეცნიერი საზოგადოებათა სამოქმედო ასპარეზს შემდეგნაირად განსაზღვრავდა: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება საქართველოს ყოველ კუთხეში საეთნოგრაფიო მასალებს და შინამრეწველობის ნიმუშებს შეაგროვებდა და თავის მუზეუმში მოუყრიდა თავს. ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას თავის მხრივ ეს მასალები უნდა შეესწავლა და დაემუშავებინა, თანაც ქართული მხატვრული შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო სახეების ნიმუშები და სამაგალითო ესკიზები შეედგინა. ქართულ სამეურნეო საზოგადოებას ეთნოგრაფიული მასალები და შინამრეწველობის ნიმუშები ტექნიკურად უნდა შეესწავლა, გაეთვალისწინებინა და გაერკვია მხატვრული შინამრეწველობის განახლებისთვის საჭირო ტექნიკური საკითხები.

ივ. ჯავახიშვილის წინადადებებში, გარდა ამ უდიდესი საქმისადმი დაუღალავი ზრუნვისა, აშკარად მოჩანს დიდი მეცნიერის მაღალმოქალაქეობრივი მრწამსი, მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, მიზანსწრაფული მოქმედება. ივ. ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი და მოქალაქე, ვალდებულად თვლიდა თავს, ერის საგანძურის დაცვის აუცილებლობაზე თავისი მაღალი პოზიციებიდან გაეფრთხილებინა საზოგადოებრიობა.

ივ. ჯავახიშვილი საზოგადოებებს კონკრეტულ პრაქტიკულ გეგმას სთავაზობდა, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში უნდა გადმოხატულიყო და გადმოეღოთ ისეთი ძეგლები, რომელნიც განსაცდელში იყვნენ და რომელთა გადარჩენისათვის დაუყოვნებლივ ზრუნვა იყო საჭირო. ისეთი ძეგლები კი, რომლებიც შედარებით ნორმალურ მდგომარეობაში იყვნენ, საჭიროებისამებრ უნდა გაემაგრებინათ. მთელი ყურადღება განსაცდელში მყოფ ძეგლებზე (ასეთი, როგორც ჩანს, იმ დროს ძალზე ბევრი იყო) უნდა გადასულიყო. მეორე ეტაპად ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლა და გადმოღება-გადმოხატვა. კედლის მხატვრობის შესწავლა მეთოდოლოგიურად სწორად უნდა წარმართულიყო: პირველ რიგში ის ფრესკები უნდა შეესწავლათ, რომელთა შესახებაც გარკვეული ცნობები მოიპოვებოდა, ხოლო შემდეგ – დაუთარიღებელი ნაწარმოებები. მეცნიერი მოითხოვდა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობოდნენ უნიკალურ ისტორიულ ქანდაკებებსა და მხატვრობას, რადგან თითოეული ასეთი დაღუპული ძეგლის აღდგენა და დანაკლისის შევსება აღარ შეიძლებოდა.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართული მხატვრობის ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელი იყო ქართულ ხელნაწერებში დაცული ნახატების მხატვრულ-მეცნიერული გამოკვლევაც. მეცნიერი ხელნაწერების მხატვრული თვალსაზრისით შესწავლას სხვადასხვა მიზნებს უსახავდა: 1. ქართულ ხელნაწერებში დაცული ნახატების, როგორც ხელოვნების ძეგლების, განხილვა-გამოკვლევა, მათი ღირსება-ნაკლის შეფასება; ფერადოვნებისა და ტექნიკური მხარეების შესწავლა, აგრეთვე, მათი სადაურობის დადგენა. 2. კამარათა მწერლობისა და სხვადასხვა არშია-სახეების შესწავლა. ეს, თავის მხრივ, უკავშირდება ჩუქურთმების, კედლის მხატვრობის, ოქრონაჭედი არშიებისა და სახეების შესწავლას (ბუნებრივია, მათი შედარებითი განხილვა მეტად მნიშვნელოვანია ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის). 3. ქართული ხელნაწერების განხილვა სამწიგნობრო ხელოვნების შესწავლის მიზნით, რათა გაირკვეს მხატვრული ანბანისა და სხვადასხვა ხელის (საზენაო, ხუცური და მხედრული, ასომთავრულისა და დაქსელილის და სხვ.) განვითარების გზა.

ივ. ჯავახიშვილმა პრაქტიკულად დასახა ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევის პრინციპები, მეთოდები და კონკრეტული გეგმები. სწორედ ეს პრინციპები დაედო საფუძვლად ხელოვნების ისტორიის ისეთი დარგის კვლევას, როგორიცაა კედლის მხატვრობა.

ივ. ჯავახიშვილი, მონუმენტურ მხატვრობასთან ერთად, უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს და მათი მეცნიერული შესწავლა პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა. მეცნიერი თვითონ პირადად იღებდა გარკვეულ, მეტად ქმედით ზომებს ხუროთმოძღვრების ძეგლების დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად.

1924 წლის აპრილში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს სხდომაზე დაისვა საკითხი მუზეუმის დაარსების შესახებ. ივ. ჯავახიშვილმა (იგი იმხანად უნივერსიტეტის რექტორი და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე იყო) ამ საკითხს პრაქტიკული გადაწყვეტა მოუნახა: უნივერსიტეტის ეზოში მოთავსებული ეკლესია, რომელიც სხვადასხვა სამეურნეო საქონლის საწყობს წარმოადგენდა, უნდა გაეთავისუფლებინათ და გადაეცათ ხელოვნების კაბინეტისათვის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის შესაქმნელად. აკად. გ. ჩუბინაშვილი იგონებს: „ეს წინადადება იმდენად სადად, სწრაფად და უსიტყვოდ იყო მიღებული, რომ სხდომის ოქმშიაც კი არ შეუტანიათ. ამ აზრს მხარი დაუჭირა მეცნიერების მთავარმა სამმართველომაც, რომელმაც თბილისში ჩამოტანილი და ჩამოსატანი სიძველენი გაამწესა ივანე ჯავახიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯით საძირკველჩაყრილი მუზეუმისათვის“. სამუზეუმო სადგომის განტვირთვა, გასუფთავება-შეკეთება და დარბაზის მომზადება ექსპოზიციისათვის ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ივ. ჯავახიშვილი ყველა ამ საკითხს მხარს უჭერდა და პრაქტიკულად წყვეტდა. ასე შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით და დახმარებით უნივერსიტეტში ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი.

ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის გასაოცარ გულისხმიერებით ეპყრობოდა მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს. იგი არაერთგზის ამახვილებდა მთავრობის ყურადღებას ხელოვნების ძეგლების დაცვის ორგანიზაციის მოწესრიგებაზე. საქართველოს ცკ-თან მაშინ არსებულმა ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტმა, საქართველოს ცკ-ის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის მითითებით, როცა თხოვნით მიმართა სრულიად საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ივ. ჯავახიშვილმა პირველმა მოაწერა ხელი მოხსენებით ბარათს. ამ მოხსენებითი ბარათის განხილვის შემდეგ სრულიად საკავშირო სახკომსაბჭომ საქართველოს ძველი კულტურის ძეგლების რესტავრაციისათვის ხუთი მილიონი მანეთი გამოყო. აღნიშნულის წყალობით საქართველოში დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა და წარსულის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ივ. ჯავახიშვილი ქართული ხელოვნების ძეგლების დაცვა-შესწავლასთან ერთად, არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა გამოფენების ორგანიზებასა და სამუზეუმო ექსპოზიციების მოწყობას. მეცნიერი ძალზე დაინტერესდა ქართული ხუროთმოძღვრული ისტორიული მასალების მოკლევადიანი გამოფენებით (პირველი გამოფენა მოეწყო 1923 წელს საქართველოს მუზეუმის შენობის ახალდამთავრებულ შენობაში, მეორე – 1925 წელს მაშინდელი სამხატვრო აკადემიის საკლუბო დარბაზში). იგი უდიდესი მხარდაჭერით შეხვდა 1930 წელს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ საზღვარგარეთ მოწყობილ საშუალო საუკუნეების ქართული ხელოვნების გამოფენას.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ივ. ჯავახიშვილის თავგამოდებული, აქტიური მონაწილეობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობაში. ივ. ჯავახიშვილმა 1937 წლის 28 ივლისს მიმართა მთავარ საიუბილეო კომიტეტს, რათა გამოფენის აუცილებელი საჭიროებისათვის დაებრუნებინათ რუსეთის მუზეუმებში დაცული ქართული ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო გატანილი საქართველოდან.

როგორც ჩანს, ქართული სიძველეების ძიება-მოპოვებისა და ჩამოტანის პროცესი დიდხანს გრძელდებოდა. ამის დამადასტურებელია ივ. ჯავახიშვილის მიმართვა, რომელიც გვაუწყებს, რომ 1937 წლისთვისაც ბევრი მასალა ჯერ კიდევ დაუბინავებელი იყო. მეცნიერი ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის ისტორიულ სექტორს და აუცილებლად მიიჩნევდა XI-XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურის წარმოსადგენად ჩამოტანილიყო: 1. X-XIII სს. ოქროქსოვილების 10 ნაჭერი, გატანილი სვანეთიდან 1895 წ. ცნობილი არქეოლოგის გრაფ უვაროვის ცოლის მიერ, 2. ფოლადის ოქროს ზარნიშიანი მუზარადი (ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, დაცული იყო მოსკოვის საჭურვლის პალატაში), რომლის შესახებ ამ მუზეუმის აღწერილობაში ნათქვამია, რომ იგი საქართველოს მეფეს უნდა ჰკუთვნებოდა, 3. მანგლელი ეპისკოპოსის მიტრა XIII საუკუნის, რუსუდან მეფის დროის (გატანილი თბილისის სიონის ტაძრიდან და მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძარში დაცული), 4. სამსჭვალის სასვენებელი (ე. ი. ბუდე) ოქროსი ძვირფასი თვლებითა და მინანქრით შემკული XIII ს., რომელსაც ქართული ასომთავრული წარწერა ჰქონდა: „მეფე ყოვლისა საქართველოისა დავით ძე რუსუდანისა აღმშენებელი წმიდისა სამსჭვლისა სასვენებლის ამის“ (ეს ნივთი ჯერ მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძარში ინახებოდა, 1920 წლიდან ჯვართამაღლების ეკლესიაში გადაუტანიათ, რომლის გაუქმების შემდეგ, 1931 წლიდან, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, საჭურვლის პალატაში უნდა იყოს დაცული).

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის აღსანიშნავ საიუბილეო კრებულში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ გამოფენაზე უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო იმდროინდელი საქართველოს მაღალი კულტურის დონე, როგორც მეურნეობაში, ასევე ყოფა-ცხოვრებაშიც. „ეს ამოცანა მეტად პასუხსაგებსა და ძნელად ასასრულებელს დავალებას წარმოადგენს, რადგან

საქართველოს წარსული, მეურნეობისა და მეტადრე მატერიალური კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, თითქმის სრულებით შესწავლილი არ იყო". ივ. ჯავახიშვილს სრულიად კანონიერად მიაჩნდა, რომ ყოველ გამოფენას თავისი დროის კულტურის დონის ექსპონატები შეეფერებოდა. სამწუხაროდ, საქართველოს მუზეუმებს ასეთი მასალა არ გააჩნდა. ამიტომ ყველაფერი, რისი მოპოვებაც მოკლე დროის განმავლობაში მოხერხდებოდა, უნდა შესწავლილიყო, ხოლო სხვადასხვა დარგის რუსთაველის დროინდელი მასალის შესწავლა-გამომზეურება ცალკეულ მეცნიერებს დაევალათ.

ყველა ეს მასალა ივ. ჯავახიშვილმა შეკრიბა და ზემოდასახელებული კრებულის სახით გამოსცა. მეცნიერი ასეთ შეფასებას აძლევდა ამ გამოცემას: „ამ კრებულის ზემოდასახელებულ წერილს ამოცანისაც და განხილული საკითხების ხანის იგივეობაც აერთებს და მკითხველს XI-XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურის ვითარების გათვალისწინებას ნაწილობრივ მაინც გაუადვილებს... მკითხველი ამ კრებულში მოთავსებული ნაშრომების წაკითხვის შემდეგ საქართველოს წარსულის შესახებ ბევრს სრულებით ახალსა და ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიძენს. პირველი მაგალითია ჩვენში, რომ საქართველოს ისტორია ამ თვალსაზრისით არის განხილული და ერთსა და იმავე დროს მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგის ვითარების წარმოსადგენად ესოდენ საგულისხმო პრობლემებია გადაშლილი".

1946 წელს, ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდგომ, გამოიცა მეცნიერის მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა – „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში)". ამ საკითხის კვლევა ივ. ჯავახიშვილს ჯერ კიდევ პეტერბურგში მოღვაწეობისას დაუწყია და ერთი ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ („Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе") დაუბეჭდავს.

ქართული არქიტექტურის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე (კერძოდ, არქიტექტურის ტერმინოლოგიის შესახებ) მას საჯარო ლექციებიც წაუკითხავს. ამ პრობლემის ირგვლივ მას 1939 წელსაც წაუკითხავს რამდენიმე ლექცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებისა და ხუროთმოძღვართათვის. შრომის დასტამბვა კი აღარ დასცალდა მეცნიერს. ივ. ჯავახიშვილის ლექციები წიგნად გამოსცა ილია აბულაძემ. იგი წინასიტყვაობაში წერს, რომ გამოცემისათვის გამოყენებული იყო, ერთი მხრივ, ავტორის ხელნაწერი ნაშრომი, ხოლო, მეორე მხრივ, ლექციების სტენოგრაფიული ჩანაწერები. ილია აბულაძესთან ერთად ტექსტის სასტამბოდ მომზადებაში მონაწილეობდნენ განსვენებული მეცნიერის შვილები: ნათელა და ალექსანდრე ჯავახიშვილები.

ქართული საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები (სასახლეები, საცხოვრებელი სახლები და ძველი ნაგებობები) შემორჩენილი არ არის. ივ. ჯავახიშვილი სწორედ ამიტომ მიიჩნევდა, რომ კულტურის ისტორიის შესწავლა ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს: 1. წერილობითი წყაროების მიხედვით და 2. ნივთიერი ნაშთების გათვალისწინებით. წერილობითი წყაროები, ბუნებრივია, საშუალებას იძლევა, შეივსოს ის ხარვეზი, რაც საერო ხუროთმოძღვრების ძველი ძეგლების დაღუპვითაა გამოწვეული. ივ. ჯავახიშვილმა თავი მოუყარა ხელოვნების ძეგლების შესახებ ყველა იმ მასალას, რომელიც იმ დროისათვის არსებობდა და საკითხი დიდი მეცნიერული სიზუსტით გააშუქა. მის მიერ ჩატარებულ ამგვარ შრომას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო და მეცნიერულ ყამირს წარმოადგენდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფ. ნ. კონდაკოვის გამოკვლევას ქართული კულტურის ძეგლების შესახებ). ივ. ჯავახიშვილი თავისი გამოკვლევის შესავალში ასეთ შენიშვნას აკეთებს: „კვლევის იმ საფეხურზე, რომელზედაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, არაერთი საკითხი რჩება გაურკვეველი. მომავალში მხოლოდ, როდესაც მრავალრიცხოვანი მკვლევარები აიღებენ ამ საგანს თავისი შესწავლის ობიექტად, სულ სხვა მდგომარეობა იქნება. ამჟამად ჩვენ მხოლოდ იმას გადმოვცემთ,

რისი გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს და ისიც არასპეციალისტს ამ დარგში. ამ საკითხზე ვმუშაობ და ვმუშაობდი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისტორიკოსმა უნდა იცოდეს წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სინამდვილე, რასაც მარტო სიტყვიერი მასალით ასე კარგად ვერ წარმოადგენს კაცი, როგორც ნივთიერი მასალით“.

ივ. ჯავახიშვილის ამ წიგნს „დამატებანი“ აქვს. ეს დამატებანი სრულიად მართებულად შეუტანიათ წიგნის გამომცემლებს.

პირველი დამატება – „Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе“ – ფაქტობრივად შევიდა ივ. ჯავახიშვილის ზემოგანხილულ გამოკვლევაში, მაგრამ მის ცალკე გამოქვეყნებას დამატების სახით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერის მიერ აღებული პრობლემით დაინტერესებისა და კვლევის ისტორიის გარკვევისათვის.

მეორე დამატებაა: „ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების ამოცანები“. ეს პრობლემა მეცნიერმა ლექციის სახით გააცნო ხელოვნების მუშაკებს. ივ. ჯავახიშვილმა მთელი სიგრძე-სიგანით დასვა თანადროული ქართული მშენებლობის პრობლემები. იგი წუხდა, რომ საკითხთა მთელი რიგის შეუსწავლელობის გამო „ქართული ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივი თვისებების დახასიათება, ამ დარგის შესწავლა თანამედროვე მდგომარეობაში ყოველს ჩვენგანს მხოლოდ ზოგადად შეუძლიაო“. მეცნიერი „კონკრეტული, ფორმულებად ჩამონაკვთილი სახით, დებულებათა და კანონების დასახელებას“ მოითხოვდა. „განა შესაძლებელია განახლებული ფართო ქართული მშენებლობა იმ სისწრაფითა და იმ მასშტაბით, რომელიც საქართველოს კულტურისათვის არის საჭირო, წესიერად და მიზანშეწონილად, თანაც მხატვრული გემოვნებითა და სილამაზით განხორციელდეს, თუ რომ ქართული ხუროთმოძღვრების ძირითადი კანონები გარკვეული არ იქნება?“ – კითხულობდა ივ. ჯავახიშვილი და დაუშვებლად თვლიდა, რომ იმჟამად თითოეული ხუროთმოძღვარი იძულებული იყო, თავის მოსაზრებასა და გემოვნებას დამყარებოდა და საკუთარი სურვილისამებრ წაებაძა ამა თუ იმ ძველი ქართული ძეგლისათვის. ამიტომ, ბუნებრივია, ხუროთმოძღვართა მუშაობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. „... ამ გზითა და ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისა და თეორიის ცოდნის წინანდელი მარაგითა და დროით ახალი ქართული ხუროთმოძღვრების, გინდ ცალკეული დიადი და სამარადისო ღირებულების ძეგლების შექმნა სრულებით შეუძლებელია“ – ხმამაღლა აცხადებს მეცნიერი და კონკრეტულ ამოცანებს უსახავს ქართველ ხუროთმოძღვართ. იგი მოითხოვდა, რომ სამშენებლო ხელოვნებაში აუცილებლად ყოფილიყო გათვალისწინებული ქართველ ხალხში საუკუნეების წინ დამკვიდრებული ტრადიციები.

ივ. ჯავახიშვილი უკიჟინებდა თავისი დროის მხატვრებს წარსულის მდიდარი მხატვრული კულტურის გაცნობისა და გონივრული ათვისებისადმი გულგრილობას. ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილი თავის წერილში (ასევე ლექციაში) წარსულის ხელოვნების მემკვიდრეობის უცილობელ ათვისებას და მონუმენტური ქანდაკებისა და კედლის მხატვრობის აღორძინებას მოითხოვდა, აგრეთვე, აუცილებლად მიაჩნდა ქართული ისტორიული მხატვრობის ჟანრის არსებობა და წიგნის ილუსტრაციებისა და შემკულობისადმი მეტი ყურადღების დათმობა.

ივ. ჯავახიშვილს ხელოვნების ისტორიის ჩამორჩენილობის დაძლევის გზა იმგვარად ესახებოდა, რომ უპირველესად უნდა გაღრმავებულიყო მკვლევართა თეორიული და ისტორიული ცოდნა; ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის დარგების განვითარებისათვის აუცილებელი იყო სათანადო სამეცნიერო დარგების არსებობა. მეცნიერი მადლიერებით მოიხსენიებს იმ ღვაწლს, რომელიც პროფ. გ. ჩუბინაშვილსა (ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია) და პროფ. შ. ამირანაშვილი (მხატვრობის ისტორია) მიუძღოდათ ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევაში, მაგრამ აყენებს საკითხს, რომ კვლევა უფრო ფართო მასშტაბით უნდა წარიმართოს. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი სათანადო სპეციალისტების მომზადებას მოითხოვდა.

მოცემული წიგნის მესამე დამატება არის „ტერმინებისათვის (მოწმობანი)“, რომელშიც მიმოხილულია საქართველოში მშენებლობის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური საკითხები.

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიის ისეთი საკითხი, როგორიცაა, საფენელ-საგებლის, ავეჯისა და ჭურჭლის სახეები ძველ საქართველოში. ისტორიული წყაროების შესწავლა-განხილვისა და შეჯერების საფუძველზე მეცნიერმა დაასკვნა, რომ ნივთიერი კულტურის განვითარება საქართველოში, ამ დარგის ისტორიის თვალსაზრისით, ორ პერიოდად იყოფა. პირველი (უძველესი ხანა) – ავეჯის შემცველი ხანაა, ხოლო შემდეგში, გარკვეული დროიდან მოყოლებული, ავეჯი თანდათან გაქრა და გაჩნდა მოფენილობა – ხალიჩები, ფარდაგები და სხვ. (მეორე პერიოდი).

ივ. ჯავახიშვილის კვლევის სფეროში მოექცა ნივთიერი კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა: ტანისამოსი, ქსოვილები, საომარო საჭურველი, აგრეთვე – ხელსაქმე და სამხედრო საქმე. მეცნიერმა საფუძვლიანად გაარკვია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.

ამგვარად, ზემოგანხილული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის კულტურული მემკვდირეობის შესწავლისა და დაცვის საქმეს. იგი, როგორც მეცნიერი, განუმეორებელ მაგალითს იძლეოდა იმისა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო შესწავლილი ძველი საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია, ხოლო, როგორც მოქალაქე და მამულიშვილი, კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის მებრძოლის ნიმუშს წარმოადგენდა.

სამეცნიერო მემკვიდრეობა წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

XX საუკუნის დასაწყისში, როცა ივანე ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოდიოდა, საქართველოს ისტორიის შესწავლა სათანადო დონეზე ვერ იდგა, მოიკოჭლებდა კვლევის მეთოდოლოგია, ნაკლები ყურადღება ექცეოდა წყაროების კრიტიკულ შესწავლას, ტექსტების აღდგენისა და გამოცემის საქმეს.

ივ. ჯავახიშვილი მოითხოვდა, რომ ყოველი პირველწყარო, ნარატიული ძეგლები იქნებოდა ეს თუ დოკუმენტი მასალა, ჯერ წინასწარ ყოფილიყო შესწავლილი, კრიტიკულად განხილული და შემდეგ გამოყენებული. მეცნიერს აუცილებლად მიაჩნდა თითოეული მემატიანისა და ისტორიკოსის პიროვნების გარკვევა, „რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო – ისე აგრეთვე რა მიზანი ჰქონდა და რა სწამდა მას, როდესაც თავისი თხზულების წერას შეუდგა...“

ივ. ჯავახიშვილი აუცილებელ ამოცანად სახავდა, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო წყაროს ამა თუ იმ ავტორის პიროვნება, განათლება, აზროვნება და, რაც მთავარია, მედასეობა. ივ. ჯავახიშვილმა ფაქტობრივად დაიწუნა „ქართლის ცხოვრების“ იმდროინდელი შესწავლულობა და აჩვენა, რომ „ნინოს ცხოვრებაში“ მოტანილი მასალა – ცნობები მეოთხე საუკუნის კი არ არის, არამედ უფრო გვიანაა შეთხზული. მეცნიერის შეხედულებები წყაროთმცოდნეობაზე რადიკალური იყო.

ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შეაფასა ქართული წყაროების რეალური მეცნიერული ღირებულება, თუ რა უნდა იქნეს მიღებული და რა უარყოფილი. ამასთან, იგი თვლიდა, რომ საქართველოს ისტორია უნდა იქნეს შესწავლილი მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების ისტორიასთან კავშირში. იგი ქართულ წყაროებთან ერთად სწავლობს სხვა ხალხების ისტორიულ წყაროებსაც და სათანადოდ იყენებს ამა თუ იმ საკითხის კვლევისას უცხოურ მწერლობაში დაცულ ცნობებს. ივანე ჯავახიშვილმა შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევა ძველი სომხური

საისტორიო მწერლობის შესახებ, რითაც ფაქტობრივად უდიდესი ამაგი დასდო მეცნიერული არმენოლოგიის შექმნა-განვითარებას.

ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა, შეისწავლა და სათანადოდ შეაფასა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნუსხები (ანასეული და ჭალაშვილისეული), თამარის მეორე ისტორიკოსი (მისივე ვარაუდით – ბასილი ეზოსმოძღვარი), ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, „ხანმეტი ტექსტები“ და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა შექმნა კაპიტალური ნაშრომი – „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“. იგი ოთხი წიგნისაგან შედგება: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)“; „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“; „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“; „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“.

ამ ნაშრომმა იმთავითვე მაღალი შეფასება მიიღო, მოსე ჯანაშვილმა ყამირის მთხრელი გუთანი უწოდა მას („ამ მძლავრმა გუთანმა ბევრი „კაჭაჭი“ ამოაგდო ძირიან-ფესვიანად და საისტორიო ყანობირი საკმაოდ გასწმინდა ღვარძლისაგან“).

ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მარტიროლოგიურ ლიტერატურას. ზოგჯერ მარტვილთა და წმინდათა „ცხოვრებები“ მეტად საინტერესო მასალებს შეიცავს სამოქალაქო ისტორიის შესწავლისათვის. მეცნიერს მიაჩნდა, რომ ნამდვილი ღირსების გაგება ისეთი წყაროებისა, როგორიც დავით აღმაშენებლის და თამარის ისტორიკოსთა თხზულებებია, შეუძლებელია, თუკი თავდაპირველად ბასილი ზარზმელის, გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის საეკლესიო თხზულებები არ გვექნება შესწავლილი.

ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა ისტორიის აღმნიშვნელი ტერმინები. მისი ვარაუდით, ძველ საქართველოში ისტორიის გამომხატველ ტერმინად „ცხორება“ ან „ცხოვრება“ იხმარებოდა. იყო ტერმინი „მატიანეც“. ისტორიის ცნების აღმნიშვნელად იყენებდნენ აგრეთვე „ჰამბავს“, ან „ამბავს“.

ქართული საისტორიო მწერლობის ღრმად შესწავლამ ივანე ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ძველი ქართველი ისტორიკოსები საისტორიო მწერლობას მოწიწებით და თავიანთი მოვალეობის პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ეკიდებოდნენ. მათ ღრმად ჰქონდათ გააზრებული, რომ „ჟამთა აღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს“.

ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, თუ როდის დაიწყო და როგორ ვითარდებოდა ქართული ისტორიოგრაფია V-XVIII საუკუნეებში იაკობ ცურტაველიდან ომან ხერხეულიძემდე. ამ გრძელ პერიოდში შეიმჩნევა ისტორიოგრაფიის აღმავლობაც და დაქვეითებაც. ივანე ჯავახიშვილმა ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნია და აჩვენა, რომ ისტორიოგრაფია უშუალოდ ნაწილია ქართველი ხალხის სახელმწიფოებრიობისა, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებისა.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ქართული ისტორიისათვის საწყისები უძველეს დროსაა საძიებელი. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროების საფუძველზე მეცნიერი ასკვნიდა, რომ ქართული ისტორიული აზროვნება განსაკუთრებით VIII საუკუნიდან განვითარდა და XIV საუკუნემდე გრძელდებოდა. იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ბასილ ზარზმელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ჟამთააღმწერელი და სხვანი ქართული ისტორიოგრაფიის მშვენებას წარმოადგენდნენ.

ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ამ პერიოდის ისტორიოგრაფიის მიღწევა იყო: თხრობის საბუთიანობა, გადმოცემულის მთლიანობა და ანალოგიის მეთოდის გამოყენება.

XV-XVI საუკუნეებში ქვეყნის პოლიტიკურ დაქვეითებასთან ერთად ისტორიული მეცნიერებაც დაკნინდა. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან კვლავ ჩნდება ინტერესი ისტორიისადმი. ამ დროის საინტერესო ისტორიკოსია ფარსადან გორგიჯანიძე. XVIII საუკუნეში

ფართო მასშტაბის კულტურული მოღვაწეობა გაშალა ვახტანგ VI-მ, დაწინაურდა ისტორიული მეცნიერებაც. ვახუშტი ბაგრატიონი და პაპუნა ორბელიანი ამ ხანის ისტორიული აზროვნების ღირსეული წარმომადგენლები არიან. ვახუშტი ბაგრატიონმა ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში. მან ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, კარტოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის კვლევას.

XIX საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდნენ: დავით და ბაგრატ ბაგრატიონები, ალ. ჭავჭავაძე, ო. ხერხეულიძე, ნ. დადიანი, ალ. ორბელიანი, პ. იოსელიანი, სულხან ბარათოვი და სხვ. თავისთავად მათ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, მაგრამ ვერ ამაღლდნენ ვახუშტი ბაგრატიონის დონემდე.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ქართული ისტორიოგრაფიის ერთგვარი გამოცოცხლება, რაშიც დიდი ამაგი მიუძღვის დიმიტრი ბაქრაძეს. ამავე პერიოდში დიდი წარმატებით მოღვაწეობენ ქართველოლოგიაში ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი და ნ. მარი. ამ სკოლამ წარმოშვა ივ. ჯავახიშვილი.

საქართველოს ისტორია

ივანე ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის „ქართველი ერის ისტორია“ ხუთ წიგნად. ქრონოლოგიურად ესაა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. პირველ წიგნში ივანე ჯავახიშვილმა წარმოადგინა ქართველთა პირველსაცხოვრისისა და ქართველთა წარმომავლობა-ვინაობის საკითხი. მეცნიერის დასკვნები უძველესი პერიოდის საქართველოს შესახებ შეესაბამებოდა იმ დროის მეცნიერულ დონეს. არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, განსაკუთრებით ძველი ქვის ხანის პერიოდისა, ივ. ჯავახიშვილს საშუალება მისცეს, ბევრი რა გაეთვალისწინებინა და გადაესინჯა თავისი ადრინდელი შეხედულებებიდან. „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნი უძველესი დროიდან VII საუკუნემდე მოდის. მეორე წიგნი მოიცავს მასალას VII საუკუნის 50-იანი წლებიდან (არაბთა ბატონობის დამყარება) თამარის მეფობის ჩათვლით. ამ წიგნში საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემებია განხილული, შესწავლილია ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა; გამოკვლეულია საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის საკითხები; ფართოდ არის გაშუქებული XI-XII სს. საქართველოს ისტორია. ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა მნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც საპროგრამო გახდა შემდგომი პერიოდის მკვლევრებისათვისაც. ნიშანდობლივია, რომ მეცნიერმა სოციალური ბრძოლის მიზეზებს ეკონომიკური საფუძვლები მოუნახა.

„ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნი XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ისტორიას ეხება. ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა და წარმოაჩინა მონღოლთა დაპყრობების ისტორია, მათ წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის ფორმები, ქვეყნის შიგნით მომხდარი სოციალური ცვლილებები. მეცნიერმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო გიორგი ბრწყინვალის ეპოქის შესწავლა-გაშუქებას, ეპოქისა, როცა საქართველომ მცირე დროით, მაგრამ მაინც დაიბრუნა მთლიანობა და დიდი საერთაშორისო ავტორიტეტიც მოიპოვა. ივ. ჯავახიშვილმა ღრმად გააანალიზა თემურლენგის ლაშქრობათა შედეგები. საქართველოს ისტორიის შემდგომი პერიოდის მოვლენები მეცნიერმა „ქართველი ერის ისტორიის“ IV და V წიგნებში მოგვცა. მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესწავლა-წარმოჩენა.

საქართველოს ისტორიის მრავალმხრივი პრობლემების კვლევით ივ. ჯავახიშვილმა უდიდესი ამაგი დასდო ზოგადად ისტორიულ მეცნიერებას. მან პრაქტიკულად „გატეხა ყამირი“ და ქვეყნის ერთიანი, მთლიანი ისტორია წარმოგვიდგინა.

ისტორიული გეოგრაფია

ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ისტორიის შესწავლა შეუძლებელია, თუ შესაბამისი პერიოდის გეოგრაფია არ იქნა გამოკვლეული. ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს მეცნიერი სხვადასხვა ნაშრომში ეხება და მეტად ფასეულ მოსაზრებებს გამოთქვამს. მისი ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ ფუნდამენტური გამოკვლევაა. ივ. ჯავახიშვილი ფართოდ იყენებს ქართულ ისტორიულ წყაროებს (ლეონტი მროველის თხზულება და სხვ.), ითვალისწინებს ვახუშტი ბაგრატიონის მეტად მნიშვნელოვან მემკვიდრეობასა და ადგენს ქართლის, კახეთის, ეგრისის, ტაო-კლრაჯეთის საზღვრებს; აზუსტებს საგზაო მაგისტრალებს. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ბუნებრივი გეოგრაფიული საზღვრები ჰქონდა, იგი თავისებურ შემოზღუდულ ქვეყანას წარმოადგენდა. მეცნიერი მიუთითებდა, რომ „თვით ბუნებას შეუქმნია ქართველი ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული“. შემთხვევითი არ იყო ბუნებრივი საზღვრების მოხერხებულობაზე ხაზგასმა. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული გარემო არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ამა თუ იმ ისტორიული პროცესის მსვლელობაში, იგი მაინც რჩება მნიშვნელოვნად ქვეყნის თავდაცვასა თუ სამეურნეო საქმიანობაში. გეოგრაფიულმა გარემომ თავისი დადებითი როლი შეასრულა ქართველი ხალხის გადარჩენის საქმეში. როცა მრავალრიცხოვანი მტერი მოადგებოდა ქვეყანას, ხალხი მთებსა და ხევებში აფარებდა თავს.

ივ. ჯავახიშვილმა პრაქტიკულად განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ადგილმდებარეობა და სახელწოდება. გაარკვია ამა თუ იმ კუთხის მნიშვნელობა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსათვის.

უაღრესად მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული საქართველოს რუკა. ესაა ერთიანი საქართველო, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე“. ნიშანდობლივია, რომ რუკაზე საქართველოს ყველა სოფელია დატანილი.

არქეოლოგია

ივ. ჯავახიშვილმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს არქეოლოგიის შესწავლას. მას მიაჩნდა, რომ არქეოლოგია იყო სათანადო სპეციალისტთა კონკრეტული კვლევა-ძიების სარბიელი. ჩვეულებრივ, არქეოლოგიური მასალით ისტორიკოსები სარგებლობენ თავისი გარკვეული მიზნებისათვის. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ქართველ ისტორიკოსებს ასეთი ბედნიერება არ ჰქონიათ, „რადგან კავკასიის არქეოლოგია თავის სპეციალურ საგნად ჯერ არავის აურჩევია“. იგი წუხდა, რომ „ყველა ის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც კავკასიის ნივთიერი კულტურის გასათვალისწინებლად უკვე არსებობს, სასხვათაშორისო კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს და უფრო ზოგადი პრობლემებით დაინტერესებულ, მაგრამ თავისი კვლევა-ძიების მუდმივი ასპარეზით დაშორებულ გამოჩენილ მეცნიერთა მონაწილეობით არის შეძენილი“.

ივ. ჯავახიშვილი წუხდა, რომ საქართველოში არ არსებობდა დაწესებულება, რომელიც თავს მოუყრიდა არქეოლოგიურ ძეგლებს. თვითონ კი რეალურად აჩვენებდა არქეოლოგიური მემკვიდრეობის მეცნიერული მიზნისათვის გამოყენების მაგალითს. ივ. ჯავახიშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში აღმოჩენილ სხვადასხვა პერიოდის (ძველი ქვის ხანიდან დაწყებული, შუა საუკუნეებით დამთავრებული) იარაღსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს. ეს მასალა საშუალებას იძლეოდა, ერკვიათ ადამიანთა ურთიერთობის ფორმები. ივ. ჯავახიშვილი თავად ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. მისი

თაოსნობით მოეწყო რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის გამოფენა, სადაც ასახული იყო XI-XIII სს-ის სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ამ გამოფენამ საზოგადოებას დაანახა არა მხოლოდ ქართული კულტურა, არამედ მაღალი მეცნიერული დონეც. 1937 წელს გათხრები ჩატარდა ბოლნისში, აღმოჩნდა წარწერა, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა ამოიკითხა. 1938 წელს მცხეთაში დიდი არქეოლოგიური მუშაობა გაიშალა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. გათხრებმა მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო: ივ. ჯავახიშვილმა შესაძლებლად მიიჩნია, რომ მცხეთა უძველესი ქალაქია. იგი ბრინჯაოს ხანაშიც დიდი და ხალხმრავალი ქალაქი უნდა ყოფილიყო. არქეოლოგიური მასალა აჩვენებდა, რომ V საუკუნისათვის მცხეთა დაემხო, თბილისი კი მოძლიერდა. ეს ასეც იყო – თბილისი ამ პერიოდისათვის ფაქტობრივი პოლიტიკური ცენტრი გახდა.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ მცხეთა-არმაზის აღმოჩენის შემდეგ ბევრი ადრინდელი მოსაზრება საქართველოს ისტორიის შესახებ უნდა შესწორებულიყო. ივ. ჯავახიშვილმა ამაგი დასდო არქეოლოგიური მეცნიერების შემდგომ განვითარებას და არაერთი სახელმძღვანელო დებულება მოგვცა. იგი 1939 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე გვერდით ედგა ქართველ არქეოლოგებს და თავისი მდიდარი გამოცდილების გამოყენებით და მეცნიერული კონსულტაციებით ზრდიდა არქეოლოგთა თაობებს.

საქართველოს ეკონომიური ისტორია

ივ. ჯავახიშვილმა აუცილებლად მიიჩნია საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლა. საქართველოს სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ამ დარგების პროდუქცია – ის აუცილებელი შესასწავლ-გამოსაკვლევი საკითხები იყო, რომელთაც უნდა გაეცა პასუხი, თუ რა იყო ძველი საქართველოს ეკონომიკური საფუძველი. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე შეჩერდა და დაინტერესდა ძველი საქართველოს ეკონომიკის საკითხებით. ამგვარი მიდგომა ახალი იყო. როცა მემატიანენი გადმოგვცემენ ქართველთა გაუთავებელი ბრძოლების ამბებს, ეკონომიკურ მდგომარეობაზე დუმან. ილია სწორედ ამ მხარეზე შეჩერდა: „საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას? რა ჰკვებავდა ხალხს, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა“. ივ. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნისათვის ეკონომიკა არსებითია და მისი შესწავლაც გადაუდებლად მიაჩნდა. საკმაოდ დიდი დროის მანძილზე იკვლევდა იგი ეკონომიკის პრობლემებს. თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში – „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (1907 წ.) – ივ. ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მიწისმფლობელთა და მიწისმოქმედთა შესწავლას. მან გამოიკვლია ქვეყნის სოციალური დიფერენციაციის, ქონების მფლობელობის წესები, ვაჭრობა-ხელოსნობა და მრეწველობა-აღებ-მიცემობა, სახელმწიფოს შემოსავლები და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა გააგრძელა ეკონომიკური საკითხების კვლევა. გამოიყენა როგორც ზოგად-ისტორიული, ისე, უმთავრესად, ეკონომიკური ხასიათის წყაროები. ხალხის აღწერის დავთრების შესწავლისას ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა აღწერასთან დაკავშირებული ტერმინები, მოგვცა აღწერის ისტორია, გაარკვია აღწერის დავთრების სანდოობა, შეეხო საფინანსო ძეგლებს, საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის საბუთებს (აღაპები, მზითვის წიგნები და სხვ.).

ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია ძველი საქართველოს სოფლის მეურნეობა, მისი ცალკეული დარგები; საგანგებოდ შეისწავლა სოფლის მეურნეობის იარაღები. მეცნიერმა დაადგინა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების გვარეობათა ტერმინოლოგია. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ ჩერდება ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლზე, რომელმაც აღწერა „ჩვენი ქვეყნის ბუნება, თვისებები,

მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა“, გვიჩვენა ბოტანიკურ-გეოგრაფიული არეების მეცნიერული დაკვირვების შედეგები.

ივ. ჯავახიშვილმა მიმოიხილა ძველი საქართველოს მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა. დასაბუთებულად გაუსვა ხაზი მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სიძველეს. მეცნიერმა დაასაბუთა, რომ ქართველი ერის საქმიანობა-მოღვაწეობა საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ პოლიტიკური, კულტურული ან სოციალური ასპარეზით კი არ იფარგლებოდა, არამედ სამეურნეო დარგშიც მეტად ნაყოფიერი ყოფილა.

ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს ეკონომიკური ისტორიის კვლევაში ფასდაუდებელია. იგი საფუძველს ქმნის თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების შემდგომი წინსვლა-განვითარებისათვის.

ქართული სამართლის ისტორია

ქართული სამართლის ისტორიის პრობლემების კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ივ. ჯავახიშვილის მრავალფეროვან შემოქმედებაში. 1905 წ. გამოიცა მისი „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ და „Государственный строй древней Грузии и древней Армении“. ამავე პერიოდში ქართულ პერიოდულ გამოცემებში („ერი“, „ჩვენი ერი“, „საქართველოს მოამბე“) დაიბეჭდა მეცნიერის მიერ იმავე საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიები. აქ უმეტესწილად ქართული სამართლებრივი აზროვნება იყო მიმოხილული. ნიშანდობლივია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიის ზოგადი თუ ცალკეული სპეცკურსების გვერდით, კითხულობდა ქართული სამართლის ისტორიასაც. ეს დარგი ივ. ჯავახიშვილმა მაღალ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა.

ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა ქართული, ბიზანტიური, სპარსული, არაბული, სომხური და სხვ. წყაროები და ამ საფუძველზე დაადგინა სამართლის ისტორიის მთელი რიგი საკითხებისა. მან შეისწავლა სახელმწიფოსა და სოციალური წეს-წყობილების პრობლემები, გაარკვია სახელმწიფოს მიწა-წყლის, მოსახლეობის, საზოგადოებრივი და წოდებრივი დანაწილების, პატრონყმობის, მოხელეთა ფუნქცია-მოვალეობების საკითხები.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ სოციალურად აღზევებული პირები მეფის გვერდით სახელმწიფო სამსახურში იდგნენ. მეცნიერი გვაძლევს მოხელეთა კლასიფიკაციას მათი საქმიანობისა და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. „ხელისუფალი“, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ის მოხელეა, რომელსაც ბრძანება-განკარგულების გაცემის უფლება აქვს, ხოლო „საქმისმოქმედი“ – ბრძანების აღმსრულებელია. მოხელეები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: „დარბაზის კარის“ მოხელენი ცენტრალურ დაწესებულებაში – „დარბაზში“ მოღვაწეობდნენ. „საქვეყნოდ გამრიგენი“ (ერისთავები, ციხისთავები და სხვ.) ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საქმიანობდნენ. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია ვაზირთა (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი) უფლება-მოვალეობანი.

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა საეკლესიო მსახურებთან და სამეფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, სამოქალაქო საქმის ორგანიზაციისა და საკორპორაციო საკითხები.

არმენოლოგია

ივანე ჯავახიშვილმა დიდი ამაგი დასდო ძველი სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლას. სომხურ ძეგლებზე მუშაობა ივანე ჯავახიშვილმა 1898 წლიდან დაიწყო, სტუდენტობის დროს. მისი ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია 1935 წელს გამოქვეყნებული „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ (პირველი წიგნი). მეცნიერმა ჩვეული ყურადღებით მიმოიხილა

სომხური აგიოგრაფიული ლიტერატურა და ის ცნობები, რომლებიც სომხური დამწერლობის შესახებ არსებულ წყაროებში მოიპოვება. ივ. ჯავახიშვილმა ქართული ისტორიოგრაფიის დარად, უდიდესი ყურადღება მიაქცია წმინდანთა ცხოვრებას. ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა არმენოლოგიაში მეტად მნიშვნელოვანი იყო. მან ერთი მხრივ გაამახვილა ქართველ ისტორიკოსთა ყურადღება სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლაზე, მეორე მხრივ კი გაამდიდრა მეცნიერული არმენოლოგია.

ენათმეცნიერების საკითხები

ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის უძველესი აგებულებისა და ნათესაობის საკითხების დამუშავებას. მან პირველმა დაასაბუთა ქართველური ენების მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან როგორც სტრუქტურული, ისე მასალობრივი ერთიანობა ძირითადი გრამატიკული კატეგორიისა და ლექსიკის მიხედვით. ივ. ჯავახიშვილმა ნიადაგი მოუმზადა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას. მეცნიერების აზრით, ცალკეული – სინდური (აფხაზურ-ადიღეური), ღილღური (ნახური), ლეგურ-ალბანური (დაღესტნური) – ენების შესწავლასთან ერთად საჭირო იყო გამოკვლევა ზოგადი შარომატული (ჩრდილოკავკასიური), ქართულ-შარომატული (იბერიულ-კავკასიური) ენების პრობლემებისაც. ივ. ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა მათი შესწავლის მეთოდიკა, რომელიც ითვალისწინებს ჯერ ცოცხალენოვანი მასალის ანალიზს, შემდეგ ენათა ჯგუფის საერთო დახასიათებას, ბოლოს კი შედარებას. ასე გაანალიზა იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფის ლექსიკური ფონდის მასალა: რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, სახელთა ძირები, ზმნის უღლება.

ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართული და კავკასიური ენების ბუნების გარკვევა, მათი ნათესაობა ისეთ ენებთან, როგორებიცაა: ხეთური, ხალდეური და შუმერული.

ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული უძველეს პალიმფსესტურ ხელნაწერებში V-VII საუკუნეთა ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის წერილობითი ისტორიის პერიოდიზაციისათვის. მას გამოკვლეული აქვს ქართული მეცნიერული და სამეურნეო-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია და, საერთოდ, ლექსიკა, ჩატარებული აქვს მნიშვნელოვანი ეტიმოლოგიური ძიებანი.

ივანე ჯავახიშვილი და ქართული მუსიკა

ქართული მუსიკის ისტორიის ჩამოყალიბება და განვითარება განუყრელადაა დაკავშირებული ივანე ჯავახიშვილის სახელთან. მუსიკის სიყვარული მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული. ქართული კულტურის მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილს, მშვენიერი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მეცნიერს განსაკუთრებით უყვარდა მუსიკა. ივანე ჯავახიშვილის სიყრმის მეგობარი პოეტი კოტე მაყაშვილი იგონებს: „დიდის ყურადღებით, გულდასმით ვუსმენ ვანოს, როდესაც მის ხელში ვხედავ ვიოლინოს: მასზე დაკვრას სწავლობს. მუსიკა ჰყვარებია. მე კი მეგონა, რომ ვანოს ქართული ენისა და თავისი გაკვეთილების მეტი სხვა არა აგონდება რა“.

მთავარი ისაა, რომ ეს გატაცება ხელოვნების ამ დარგში სრულიად კომპეტენტური პირის შემოქმედებითი წვა იყო. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ივანე ჯავახიშვილმა თავისი რჩევა-დარიგებებით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. მეცნიერის აზრს კომპოზიტორისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ყველა ახალ ნაწარმოებს ზაქარია

ფალიაშვილი ივანე ჯავახიშვილს ასმენინებდა პირველად. მეცნიერი აქტიურად ეხმარებოდა კომპოზიტორს ხალხური სიმღერების შეკრებაში. მისი ინიციატივით მოწყობილი ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ქართლის სოფლებში ზაქარია ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის“ ლეკური ჩაუწერია და შემდგომში მას შინაურობაში ხუმრობით „ივანეს ლეკურს“ უწოდებდა. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილი ფრიად დიდი მოყვარული იყო მუსიკისა და ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლა მას გადაუდებელ საქმედ ესახებოდა. აკად. გ. ჩუბინაშვილი იგონებდა ივ. ჯავახიშვილის ნათქვამს: „თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ შრომასთან (მხედველობაშია „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ – რ. მ.) დაკავშირებით ბატონმა ივანემ როგორღაც მითხრა: ჩემს ახალგაზრდობაში ისე ვიყავი გატაცებული მუსიკის მეცნიერული საკითხებით, რომ თავდაპირველად ვფიქრობდი, სწორედ ამ საკითხების შესწავლას შევდგომოდიო“. მეცნიერმა თავის გატაცებას მუსიკის ისტორიით მოწიფულობის ასაკში დაადგა შემოქმედებითი გვირგვინი.

ივანე ჯავახიშვილმა სხვადასხვა, მეტად მრავალგვარი სახის წყაროების ანალიზის საფუძველზე შეისწავლა და ჩამოაყალიბა ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები (ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფეხურები: ქართული მუსიკის მრავალხმიანობის წარმოშობა, ქართული მუსიკალური ტერმინები, მუსიკალური საკრავები და სხვ.).

ის ისტორიკოსები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილამდე ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლით იყვნენ დაინტერესებული (დავით მაჩაბელი, პოლიევქტოს კარბელაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ზიგფრიდ ნადელი და სხვ.), ქართული მუსიკის ცალკეულ საკითხებზე მუშაობდნენ. მათი ნაშრომები ვერ იძლეოდა ქართული მუსიკის ისტორიის სრულ სურათს, მხოლოდ ცალმხრივად, ზოგჯერ ფრაგმენტულად აშუქებდნენ ამა თუ იმ საკითხს.

ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხებისადმი მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის შრომა ოთხი ნაწილისაგან შედგება: I – ხმიერი მუსიკა, II – საკრავიერი მუსიკა, III – ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფეხურები, IV – ქართული მუსიკისა და მრავალხმიანობის წარმოშობა-განვითარების საფეხურები.

ივ. ჯავახიშვილს ამ წიგნში საგანგებოდ აქვს განხილული მუსიკალური ტერმინოლოგიის საკითხები.

ყველა დასკვნა ივ. ჯავახიშვილს გაკეთებული აქვს ძველი ქართული ისტორიული და ლიტერატურული წყაროების ფართოდ მოშველიებით და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად.

ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული მუსიკის წარმოშობა-განვითარების საკითხს. ქართული მუსიკა, ისე, როგორც ბევრი სხვა ერის მუსიკა, საწყისს უძველეს დროში იღებს. ბერძენ ისტორიკოს ქსენოფონტეს მოეპოვება ცნობები, რომ წარმართობის ხანაში ქართველ ტომებში გავრცელებული ყოფილა საერო მუსიკა (მხედრული და საცეკვაო სიმღერები). მისი სიტყვით, ჭანთა ტომები ომს საომარი სიმღერა-ცეკვით იწყებენ. საერო მუსიკა, ბუნებრივია, სხვა ტომებსაც ჰქონდათ. შემთხვევითი არ არის, რომ დღემდე შემორჩენილი წარმართული ხალხური სიმღერები საერო ხასიათისაა.

წარმართული საერო და სარწმუნოებრივი მუსიკის ბუნებრივ განვითარებას ზღვარი დაუდო ქრისტიანობამ, რომელსაც, ახალ რწმენასა და მსოფლმხედველობასთან ერთად, წირვა-ლოცვის ახალი ჰანგებიც შემოჰყვა.

ქრისტიანობამ, თავის მხრივ, ებრაელთაგან წირვა-ლოცვაში ერთხმიანი გალობა გადაიღო. ამგვარი (ერთხმიანი გალობა) მუსიკა დღემდე შემორჩა ბევრ (ბერძნულ, სომხურ, ასურულ) ეკლესიას, გამონაკლისს დასავლეთ ევროპის კათოლიკური (მეათე საუკუნემდე რომის ეკლესიასაც ერთხმიანი გალობა ჰქონდა) და ქართული ეკლესიები შეადგენდნენ.

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ თავდაპირველად ქართულ ეკლესიაშიც ერთხმიანი საეკლესიო გალობა უნდა ყოფილიყო.

როცა ლაპარაკია ქართული საეკლესიო მუსიკის თავისებურებაზე, იგი უთუოდ იმ პერიოდს უნდა დავუკავშიროთ, როდესაც უპირველესი ტრადიციებისა და ჰანგებისაგან თავის დაღწევა მოხდა. ამდენად, საკითხი დაისვა ასე: როდის უნდა ჩამოშორებოდა ქართული გალობა ებრაულ-ასურულ-სომხურ და ბერძნულ გალობა-საგალობლებს და დამოუკიდებელ განსხვავებულ ერთეულად ჩამოყალიბებულიყო.

ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით განიხილა ყველა წყარო, რომელიც კი აღნიშნული საკითხის გარკვევის საშუალებას იძლეოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანობისა და წარმართობას შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. ამ ბრძოლამ წარმართულ და ქრისტიანულ ხელოვნებაშიც (კერძოდ, მუსიკაში) იჩინა თავი. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ხალხი მიჩვეული იყო ძველ წარმართულ სიმღერებს, რომელსაც ლხინისა და ჭირის დროსაც ამბობდნენ ხოლმე, როგორც წარმართულ რწმენას და ცეკვა-გასართობებთან უმჭიდროესად დაკავშირებულს; ამ საერო სიმღერას ახალი სარწმუნოებისათვის ძლიერი მეტოქეობის გაწევა შეეძლო, ამიტომაც ყველგან ქრისტიანობის მესვეურნი წარმართული სიმღერის ასეთი გავლენის ყოველგვარი საშუალებით ჯერ შესუსტებას, შემდეგ მის სრულიად მოსპობას ცდილობდნენ. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავდა გამოჩენილი ასური მოღვაწის ბარდესანის მაგალითი, რომელმაც თანამემამულეთა შორის წარმართობისათვის ნიადაგის გამოსაცლელად წარმართული ჰანგები და ცეკვაც კი გამოიყენა, თანაც წარმართული სიტყვები ქრისტიანული ლოცვით შეცვალა. ასეთი ბრძოლა, ბუნებრივია, საქართველოშიც იყო. ამის დასამტკიცებლად ივ. ჯავახიშვილმა სათანადო ცნობებზე მიუთითა. კერძოდ, პეტრე ქართველის ცხოვრების ასურულ ტექსტში ნათქვამია, რომ თუ დიდებულები დროსტარებისას მგოსან ქალთა და კაცთა სიმღერებს უსმენენ, არჩილ მეფემ საეკლესიო მგალობლები გაიჩინა, რომელნიც პურის ჭამისა თუ სხვა დროს ღმრთის წმინდა სიტყვებს გალობდნენ. ასე რომ, მისი სასახლე ეკლესიისაგან არაფრით განსხვავდებოდა. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ საქართველოში ბრძოლა წარმართული მუსიკის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არჩილ მეფის დროიდან (მეხუთე საუკუნე) დაწყებულა, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა (ქრისტიანული გალობის საეროზე საბოლოო გამარჯვება) ასე მალე არ შეიძლებოდა, რადგან ხალხში სიმღერა ღრმად იყო ფესვგადგმული, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის ყოფა-ცხოვრებასა და საქმიანობისათან.

მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში ჩნდება საერო მხატვრული მწერლობა, როგორც ნათარგმნ-გადმოქართულებული, ასევე ორიგინალურიც. აქედან მოკიდებული, საერო მსოფლმხედველობა საეკლესიოზე ძლევამოსილი და, ამასთან, საბოლოოდ გამარჯვებულია. ყოველივე ამან, ბუნებრივია, ფართო შესაძლებლობები შეუქმნა საერო მუსიკის განვითარებას.

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ქრისტიანული მუსიკა წარმართულთან ბრძოლაში გარკვეულ გამარჯვებას აღწევს მეხუთე საუკუნიდან, მაგრამ ამ დროიდან მოყოლებული, რუის-ურბნისის კრების მიერ გატარებული ღონისძიების მიუხედავად, შემდგომშიც არის ხალხში შენარჩუნებული წარმართული მუსიკა. როგორც დავითის ისტორიკოსი ამბობს, მხოლოდ ლაშქარში მოუსპიათ იგი. რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ამ ცნობას, იგი ცოტა გადაჭარბებული ჩანს, რადგან წარმართულ სახეობათა არსებობა შემდგომ პერიოდშიც გრძელდება (ლაშქარშიც). „ხელმწიფის კარის გარიგება“ პირდაპირ მიანიშნებს, რომ თევდორობის „ორშაბათს მეორეს ლამპარს მონადირენი“ შეიქმენ, მეფეს წინაშე მიიღებენ და ცოლსა მეფისასა და შ ლთა და ვაზირთა... მიართმევენ... ლამპარსა ანთებულსა მ არსა შეიდებენ, ეგრე რგვალს დააბმენ“. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „XIV ს. პირველ ნახევრამდე საქართველოს სამეფო კარზე „ლამპრობა“ და „რგვალი“, ე. ი. ფერხული სიმღერა-შაირობითურთ იმდენად ურყევ წესად ყოფილა განმტკიცებული, რომ ხელმოჭერილ და პურძვირ ხელისუფლებსაც კი არ ინდობდნენ თურმე და შაირობის დროს ავად იხსენიებდნენ და დასცინოდნენ... ცხადია, რომ იმ ბრძოლაში, რომელსაც ეკლესია წარმართულ ქართულ სიმღერა-გასართობთან საუკუნეთა

განმავლობაში აწარმოებდა, სწორედ წარმართულს და ხალხურ საერო მუსიკას იმ მხრივ გაუმარჯვნია, რომ ეკლესიის მესვეურთ და საეკლესიო მუსიკას მისი მოსპობა ვერ მოუხერხებია".

დიდ ინტერესს იწვევს ივ. ჯავახიშვილის მიერ შესწავლილი მუსიკის ხელოვნების ორგანიზაცია და მოძღვრება ძველ საქართველოში.

ივ. ჯავახიშვილმა, ქართულ ისტორიულ ძეგლებზე დაყრდნობით, გაარკვია მთელი რიგი საინტერესო საკითხებისა. მან დაადგინა, რომ, თუ უფრო ადრე არა, IX საუკუნიდან მოყოლებული მაინც, საქართველოში ყოფილა გალობის სწავლების მოძღვრება. საზოგადოებაში დახელოვნებული მომღერლებიც იყვნენ და მგალობელნიც. ჩვეულებრივ მგალობელს გარდა, კეთილად მგალობელნიც იყვნენ. სოლო-მგალობელს გარდა, ერთად მომღერალნიც იყვნენ. გუნდის გალობის თანამონაწილეს ეწოდა თანამგალობელი.

ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს საგალობო ნიშნებს, მან ყურადღება მიაქცია, რომ მუსიკის ხელოვნებისა და ისტორიის ქართველი მკვლევრების (პ. კარბელაშვილი, ია კარგარეთელი და სხვ.) გარდა, ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაუთმო ლათინური და ბერძნული საგალობო ნიშნების ცნობილმა მკვლევარმა აბატმა ჟ. ბ. ტიბომ. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ „ქართული ძირითადი საგალობო ნიშნების გარეგნული გამოყვანილობა უახლოესს ანალოგიას წარმოადგენს დასავლეთის, ლათინთა, ეკლესიის ნევმური ნიშნებისას". მისივე დაკვირვებით, ქართული საგალობო ნიშნების სისტემა 10 ძირითად ნიშანს შეიცავდა, რომელნიც მდებარეობის მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს (ხუთი ნიშანი სტრიქონს ზევით იწერება, ხუთი – ქვევით).

ივ. ჯავახიშვილმა არსებული ლიტერატურისა და წყაროების ღრმად შესწავლის საფუძველზე ბევრი საგულისხმო დასკვნა მოგვცა საგალობო ნიშნების შესახებ. იგი ამ საკითხს საბოლოოდ გადაჭრილად არ თვლიდა, მაგრამ მისი გარკვევის გზებს აშკარად იძლეოდა. საერთოდ, ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული დებულებები მუსიკის ხელოვნების ორგანიზაციისა და მოძღვრების შესახებ ძველ საქართველოში ფასდაუდებელია.

ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით ჩერდება ქართული მუსიკის წარმოშობის საკითხებზე და მრავალი სახის ისტორიული წყაროების განხილვა-გაანალიზების საფუძველზე ასკვნის, რომ „ქართული ხმიერი მუსიკა თავდაპირველად თამაშობასთან ყოფილა დაკავშირებული და იქ ყოფილა სწორედ მისი სათავე". ივ. ჯავახიშვილი სათანადო ისტორიულ მასალაზე დაკვირვების შემდეგ მიიჩნევს, რომ პირველად დასაკრავ-დასარტყმელი საკრავები წარმოშობილა, ხოლო შემდეგ – ძალებიანი და ჩასაბერი.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მრავალხმიანობის სადაურობის დადგენას. ივ. ჯავახიშვილმა დასაბუთებულად უარყო ის თეორია, რომელიც მიიჩნევდა, რომ მრავალხმიანობა ქართულ მუსიკაში დასავლეთ ევროპის გავლენითაა შემოსული. მეცნიერი მრავალხმიანობის წყაროს თვით საქართველოში ეძიებს. მას მიაჩნია, რომ ქართული მრავალხმიანობის ისტორიისა და სადაურობის საკითხის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ყოველგვარი წყაროს საფუძვლიანი გამოყენებითა და განხილვით. თვით ივ. ჯავახიშვილი, ითვალისწინებს რა ძეგლებში საგალობლებისა და გალობის შესახებ დაცულ ცნობებს, საკრავიერი მუსიკის ტერმინოლოგიას, ადამიანისა და ხმების სახელების თავდაპირველ მნიშვნელობას, ასკვნის: „მრავალხმიანობა ქართულ მუსიკას წარმართობის ხანაშივე უნდა ჰქონოდა და იმ დროითგანვე უნდა ჰქონდეს საუკუნეთა განმავლობაში შენარჩუნებული". გამარჯვებული ქრისტიანობისათვის ჰანგი კი არა, სიტყვები იყო მიუღებელი. ხოლო როცა ძველ ჰანგს საეკლესიო საგალობლის სიტყვებს მიუმარჯვებდნენ, ჰანგი უკვე ეკლესიისათვის აღარავითარ წინააღმდეგობას არ წარმოადგენდა. როგორც ჩანს, საქართველოში „ამავე გზით უნდა იყოს ხალხისათვის ჩვეული წარმართულ-საერო სიმღერების ჰანგები და ორ-სამხმიანობა ქართული საეკლესიო გალობის მიერაც შეთვისებული".

ივ. ჯავახიშვილი ყოველგვარი გარემოებისა და მოსაზრების კრიტიკულმა განხილვამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მრავალხმიანობა ქართული მუსიკის შინაგანი განვითარების ნაყოფია.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ივ. ჯავახიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების შესწავლა-დამუშავების საქმეში, განიხილა და დაადგინა ხმიერი და საკრავიერი მუსიკის ზოგადი ტერმინოლოგია, მოგვცა ძველ საქართველოში გავრცელებული საკრავების დაჯგუფება-კლასიფიკაცია, ჩამოაყალიბა ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფეხურები, ხაზი გაუსვა ქართული სიმღერის სიძველეს და გამოამჟღავნა ქართული მუსიკის თვითმყოფადი ხასიათი – მისი მრავალხმიანობა, ახსნა ამ მრავალხმიანობის წარმოშობა და სადაურობა.

***

ივ. ჯავახიშვილს სხვადასხვა საკითხის გადაჭრისას, ან ამა თუ იმ საქმის მოგვარებისას გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ქართული კულტურის მოღვაწეებთან, იმ პირებთან, რომლებიც იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

ივ. ჯავახიშვილს საკმაოდ ფართო მიმოწერა ჰქონდა ცნობილ მოღვაწეებთან: ზაქარია ფალიაშვილთან, ნიკო მართან, კიტა აბაშიძესთან, მოსე ჯანაშვილთან, შიო არაგვისპირელთან, ივანე ბერიტაშვილთან, ვუკოლ ბერიძესთან, გიგო გაბაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან, ვარლამ დონდუასთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან და მრავალ სხვასთან. ფრიად ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილის საზოგადო თუ კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობას საფუძვლად ედო მაღალი პრინციპები, ხალხისა და მეცნიერების სამსახური. დიდი მეცნიერი ამბობდა: „სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომ ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით... აქვს ნებისყოფა... აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ... ვალდებულია, გადაუხადოს იმ ერს, რომლისაგანაც ის წარმოშობილა“. თვითონ ივ. ჯავახიშვილი ერისა და მეცნიერების სამსახურის განუმეორებელ მაგალითს იძლეოდა.

ივ. ჯავახიშვილთან ურთიერთობით დიდად არიან დავალებული მისი დროის საზოგადო თუ კულტურის მოღვაწეები, რომელთაც დიდი მეცნიერი მტკიცე ბურჯად ედგა მხარში და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვის ჭეშმარიტ მაგალითს უჩვენებდა.

საკუთარი თავისადმი მომთხოვნი მეცნიერი ცხოვრებაში სრულიად უპრეტენზიო იყო. „არამცთუ აკადემიკოსობა, პროფესორობის მაძიებელიც კი არ ვყოფილვარ არასდროს, – წერს ერთ პირად წერილში ივ. ჯავახიშვილი, – ნ. მარს რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: გადმოთარგმნეთ ერთ-ერთი თქვენი ქართული გამოკვლევა და სადოქტორო დისერტაციად წარმოადგინეთ, რომ ეს ფორმალობა თავითგან მოიშოროთ. მაგრამ რაკი ეს ჩემთვის დროის ზედმეტ დაკარგვას უდრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ სადოქტორო დისერტაცია არ წარმიდგენია და არასდროს პირადად მე არამცთუ პროფესორის, არამედ პრივატ-დოცენტის წოდებულებითაც არ მისარგებლია“.

სამოც წელს გადაბიჯებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1938 წლიდან), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939 წლიდან) ივ. ჯავახიშვილი მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარს მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას: კითხულობს ლექციებს, იკვლევს სხვადასხვა პრობლემას, ასრულებს სადეპუტატო მოვალეობას. მისი დიდი ავტორიტეტი ქართულ მეცნიერებას მაღალ პრესტიჟს უქმნის. თვითონ მეცნიერი სიცოცხლის ბოლო წლებში მთავრობისაგან დაფასებული და პატივდებული იყო. ეს, თავის მხრივ, ფრთებს ასხამდა მას და ახალი ძალით მრავალმხრივი შეუსვენებელი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა თავის დაღს ასვამდა ივ. ჯავახიშვილის ისედაც გატეხილ ჯანმრთელობას. იგი თავის აუცილებელ მოვალეობად თვლიდა, ებრძოლა სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის: „ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, ჩემი მთელი

მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შევწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოშიც ყოველი ჩემი ძალ-ღონე მსურს ვიხმარო ამავე საკითხების გასაშუქებლად, როგორც საბჭოთა საქართველოს შეშვენის...“

დიახ, დიდი გეგმები ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს. მეცნიერი თვით იძლეოდა გმირული შრომის მაგალითს, მაგრამ გატეხილმა ჯანმრთელობამ თავისი გაიტანა.

... 1940 წლის 18 ნოემბერი... რამდენიმე დღით ადრე საგანგებო მოსაწვევი ბარათი აუწყებდა საზოგადოებრიობას, რომ ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავდა მოხსენებას თემაზე: „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები“. პრობლემა მეტად მნიშვნელოვანი, არსებითი მნიშვნელობის მქონე იყო. მრავალრიცხოვანმა მსმენელმა მოიყარა თავი. დანიშნულ დროს ივ. ჯავახიშვილმა მოხსენება დაიწყო... და სწორედ აუდიტორიაში, კათედრასთან, მოხსენების კითხვისას შეწყდა დიდი მეცნიერის მაჯისცემა... გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილი; გარდაიცვალა მოქალაქეობრივი და მეცნიერული მოვალეობის შესრულების დროს.

... ერთხელ პეტერბურგიდან ივ. ჯავახიშვილს წერილი გამოუგზავნია მეუღლისათვის, რომელშიც, სხვათა შორის, ნაამბობი იყო, რომ ივანე დასწრებია ერთ ლექციას, რომლის კითხვისას პროფესორი იქვე უეცრად გარდაცვლილა. ამ სურათით შთაგონებული იწერებოდა: უბედნიერესი კაცი ყოფილა, თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას გარდაცვლილაო. ბედნიერი იქნება ის, ვისაც ბედად ასეთი სიკვდილი უწერიაო...

... გავიდა წლები და ივ. ჯავახიშვილსაც სწორედ ამგვარი სიკვდილი არგუნა ბედმა. დიდი ივანეც, თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას წავიდა ამ ქვეყნიდან, – მოკვდა ლამაზად, თავისი მოწაფეების ხელებზე გადასვენებული, მოკვდა ისე, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იხდიდა ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე – მოქალაქეობრივსა და მეცნიერულ ვალს.

ქართველმა ხალხმა ცხარე ცრემლით დაიტირა დიდი მეცნიერი და მამულიშვილი. მისი ღვაწლისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად ივ. ჯავახიშვილი მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს.

დიდი მეცნიერზე, მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეზე – ივანე ჯავახიშვილზე შთამომავლობას ხმამაღლა, სიამაყით შეუძლია გაიმეოროს დიდი ილიას სიტყვები: „აღასრულა მან თვისი ვალი“.

... სამოცდათხუთმეტ წელზე მეტი დრო გავიდა ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან... ას ორმოცდაათი წელი შესრულდა მისი დაბადებიდან... რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ბუმბერაზი მოსჩანს იგი. ჟამთასვლა კი არ ამკრთალებს მის ღვაწლსა და სახელს, არამედ აცისკროვნებს. ეს ხვედრია სამშობლოს ჭეშმარიტი შვილებისა. სამშობლომ უკვდავყო მისი დიდი სახელი... მის სახელს ატარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, დიდი ტირაჟით გამოიცა მეცნიერის სხვადასხვა შრომა... თბილისის უნივერსიტეტის ეზოში დგას ივანე ჯავახიშვილის ძეგლი; მის შრომებზე იზრდებიან თაობები... საქართველოში რამდენიმე ქუჩა ატარებს ივანე ჯავახიშვილის სახელს, დაწესებულია მისი სახელობის პრემია მეცნიერთათვის, სტიპენდიები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

დღეს ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემების კვლევა. ივანე ჯავახიშვილის მიერ ნოყიერ ნიადაგში ჩაგდებული მეცნიერული თესლი გაღვივდა, აღმოცენდა და წარმატებით მსხმოიარობს; ამის ნათელი დასტურია დიდი მეცნიერის მოწაფეებისა და, საერთოდ, ქართველ ისტორიკოსთა შემოქმედებითი საქმიანობა.

მადლიერმა შთამომავლობამ დიდი მეცნიერის უანგარო სამსახური ხალხისათვის, მეცნიერების წინსვლისათვის, მომავალი თაობის აღზრდისათვის დიდად დააფასა – უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის შარავანდედით შემოსა ივანე ჯავახიშვილის სახელი, სახელი ჭეშმარიტი

მამულიშვილისა... ხალხის სიყვარული კი ყველაზე დიდი საზღაურია მისი ერთგული შვილისათვის.

Roin Metreveli

Ivane A. Javakhishvili

Summary

Multisided activity of the outstanding scientist Ivane Javakhishvili left bright and deep trace in the social life of Georgia in the first half of the 20th century. During 40 years of interesting historical changes he was in the beginning of all important beginnings in the cultural life of Georgian people. The creation of the first hearth of the higher education in Georgia – the University, is connected with his name. It is the beginning of a new stage of investigation in historiography of Georgia.

The great scientist and thinker was involved in scientific activity connected with the study of the rich past of Georgia, spiritual and material culture of Georgian people. I. Javakhishvili paved the way for new Georgian historiography.

The famous scientist I. Javakhishvili conducted investigations in the history of Georgian people, history of economics, history of Georgian law, history of geography, metrology, numismatics, history of music, history of material culture, and generalized the results in the definite frames of knowledge.

He actively took part in the cultural life of Georgian people and was always ready to respond to the process of solving of the definite problem and regulate it. He interrelated with social figures of Georgian culture, who played significant role in the social life of Georgia of that time. The material of correspondence to different people by Javakhishvili is preserved.

18th November, 1940... Several days before this date a special public invitation was announced that I. Javakhishvili would deliver a lecture on the topic: “The Aims of Philological Science and Georgian Literary Monuments”. Many listeners came. The lecture began and during the lecture the life of I. Javakhishvili ended. He died in the hands of his pupils, fulfilling his duty before the nation. Due to deep honor I. Javakhishvili was buried in the yard of the University created by him.

150 years passed since his birth. His name and his deeds cannot be forgotten. All he did enriched Georgian community and culture. Some streets in Georgian cities are called by the name of I. Javakhishvili. I. Javakhishvili grant is awarded to the students of Tbilisi State University. Institute of the History is named after I. Javakhishvili. The works of the scientist are published by great editions. In the yard of Tbilisi State University there is a monument to I. Javakhvishvili. The works of the outstanding scientist are greatly valued by Georgian generation.

კობა ხარაძე

ალექსანდრე ჯავახიშვილი (1875-1973)

ალექსანდრე ჯავახიშვილი თვალსაჩინო წევრია ქართველ მოღვაწეთა იმ თაობისა, რომელთაც მუშაობა უხდებოდათ მეცნიერების არა მარტო ერთ რომელიმე დარგში, არამედ მათი მუდმივი ზრუნვის საგანს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყოველი მხარე შეადგენდა. ამიტომ არის, რომ ამ თაობის წარმომადგენელთა და, მათ შორის, ალექსანდრე ჯავახიშვილის მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

ალექსანდრე ჯავახიშვილი

ალექსანდრე ჯავახიშვილი მეტად ნიჭიერი, შრომისმოყვარე, პუნქტუალური, გეოგრაფიული მეცნიერების გულშემატკივარი, უდიდესი ორგანიზატორი და საუკეთესო თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, სამართლიანი და თავმდაბალი ადამიანი იყო. ამასთან, მეტად მომთხოვნი და პრინციპული. ყოველგვარი ანგარება მისთვის უცხო იყო. კიდევ ერთი საუკეთესო თვისება — საარქივო მასალებში არ შემხვედრია ნაჩქარევი და გაურკვეველი ხელით ნაწერი მისი ტექსტი; უკლებლივ ყველა ასო გამოყვანილია გასაგებად, გეგონება ნაბეჭდი ტექსტიაო.

პიროვნება, რომელმაც სიცოცხლეშივე დიდი აღიარება მოიპოვა; მის გამოჩენას სხდომებზე აუდიტორია ფეხზე ადგომით ხვდებოდა, არაერთი სახელმწიფო ჯილდო სამართლიანად დაიმსახურა. მას პატივს სცემდნენ საქართველოს მასშტაბით პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და საშუალო სკოლებში, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი ყველგან და ყველაფერში მოკრძალებული და გულისხმიერი იყო.

ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული მთელი რიგი გეოგრაფიული კათედრებისა და ფაკულტეტების დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის, ბათუმის, გორის, ბაქოს პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და სხვაგან. იგი რამდენიმე სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო. არაერთი ნიჭიერი კადრი აღზარდა, რომელთა ნაწილი დღესაც მოღვაწეობს ქვეყნის მასშტაბით. არაერთი საყურადღებო სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური ნაშრომი, საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანე-

ლო თუ რუკა შექმნა. XX საუკუნის 60-ანი წლების ბოლომდე არ ყოფილა გეოგრაფიული მეცნიერების არც ერთი დარგი, რომელსაც მისი ავტორიტეტული სიტყვა და საქმე არ შეხებია.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1875 წლის 5 აგვისტოს ქ. გორში, მოსამსახურის ოჯახში.

მისი მამა-პაპა ქართლის სოფელ ძევერის მკვიდრი იყო. პაპა გრიგოლი მშვიდი და სათნო ხასიათის კაცი ყოფილა. იგი სწავლა-განათლებას დიდ პატივს სცემდა და შვილი ნიკოლოზი გორში სასწავლებლად გაუგზავნია. სწავლა რომ დაუმთავრებია გორშივე ცოლად შეურთავს თონეთელი მღვდლის მაქსიმე თეთრაძის ქალიშვილი ევა. გორში მათ ორი შვილი შეეძინათ დავითი და ალექსანდრე. ალექსანდრეს მამა ნიკოლოზ გრიგოლის ძე, კავკასიის სახელმწიფო პალატაში მსახურობდა საფინანსო ნაწილის უფროსად, მას დამსახურების ნიშნად მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული. დედა – ევა მაქსიმეს ასული თეთრაძე დიასახლისი იყო. ამიტომ შვილების აღზრდაზე უფრო მეტად დედა ზრუნავდა, რომელიც მეტად შრომისმოყვარე, მზრუნველი და სათნო ადამიანი ყოფილა. ამასთან, იგი დაინტერესებული ყოფილა ქართული ლიტერატურით და საქართველოს ისტორიით, რომელიც შვილებს თავიდანვე სამშობლოს და წიგნის სიყვარულს უნერგავდა.

1880 წელს ჯავახიშვილების ოჯახი გორიდან თბილისში გადმოსახლდა და ცხოვრობდა მთაწმინდის მისასვლელთან, მამადავითის უბანში.

ნიკოლოზ ჯავახიშვილს სამი ვაჟი – დავითი, ალექსანდრე ნიკოლოზი და სამი ქალიშვილი – ვერა, ელენე და თამარი ჰყავდა. მათ შორის ალექსანდრე რიგით მეორე შვილი იყო.

პატარა ალექსანდრეს მშობლებისგან გადაეცა შრომისადმი დიდი სიყვარული და ადრეული ასაკიდან გამოირჩეოდა ამ თვისებებით. იგი სულ პატარა ასაკიდან გატაცებით კითხულობდა საბავშვო წიგნებს. „მშობლებმა თავიდანვე მიგვაჩვიეს წესრიგს: ადრე ადგომა, პირის დაბანა, საუზმე, სადილი, გართობა-თამაში, სკოლაში სიარული, მეცადინეობა, დროზე ძილი და სხვა, ყველაფერი ზუსტად გვქონდა დაგეგმილი“, – იგონებდა 90 წელს გადაცილებული მეცნიერი.

პატარა ალექსანდრეს პირველდაწყებითი სწავლა-განათლება თბილისის სათავადაზნაურო ვაჟთა სასწავლებელში მიაღებინეს. ეს სასწავლებელი ერთადერთი ეროვნული სასწავლებელი იყო საქართველოში, სადაც პირველდაწყებით ცოდნას მშობლიურ ენაზე ღებულობდნენ. ამ სასწავლებლის გახსნას (1879) დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი და სხვ. შემდეგში ეს სასწავლებელი სანიმუშო დაწყებითი სასწავლებელი გამხდარა საქართველოში. ამ სასწავლებელში დაწყებით (მოსამზადებელ) განათლებას პატარა ალექსანდრე 1883-1887 წლებში ეუფლება. იმ დროს აქ ასწავლიდა ისეთი გამოჩენილი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: ალექსი ჭიჭინაძე, ნიკო ლომოური, რაჟდენ ჯაჯანაშვილი, გრიგოლ აგლაძე, ალექსანდრე ნათაძე, არისტო ქუთათელაძე, ნიკოლოზ მთვარელიშვილი, ივანე გამყრელიძე, ვასილ ყიფიანი და სხვები. ეს მასწავლებლები თავიანთ აღსაზრდელებს სამშობლოსადმი სიყვარულს, მშობლიური კულტურის შესწავლას და პროგრესულ იდეებს უნერგავდნენ. ამიტომაც ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ თავიანთ აღსაზრდელებში.

შემდეგში დიდი მოწიწებით იგონებდა მათ ალექსანდრე ჯავახიშვილიც: „აქ ბავშვობაში მე ვისწავლე მამულის სიყვარული, მივიღე ქართული საქმისადმი თავდადების პირველი ნათლობა, რაც შემდეგ მთელ სიცოცხლეში გამყვა. ახლაც ცოცხლად მაგონდება, როგორ შემოიტანდა ხოლმე კლასში რაჟდენ ჯაჯანაშვილი „ჯეჯილის“ ახალ ნომერს, ჩვენ თვალწინ გადაშლიდა ლამაზი ქართული შრიფტითა და მხატვრულად დასურათებული მთავარი ასოებით შემკულ ფურცლებს, მერე მოჰყვებოდა და მთელ ჟურნალს წაგვიკითხავდა. ჩვენ ბავშვებს, ეს ძალიან გვახარებდა.

მახსოვს როგორ მწარედ ვტიროდი, როცა მღვდელი ჯანაშვილი ქრისტეს წვალებაზე გვიამბობდა.

მელიტონ ბალანჩივაძე გალობას გვასწავლიდა.

ყველა მასწავლებელი თავისებური იყო, მაგრამ ბავშვებს ყველა გვიყვარდა, რადგან ვგრძნობდით მათ მშობლიურ დამოკიდებულებას“.

ალექსანდრე ჯავახიშვილი თბილისის სათავადაზნაურო ვაჟთა სასწავლებელი 1887 წელს დაამთავრა და იმავე წელს იგი მშობლებმა მიაბარეს თბილისის ვაჟთა მეორე კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიაში ალექსანდრე ჯავახიშვილი სწავლას დიდი ყურადღებით ეკიდებოდა და შრომის უნარს იჩენდა. ტოლებში გამოირჩეოდა თავისი ნიჭით და კარგი ყოფაქცევით. სწავლის პერიოდში მას არცერთი გაკვეთილი არ გაუცდენია.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა გიმნაზია წარჩინებით (ოქროს მედალზე) დაამთავრა. დამთავრების ატესტატში აღნიშნული იყო, რომ მთელი ათი წლის განმავლობაში არც ერთი გაკვეთილი არ გაუცდენია. ამის გამო იგი გაანთავისუფლეს სასწავლო გადასახადისაგან და სტიპენდიაც დაუნიშნეს მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად.

1895 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილი შედის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. იმ პერიოდში უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველ რუს მეცნიერთა შორის მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: კლიმენტი ტიმირიაზევი, ივანე სეჩენოვი, ნიკოლოზ უმოვი, ალექსანდრე სტოლეტოვი, პეტრე ლებედევი, ნიკოლოზ ზელინსკი, დიმიტრი ანუჩინი და რუსული მეცნიერების სხვა კორიფეები. სტუდენტი ალექსანდრე ჯავახიშვილი დიდი გულისყურით უსმენდა ლექციებს და მაღალი შეფასებებით აბარებდა საგნებს. გარდა ამისა, იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ მუშაობაშიც. ამით იგი გამოირჩეოდა სტუდენტთა შორის და პატივისცემას იმსახურებდა პროფესორ-მასწავლებლებს შორის.

ალექსანდრე ჯავახიშვილი სტუდენტობის პერიოდში (1895) შედის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში, რითაც დაუახლოვდა მოსკოვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ქართველ სტუდენტებს. აქტიურად მონაწილეობდა სათვისტომოს მუშაობაში. კერძოდ, სათვისტომო აწყობდა მუსიკალურ და ლიტერატურულ საღამოებს და კონცერტებს. მოგვიანებით ქართულ სათვისტომოს მუშაობაში არაქართველი სტუდენტებიც იღებდნენ მონაწილეობას. ქართული სათვისტომო ძირითადად მუშაობდა ქართული კულტურის პროპაგანდისთვის; ამასთან, ახერხებდა მატერიალური დახმარება აღმოეჩინა ღარიბი სტუდენტებისათვის. ამ მიზნით კი ეწყობოდა „ქართული საღამოები“.

თანხა გროვდებოდა საღამოებიდან და კონცერტებიდან, აგრეთვე, კერძო პირებისაგან შემოწირულობებიდან. ეს ხდებოდა იმ პირობით, რომ შემდეგ მიღებული თანხა მათ უკანვე დაებრუნებინათ. სწორედ თანხებთან დაკავშირებული საკითხები, სტუდენტობის პირველ წელსვე, მიანდეს ალექსანდრე ჯავახიშვილს, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. უფრო მეტიც, მან მიიღო ზომები შემოწირულობების გასადიდებლად; მანვე გამოარკვია ხელმოკლე სტუდენტების მდგომარეობა და სათვისტომოს გამგეობაში შეიტანა წინადადება, რათა მათ ყოველთვიურად გაწეოდათ დახმარება 10-15 მანეთის რაოდენობით. ეს მოსაზრება გამგეობამ მოიწონა. ალექსანდრე ჯავახიშვილი ზრუნავდა იმაზეც, რომ სათვისტომოს საკუთარი ბინაც შეეძინა ხელმოკლე სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად.

ალექსანდრე ჯავახიშვილი სტუდენტობის პერიოდზე თავის მოგონებაში წერს: „კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დამთავრების შემდეგ საბუნებისმეტყველო განხრით უმაღლესი სწავლა-განათლების მიღება წარმოადგენდა ჩემთვის სრულიად უცნობ და არსებითად ახალ საქმეს. მაგრამ ამ სრულიად უცნობ და არსებითად ახალ მიმართულებით სწავლა-განათლების გაგრძელებას მე სწრაფად შევეთვისე, ჩემს წინაშე გაიშალა ბუნების მეცნიერებათა უსაზღვრო ჰორიზონტი და გატაცებით შევუდექი მუშაობას.

მოსკოვის უნივერსიტეტი მაშინაც ერთ-ერთ მოწინავე უნივერსიტეტად ითვლებოდა რუსეთში თავისი კარგად მოწყობილი ლაბორატორიებით, კაბინეტებით, მუზეუმებით, ბიბლიოთეკებით, თავი-

სი მეცნიერ-მასწავლებლებით და სხვა დამხმარე პერსონალით. ბუნებისმეტყველების ცალკეულ დარგებს – ფიზიკას, ქიმიას, ანატომიას, ცხოველთა ფიზიოლოგიას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, მინერალოგიას, გეოლოგიას და სხვ. თავთავიანთი კორპუსები და ბინები გააჩნდათ.

ჩემდა საბედნიეროდ, ამ დროს მოსკოვის უნივერსიტეტში მოღვაწეობნენ გამოჩენილი რუსი მეცნიერი ბუნებისმეტყველები, რომლებსაც მაშინაც დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი თავიანთი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობით. ყველა ამათ ვუსმენდი მე ლექციებს, ვმუშაობდი მათ ლაბორატორიებში და კაბინეტებში და ვაბარებდი მათ გამოცდებს; არ ვაცდენდი არც ერთ ლექციას ლაბორატორიულ და სხვა პრაქტიკულ ვარჯიშობებს.

ლექციების წინა დღეს სალექციო საკითხს, რომელსაც ვგებულობდი კურსის პროგრამის მიხედვით, ვეცნობოდი პროგრამით მითითებული სახელმძღვანელო მასალით, რომ პროფესორის ნაამბობი წინასწარ ყოფილიყო ჩემთვის ცნობილი, რაც მიადვილებდა უკეთესად გამეგო ლექციის შინაარსი; შემდეგ წერილობით ვაკონსპექტებდი მოსმენილ ლექციას, რაც მიადვილებდა მის დამახსოვრებას და ამის გამო გამოცდების ჩაბარებაც ჩემთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მე თითქმის ყოველდღიურად უნივერსიტეტში ვატარებდი მუშაობას დილის 9 საათიდან საღამოს 7-8 საათამდე, სასადილო საათების გამოკლებით.

დიდ პატივისცემას ვგრძნობდი ჩემი საუნივერსიტეტო მასწავლებლების მიმართ და მიხაროდა ხოლმე მათთან შეხვედრა ლექციებზე და პრაქტიკულ ვარჯიშობის დროს. თითოეული მათგანი თავისებური იყო და მიმზიდველი. მათი კარგი და გულითადი განწყობილება სტუდენტებისადმი თავისთავად იგრძნობოდა. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე პროფესორი კლიმენტი არკადის ძე ტიმირიაზევი, როგორც მეცნიერი და როგორც მოქალაქე – თავისუფალი მოაზროვნე. მე მაშინ მეორე კურსზე ვიყავი და განვიზრახე ჩემ ქართველ ამხანაგებთან ერთად მივსალმებოდი მას იუბილეზე. იუბილეზე ჩვენ არ დაგვიშვეს. მაგრამ ჩვენ ჩვენი ადრესით მაინც ვეწვიეთ მას ბინაზე და მივულოცეთ.

ჩემი კურსის სტუდენტებთანაც კარგი ამხანაგური დამოკიდებულება მქონდა დამყარებული. მომწონდა რუსი სტუდენტების უბრალო, გულღია და მეგობრული განწყობილება“.

პირველ კურსზე ღვთისმეტყველებაში ლექციები ეკითხებოდა უნივერსიტეტის ძველი მთავარი შენობის სააქტო დარბაზში. როგორც ალექსანდრე ჯავახიშვილი აღნიშნავს თავის წიგნში („გზის დასაწყისი“), „კათედრის უკან ჩამოკიდებულ ოქროს ვენზელზე აღნიშნული იყო მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებელთა ვინაობა:

Учредители Императорского Московского Университета,
Ее величество Императрица Елизавета Петровна,
Граф Шувалов, Михайло Ломоносов,
Царевич Вахушти.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვახუშტის სახელი რომ წავიკითხე. მას შემდეგ მუდამ მაფიქრებდა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი.

1897 წელს მოსკოვის სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად შევასრულე ბერობაში მყოფი ალექსანდრე ოქროპირიძის დავალება, მოსკოვში მოვძებნე ვახუშტი ბატონიშვილის საფლავი.

ვახუშტის საფლავი ვიპოვნეთ დონის მონასტრის ქვემო სართულის ერთ-ერთი ბნელი სამლოცველოს კედლის გვერდით. იატაკის პირას მდებარე ლითონის ფილაზე შერჩენილიყო მხოლოდ სახელის სამი ბოლო ასო „щти“ და სამეფო გვირგვინის ნახატის ნახევარი“.

სამწუხაროდ, ქართველმა საზოგადოებამ მაშინ ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია. 1917 წლის შემდეგ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მიკრული წარწერიანი ფილა გაქრა, ხოლო ვახუშტის საფლავის არსებობას დონის მონასტერში არაერთი ქართველი სტუდენტი თუ მოღვაწე ადასტურებდა, ხოლო როცა მისი ძებნა დაიწყეს უკვე გვიანღა იყო...

ალექსანდრე ჯავახიშვილმა 1900 წელს წარჩინებით (პირველი ხარისხის დიპლომით) დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება და, იგი იქვე, იმავე უნივერსიტეტში სამეცნიერო მოღვაწეობის მოსამზადებლად ჩარიცხეს არაორგანული ქიმიის კათედრაზე ლაბორანტის თანამდებობაზე.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დამთავრების წინ, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, ცნობილმა ქართველმა მრეწველმა და საზოგადო მოღვაწემ, მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა ალექსანდრე ჯავახიშვილს შესთავაზა უნივერსიტეტის დამთავრებისთანვე მუშაობა დაეწყო ბაქოში ქიმიკოსად კარგ მატერიალურ პირობებში, ან თბილისში ქართული მუზეუმის გამგებლობა, რომლის მოწყობა მას განუზრახავს ფიქრის გორაზე. მოსკოვის უნივერსიტეტში ალექსანდრე ჯავახიშვილის სამუშაოდ დატოვებამ და დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებამ ეს განზრახვა ჩაშალა; მოსკოვის უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილება ალექსანდრე ჯავახიშვილს შემდეგში დიდად დაეხმარა მომავალ მოღვაწეობაში ბუნებისმეტყველებასა და, კერძოდ, გეოგრაფიაში.

1900-1917 წლებში ალექსანდრე ჯავახიშვილი მოსკოვში მოღვაწეობს. გარდა უნივერსიტეტისა, იგი მოღვაწეობს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში და ქალთა უმაღლეს კურსებზე. აგრეთვე, იგი მონაწილეობს სხვა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების მუშაობაში. საყურადღებოა, რომ ალექსანდრე ჯავახიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან და აქტიურად მონაწილეობდა იმ პერიოდში მოქმედ სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. როგორც მოსკოვში, ისე თბილისში იგი ასრულებს ამ ორგანიზაციების დავალებებს. მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაკავშირებული იყო საქართველოსა და კავკასიასთან.

წლების განმავლობაში იგი აგროვებდა მასალებს საქართველოს სხვადასხვა მხარეში და რამდენიმე წიგნიც გამოსცა.

საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლისათვის ალექსანდრე ჯავახიშვილი წლების განმავლობაში საჭირო მასალებს აგროვებდა. თუმცა პირველი შრომა მან მოსკოვის უნივერსიტეტში მუშაობისას, არაორგანული ქიმიის ლაბორატორიაში პროფ. ა. საბანეევის ხელმძღვანელობით შესრულდა. ეს შრომა დაიბეჭდა 1902 წელს.

შემდეგში მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარიმართა ანთროპოლოგიის ხაზით; ეს ძირითად გამოწვეული იყო, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ენათმეცნიერის, ვინმე ვოლკოვის ლექციაზე დასწრებისას, როცა მან კავკასიელ ხალხთა ენები მიაკუთვნა ეგრეთ წოდებულ „იზოლირებული ხალხების“ ენათა ჯგუფს. ეს გარემოება ალექსანდრე ჯავახიშვილს გულში ჩაწვდა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიაშურა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ სამეცნიერო საზოგადოების ანთროპოლოგიურ განყოფილებას, რათა ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდით გაერკვია კავკასიის ხალხთა და ქართველი ერის მოდგმის საკითხი.

ამ მიზნით, იგი 1903-1917 წლებში ზაფხულობით, არდადეგების დროს, აგროვებდა ანთროპოლოგიურ მასალებს საქართველოს სხვადასხვა მხარეში – ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, რაჭაში, მთიულეთში. შეგროვებულ მასალებს კი მოსკოვში ამუშავებდა. მიღებულ შედეგებზე კითხულობდა მოხსენებებს და რუსულ ანთროპოლოგიურ ჟურნალში ბეჭდავდა შრომებს.

1905 წელს მზად იყო მისი ნაშრომი „საქართველოს ანთროპოლოგია, ტ. I. ქართველები. ქართლელები და კახელები“. დაისვა საკითხი ამ შრომის გამოცემის თაობაზე, მაგრამ გამოცემის სახსრები არ იყო. მაშინ, პროფესორმა დ. ანუჩინმა მიმართა მოსკოვში მცხოვრებ, მის კარგ ნაცნობ ქართველ ლევან ზუბალაშვილს, რომელმაც მაშინვე გამოჰყო საჭირო თანხა აღნიშნული შრომის გამოსაცემად. ალექსანდრე ჯავახიშვილი იგონებს: „პროფ. ანუჩუნის მეოხებით პირველად გავიგე ლევან ზუბალიშვილის ქველმოქმედებაზე. ამის შემდეგ მე მას დავუახლოვდი და ისიც დიდი თანაგრძნობითა და ნდობით მეკიდებოდა“.

1908 წელს დაიბეჭდა მისი მონოგრაფია – „Антропология Грузии, т. XXVI, М., 1908“. ალექსანდრე ჯავახიშვილის ამ წიგნის გამოქვეყნებამდე სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან მცირე ცნობები მოიპოვებოდა ქართველთა ანთროპოლოგიაზე. მანამდე შეუძლებელი იყო „ანთროპოლოგიური“ თვალსაზრისით ქართველების შედარება კავკასიის დანარჩენ ხალხებთან. ამ შრომას დიდი შეფასება მისცეს რუსმა მეცნიერებმა. პროფესორი ალ. ივანოვსკი წერდა: „კავკასიის ანთროპოლოგიისადმი მიძღვნილ გამოკვლევათა შორის ალ. ჯავახიშვილის შრომამ, მასში სისტემატიზებული მონაცემების სიმდიდრითა და მათი დამუშავების დეტალურობით, უპირველესი ადგილი უნდა დაიკავოს“. ამ შეფასების შემდეგ იგი წინადადებას იძლევა, რათა ალ. ჯავახიშვილის ამ შრომას მიენიჭოს პროფ. ა. რასცვეტოვის სახელობის პრემია. 1908 წლის 15 ოქტომბერს ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა სამეცნიერო საზოგადოებამ საკონკურსო კომისიის დასკვნით ალ. ჯავახიშვილის მონოგრაფიას ეს უმაღლესი ჯილდო მიანიჭა. ამ შრომამ საქართველოშიც პოვა გამოძახილი. გაზეთ „ამირანში“ (9.VII.1908, №3, გვ.4) ამ შრომასთან დაკავშირებით ინფორმაცია დაიბეჭდა: „თუმცა მძიმედ და დინჯად, მაგრამ მაინც თანდათანობით წინ მიდის საქართველოს მეცნიერული შესწავლა. ბ-ნ ჯავახიშვილის წიგნი ამ წინსვლის ერთ-ერთი საბუთია. საკუთრივ ანთროპოლოგიური გამოკვლევისათვის თავის წიგნში ბ-ნ ჯავახიშვილს წინ წარუმძღვარებია საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. არ შეგვიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნოთ გეოგრაფიული აღწერის იშვიათი ღირსება: შინაგანი მთლიანობა და სისტემატური გაერთიანება საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილების ერთ ერთეულად, სისტემატური პარალელიზმი ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ დანაწილებას შუა. ბ-ნ ჯავახიშვილის ხელში საქართველო, როგორც გეოგრაფიული ერთეული, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი ლოგიკური გამოხატულება იყოს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის თავისებურებისა“. წერილის დასასრულს რეცენზენტი გამოთქვამს წიგნის ქართულ ენაზეც გამოცემის სურვილს.

აღმოსავლეთ საქართველოს შესწავლის შემდეგ ალექსანდრე ჯავახიშვილმა დასავლეთ საქართველოს ანთროპოლოგიური შესწავლა გააგრძელა. ამ მიზნით 1908 წლის ზაფხულში იკვლევდა იმერეთს, რაჭას, 1909 წელს კი – გურიას. გამოკვლევების წინასწარი შედეგები 1908 წლის 9 ოქტომბერს მოახსენა ანთროპოლოგიური განყოფილების სამეცნიერო საბჭოს, ხოლო საბოლოო შედეგები – 1910 წლის 23 იანვარს. 1912 წელს დაიბეჭდა ნაშრომი, რომელიც იწყება გურიის ისტორიის მოკლე დახასიათებით, სადაც მოყვანილია სათანადო სტატისტიკური მონაცემები გურიის მოსახლეობის რაოდენობაზე. ამ ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საკუთრივ ანთროპოლოგიურ მასალებსა და დასკვნებს.

1912 წელს მზად იყო მისი მონოგრაფია იმერეთის, რაჭისა და გურიის ქართველების შესახებ, მაგრამ იგი მხოლოდ 1914 წელს დაიბეჭდა.

ამ მონოგრაფიის ავტორს მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებამ, 1912 წლის 10 ოქტომბერს, ალექსანდრე ჯავახიშვილს უმაღლესი სამეცნიერო ჯილდო პროფ. ა. რასცვეტოვის პრემია მეორედ მიაკუთვნა.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა 1911 წელს გამოკვლევები ჩაატარა სამეგრელოში და მის შესახებ მან მოხსენება გააკეთა 1912 წელს ანთროპოლოგიის განყოფილების სხდომაზე, ხოლო 1913 წელს იგი ანთროპოლოგიურ ჟურნალში გამოაქვეყნა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი შემდეგშიც აგრძელებს კვლევას კავკასიის ხალხებზე. 1915-1917 წლებში უკვე მისი მუშაობა საქართველოს ფარგლებს სცილდება, რის შედეგად გამოაქვეყნა მონოგრაფია – „კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის შედარებით ანთროპოლოგიური ანალიზით“. მონოგრაფია ილუსტრირებულია რუკებით, კარტოგრამებით, აგრეთვე დიაგრამებით და ფოტოსურათებით. მონოგრაფიაში შეჯამებულია მთელი ის მასალები და შედეგები, რომლებიც 1917 წლისათ-

ვის არსებობდა კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიის შესახებ, რის შედეგად მიღებულია საინტერესო დასკვნები, რომელთა ნაწილი 1923-1926 წლებში გამოქვეყნდა ქართულ და გერმანულ სამეცნიერო ჟურნალებში.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ყველაზე დიდხანს მუშაობდა მოსკოვის უმაღლეს და საშუალო სკოლებში პროფესორ ალექსანდრე რეფორმატსკისთან. იგი პროფესორს ეხმარებოდა უნივერსიტეტში არაორგანული ქიმიის ლექციების დემონსტრირებაში, პირველ კომერციულ სასწავლებელში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებაში და მოსწავლეთა ქიმიის სამეცნიერო წრის მუშაობაში. მუშაობდა აგრეთვე ასისტენტად უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში (1900-1908) და ქალთა უმაღლეს კურსებზე (1900-1917).

ალექსანდრე ჯავახიშვილის მიმართ მისი პროფესორ-მასწავლებლების, კოლეგების და სტუდენტების გულთბილი დამოკიდებულება დიდად ახალისებდა მას ჯერ კიდევ ახალგაზრდა მუშაკს, იმ დიდი დატვირთვის შესრულებაში, რომელსაც იგი ეწეოდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-პედაგოგიური ხაზით.

1900-ან წლებში მოსკოვში დაიწყო სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ორგანიზაცია. ქართველ სტუდენტებმაც შექმნეს უნივერსიტეტში ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო წრე, უმაღლესი კომერციული ინსტიტუტის სტუდენტებმა კი – აკაკი წერეთლის სახელობის სამეცნიერო წრე. ვინაიდან სტუდენტთა წრეების თავმჯდომარედ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელი უნდა ყოფილიყო, ამიტომ, სტუდენტთა მოთხოვნით, ორივე წრის თავმჯდომარეობა, მათი მუშაობის ხელმძღვანელობა და საქმიანობა, ალექსანდრე ჯავახიშვილს დაევალა. ამ წრეებში ქართველი სტუდენტობა ხალისით დადიოდა და მოხსენებებს კითხულობდნენ.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ მოსკოვში ქართველ სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა. გაიზარდა მოსკოვში მომუშავე ქართველ ინტელიგენტთა რაოდენობაც. წარმოიშვა აზრი, რომ მოსკოვში შექმნილიყო ქართველთა საზოგადოება, რაც განხორციელდა კიდეც 1908 წელს. ამ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დრამატურგი და მსახიობი ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, ხოლო მის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას 1908-1916 წლებში ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ჯავახიშვილი. ამ საზოგადოების განმტკიცებისა და სტუდენტთათვის კლუბისა და სამკითხველოს მოწყობის მიზნით, მან მიმართა ცნობილ ქართველ მრეწველსა და მეცენატს ლევან ზუბალაშვილს. მეცენატმა იგი გულთბილად მიიღო, გაეცნო გეგმებს და ქართველთა საზოგადოებას ორმოცი ათასი მანეთი გადასცა. ამ თანხით საზოგადოებისათვის დაიქირავეს ბინა, მოაწყვეს ბიბლიოთეკა და სამკითხველო. ზუბალაშვილს დიდი გეგმები ჰქონდა დასახული საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნაში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სკოლის ორგანიზაციაზე, მაგრამ უეცრად მისი გარდაცვალების გამო, განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი თავის ავტორიტეტით დიდ დახმარებას უწევდა ქართველთა საზოგადოებას და ეხმარებოდა სტუდენტთა საღამო-კონცერტების ჩატარებაში, პირადი გამოსვლითაც კი.

ქართველთა საზოგადოება აწყობდა საჯარო მოხსენებებს ქართველი მწერლების შემოქმედების საკითხებზე, შეხვედრებს ქართველ მოღვაწეებთან აკაკი წერეთელთან, ნიკო მართან და სხვ.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა რამდენჯერმე წაიკითხა მოხსენება მოსკოვის ქალთა საზოგადოებაში, მათი თხოვნით საქართველოს ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ალექსანდრე ჯავახიშვილი მონაწილეობას იღებდა მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ საბუნებისმეტყველო სამეცნიერო წრის მუშაობაში, კერძოდ, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის სექციაში. ამ წრეში ალექსანდრე ჯავახიშვილი კითხულობს ლექციების ციკლს ანთროპოლოგიისა და ბუნებისმეტყველების საკითხებზე.

მოსკოვში ყოფნისას, სტუდენტობის დროს და შემდეგშიც, ალექსანდრე ჯავახიშვილს მუდამ ჰქონდა კავშირი საქართველოს საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, ღებულობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და თვალყურს ადევნებდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ საზოგადოებიდან ღებულობდა სხვადასხვა დავალებებს, რასაც ყოველთვის ასრულებდა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი საქართველოსადმი დიდ პატრიოტიზმსა და სიყვარულზე მეტყველებს მრავალი ფაქტი. მათ შორის გვინდა მკითხველს ერთი მათგანი გავაცნოთ.

ამ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩამოდიოდა ცნობილი არქეოლოგი ქალი გრაფინია უვაროვა, რომელმაც არაერთი არქეოლოგიური ნივთი გაიტანა საქართველოდან. იმ პერიოდში მოსკოვის ისტორიული მუზეუმის მოწვევით, უფრო კი გრაფინია უვაროვას თაოსნობით, მოეწყო მუზეუმის მუშაკთა ყრილობა. ამ ყრილობაზე საქართველოს საზოგადოებრივი წარმომადგენელი იყო ალექსანდრე ჯავახიშვილი. ყრილობის დაწყების წინ მან გაიგო, რომ უვაროვას მიზანი იყო, მიეღოთ რეზოლუცია, რომლის საფუძველზე, რუსეთის განაპირა მხარეების ნაციონალური მუზეუმების ქონება თავმოყრილიყო მოსკოვის ერთიან მუზეუმში. ალექსანდრე ჯავახიშვილი იქვე დაუკავშირდა პოლონეთის, უკრაინისა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, შეიქმნა სექცია, რომელმაც გამოიტანა საწინააღმდეგო დადგენილება. ამ დადგენილებამ კი ყრილობის საბოლოო პლენარულ სხდომაზე, სადაც უნდა განხორციელებულიყო გრაფინია უვაროვას განზრახვა, სექციის გადაწყვეტილებით ვეღარ ასრულდა. ცხადია, ამან ალექსანდრე ჯავახიშვილისადმი გრაფინია უვაროვას დიდი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია.

ალექსანდრე ჯავახიშვილი მოსკოვში ასრულებდა აგრეთვე საქართველოში არსებულ სამეცნიერო-საზოგადოებების რიგ დავალებებს. მათ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებებს. ასევე, საქართველოს საზოგადოებების დავალებით ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინისადმი მიძღვნილ მოსკოვში გამართულ საიუბილეო სხდომაზე ალექსანდრე ჯავახიშვილმა იუბილარს მიართვა თბილისიდან გამოგზავნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ქართველიშვილის გამოცემა) და წაიკითხა ქართულად დაწერილი მილოცვა იუბილეზე დამსწრე მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე, რასაც სუმბათაშვილი-იუჟინის აღტაცება გამოუწვევია და მას მადლობა ქართულ ენაზე წარმოუთქვამს.

მოსკოვში ყოფნის დროს ალექსანდრე ჯავახიშვილი ზაფხულობით ცოცხალ კავშირს ამყარებდა საქართველოს საზოგადოებრივ და სამეცნიერო საზოგადოებებთან; კერძოდ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო, ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებებთან, საეკლესიო მუზეუმთან, ქართული გაზეთების რედაქციებთან. თბილისში ყოფნის დროს იგი კითხულობდა საჯარო მოხსენებებს და ლექციებს; ღებულობდა უშუალო მონაწილეობას მათ მუშაობაშიც. აგრეთვე, მონაწილეობდა მოგზაურობებსა და ექსკურსიებში საქართველოს ბუნებისა და კულტურის ძეგლების გასაცნობად და სხვ.

ალექსანდრე ჯავახიშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა ყრილობის მუშაობაში. კერძოდ, რუსეთის ტექნიკური და პროფესიული განათლების მოღვაწეთა III ყრილობაში, რომელიც მიეძღვნა რუსეთის კომერციულ სასწავლებლებში სწავლების მდგომარეობის შესწავლას და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა დასახვას. პროფ. ა. რეფორმარტსკის წინადადებით, ყრილობის საორგანიზაციო კომისია ალექსანდრე ჯავახიშვილს იწვევს, რათა მონაწილეობა მიიღოს ყრილობის მოსამზადებელ მუშაობაში.

კომერციული სასწავლებლებიდან მიღებული მასალების საფუძველზე იგი ადგენს წერილობით მოხსენებებს ამ სასწავლებლებში ბუნებისმეტყველების საგნების სწავლების და ენების მდგომარეობასა და მისი გაუმჯობესების შესახებ. ყრილობაზე იგი მონაწილეობს სხვადასხვა მოხსენებებში, აღძრულ საკითხების ირგვლივ თავის აზრის გამოთქვამს. ამ გამოსვლებში იგი აყენებს საინტერესო საკითხებს, ამასთან, ამჟღავნებს მეცნიერის მაღალ ერუდიციას და ფართო განათლებას ბუნებისმეტყველებაში.

ყრილობაში აქტიური მონაწილეობისათვის ალექსანდრე ჯავახიშვილს მადლობა გამოუცხადეს.

1910 წელს მოსკოვში შედგა რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XII ყრილობა, რომლის მონაწილეთა აქტიური წევრი სწორედ ალექსანდრე ჯავახიშვილი იყო. ყრილობაზე მან წაიკითხა მოხსენება ქართველთა ანთროპოლოგიის შესახებ, რომლის ძირითადი დებულებები დაიბეჭდა ყრილობის მასალებში. ამასთან, ყრილობის მოხსენებებთან დაკავშირებით ჩაერთო კამათში. ამ ყრილობაზე ალექსანდრე ჯავახიშვილი არჩეულ იქნა ანთროპოლოგიის ქვესექციის მდივნად.

1913 წლის რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მორიგ XIII ყრილობაზე, რომელიც თბილისში გაიმართა, ალექსანდრე ჯავახიშვილი მონაწილეობს როგორც მოსკოვის ანთროპოლოგიური სკოლის წევრი და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წარმომადგენელი. ამ საზოგადოების სახელით იგი მიესალმა ყრილობის მონაწილეებს. ყრილობაზე მან წაიკითხა მოხსენება ანთროპოლოგიის ამოცანების შესახებ კავკასიაში, რომელიც აგრეთვე დაიბეჭდა ყრილობის შრომებში. იგი მონაწილეობას ღებულობდა წაკითხულ მოხსენებათა ირგვლივ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში. ანთროპოლოგიის ქვესექციაზე მას საპატიო თავმჯდომარედ ირჩევენ.

ალექსანდრე ჯავახიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში მოღვაწეობდა, მაინც პოულობდა დროს, რათა მონაწილეობა მიეღო საქართველოში მოქმედ სამეცნიერო-საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაში. ეს მით უფრო სასურველი იყო, რომ ამ დროს უკვე ჯავახიშვილს იცნობდნენ „როგორც მეცნიერს, ლიტერატორს და სამშობლოს მომავალ სიამაყეს“. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელთანაც მას მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. 1907 წლის 2 სექტემბერს დაარსებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ, უკვე იმავე წლის 8 ნოემბერს ხდება ამ საზოგადოების წევრი.

ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ინიციატივით, 1916 წელს თბილისში დაარსდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, რომლის დამფუძნებელთა კრებამ 1916 წლის ოქტომბერში ალექსანდრე ჯავახიშვილი დაუსწრებლად აირჩიეს საზოგადოების გამგეობის წევრად. მისი კოლეგების ასეთ დამოკიდებულებას იგი სიხარულით შეხვედრია და სპეციალურად გამოგზავნილ წერილში პირობას იძლეოდა ემსახუროს ამ ძვირფას საზოგადოებას რითაც კი შეუძლია, რაც შემდგომ წლებში თავისი მუშაობით გაამართლა.

1917 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილმა მოსკოვიდან საქართველოში დააპირა წამოსვლა. პროფესორმა ი. კაბლუკოვმა გააცნო მთავრობის დადგენილება თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების შესახებ. პროფესორს აინტერესებდა მისი აზრი ამ ინსტიტუტის დაარსებაზე. ალექსანდრე ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში თავშეკავებული იყო, რადგან, როგორც იგი აღნიშნავს, მას უფრო ქართული უნივერსიტეტის დაარსება აინტერესებდა.

მალე მას შეხვდა ყოფილი თანაკურსელი ს. ზახაროვი, რომელმაც ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით დაამთავრა კურსი. ნიშანდობლივია, რომ ს. ზახაროვის მამა ალექსანდრე ჯავახიშვილს თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა. ს. ზახაროვმა, რომელსაც თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორად ნიშნავდნენ, შეთავაზა, რათა მონაწილეობა მიეღო ამ ინსტიტუტის მუშაობაში.

ალექსანდრე ჯავახიშვილი იგონებს: „თბილისში ჩამოსვლისთანავე დამიკავშირდა პეტრე მელიქიშვილი. ის მოეწვიათ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქიმიის კათედრაზე. პ. მელიქიშვილმა მთხოვა მოვხმარებოდი მას ქიმიის კათედრის მუშაობაში. მე მას უარი ვერ ვუთხარი და დავიწყე მასთან თანამშრომლობა“.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში მან მოაწყო გეოგრაფიული კაბინეტი და კითხულობდა ლექციებს ფიზიკურსა და ამიერკავკასიის გეოგრაფიაში. ამასთან, სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით მას იწვევენ სასოფლო-მეურნეობის ფაკულტეტის გეოგრაფიის კათედრის ჯერ დოცენტის, ხოლო შემდეგ ექსტრაორდინარული პროფესორის თანამდებობაზე.

მაგრამ, როგორც მეცნიერი იგონებს: „მე განვიზრახე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კავკასიის გეოგრაფიის კურსი მომეწყო, რაზედაც დირექტორი დამთანხმდა. ამ კურსის მოსაწყობად ინსტიტუტში მოვიწვიე რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი“.

1917 წლის 3 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ იქნა სარეკომენდაციო კომისიის წევრებად ე. ღამბაშიძე, ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, პ. მელიქიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ს. ვირსალაძე, გ. დიასამიძე, შ. მესხიშვბილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. მდივნიშვილი, ე. თაყაიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, რომელსაც ევალებოდა შეედგინა ქართული უნივერსიტეტის მომავალ თანამშრომელთა ღირსეული კანდიდატების სია და სხვა (ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა დამფუძნებელი კრება. ღვინობისთვის 3. გაზეთი „საქართველო“, 1917.5/18.X, №218, გვ. 3). ამდენად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთ დამფუძნებელთაგანია ალექსანდრე ჯავახიშვილი.

ალექსანდრე ჯავახიშვილი განაგრძობდა მონაწილეობას ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მუშაობაში: კითხულობდა მოხსენებებს, მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებაში, იყო საზოგადოების გამგეობის წევრი. 1917 წლის 12 ნოემბერს მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა საზოგადოების ჯანმრთელობის სექცია. იგი შედიოდა საზოგადოების მიერ არჩეულ საუნივერსიტეტო კომისიაში, რომელსაც ევალებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ალექსანდრე ჯავახიშვილმა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საგნების სიაში შეიტანა გეოგრაფიული დისციპლინები (საზოგადო გეოგრაფია, კერძო გეოგრაფია, აგრეთვე ფიზიკური ანთროპოლოგია და რასიული ეთნოლოგია), რაც ითვალისწინებდა აგრეთვე გეოგრაფიულ კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობას. საზოგადოების კრებამ მოიწონა ეს წინადადება და გამოთქვა სურვილი 1918 წლის 1 ოქტომბრიდან გახსნილიყო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი საექიმოსთან ერთად.

1917 წლის 17 ოქტომბერს შედგა ქართული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და საექიმო ფაკულტეტის ორგანიზაციის საკითხების დამდგენი კომისიის სხდომა. კომისიაში შედიოდნენ პროფესორი პეტრე მელიქიშვილი (თავმჯდომარე), ალექსანდრე ჯავახიშვილი და არჩილ ხარაძე. კომისიამ საჭიროდ სცნო პირველი სასწავლო წლის ორივე სემესტრისათვის საგნების განაწილება. კომისიამ აგრეთვე განიხილა აუდიტორიების, ლაბორატორიების, საასისტენტო ოთახების, სალექციო მასალების კაბინეტების და საპროფესორო კაბინეტის გამოყოფის შესახებ.

უნივერსიტეტის საბჭოს 1919 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა შეესწავლა სახელმწიფო უნივერსიტეტთან ტექნიკური ფაკულტეტის გახსნის საკითხი. კომისიის წევრები იყვნენ პროფ. ი. ჯავახიშვილი, ა. რაზმაძე, პროფ. ა. დიდებულიძე და პროფ. ა. ჯავახიშვილი.

1921 წლის 10 იანვარს სხდომაზე უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა გახსნილიყო ტექნიკური ფაკულტეტი. კომისიის მიერ შემუშავებული დებულება დამტკიცდა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი საქართველოში დაბრუნების შემდეგ დიდ ორგანიზაციულ მუშაობასაც ეწეოდა. იგი ცდილობდა სამეცნიერო-გეოგრაფიული დაწესებულებები ჩამოეყალიბებინა, რისთვისაც მან შეადგინა ინსტიტუტის დებულება, რომელიც მთავრობამ 1918 წლის 18 მაისს დაამტკიცა. მატერიალურ დახმარებასაც შეპირდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მაშინ ვერ განხორციელდა.

1917 წლის 16 სექტემბერს ალექსანდრე ჯავახიშვილს ირჩევენ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრად. თუმცა მალე ამ საზოგადოებამ ფაქტიურად მუშაობა შეწყვიტა. საჭირო გახდა ახალი გეოგრაფიული საზოგადოების დაარსება. ამ მიზნით ალექსანდრე ჯავახიშვილმა შეადგინა გეოგრაფიული საზოგადოების წესდება და შეიტანა მთავრობაში, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1919 წლის ნოემბერში. ამ საზოგადოების მიზანი იყო გეოგრაფიუ-

ლი მასალების შეგროვება და კვლევა-ძიება საზოგადოდ და, კერძოდ, საქართველოს შესახებ, საქართველოში გეოგრაფიული ცოდნის გავრცელება. თავისი მიზნის განსახორციელებლად უნდა მოწყობილიყო ექსპედიციები და მეცნიერულ საკითხებზე მუშაობას აკისრებდა როგორც თავის წევრებს, ისე გარეშე პირებსაც. სამუშაო კარგად და ორგანიზებულად იყო განაწილებული, მაგრამ იმ პერიოდში დადგენილება სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი.

ალექსანდრე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1918 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის მუშაობას, როგორც მისი დირექტორი. ამ მუშაობას იგი აგრძელებდა 1921-1923 წლებში.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა საქართველოში სწავლა-განათლების მდგომარეობისა და მომავალში მისი გაუმჯობესების საკითხებს მიუძღვნა ორი სტატია, რომლებშიც მოითხოვდა ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისა და ცოდნა-აღზრდის ერთ-ერთ საფუძვლად მიღებულ ყოფილიყო ბუნებისმეტყველება. ამ კუთხით თითქმის არაფერი იყო გაკეთებული. შემდეგში სწორედ ამ მიმართულებით მოხდა საშუალო სკოლებში სწავლის გარდაქმნა.

ალექსანდრე ჯავახიშვილის მოღვაწეობა საქართველოში არანაკლებ ნაყოფიერი გამოდგა. იქმნება პირობები გეოგრაფიის როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე სათანადო კადრების მომზადების მხრივაც. ფართოდ გაიშალა მუშაობა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული პირობების მეცნიერული შესწავლისათვის. გეოგრაფიულ შესწავლას ცალკეული მეცნიერები კი აღარ აწარმოებდნენ, არამედ ამ მუშაობას მთელი რიგი დაწესებულებები, სამეცნიერო კადრები ხელმძღვანელობდა. სწორედ ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით შეიქმნა მთელი რიგი გეოგრაფიული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური დაწესებულებები და კათედრები, რომელთა ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი თვით ალექსანდრე ჯავახიშვილი გახლდათ.

მეცნიერმა შეისწავლა საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული პირობები, გადაწყვიტა სათანადო მეთოდური და მეთოდოლოგიური, აგრეთვე სამეცნიერო კადრების მომზადებისა და სხვა საკითხები. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე არც ერთი გეოგრაფიული საკითხი არ დასმულა და გადაწყვეტილა, რომლის ინიციატორი ან თანაავტორი იგი არ ყოფილიყო. ალექსანდრე ჯავახიშვილი უშუალოდ ებმება საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების შესწავლის საქმეში და ამ მხრივ მთელ რიგ საყურადღებო შრომებს აქვეყნებს. ამასთან, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სათანადო კადრების მომზადებაში, სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მუშაობაში.

საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ძირითადად წარიმართა საქართველოსა და კავკასიის გეოგრაფიული შესწავლის მიმართულებით. კვლევის ძირითადი ობიექტი კი ხდება საქართველოს რთული რელიეფი, იგი აგრეთვე სწავლობს ჩვენი ქვეყნის კლიმატურ, ჰიდროგრაფიულ თავისებურებებს, მისი ინტერესის სფეროში ექცევა ფიზიკურ- და ეკონომიკურ გეოგრაფიული, აგრეთვე ლანდშაფტური კვლევები. ამ შესწავლის შედეგად ალექსანდრე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა შრომები, რომლებიც ხასიათდება შესასწავლი საკითხების ღრმა მეცნიერული ანალიზით და ორიგინალური დასკვნებით. ამ საკითხების გადაწყვეტას იგი უკავშირებს ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის მოთხოვნებს. გარდა ამისა, მას ყურადღების გარეშე არ დარჩა გეოგრაფიული განათლების მდგომარეობა უმაღლეს და საშუალო სკოლებში. ახალი მოთხოვნების შესაბამისად, გეოგრაფიის კათედრაზე თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტებისათვის შეიმუშავეს სასწავლო გეგმა, რომელიც 1936 წლიდან საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების გეოგრაფიული ფაკულტეტების სასწავლო გეგმებს. მომდევნო ხანებში კათედრამ უფრო გაშალა მუშაობა.

ამ პერიოდში მკაფიოდ გამოიკვეთა პროფესორ ალექსანდრე ჯავახიშვილის როლი საქართველოში გეოგრაფიული კადრების მობილიზაციის საქმეში. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ნაშრომები: „ახალი მიმართულება გეოგრაფიაში“ (1924), „საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დაარსება და მისი მნიშვნელობა“ (1924) და სხვ.

საქართველოს გეოგრაფიულმა შესწავლამ გადაუდებელ ამოცანად დასახა გეოგრაფიული მეცნიერების და მისი დარგების ზოგადი და თეორიული საკითხების დამუშავება, რომელშიც ალექსანდრე ჯავახიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის.

ალექსანდრე ჯავახიშვილის კვლევის მრავალმხრივობა გამოიხატა საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიის რიგი საკითხების შესწავლით. ამის საუკეთესო მაგალითებია ნაშრომები: „კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა“ (1923) და „კავკასიური მოდგმა“ (1923), „სომხები ანთროპოლოგიური თვალსაზრისით“ (1924). შემდგომ წლებში ალექსანდრე ჯავახიშვილი მთლიანად ებმება გეოგრაფიული მეცნიერების ცალკეული დარგების პრობლემების დამუშავებაში. მისი მუშაობა ანთროპოლოგიაში სხვა მკვლევართა შრომების რეცენზირებაში გამოიხატა სამეცნიერო ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით, ან დასაბეჭდად განკუთვნილ შრომების რეცენზირებაში.

მეცნიერის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კარტოგრაფიულ სამუშაოებსაც. სერგი ცხაკაიასთან ერთად, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სასწავლო-სასკოლო რუკების შედგენას და გამოცემას. გამოცემულ რუკათა შორის აღსანიშნავია კავკასიის ოროგრაფიული, ჰიფსომეტრიული, მინერალურ-სიმდიდრეთა, პოლიტიკური და ადმინისტრაციული რუკები 1:1800000 მასშტაბში. ამ რუკებმა საშუალო სკოლებს, თავის დროზე, დიდი სამსახური გაუწია; ამასთან, რუკების გამოცემით დაიწყო ახალი ქართული კარტოგრაფიული საქმის განვითარება. 1927 წელს გამოვიდა ალექსანდრე ჯავახიშვილის გეოგრაფიული ატლასი, რომელშიც 15 რუკაა მოთავსებული. ამ ატლასის უმეტესი რუკები პირველად არის შედგენილი. 1928 წელს მეცნიერის მიერ სპეციალურად შედგა პრაქტიკულ ვარჯიშობათა ატლასი საქართველოს გეოგრაფიაში. მოგვიანებით, იგი ადგენს 24 რუკისაგან შემდგარ ატლასს. სერგი ცხაკაიასთან ერთად შედგა და გამოიცა სასწავლო ფიზიკური რუკა 4 ფურცელზე 1:400000 მასშტაბში. ამავე მასშტაბში შედგა აგრეთვე საქართველოს ფიზიკური რუკა 4 ფურცელზე. 1931-1932 წელს კი ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შედგა და გამოიცა უფრო მსხვილმასშტაბიანი რუკები (1:200000) 12 ფურცელზე, რომელზეც რელიეფი გამოსახულია ტუშვით და იზოჰიფსებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს რუკა 1933 წელს დემონსტრირებულ იქნა სრულიად საკავშირო I გეოგრაფიულ ყრილობაზე ლენინგრადში და 1934 წელს მსოფლიო XIV გეოგრაფიულ კონგრესზე ვარშავაში, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და ნამუშევარს მაღალი შეფასება მიეცა. ამავე მასშტაბში გაკეთდა რუკის მეორე ვარიანტი ტყეების გავრცელების ჩვენებით. იმ დროისათვის ეს იყო ქართულ ენაზე შედგენილი ერთადერთი რუკა, რომელიც სამეცნიერო დონითა და პოლიგრაფიული ხარისხით დასავლეთ ევროპის სტანდარტებს არ ჩამოუვარდებოდა.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა შემდგომშიც არაერთი თემატური რუკა შეადგგინა სხვადასხვა მასშტაბში. მათ შორის აღსანიშნავია: საქართველოს რელიეფის ეგზოგენური ტიპების, მორფოგრაფიული, მორფოგენეტური, მორფოლოგიური, აგრეთვე კლიმატური, ჰიდროგრაფიული, ფიზიკურ-გეოგრაფიული, მოსახლეობის სიმჭიდროვისა და სხვა შინაარსის რუკები.

საქართველოში დაბრუნებისთანავე იგი შეუდგა კარტოგრაფიული დაწესებულების შექმნის ორგანიზებას. საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების დაარსებასთან ერთად, 1924 წელს, მისი ინიციატივით და ძალისხმევით, შეიქმნა კარტოგრაფიის კაბინეტი, რომელიც 1928 წელს კარტოგრაფიის ინსტიტუტად გადაკეთდა.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა აქ შემოიკრიბა გამოცდილი პროფესიონალი კარტოგრაფები, მათ შორის სერგი ცხაკაია, რომელმაც 1904 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო ტოპოგრაფიული სასწავლებელი. შემდეგ წელს იგი იწყებს პრაქტიკულ და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიის შესწავლას. ამ ინსტიტუტში შედგა და გამოიცა მრავალი ზოგადგეოგრაფიული და თემატური რუკები და ატლასები.

1926 წლიდან ალექსანდრე ჯავახიშვილი სწავლობდა საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის და დასახლებათა გეოგრაფიულ განლაგებას. ამ მიზნით მან შეადგინა საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვისა და მოსახლეობის ვერტიკალური გავრცელების რუკები 1:400000 მასშტაბში და დასახლებული პუნქტების განლაგებისა და განაწილების რუკა 1:200000 მასშტაბში.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა თავის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო საქართველოს გეომორფოლოგიურ საკითხებს. პირველ ეტაპზე საჭირო გახდა ზოგადი გეომორფოლოგიური დახასიათების შედგენა, რაც ჯერ კიდევ 1926 წელს შეასრულა და გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს გეოგრაფია, ტ. I. გეომორფოლოგია“, გეოგრაფიული ატლასით. ეს მონოგრაფია საქართველოს ტერიტორიის ზოგადი გეომორფოლოგიის შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს და გამოირჩევა ფაქტობრივი მასალის სიმდიდრით. ამავე საკითხზე იგი მუშაობას შემდეგშიც აგრძელებს და 1947 წელს დაგვირგვინდა საქართველოს რელიეფის ტიპებისა და მათი გავრცელების რაიონების შესახებ მონოგრაფიის გამოცემით – „Геоморфологические районы Грузинской ССР. Типы рельефа и районы их распространения, М-Л., 1947“. ამ შრომაში მოცემულია რეგიონალური გეომორფოლოგიის საგნის ზუსტი განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიის მაგალითზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რელიეფის ტიპების კლასიფიკაცია, რომელშიც ყველაზე მცირე გეომორფოლოგიური ლანდშაფტური ერთეულის ტიპი და მისი გავრცელების რაიონია წარმოდგენილი. განხილულია აგრეთვე რელიეფის ტიპთა კომპლექსები, რომლებიც ხასიათდებიან ზონალური გავრცელებით. ამ მონოგრაფიამ დიდი აღიარება პოვა მეცნიერთა წრეებში. უკვე 1948 წელს რუსულ პერიოდიკაში („საბჭოთა წიგნი“, 1948, №9 და „ლენინგრადის უნივერსიტეტის მაცნეში“, 1948, №11) გამოქვეყნდა ს. კუზნეცოვისა და ს ლუკანოვის რეცენზიები აღნიშნულ მონოგრაფიებზე, სადაც მას შენიშვნებთან ერთად დადებით შეფასებას აძლევენ. ეს მონოგრაფია სტუდენტებისათვის ძირითად სახელმძღვანელოდ იქცა.

მეცნიერის სხვა შრომები გეომორფოლოგიაში ეხება საქართველოს ტერიტორიის ცალკეული მხარეების გეომორფოლოგიურ დახასიათებას. რამდენიმე შრომა მან უძღვნა ზოგადი გეომორფოლოგიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა – გეომორფოლოგიის საგანი და ამოცანები, გეომორფოლოგიური დარაიონების პრინციპები, მთიანი მხარეების დახასიათების პრინციპები და მათი გეომორფოლოგიური კარტოგრაფირების მეთოდები, ვაკეთა და ვაკიან მხარეთა კლასიფიკაცია, რელიეფის ტიპებისა და ფორმების კლასიფიკაცია, გეომორფოლოგიური რუკის უნიფიკაციის საკითხები, ზედაპირის დახრილობისა და დანაწილების გეომორფოლოგიური მნიშვნელობა და მისი გამოყენების მეთოდები და სხვ. 1955 წელს გამოაქვეყნა შრომა – „რელიეფის ტიპები და მათი ფორმები. საქართველოს გეომორფოლოგიური რუკის ლეგენდისათვის 1:200000 მასშტაბით“. ყურადღების გარეშე არ დარჩენია ზოგადი გეომორფოლოგიური სამეცნიერო ტერმინების ქართული შესატყვისების შემუშავებაც. მეცნიერს გეომორფოლოგიის საკითხებზე 50-ზე მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.

ალექსანდრე ჯავახიშვილი, საქართველოს გეომორფოლოგიის შესწავლასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა კლიმატურ და ჰიდროლოგიურ კვლევასაც. ამ მიმართულებით, მის მიერ ჩატარებული კვლევა პირველ ცდას წარმოადგენს, კერძოდ, მან შეისწავლა ქვეყნის თერმული და პლუვიომეტრული რეჟიმის გავრცელების პირობები, რის მიხედვით დაადგინა თერმული ზონები და მათი გეოგრაფიული განაწილების თავისებურებანი. თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის რამდენიმე წლის მონაცემების მიხედვით დაადგინა ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების მონაცემები თითოეული მეტეოროლოგიური სადგურებისათვის ცალ-ცალკე. ამის საფუძველზე ალექსანდრე ჯავახიშვილმა დაადგინა საქართველოს სითბოს ზონები და ნალექთა ტიპები. მიღებული შედეგების მიხედვით კი გამოაქვეყნა რამდენიმე შრომა – ტემპერატურული რეჟიმის დახასიათება ცხრილების დართვით და წლიური იზოთერმების განაწილების რუკით, იანვრისა და ივლის-აგვისტოს საშუალო ტემპერატურათა განაწილებისა და სითბოს ზონების ცხრილებითა და

რუკით. გარდა ამისა, შეისწავლა სითბოს ზონები ცალკეული რეგიონების მიხედვით და გამოაქვეყნა სტატიები. სითბოს რეჟიმის გეოგრაფიული გავრცელების სურათის მისაღებად. გამოყოფილი ტიპები გამოსახა 1:400000 მასშტაბის რუკაზე, რითაც მიიღო საქართველოს სითბოს ზონების რუკა. ამ რუკის ანალიზით ჩანს სითბოს რეჟიმის დამოკიდებულება რელიეფის ჰორიზონტალურ და ვერტიკალური განვითარების თავისებურებებთან.

მეცნიერმა დიდი მუშაობა გაწია ჰიდროლოგიურ კვლევაშიც. სხვა საკითხებთან ერთად მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ჰიდროლოგიური დაყოფა და შეადგინა ჰიდროგრაფიული დარაიონების რუკა. ამით შედგა მდინარეთა აუზების გეოგრაფიული განლაგება, რაც მჭიდრო კავშირშია საქართველოს რთული რელიეფის პირობებთან

უნივერსიტეტში ზოგადი კლიმატოლოგიის კურსის წაკითხვასთან, აგრეთვე კლიმატოლოგიის პრაქტიკუმის შედგენასა და გერმანულიდან თარგმნილი ალფრედ ჰეტნერის „დედამიწის ჰავების“ ქართული თარგმანის რედაქციასთან დაკავშირებით, მან დაამუშავა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია კლიმატოლოგიაში.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ფიზიკურ და ეკონომიკური გეოგრაფიის კვლევაში. 1935 წელს შეადგინა საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების რუკა, ხოლო მოგვიანებით, შექმნა შრომა ამავე საკითხზე. მას შემდეგ არაერთი შრომა გამოაქვეყნა როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ისე ეკონომიკურ-გეოგრაფიულ საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია დარაიონების პრინციპები, რომლის ამოცანას წარმოადგენდა მრავალფეროვანი ბუნების მქონე ქვეყნის ტერიტორიის დაყოფა ბუნებრივ ნაწილებად, ამ ტერიტორიაზე წარმოებული გეოგრაფიული პროცესების გენეზისის საფუძველზე, გეოგრაფიული კანონზომიერებების პრინციპებზე და გეოგრაფიულ პროცესთა და ობიექტთა ურთიერთდამოკიდებულების და შეპირობების კანონებზე. შრომის მეორე ნაწილში არკვევს საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული დარაიონების ამოცანას, ხოლო შემდეგ იძლევა ამ დარაიონების ცდას. აღსანიშნავია, რომ მანამდე საქართველოს ეკონომ-გეოგრაფიული დარაიონება ასე სრული სახით არ განხორციელებულა. 1930 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილმა შეადგინა და გამოაქვეყნა საქართველოს გეოგრაფიულ-სტატისტიკური ატლასი, რომელიც 50 დიაგრამისა და 40 კარტოგრამისაგან შედგება. ამ ატლასში მოცემული კარტოგრამები და დიაგრამები ნათლად გვიჩვენებენ საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას, რითაც კარგი სამსახური გაუწია ამ საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

მეცნიერის შრომები ლანდშაფტურ დახასიათებასაც ეხება, რასაც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მან ჯერ კიდევ 1935 წელს შეადგინა ლანდშაფტმცოდნეობის კურსის პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისათვის და სათანადო კურსს კითხულობდა გეოგრაფიული განყოფილების სტუდენტებისათვის. 1937-1938 წლებში ალექსანდრე ჯავახიშვილი ქობულეთის და ოზურგეთის რაიონების ლანდშაფტების დახასიათების მაგალითზე იძლევა ამა თუ იმ მხარის ლანდშაფტური კვლევა-ძიების ნიმუშს. 1947 წელს იგი ადგენს საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ ლანდშაფტურ დახასიათებას და ამ ლანდშაფტების გავრცელების რუკას.

გარდა აღნიშნულისა, ალექსანდრე ჯავახიშვილის შრომები ეხება სამხედრო გეოგრაფიას, გეოგრაფიის თეორიულ საკითხებს, საქართველოს გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიას და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე დაიწყო ზრუნვა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზე. ამ მიზნით, მთავრობის დავალებით, დაევალა მთელ რიგ წამყვან მეცნიერებს ამ ტერიტორიების შესწავლა. ესენი იყვნენ: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, სერგი ჯიქია, ალექსანდრე ასლანიკაშვილი, პავლე ინგოროყვა და სხვ. როცა შემდეგში სიტუაცია შეიცვალა და ეს საკითხი განუხორციელებელი დარჩა, უმეტესი ნაშრომები დაიბეჭდა წიგნებად და რუკებად, ხოლო ალექსანდრე ჯავახიშვილის ნაშრომი არქივს შემორჩა. ისტორიკოსებმა ვახტანგ გურულმა და ლევან ჯიქიამ სამიოდე წლის წინ არქივში მიაკვლიეს ამ

ხელნაწერ ნაშრომს და შესავალი წერილით გამოაქვეყნეს ჟურნალ მაცნეს, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიაში (№2, 2012, გვ. 118-125).

მეცნიერმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეადგინა რამდენიმე სამხედრო-გეოგრაფიული ნაშრომი. მათ შორის იკვლევდა სამხედრო გეოგრაფიის საგანსა და ამოცანებს. სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა მოხსენება — გეოგრაფიული მეცნიერება სახელმწიფოს თავდაცვის სამსახურში. მეცნიერი ხაზს უსვამს იმას, რომ უნდა არსებობდეს მუდმივი კავშირი გეოგრაფიული მეცნიერების და სამხედრო მეცნიერების დარგებში მოღვაწე სპეციალისტებს შორის და ეს კავშირი არ უნდა იყოს შემთხვევითი და დროებითი.

მნიშვნელოვანია მეცნიერის კვლევები თეორიულ საკითხებზე. ამ მხრივ, აღსანიშნავია გეოგრაფიული მეცნიერებისა და მისი დარგების საგნის, ამოცანების, თეორიული საფუძვლებისა და მეთოდების დადგენა-განსაზღვრა. იმ პერიოდში ეს არსებითი და კარდინალური საკითხები ჯერ კიდევ საბოლოოდ დამუშავებული არ იყო და მის დამუშავებას მეცნიერების მომავალი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მიზნით რამდენიმე შრომა გამოაქვეყნა და წაიკითხა მოხსენებები.

ალექსანდრე ჯავახიშვილის მოსაზრებით, გეოგრაფიული მეცნიერების საგანია დედამიწის ზედაპირის შესწავლა მთლიანობაში და ნაწილ-ნაწილად. გეოგრაფიული მეთოდის შესახებ კი მიუთითებს, რომ გეოგრაფიული კვლევისათვის ორივე მეთოდი – ანალიზური და სინთეზურია საჭირო. იძლევა აგრეთვე კვლევის ხერხების მიმოხილვას და აშუქებს მეცნიერების თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებს. შრომის ბოლოს კი თანდართული აქვს გეოგრაფიულ სპეციალობათა და გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურის სქემა.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა შრომები გამოაქვეყნა გეოგრაფიის ისტორიის საკითხებზე. საქართველოს გეოგრაფიულ შესწავლაზე და მიღწევებზე არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა. მათ შორის აღსანიშნავია გეოგრაფიის განვითარება საბჭოთა პერიოდში, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული მემკვიდრეობა და სხვ. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ საქართველოს გეოგრაფიული შესწავლისა და კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარების საკითხების დამუშავებისათვის საჭირო იყო ქართველი ხალხის წარსული გეოგრაფიული მემკვიდრეობის გამომზეურება და მისი მნიშვნელობის ჩვენება. საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით ალექსანდრე ჯავახიშვილი ფართოდ იყენებს ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიულ და გეოგრაფიულ შრომებს.

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული შრომების დახასიათებისადმი მიძღვნილ სტატიებში იგი არკვევს ვახუშტი ბაგრატიონის შრომების, ქართველი ერის ამ დიდი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას საქართველოს გეოგრაფიის შესწავლაში.

1941 წელს იბეჭდება ვახუშტი ბაგრატიონის შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოს (საქართველოს გეოგრაფია)“ თამარ ლომოურისა და ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით. იგი დაიბეჭდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით, რომლის თავმჯდომარე იყო ალექსანდრე ჯავახიშვილი. წინასიტყვაობაში, რომელსაც 1941 წლის თებერვალში წერს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი, აღნიშნულია: „ძველ საქართველოს არ დაუტოვებია მეორე ასეთი წიგნი, სადაც მსგავსი სისრულითა და სიღრმით იყოს აღწერილი ჩვენი ქვეყანა. ამიტომ ეს შრომა, როგორც საქათველოს სრული აღწერის პირველი ცდა, უდიდეს ისტორიულ განძს წარმოადგენს. ასევე ძვირფასია იგი, როგორც ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლი“.

ალექსანდრე ჯავახიშვილის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში, რაც, ცხადია, დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ამ მხრივაც მისი მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო. მისი უშუალო ინიციატივით

და მონაწილეობით არის მიღწეული ის შედეგები, რომელიც ძალიან დიდია, რამაც იმ დროს საქართველო გახადა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად ამ დარგში.

ჯერ კიდევ 1917-1920 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დოცენტად, შემდეგ კი ექსტრაორდინალური პროფესორის თანამდებობაზე. 1920 წლიდან იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1920 წლის 30 ივნისს პროფესორთა საბჭომ საზოგადო გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრაზე პროფესორად აირჩია ალექსანდრე ჯავახიშვილი. ამასთან, იგი წლების მანძილზე იყო ჯერ გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის, ხოლო შემდეგ ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის, ფიზიკური გეოგრაფიის და, უმეტეს პერიოდში, გეომორფოლოგიის კათედრის გამგე. რამდენჯერმე არჩეული იყო ფაკულტეტის დეკანად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის და ანთროპოლოგიის კათედრის დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების წინსვლისა და სათანადო კადრების მომზადებისათვის. ეს იყო პირველი გეოგრაფიული კერა საქართველოში, რომლის საფუძველზე ფართოდ გაიშალა გეოგრაფიული მეცნიერება და სათანადო კადრების მომზადება. რამაც გამოიწვია საქართველოს მასშტაბით გეოგრაფიული დაწესებულებების შექმნა.

ალექსანდრე ჯავახიშვილს დიდი მუშაობა უხდებოდა ამ საკითხების გადასაწყვეტად. ამ პერიოდში მან შეიმუშავა სასწავლო გეგმა, რომელიც 1936 წელს საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული ფაკულტეტების სასწავლო გეგმებს. მას უხდებოდა აგრეთვე გეოგრაფიული სპეციალობის სასწავლო გეგმებისა და გეოგრაფიული მეცნიერების სპეციალობათა პროფილების დამუშავება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული განყოფილების, ასევე საქართველოსა და აზერბაიჯანის პედაგოგიური ინსტიტუტებისა და საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების გეოგრაფიული ფაკულტეტებისათვის.

ალექსანდრე ჯავახიშვილი რიგი წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგად ფიზიკურ გეოგრაფიაში, ზოგად გეომორფოლოგიაში, ზოგად კლიმატოლოგიაში, საქართველოს გეომორფოლოგიაში, გეომორფოოგიური კვლევის მეთოდებსა და გეომორფოლოგიური კარტირებასა და საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში, ზოგად ლანდშაფტმცოდნეობასა და სამხედრო გეოგრაფიაში, გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკასა და ზოგად ფიზიკურ ანთროპოლოგიაში და სხვ.

1920 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიული კათედრა ჩაიბარა ყოველგვარი სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებისა და დამხმარე საშუალებების გარეშე. მალე, მისი მონდომებისა და აქტიური მონაწილეობის შედეგად, შეიქმნა რამდენიმე გეოგრაფიული კაბინეტი, გეოგრაფიული ბიბლიოთეკა, სადაც თავი მოიყარა ძვირფასმა სასწავლო მასალამ. აქ ტარდებოდა სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობა. შეიქმნა რამდენიმე გეოგრაფიული კათედრა, რომელთა მუშაობას დასაწყისში ალექსანდრე ჯავახიშვილი თვითონ ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი თავის მოწაფეებს გადააბარა. გეოგრაფიული კათედრებისა და გეოგრაფიულ სპეციალობათა ისტორიას და ამ კათედრების მუშაობის დახასიათებას რამდენიმე სტატია თვით მეცნიერმა უძღვნა, რომელშიც მოცემულია ასევე გეოგრაფიული განათლების გაუმჯობესების პერსპექტივები.

ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული გეოგრაფიული განათლების იმ დონემდე განვითარება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული განყოფილება გახდა გეოგრაფიული განათლების ცენტრი არა მარტო საქართველოში, არამედ, ნაწილობრივ სამხრეთ კავკასიაში.

სტუდენტებთან მუშაობის გარდა, იგი 1929 წლიდან ხელმძღვანელობდა გეოგრაფიის სპეციალობის ასპირანტთა მომზადებას რიგ დარგებში. მის მიერ ასპირანტურის ხაზით მომზადებულ იქნა 40-მდე მეცნიერ-მუშაკი. გარდა ამისა, იგი ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს სხვა

უმაღლესი სასწავლებლებიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან მოვლინებულ ასპირანტებსა და მეცნიერ მუშაკებს სადისერტაციო სამუშაოს შესრულებაში.

ალექსანდრე ჯავახიშვილმა დიდი მუშაობა გასწია საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების შესაქმნელად. ჯერ კიდევ 1924 წელს შეადგინა ფიზიკური გეოგრაფიის პრაქტიკუმი. სტუდენტი აქედან ნათელ წარმოდგენას ღებულობდა გეოგრაფიის მეცნიერების ძირითად მეთოდებზე და ეხმარებოდა ფიზიკური გეოგრაფიის შესწავლაში. ამასთან, მასში პირველად არის მოცემული მრავალი ქართული სამეცნიერო გეოგრაფიული ტერმინი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1926 წელს გამოქვეყნდა მეცნიერის მონოგრაფია „საქართველოს გეოგრაფიის პირველი ტომი. გეომორფოლოგია“, გეოგრაფიული ატლასით, რაც იმ დროისათვის ეს ერთადერთი სახელმძღვანელო იყო გეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტებისათვის საქართველოს გეოგრაფიასა და გეომორფოლოგიაში. გარდა ამისა, შეადგინა და დაიბეჭდა საქართველოს ფიზიკური და კლიმატური რუკები, რომლებიც საილუსტრაციო მასალას წარმოადგენდა ამ კურსების სწავლებისას.

1934 წელს დაიბეჭდა მისი კლიმატოლოგიური პრაქტიკუმი, რომელიც სტუდენტებს ეხმარებოდა ზოგადი კლიმატოლოგიის კურსის საკითხების დამუშავებაში. ამავე პერიოდში დაიბეჭდა მისი საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფის რუკა, რაც სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის კურსის ათვისებაში.

1939 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილმა შეადგინა საქართველოს მორფოგრაფიული, მორფოგენეტური და გეომორფოლოგიური რუკები მის მიერ შემუშავებული ახალი პრინციპების მიხედვით. მან ასევე შეადგინა საქართველოს სითბოს ზონების რუკა, რომლებიც გამოიყენებოდა უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო მასალებად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის უცხოური სახელმძღვანელოები, რომლებიც თვით ალექსანდრე ჯავახიშვილმა თარგმნა. ასეთია – ალ. ჰეტნერის „დედამიწის ჰავები“. ამასთან, ალექსანდრე ჯავახიშვილი არაერთი თარგმნილი თუ ორიგინალური სახელმძღვანელოს რედაქტორია.

ალექსანდრე ჯავახიშვილს ეკუთვნის საშუალო სკოლების გეოგრაფიული სახელმძღვანელოების შექმნაც. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, რომლითაც ათეული წლები ისწავლებოდა საშუალო სკოლის მეშვიდე კლასში. მისი გარდაცვალების შემდეგ, ახალი პროგრამის მიხედვით სახელმძღვანელო გადაამუშავა ქეთევან ყავრიშვილმა და შალვა ყიფიანმა და გასული საუკუნის 90-ან წლებამდე მოქმედებდა ეს სახელმძღვანელო. იგი თავიდანვე (1947 წელს) ითარგმნა ჯერ რუსულ, შემდეგ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და არაქართულ სკოლებში ასწავლიდნენ საქართველოს გეოგრაფიას.

ალექსანდრე ჯავახიშვილი მეცნიერთა იმ პლეადას ეკუთვნის, ვინც თავის სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას კარგად უთავსებდა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მოღვაწეობას. ეს მხარე კი მისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

1924 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით და ორგანიზაციით დაარსდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება. 1924 წელს იგი საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს წერდა: „საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების არსებობის აზრი ექვსი წელიწადია ტრიალებს და აქნობამდის... ვერ განმტკიცდა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამჟამად საქართველოში არა მარტო განათლების სახალხო კომისარიატი, არამედ სხვა უწყებებიც გაიზიარებენ ამ სახელმწიფოებრივ და საგანმანათლებლო ღრმა მნიშვნელობას და მისცემენ საზოგადოებას შეძლებას, ეხლა მაინც განამტკიცოს თავისი მდგომარეობა და ნაყოფიერად ემსახუროს თავის მეცნიერულ მიზნებს და საქართველოს რესპუბლიკას.

ზედმეტი იქნებოდა გაგვემარტა, თუ რამდენად აუცილებელია ეს სხვა დროისათვის გადაუდებელი გეოგრაფიული საზოგადოების, როგორც სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება... ყოველთვის დროულია და აუცილებელი, როცა რომელიმე ერი და მისი სახელმწიფო განვითარების

იმ დონემდის აიწევიან, როცა იბადება საჭიროება მეცნიერული მუშაობისა და კულტურული წინმსველობისა“.

1924 წლის 18 იანვარს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ალექსანდრე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა საზოგადოების მოამბეში. იმავე წლის 22 იანვარს შედგა ამ საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელმაც განიხილა აღნიშნული წესდება და მოისმინა ალექსანდრე ჯავახიშვილის სიტყვა გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებისა და მნიშვნელობის შესახებ და აირჩია საზოგადოების საბჭო.

ალექსანდრე ჯავახიშვილი 1924 წლის 3 თებერვლის სხდომაზე არჩეულ იქნა გეოგრაფიული საზოგადოების ხელმძღვანელად, 1924-1940 წლებში იგი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა (თავმჯდომარე განათლების სახალხო კომისარი) და ხელმძღვანელობს საზოგადოების სამეცნიერო მუშაობას, ხოლო 1940 წლიდან საზოგადოების თავმჯდომარეა, 1971 წლიდან კი საპატიო პრეზიდენტი გახდა.

XX საუკუნის 30-ან წლებში საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გრიფით არაერთი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ნაშრომი გამოიცა. ხოლო 1941 წელს დაგვირგვინდა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“ გამოცემით. მოგვიანებით (1946), საზოგადოებამ დაიწყო სამეცნიერო შრომების გამოცემა.

გეოგრაფიული საზოგადოების წევრები მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა ექსპედიციებში და ქმნიდნენ სამეცნიერო პროდუქციას. ყველაფერ ამის სიულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ალექსანდრე ჯავახიშვილი იყო.

1931-1933 წლებში ალექსანდრე ჯავახიშვილი მოღვაწეობდა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, სადაც გეოგრაფიული სექციის მუშაობას ხელმძღვანელობდა. იგი კითხულობდა მოხსენებებს, მონაწილეობას იღებდა ექსპედიციებში, ამუშავებდა სამეცნიერო შრომებს და სხვ..

1931-1933 წლებში ალექსანდრე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის გეოგრაფიულ განყოფილების მუშაობას.

1934-1935 წლებში საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის კონსულტანტია.

1933-1936 წლებში ჩამოაყალიბა და ხელმძღვალელობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიულ კათედრას. აქ მან შექმნა ამ სპეციალობის სასწავლო ბაზა, სასწვლო კაბინეტები, აღზარდა კადრები, რომლებიც შემდეგ მოღვაწეობდნენ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1935 წლის თებერვალში ალექსანდრე ჯავახიშვილი ინიშნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის კათედრის გამგედ და ხელმძღვანელობს მას 1970 წლამდე, შემდეგ კი გარდაცვალებამდე ამ კათედრის პროფესორი იყო.

1936-1938 წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრას.

1943-1949 წლებში ხელმძღვანელობდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრას.

1934-1936 წლებში ხელმძღვანელობდა ბაქოს პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიული განყოფილების ორგანიზაციას. აქვე, წაიკითხა საჯარო ლექციები გეოგრაფიული მეცნიერების შესახებ.

გეომორფოლოგიის, ჰიდროლოგიის, კლიმატოლოგიის, ტოპოგრაფია-კარტოგრაფიისა და ეკონომიკური გეოგრაფების დარგებში მაღალკვალიფიციური მკვლევარების მოსამზადებლად, 1933 წლის 16 მარტს, ალექსანდრე ჯავახიშვილის დიდი ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც წლების მან-

ძილზე თვით ალექსანდრე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, ამ ინსტიტუტმა, ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწია საქართველოს გეოგრაფიული პირობების შესასწავლად. დაიწყო ცალკეული რეგიონების (კუთხეების) ყოველმხრივი გეოგრაფიული შესწავლა. ამასთან, დაიწყო მუშაობა საქართველოს ატლასის შესადგენად. ამ პერიოდში დაიბეჭდა ორიგინალური და თარგმნილი სამეცნიერო და სახელმძღვანელო ლიტერატურა. 1936 წელს გამოვიდა გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომების პირველი ტომი, რომელშიც მოთავსებულია ალექსანდრე ჯავახიშვილის, ბესარიონ ყავრიშვილის და იოსებ ქურდიანის საინტერესო გამოკვლევები კლიმატოლოგიასა და ჰიდროლოგიაში. ინსტიტუტის ყველა სამეცნიერო ნაშრომის რედაქციას ალექსანდრე ჯავახიშვილი აკეთებდა. მოკლე დროში ინსტიტუტი ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად იქცა საქართველოში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირმშომ, გეოგრაფიის ინსტიტუტმა თავისი Alma Mater-ის პირველ კორპუსში დაიდო ბინა. 1934 წელს აქ შეიქმნა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მთელი რიგი კათედრებით, რამაც ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო შეუწყო ხელი გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებას.

ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, საქართველოსა და სომხეთ-აზერბაიჯანში მომუშავე გეოგრაფებს შორის კავშირის განმტკიცებისა და გეოგრაფიული მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული საკითხების განსახილველად, 1934 წელს თბილისში ეწყობოდა „გეოგრაფიული დღე“. ამ „გეოგრაფიული დღის“ მუშაობაში მონაწილეობდა მთელი გეოგრაფიული საზოგადოებრიობა. ისმენდნენ საინტერესო მოხსენებებს გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე. თვით ალექსანდრე ჯავახიშვილიც კითხულობდა საინტერესო მოხსენებებს. „გეოგრაფიული დღის“ მონაწილეთა ინიციატივით გადაწყდა, რომ ყოველწლიურად მოწყობილიყო ასეთი შეკრება. ამ მუშაობამ კი არა მარტო გეოგრაფების ყურადღება მიიპყრო არამედ სხვა დარგის სპეციალისტებისაც. ამის შესახებ შუქდებოდა პრესაშიც. შემდეგ ამ ფორმამ სხვაგვარი გაგრძელება მიიღო კონფერენციების, სესიების, თათბირების სახით.

ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით უნივერსიტეტისა და გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად არაერთი ექსპედიცია ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ველზე მოპოვებული მასალების მიხედვით შეიქმნა სამეცნიერო ნაშრომები და რუკები.

თავისი არსებობის პირველსავე წელს ინსტიტუტმა დასახული გეგმა წარმატებით შეასრულა. საინტერესოა, რომ უკვე მომდევნო წლის საგამომცემლო გეგმაში 13 დასახელების შრომაა ჩამოთვლილი. მათი საერთო რაოდენობა 80 თაბახს აღემატებოდა, რასაც თან ერთვოდა სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის 50 რუკა. ამასთან, ცალკე იყო გათვალისწინებული საქართველოს გეოგრაფიული ატლასის გამოცემა.

გეოგრაფიის ინსტიტუტის მცირერიცხოვანი კოლექტივი ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ამ პერიოდში დიდ მუშაობას აწარმოებდა, რათა შექმნილიყო ღირებული სამეცნიერო პროდუქცია. ამას ადასტურებს ის, რომ ერთი წელიც არ იყო გასული და რექტორის ლ. აღნიაშვილის თანდასწრებით იხილება ინსტიტუტის მუშაობის ანგარიში.

ქართველ გეოგრაფთა მუშაობა უფრო მეტ კოორდინაციას მოითხოვდა. ამიტომ ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, 1945 წლის 9 მარტს, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გეოგრაფიის ინსტიტუტის შესვლის შესახებ. ინსტიტუტის დირექტორად კვლავ ალექსანდრე ჯავახიშვილი დარჩა. სწორედ მისი ინიციატივით, ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიულ და გეოგრაფიულ სამეცნიერო მოღვაწეობის 200 წლისთავთან დაკავშირებით, გეოგრაფიის ინსტიტუტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შუამდგომლობით, მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლის – ვახუშტი ბაგრატიონის სახელი მინიჭებოდა გეოგრაფიის ინსტიტუტს, რაც იმავე წლის 6 დეკემბრის ბრძანებულებით დამტკიცდა.

გეოგრაფიის ინსტიტუტმა ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო ფართოდ გაშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ღვაწლმოსილი მეცნიერი, გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი ჯავახიშვილი თითქმის 60 წლის მანძილზე იღვწოდა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებისა და გეოგრაფიული კადრების მომზადებისათვის.

წლების განმავლობაში გეოგრაფიის ინსტიტუტმა ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია. ამაზე მეტყველებს საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციები, რომლებიც მოგვითხრობენ ინსტიტუტის წარმატებებს.

ალექსანდრე ჯავახიშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. მიუხედავად დიდი დატვირთვისა, იგი ყოველთვის ძებნიდა დროს, რომ მონაწილეობა მიეღო ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

1921-1930 წლებში ალექსანდრე ჯავახიშვილი მონაწილეობას ღებულობდა გეოგრაფიის მასწავლებელთა გადასამზადებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში, აგრეთვე მასწავლებელთა კონფერენციებზე.

1921-1946 წლებში ალექსანდრე ჯავახიშვილი როგორც კონსულტანტი ასრულებდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის დავალებებს უმაღლესი და საშუალო სკოლების სხვადასხვა სასწავლო მეთოდურ საკითხებზე.

მისი თავდადებული სამეცნიერო მოღვაწეობის უტყუარი ნიმუშია ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1937 წელს დისერტაციის დაუცველად – Honoris causa – გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა იმ მნიშვნელოვანი გამოკვლევებისათვის, რომლებიც მან მიუძღვნა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების შესწავლას. 1938 წლის 11 მარტს საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების კომიტეტის საატესტაციო კომისიამ აღნიშნული გადაწყვეტილება დაამტკიცა. დოქტორის ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით ალექსანდრე ჯავახიშვილის სამეცნიერო შრომების დახასიათება დაწერეს პროფესორმა ბორის დობრინინმა, ალექსანდრე თვალჭრელიძემ და სხვ.

1944 წლის თებერვალში ალექსანდრე ჯავახიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 24 თებერვლის ბრძანებულებით ალექსანდრე ჯავახიშვილს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1944 წლის ნოემბერში დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

1945 წლის ივნისში დააჯილდოვეს მედლით „მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში, 1941-1945 წწ.“

1955 წლის ნოემბერში ალექსანდრე ჯავახიშვილი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

1955 წელს დააჯილდოვეს ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“.

1956 წლის თებერვალში ალექსანდრე ჯავახიშვილი საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ აირჩია ამ საზოგადოების საპატიო წევრად, როგორც ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერი.

1965 წლის აგვისტოში დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის მეორე ორდენით.

1965 წლის 13 სექტემბერს დააჯილდოვეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

1965 წლის ნოემბერში დააჯილდოვეს იაკობ გოგებაშვილის მედლით.

1971 წლის მაისში მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

1973 წლის 22 იანვარს, 98 წლის ასაკში გარდაიცვალა უხუცესი გეოგრაფი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საბჭოთა გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს გეოგ-

რაფიული საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი. მისმა კოლეგებმა, თანამშრომლებმა დაკარგეს ერუდირებული, ფართო დიაპაზონისა და დიდი გამოცდილების მქონე მეცნიერი, მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა და სტუდენტებმა – შესანიშნავი აღმზრდელი, უსაზღვროდ მოსიყვარულე და სათნო ადამიანი, გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების უხუცესი პატრიარქი.

მოსკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიული ფაკულტეტის კოლექტივი, იმავე წლის უნივერსიტეტის მაცნეში წერდა:

„აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილს მრავალი მოწაფე ჰყავდა, არსებითად ბევრი თაობის ქართველი გეოგრაფი მეტად თუ ნაკლებად მისი მოწაფეა. იგი უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. მისი ავტორიტეტი განსაკუთრებულად მაღალი იყო საბჭოთა გეოგრაფებს შორის“.

ალექსანდრე ჯავახიშვილი დაკრძალულ იქნა ვაკის სასაფლაოზე მეუღლის გვერდით. საფლავზე არის მეუღლის ზინაიდა მოსურსკაიას ბარიელიეფი და ალექსანდრე ჯავახიშვილის ბიუსტი.

1986 წლის 14 ივნისს, გორის რაიონის სოფელ ძევერაში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი.

მამაპაპისეულ სახლში გახსნილ აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის გამოფენა ასახავს მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცელ პერიოდს და აგრეთვე სოფლის ისტორიას. აქ თავმოყრილია ექსპონატები, რომელთა დიდი ნაწილი თვით მეცნიერის ხელშენახებია; ისინი ყოველდღიური ყოფის ნივთები იყო. ბევრ მათგანს იგი განსაკუთრებული მოკრძალებით ეპყრობოდა. ექსპოზიციაზე გამოფენილია უნიკალური საბუთების დედნები, აგრეთვე, მრავალი უნიკალური ფოტო. მნახველის თვალწინ წარმოდგება სკოლისა და გიმნაზიის მოსწავლე პატარა ალექსანდრე და შემდეგ თანამიმდევრულად ყველა ასაკისა და პერიოდის ამსახველი ფოტომასალა – ალექსანდრე ჯავახიშვილი მუშაობის დროს, თავის კოლეგებთან და აღზრდილებთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებებზე, ოჯახის წევრებთან, ახლო ნათესავებთან... აქვე გამოფენილია სიცოცხლის ბოლო წლებში აღბეჭდილი დაღლილი სახე. ექსპოზიციაშია მისი ძვირფასი რელიქვიური ნივთები, რომელთაგან აღსანიშნავია ანტიკვარული საწერი მაგიდა, უნიკალური რელიეფური რუკა, გლობუსი, ფოტოაპარატები და სხვ.

* * *

სათნო გარეგნობის, სულიერი სისუფთავითა და სიწმინდით, დიდი მეცნიერული ერუდიცია და ქვეყნის მოთხოვნილების წინასწარ განჭვრეტილი საკითხების დამუშავება, სამეცნიერო-ორგანიზაციული უდიდესი ნიჭის მქონე, დიდი შრომისმოყვარე და პრინციპული, კოლეგიალური და ახალგაზრდობისათვის ცოდნის გადამცემი და საუკეთესო აღმზრდელი...

პიროვნულადაც კეთილი, მაგრამ მომთხოვნი და სამართლიანი ხელმძღვანელის სახელი ჰქონდა. მას ყველა პატივს სცემდა, მოკრძალებით ეპყრობოდა. გარეგნობით, თავაზიანობით, ჩაცმულობით და, თქვენ წარმოიდგინეთ მოძრაობითაც იმ დროის ნამდვილ პროფესორს ემსგავსებოდა. იმ დროს ასეთები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, გიორგი გექტმანი, ალექსანდრე ჯანელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი და სხვები, თორემ, ახლა საითაც გაიხედავ პროფესორს დაინახავ. საუკუნეს მიტანებული პიროვნება ისევ მეცნიერებისა და ხალხის სამსახურში იდგა. ამიტომ იყო, რომ მან არაერთი ჯილდო, ლექსი, სიმღერა და, რაც მთავარია, ხალხის უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი მთელ თავის უშრეტ შემოქმედებით ენერგიას და ტალანტს საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებას და სათანადო კადრების აღზრდას ახმარდა.

მისი ცხოვრება, მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ქართველი ახალგაზრდებისათვის ყოველთვის წარმოადგენდა მაგალითს შრომისა, რის გარეშე წარმატებები ვერ მიიღწევა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტი იყო.

მეცნიერს ყოველდღიური გეგმა ჰქონდა და ამის მიხედვით ასრულებდა სამუშაოს.

მას უამრავი მოხსენებები ჰქონდა გაკეთებული სამეცნიერო საბჭოზე და სესიებზე.

განსაკუთრებით ყურადღებით ეკიდებოდა კადრების შერჩევის საკითხს.

ალექსანდრე ჯავახიშვილი იყო ობიექტური, რასაც უამრავი ზეპირი გამოსვლა თუ წერილობითი საბუთი ადასტურებს. იგი სამეცნიერო ნაშრომებს აფასებდა დადებითად, როცა ასე მიაჩნდა, მაგრამ არ ერიდებოდა კრიტიკას, შენიშვნას და რჩევას.

ალექსანდრე ჯავახიშვილი მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებოდა და მუდამ იღვწოდა ახლისაკენ მეცნიერებაში. ხანდაზმულობის პერიოდშიც იგი აქტიურად მონაწილეობდა გეოგრაფიული მეცნიერების საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში. სიცოცხლის ბოლო დღეებამდე საოცრად ნათლად აზროვნებდა.

ალექსანდრე ჯავახიშვილს, სადაც კი უმუშავნია – მოსკოვსა და თბილისში, ბაქოსა და ბათუმში, ქუთაისსა და გორში..., ყველგან გამორჩეული და საპატიო ადგილი ეკავა როგორც მეცნიერს, როგორც სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელს, როგორც მოქალაქეს...

ბედნიერია ის ხალხი, ის ერი, რომელთაც მამულისთვის ასეთი თავდადებული შვილები ჰყავს. მათი სახელები, დიდი მოწიწებითა და სიყვარულით მოიხსენიება ყოველთვის, და რაოდენ საამაყოა, რომ ასეთი გამორჩეული, თვალსაჩინო პიროვნება, დაუღალავი ადამიანი, პატიოსნების ეტალონი იყო ახალგაზრდების აღმზრდელი.

გეოგრაფიულ გარემოში ყველა ცოცხლობს – არსებობს, მაგრამ ცხოვრება მხოლოდ იმას ჰქვია, თუ მისი ნაკვალევი დარჩება ამქვეყნად.

ალექსანდრე ჯავახიშვილი თავის ცოდნასა და დაუშრეტელ ენერგიას, რაც ბუნებისაგან უხვად ჰქონდა მომადლებული, ქვეყნისა და მშობელი ხალხის სამსახურში დაუზოგავად სწირავდა.

გადიან ცხოვრების წლები, იცვლება ბევრი რამ, მოდიან ახალი ადამიანები, ახალი იდეებით, ახალი მრწამსით, მაგრამ ალექსანდრე ჯავახიშვილი დარჩა დიდ მამულიშვილად, რომელმაც ღირსეული კვალი დატოვა სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მემკვიდრეობას დავიწყება არ უწერია და იგი იცოცხლებს მანამ, სანამ ქართველი ერი იარსებებს. ქართველმა ერმა კი მრავალ განსაცდელს გაუძლო და, მარად და მუდამ ჟამს, მომავალშიც იარსებებს ღვთით კურთხეული ქვეყანა...

Koba Kharadze

Alexander Javakhishvili
(1875-1973)

Summary

The article is devoted to the period of life and activity of the well-known Georgian scholar, a great organizer of science and public figure, the State Prize laureate, the owner of a lot of medals and Orders, the renowned scientist, academician Alexander Javakhishvili, who passed through it with honor.

Alexander Javakhishvili is a prominent member of the Georgian figures generation, who had to work not only in a single field of science, but the object of their constant care was almost every aspect of public life. That is why the activity of representatives of this generation including Alexander Javakhishvili is versatile and diverse.

Alexander Javakhishvili founded a number of geographical departments and faculties in the Tbilisi State University, as well as in the Kutaisi, Batumi, Gori, Baku educational institutions and other places. He was the founder and Head of several scientific-research institutions. By his initiative and direct participation was created the Georgian Geographical Society (1924), Georgian Institute of Cartography (1924-1932), Scientific-Research Institute of Geography (1933) and others. He raised a number of talented staff, the part of which still works in the country. He created numerous important scientific and scientific-pedagogical works, secondary and high school textbooks and maps. None of the fields of geographical science existed until the end of the 60s of the 20th century without the relation of authoritative word and action of Alexander Javakhishvili to them.

Academician Alexander Javakhishvili published more than 400 scientific papers including several monographs and manuals.

მინდია უგრეხელიძე

თინათინ წერეთელი - გამოჩენილი ქართველი სამართალმცოდნე

„სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე – ნაჭედისა“
რუსთველი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი მადლიერებითა და სიამაყით აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი მოღვაწისა და სამართალმცოდნის **თინათინ წერეთლის** დაბადებიდან 110-ე წლისთავს.



თინათინ წერეთელი

დაგეგმილია საიუბილეო ღონისძიებათა სერია, რომელთაგან ზოგიერთი უკვე განხორციელდა, სხვები კი რეალიზაციის პროცესში იმყოფება. ამ საქმეში ჩართულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის მსმენელთა ნაკადი (ჯგუფი), რათა:

— კიდევ უფრო საინტერესო და სასარგებლო გახდეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი;
— იურისტთა მომავალ თაობას საშუალება მიეცეს, ღრმად ჩაჰხედოს და ჩასწვდეს სამართლებრივი აზროვნების ფესვებს თუ ტრადიციებს საქართველოში, ახაროს ისინი და აცოცხლოს მათი ნაყოფი;

- ქართული სამართლებრივი კულტურის უმდიდრესი ტრადიციებით ასაზრდოოს, გაამდიდროს და განამტკიცოს სამართლის თანამედროვე ტენდენციები;
- რაც მთავარია, აღმზრდელობითი გაკვეთილის სახით, კიდევ ერთი დადასტურება მოახდინოს იმისა, რომ ჩვენთან ჯეროვან პატივს მიაგებენ მეცნიერებისათვის თავმიძღვნილ ჭეშმარიტ რაინდებს.

პატივი და დიდება თინათინ წერეთელს არასდროს მოჰკლებია. სიცოცხლეშივე მას ნაბოძები ჰქონდა არაერთი წოდება, ხარისხი, თანამდებობა და ჯილდო. მაგრამ საბედისწერო 1980 წლის შემდეგ, როდესაც თინათინი გარდაიცვალა, მისი ფიგურა და ღვაწლი ახალი ძალით გამოიკვეთა ქართული მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა შორის. ამაში არის ღრმა აზრი და კანონზომიერება. პიროვნების მასშტაბების ზრდა, დროში და ფიზიკურად მასთან დაშორების კვალობაზე, მხოლოდ გამორჩეულ პიროვნებათა ხვედრია. ამ კანონზომიერებამ უთუოდ უნდა დააფიქროს ყოველი, ვისაც ნამდვილ აღიარებაზე უოცნებია.

მაინც რამ განსაზღვრა თინათინ წერეთლის წარმატება და სულ უფრო მზარდი აღიარება, რომელიც გასცდა ჯერ საქართველოს, შემდეგ საბჭოეთის ფარგლებს და დიდი ხანია, რაც საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა?

ცხადია, ეს ვერ მოხდებოდა, თუ არ იქნებოდა სათანადო პირობები მომავალი მეცნიერის დიდი ნიჭისა და შრომის უნარის გასავითარებლად. ყველაზე უფრო ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მისმა უშუალო გარემოცვამ განსაზღვრა თინათინ წერეთლის ბედი. ცნობილი ექიმის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ წერეთლის ოჯახმა, რომელშიც თინათინ წერეთელი დაიბადა და აღიზარდა; შესანიშნავმა პლეადამ ქართული უნივერსიტეტის დიდი მესვეურებისა, როგორიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, იოსებ (ზოზო) ნანეიშვილი და, განსაკუთრებით კი, მისთვის სათაყვანებელი მასწავლებელი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, სულიერად ასაზრდოვეს ის და საფუძველი ჩაუყარეს მის მეცნიერულ და მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებას.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია თინათინ წერეთლის მიერ მოსკოვში გატარებული დოქტორანტურის წლები, როდესაც იგი დაეწაფა იურიდიული მეცნიერების კლასიკურ მიღწევებს; უშუალო და მჭიდრო თანამშრომლობით დაუკავშირდა გამოჩენილ პატრიარქებს იურისპრუდენციისა, რომლებმაც, თავის მხრივ, გულით შეიყვარეს და დიდად დააფასეს ქართველი მეცნიერი ქალის შემართება. აი, როგორ ახასიათებს თინათინ წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ მონაკვეთს მოსკოვში მოღვაწე ქართველი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპოდენტი **ვიქტორ ჩხიკვაძე:** „თინათინ წერეთლის მეცნიერული მოღვაწეობა განსაკუთრებით წარმატებულად წარიმართა მოსკოვში. სწორედ აქ დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია. ვიცი, რამდენი იშრომა და რაოდენ ნაყოფიერად, თავის არაჩვეულებრივ ნაწარმოებს რომ ქმნიდა მიზეზობრივი კავშირის შესახებ. მისი სხვა არაერთი ნარკვევიც მოსკოვში გამოქვეყნდა რუსულ ენაზე. ისინი უწინაც ახდენდნენ და დღემდე ახდენენ ზეგავლენას სამართლებრივი აზრის განვითარებაზე. მოწმე ვარ იმ უდიდესი პატივისცემისა, რომლითაც ის სარგებლობს რუს მეცნიერთა შორის. ესენია გამოჩენილი ავტორიტეტები: **მიხეილ მიხეილის ძე ისაევი, არონ ნაუმის ძე ტრაინინი, ანდრია ანრიას ძე პიონტკოვსკი,** პირველი ადვოკატი ქალი რუსეთის ისტორიაში **ეკატერინე აბრამის ასული ფლეიშიცი**, **მიხეილ მიხეილის ძე აგარკოვი** და მრავალი სხვა. თინათინ წერეთლის ნაშრომები კარგად არის ცნობილი უცხოეთში. მაგონდება ქ-ნი თინათინის მონაწილეობა საბჭოთა და ფრანგი მეცნიერების შეხვედრაზე, რომელიც 70-იან წლებში გაიმართა პარიზში. აქ პირადად ვიხილე მისი აღიარება და მოწიწება, რომლითაც მას ეპყრობოდნენ.

თინათინ წერეთელი უაღრესად ერუდირებულიც იყო, მოკრძალებულიც და, იმავდროულად, მომთხოვნი.“[1]

თინათინ წერეთლის მოსკოვში მოღვაწეობამ კიდევ ერთხელ ნათელყო, თუ რაოდენ ნაყოფიერი იყო ყოველთვის ორი ერის სახელოვან შვილთა საქმიანი და პირადი ურთიერთობა. დიდი და პროგრესული ტრადიციების მქონე რუსული რევოლუციამდელი იურიდიული ლიტერატურა, რომელიც თინათინ წერეთელმა საფუძვლიანად შეისწავლა, ნაყოფიერად შეერწყა მის შემოქმედებაში, ერთი მხრივ, უძველესი და უმდიდრესი ქართლი სამართლებრივი კულტურის, მეორე მხრივ, ევროპული, უპირატესად გერმანული, ფრანგული, შვეიცარული, იტალიური სამართლებრივი კულტურის ელემენტებს. ყოველივე ამან მოგვცა ის შემოქმედება, რომელსაც საქვეყნო აღიარება ხვდა წილად. პირველად საერთაშორისო ასპარეზზე გაიჭრა ქართული მეცნიერული იურიდიული აზრი. თინათინ წერეთლის კაპიტალური გამოკვლევა „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში,“ რომელიც ჯერ თბილისში[2] გამოიცა, შემდეგ კი მოსკოვში,[3] ცნობილი გახდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც მას აღფრთოვანებული რეცენზიებით გამოეხმაურნენ. ამით დიდი ნდობა მოიპოვა ქართულმა იურიდიულმა მეცნიერებამ. და თუ დღეს ქართველ მეცნიერ იურისტთა ნაშრომების საზღვარგარეთ გამოქვეყნება ან ჩვენში საერთაშორისო სიმპოზიუმების ჩატარება, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, გადამწყვეტ წილად ეს თინათინ წერეთლის დამსახურება გახლავთ.

„თინათინ ვასილის ასული წერეთლის დიდი დამსახურებაა **ქართველი კრიმინალისტების მეცნიერული სკოლის შექმნა.** ბევრი მათგანი „წერეთლის ხარისხის ნიშნით“ არის აღბეჭდილი – აცხადებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის ყოფილი გამგე, პროფესორი ნინელ კუზნეცოვა და განაგრძობს – მეცნიერების ამ რაინდებს ახასიათებს ფუნდამენტალური კვლევა-ძიებისადმი ერთგულება, ორიგინალურობა და მაღალკომპეტენტურობა. მისი დამფუძნებლის მეთაურობით და მასთან ერთად, ამ ქართულმა სკოლამ უდიდესი ზეგავლენა იქონია კანონმდებლობაზე; იგივე ითქმის სასამართლო პრაქტიკაზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მომგებიანად გამოირჩევა სხვა კოდექსებისაგან, რამაც საყოველთაო აღიარება ჰპოვა.[4] ქართული კოდექსის დებულებანი ერთობლიობით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის შესახებ 20 წლის შემდეგ პირწმინდად იქნა გადანერგილი რუსეთის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილებაში. 1977 და 1981 წლის საკავშირო კანონებმა კი უცვლელად გადმოიღეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იდეა დანაშაულთა დიფერენციაციის შესახებ.

მეცნიერი და აღმზრდელი უპირატესად თავის წიგნებსა და აღზრდილებში ცოცხლობს. თინათინ წერეთელს მრავალი ჰყავს აღზრდილი, და განა მარტო საქართველოში. ჩვენ

---

[1] ტექსტი წარმოადგენს საქართველოს ტელევიზიით 1984 წლის 26 აპრილის გამოსვლის სინქრონულ ჩანაწერს, რომელიც ქვეყნდება სტატიის ავტორის არქივში დაცული დედნის მიხედვით.

[2] **Церетели Т.В.** Причинная связь в советском уголовном праве, Издательство Тбилисского университета, Тбилиси, 1957.

[3] **Церетели Т.В.** Причинная связь в уголовном праве, Госюриздай, Москва, 1963.

[4] სადღეისოდ ქართული კანონმდებლობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო თავისებურებას უთუოდ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი, რომელიც **პროფ. თინათინ წერეთლის** მეცნიერულ კონცეპტზე დაყრდნობით არის ჩამოყალიბებული. ნიშანდობლივია, რომ მისი სირთულისა და თანამდევი რისკების გამო ჯერ ვერ გაბედა რომელიმე ევროპულმა ქვეყანამ მიზეზობრიობის საკანონმდებლო რეგულაცია სისხლის სამართალში. თინათინ წერეთელს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მისი წყალობით საქართველო მომგებიან გამონაკლისს წარმოადგენს (მ.უ.)

სამართალმცოდნეებს სიამაყით აღგვავსებს იმის შეგნება, რომ გვყავდა და გვყავს დიდი მეცნიერი, მოძღვარი და ადამიანი თინათინ წერეთელი.“[5]

შეუნელებელმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ თინათინ წერეთელი გახადა პირველი საბჭოთა დოქტორი ქალი სისხლის სამართლის დარგში. ქალბატონი თინათინი გახლდათ, აგრეთვე, პირველი და დღემდე ერთადერთი იურისტი ქალი, ვისაც წევრ-კორესპოდენტის მაღალი აკადემიური წოდება ჰქონდა მინიჭებული. ასეთი თავდაუზოგავი კვლევა-ძიება შემოქმედებით ძალთა დიდ მობილიზაციას მოითხოვდა. ამიტომ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ თინათინ წერეთლის დამსახურება მისი მეცნიერული მუშაობით ამოიწურება მხოლოდ. სინამდვილეში, მისი სახით, ჩვენ გვყავდა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწე. მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით წარმოჩინდა 1957 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში თინათინ წერეთლის თაოსნობით და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სამართლის განყოფილება, რომელიც გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო კერა და არა მარტო საქართველოს, არამედ საკავშირო მასშტაბით. თინათინ წერეთელი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ამ მეცნიერულ ცენტრს, რომელიც მის ხელში მომძლავრდა და გადაიქცა ჯერ მრავალგანყოფილებიან სექტორად, შემდეგ კი საქართველოს ეროვნული აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტად, დღესაც რომ განაგრძობს თავის საქმიანობას. შესაბამის პერიოდში თინათინ წერეთელს მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორთან **ვლადიმერ კუდრიავცევთან**, რომელიც როგორც ძვირფასი კოლეგა და მეთაური ინსტიტუტის დირექტორი, ასე ახასიათებს ქალბატონი თინათინის ორგანიზატორულ ნიჭსა და უნარს: „თინათინ ვასილის ასული წერეთელი გამოჩენილი იურისტი გახლდათ. ჩვენ გვმართებს მასზე ვისაუბროთ არა მარტო როგორც სისხლის სამართლის თვალსაჩინო სპეციალისტზე, არამედ მეცნიერების ორგანიზატორზეც.

მრავალი წლის მანძილზე თინათინ წერეთელი სათავეში ედგა სამართლის სექტორს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. აქ, ამ სარბიელზე ფართოდ გამოვლინდა მისი ორგანიზატორული შესაძლებლობანი. მე ვიტყოდი, რომ ქალბატონმა თინათინმა შექმნა ქართველი იურისტების სკოლა, რომელიც საკავშირო მნიშვნელობისაა. სამართლებრივ სკოლათა შორის ის ერთ-ერთი საუკეთესოა. ამასთან ის უაღრესად ცნობილი სკოლაა, რომელიც მისი დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ, განაგრძობს სიცოცხლეს ყველა იურისტის ცნობიერებაში, მათს მოღვაწეობაში და გამოკვლევებში. მის მიერ თავისი მოწაფეებისათვის დანატოვარი ტრადიციები გრძელდება.

ცალკე არის აღსანიშნი აკადემიკოს თინათინ წერეთლის საერთაშორისო მოღვაწეობა, მისი მონაწილეობა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობაში სამართალდარღვევებთან ბრძოლის ასპარეზზე. პირადად გახლდით მისი ბრწყინვალე გამოსვლების მოწმე საერთაშორისო კონგრესებზე. მაგონდება მისი გამოსვლა რომში სისხლის სამართლის საერთაშორისო კონგრესზე, როდესაც საბჭოური სამართლებრივი მეცნიერება ფართოდ გახდა ცნობილი მსოფლიოსათვის სწორედ თინათინ წერეთლის გამოსვლით, როდესაც ქართული სამართლის სკოლის შესახებ არსებითად პირველად შეიტყვეს უცხოეთში. ...მისი მრავალი ნაშრომი ევროპულ ენებზე ითარგმნა. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს დასავლური მეცნიერული საზოგადოების პროგრესულ წრეებში. ამას მე თვალნათლივ ვხედავ როგორც უცხოეთში, ისე

[5] ტექსტი წარმოადგენს საქართველოს ტელევიზიით 1984 წლის 26 აპრილის გამოსვლის თარგმნილ სინქრონულ ჩანაწერს, რომელიც ქვეყნდება ავტორის არქივში დაცული დედნის მიხედვით. იხ. აგრეთვე: **ნ.ფ. კუზნეცოვა.** დაუვიწყარი შეხვედრები. გაზ. „კომუნისტი,“ 1 ნოემბერი 1983.

ჩვენში. თინათინ წერეთელი იწამეს, მისი შემოქმედება აღიარეს და ღრმა პატივს მიაგებენ იმ სკოლას, რომელიც მან შექმნა.“[6]

აკადემიკოსი ვლადიმერ კუდრიავცევი შემდგომაც, უკვე საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის რანგში, არაერთხელ სწვევია, ქალბატონ თინათინთან ერთად უცხოეთს, სადაც ისინი წარმატებით განავრცობდნენ თავ-თავიანთ ეროვნულ მიღწევებს იურიდიული კვლევა-ძიების დარგში. მე თავადაც მქონდა ბედნიერება 1975 წელს ვხლებოდი ძვირფას აღმზრდელს პოპოვის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, სადაც იგი დელეგაციის ხელმძღვანელად იყო წარგზავნილი. ეს იყო ჩემი პირველი ხილვა ქალბატონი თინათინისა საერთაშორისო ასპარეზზე და დავრწმუნდი, თუ როგორ ატყვევებდა მისი მეცნიერული ავტორიტეტი და პიროვნული ხიბლი უცხოელ მეცნიერებს. სიმპოზიუმის მონაწილეთა ერთმხრივი გადაწყვეტილებით, ქალბატონ თინათინს ეძლეოდა **შემაჯამებელი სიტყვა** ყოველი პრინციპული მეცნიერული დავის შემდეგ და **პირველი სიტყვა** ყველა საზეიმო ვითარებაში. არანაკლები იყო მისი წარმატება უფრო დიდი მასშტაბის მრავალ საერთაშორისო ფორუმზე ბუდაპეშტში, რომში, ნიცასა თუ პარიზში. რაც მთავარია, ყოველივე ამას წინ უძღოდა და საფუძვლად ედო უცხოეთში გამოქვეყნებული თუ რეცენზირებული მისი ნაწარმოებები, რომლებმაც საქვეყნო აღიარება ჰპოვეს და ეს კარგად უნდა იყოს ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის.

მაღალი პროფესიონალიზმისა და პიროვნული მომხიბვლელობის გარდა, თინათინ წერეთლის საერთაშორისო აღიარება მისი შემოქმედების მასშტაბურობითა და უნივერსალურობით უნდა აიხსნას. ის არასდროს ჩაკეტილა სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის ვიწრო ჩარჩოებში. უწინარესად და უპირატესად იგი იკვლევდა საკაცობრიო მნიშვნელობის სამართლებრივ პრობლემებს, რომლებიც არ შეიძლება არ აღელვებდეს კეთილი ნების ყველა ადამიანს მთელ მსოფლიოში. აი, როგორ დაიწყო მან თავისი ცნობილი მოხსენება ბრალის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1967 წლის 26 თებერვალს: „მე მიმძიმს ვისაუბრო სისხლისსამართლებრივ თემაზე იმ საინტერესო მოხსენების შემდეგ, რომელიც თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს შეეხებოდა (მხედველობაშია აკადემიკოს **ევგენი ხარაძის** მოხსენება „არამდგრადი ვარსკვლავების“ შესახებ). და თუ მაინც ვკადნიერდები, მოგიწოდოთ, ცოტა ხნით მაინც თვალი მოწყვიტოთ „ვარსკვლავიან ცას ჩვენს ზემოთ“ და იგი ცოდვილ დედამიწას მიაპყროთ, ამას მაბედვინებს ღრმა შეგნება, რომ ჩვენ სინამდვილეში ჯერ კიდევ არის გადაუჭრელი პრობლემები, რომელთა მოწესრიგების გარეშე შეუძლებელია საზოგადოების ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა და თვით იმ მეცნიერებათა შეუფერხებელი განვითარება, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს კოსმოსი დაგვეპყრო.“[7]

სწორედ ამ პრობლემების კვლევას და საზოგადოებრივი წყლულის განკურნებას მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება თინათინ წერეთელმა. ტკივილმა და ავადმყოფობამ ოდნავაც ვერ შეუნელა მას ერის, საზოგადოებრივი წყლულის განკურნების დაუოკებელი სწრაფვა. მძიმე სენმა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ვერ დაათმობინა მას კალამი. გარდაცვალებამდე სულ ერთი კვირით ადრე ქალბატონი თინათინი საწერ მაგიდას უჯდა და თავის უკანასკნელ ნაშრომს წერდა. ისიც სიმბოლურია, რომ სიცოცხლის ბოლო დღეების დაძაბუნების მიუხედავად, იგი რაინდულად, ზეზეულად, ფეხზე შემართული შეეგება სიკვდილს და ამით კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი შეუდრეკელი ბუნება.

[6] ტექსტი წარმოადგენს საქართველოს ტელევიზიით 1984 წლის 26 აპრილის გამოსვლის თარგმნილ სინქრონულ ჩანაწერს, რომელიც ქვეყნდება სტატიის ავტორის პირად არქივში დაცული დედნის მიხედვით.

[7] იხ. **თინათინ წერეთლის** მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე (26.08.1967), რომელიც სრული მოცულობით ინახება ეროვნული აკადემიის არქივში. გამოქვეყნებულია ჟურნალში „საბჭოთა სამართალი,“ 1968, №4.

ერთია, თუ როგორ აღიქვამდნენ თინათინ წერეთლის პიროვნებას მის გვერდით ნამყოფი და მყოფი ადამიანები, და სხვაა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ის მათზე, ვისაც პირადად არც კი შეხვედრია. აი, რა განაცხადა ამის შესახებ ცნობილმა სამართალმცოდნემ **ვიქტორ კოვანმა** სახელოვანი ქართველი მეცნიერის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე: "თინათინ ვასილის ასული წერეთლის წიგნების მიხედვით ადვილია წარმოიდგინო გაბედული, მამაცი ადამიანის სახე, რომელიც ჭეშმარიტებას ერთგულობს და არაფერს დათმობს მის საზიანოდ.

მეცნიერის პროფესიული ღირსებანი უწინარეს ყოვლისა მის ნაწერებში ვლინდება. არაიურისტისათვისაც რომ გასაგები გახდეს, მე ოდენ იმ თემების დასახელებით შემოვიფარგლები, რომლებსაც ქ-ნი თინათინი იკვლევდა.

ის წერდა, მაგალითად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე. ნახეთ, რა საკვანძო და კარდინალური საკითხია? – რისთვის შეიძლება სისხლის სამართლის წესით პასუხი მოეთხოვოს ადამიანს?

ის იკვლევდა მიზეზობრიობის პრობლემებს, ანუ რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა, ან როგორ ხდება იგი; სახელდობრ, რა იწვევს ინდივიდურ დანაშაულებრივ ქცევას (და მის შედეგს), სად არის მათი ძირი; რა არის საჭირო, რათა აღიკვეთოს მოვლენათა ასეთი არასასურველი განვითარება.

დაბოლოს, მისი კვლევის საგანი გახლდათ ბრალის პრობლემა. ბრალი ხომ ის საყვედურია, რომელსაც საზოგადოება წარუდგენს ადამიანს. სხვანაირად, ეს გახლავთ გაკიცხვა უღირსი საქციელისათვის, როდესაც მან მოკლა, იქურდა, ითაღლითა. გასაკიცხაობის ეს მომენტი თინათინ წერეთლის შემოქმედებაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ამით წმინდა პროფესიული პრობლემატიკა მას გადაჰყავდა ფართო ზოგადმოქალაქეობრივ კონტექსტში, რითაც მისი ნაწერი ხდება მეტად საინტერესო, მნიშვნელოვანი და ფასეული.

მისი მეცნიერული შემოქმედების მიხედვით, თინათინ წერეთელი ჩვენს წინაშე წამოიმართება როგორც მაღალი კვალიფიკაციის, შესანატრი თვალსაწიერისა და ერუდიციის მეცნიერი, რომელსაც ხელეწიფება, პროფესიული საკითხები საზოგადოებრივი ინტერესის პრიზმაში დაინახოს, დაგვანახოს, განიხილოს და გადაწყვიტოს. ამაშია მისი პიროვნების ყადრი და მადლი."[8]

* * *

მეცნიერისა და მოქალაქის ისეთი თვისებები, როგორიც თინათინ წერეთელს ამკობდა და რომლებიც ასე რელიეფურად წარმოგვიდგინა ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა, მნიშვნელოვანი პირობაა იმისათვის, რომ მკვლევარი ამავე დროს მეცნიერული კადრების აღმზრდელიც გახდეს.

მე და არაერთ ჩემს კოლეგას პირადად გვქონდა პატივი და ბედნიერება უშუალოდ გამოგვეცადა ქალბატონი თინათინის, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელის მომნუსხველი ძალა. ერთი მათგანი გახლავთ აწ გარდაცვლილი პროფესორი **თამაზ შავგულიძე,** რომელიც შემდეგნაირად წარმოგვიდგენს მეცნიერების დიდოსტატსა და მის წარმატებულ შეგირდებს შორის ურთიერთობას:

"ქალბატონი თინათინის მოწაფეებს აერთიანებს ნაცნობი წერეთლისეული ხელწერა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მეცნიერების ერთგულება და, რაც მთავარია, მასწავლებლის დიდი პატივისცემა და სიყვარული. მათ აერთიანებს წერეთლის მოწაფის ტიტული, რომელიც ყველაზე საპატიოდ მიგვაჩნია. აამ ტიტულს სიამაყით ვატარებდით ასპირანტობის ჟამს, ვატარებთ დღესაც და ვერასდროს შეველევით. თითქოს დამოუკიდებელნი გავხდით, მაგრამ არ გვიჩნდება მოთხოვნილება, გამოვიდეთ მოწაფის მდგომარეობიდან. სრულიადაც არ გაგვქრობია სურვილი,

[8]ტექსტი წარმოადგენს გამოსვლის სინქრონულ ჩანაწერს თინათინ წერეთლის მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე. თარგმანი ქვეყნდება ავტორის არქივში დაცული დედნის მიხედვით.

ისევე, როგორც ახალგაზრდობისას, წარმოსახვით შევაღოთ ქალბატონი თინათინის სახლის კარი და ჩავაბაროთ მას ანგარიში. იქ ქალბატონ თინათინთან, მის მეუღლესთან ბატონ ვლადიმერ მაყაშვილთან,[9] ჩვენ გვისმენენ, თანაგვიგრძნობენ და გვასწავლიან. ჩვენც ხარბად ვეწაფებით ყველაფერს. ვსწავლობთ, თუ როგორი უნდა იყოს მეცნიერი, მოქალაქე და ადამიანი. ასე იყო, ასე არის, და გვინდა რომ ასე იყოს დაუსრულებლად.

როდესაც მნიშვნელოვან ნაბიჯს ვდგამთ, მის სისწორეს ამ ძვირფასი მასწავლებლის თვალით ვზომავთ და ვერც კი ვამჩნევთ, რომ მათი მუდმივი კონტროლის ქვეშ ვიმყოფებით. ეს დიდი ძალაა, ჭეშმარიტი აღმზრდელობითი ძალა.

თინათინ წერეთელი ძლიერი იყო

— უწინარესად, დიდი მეცნიერული ავტორიტეტით, პრინციპულობით, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, ზნეობით, სიმართლით, მომთხოვნელობით;
— ძვირფასი აღმზრდელის, დიდი მოქალაქისა და იურისტის ლუარსაბ ანდრონიკაშვილისადმი ერთგულებით;
— რაც მთავარია, კეთილშობილებით, სათნოებით, ყურადღებითა და მოყვასის სიყვარულით.”[10]

მასწავლებლობა ქალბატონი თინათინის მოღვაწეობის ის მხარე იყო, რომელსაც თავად ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იურისტთა ღირსეული კადრების აღზრდაში ის ხედავდა როგორც მართლმსაჯულების საქმის წარმატებას, ისე სამართლებრივი მეცნიერების აღორძინების უწინარეს პირობას. და თუ თვალს გადავავლებთ თინათინ წერეთლის საქმიანობას, დავინახავთ, რომ არ ყოფილა ისეთი დღე უნივერსიტეტსა თუ აკადემიაში მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, როდესაც ის ახალგაზრდობასთან არ ყოფილიყო მთელი თავისი არსებით დაკავშირებული. ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში თინათინს ჩაქსოვილი ჰქონდა თავისი სულის ყველაზე უფრო ძვირფასი და ფაქიზი ნაწილი. პირადად მე ქალბატონი თინათინი, უწინარესად და უპირატესად წარმომიდგება როგორც შთაგონებული პედაგოგი. იქნებ იმიტომ, რომ მის უბადლო პედაგოგობასთან არის დაკავშირებული სანუკვარი ხანა ჩემი და არაერთი ჩემი კოლეგის ცხოვრებაში, როდესაც სიცოცხლეს რაღაც აზრი მიეცა, როდესაც იგი უჩვეულო ხალისით აივსო.

დაუვიწყარია თინათინ წერეთლის ლექციები და სემინარები სისხლის სამართალში. მათი წყალობით ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებაში ძალუმად შემოიჭრა სრულიად ახალი ნაკადი. ჩვენ დავიწყეთ სისხლის სამართლის გაღრმავებული შესწავლა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ლოგიკის ურთულეს პრობლემებთან მჭიდრო კავშირში, რაც დიდ გონებრივ დაძაბულობას მოითხოვდა. მაგრამ ამ დაძაბულობას თან ახლდა რომანტიკული სამყაროს ხილვა. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ერთი შეხედვით მშრალი სისხლისსამართლებრივი აკრძალვების მიღმა არსებობს საოცარი სამკვიდრო საინტერესო მეცნიერული იდეებისა და ულამაზესი თეორიული კონსტრუქციებისა; ხოლო ამ იდეებისა და კონსტრუქციების მიღმა დგანან მძლავრი არგუმენტებით შეიარაღებული ბუმბერაზი მოაზროვნეები.

თავიდან ლამის ყველა იდეა ჭეშმარიტი ჩანდა; თითქოს ყოველი მათგანი ურყევად იყო დასაბუთებული. მაგრამ, თურმე არა. ზოგიერთი მცდარი ყოფილა და უარსაყოფი. იმის გასარკვევად, თუ რომელი იყო სწორი ან მცდარი, ქალბატონი თინათინი სტუდენტებს მოგვიხმობდა ხოლმე ვითომდა დასახმარებლად. ეს იყო ამაღელვებელი მომენტი მისი ჩვენთან მოახლოებისა. მასწავლებელი, რომელიც ჩვენთვის თვალშეუდგამი სიმაღლიდან ქადაგებდა

[9] **ვლადიმერ მაყაშვილი** გახლდათ სახელგანთქმული მეცნიერი სისხლის სამართლის დარგში, რომელიც შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა ჩვენში და უცხოეთში. რავალრიცხოვან მის ნაშრომთა შორის გამორჩეული აღიარება და დაფასება ხვდა მის ფუნდამენტურ მონოგრაფიას **В.Г.Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность. Тосюриздат. Москва, 1975**

[10] **თ. შავგულიძე.** პროფ. თინათინ წერეთელი როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელი. 18.11.83. ტექსტი ქვეყნდება სტატიის ავტორის არქივში დაცული მანქანაზე ნაბეჭდი დედნის მიხედვით.

ჭეშმარიტებას, წამის უმალ ჩვენს გვერდით აღმოჩნდებოდა, მხარში ამოგვიდგებოდა და ჩვენთან ერთად იწყებდა მანამდე უცნობი გზების გაკვლევას. ჩვენ ძალაუნებურად მონაწილენი ვხდებოდით აზრთა სამყაროში ძნელი, მაგრამ ეგზოტიკური ლაშქრობისა, რომლის მიზანი ერთდროულად ჭეშმარიტების წვდომაც იყო და გონების ვარჯიშიც. ვისაც ასეთ ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა, დამერწმუნება, რომ ეს იყო შესანიშნავი წრთობა იურისტისათვის აუცილებელი მოქალაქეობრივი და პროფესიული თვისებებისა.

თინათინ წერეთლის საუნივერსიტეტო მოღვაწეობა, რომელმაც ოთხ ათეულ წელს გასტანა, მისი ბიოგრაფიის ღირსშესანიშნავი მონაკვეთია. უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდი იყო მისი ცხოვრებისა და შემოქმედების სანეტარო ხანა, როდესაც ერთი მხრივ, მას შესაძლებლობა ჰქონდა ეთანამშრომლა თავის დიდ მოძღვართან – ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან, ხოლო მეორე მხრივ, თავადვე ყოფილიყო მოძღვარი ახალგაზრდა იურისტთა მრავალი თაობისა. ორთავე ამ გარემოებამ უაღრესად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა თინათინ წერეთლის შემოქმედებაზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები სწორედ, უნივერსიტეტის პერიოდს განეკუთვნება. თვით თინათინ წერეთლის შემდგომი პერიოდის ნაშრომებსაც აზის საუნივერსიტეტო საქმიანობისა და მოღვაწეობის უტყუარი ბეჭედი. ყველაზე მეტად მაინც ეს შეეხება სისხლის სამართლის კურსს – "მოძღვრება დანაშაულზე." ამავე დასათაურების მონოგრაფიულ კურსს მრავალი წლის განმავლობაში დიდი შთაგონებითა და სწორუპოვარი ოსტატობით უკითხავდა ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს. ამ კურსის ერთ-ერთი თანაავტორი, მისი წიგნად მომზადების შემდეგ[11] გახდა აწ გარდაცვლილი პროფესორი **გიორგი ტყეშელიაძე,** რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტობისას უნივერსიტეტის კედლებში დაუკავშირა თავისი მომავალი მეცნიერული ბედი თინათინ წერეთელს. აი, რას ამბობდა ის, მრავალი წლის შემდეგ, თინათინ წერეთლის ნაშრომების მნიშვნელობაზე.

"თინათინ წერეთელი განსწავლული იყო ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, ღრმად ერკვეოდა თეორიასა და სამოქალაქო სამართალში. მაგრამ მან თავისი შემოქმედებითი ენერგია, უპირატესად, სისხლისსამართლებრივი პრობლემების კვლევას შეალია.

თ. წერეთელი აქვეყნებს ნაშრომებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების, მიზეზობრიობის, შემადგენლობის, მომზადების, მცდელობის, მასში თანამონაწილეობის, საფრთხის შემქმნელი დელიქტების შესახებ. ყოველივე ეს 1968 წელს მან დააგვირგვინა შემაჯამებელი კურსით დანაშაულის მოძღვრების შესახებ. თინათინ წერეთლის ნაშრომებში ჩამოყალიბებული მრავალი დებულება მტკიცედ დამკვიდრდა სისხლის სამართლის თეორიაში, საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკაში. და, მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო გავიდა გამოცემის შემდეგ, ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს ისინი სწორედ ახლა დაიწერა. დრომ არა თუ ვერ გააუფასურა მათი ღირებულება, არამედ პირიქით, დაადასტურა კიდევაც წერეთლისეული შეხედულებების დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა."[12]

ბევრ რამეს მოახმარა თინათინ წერეთელმა თავისი უშრეტი ნიჭი და ენერგია. ყოველივე ამას ის აკეთებდა უჩვეულო ხალისითა და შემართებით. შიშნარევი გაოცება ეუფლებოდა კაცს, თუ ყურადღებით ადევნებდა თვალს, როგორ იწვოდა და იფერფლებოდა ის საზოგადოებრივ სამსახურში. ასეთი თავდაუზოგავი შრომა ადამიანს ეროვნული ვალის მაღალმა შეგნებამ შეიძლება შთააგონოს მხოლოდ. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს თინათინ წერეთლის ღვაწლი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დადგენა-განვითარების საქმეში, საერთოდ მისი დამოკიდებულება ქართული ენისადმი. შთაბეჭდილებებს იურიდიული ენისა და

[11] **თ. წერეთელი.** მოძღვრება დანაშაულზე. "მეცნიერება," თბილისი, 1968.

[12] **გ. ტყეშელიაძე.** პროფ. თინათინ წერეთლის მეცნიერული შემოქმედება. 10.10.83. ტექსტი ქვეყნდება სტატიის ავტორის არქივში დაცული მანქანაზე ნაბეჭდი დედნის მიხედვით.

ტერმინოლოგიის დახვეწის საკითხებზე გვიზიარებს **პროფესორი ოთარ გამყრელიძე,** რომელსაც ხშირად უხდებოდა თანამშრომლობა თინათინ წერეთელთან ამ მიმართებით:

"თინათინ წერეთელი დიდ ყურადღებას უთმობდა მასალის გადმოცემის ფორმას, ნაწარმოების ენობრივ და სტილისტურ დამუშავებას... ის საგანგებო ტერმინოლოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. როგორც ღრმად განსწავლულ იურისტსა და განათლებულ პიროვნებას, მას კარგად ჰქონდა შეგნებული იურიდიული ტერმინოლოგიის დადგენა-დაზუსტების მნიშვნელობა ეროვნული სამართლებრივი კულტურის განვითარებისა და წინსვლისათვის. ამიტომ იყო, რომ ამ საქმეზე ზრუნვას მეცნიერი მაშინვე შეუდგა, როგორც კი 50-იანი წლების დასასრულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში ახლადგახსნილ სამართლის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. თუმცა, ტერმინოლოგიური მუშაობა მას უფრო ადრე, ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწეობისას ჰქონდა დაწყებული. ამის შედეგად 1963 წელს გამოიცა „იურიდიული ტერმინოლოგია", რომლის ერთ-ერთი შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ქალბატონი თინათინი გახლდათ.

თინათინ წერეთელი ბევრს თარგმნიდა რუსული, გერმანული და ფრანგული ენებიდან. მარტო გერმანელი მეცნიერი იურისტების შრომათა თარგმანები, რომლებიც მის არქივში ინახება, 100 საავტორო თაბახს აღემატება".[13]

* * *

ყოველივე ზემოთქმულიდან გამოსჭვივის თინათინ წერეთლის დიდი პასუხისმგებლობა როგორც წინამორბედი, ისე მომდევნო თაობების წინაშე. აქედან წარმოდგება სწორედ მისი პიროვნული ამაღლებულობა, რომელიც ერთგვარად წინააღმდეგობრივად გამოიყურებოდა: თან ჩრდილავდა, თან ანათებდა.

მისი დიდი მეცნიერული ავტორიტეტის ჩრდილში თითქოს უნდა განელებულიყო კიდევაც ახალგაზრდა კაცის მეცნიერული ზრდა, რადგან ძნელი იყო გაქცეოდი ამ ჩრდილს.

ამის საპირისპიროდ, მისი პიროვნება ასხივებდა ისეთ ნათელს, რომლის შუქი გზას ხსნიდა სწრაფი წინსვლისა და განვითარებისათვის.

ერთი სიტყვით, ის ჩრდილავდა ავტორიტეტით, მაგრამ ანათებდა ინტელექტითა და კეთილშობილებით.

მართლაც რომ საოცარი იყო ზნეობრივი ზემოქმედების ძალა თინათინ წერეთლის პიროვნებისა. თუ კაცად ვარგიხარ, არ შეიძლება მისი სახე თან არ გდევდეს და არ მოგაგონებდეს, რომ ყოველი ნაბიჯი უმკაცრეს ზნეობრივ პრინციპებს შეუსაბამო. ამაში არის ღრმა აზრი და მემკვიდრეობითი კანონზომიერება. თავად თინათინიც ხომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგული იყო მისი ძვირფასი მასწავლებლის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის პრინციპებისა.

თინათინ წერეთელს არასოდეს დაუშურებია ადამიანებისათვის ცოდნა, ენერგია, დრო, ნამდვილი მეგობრული დახმარება ან სულიერ განცდებში თანაგრძნობა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ როდესაც მადლიერი შთამომავლობა ღირსეულად აღნიშნავს მისი დაბადების 110-ე წლისთავს, არც მისი ადამიანური თვისებებია დავიწყებული.

დღეს ქართული სამართლებრივი მეცნიერება და პრაქტიკა ჯერარსმენილი გამოწვევების წინაშე დგას. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ჩვეული შემართებით ეგებება მათ. ეჭვი არ არის, რომ მრავალ

[13] **ო. გამყრელიძე**. თინათინ წერეთელი როგორც მოქართულე, მთარგმნელი, ტერმინოლოგი და ქართული სამართლებრივი კულტურის მოამაგე. 21.10.83. ტექსტი ქვეყნდება სტატიის ავტორის არქივში დაცული საბეჭდ მანქანაზე აწყობილი დედნის მიხედვით.

გამარჯვებას ვიზეიმებთ და ყოველთვის აგვამაღლებს იმის შეგნება, რომ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მოღვაწე **თინათინ წერეთელი** იქნება ყველა მათგანის უხილავი მონაწილე და თანაავტორი.

Mindia Ugrekhelidze

In Memory of Tinatin Tsereteli
(110th Anniversary of Eminent Georgian Jurisprudent)

Summary

The study by professor Mindia G. Ugrekhelidze, Phd, is dedicated to the 110th anniversary of TinatinTsereteli (1905-2015) – possibly the most bright and influential jurisprudent of the twentieth century in Georgia. She was founder and the permanent head of Department of law in the Georgian Academy of Sciences (later Transformed into the Institute of the State and Law); adviser of the Supreme Court of Georgia; dean of the Faculty of Law in Tbilisi State University; elected member of local government.

Prof. T. Tsereteli is the author of numerous books and articles particularly on the criminal law and its philosophy. She is best known for the monograph "Causation in the Criminal law (1st edition – 1945, Georgia; 2nd edition – 1963, Russia)." It is remarkable book, a book of depth, penetration and originality, which presents achievements and failures of domestic and outside legal systems in the context of crime and justice. Thanks to this book and its author the Georgian Penal Code became the only exception among the other European codes of the same kind with the special regulation of the complex legal issues of causation. Besides she wrote, interpreted, translated and edited dozen books and over one hundred articles on **guilt**, **imputability, responsibility, complicity, inchoate** crimes etc., valuable contributing to a legal science and contemporary jurisprudence both conceptually and practically as well.

Special mention should be made of the fact that Tinatin Tsereteli – doctor of law, professor, corresponding member of Georgian National Academy of Sciences – also was active as a teacher in several law schools and terminologist who substantially enriched Georgian legal vocabulary. In consequence the well-known and widely recognized school of Georgian legal scholars took shape in the field of criminal science.

Important role in promoting Georgian jurisprudence it is expected will play "Tinatin Tsereteli Prize" set up by Georgian National Academy of Sciences in 2008.

TinatinTsereteli herself was recipient of numerous prestigious honors, awards, and orders.

ავთანდილ არაბული

არნოლდ ჩიქობავას დრო და სივრცე
(შტრიხები დიდი მეცნიერის ბიოგრაფიისათვის)

არნოლდ ჩიქობავა განსაკუთრებული მოვლენაა ქართული მეცნიერული აზრის ისტორიაში. ისტორია დროისა და სივრცის მუდმივი ჰარმონიისა და დისჰარმონიის შეუცნობელი დინამიკით ვითარდება და ადამიანიც, ბუნებრივია, ხშირად ამ „ვითარების“ ლოგიკაში ეძებს პასუხს მისთვის საიდუმლო კითხვებზე...

უეჭველია, არც დრო და არც სივრცე, არც ორივე ერთად თავისთავად არ ქმნის პიროვნებას, მაგრამ დროისა და სივრცის კოორდინატთა კოლოკაცია და ბედნიერი დამთხვევა ბედისწერის ამოუცნობ ფენომენთან ნამდვილად განაპირობებს ადამიანის შესაძლებლობების განსაკუთრებულ, სასწაულებრივ გამოვლინებას.



არნოლდ ჩიქობავა

იმ პირველი ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, რომელთაც ტრივიალურად წარმოგვიდგენს საცნობარო ლიტერატურა, ერთი შეხედვით, არაფერი არ მოასწავებს ამ მასშტაბის მოაზროვნის ვარსკვლავის გამობრწყინებას:

არნ. ჩიქობავა დაიბადა 1898 წელს მაშინდელი სენაკის მაზრის სოფელ საჩიქობაოში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება ძველი სენაკის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო და 1911 წლიდან ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შევიდა. ოჯახის აღნიშნული

ხელმოკლეობის გამო იგი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, იძულებულია ჩამორჩენილი მოსწავლეები ამეცადინოს და ამ გზით მოაგროვოს სწავლის გადასახადი...

მაგრამ ყმაწვილობიდანვე უხილავად ისახება პერსპექტივა, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაფერხებს.

შეფარული კითხვის ნიშანი, რომელიც თავიდანვე დაისვა, ხშირად აწუხებთ სიღრმისეული კანონზომიერებების მაძიებელ ადამიანებს და მის პასუხს უპირატესად გენეალოგიაში ეძებენ. მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს უფრო ღრმა და უფრო ხანგამძლე გენეალოგია - ხალხის კავშირი ერის ისტორიასთან. საკმარისია მომავალი მეცნიერის მშობლიური სოფლიდან გაუწვდინოთ თვალი სამეგრელოს სანახებს და ჰორიზონტის შორეულ კონტურებს, რომ მყისვე შეიგრძნოთ სიღრმე და სივრცე იმ ფესვებისა, რომლებიც შთამომავალთა პერსპექტივას დაუშრეტლად ასაზრდოებენ...

საქართველოს ისტორიულ სოფლებს მართლაც მოსდევს ამგვარი მადლი.

არნოლდ ჩიქობავას და მის თაობას, – უფლისმიერი ნიჭით ნიშანდებულთ – მართლაც გაუმართლა: მათს სამომავლო შემართებას ეროვნული უნივერსიტეტი დახვდა!

უეჭველად ბედის წყალობაა ის, რომ არნოლდ ჩიქობავა პირველწვეულთაგანი იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ენათმეცნიერების მიმართულებით და უნივერსიტეტის პირველი გამოშვება ამ სპეციალობით აღმოჩნდა ორი გამორჩეული ფიგურა ქართველოლოგიისა – არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია.

ზედმეტია იმის ხაზგასმა, რა მადლი უსაგზლა დედაუნივერსიტეტის წიაღმა მომავალ მეცნიერს, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პროფესორ აკაკი შანიძის რეკომენდაციით იქნა დატოვებული არნოლდ ჩიქობავა პროფესორად მოსამზადებლად.

საჭიროდ მიგვაჩნია იმის ხაზგასმაც, რომ მაშინაც ერთ სამეცნიერო ხარისხს იცავდნენ – სადოქტოროს, მაგრამ ამ ხარისხის დონესა და სიმაღლეს მართლაც ჩინებულად წარმოაჩენს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან დაცული პირველი სამეცნიერო ნაშრომი – არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არნოლდმა უნივერსიტეტი 1922 წელს დაამთავრა, ხოლო აღნიშნული ნაშრომი წიგნად 1928 წელს გამოქვეყნდა, დისერტაციის დაცვა კი 1929 წელს გაიმართა, ძნელი დასანახი არ უნდა იყოს, თუ რა შემოქმედებითი ძალისხმევით მზადდებოდა ეს საეტაპო ნაშრომი.

დღეს აღიარებულია, რომ არნ. ჩიქობავას ეს ფუნდამენტური გამოკვლევა წინ უსწრებს ანალოგიურ ევროპულ ნაშრომებს სტრუქტურული სინტაქსის სფეროში, ხოლო სიმწყობრით არაფრით ჩამოუვარდება ამ რიგის საუკეთესო გამოკვლევებს.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, კერძოდ კი - ლინგვისტიკის, სფეროში ამ დროისათვის ევროპის ქვეყნებში რამდენიმე მიმდინარეობა უკვე საფუძვლიანად ჟამმოთეულია, ხოლო სტრუქტურალიზმი სწორედ ახლა იკაფავს საკუთარ გზას. ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლეთა და მათი მოწაფეების განსაკუთრებული გამოცდა კი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ღირებული მონაპოვარი - ძველიც და ახალიც - უმოკლეს დროში უნდა იქნეს დამუშავებული, შეფასებული და ჩაყენებული ქართული მეცნიერებისა და განათლების სამსახურში.

ამიტომაც არის, რომ არსებითად ყველა პირველმკვალავი თეორიულ საფუძვლებსაც ქმნის და, იმავე დროს, მასშტაბურ ემპირიულ კვლევებსაც ეწევა, თანადროული ევროპული დონის განზოგადებებსაც სთავაზობს სამეცნიერო საზოგადოებას და მუხლჩაუხრელ საველე თუ ლაბორატორიულ სამუშაოებსაც გასაოცარი ნაყოფიერებით წარმართავს.

არნ. ჩიქობავას პირველი მონოგრაფიის თავისებურება სწორედ ის არის, რომ მისი პირველი ნაწილი წარმოადგენს ფუნდამენტურ ანალიზს იმ დროისათვის ლინგვისტიკის სფეროში

არსებული თეორიებისა და კვლევის მეთოდებისას და ამ კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ე. წ. მეთოდოლოგიური იმანენტიზმის იდეა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ, ჯერ ერთი, ენობრივი მოვლენების კვლევაში გამოყენებული უნდა იყოს სწორედ ლინგვისტური და არა ლოგიცისტური, ფსიქოლოგისტური და სხვ. მიდგომა და თვალსაზრისი, და მეორეც – ენის ამა თუ იმ მონაცემთა კვლევისას მომარჯვებული უნდა იყოს დაკვირვების ობიექტის იმანენტური მეთოდი.

„მარტივი წინადადების პრობლემის“ მეორე ნაწილი ჩინებული მაგალითია ქართული სინტაქსის თანამიმდევრული სტრუქტურული კვლევისა, რომლითაც მართლაც რელიეფურად არის წარმოჩენილი ტრადიციული, უნივერსალური ანუ ყველა ენის სინტაქსს მორგებული სქემების ნაკლოვანება და პირველად არის სრულად გახსნილი ქართული პოლივალენტოვანი ზმნის ჭეშმარიტი სინტაქსური ბუნება, რომელიც შესაფერის ლინგვისტურ ცნებას – კოორდინაციას და არაერთგვაროვან კოორდინატთა სისტემას გულისხმობს.

უთუოდ ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ თეორიის ემპირიული დასაფუძვლებისათვის ახალგაზრდა მეცნიერმა ძველი ქართული აირჩია, როგორც ამ თვალსაზრისითაც უფრო დამდგარი, ნორმირებული კლასიკური ენა; ხოლო შემდგომი ტენდენციების – ძველი სისტემის ჯერდაუმდგარი ცვლილებების – საჩვენებლად ნაშრომს დამატებები დაურთო, რომლებშიც ნათლად წარმოაჩინა ენის განვითარების ის კანონზომიერებები, რამაც კლასიკური პერიოდის შემდეგ იჩინა თავი სალიტერატურო ენაში და რისი ჩამოყალიბებაც დღემდე გრძელდება...

„მარტივი წინადადების პრობლემა“ არნ. ჩიქობავას მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან მაინც განზემდგომად აღიქმება, რადგან მეცნიერის შემდგომი პერიოდის უმთავრესი ძალისხმევა ქართველური და სხვა ენების ისტორიულ კვლევას დაუკავშირდა; არნ. ჩიქობავას სამეცნიერო საზოგადოება უფრო მეტად იცნობს როგორც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პრინციპულ დამცველსა და ერთგულ მიმდევარს, ქართველური და იბერიულკავკასიური ენების თავდადებულ მკვლევარს.

მაგრამ, აღნიშნულთან ერთად, არნ. ჩიქობავას უადრესი აღწერითი ხასიათის ნაშრომები ნათლად წარმოაჩენს მის არანაკლებ შესაძლებლობებს დესკრიფციული კვლევების სფეროში; წარმოაჩენს იმას, რომ თუ არა ჩამორჩენილობა ისტორიულ-შედარებითს, ანუ ენათა ნათესაობის მაძიებელ კვლევებში, არნ. ჩიქობავა ყველანაირად იყო მზად იმისათვის, რომ სტრუქტურალიზმს საქართველოში თანადროული განვითარება ჰქონოდა. კერძოდ, აღნიშნულთან ერთად, აქ უნდა იქნეს დასახელებული მისი უადრესი ნაშრომები დიალექტების კვლევის სფეროში: "ვინის რეფლექსები ფერეიდნულში" (1923); "**-ყე** ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის თვალსაზრისით" (1923) და "გრძელი ხმოვნები მთიულურში" (1924). აღწერითი ენათმეცნიერების ყველა სიკეთე არის წარმოჩენილი ამ ნაშრომებში და შედეგებიც ფრიად შთამბეჭდავია, ერთი რამ არ ჰყოფნის მხოლოდ ამ ნოვატორულ კვლევას – ფორმალური აპარატის არქონა, რათა ზუსტი და შესაფერისი ადგილი მიეჩინოს ყოველ ენობრივ მონაცემს და უფრო თვალსაჩინო გახდეს სტრუქტურების ბუნება და მექანიზმი: ეროვნული პოლიგრაფია იმ ეტაპზე სპეციფიკური მახვილის გადმოცემასაც კი ვერ ახერხებს!..

დებულებები, რომლებიც ამ ნაშრომებში არის ჩამოყალიბებული, მართლაც ღირსეულად უმშვენებს მხარს „მარტივი წინადადების“ ერთიან კონცეფციას; მაგალითად, ცნებათა ზუსტი კვალიფიკაციის პრობლემა მეცნიერებაში: როგორც კი მთიულურის მიმართ „თქმა“ ცნებას გამოიყენებს, ახალგაზრდა მეცნიერი, იქვე შენიშნავს: „ვიღებთ ამ სიტყვას არა როგორც სპეციფიკურ საენათმეცნიერო ტერმინს (რომლითაც აღინიშნება კილოკავის მიმართ სახეობითი

ცნება, ხოლო ქცევის მიმართ გვაროვნული ცნება), არამედ როგორც სიტყვას, რომელიც აღნიშნავს გარკვეულ ენობრივ თავისებურებათა კრებულს“...[1]

* * *

არნ. ჩიქობავას განგებისაგან წილად ხვდა მისია, მთელი მასშტაბებით გაეაზრებინა ახალ ეტაპზე ქართული და ქართველური ენების კვლევის შედეგები და ამოცანები და ზუსტად განესაზღვრა ქართველოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებები; ამავე დროს, ყოფილიყო ამ მიმართულებების ერთი ძირითადი წარმმართველი და ორგანიზატორი. თუ შეიძლება აქ ხატოვანებას მივმართოთ, არნ. ჩიქობავას მძლავრი გონებით განსაზღვრული მემკვიდრეობა შეიძლება შევადაროთ დიდ წყალშემკრებს, რომელშიც თავს იყრის და თავის კუთვნილ ადგილს იკავებს ყველა არსებული მონაპოვარი (ამ ნიშნით არის აღბეჭდილი არნ. ჩიქობავას მიერ გააზრებული რომელიმე უმნიშვნელო პრაქტიკული გრამატიკაც კი) და, იმავე დროს, სათავეს იღებს მომავლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არაერთი ახალი ნაკადი.

განგებისმიერი ნიჭით ნიშანდებული პიროვნების ისტორიული მისია იმაში მდგომარეობს, რომ მონაცემთა, ერთი შეხედვით, მოუწესრიგებელი სიმრავლიდან, ქაოსიდან თვალსაჩინო სისტემა შექმნას, მოვლენებს კუთვნილი ადგილი მიუჩინოს, ფართო სივრცე გახსნას ახალ იდეათა და მეცნიერულ კვლევათა განვითარებისათვის.

ასეთი იყო დროისა და სივრცის კარნახი – ყველაფერი ახლად ან – უფრო მეტად – პირველად და ფაქტობრივ ცარიელ ადგილზე უნდა შექმნილიყო:

შესაქმნელი იყო ეროვნული უნივერსიტეტის საფუძვლები და სამომავლო პრესტიჟი...

შესაქმნელი იყო პროგრამები, სახელმძღვანელოები, კურსები...

შესაქმნელი იყო დარგობრივი ენები, ცნებათა სისტემა და ტერმინოლოგიები...

შესაქმნელი იყო ბიბლიოგრაფიები, ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები...

რაც მთავარია, იმავე ადამიანებისაგან, ვინც ამ ყველაფერს საკუთარი ხელით აკოწიწებდა, შესაქმნელი იყო მკვიდრი სამეცნიერო სკოლები, რომლის გარეშეც ეროვნული უნივერსიტეტის იდეა პროვინციულ მასშტაბებს ვერ გასცდებოდა.

და მართლაც, ეროვნული უნივერსიტეტის მესაძირკვლეებმა ორ-სამ ათეულ წელიწადში შექმნეს მკვიდრი საფუძველი ასეთი სკოლების ჩამოსაყალიბებლად. თავიანთ დარგებში მათ შექმნეს ისეთი მნიშვნელობის სამეცნიერო სკოლები, რომლებიც იმ დროისათვის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეესაბამებოდნენ საერთაშორისო სამეცნიერო დონეს და, ზოგ შემთხვევაში, თვით განსაზღვრავდნენ ამ დონეს.

ასეთი საყოველთაოდ ცნობილი სამეცნიერო სკოლების შემქმნელთა შორის უკავია ადგილი არნ. ჩიქობავას:

არნოლდ ჩიქობავამ შექმნა საკუთარი ლინგვისტური თეორია და ჩამოაყალიბა სამეცნიერო სკოლა, რომელიც ფართოდ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სახელით არის ცნობილი.

არნ. ჩიქობავამ შექმნა თეორიული საფუძვლები საქართველოში ენათმეცნიერების განვითარებისათვის, საფუძვლები, რომელიც მომავალი მკვლევრის მომზადების არსებითად სრულ ციკლს გულისხმობდა, დაწყებული ენათმეცნიერების შესავლის ელემენტებით და დამთავრებული ლინგვისტური კვლევის ურთულესი მეთოდებითა და პრინციპებით.

რაც მთავარია, არნ. ჩიქობავამ შექმნა ფუნდამენტური სახელმძღვანელოები იბერიულ-კავკასიური ენების აღწერითი თუ კომპარატივისტული კვლევის საფუძვლად: „იბერიულ-

[1] **არნ. ჩიქობავა**, გრძელი ხმოვნები მთიულურში. – ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1924, № 4.

კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ და „იბერიული-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“...

არნ. ჩიქობავამ ფაქტობრივ ახლად შექმნა ენათმეცნიერების ინსტიტუტი და, მიუხედავად იმისა, რომ თავად ორიოდე წელიც არ ყოფილა ამ ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე, ენათმეცნიერები ინსტიტუტის მთელი შემდგომი გზა ამ სკოლის პერსპექტივის არნოლდისეულ ხედვასა და პრინციპებს ექვემდებარებოდა.

არნ. ჩიქობავამ შექმნა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა საინსტიტუტო განყოფილება და მოკლე დროში ის აქცია შესაბამისი სამეცნიერო კადრების სწორუპოვარ სამჭედლოდ...

არნ. ჩიქობავამ შექმნა საკავშირო კავკასიოლოგიური ფორუმი, რომელიც მორიგეობით ტარდებოდა კავკასიის რესპუბლიკების საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრებში, რაც არსებითად აყალიბებდა კავკასიის ერთიან სამეცნიერო სივრცეს და მეთოდურად ავითარებდა არა მხოლოდ სამეცნიერო ურთიერთობებს, არამედ უნიკალურ ადამიანურ და სანათესაო კავშირებს. ძნელი გასააზრებელი არ უნდა იყოს, რამდენად "ადვილი შესაგუებელი" იქნებოდა ეს ოფიციალური მოსკოვისათვის (თუნდაც, რუსეთის სამეცნიერო წრეებისათვის) და რაოდენ ზუსტი გათვლები, გააზრებული სტრატეგია და ტაქტიკა იყო საჭირო იმისათვის, რომ ეს უნიკალური მემკვიდრეობა დღევანდელი საომარი ვითარების პირობებშიც კი შენარჩუნებულიყო...

ამიტომაც მიგვაჩნია შესაძლებლად ამის თქმა: ერთადერთი ბრძოლა კავკასიისათვის, რომელიც მოსკოვმა არსებითად პირწმინდად წააგო, ეს იყო ბრძოლა უნივერსიტეტის კავკასიურ იდეასა და არნ. ჩიქობავას იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებასთან.

სრულიად აშკარაა, რომ ერთ-ერთი ფუნდამენტური იდეა, რომელზეც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ეროვნული უნივერსიტეტი დააფუძნა, იყო კავკასიის ერთიანობის იდეა და არნოლდ ჩიქობავამ – მისმა უერთგულესმა მოწაფემ – ეს იდეა მასშტაბურ სამეცნიერო თეორიად განავითარა. არნოლდ ჩიქობავას სიცოცხლის პერიოდში, მისი უშუალო მეთვალყურეობით, თუ მისი სიცოცხლის შემდგომ იმდენად მნიშვნელოვანი კვლევები წარიმართა და დასრულდა, რომ დღეს ამისი არაღიარება პრაქტიკულად შეუძლებელია.

არნოლდ ჩიქობავამ შექმნა აღნიშნული სკოლის ძირითადი ორგანო – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, რომლის 4 ათეულზე მეტი ტომი ქართული ენათმეცნიერული აზრის ერთ-ერთი გამორჩეული კორპუსია.

არნ. ჩიქობავამ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნა რეგიონალური (ცნების მაშინდელი შინაარსით) კავკასიოლოგიური ორგანო – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“.

არნოლდ ჩიქობავამ შექმნა სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები და ამით დასაბამი დაუდო ქართული სახელმწიფო ენის სწორი განვითარებისა და სიწმინდის დაცვის პოლიტიკას.

კიდევ რამდენი რამ შექმნა არნ. ჩიქობავამ - მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა...

მაგრამ ერთი რამ მაინც ხაზგასმით უნდა ითქვას:

იმ დროს, როცა ქართული მეცნიერების ფუძემდებლები ასპარეზზე გამოდიან, XIX საუკუნის ერთ-ერთი საოცარი აღმოჩენის – ენათა ნათესაობის თეორიის – ძირითადი „აღლუმი“ უკვე ჩავლილია და ინდოევროპული მონათესავე ენები უკვე მშვიდად დალაგებულან საერთაშორისო „ტრაპეზზე“, ისე, რომ ზოგიერთი „გარენათესავის“ განთავსებაც გადაუწყვეტიათ და უცდიათ...

სრულიად გასაგებია, რა აზრისა და გულის ხეთქებაში არიან ამ დროს უნათესაოდ დარჩენილი „ობოლი“ ერები...

ამიტომაც ამ დროისათვის მართლაც სასიცოცხლო ამოცანად აღიქმებოდა მეცნიერულად ზუსტად დადგენა იმ ისტორიული ფესვებისა, რაც საშუალებას მისცემდა, განსაკუთრებით,

მცირერიცხოვან ერებს, საიმედო „ზურგის მისაყრდნობი“ ანუ „სისხლისმიერი ნათესავი“ ეპოვათ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეორე ასპექტი: ქართველ მეცნიერებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, იმპერიული „გამთიშველი“ პოლიტიკისათვის დაეპირისპირებინათ ენათა ნათესაობის მაკონსოლიდირებელი იდეა. და ეს შესაძლებლობა ქართველმა მეცნიერებმა უცთომლად გამოიყენეს, ჩამოაყალიბეს რა ქართველური ენებისა და, უფრო ფართოდ, იბერიულ-კავკასიური ნათესაობის თეორია.

ამიტომაც ვინც ამ მონაპოვრებით სპეკულირებს, იგი შეგნებულად უწევს სამსახურს იმ „გამთიშველთა“ პოლიტიკას...

* * *

დიახ: დრო და სივრცე იყო ასეთი – ყველაფერი დასაცავი იყო:

წარსული და აწმყო, ისტორია და მემკვიდრეობა...

ქართული სამეცნიერო აზრი და ქართული უნივერსიტეტი...

ქართული ენა და ქართული ხელოვნება...

ეროვნული განათლება და ზნეობრივი ორიენტირები...

და არნოლდ ჩიქობავაც – უნივერსიტეტის მესაძირკვლეთა გვერდით – ყოველივე ღირებულის თვალმოუხუჭავი დარაჯი, თავდადებული დამცველი და შეუპოვარი პოლემისტი იყო. როგორც ნოდარ ანდღულაძე წერდა, „არნოლდ ჩიქობავას ადამიანური სიმაღლე, მორალური სისპეტაკე და სიმტკიცე მისი მეცნიერული მონაპოვრის ტოლფასია“.

ცნობილია, თუ რა როლი შეასრულა მან, როდესაც დიმიტრი უზნაძის ცნობილი თეორიის დაცვა აღმოჩნდა საჭირო გავეშებული საბჭოთა იდეოლოგიისაგან.

რაც მთავარი, მას ათწლეულების განმავლობაში უხდებოდა დაეცვა ქართული უნივერსიტეტის, ქართველოლოგიური სამეცნიერო სკოლების თეორიული მონაპოვრები, ქართული ენის საარსებო სივრცე საშიში და ჟინიანი პოლიტიკურ-სპეკულანტური შემოტევებისაგან.

სწორედ ამ ნიშნით იყო აღბეჭდილი არნოლდ ჩიქობავას ცნობილი ლაშქრობა ე. წ. მარიზმის წინააღმდეგ ენათმეცნიერებაში.

ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსია 1950 წლის 9 მაისს გაიხსნა გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული არნ. ჩიქობავას წერილით „საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ (სადისკუსიო სტატია)“, რომელიც სამართლიანად ითვლება გადამწყვეტ მომენტად საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების გზაზე და ეს ფაქტი განსაკუთრებულ წვლილად მიიჩნევა არნოლდ ჩიქობავას მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში; ამას თითქმის უგამონაკლისოდ აღნიშნავდა ყველა - საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

მაგრამ დამაფიქრებელია, რომ დისკუსია მიმდინარეობს იმ დროს, როცა საბჭოურ სივრცეშიც და, განსაკუთრებით, ქართულ ენათმეცნიერებაში არა მხოლოდ საკმაოდ მკვიდრად აქვს ფესვები გადგმული მსოფლიო თეორიულ მონაპოვრებს, არამედ ეს თეორიები პრაქტიკულად არის რეალიზებული ცნობილ ენათმეცნიერთა ფუნდამენტურ ნაშრომებში. სხვას რომ თავი დავანებოთ, უკვე 20-იანი წლებიდან, ეროვნული უნივერსიტეტის მოღვაწეობის დასაწყისიდანვე, ურყევად მოდის აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, იოსებ ყიფშიძის, არნოლდ ჩიქობავას ფუძემდებელი კვლევები აღწერითსა თუ შედარებით ენათმეცნიერებაში; სახელდობრ: ა. შანიძის მონოგრაფია პირის ნიშნების შესახებ, მისი ერთიანი გრამატიკული მოძღვრება...; გ. ახვლედიანის ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები; არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა“, „შედარებითი ლექსიკონი“, ზოგადენათმეცნიერული სახელმძღვანელო ნაშრომები...

თანაც ამ (დისკუსიის) დროისათვის, მართალია, იდეოლოგიურად საშიში, მაგრამ უკვე აშკარად კარიკატურული ფორმა აქვს მიღებული მარიზმის ”აჩრდილს”... გავიხსენოთ: არნ.

ჩიქობავას კრიტიკული პათოსით გამსჭვალული მოხსენება ჯერ კიდევ დისკუსიამდე 10 წლით ადრე აქვს რუსეთში წაკითხული და 1941 წელს „ენიმკის მოამბეში“ გამოქვეყნებული.

ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდად ლინგვისტური შეხედულებების შიდასაბჭოური კოლიზია დისკუსიის წამოსაწყებად მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა, რომლის უკანაც სერიოზული იდეოლოგიური მიზანი იყო დაფარული. ვფიქრობთ, ეს განაზრახი დღეს არცთუ ძნელი წასაკითხია...

ნ. მარის შეხედულებებთან პოლემიკის წმინდად ენათმეცნიერულ ასპექტებს სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოება ძირითადად იცნობს არნ. ჩიქობავას ორი ქრესტომათიული ნაშრომით, რომელთაგან ერთი ჯერ კიდევ 1926 წელს გამოქვეყნდა[2], ხოლო მეორე - 1940-41 წლებში (ზემოდასახელებული ნაშრომი)[3]. აშკარაა, რომ პირველივე ნაშრომი უაღრესად ნათლად გამოკვეთს დამოკიდებულებას: ნ. მარის კვლევების (თანაც, მათგან ყველაზე აკადემიურის) წმინდად პროფესიული შეფასების თვალსაზრისით არნ. ჩიქობავამ უკვე 1926 წელს სრულად გამოხატა საკუთარი პოზიცია, როდესაც მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკის“ (1925 წ.) ვრცელი, ამომწურავი და, ფაქტობრივ, გამანადგურებელი რეცენზია გამოაქვეყნა. შესაბამისად: თუ არა რაიმე სხვა მოტივი, ამ რეცენზიის შემდგომ მართლაც ძნელად გაუჩნდებოდა ავტორს სურვილი იმავე ობიექტს დაჰბრუნებოდა (მიუხედავად იმისა, რომ ამ რეცენზიაში, ცხადია, ყველა არსებულ პრობლემას არ შეხებია). ამ რეცენზიაში ახალგაზრდა მკვლევარმა მართლაც გამანადგურებელი შეფასება მისცა მეცნიერების უდიდესი ავტორის კვლევის შედეგებს:

„იაფეტიდოლოგიის კოსმიური ჰიპოთეზებისათვის მებრძოლ აკად. ნ. მარს მეცნიერება ათასწილ უფრო მეტს მადლობას უძღვნიდა, პრეისტორიული ადამიანის დაუდეგარ ცნობიერებაში შეუზღუდველი თარეშის ნაცვლად ისტორიულ სინამდვილეში არსებული ფაქტების შესახებ - ამ ფაქტებით განსაზღვრული აზრები წარმოედგინა, თუნდაც „ძველი ქართულის გრამატიკის“ მსგავსად.

თქმა არ უნდა, მაშინ ასეთი გრამატიკა, სხვა მეთოდოლოგიურსა და ფაქტიურ საფუძველზე დამყარებული, შეუდარებლად მეტი მეცნიერული ღირებულების მატარებელი იქნებოდა“[4].

არადა, გაბედულება და მეცნიერული თავდადება ნამდვილად სჭირდებოდა საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური მანტიით მოვლენილი მარის მოძღვრების კრიტიკას. სწორედ მეთოდოლოგიური მიზანდასახულების მოხსენებას წაიკითხავს 1940 წელს ლენინგრადში არნ. ჩიქობავა და ის 1941 წელს გამოქვეყნდება „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბეში“; ამ ნაშრომის მე-7 ნაწილი ეთმობა ნ. მარის თეორიას ენის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს მოხსენება რუსეთში ვერ გამოქვეყნდა და მომდევნო წელს რუსულადვე დაიბეჭდა „ენიმკის მოამბეში“.

ამ ვრცელი ნაშრომის ბოლო ნაწილი ეძღვნება მარის თეორიული პოსტულატებისა და შესაბამის მოსაზრებათა დინამიკის შეფასებას. მაგრამ ამ შეფასებათა ძირითადი ნაწილი არნ. ჩიქობავას უკვე კარგა ხნის წინ აქვს გაცხადებული.

ამ მოხსენების ძირითადი სიახლე ის არის, რომ აქ პირველად ჩნდება ენის ფილოსოფიის ის თემა, რომელიც ათი წლის შემდეგ ენის როლის განსაზღვრაში მეთოდოლოგიური რევოლუციის არსებით ქვაკუთხედად იქცევა.

საკითხი ეხება ენის „ზედნაშენურ“ კატეგორიად მიჩნევას.

---

[2] **არნ. ჩიქობავა**, რეცენზია შრომაზე: Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. – მიმომხილველი, I, ტფილისი, 1926.

[3] **Арн. Чикобава**, Проблема языка, как предмета лингвистики в свете основных задач советского языкознания (VII. акад. Н. Я. Марр о сущности языка). – ენიმკის მოამბე, 1941, ტომი 10.

[4] **არნ. ჩიქობავა**, რეცენზია შრომაზე: Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. – მიმომხილველი, I, ტფილისი, 1926, გვ. 168.

ოღონდ ამ ეტაპზე მეცნიერს თვით ეს საკითხი შემოაქვს ფაქტის კონსტატაციის სახით, ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნის გარეშე, მაგრამ საკმაოდ ძლიერი აქცენტირებით, ვინაიდან მიმოხილვას სწორედ ამის აღნიშვნით იწყებს:

„დიდი საბჭოთა მეცნიერი-ფილოლოგის, ლინგვისტის, არქეოლოგის - აკად. ნ. მარის უზარმაზარ დამსახურებას საბჭოთა ენათმეცნიერების წინაშე - ენის არსის განსაზღვრაში - წარმოადგენს საკითხის დასმა ადამიანური ენის *ზედნაშენური ბუნების* შესახებ“[5].

მოხსენების პუბლიკაციისას ავტორი აღნიშნავს, რომ ეს მიმოხილვა წარმოადგენდა შესავალ ნაწილს „ზოგადი ენათმეცნიერების“ მე-2 ტომისას. ეს ტომი გამოიცა 1945 წელს[6] და, მართლაც, ძირითადი დებულებები ნ. მარის (და სხვათა) მეცნიერული შეხედულებების შესახებ გარკვეული რედაქტირებით ამ წიგნშიც არის ასახული. რაც მთავარია, ზემომითითებული აქცენტი ენის „ზედნაშენურობის“ შესახებ აქაც ხაზგასმით არის ფიქსირებული.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არნ. ჩიქობავამ დიკუსიამდე მინიმუმ ათი წლით ადრე გამოკვეთა ის, რაც უნდა ყოფილიყო ძირითადი ორიენტირი ენის არსისა და საკაცობრიო როლის მსოფლმხედველობრივი გადააზრების დროს.

და, აი, სერიოზული იდეოლოგიური კამპანიის სიგნალი აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას სადისკუსიო წერილი, რომელიც 1950 წლის გაზაფხულზე საბჭოეთის მთავარ გაზეთში ”პრავდაში” გამოქვეყნდა.

თუ ამ დისტანციიდან შევაფასებთ, მთავარი საბედისწერო შეცდომა, რომელიც ნ. მარმა „ახალი მოძღვრების“ უნივერსალურობის წარმოჩენის დროს დაუშვა, ეს იყო ის, რომ მან ეს თეორია სოციალისტურ იდეოლოგიას დაუკავშირა და ერთადერთ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებად გამოაცხადა.

მაგრამ იყო კი ეს შეცდომა?

რაც მთავარია, ეს „ერთადერთობა“ საჭირო რაკურსით იქნა გამოყენებული „დისკუსიის“ დროისათვის.

თუ არა ეს იდეოლოგიური მიზანი, შესაძლებელი იყო მარის ახალი ლინგვისტური თეორიის უნაყოფობის ჩვენება დასრულებულიყო ოთხელემენტოვანი მეთოდის პრაქტიკული უუნარობის გამოაშკარავებით (რაც საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითებით ჰქონდა კიდეც წარმოჩენილი არნ. ჩიქობავას).

საინტერესოა, როგორ ხდება გადასვლა ნ. მარის თეორიის იდეოლოგიურ ასპექტზე?

არნ. ჩიქობავა წერს: „ნ. მარის თეორიის ეს საკუთრივ ლინგვისტური მოსაზრებები მოპირკეთებულია (облицованы) ორი ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათის დებულებით: ენა ზედნაშენი მოვლენაა; ყველა ენა კლასობრივია: არაკლასობრივი ენები არც ყოფილა და არც იქნება; ეს არის მხოლოდ მომავალი არაკლასობრივი საზოგადოების საქმე“[7].

ენათა განვითარებაში სტადიალური თეორია ქადაგებდა „მყისიერ აფეთქებებს“ და ენათა შერწყმის პრინციპს. ენათა შერწყმა განვითარების უნივერსალურ კანონად ცხადდებოდა. რაც მთავარია, ეს „კანონი“ გამოყენებული იყო არა მოვლენათა ისტორიული ახსნისათვის, არამედ ეს იყო პირდაპირი შეთავაზება საყოველთაო მოდელისა ერთიან იდეოლოგიურ სივრცეში ენათა დაჩქარებული (დაპროგრამებული) ასიმილაციისათვის. სწორედ ამ ასპექტით არათუ უხიფათო, არამედ ავისმომასწავებელი იყო ამ იდეის „ჭეშმარიტად“ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მანტიით შემოსვა.

---

[5] **Арн. Чикобава**, Проблема языка, как предмета лингвистики в свете основных задач советского языкознания (VII. акад. Н. Я. Марр о сущности языка). – ენიმკის მოამბე, 1941, ტომი 10, გვ. 386.

[6] **არნ. ჩიქობავა**, ზოგადი ენათმეცნიერება. II. თბილისი. 1945.

[7] **Арн. Чикобава,** Труды И. В. Сталина по вопросам языкознания и их значение для науки о языке. Стенограмма публичной лекции. Тбилиси, 1951. стр. 13.

ამ კლასობრივი, აგრესიული და სუბმარქსისტული პოზიციის უკუგდება იმ ეპოქაში ალბათ მხოლოდ „პროლეტარიატის ბელადის“ სახელით იყო შესაძლებელი და ეს სიტყვებიც მხოლოდ მისი სახელით შეიძლება წარმოთქმულიყო: „ეჭვი არ არის, რომ შერწყმის თეორიას არ შეუძლია რაიმე სერიოზული მისცეს საბჭოთა ენათმეცნიერებას“[8].

შეიძლება ვთქვათ, რომ ამ საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი იდეა ენის განსაკუთრებული სტატუსისა ბაზისურ და ზედნაშენურ კატეგორიათა მარქსისტულ-ლენინურ დიქოტომიაში.

ეს მოასწავებდა სრულიად ახალ მიმართულებას საბჭოურ ჩაკეტილ სისტემაში. ღიად გამოცხადება იმისა, რომ „ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა“ და ეროვნული ენების „აყვავება“ მოსალოდნელია მაშინაც კი, როდესაც სოციალიზმი მსოფლიო მასშტაბით გაიმარჯვებს, ცხადია, იმ იდეოლოგიურად დაგეგმარებულ დროსა და სივრცეში არსებით შემობრუნებას ნიშნავდა ნაციონალური ენებისა და კულტურებისაკენ.

უთუოდ ეს იყო საფუძველიც და მოტივიც ქართველ მეცნიერთა გამორჩეული, განსაკუთრებული აქტიურობისა ამ მიმართულებით.

კიდევ ერთი არაპირდაპირი არგუმენტი იმისათვის, რომ პოლიტიკის წილი 50-იანი წლების დისკუსიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო:

თავისი სპეციალური ბროშურის მე-18 გვერდზე არნ. ჩიქობავა აშკარად მიზანმიმართულად უბრუნდება ნ. მარის ადრინდელ „ცოდვას“ - ოთხელემენტოვან თეორიას და დასძენს: „მარისტები ოთხელემენტოვანი ანალიზისგანაც კი მოკლე დროით გათავისუფლდნენ: 1940 წელს ელემენტური ანალიზი მიჩნეულ იქნა ზედმეტად, 1949 წელს კი ისევ დაუბრუნდნენ მას, თუმცა იცოდნენ, რომ ეს მოძღვრება დამტკიცებული არ არის“. აქ შენიშვნის ადრესატზე კონკრეტული მინიშნება არ კეთდება, მაგრამ სქოლიოში ჩნდება საინტერესო კომენტარი:

„ელემენტური ანალიზის პრინციპი გამოსადეგი მხოლოდ თურქი რასისტების თავისუფალი სავარჯიშოებისათვის (для вольных упражнений) თუ იქნება, რომლებიც ერთელემენტოვანი ანალიზის გზით „ამტკიცებენ“, რომ დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვა დადის ერთ ელემენტზე - თურქული - „აღ“, „აკ” „თეთრი“ და, შესაბამისად,

აცხადებენ, რომ ყველა ენა წარმოიშვა თურქულისაგან“[9] (შდრ.: „ენათმეცნიერების შესავალში“ თურქული თემა სხვა რედაქციით არის წარმოდგენილი[10]).

გავიხსენოთ, როდის შემოიტანა არნ. ჩიქობავამ მარის თურქი „მიმდევრების“ თემა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ დაუკავშირდა მარის ოთხელემენტოვანი თეორია თურქულ ერთელემენტოვან აბსურდს.

ამისათვის უთუოდ უნდა გავიხსენოთ ის, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო საკმაოდ ინტენსიური და, რაც მთავარია, საფუძვლიანი სამეცნიერო-იდეოლოგიური შეტევა თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების შესახებ. დღეისათვის ეს დოკუმენტები განსაჯაროებულია და ყველას შეუძლია გაეცნოს, რამდენად საფუძვლიანად არის დამუშავებული ეს თემა, მაგალითად, სიმონ ჯანაშიას სპეციალურ ნარკვევში...

ამავე კონტექსტში უნდა წავიკითხოთ არნ. ჩიქობავას ერთი წერილი „რამდენიმე შენიშვნა ლაზების შესახებ“, რომელიც 1945 წლის 20 დეკემბერს გამოქვეყნდა „ზარია ვოსტოკაში“. ამ წერილის დასაწყისიდანვე თვალსაჩინოა მისი კავშირი ზემომოყვანილ სქოლიოსთან:

„თურქული ლინგვისტური „თეორიის“ თანახმად („Гюнеш-Дил“ – „язык солнца“), ყველა ენა დაიყვანება თურქულზე....“[11]

---

[8] **И.В.Сталин**, Марксизм и вопросы языкознания, Москва, 1950.

[9] **Арн. Чикобава,** Труды И. В. Сталина по вопросам языкознания и их значение для науки о языке, Стенограмма публичной лекции. Тб. 1951. стр. 18.

[10] **არნ. ჩიქობავა,** ენათმეცნიერების შესავალი, თბ. 1952, გვ. 397.

[11] **Арн. Чикобава**, Несколько замечаний о лазах. – Газета „Заря Востока“, 1945, 20 декабря.

მეცნიერის შეფასებით: „მეცნიერებასთან, საზოგადოდ, და ლინგვისტიკასთან, კერძოდ, „გიუნეშ-დილის“ თეორიას არავითარი საერთო არა აქვს“.

ხოლო აქტიური პუბლიცისტური პათოსი, გამჟღავნებული წერილის დასასრულს, საკმაოდ იშვიათია მეცნიერის მემკვიდრეობაში:

„ისტორია არ გვაპატიებდა ჩვენ, რომ გულგრილი მაყურებლები აღმოვჩენილიყავით იმისა, თუ როგორ ქრება ჩვენს თვალწინ ერთ-ერთი ქართველური ტომი თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით, არსებობისათვის ბრძოლაში გამძლეობის შთამბეჭდავი ძალით“[12].

* * *

არნოლდ ჩიქობავასეული ზემოაღნიშნული მასშტაბური გააზრების სფეროში იმთავითვე მოექცა ქართულ-ქართველური ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგიის პრობლემები, როგორც შემსწავლელი ენობრივი სისტემის იმ უმნიშვნელოვანესი უბნისა, რომელიც ყოველი კონკრეტული ენის ძირითად საფუძველს შეადგენს. ერთი მხრივ, ქართულ-ქართველური ენების გრამატიკული წყობის თანამედროვე – სტრუქტურულმა – გააზრებამ, მეორე მხრივ, ქართველური ენების მიმართ ისტორიულ-შედარებითი კვლევის აქტუალობამ, ხოლო, მესამე მხრივ, დიდი ისტორიისა და არსებითი პოლიტიკური დატვირთვის მქონე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ამოცანებმა, მკვლევრის წინაშე გარდაუვალად დააყენა საკითხი მრავალმხრივი პრაქტიკულ-აღწერითი თუ შედარებითი ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის განვითარებისა.

ენის კვლევის ამოცანების ზოგადენათმეცნიერული გააზრება მკვლევარს შესაძლებლობას აძლევდა ზუსტად განესაზღვრა ლექსიკური ფონდის მნიშვნელობა მიმდინარე ენობრივი მშენებლობისა თუ მისი ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს გააზრება კი გულისხმობდა, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენისა და მისი სხვადასხვა ქვესისტემის ლექსიკის სრულყოფილ აღწერას, მეორე მხრივ კი – ისტორიული და შედარებითი კვლევის დაფუძნებას საიმედო ლექსიკოლოგიურ ბაზისზე.

უკვე ცნება „ძირითადი ლექსიკური ფონდისა“, რომელსაც არაერთგზის ეყრდნობა მკვლევარი, ამ თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი თეორიული დატვირთვის შემცველი, ვინაიდან ეს ცნება თავისთავში გულისხმობს როგორც ზემოხსენებულ აღწერით ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიას, ასევე ისტორიული ლექსიკის კვალიფიციურ დახარისხებას. ეს კი, თავის მხრივ, აუცილებელი პირობაა ისტორიულ-შედარებითი ძიების სათანადო დონეზე წარმართვისათვის; როგორც არნ. ჩიქობავა წერდა: „ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვების ზუსტად გამოყოფა არაა ადვილი, მაგრამ ცნება ძირითადი ლექსიკური ფონდისა უაღრესად მნიშვნელოვანი ცნებაა, როგორც ლექსიკის თანამედროვე ვითარებაში, ისე ლექსიკის ისტორიაში გარკვევის თვალსაზრისით“[13].

აშკარაა, რომ თუნდაც „ძირითადი ლექსიკური ფონდის“ განსაზღვრა მოითხოვს როგორც აღწერითი, ასევე ისტორიული ლექსიკოლოგიის წინაშე მდგარი პრობლემების სრულად გააზრებას. ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ აღწერითი ლექსიკოლოგიის პრობლემების დამუშავება უსწრებდეს წინ და უქმნიდეს საფუძველს ლექსიკის ისტორიულ და ისტორიულ-შედარებით კვლევას. მაგრამ დაგროვილი პრობლემებისა და დროის ობიექტურად დასაზღვრული განზომილების გათვალისწინებით, მკვლევარი არსებითად ერთდროულად წარმართავს ძიების ინტერესებს რამდენიმე მიმართულებით – აღწერითითაც და შედარებითითაც. აქედან გამომდინარე, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის აქტუალური პრობლემები არნ. ჩიქობავას კვლევითი და

[12] **Арн. Чикобава**, Несколько замечаний о лазах. – Газета „Заря Востока“, 1945, 20 декабря.
[13] **არნ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952, გვ. 186.

სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად წარმოგვიდგება.

ენათმეცნიერული აზრის ისტორიის თვალსაზრისით, არნოლდ ჩიქობავას მოღვაწეობა ქართული ლექსოკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის სფეროში შეიძლება შეფასდეს როგორც **სრულიად ახალი, თვისებრივი ეტაპი** ქართულ-ქართველური ენების მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკის აღწერისა და მეცნიერული შესწავლის საქმეში. ამ ახალი ეტაპის შესაქმნელად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი მეცნიერის მრავალმხრივ ლექსიკოლოგიურ საქმიანობას – როგორც თეორიული პრობლემების გადაწყვეტის, ასევე პრაქტიკული და ორგანიზაციული საკითხების მოგვარების მიზნით.

არის სიმართლის წილი იმის აღნიშვნაში, რომ მეცნიერმა გარკვეული მსხვერპლი გაიღო, როდესაც კარგა ხნით გვერდზე გადადო თავისი თეორიული გამოკვლევები და დიდი დრო და ენერგია შეალია არა მარტო ლექსიკოლოგიური, არამედ პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული ამოცანების გადაწყვეტას; მაგრამ, ამავე დროს, არც იმის აღნიშვნა იქნება ზედმეტი, რომ ეს იყო მკვლევრის მოღვაწეობის ერთი აუცილებელი ეტაპი – უწინარესად სწორედ ენის სტრუქტურისა და ისტორიის ფუნდამენტურად გააზრების მიზნებს დაქვემდებარებული.

უპირველესად, ამოსავალი სახელმძღვანელო ცნებები – ისტორიზმი და მემკვიდრეობა – მოითხოვდა შესაბამისი მონაპოვრების სათანადოდ შესწავლასა და შეფასებას. ამაში იგულისხმება როგორც გრამატიკული აზრის საფუძვლიანი ანალიზი, რასაც მნიშვნელოვანი დრო და ადგილი დაუთმო მკვლევარმა, ასევე, კონკრეტულად, არსებული ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის სრულად გათვალისწინება თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ კუთხით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ყურადღება, რაც მეცნიერმა დაუთმო ამ მემკვიდრეობის მშვენებას – სულხან-საბას „სიტყვის კონას“[14].

უპირველესად სწორედ ისტორიის გააზრებით არის გასაგები ის მნიშვნელობა, რასაც არნ. ჩიქობავა „განმარტებით ლექსიკონს“ ანიჭებდა ერის ცხოვრებაში: „ლექსიკონი ხალხის პირველ წიგნად თქმულა“. – ისევე, როგორც „დედა-ენა“ ბავშვის პირველ წიგნს წარმოადგენს. ჩვენ მოგვეპოვება მდიდარი მრავალსაუკუნოვანი მწერლობა, გვაქვს ეროვნული უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია; უხერხული იქნებოდა, ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი არა გვქონოდა“, - წერდა იგი "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ბოლო (VIII) ტომის წინასიტყვაობაში.

სწორედ ქართული ენის სისტემისა და სტრუქტურის ფუნდამენტური გააზრება შეიძლება ყოფილიყო საიმედო საფუძველი ისეთი მასშტაბური საქმის წამოსაწყებად, როგორიც იყო „განმარტებითი ლექსიკონის“ სამუშაოები. ამგვარი საქმის წარმატება შეუძლებელია ყოველი დეტალის უზუსტესი გათვლის გარეშე; ლექსიკოგრაფიული ამოცანების გადასაწყვეტად ენის ბუნებისათვის ადეკვატური მეთოდისა და პრინციპების შემუშავების გარეშე. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, შეიძლება ითქვას, არის სანიმუშო მაგალითი სამუშაო პრინციპების ზუსტი განსაზღვრისა და შესაბამისი ლექსიკოგრაფიული სამუშაოების ოპტიმალური ორგანიზაციისა. მეტიც, ეს არის ერთადერთი (თუ მქისედ არ გაისმის, პირველი და უკანასკნელი) კოლექტიური მასშტაბური სამუშაო საქართველოში, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა. და ეს წარმატება უნდა მივიჩნიოთ წარმმათველი მძლავრი გონებისა და განუხრელი პიროვნული ნების შედეგად, რომელმაც გაანეიტრალა ამგვარი მოვლენის აუცილებლად თანმხლები აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობები და ერთი მიმართულებით გააერთიანა ქართველოლოგთა მნიშვნელოვანი, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი ძალებიც კი.

შეიძლება ითქვას, რომ თუნდაც მხოლოდ ორგანიზაციული თვალსაზრისით „ქართული ენის

[14] **არნ. ჩიქობავა**, საბას „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. – კრებული „სულხან-საბა ორბელიანი“. თბილისი, 1959.

განმარტებითი ლექსიკონი“ შეიძლება შეირაცხოს ისტორიულად მოგებულ მნიშვნელოვან ბრძოლათა რანგში. შემთხვევითი არ იყო, რომ, სრულიად მიუკერძოებელი შეფასებებით, ეს ლექსიკონი გვერდით დაუყენეს ქართული ენის ისეთ უკვდავ ძეგლს, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“. ხოლო გამოჩენილი ქართველოლოგი ჰანს ფოგტი წერდა: „ეს არის ძეგლი, აღმართული ენისა და მისი ძველი ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად და საამაყო მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი“.

მაგრამ ამ გამარჯვების საწინდარი მაინც ქართული ენის სისტემისა და სტრუქტურის ის თეორიული გააზრებები იყო, რომელიც „განმარტებით ლექსიკონის“ პრინციპებს დაედო საფუძვლად, დაწყებული, ვთქვათ, ერთი შეხედვით, ისეთი უმნიშვნელო საკითხით, როგორიც სახელობითი ბრუნვის ნიშნის ადგილია სალექსიკონო ერთეულთა რეესტრში და დამთავრებული ისეთი რევოლუციური ცვლილებით, როგორიც ზმნის ძირითად სალექსიკონო ერთეულად აწმყოს მესამე პირის შერჩევაა[15]. რა პოზიციიდანაც არ უნდა მივუდგეთ ამ არჩევანს, ერთი რამ უეჭველია: ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულია ქართული ზმნის როგორც ფორმაწარმოებითი, ისე სიტყვაწარმოებითი ასპექტების სრული გათვალისწინებით. შემთხვევითი არ არის, რომ ლექსიკონის მთავარმა რედაქტორმა აუცილებლად მიიჩნია ამ ლექსიკონისათვის ქართული ენის სრულიად ახლებური გრამატიკული ნარკვევის წამძღვარება (მთელი აკადემიური წინასიტყვაობის კონტექსტით), რომლის დანიშნულება და კონცეპტუალური საფუძველი ჯერ კიდევ მოითხოვს სათანადო გააზრებას.

ქეგლის შედგენის ძირითადი პრინციპები, რომელიც ცალკე ბროშურად განმარტებითი ლექსიკონის გამოცემამდე 5 წლით ადრე გამოქვეყნდა, გამოირჩევა სიზუსტით, სინათლითა და ლაკონიზმით (სულ სამი ნაბეჭდი ფურცელია!). აქ გათვალისწინებულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რაც, ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, განმარტებითი ლექსიკონის შედგენას უნდა დაედოს საფუძვლად. ხაზი გაესმის ზმნური სალექსიკონო ერთეული შერჩევის პრინციპულ სიახლეს და, ტრადიციულ პოზიციასთან მიმართების გათვალისწინებით, შესაბამის პუნქტებში პოლემიკური პათოსიც შეიგრძნობა:

„ქართული ზმნის თავისებურებასთან შეფარდებით **კანონზომიერია ზმნა წარმოდგენილი იყოს არა მასდარით** (ზოგ ზმნას მასდარი არც ეწარმოება: შესცინის, მისტირის...), არამედ **პირიანი ფორმით,** სახელდობრ, **მესამე პირის ფორმით.** ეს მესამე პირი აწმყოსია (ხოლო თუ ზმნას აწმყო არა აქვს – მყოფადისა იქნება): **ჭრის... აკეთებს...** (**გადმოსცემს, აღმოუჩენს**)...

თუ ზმნას მასდარით წარმოვადგენდით, **აღურიცხველი დარჩებოდა მრავალი ისეთი ერთეული,** რაც ქართული ზმნისათვის ნიშანდობლივია და რის ტოლი ოდენობაც სხვა ენებში ცალკე სალექსიკონო ერთეულადაა გამოყოფილი...

ამა თუ იმ ენის ლექსიკონმა უნდა ასახოს სათანადო ენის ლექსიკის თავისებურება. **ქართული ლექსიკის თავისებურება ლექსიკონში არ გამოჩნდება, თუ ზმნურ ერთეულებს მათი შესაფერისი ადგილი არ დაეთმო.** ზმნური ერთეულები მათთვის კუთვნილ ადგილს ვერ დაიჭერს, თუ ნაზმნარ სახელებზე დავალაგეთ“...[16].

ამ მიმართებით გარკვეული შეფასებითი მნიშვნელობა აქვს არნ. ჩიქობავას იმ მითითებას, რომელიც „განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულის მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობაში გვხვდება: „...მასდარის (სახელზმნის) წყალობით ლექსიკონში ზმნა ხელოვნურად იყო გაღარიბებული. აწმყოს ფუძის მეშვეობით ზმნამ ლექსიკონში მოიპოვა ის ადგილი, რაც მას ენაში უკავია.

[15] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950, გვ. 082.
[16] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950, გვ. 5.

მთავარია ის, რომ სალექსიკონო ერთეულად შერჩეულია ზმნის ის ფუძე, რისგანაც მასდარი (სახელზმნა) იწარმოება და რამაც **ქართული ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური სიმდიდრის გამოვლენა ლექსიკონში შეგვაძლებინა**"[17].

ქართული ზმნის ბუნებასთან დაკავშირებული ეს პრინციპი ორი არსებითი ასპექტით იქცევს ყურადღებას: პირველი ის, რასაც თვით პრინციპებში გამოკვეთილად გაესმის ხაზი – ზმნის ლექსიკური შესაძლებლობის სრული გამოვლენა, მეორე მხრივ კი – ყველა ლექსიკონისათვის სავალდებულო ეკონომიის პრინციპი, იმ ფლექსიურ მონაცემთაგან განყენების პრინციპი, რაც ლექსიკურ მნიშვნელობასთან არ არის უშუალოდ დაკავშირებული. ამ შემთხვევაში არსებითი ის არის, რომ აწმყო-მყოფადის დიფერენციაციის შემდგომ სწორედ აწმყომ შეიძინა მიმართულება-ორიენტაციის გამოხატვისაგან განყენებული ასეთი მონაცემის მნიშვნელობა. ამავე დროს, ამ არჩევანში სემანტიკური თვალსაზრისით ნიშანდობლივია მეტი შესაბამისობა ზმნურ ლექსიკურ შინაარსთან, მის დროულ-ასპექტურ ბუნებასთან, ხოლო ფორმალურად – პარადიგმატული პრინციპის დაცვა, რაც გულისხმობს ფლექსიური პარადიგმის ერთ-ერთი – მთელი სისტემის გათვალისწინებით, ოპტიმალური – წევრის არჩევას ლექსიკურ წარმომადგენლად (და თუ ეს პრინციპი გზადაგზა რამდენადმე დაირღვა, ამაში თვით პრინციპი ნაკლებ არის „დამნაშავე").

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ძირითად პრინციპებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამ კორპუსის – როგორც საერთოეროვნული ლექსიკონის – მნიშვნელობის ხაზგასასმელად ყურადღება უნდა მიექცეს ორ ურთიერთშემავსებელ ასპექტს: კერძოდ, აშკარაა, რომ ეს არის ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია მისი ნორმატიულობა, კანონიკურობა, მეორე მხრივ კი – ანგარიშგასაწევია ფართო ასპარეზის მიცემა იმ კილოური, დარგობრივი ლექსიკისათვის, რომელიც, საზოგადოდ, სალიტერატურო ენის ძირითადი ლექსიკური მარაგის სარეზერვო ფონდად არის ნაგულვები. „სარეზერვო ფონდის" ცნება არსებითად გულისხმობს ახლებურ პოლიტიკას ლექსიკის სფეროში, ვინაიდან ამგვარი ცნება გრამატიკული შინაარსით არსებითად მიუღებელია. არნ. ჩიქობავა ამ საკითხებს, როგორც ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს, განმარტებითი ლექსიკონის შესავალში აყალიბებს, ამავე დროს, პრობლემას ზოგადენათმეცნიერული განსჯის საგნად აქცევს:

„თვით შექმნის მომენტშიც კი სალიტერატურო ენა ერთგვარად სცილდება ძირითადი დიალექტის, ამ მთავარი მასაზრდოებელი წყაროს ფარგლებს. შემდგომი განვითარების პროცესში კი სალიტერატურო ენა ითვისებს სხვა დიალექტების მასალასაც. განსაკუთრებით ეს ეხება ლექსიკას: სალიტერატურო ენის საჭიროებას ერთი დიალექტის ლექსიკური მარაგი ვერ დააკმაყოფილებს, კონკრეტულ ცნებათა აღმნიშვნელი საჭირო სიტყვები სხვა დიალექტებშიც შეიძლება აღმოჩნდეს და მისი შემოტანა სალიტერატურო ენას გაამდიდრებს..."[18].

უნდა ითქვას, რომ ეს პრინციპი განზოგადებაა იმ პრაქტიკული გამოცდილებისა, რაც ქართულ ლექსიკოგრაფიას სანიმუშო მემკვიდრეობად გადმოეცა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის" სახით და რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა სალიტერატურო ენაში ლექსიკური პლასტების გრამატიკულ-სტილისტიკური შეფასების, კვალიფიკაციის თეორიული საფუძვლები.

თავის მხრივ, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" ეს იყო ის მასშტაბური ასპარეზი, რომლის დაძლევამ განსაკუთრებით ნათლად გამოკვეთა პოლივალენტოვანი სახელმწიფო ენის წინაშე მდგარი უახლესი ლექსიკოლოგიური პრობლემები: იქნება ეს ქართველურ ენათა და მათი დიალექტების, თარგმნითი თუ მრავალგვარი სპეციალური ლექსიკონები. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ განმარტებითმა ლექსიკონმა

[17] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986, გვ. 6.
[18] **არნ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952, გვ. 115.

ახლებურად წარმოაჩინა ქართული ენის კვლევის პერსპექტიული მიმართულებები და საფუძველი ჩაუყარა არაერთ სერიოზულ ლექსიკოლოგიურ თუ ლექსიკოგრაფიულ კვლევას, რომელთა ხორცშესხმა აუცილებელ წინაპირობად გულისხმობს განმარტებითი ლექსიკონის არსებობას.

ბევრი ამგვარი ლექსიკოლოგიური ნაშრომის წამოწყება და განხორციელება სწორედ არნ. ჩიქობავას სახელს უკავშირდება. აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიდი რუსულ-ქართული აკადემიური ლექსიკონი, რომელიც შეიძლება თარგმნითი ლექსიკონების შესანიშნავ ნიმუშად, ქართული ლექსიკოგრაფიის მონაპოვრად იქნეს მიჩნეული; ასევე განმარტებითი ლექსიკონის მემკვიდრეობას წარმოადგენს ისეთი ლექსიკონები, როგორიცაა: „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი", „უცხო სიტყვათა ლექსიკონი", ძირ-ფუძეებისა და მორფემათა ლექსიკონები, ინვერსიული და ტერმინოლოგიური ლექსიკონები და მისთ.

არნ. ჩიქობავამ სპეციალურ ლექსიკონთა რიგში გამოყო ერთი უფრო ვიწრო, თუმცა თავისი დანიშნულებით უმნიშვნელოვანესი, უბანიც – ე. წ. საენათმეცნიერო ლექსიკონები: „**დიალექტოლოგიური** (ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკურ თავისებურებათა აღნუსხვით), **ისტორიული** (სადაც ლექსიკის შემადგენლობისა და სიტყვათა მნიშვნელობის ცვლაა აღნუსხული), **შედარებითი,** რომელშიაც ორი ან მეტი მონათესავე ენის სიტყვებია შედარებული"[19].

არნ. ჩიქობავამ, როგორც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერული მეთოდის ორთოდოქსული ერთგულებით მიმდევარმა, ყველაზე მნიშვნელოვანი კვალი ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიული და შედარებითი კვლევის სფეროში გაავლო. შეიძლება ითქვას, ქართველურ ენათა შედარებითი კვლევა მეცნიერულ ფუნდამენტზე არნ. ჩიქობავამ დააფუძნა და ამ თვალსაზრისით მისი „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი", „სახელის ფუძის უძველესი აგებულება" და სხვა გამოკვლევები კომპარატივისტიკის კლასიკას წარმოადგენს.

მეცნიერმა ზუსტად განსაზღვრა შედარების პროცესში რეგულარული ბგერათშესიტყვების გადამწყვეტი მნიშვნელობა; მაგრამ, ამასთანავე, არა მხოლოდ ბგერათმიმართებების, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი მომენტების გათვალისწინების აუცილებლობა, როგორიცაა სიტყვის ფონემატური და მორფოლოგიური სტრუქტურა, ფუძეთა სემანტიკა და შესაბამისი გადაწევები, კომბინატორული ფონეტიკური ცვლილებები, შედარებითისა და ისტორიულის ურთიერთმიმართება; ეტიმოლოგიური დასკვნების ადგილი შედარებითი კვლევის პროცესში და ეტიმონის დადგენის, რეკონსტრუქციის პრობლემა. ყოველივე ამის გათვალისწინებით მკვლევრისეული დამოკიდებულება შედარებითი კვლევის ამოცანებთან ყველაზე უფრო პრეტენზიული უახლესი მოთხოვნების დონეზე დგას. თვით მკვლევრის შეხედულებებიდან გამომდინარე, არ იქნებოდა მართებული იმის თქმა, რომ არნ. ჩიქობავა რეკონსტრუქციებს არ გვთავაზობს. მკვლევარი ყველა ასპექტს ითვალისწინებს როგორც ფორმალური, ასევე სემანტიკური რეკონსტრუქციისას, მაგრამ ამ რეკონსტრუქციის კონკრეტულ ფორმალიზაციას თვითმიზნად არ სახავს, მაშინ როცა ზოგიერთი ანალოგიური ძიება მხოლოდ ამ მომენტით არის ორიგინალური...

ისტორიულ-შედარებითი კვლევის წარმატებებმა ქართველურ ენებში და ისეთმა მნიშვნელოვანმა ლექსიკოგრაფიულმა მონაპოვრებმა, როგორიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი იყო, მოამზადა სათანადო ნიადაგი უფრო დიდი ამოცანის, შეიძლება ითქვას, **საუკუნის ოცნების** განსახორციელებლად და არნ. ჩიქობავამაც დიალექტიკური სიზუსტით განსაზღვრა მომწიფებული ამოცანის აქტუალობა, კერძოდ, ქართული ენის **ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის** შექმნის აუცილებლობა.

ამიტომაც, ცხადია, სრულიად ბუნებრივია, რომ ქეგლ-ის ბოლო ტომის მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობაში უკვე ხაზგასმით აღნიშნება ის, რომ „რვატომეული განმარტებითი

[19] **არნ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952, გვ. 197.

ლექსიკონის საფუძველზე ამჟამად მუშავდება **ერთტომეული** განმარტებით ლექსიკონი; გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე“[20].

ისიც ბუნებრივია, რომ ცოტა უფრო ადრე (1961 წელს) არნ. ჩიქობავა საკავშირო კონფერენციისათვის ამზადებს სპეციალურ მოხსენებას ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის სპეციფიკურ თავისებურებათა და დანიშნულების შესახებ[21].

ამ საგულისხმო ნაშრომის მიზანდასახულებას არნ. ჩიქობავა სწორედ კონკრეტული ამოცანის აქტუალობით განსაზღვრავს დასაწყისიდანვე: „ეტიმოლოგიური და ისტორიული ლექსიკონების ურთიერთობის საკითხი ჩვენ გვაინტერესებს არა განყენებულ-თეორიული თვალსაზრისით, არამედ ჩვენში, საქართველოში, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შესადგენად გაჩაღებული მუშაობის გამო“[22].

იქვე, სქოლიოში დაზუსტებაა: „ჯერჯერობით მიმდინარეობს მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოები: ბარათებზეა ამოწერილი გამოქვეყნებული ძველი ქართული ტექსტების (IX, X, XI სს.) მთელი ლექსიკური მასალა (950 ათასი ბარათი). როდესაც დამთავრდება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის VIII ტომის ბეჭდვა და რვატომეულის საფუძველზე შედგება ერთტომეული, ყურადღების ცენტრში დადგება დამუშავება ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური დოკუმენტირებული ლექსიკონისა, სადაც, ბუნებრივია, მოხმობილი იქნება სხვა ქართველურ ენათა სათანადო ლექსიკური მასალაც“[23].

ამ ნაშრომში საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული ეტიმოლოგიური კვლევის ისტორიის, მეთოდებისა და ხერხების, ამგვარ კვლევაში შედარებითი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობაზე; ამ კვლევაში ისტორიულის ადგილზე როგორც თეორიული საფუძვლების, ისე მიზნის გათვალისწინებით; საბოლოო დასკვნების თვალსაზრისით კი საყურადღებოა დებულება ისტორიულისა და ეტიმოლოგიურის არსებითი განუყოფლობის შესახებ ორივე მიმართულებით: როგორც ისტორიიდან ეტიმოლოგიისაკენ, ასევე ეტიმოლოგიური ანალიზიდან – ისტორიისაკენ.

„ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ – ეს იყო არნ. ჩიქობავას მიერ დასახული კიდევ ერთი მასშტაბური პერსპექტიული ამოცანა, რომლის განხორციელებას, როგორც ჩანს, უშუალო ხელმძღვანელობით გეგმავდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იყო მეცნიერის ის ერთადერთი წამოწყება, რომელსაც განხორციელება არ ეწერა და ალბათ შეიძლება წარმოდგენა იმ განცდისა, რომლითაც მან უკვე 60-იან წლებშივე ხელი აიღო ამ ამოცანის რეალურ გადაწყვეტაზე. მიზეზი ამისა, უნდა ვივარაუდოთ, იყო როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური. ობიექტური: ამ ამოცანისათვის არ არსებობდა თანამოაზრეთა ისეთი შეკრული კვალიფიციური გუნდი, როგორიც ჩამოყალიბდა განმარტებითი ლექსიკონისათვის. სუბიექტური: არნ. ჩიქობავამ განმარტებით ლექსიკონს 20 წელზე მეტი შეალია და, როგორც ჩანს, მეცნიერის გონებამ თუ ინტუიციამ განჭვრიტა კიდევ ერთი ამდენის პერსპექტივის არარეალურობა...

მაგრამ დიდი მეცნიერის მოღვაწეობის კანონზომიერება ისიც არის, რომ მისი საქმე მისი ფიზიკური აღსასრულით არ მთავრდება.

წინამორბედის მძლავრი გონების მიერ განსაზღვრული პერსპექტივები, პერსპექტიული ამოცანები საპასუხისმგებლო მემკვიდრეობად დარჩა შთამომავლობას, სახელდობრ კი იმ ინსტიტუტს, რომელსაც მეცნიერის სახელი ჰქვია.

---

[20] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტომი 8, თბილისი, 1964, გვ. 6.

[21] **Арн. Чикобава**, К вопрпосу об заимоотношении Этимологического и сравнительного словарей. – 7-ое пленарское заседание словарной комиссии, посвященной проблемам сравнительно-исторической лексикологии. Москва. 1961. - Лексикографический сборник. Москва, 1963.

[22] **Арн. Чикобава**, К вопрпосу об заимоотношении Этимологического и сравнительного словарей. – 7-ое пленарское заседание словарной комиссии, посвященной проблемам сравнительно-исторической лексикологии. Москва. 1961. - Лексикографический сборник. Москва, 1963, стр. 178.

[23] **Арн. Чикобава**, К вопрпосу об заимоотношении Этимологического и сравнительного словарей. – 7-ое пленарское заседание словарной комиссии, посвященной проблемам сравнительно-исторической лексикологии. Москва. 1961. - Лексикографический сборник. Москва, 1963, стр. 178.

Avtandil Arabuli

Arnold Chikovaba's Time and Space

Summary

Arnold Chikobava belongs to the generation of the Georgian scientists and public figures who laid the foundation for the new European science and education in Georgia and founded the national scientific schools in a number of fields and directions.

Arnold Chikobava established the scientific school of Ibero-Caucasian linguistics and created fundamental theoretical works in this field. He extended these studies throughout the Caucasus region and in spite of the overt or covert resistance of Moscow's officials he inspired the Caucasian people to study their own, common genetic roots.

Arnold Chikobava founded the linguistic institute and used it as a basis of putting the issues of the structure and the history of the Georgian literary language, the Kartevilan languages and their dialects, the language functioning, norms, terminological and lexicographical providing on a high scientific level.

Arnold Chikobava had a crucial role in protecting the science, in particular linguistics, from the ideological attacks. His righteous and determined position provided a right direction and an international reputation for the Georgian linguistics.

დოკუმენტის პუბლიკაცია

ვახტანგ გურული

საინტერესო დოკუმენტი ლავრენტი ბერიას მოღვაწეობიდან

საინტერესო დოკუმენტი ლავრენტი ბერიას მოღვაწეობიდან

ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ წლებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ არსებობდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ლავრენტი ბერიას 1938 წლის 21 დეკემბრის სრულიად საიდუმლო ბრძანება N 00310, რომელიც ეხებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში კადრების შერჩევას, შინაგან საქმეთა სამინისტროში არასრულფასოვანი კომპლექსისა და დეგენერაციის ნიშნების მქონე კადრების არდაშვებას. ბრძანების ტექსტის მიკვლევა იმხანად შეუძლებელი გახდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნოდარ ფორაქიშვილმა მოგვაწოდა ცნობა, რომ ამ ბრძანების ტექსტს ის იცნობდა სერგეი სემანოვის პუბლიკაციის „Сталин. Уроки наследия.“-ს მიხედვით. ბატონ ნოდარ ფორაქიშვილს ხელთ ჰქონდა ჟურნალის „Наш Современник“ 1999 წლის N 12, სადაც სერგეი სემანოვის პუბლიკაცია დაიბეჭდა. ბატონ ნოდარს დიდ მადლობას მოვახსენებთ გაწეული დახმარებისათვის.

მკითხველს ვთავაზობთ ლავრენტი ბერიას 1938 წლის 21 დეკემბრის N 00310 ბრძანების ტექსტს სერგეი სემანოვის პუბლიკაციის მიხედვით.

СССР

НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ВНУТРЕННИХ ДЕЛ

СОВ. СЕКРЕТНО

ПРИКАЗ 00310

г. Москва 21 декабря 1938 г.

О введении в действие инструкции
№ 00134/13, от 21 декабря 1938 г.

В целях улучшения кадрового отбора кандидатов, поступающих на службу в органы НКВД СССР и недопущения призыва лиц с явно выраженным комплексом Неполноценности по признакам дегенерации, —

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Ввести в действие инструкцию № 00134, от 21 декабря 1938 г.
2. Заместителю НКВД СССР по кадрам тов. Круглову С.Н. распространить настоящую инструкцию по принадлежности.
3. Начальникам отделов кадров облгоротделов УНКВД СССР руководствоваться настоящей инструкцией при проведении кадрового отбора.

Народный комиссар **Л. Берия**

СССР

НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ВНУТРЕННИХ ДЕЛ

СОВ. СЕКРЕТНО

Отделам кадров
облгоротделов УНКВД СССР

ИНСТРУКЦИЯ

Об основных критериях при отборе кадров для прохождения службы в органах НКВД СССР

Настоящая инструкция носит рекомендательное значение при отборе кадров для поступления на службу в органы НКВД СССР.

Основные негативные критерии:

При собеседовании с кандидатом следует расспросить его о семейном положении, условии быта и жизни родителей. Если они разведены, то это, как правило, означает, что или отец, или мать ненормальные. У их детей тоже будут разводы. Это своего рода печать проклятия, которая передается из поколения в поколение. Если родители жили счастливо, то их дети тоже будут счастливыми и психически здоровыми.

Тов. И. В. Сталин определил, что советская семья — ячейка общества и, следовательно, на это стоит обращать особое внимание.

При исследовании семейной жизни кандидата, поступающего на службу важно как можно больше знать о его жене, из какой она семьи, кто ее родители. Казалось бы, это азбучная истина, но наши кадры, как правило, не обращают на это внимания. Пристальное внимание обращать на многодетные семьи. У дегенеративных матерей часто случается так, что чем больше они грешат, тем больше плодят детей. Это, в свою очередь, отображается на детях, а хуже всех бывает последний ребенок.

Аналогичные исследования надлежит проводить (негласно) в отношении остальных близких родственников.

При собеседовании выяснять о друзьях и товарищах, входящих в постоянный круг общения кандидата, по принципу: “скажи мне, кто твой друг, я скажу, кто ты”. Обращать внимание на окружение жены кандидата. Как правило, это бывает змеиным гнездом. Тогда семейная жизнь сотрудника будет целиком зависеть от настроения супруги, ее подруг и связей.

Основные видимые признаки дегенерации:

1. Нервный тик или судороги лица. Обычно это концентрируется вокруг рта. Дергается рот, губы, нос, шея. Подергиваются веки глаз. Это повторяется каждые несколько минут. Некоторые это пытаются скрыть потягиванием, разминкой шеи и т.п.

2. Косоглазие и прочие деформации глаз. Не даром говориться, что глаза — зеркало души. В эту категорию людей, с “дурным глазом” следует отнести не только косых, но так же: горбунов, карликов, необычайно уродливых людей. Сюда же следует относить разноцветие глаз, вплоть до астигматизма.

В средневековье, к примеру, органы инквизиции только по одному из вышеперечисленных признаков сжигали на кострах. А русский царь Петр Великий издал указ, запрещающий рыжим, косым, горбатым давать свидетельские показания в судах. Эти исторические аксиомы необходимо применять в повседневной практике органов НКВД.

3. Всякие дефекты речи. Шепелявость, картавость, заикание. Все это тесно связано с нервными, наследственными психическими болезнями.

4. Хронические мигрени. Сильные головные боли вплоть до тошноты или рвоты. Как правило, это заболевание наследственное. Если им страдает кто-то из близких родственников, то наверняка, это передалось по наследству кандидату, поступающему на службу. Не следует мигрени путать с обычными головными болями, которые бывают у каждого человека. Речь идет о таких болях, которые погружают человека, в коматозное состояние, из которого он долгое время не может выйти, даже после вмешательства врачей. Следует выяснять, страдает ли такими болями кто-либо из числа близких родственников кандидата.

5. Лошадиные зубы. Это торчащие вперед как у лошади зубы. Это можно отнести в категорию уродств, связанных с “дурным глазом”. Иные признаки, указывающие на уродство лица, непропорциональность размеров головы по отношению к туловищу, необычайно большая голова, выступающий лоб и т.п. Любые видимые диспропорции тела, которые могут показаться отвратительными.

6. Родимые пятна. При медицинском обследовании следует выявлять большие родимые пятна, черного или красноватого, темно-желтого, бурого цвета, и возможно, других оттенков, которые в середине века официально назывались печатью дьявола или меткой ведьмы. Не стоит это путать с обычными маленькими родимыми пятнами, которые есть у каждого человека. Печать дьявола обычно размером больше вишни, со сливу и вплоть до размеров тарелки или самовара. Бывают так же пятна, в размер с чернослив, покрытые пухом. Конечно, не все вырожденцы имеют эти признаки, но, как правило, те, кто их имеет, обычно вырожденцы.

7. Особое внимание обращать на национальное происхождение кандидата. Очень опасными, в социальном плане по своей психогенетической сущности являются люди, произошедшие в результате смешанных браков. Для кадрового отбора в НКВД важно отсекать, в основном, лиц, у которых присутствует еврейская кровь. Вплоть до пятого колена необходимо интересоваться национальной принадлежностью близких родственников. Были ли в роду евреи. Все остальные межрасовые браки следует считать позитивными.

8. Самоубийцы. Важно знать были ли среди близких родственников, те которые покончили жизнь самоубийством, независимо от обстоятельств, сложившихся при жизни покойного. Исследования показывают, что склонность к самоубийству это наследственное заболевание, передающееся из поколения в поколение. Не обязательно должно быть так, что каждый в наследственной цепи должен покончить жизнь самоубийством. Но если это произошло однажды, то обязательно повторится, даже если пройдет несколько поколений.

При медицинском осмотре и проведении психофизиологического обследования следует выявлять признаки вырождения и дегенерации путем их рассмотрения по системам тела И органам, согласно сравнительной анатомии:

I. План строения и формы тела. В случаях вырождения иногда нарушается план тела, его вес. При мужском половом типе все тело может соответствовать женскому организму, так же и наоборот (феминизм и маскулизм), смешение полов (гермафродитизм). Могут быть нарушены размеры тела и соотношение частей, симметрия двух половин. Это выражается в нарушении величины и пропорции частей. Например, шестилапистость, разные пальцы по величине на руках. Иногда бывает, что кожа одной половины тела содержит большее количество бородавок или пигментирована интенсивнее, или окрашена иным пигментом, чем другая; или радужная оболочка глаз содержит различные пигменты, т.е. глаз правый не будет похож на левый и т.п. Или, наконец, не закончено объединение двух половин тела и такая приостановка в его развитии может дать формы, известные под названием *волчьей пасти, заячьей губы.* Неправильное расположение частей может выразиться в извращении положения внутренних органов. Например, печень лежащая нормально справа, находится слева, а сердце, расположенное слева, находится справа. Сюда следует относить малый рост, как следствие проявления общего недоразвития (инфантилизм).

II. Члены и части тела. Образование хвостового придатка, лишних конечностей, или лишних пальцев на ногах и руках (полидактилия). Многопалость — аномалия в строении

суставов и костей. Является исключительно наследственным заболеванием. Множественные пальцы могут быть сращены, удвоены ребра, позвонки. Недостаток костей запястья, пальцев рук, ног, а так же всего скелета того же члена или части тела.

III. Общие покровы:

а). Ненормальная пигментация кожи. Различные пигменты, пигментность или образование резко пигментированных участков (разная пигментация кожи плеч, верхней части спины, или кожи живота, бедер и т.п.), или как у животных, пестрая, пегая окраска кожи.

б). Ненормальная волосистость тела и лица. Сросшиеся брови, имение волос на лице у женщины.

в). Значительное количество мелких родимых пятен на коже или небольшое число крупных.

г). Реверсивные признаки, т.е. возвратные явления, указывающие на возвращение природных признаков, свойственных животным. Сросшиеся пальцы между собой, вроде плавательной перепонки ноги амфибии, ненормальное развитие кожных и молочных желез. Нахождение одной или нескольких грудных желез у мужчин, увеличение числа молочных желез и грудных сосков, вместо одной пары — несколько пар.

IV. Голова, ненормально большие или малые размеры головы; неправильная форма головы по четырем видам:

1. plagocephalia — косость черепа;

2. oxycephalia — суживающая кверху голова, следствие раннего сращивания венечного и стреловидного швов;

3. clinocephalia — седлообразная голова;

4. scaphocephalia — ладьеобразная голова. К признакам вырождения и дегенерации следует относить отсутствие пропорциональности между головой и лицом, иначе говоря, размерами между мыслительными и жевательным аппаратами. Непривычно крупные размеры лица или нижней челюсти, выступление нижней челюсти вперед (прогнатизм). Такое же значение имеет форма носа. Резкое скошение носа, углубление корня носа, открывающиеся не вниз, а наружу или вперед ноздри.

V. Орган зрения. В нем встречается следующая врожденная аномалия: (кроме врожденной слепоты), альбинизм, неправильное выступление центральной артериальной ретины, colomba iridis и choroideae, овальная форма зрачка с длинным диаметром, обращенным к корню носа (Legrain). В особенности имеет значение неправильности в пигментации радужной оболочки, в виде резко окрашенных небольших скоплений пигмента вместо равномерного распределения по радужной оболочке. Нередко цвет этого пигмента не соответствует общей окраске глаза, например кучки желтого или бурого пигмента, вкрапленные в голубом или зеленом глазе. Нередко встречаются врожденные аномалии органов, движущих и защищающих глаз: врожденное косоглазие, присутствие зачаточного третьего века, прикрывающих глаз с обеих сторон от носа — реверсивный знак, соответствующий третьему веку животных (глаз амфибии). Всякого рода колебания в величине глазных яблок, в густоте формы бровей, что составляет чаще антропологическую, чем невропатическую особенность. Но отношение промежутка между глазами к ширине разреза век имеет патологическое значение: расстояние между глазами, превышающее длину разреза век признано считать вырождением.

VI. Орган слуха. Чрезмерная малость ушей, рудиментарное или недоразвитое состояние ушей, резко выраженный Дарвинов бугорок, заострение или выступление верхней части уха — Сатиров бугорок, Морелевское ухо (упрощенное ухо без складок и завитков), резкое оттопыривание ушей от головы до величины близкой к прямому углу.

VII. Кишечный канал. Ротовое отверстие у дегенератов может быть или очень большим, или слишком малым. Малым следует считать отверстие рта, если оно равно глазной щели субъекта, или приближается к этим размерам. Зубы представляют собой один из органов, наиболее подверженных дегенеративным изменениям. В глубокой древности по зубам

определяли полноценность человека. Древние врачи: Аристотель, Гален объясняют изменения зубов дегенерацией, самостоятельными физиологическими знаками вырождения. Зубы могут быть в неполном числе. Чаще всего отсутствуют два резца, вместо четырех. Или же при полном числе резцов — два имеют нормальную величину, а других два (чаще наружные) являются узкими, недоразвитыми, отделенными значительными промежутками от смежных зубов, что свидетельствует о недоразвитии зубов, при нормально развитой челюсти. Встречается так же недоразвитая челюсть, в которой зубы с Трудом помещаются и выходят из естественных границ одной Кривой плоскости, отступают частью назад, частью вперед, и зубы или в неполном числе или неправильно стоят. Значительное отклонение от нормы замечаются в верхнем нёбе. Оно может быть узким, углубленным, сводообразным, вместо того, чтобы быть плоским, как потолок.

VIII. Мочеполовой аппарат. У дегенератов встречается: epispadiasis, hipospadiasis, ненормально малая величина полового органа, недоразвитие яичек (anorchia), наличие только одного яичка (monorchia), гермафродитизм в качестве изолированного симптома без других ненормальных знаков плода. У женщин: малость молочных желез, недоразвитие, заросщение маточного рукава, малость, недоразвитие матки, двурогая матка (реверсивный знак).

IX. Система кровообращения и внутренние органы (сердце, легкие, печень и пр.). У дегенератов часто встречается, что сердце, кровеносная система, а так же другие важные органы подвержены аномальным увеличенным размерам. Это обстоятельство является существенным моментом, предопределяющих заболевания тех или иных органов. Например, при слишком малых почках или недоразвитых легких, обременительная викарная работа приходится на кожу и кишечный канал; то же самое происходит при малости артериальных стволов. Относительная малость сердца, узость артериальной системы, крупные размеры легких, при малой печени и коротких тонких кишках — дают одну комбинацию; а крупное сердце, просторная артериальная система, большая печень и значительная длина толстых кишок, при малоразвитых легких, дают противоположную комбинацию. Это влечет за собой болезненные процессы, которые протекают губительно и по-разному из каждой комбинации (Benecke).

X. Аномалии телосложения. Следует иметь в виду нередкую у дегенератов тучность. Нередкая известная степень общей и местной отечности, аналогичной или же тождественной со слизистым оттенком при кровоточивости, связанной с анатомическими особенностями строения сосудов. Тонкая атрофическая кожа.

При обсуждении анатомических особенностей, при решении вопроса, что является патологическим и может быть отнесено к признакам вырождения и дегенерации, а что является простым вариантом антропологической особенности, можно руководствоваться следующими признаками, если они имеются на лицо. Эти примеры состоят в статистическом подсчете частоты исследуемых признаков. Например, оттопыренные уши среди здорового населения составляют 15,5%, а в психиатрических лечебницах 45-50%. Это обстоятельство показывает, что носители оттопыренных ушей имеют больше шансов заболеть психозом, нежели субъекты, свободные от того признака. Следовательно, этот признак является показателем скрытого невропатического предрасположения.

Вторым распознавательным критерием является реверсивность разбираемого признака, т.е. принадлежность его к Явлениям уже давно пережитым филогенетически, например — множественность грудных желез у человека, общая волосатость и т.п. признаки, более свойственные животным, нежели человеку. Таким образом, следует обращать пристальное внимание на людей, чье тело, как на спине, так и на груди имеет обильный волосяной покров, если эти кандидаты принадлежат к белой расе, тогда на лицо признаки вырождения дегенерации. По-другому стоит относиться к людям, чьи национальные корни исходят с Кавказа и Азии. Тогда наличие волосяного покрова на теле служит защитной функцией, Свойственной месту рождения.

Третьим руководящим критерием в оценке признаков вырождения и дегенерации служит множественность знаков вырождения и разбросанность их по разным системам тела: аномалии

зубов, радужность оболочки, кожи, половых органов (имеется в виду только необычайно малые размеры половых органов у мужчин — 2-3,5 см. по длине полового члена и недоразвитость половых органов у женщин, в т.ч. отсутствие и малоразвитые груди) и прочее.

Четвертым признаком является несомненная незаконченность известного анатомического органа или части его, например — волчья пасть, заячья губа, задержание яичек в брюшной полости и т.п.

Пятым критерием служит параллелизм анатомических знаков с физиологическими и психическими.

Физиологические признаки вырождения и дегенерации.

1. Функциональная диссимметрия двух половин тела. Сюда можно отнести часто наблюдающуюся у дегенератов одностороннюю потливость — явление, состоящее в том, что потение, наступающее под влиянием душевных волнений, умственной работы или иногда под влиянием физического напряжения, происходит гораздо в большей степени на одной стороне тела или лица, чем на другой. При этом одна сторона является ненормально чувствительной в этом отношении и в пределах такого различия точно совпадает с серединной линией любой части тела (лица, носа, лба и т.д.). Подобная односторонность замечается и в трофических функциях, например, поседение или пигментация точно совпадают с пределами разных половин тела или различных сегментов туловища.

2. Наклонность к мозговым гиперемиям и зависящему от этого возбуждения мозговой (особенно психической) деятельности. В основе этого болезненного явления лежит ненормальная возбудимость вазомоторных аппаратов в центре Или периферии. Такая физиологическая особенность замечается у детей и потомков многих, душевно больных или дегенеративных субъектов. Это резко выражено в ближайшем Поколении пьяниц (алкоголиков), и служит вырождением наследственного изменения того самого аппарата, который является наиболее чутким к токсическому действию этилового Спирта. Как показывает фармакология, алкоголь и эфир, принятые внутрь или поступившие в организм путем вдыхания Дегенератами ослабевает их организм, а хлороформ, прежде всего, поражает (парализует) вазомоторы, а затем уже действует ядовито на другие центры. Таким образом, следует Предположить, что употребление алкоголя нормальными людьми, не подверженным вырождению и дегенерации, в том числе в больших количествах, свойственно усвояемости алкоголя и его переработки внутренними органами, без последующих аномальных явлений в поведении здорового субъекта и утрата памяти, хулиганство, дебош, пьяное домогательство и т.п., все, что считается отвратительным и омерзительным у трезвых людей). Дегенераты и вырожденцы, после употребления дозы спиртного, во-первых, не могут остановиться, а во-вторых, напиваясь до скотского состояния, впадают в поведение агрессии, хулиганят, не отдают отчет своим действиям, теряют контроль над собой. По отрезвлении они, как правило, сожалеют о происшедшем, и не помнят последовательности событий и своих действий. Поэтому, при прохождении обследования, целесообразно спрашивать о том, в каких количествах субъект может употребить спиртное и что происходит при передозировке. Наследственное действие алкоголя выражается в том, что вазомоторная система у потомков алкоголика является болезненно возбудимой ко всякого рода воздействиям, будто паралич сосудов, приобретенный алкоголиком, передался сполна к потомкам в качестве прирожденного физиологического недостатка. Таким образом, на этом примере алкогольной наследственности следует генетическая связь явлений. Прослеживается ход болезненной передачи и вызываемого ею функционального вырождения. Поэтому задачей медицинского обследования при прохождении комиссии является *выявление* у кандидатов близких родственников, страдающих хроническим алкоголизмом. Призыв на службу таких кандидатов, естественно, является недопустимым.

Следует иметь в виду, что вазомоторная возбудимость, приобретенная тем или иным путем, органически меняет характер человека, делая его раздражительным и склонным к душевным волнениям; в физиологическом отношении эта причина легко вызывает гиперемию мозга и бред при всяких инфекционных заболеваниях — обстоятельство, давно известное медицине.

3. Неспособность управлять некоторыми, хорошо подчиненными воле, сложными рефлекторными актами. Например, ночное недержание мочи, которое, согласно неопубликованным исследованиям, может быть отнесено к физиологическим признакам вырождения и дегенерации. Оно встречается гораздо чаще у тех людей, у которых наблюдаются и другие бесспорные признаки дегенерации. Ночное недержание должно рассматриваться, как следствие особой чувствительности слизистой оболочки мочевого пузыря (повышенная рефлекторная возбудимость), или как выражение слабости тормозящего влияния со стороны черепно-мозговых центров. Подобная чувствительность пузыря замечается иногда при душевных волнениях (например, при ожидании), и представляет собой, по всей вероятности, кортикальное явление динамогенического или, наоборот, тормозящего характера. К этому разряду явлений относится наблюдаемое явление тошноты и моты от ожидания. Сюда же следует отнести неудержимое покраснение и боязнь покраснения.

4. Идиосинкразии. Представляют собой физиологическую особенность, в силу которой некоторые субъекты совершенно исключительно или свойственным им образом воспринимают действие агентов, способных возбудить их органы, нервные центры. В силу такой способности подобные субъекты оказываются нечувствительными к некоторым средствам, то наоборот, отличаются чрезмерной чувствительностью к малейшим возбуждениям известного рода (к пищевым средствам, лекарствам и т.д.). Описываемая физиологическая особенность основана на наибольшей, превышающей всякие нормы возбудимости какого-либо нервного центра или какой-либо функции. Приведенный выше пример возбудимости общего сосудодвигательного центра у потомков пьяниц представляет собой частный случай идиосинкразии, ограничивающийся одним нервным аппаратом. Опыт показывает, что идиосинкразии многочисленны, относятся ко многим органам и нервным центрам, и могут быть вызваны многими внешними агентами (лекарствами и другими влияниями, например, ездой на санях, видом снега и т.н.).

5. Болезни речи. Некоторые болезни речи несут на себе характерный отпечаток признаков дегенерации. Сюда следует отнести такие болезненные недостатки речи как заикание, шепелявость, картавость. Не следует относи к дегенеративным признакам картавость, если это не врожденный, а приобретенный признак. Например, маленького ребенка напугали чем-то (злые собаки, волки и т.п.). и он стал заикаться. А до этого он разговаривал нормально. Болезненный характер этих явлений вытекает из того факта, что эти недостатки (за исключением заикания), очень трудно поддаются излечению. Они часто неустранимы и это тем поразительнее, что некоторые из трудных для субъекта членораздельных звуков доступно для него в одних комбинациях звуков и совершенно недоступно в других. Недостатки произношения — одна из самых характерных черт дегенеративных болезней, подобно идиотизму; так, что природа и значение недостатков речи этим и выясняется.

6. Наконец, к физиологическим (функциональным) признакам дегенерации можно отнести некоторые общие биологические особенности, отличающие дегенеративные семьи роды от здоровых:

а) Больше бесплодных браков, чем здоровых, в пропорции 1:7.

б) Большая рождаемость и многочисленность ближайшего потомства.

в) Большая смертность детей.

г) Жизнеспособность понижается с каждым поколением.

д) Число преступников, выходящих из их среды, больше чем из среды здоровых семейств.

Психические признаки вырождения и дегенерации

1. Душевные качества: в гермафродитизме, феминизме, маскулизме, инфантилизме и сенилизме. Гермафродитизм это соединение в одном индивидууме двух различных полов или только некоторых их свойств. Феминизм это остановка развития мужчины в юношеском возрасте, что придает духовному складу некоторые свойства женственности. В феминизме наблюдаются и более глубокие перемены, зависящие от присутствия в организме мужчины некоторых третьих придатков (женских грудей, широкого таза, утолщенных голеней и прочее), и многих душевных свойств женщины. Инфантилизм — это приостановка у юноши или девушки физического развития во всех отношениях, а главным образом в отношении половых особенностей (матки, яичников, грудей — у женщины, и наружных половых органов и яичек

— у мужчин), замедлением роста волос на половых частях. Сенилизм — преждевременное (раннее) умственное и физическое остарение с последовательной остановкой, появлением старческой, морщинистой кожи и свойств старческой души.

Во всех перечисленных состояниях душевные качества идут большей частью рука об руку с физическими. Для пояснения мы ограничимся несколькими примерами. Некоторые девушки-маскулянтки становились в ряды мужчин, поступали в армию, жили и спасались в мужских монастырях. Они не только не обнаруживали своего истинного пола, по в душевном отношении проявили типичное свойство мужчины. В свою очередь — черты женского характера у мужчин-феминистов также не редки. Таким мужчинам нравятся светлые костюмы, женские занятия (рукоделие), и в них они преуспевают. В детстве феминисты любили одеваться в женское платье, применять краски, свойственные женскому туалету. От этих свойств, замеченных у феминистов, необходимо отличить те явления, наблюдаемые у слабовольных молодых людей, когда они, инстинктивно стремятся понравиться женщинам, и обнаруживают рабскую подражательность. В свою очередь от маскулизма следует отделить проявления тех молодых особ женского пола, когда эти особы, из побуждений подражаемости, облачаются своей душой в типичные наряды мужского характера. В том и другом случае распознавание основывается на существовании или отсутствии физических признаком, описываемого состояния и на непродолжительности и временном характере этих явлений, свойственных подражательным формам. Поэтому, стоит пристально и серьезно относиться к женоподобным мужчинам, также как к мужеподобным женщинам.

2. Мимика и физиогномика как признаки дегенерации и вырождения. Многочисленные научные свидетельства о глубокой древности — со времен Аристотеля и Адамантия — установили с несомненностью факт, что мимика и физиогномика могут явиться частями или частными проявлениями сложных симптомов вырождения. Аристотель не боялся риска, решаясь определить дурной характер и дурные нравственные черты у своих современников на основании мимики. Они указывали при этом на такие черты, которые являлись постоянными, а не временными симптомами. Многочисленные авторы средних веков и нового времени указывают рядом с физическими знаками вырождения (родимые пятна, бородавки, пигментные наросты и прочее), неправильность мимики — о чем уже было упомянуто выше. Сам факт не оставляет в себе сомнений в дегенерации.

3. Половые аномалии. Принадлежат к самым характерным знакам вырождения. Они представляются то в форме неврастеничных ощущений, то в виде бесчисленных аномалий, сведения о которых собраны в рамках судебной медицины и судебной психологии. Крайним выражением является некрофилия. Относительная часть этих психических аномалий у дегенератов подтверждает их патологическую природу. Наиболее частыми и известными с отдаленных времен аномалиями являются: эротомания или сатиризм у мужчин, нимфомания у женщин, а также извращения известные под именем педерастии (в основном в пассивной форме), содомии, некрофилии (физическая любовь к трупам), зоофилии (половое влечение к животным) и прочее.

4. Obsessiones или фобии, то есть навязчивые и насильственные душевные состояния (мысли и чувства, волевые акты), относятся к числу наиболее бесспорных патогномических знаков вырождения. Состояния эти в настоящее врем” имеют богатую литературу и хорошо изучены. Примером навязчивых мыслей может служить мысль о том, что проглочена известная вещь (булавка, насекомое и т.п.), хотя, в тоже время, субъект ясно сознает, что этого вовсе не было. Такие же мысли о возможной заразе, о прикосновении к чему-либо нечистому, требующему мытья рук, или мысль о том, что и приготовленном к отправке, запечатанном конверте содержится неприличное выражение. Возникают гадкие отвратительные мысли при взгляде на покойника, портреты и т.п. К навязчивым чувствам относится боязнь покраснеть в обществе других. Непобедимое чувство стыда, конфузливости и виновности в присутствии других. Примером насильственных и навязчивых действий может служить постоянное мытье рук при мысли о заразе. Такая же проверка письма в отношении употребленных, будто бы, неприличных выражений. Или переход с правой стороны улицы на левую по примете, что путь по правой стороне угрожает отцу, по левой — матери.

5. Демонические черты. Олицетворенное зло. Больше присуще в творчестве поэтов. Признаки проявляются с раннего возраста по нарастающей, где процесс вырождения

становится вполне очевидным:

а). В отношении ума. Умственные силы обычно составляют единственную сильную сторону духовного наследия человека, посредством которого субъект разрешает для себя все жизненно важные вопросы и даже такие, которые малодоступны умственному анализу, и обыкновенно, разрешаются у нормальных людей при участии чувства, как более тонкого орудия — нравственности, долга, совести и т.п. Основными чертами ума демонических натур являются: многоречивость, наклонность к спору, к софизмам и диалектике, сухая логика и умственный формализм, пытающийся стать выше чувств, совести и намеков нравственного такта. Далее — стремление вытеснить логику фактов, заменить ее логикой умственных построений.

б). В отношении чувства — на первом плане стоит всегда сильно развитое чувство гнева и органическая стихийная гневность, которая часто достигает размеров страсти и поэтому с трудом поддается обузданию. Чувства гнева, таким образом, становятся неустранимыми, постоянно тлеющей чертой характера, которая предает роковую печать всего душевного состояния. Очень легко переходит в злобу, злопамятство, мстительность. Многие высшие чувства — доброта, любовь, ласковость, надежда на лучшее будущее, вера в людей и добро, развиты не полностью, и иногда не достигают высоты идеальности. От этого субъекты пессимистичны, недоверчивы, сухи. Существует наклонность к постепенному усилию в себе личного начала, личных интересов, борьбы и враждебности, для которой агрессивное чувство гнева и гневности является готовым исполнительным орудием. Такой нравственный дальтонизм ведет дегенератов к роковым последствиям. Он усиливает в них личные чувства, гордость, самомнение, что ведет к личной переоценке, неуважением и презрения к людям. Гордость у дегенератов является такой же глубокой чертой характера, как гнев. Она воспитывает в субъекте доведенное до крайности — noli me langere. При таких болезненных чертах характера объединение с людьми в семье и обществе является делом не легким: всякое возражение дегенерату представляется нападением на него, а всякое несогласие — обидой и оскорблением. Для дегенератов непонятно идеальное, общественное, а понятно личное. Тем самым дегенераты лишены общественного стыда и причин этих, важных и нравственных корректив жизни. В своих действиях они руководствуются личной совестью, которая легко затмевается страстями, в особенности гневом. Благодаря указанным основным чертам характера, дальнейшая жизнь, начиная с юного возраста, направляется по такому нравственному руслу, которое приводит не к усовершенствованию, а к упадку и дегенерации. Дегенераты более или менее отделяются от людей, и попадая в нравственное одиночество, продолжают чуждаться людей и прибывают в холодном, ими самими созданном заточении. Такие условия жизни приводят к мрачности и сомнениям. Сомнение есть результат возникающего, с течением времени, убеждения в неразрешимости многих вопросов жизни и нравственного, душевного состояния, главнейшего орудия, которым одарен дегенерат от природы рождения, то есть ума.

г). По отношению к воле. Внутренняя дисгармония в соединении со слабым развитием нравственной жизни делает для дегенерата невозможным как индивидуальное усовершенствование, так и достижение высших целей жизни. От того нравственная жизнь дегенерата с течением времени движется не вперед, как бы следовало, а назад. Это естественным образом провидит к разочарованию, к утрате радости в жизни, к моральному одряхлению, и такая нравственная метаморфоза происходит тем и больших размерах, чем слабее развиты эти чувства. Распадается весь план жизни. Жизнь превращается в нравственную случайность. К такому положению дегенерат приходит неминуемо, что влечет за собой последствия самоубийства, свойственного дегенератам вообще.

Следует обращать внимание на сокращение верхней орбитальной мышцы (мышцы мысли и ума), в соединении с резким сокращением пирамидальной мышцы носа (злоба, злость, враждебность) и более или менее заметным сокращением большой скуловой мышцы (радость). Единовременное сокращение двух последних мышц выражает собой злорадство. Таким образом, холодный ум, злоба, злорадство, бессердечно одинаково присуще демонической натуре дегенерации.

В заключении следует обращать внимание на то, что процесс вырождения и дегенерации с его этапами, проявлениями, направлениями и исходам может быть весьма нередко прослежен

не только психологически и физиологически, но и анатомически: физическое сходство предшествующих и последующих поколений, передача каких-либо отменных физиологических особенностей (привычек, идиосинкразии, странностей и пр.) указывают, в каких нисходящих от дегенератов ветвях и поколениях процесс сказался, и какие наоборот, избежали его действия. В этом широком вопросе, как и во всякой научной задаче, касающейся человека, необходимо руководствоваться всею сложностью физиологических, физических и психических данных.

21 декабря 1938 года
город Москва
НКВД СССР № 00134/13

გამოქვეყნებულია ჟურნალში „Наш современник“, 1999, №12, стр. 214- 222.

ავტორების შესახებ

ალიბეგაშვილი გიორგი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის პროფესორი. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე.

არაბული ავთანდილ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

არუთინოვა ლუიზა – ფსიქოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი.

ახალაშვილი ნონა – ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის პროფესორი.

გოგუაძე ნინო – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

გოგებაშვილი მიხეილ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მოწვეული სპეციალისტი.

გოგოტიშვილი თეა – ფსიქოლოგიის დოქტორი, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ევროპაში EAGT აკრედიტებული ფსიქოთერაპევტი.

გურული ვახტანგ – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

გურული პაპუნა – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი, სამართლის მიმართულების კოორდინატორი.

გვანცელაძე თეიმურაზ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის სპეციალისტი, სოხუმის უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი.

ვარდოსანიძე სერგო – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი.

თევზაძე თამაზ – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი.

თოქმაზიშვილი მიხეილ – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის პროფესორი.

ივანიშვილი ნაზი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი.

კალანდარიშვილი მაია – ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

კარიჭაშვილი ლია – ფილოლოგიის დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

კაჭახიძე მანანა - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

კაჭახიძე ნინო - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, გრანტის №DI/21/9-140/13 მთავარი მკვლევარი;

კვარაცხელია ნიკო – ისტორიის დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის პროფესორი.

ლორთქიფანიძე ვაჟა – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

მანდარია ანა – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის მაგისტრანტი.

მანჯავიძე ნინო – ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მაქაცარია გიორგი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის

ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

მელაძე იულია – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

მელაძე ჰამლეტ – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

მეტრეველი როინ – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ნადირაშვილი დიმიტრი – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

ნებიერიძე ვაჟა – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საბიაშვილი სალომე – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დოქტორანტი.

სალუქვაძე ელენე – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

სილაგაძე აპოლონ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

უგრეხელიძე მინდია – სამართლის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი, ვენეციის კომისიის (ევროპული კომისია დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით) წევრი.

ფანცულაია თინათინ – ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი.

ფუტკარაძე ტარიელ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი.

ქისტაური ლევან – ეკონომიკის დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის პროფესორი.

ცუცქირიძე გიორგი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

ღვინიაშვილი ხატია – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული.

წერეთელი ივანე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

ხარაძე კობა – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი.

ჯახუტაშვილი მამუკა – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი.

ჯიბუტი მიხეილ – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის პროფესორი.

ჯიქია ლევან – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.